ალბერი

№17 2011

სალიტერატურო
რელიგიურ-ფილოსოფიური და
საზოგადოებრივი ჟურნალი

„კავკასიური სახლი“
თბილისი
2011

UDC (უაკ) 050 „აფრა“ + (479·22)
ა-923

მადლობას ვუხდით ევროპულ ფონდ
HORIZON-ს ფინანსური დახმარებისთვის

Our deep gratitude for financial support to
the European Foundation HORIZON

მთავარი რედაქტორი **ნაირა გელაშვილი**

ნომრის რედაქტორი **შოთა იათაშვილი**

დამკაბადონებელი **ნიკოლოზ გელაშვილი**

ICCN 1987-832X

ს ა რ ჩ ე ვ ი

პ ო ე ზ ი ა

აურობინდო გჰოში — ლექსები
ინგლისურიდან თარგმნა დავით აკრიანმა 5
ნაჰაპეტ ქუჩაკი — ჰაირენები
სომხურიდან თარგმნა გივი შაჰნაზარმა 8
ტედ ჰიუზი — ციკლიდან „ყვავი“
ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ 11
ბილი კოლინსი — ლექსები
ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ 20
ანდრეი კოროვინი
რუსულიდან თარგმნა შოთა იათაშვილმა 26
თემურ ჩხეტიანი — ლექსები 31
დათო ყანჩაშვილი — ლექსები 35
ცირა ყურაშვილი — ბელიარის პამპულები 41
გიორგი ბუნდოვანი — ლექსები 43
ნიკა ჯინჭარაძე — ლექსები, სიმღერები
რუსულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა 48

პ რ ო ზ ა

ბორის პილნიაკი — ჩაუმქრალი მთვარის ამბავი
რუსულიდან თარგმნა ნიკო დადიანმა 55
ნაირა გელაშვილი — მე ის ვარ *(რომანი)* 78

რ ე ლ ი გ ი ა

ნომრის თემა: ლევ ტოლსტოი და რელიგია

ლევ ტოლსტოი — ბოლოთქმა „კროიცერის სონატისათვის“
რუსულიდან თარგმნა ნიკო დადიანმა 145
ვალენტინ ნიკიტინი — მონანიების გარეშე
რუსულიდან თარგმნა ნიკო დადიანმა 154
ვლადიმირ მიკუშევიჩი — „ყველა დამნაშავეა ყველას გამო“ თუ „არ არიან ამქვეყნად დამნაშავენი“? (ლ. ნ. ტოლსტოისა და ფ. მ. დოსტოევსკის დაუსწრებელი დიალოგი).
რუსულიდან თარგმნა ნიკო დადიანმა 164

* * *

იოზეფ რაცინგერი — ახალი დროის ზღურბლზე
დასასრული. გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ 169

ალექსანდრე მენი — ღვთის სასუფევლის მაცნენი
რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ 184

ანტონი სუროჟელი — რწმენის შესახებ
რუსულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა 197

რობერტს ლიარდონი — კეტრინ კულმანი *„ქალი, რომელსაც სასწაულების სწამდა“*
რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ 207

მეცნიერება

ინა სმირნოვა — ბგერის იდუმალი ძალმოსილება
რუსულიდან თარგმნა ნიკო დადიანმა 229
ვიქტორ ტროსტნიკოვი — მეცნიერულია თუ არა „სამყაროს მეცნიერული სურათი“?
რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ კორტავამ 240

მხატვრობა

ვასილი კანდინსკი — სულიერების შესახებ ხელოვნებაში
გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა 249

კრიტიკა, ესეისტიკა

შოთა იათაშვილი — მგოსანი პოლიტიკოსები 263
ოქტაი ქაზუმოვი — „ჯერ სულმთლად არ დაბნელებულა“
სალიმ ბაბულაოღლის პოეზიის შესახებ 268
მარსიანი — „კავკასიური სახლის პოეტები“ 272

პედაგოგიკა

რუსუდან კაიშაური — ვინც სულ სწავლობს და უყვარს 275

„აფრა“-ს სარჩევი (№7-16) 280

აურობინდო გჰოში
(1872-1950)

მიწვევა

ქარით და ავდრით გარშემორტყმული,
მთის უდაბურ ფერდს მივყვები მაღლა.
ვინ წამომყვება? აქ ვინ ამოვა?
ვინ გადმოლახავს წყალს და თოვლს ახლა?

არ ვსახლობ წვრილმან თქვენს ქალაქებში,
სულშეხუთული მაგ კარ-კედლებით.
ჩემ ზემოთ, ცაში, ლურჯი ღმერთია.
თქვენ კი, ქარ-წვიმავ, მკერდში მეხლებით.

აქ სიმარტოვეს ვეთამაშები,
მეგობრად ვაქცევ უბედურებას.
ყოფნას ზღვა სულით და თავისუფლად
აქ, შიშველ მთებზე, ვინ ეშურება?

მე ვარ მეუფე მთის და ქარიშხლის,
სული უჯაჭვო, ქედს ვინაც არ ხრის.
ვინც ჩემს საუფლოს იყოფს და თან მსდევს,
მართებს სიმტკიცე და ძმობა საფრთხის.

ცისფერი ჩიტი

ღვთის ჩიტი — ვერთვი **მის** სიცისფერეს,
მაღალ-ნათელი ვარ ღვთაებრივად,
ვისვრი უტკბეს და ჭეშმარიტ ბგერებს:
ღვთის, სერაფიმთა ყურამდე მივა.

მოკვდავთა მიწას ვწყდები, ვით ცეცხლი,
ავდივარ სევდის არმცოდნე ცაში,
რომ აღმაფრენის ნაკვერცხალ-თესლი
ჩავფანტო ტანჯულ დედამიწაში.

ფრთისწვერი ჩემი დრო-სივრცეს ცდება,
იქ რბის უქრობი სინათლის ჩქერი;
მარადის სახის მე ნეტარება
მომაქვს და მადლი თვით **სულის** მზერის.

ვჭვრეტ სამყაროებს თვალებით ლალის,
საყრდენად **სიბრძნის** ხისა მაქვს ტოტი:
მარადისობის ნაკადთან აწვდილს —
ხუნძლავს ედემის ურიცხვი ყლორტი.

ვჭვრეტ ყოველს გულის ამ მხურვალებით,
უნაპიროა ჩუმი ეს გონი,

ვმღერ ხელოვნება-იდუმალებით,
ვფრენ — გაგრძელდება ეს, ვით ეონი.

ხმა ვერცხლისფერი

არის ღვთაება არახდენილ რამ მოვლენათა,
დროის ბრწყინვალე მიღწევები ფერფლია მისთვის.
ხმა ახლოს ისმის — შარიშური მოვერცხლილ ფრთათა:
„დასთმე ეს მიწა ღვთაებრივი სიხარულისთვის“.

რაც თვალს უნახავს, რაც ყურისთვის ოდესმე ითქვა —
მქრქალი ლანდია, უფრო დიადს თუ ისმენ ხმობას,
უფრო მძლე ხილვას თუ ჭვრეტ. ტკბილი ხმაა თუ სიტყვა,
ფერთა ის სწრაფვა, გულს ხარებით რომ უწყებს ლღობას,

ვერ შეედრება უფრო ღვთიურს ამ აღმაფრენებს.
აქვს შემეცნება ოდენ იმ გონს, ჩვენს გონს რომ გაცდა,
აქამდის ჯერარწარმოსახულ ციურ რეფრენებს,
პრივილეგია-ბედს აქამდის არშობილ კაცთა.

ვარდის სასწაულს ელის გუბე (რომ მოსდევს თავსხმას),
მიწა კი — შორი სასწაულის გადაშლა-გახსნას.

ო, ცეცხლის სასძლო, ჩამიხუტე ძალუმად აწ მე!
ო, ცეცხლის სასძლო!
მიწიერ ვარდთა სიხასხასე მე უკვე დავთმე
და უსურვილოდ აწ ძალმიძს გავძლო.

სინათლის წყარო, ყოფნას ჩემსას გარს შემოევლე!
სინათლის წყარო!
მსხვერპლად შევწირე ლტოლვები და დარდს აღარ ვევნე,
აწ შენი ხიბლი ძალმიძს ვატარო.

ექსტაზის ხატო, აღტყინდი და შემომეკარი,
ო, ნეტარების სახე და ხატო!
მსურს, ვნახო ოდენ სახე შენი სასწაულთ დარი,
ოდენ ამბორი შენი დავცადო.
უსასრულობის ხმავ, იჟღერე ჩემს გულში აწი,
ძახილო ერთის!
შიგ შთამიბეჭდე ბრწყინვა შენი, სხვაობა დაწვი,
მზევ სიცოცხლეთის!

ვინ?

ცათა სილურჯეს, სიმწვანეს ტყეთა
ალი და ფერი ვის ხელმა მისცა?
როს ქარნი თვლემდნენ სივრცის საშოში,
ჰა, იქროლეთო, ვინ გააღვიძა?

ის გულშიც ბუდობს, ბუნების ზღვაშიც,
ტვინშიაც, სადაც აზრს და ფიქრს ბადებს;
ყვავილთა ფორმებს ჩაქსოვებია,
ეხიზვნის ვარსკვლავთ სხივოსან ბადეს.

კაცის ძალაა, მშვენება ქალის,
გოგოს ალანძვა, სიცილი ბიჭის,
ხელი, იუპიტერს რომ ატრიალებს,
კულულს რომ ძერწავს მთელ თავის ნიჭით.

ვჭვრეტთ მის ქმნილებებს, რიდეებს, ჩრდილებს....
თვით სად არს? რა აქვს მას შერქმეული?
ზევსია? დაო? კაცი თუ ქალი?
ტყუპია? კენტი? აქვს კი სხეული?

შავტუხას ვეტრფით ბიჭს მანათობელს;
გვიმონებს ქალი — შიშველი, მწველი;
თოვლიან მთებზეც ვნახეთ, მდუმარე,
სფეროთა გულშიც — პლაზმების მღვრელი.

მის გზებს, მის თამაშს ვამცნობთ მსოფლიოს,
ხარობს ჩვენი წვით, ჩვენი ვნებებით,
სთნევს, როს ვწუხარებთ, ქვითინში გვახრჩობს,
ბოლოს კვლავ გვხიბლავს მშვენიერებით.

იცინის? — მთელ ჩვენს მუსიკად ისმის!
იღიმის? — მოჩანს მთელ ჩვენს მშვენებად!
ფეთქავს? — ჩვენ ვცოცხლობთ! გვიყვარს? — ამბორი
რადჰას და კრიშნას თუ მოენებათ!..

იგი ძალაა საყვირთ ხმობაში,
ზის ოთხთვალაშიც, შუბებსაც ისვრის,
უთვლელად ჟლეტს და ღრმად თანაუგრძნობს,
იბრძვის მსოფლიოს სულ ბოლო წლისთვის.

სამყაროთა და დრო-ჟამთა ზღვაში,
უთქმელი, მძლავრი, დიადი, წმინდა,
აზრის სულ ბოლო მწვერვალის მიღმა —
ის მარადიულ ტახტს დაეწინდა.

კაცის მეუფე, უსაზღვროდ მეტრფე,
ახლო გვყავს გულთან, თუ ხედვა ძალგვიძს.
ბრმად ამაყები, ზვიად ვნებებით,
ვმონებთ ჩვენს აზრებს და მათსავ აღვირს.

მარად და უკვდავ ის სუფევს მზეში,
შუაღამესაც ჩრდილი აქვს მისი;
ბრმა სიბნელეში, წყვდიადთ წყვდიადში,
დაბრძანდა მარტო, ვრცელ-უკუნისი.

ინგლისურიდან თარგმნა
დათო აკრიანმა

ნაჰაპეტ ქუჩაკი
(XIII-XIV ს.ს)

ჰაირენები

* * *

მე, შენი მეტრფე, ჩვილს ვგავარ,
    დარჩენილს უფლით, ლოცვითა, —
დედა მკვდარ ობოლს, სიკვდილმა
    მშობლის ძუძუს რომ მოსწყვიტა;
მწყურვალი ვიწვი, ნუ მტანჯავ
    მაგ წვეთ-წვეთობით მოსმითა,
იმედს გთხოვ, ნეფე-დედოფლად
    დასაწინდ-შესამოსლისას...

* * *

— მთვარევ, ჩემ ტურფას ასმინე
    ტანჯული მეტრფის გვრინისა...
— ვით ვუთხრა, როგორ ვასმინო,
    კვალი არ ვიცი ბინისა;
— ზემო უბანს თუ დახედავ,
    ლურჯ სუფრას უზის ლხინისას,
მაღალ კედელს და ხეს შორის
    ხელთ თასი უპყრავს მინისა,
ჰაირენს მღერის: „სხვა ვინ თქვას,
    მსგავსი ქალის და ღვინისა!“

* * *

მორჩო ნაყარო, ქარვისფრად
    აფეთქებული ვაზისა,
ხატად სამეფო ვარდი ხარ,
    გამომზირალი აზიზად;
დე, მჭორონ! — არ მსურს შენს მეტი,
    რჩეული — ერთი ასიდან,
დე, ასგზის თურქის ქალად გთქვან, —
    სხვას ავი ენა რას იზამს!..

* * *

— ცად ვარსკვლავთ ცეცხლის დამნთებო,
    სატრფოვ, ერდოზე მძინარო,
ან რო გამიშვა შინ, ან რო
    შენ გვერდით დამაწვინა, რო...
— ვერ შეგისრულებ წადილსა,
    ეგრე იაფად მწირავო,
ცისფრამდე შტერად გამყოფებ,
    ნუ იტყვი, დამამცირაო!..

* * *

სპეტაკი მკერდის პატრონმა
ლურჯი ჩაიცვას ნამღებრი...
მარმარი გამოაჩინოს,
მხილველთა სისხლის ამმღვრევი;
— უფალო, გვედრებ, დააცხრე
ყმაწვილთა სულის წამღები
მაგ ბროლ-ლაჟვარდის ციალი, —
არ დაგვიგიჟდნენ ბალღები!..

* * *

დგას ჟამი სიყვარულისა,
ყმაწვილთა დასაწინდები;
მიგირქმევ, თითქოს ეგ წელი
ნედლი მშვილდია შინდების;
ვით მზეჩამდგარი ვენახის
მტევანი, ისე მინდები,
როგორც რიჟრაჟი დილისკენ,
როს საკინძს გიხსნი, ბრწყინდები.

* * *

ხელს ვგავარ, შენ რომ მაჩუქე
იმ ერთადერთი კოცნითა...
ეს უტკბილესი ნაყოფი
(მსგავსი რომ ვერც როს მომწიფდა!..)
იმ ნაყოფს ჰგავდა ცდუნების,
მაცილის გამოლოცვითა,
რამაც სამოთხეს ადამი,
მე კი შენს უბეს მომწყვიტა.

* * *

ჩემო პატარა შამამო,
შენით ვარ განახელები,
ზღვად გითრთის მკერდი, სალბუნად
ზღვის წყალს იტყვიან ცხელების,
შენ ტოლად რომ მქმნა, შემოვალ
ნიჩბად მოსასმელ ხელებით
და მერმე უკვე ნეტარი
შენ ჩრდილში განვესვენები!

* * *

თქვენთან რომ მოველ, არ მახსოვს,
ან რა ეშმაკმა წამიღო,
გავქვავდი! ნეტავ განგებამ
რა ქნა, რა წესი ამიგო?
ათასგზის შენი მორჩილი,
ვკითხულობ: ღმერთო, რა მიყო,

ტრფობის უცადი არა ვარ,
    ეს რაღაც სულ სხვა რამ იყო!..

* * *

როგორც კი თვალთ მივეფარე,
    არც ნაკლები და არც მეტი,
შენ, დავიწყების ფიქრის ძაფს
    უმალ თალხ წყალში ავლებდი!..
ერთს არ გაგცვლიდი ათასში,
    თუნდ დოვლათით და არვეთი,
მათ მოწვდილ უკვდავების წყლის
    ერთ წვეთსაც კი არ დავლევდი,
რა მოხდა, ქვეყნის სხვა მხარე
    გეგონა მოუსავლეთი?!

სომხურიდან თარგმნა
გივი შაჰნაზარმა

ტედ ჰიუზი

ინგლისელი პოეტი და საბავშვო მწერალი. კრიტიკოსები მას თაობის ერთ-ერთ საუკეთესო პოეტად მიიჩნევენ. 1984 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ტედ ჰიუზი იყო ბრიტანელი პოეტი-ლაურეატი. 2008 გაზეთმა „თაიმსმა“ სიაში „50 უდიდესი ბრიტანელი მწერალი 1945 წლის შემდეგ“ მას მეოთხე ადგილი მიუჩინა.

ტედ ჰიუზი დაიბადა 1930 წლის 17 აგვისტოს მაიტოლმროიდში, ინგლისში, უილიამ ჰენრი და ედიტ ჰიუზების ოჯახში. პირველი ექვსი წელი მომავალი პოეტი ადგილობრივ ფერმერებს შორის იზრდებოდა. როცა ტედი 7 წლის იყო, ჰიუზების ოჯახი მეკსბოროში, სამხრეთ იორკშირში გადავიდა საცხოვრებლად. მოგვიანებით მწერალი აღნიშნავდა: „პირველმა ექვსმა წელმა განსაზღვრა ყველაფერი.“

1954 წელს ტედ ჰიუზმა დაამთავრა კემბრიჯის უნივერსიტეტი, ხოლო 1959 წელს მიენიჭა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის წოდება.

1957 წელს მისმა პირველივე პოეტურმა კრებულმა კრიტიკოსების აღფრთოვანება და ნიუ-იორკში პრემია ლიტერატურული დებიუტისთვის დაიმსახურა.

ტედ ჰიუზის ადრეული შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებასთან, განსაკუთრებით ცხოველებთან, რაც განპირობებულია მისი ბავშვობისდროინდელი ინტერესებით. ტედ ჰიუზის შემოქმედებაში ცხოველები გვევლინებიან როგორც ღვთაებები, მეტაფორები, პერსონები, ხატები. პოეტი ცხოველებს იყენებს როგორც მეტაფორას ცხოვრების შესახებ თავისი აზრის გამოსახატავად. „ყვავი“ ალბათ ყველაზე ცნობილია სახეა მის შემოქმედებაში. ტედ ჰიუზი იყენებს ყვავს, როგორც ღმერთის, ფრინველისა და ადამიანის კრებით სახეს, რაც მისთვის ასე მნიშვნელოვანია სიკეთისა და ბოროტის შესაცნობად.

1956 წელს ტედ ჰიუზი დაქორწინდა ამერიკელ პოეტ სილვია პლათზე. მათ ეყოლათ ქალვაჟი. მათი ურთიერთობა 1963 წლამდე, სილვია პლათის თვითმკვლელობამდე გაგრძელდა. ამ დროს ჰიუზის საყვარელი, ასია ვევილი უკვე ფეხმძიმედაა მისგან. თუმცა პლათის თვითმკვლელობის შემდეგ ასია ვევილი ხელოვნურად წყვეტს ამ ფეხმძიმობას. ტედ ჰიუზსა და ასია ვევილს შვილი 1965 წელს შეეძინათ. ამ დროს ასია უკვე ტედ ჰიუზის ოჯახის დიასახლისია და ტედს და მისი და სილვიას შვილების აღზრდაში ეხმარება... ეს ურთიერთობა დასრულდა 1969 წელს, ასიას ვევილის თვითმკვლელობით. 1970 წელს ტედ ჰიუზი დაქორწინდა კეროლ ორჩარდზე, რომელთანაც ცხოვრების დარჩენილი წლები გაატარა.

ტედ ჰიუზის შემოქმედებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მისი ბოლო კრებული „დაბადების დღის წერილები“ იპყრობს, რომელიც პოეტის გარდაცვალებამდე 1 თვით ადრე გამოვიდა. ამ კრებულმა, რომელიც ოთხმოცდარვა ლექსისგან შედგება, მრავალი ლიტერატურული ჯილდო მოიპოვა. ის წარმოადგენს გულწრფელ პასუხს ყველა იმ ბრალდების მიმართ, რასაც მას საზოგადოება მისი მეუღლის, სილვია პლათის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით უყენებდა. ზოგიერთი ფემინისტი ტედ ჰიუზს ხატავდა როგორც მონსტრს, ხოლო სილვიას კი მის მსხვერპლად მიიჩნევდა.

კრებულის გამოსვლამდე ტედ ჰიუზს არასოდეს არ გაუცია პასუხი აღნიშნული ბრალდებებისათვის.

„დაბადების დღის წერილები“ მომენტალურად ბესტსელერად იქცა, რაც ტედ ჰიუზისა და სილვია პლათის მიმართ საზოგადოების უდიდესი ინტერესის კიდევ ერთი მაჩვენებელია.

ტედ ჰიუზი გარდაიცვალა 1998 წლის 28 ოქტომბერს.

ციკლიდან „ყვავი“

გამოცდა საშვილოსნოს კართან

ვისია ეს პაწაწინა ფეხები? სიკვდილის.
ვისია ეს ბუსუსა სახე? სიკვდილის.
ვისი ეს ჯერ კიდევ მომუშავე ფილტვები? სიკვდილის.
ვისია ეს გაცვეთილი კუნთების გარსი? სიკვდილის.
ვისია ეს ენით აუწერელი შიგნეული? სიკვდილის.
ვისია ეს საეჭვო ტვინი? სიკვდილის.
ვისია ეს არეული სისხლი? სიკვდილის.
ეს არაფრისმთქმელი თვალები? სიკვდილის.
ეს პატარა ბოროტი ენა? სიკვდილის.
ეს მოჩვენებითი სიფხიზლე?
ბოძებული, მოპარული, თუ გარდაუვალი სამსჯავრო?
მისია.
ვისია მთელი ეს წვიმიანი და ქვიანი დედამიწა? სიკვდილის.
ვისია მთელი სამყარო? სიკვდილის.
ვინაა იმედზე ძლიერი? სიკვდილი.
ვინაა სურვილზე ძლიერი? სიკვდილი.
სიყვარულზე ძლიერი? სიკვდილი.
სიცოცხლეზე ძლიერი? სიკვდილი.
და ვინაა სიკვდილზე ძლიერი?
მე, ცხადია.

შეფრინდი, ყვავო.

დაბადება

პირველად იყო კივილი
რომელმაც შვა სისხლი
რომელმაც შვა თვალი
რომელმაც შვა შიში
რომელმაც შვა ფრთა
რომელმაც შვა ძვალი
რომელმაც შვა გრანიტი
რომელმაც შვა იისფერი
რომელმაც შვა გიტარა
რომელმაც შვა ოფლი
რომელმაც შვა ადამი
რომელმაც შვა მარიამი
რომელმაც შვა ღმერთი
რომელმაც შვა არაფერი
რომელმაც შვა არასოდეს
არასოდეს
არასოდეს
არასოდეს

რომელმაც შვა ყვავი

რომელსაც კივილამდე სწყუროდა სისხლი
მატლი, პური,
ყველაფერი,
რაც
ბინძურ ბუდეში შეუღინღლავ ფრთებს ათრთოლებს.

ყვავის სიმღერა

როცა ღმერთმა გამოჭედა ყვავი,
მან შექმნა ოქრო,
როცა ღმერთმა ყვავი მზეზე გამოწვა,
მან შექმნა ალმასი,
როცა ღმერთმა ყვავი სიმძიმის ქვეშ გასრისა,
მან შექმნა ალკოჰოლი,
როცა ღმერთმა ყვავი ნაკუწ-ნაკუწ დაგლიჯა,
მან შექმნა ფული,
როცა ღმერთმა ყვავი ააფეთქა,
მან შექმნა დღე,
როცა ღმერთმა ყვავი ხეზე ჩამოკიდა,
მან შექმნა ხილი,
როცა ღმერთმა ყვავი მიწაში ჩამარხა,
მან შექმნა კაცი,
როცა ღმერთმა სცადა ყვავი ორ ნაწილად გაეყო,
მან შექმნა ქალი,
როცა ღმერთმა თქვა:
„შენ გაიმარჯვე, ყვავო“
მან შექმნა მხსნელი.
და როცა სასოწარკვეთილმა ღმერთმა მიატოვა,
ყვავმა აილესა ნისკარტი და თავის საქმეს შეუდგა.
ორი ავაზაკით დაიწყო.

ყვავის პირველი გაკვეთილი

ღმერთი ეცადა ყვავისთვის ლაპარაკი ესწავლებინა
„სიყვარული“, — უთხრა ღმერთმა, — „თქვი, სიყვარული“
ყვავმა პირი დააღო და თეთრმა ვეშაპმა ჩაანგრია ზღვა, ჩაეშვა ფსკერზე
და აღმოაჩინა საკუთარი სიღრმე.

„არა, არა“ — თქვა ღმერთმა „თქვი, სიყვარული, ეცადე, თქვი, „სიყვარული“
ყვავმა პირი დააღო და მწერმა, ანუ კოღომ, ანუ ცეცემ
ყველა ქოთანში
ზევით-ქვევით ნავარდი დაიწყო .
„ბოლო მცდელობა“, — უთხრა ღმერთმა, — „ჰე, სიყვარული.“
ყვავი აკანკალდა, გაიჭაჭა, პირი დააღო, და
კაცის უსხეულო, ვეება თავმა
მასზე მიერთებული თვალებით გაანათა დედამიწა
და ამოაფრქვია პროტესტი.

ვიდრე ღმერთი შეაჩერებდა, ყვავი ისევ გაიჭაჭა.
კაცს ყელში სწვდა ქალის საშო და წაუჭირა.
იბრძოდნენ მდელოზე.
ღმერთი ეცადა მათ დაშორებას და თან გოდებდა, თანაც წყევლიდა —

ყვავმა დამნაშავედ იგრძნო თავი,
გაფრინდა.

ფრაგმენტი ანტიკური ხელნაწერიდან

მაღლა — კარგად ნაცნობი ტუჩები, ნაზად ჩამოწეული,
ქვემოთ — წვერი თეძოებს შორის.

ზემოთ — წარბი, ძვირფასი ქვის არაჩვეულებრივი ბუდე,
ქვევით — მუცელი პატარა კვანძით.

ზევით — მტკივნეული ნაოჭები,
ქვევით — მომავალში მოწიკწიკე ბომბი.

ზევით — უნაკლო კბილები, კუთხეებში თითქოს ეშვებიც,
ქვევით — ორი სამყაროს დოლაბები.

ზემოთ — სიტყვა და ამოოხვრა,
ქვემოთ — სისხლის შხეფები და შვილები.

ზემოთ — სახე, გულის ფორმად ჩამოქნილი,
ქვემოთ — გულის დაფლეთილი სახე.

ყვავის დაცემა

როცა თეთრი იყო, ყვავმა დაასკვნა, რომ მზე იყო ძალიან თეთრი.
ყვავმა დაასკვნა, რომ მზე მეტისმეტად თეთრად კაშკაშებდა
და გადაწყვიტა მზეზე თავდასხმა და მისი განადგურება.

ყვავმა მთელი თავისი ძალ-ღონე და ბრწყინვალება მოიკრიბა,
ბუმბულაშლილი კლანჭებით ჩააფრინდა მზეს
და ნისკარტი პირდაპირ მისი ცენტრისკენ მიმართა.

საკუთარ ცენტრში კი თავისთვის გულიანად გაიცინა
და შეუტია.

ამ ბრძოლაში ხეები უცებ დაბერდნენ.
ჩრდილები მიწას განერთხნენ.

მზე კი გაბრწყინდა.
მზე გაბრწყინდა
და ყვავს დაუბრუნდა ნახშირივით შავი ფერი.

პირი გააღო და ყველაფერი რაც ამოუშვა, ნახშირივით შავი იყო.

„იქ, ზევით“ — ძლივს ამოთქვა,
„სადაც თეთრი შავია და შავი კი თეთრი, მე გავიმარჯვე.“

ყვავი ავადაა

ყვავის ავადმყოფობა იყო ის, რაც მას ვერ ამოარწყევდა.
ყვავმა გაშალა სამყარო ძაფის გორგალივით
და მეორე ბოლო საკუთარ თითზე გადახვეული ნახა.

გადაწყვიტა სიკვდილის განადგურება,
ჩაუსაფრდა,

მაგრამ ყოველ ჯერზე ხაფანგში მისი სხეული შეეხეტა.

სადაა ის, ვიღაც, ვინც თავის ჭკუაზე მატარებს?

ეძება წყალქვეშ, ხმელეთზე, მთაში,
ეძახდა და იწვევდა,
და ბოლოს
აპარპარებული თმით შიშს გადაეყარა.
თვალებმა უარი თქვეს მის დანახვაზე და დაილიბრნენ.
ყვავმა მთელი ძალით დაარტყა და თავადაც იგრძნო დარტყმა.
შეძრწუნებული, ყვავი დაეცა.

ყვავის თეოლოგია

ყვავი მიხვდა, რომ ღმერთს უყვარდა,
რომ არა ღმერთი, მიწას მკვდარი დაენარცხებოდა!
ასე რომ ამას წყალი არ გაუვა —
და ყვავი საკუთარ გულისფეთქვას მიენდო გაოგნებული,

და მიხვდა, რა უთხრა ღმერთმა —
არსებობა, თავისთავად, უკვე ღმერთის გამოცხადებაა,

მაგრამ ვის
უყვარს ქვები, ან ვინ ესაუბრება ქვას?
ისინიც ხომ არსებობენ?
და ვინ ესაუბრება უცნაურ დუმილს
ყვავების შემზარავი ჩხავილის შემდეგ,

ან ვის უყვარს თოფის წამლის ნამცეცები,
სასოწარკვეთილი, მუმიად ქცეული ყვავების დორბლი?

და ყვავი მიხვდა, რომ არსებობს ორი ღმერთი,

მათ შორის ერთი გაცილებით დიდია მეორეზე
და უყვარს მტერი თვისი
და ფლობს ყველა სახის იარაღს.

ყვავი — შავი, როგორც არასდროს

როცა ღმერთმა უარყო კაცი
და ავიდა ზეცაში,
და როცა ადამიანმა უარყო ღმერთი
და წავიდა ევასთან,
სამყარო თითქოს დაიშალა.

მაგრამ ყვავი, ო, ეს ყვავი...
ყვავი ცას და დედამიწას კლანჭებით ჩააფრინდა
და ერთმანეთს მიაჭედა.

და კაცმა იყვირა, მაგრამ ღმერთის ხმით
და ღმერთმა დაღვარა სისხლი, მაგრამ კაცის სისხლი,

მერე სამყარომ დაიწყო ჭრიალი გადაბმის ადგილას,
ამ ადგილზე დაემართა განგრენა, აყროლდა
და არ ჩანდა ხსნა.
ისევ აგონია!
კაცს არ შეეძლო ყოფილიყო კაცი და არც ღმერთს — ღმერთი.
აგონია
გაიზარდა.
ყვავი
დამცინავად უყურებდა,
„ეს ჩემი ქმნილებაა“ —
ყვიროდა
და საკუთარი თავის სადიდებელ
შავ დროშას აფრიალებდა.

სამართლიანი ყვავი

ყვავი დასცინოდა — მხოლოდ საკუთარ სიკვდილს.
ყვავი აფურთხებდა — მხოლოდ საკუთარ სიკვდილს.
ჭორებს უვრცელებდა — მხოლოდ საკუთარ სიკვდილს.
ძარცვავდა — მხოლოდ საკუთარ სიკვდილს
წიხლავდა — მხოლოდ საკუთარ სიკვდილს
ნიშნს უგებდა მხოლოდ საკუთარ სიკვდილს
სამაგიეროს უხდიდა — მხოლოდ საკუთარ სიკვდილს
ატყუებდა — მხოლოდ საკუთარ სიკვდილს
კლავდა — მხოლოდ საკუთარ სიკვდილს
ჭამდა — მხოლოდ საკუთარ სიკვდილს

ასე შეინარჩუნა სინდისი სუფთა.
და იყო შავი
(უფრო შავი, ვიდრე
თოფის
თვალის გუგა)

სწორედ იმ დროს

როცა პისტოლეტის ლულა, საიდანაც ცისფერი კვამლი აფარფატდა,
აიღეს, როგორც სიგარეტს იღებენ საფერფლედან
და დედამიწაზე დარჩენილი ბოლო სახე
უსიცოცხლოდ დაეცა
ფართოდ გაშლილ მკლავებში, სამწუხაროდ, ძალიან გვიან,
და ხეები სამუდამოდ ჩაიკეტა
და ქუჩები სამუდამოდ ჩაიკეტა
და სხეული იწვა მიტოვებული სამყაროს ქვიშაზე
მიტოვებულ სახლებს შორის,
რომელთაც ერგოთ სამუდამო უსასრულობა,

ყვავს სხვა არაფერი დარჩენოდა თუ არა საკვების მოსაპოვებლად ფრენა.

ბუს სიმღერა

მღეროდა,
როგორ გაქათქათდა გედი სამუდამოდ,
როგორ მოისროლა მგელმა მოღალატე გული შორს
და ვარსკვლავებმა შეწყვიტეს თვალთმაქცობა,
ჰაერმა დაკარგა გამოსახულება
წყალი საკუთარი სურვილით დამუნჯდა
ქვამ თავისი ბოლო იმედი დათმო
და სიცივემ კი ვერც გაიგო, ისე მოკვდა.

მღეროდა,
რომ დასაკარგი არავის აღარაფერი აქვს,

და შიშისგან გაშეშდა

მერე უცქერდა
ვარსკვლავთა მოძრაობის ტრაექტორიას
უსმენდა ქვათა ფრთების ცემას
და საკუთარ სიმღერას

ჯადოსნური საფრთხეები

ყვავმა წარმოიდგინა სასახლე —
სასახლის კარი ზედ დაეცა, მისი ძვლები ნაპოვნია.

ყვავი წარმოიდგინა სწრაფი მანქანა —
მან კი ძვლები ამოუყარა და დატოვა ცარიელი და უმკლავებო.

ყვავმა წარმოიდგინა ქარის თავისუფლება —
თვალები აუორთქლდა, ქარმა კი მთელი ტვინი გაუფრიალა.

ყვავმა წარმოიდგინა ხელფასი —

მან კი დაახრჩო და შემდეგ ციმციმ ამოაჭრეს მკვდარი მუცლიდან.
ყვავმა წარმოიდგინა დიდი ხნის წინანდელი, რბილი და თბილი —
მან კი აბრეშუმით თვალი აუხვია და ვულკანში გადაუძახა.

ყვავმა წარმოიდგინა ნიჭი —
მან კი გასაღები მის საწინააღმდეგოდ მოატრიალა
და ყვავი თავისსავე ჟანგიან ურდულს
ჩამოეხია.

ყვავმა წარმოიდგინა ბუნების უძრაობა
და ყურიდან მუხა ამოეზარდა,

კენწეროში მისი შავი შვილები რიგებად ისხდნენ.
მერე გაფრინდნენ.

ყვავი
მას მერე აღარ განძრეულა.

ჯადოსნობა ზეცაში

ასე, რომ ბოლოს იყო არაფერი და
ის იყო არაფერში.
არაფერი იყო სხვა არაფერი თუ არა არაფერი
და დასამტკიცებლად, რომ ის არ არსებობდა,
არაფერი გასრისეს არაფრით.

დაჩეხილი არაფრით
გათქვეფილი არაფერში
უკუღმა პირზე გადმოატრიალებული
და არაფერზე მიმობნეული
ყველამ ნახა, რომ ის მართლაც არაფერი იყო
და ვეღარას გახდებოდნენ მასთან
და
ჩამოაგდეს.

ხანგრძლივი ტაში ზეცაში.

მიწაზე დაეცა და გადაიხსნა —
და მასში იყო ყვავი — კატალეფსიური.

ყვავი მოიღუშა

არის თავად საკუთარი ძალა?
აქვს კი საკუთარი ინიციალები?
იქნებ სამოთხის გასაღებია
მლოცველის თითებში გაყინული?

უფრო მლოცველის კელაპტარია — მისი გული გუგუნებს.
მისი საკვები ქარია —

ქარის ჟინის ურყევი ძალა.
მისი ნაფეხური უსასრულობას მისდევს

ხელმოწერით: ჩვენ აქ ვართ, აქ ვართ.
ხანგრძლივი მოლოდინია, რომ
მას ყველაფრისთვის გამოიყენებს
ის რაღაც, რამაც ასე რუდუნებით შექმნა

არაფრისაგან.

გაელვება

„ო, ფოთლებო," თრთოლვით მღეროდა ყვავი „ო, ფოთლებო" —
მის ყელზე ფოთლის პირის შეხებამ
თავი მოკვეთა მომავალ სიტყვებს.
და მაინც,
ყვავმა უსიტყვოდ გააგრძელა ფოთლებით ტკბობა
ღმერთის თავიდან, რომელიც ჩაენაცვლა მყისვე.

ინგლისურიდან თარგმნა
დალილა გოგიამ

ბილი კოლინსი

„ნიუ იორკ თაიმსმა“ ბილი კოლინსს ყველაზე პოპულარული ამერიკელი პოეტი უწოდა. მისი პოპულარობა მართლაც უსაზღვროა თანამედროვე ამერიკელ პოეზიის მოყვარულთა შორის. მისი კრებულები ყოველთვის ბესტსელერია. ბილი კოლინსი აირჩიეს ამერიკის შეერთებული შტატების პოეტ-ლაურეატად 2001-2003 წლის ვადით. ხოლო 2004-2006 წლებში ის დასახელებული იყო ნიუ-იორკის შტატის პოეტ-ლაურეატად.

ბილი კოლინსი დაიბადა 1941 წელს ნიუ-იორკში. ამჟამად ის ნიუ-იორკის ლემანის უნივერსიტეტის პროფესორია. ბილი კოლინსი მრავალი ლიტერატურული პრემიისა და ჯილდოს მფლობელია.

შეკითხვები ანგელოზების შესახებ

ალბათ რამდენი რამ გაინტერესებთ ანგელოზების შესახებ.
მაგრამ ერთადერთი შეკითხვა, რაც ოდესმე გაგიგიათ, არის —
რამდენი ანგელოზი იცეკვებდა ქინძისთავის წვერზე.

არავის აღელვებს, ანგელოზები როგორ გადიან მარადისობას,
ან ზეცაში ლათინურად როგორ გალობენ,
დედამიწაზე როგორ აწვდიან ლუკმას განდეგილს, ან
გოგო და ბიჭი ბეწვის ხიდზე როგორ გადაჰყავთ.

უფლის სხეულში ფრენენ და იქიდან სიმღერით გამოდიან?
ბავშვებივით ქანაობენ ციური სამყაროს კარზე და
თავის სახელებს წაღმა-უკუღმა არაკრაკებენ?
მარტოდმარტო სხედან ბაღებში და ფერებს იცვლიან?

და როგორ სძინავთ? რა ნაჭრისაა მათი კაბები?
რა კვებავს მათ ღვთაებრივ ნათელს?
რა ხდება მათ მოციმციმე თავებში? არსებობს კედელი,
რომლის იქითაც იხედებიან და ჯოჯოხეთს უდარდელად ათვალიერებენ?

ანგელოზი ღრუბლიდან რომ ჩამოვარდეს, მდინარეზე ღრმულს დატოვებს,
რომელიც მდუმარე ასოებად დაშლილი
ანგელოზური სიტყვებით აივსება და დინებას უსასრულოდ გაჰყვება?

ანგელოზმა რომ წერილი მოგიტანოს,
ფრთების დამაბრმავებელი ფარფატით მოვა,
თუ ჩვეულებრივ ფოსტალიონად, სტვენით რომ მიუყვება
შარაგზას ღია ბარათების კითხვით?

არა, ზეციური თეოლოგები მთელ სამეფოს აკონტროლებენ —
ერთადერთი შეკითხვა, რაც კი დასმულა, არის
ქინძისთავის წვერზე პაწაწინა საცეკვაო მოედნის შესახებ,
სადაც ანგელოზების შარავანდედი უხილავს ხდის მათ ნატიფ რხევას.

ეს ის შეკითხვაა, როცა პასუხი გვგონია მილიონები,
მილიარდები. პასუხის ძებნაში ციფრების საზღვრებს ვკვეთთ და
უსასრულობაში ვიკარგებით, მაგრამ ალბათ პასუხი არის უბრალოდ ერთი:

მხოლოდ ერთი ანგელოზი აბრეშუმის წინდებში,
ცეკვავს მარტო, უკრავენ ჯაზს.

ის რტოს ჰგავს ქარში, ხუჭავს მშვენიერ თვალებს,
მაღალი ბასისტი კი საათზე იხედება,
რადგან ანგელოზი ცეკვის დასრულებას არც კი ფიქრობს,
და ახლა უკვე ძალიან გვიანია, მუსიკოსებისთვისაც კი
ძალიან გვიანი.

კაცი კოსმოსში

ერთადერთი, რაც უნდა გააკეთო, არის —
მოუსმინო, როგორ ესაუბრება კაცი თავის ცოლს სუფრასთან,
სხვების თანდასწრებით და როგორი მონდომებით
გამოხატავს თავის აზრებს მაშინაც კი,
როცა ქალს, ცოლს, უკვე ქვედა ტუჩი უკანკალებს

და მიხვდები, ფანტასტიკურ ფილმებში უცხოპლანეტელი ქალები
რატომ არ ფუსფუსებენ სამზარეულოში,
ან ჟურნალს რატომ არ ათვალიერებენ უდარდელად,
როცა კაცები დედამიწიდან რაკეტებით მათთან ჩადიან

და რატომ დგანან ყოველთვის ნახევარწრეში,
იარაღით ხელში, შიშველი ფეხებით,
და მკერდზე ჯავშნით.

შეშლილები

ამბობენ, ლექსი გაითვალება,
თუ მასზე მანამდე ილაპარაკებ, ვიდრე დაწერ,
თუ დროზე ადრე გაამჟღავნებ — გაფრთხილებენ —
ლექსი გაგიფრინდება —
რაც სრული სიმართლეა.

ავიღოთ ღამე, როდესაც
მინდოდა დამეწერა შეშლილებზე —
როგორც გაზეთები იხსენიებენ —
ვინც თავს ესხმის ხელოვნებას არა თავის მიმოხილვებში,
არამედ პურის დანით, ანდა ჩაქუჩით, პრაღისა და ამსტერდამის მუზეუმებში.

საერთოდ კი, ისინი ნამდვილი მხატვრები არიან —
გახსოვს, აღნიშნე როცა ყინულს კოკტეილში აბზრიალებდი.
სახრახნისია მათი ყალამი,
რეალურად კი რესტავრატორები არიან ვანდალები, —
განაგრძე და ნელ-ნელა ამომაყირავე, —
ისინი, ვინც ექიმების თეთრ ხალათებში
პეიზაჟის ჭრილობას ამუშავებენ,
ამ დროს შეშლილების ნამდვილ ხელოვნებას ანადგურებენ.

და დავინახე, როგორ ჩამოფარფატდა ჩემი ლექსი
ბარის წინ და მორიგი კლიენტის შემოსვლამდე
იქ ლივლივებდა. მერე, როგორც კი კარი გაიღო,
წყვდიადში გაცურდა. წარმოვიდგინე,
როგორ ფრენდა ღამის ქალაქში.

ამით მხოლოდ მინდოდა მეთქვა —
როგორც სამართებელმა შეიძლება ჭკუა გასწავლოს
ერთი-ორი განაკაწრით და დიდხანს არ გაგყვება, არ გეხსომება,
ხელოვნებაც მხოლოდ სიცოცხლესთან შედარებით
ჩანს ხანგრძლივი.
და მაინც, იმ ღამეს სახლში რომ წავედი,
არაფერი ფრთხიალებდა გალიაში — ჩემს გულში,
გარდა იმედის ნაპერწკლისა, რომ
მანქანის ფარების შუქში შეიძლებოდა თვალი მომეკრა
საგზაო ნიშანზე, ან სულაც ლამპიონზე შემომჯდარი
ფრთებჩამოყრილი, მობუზული, დაუწერელი ჩიტისთვის,
რომელიც პაწაწინა, ანთებული თვალებით მომშტერებია.

ლიტონიობა

შენ ხარ პური და დანა,
ბროლის თასი და ღვინო...

ჯ. კრიკილონი

შენ ხარ პური და დანა,
ბროლის თასი და ღვინო.
შენ ხარ ცვარი დილის ბალახზე
და ალმოდებული ბორბალი — მზე.
შენ ხარ მეპურის თეთრი წინსაფარი
და ჭაობიდან ერთბაშად აფრენილი ჩიტები.

თუმცა არ ხარ ნიავი ბაღში,
დახლზე ქლიავი,
ანდა ბანქოს ქაღალდის სახლი.
ნამდვილად არ ხარ ჰაერში წიწვის სურნელი,
უბრალოდ, შანსი არაა იყო ჰაერი წიწვის სურნელით.

მგონი, შეიძლება იყო თევზი ხიდის ქვეშ,
ან სულაც მტრედი გენერლის თავზე,
მაგრამ წარმოუდგენელია, რომ
ღიღილოს მდელო იყო, ბინდში მობიბინე.

ერთი შეხედვით სარკე გეტყვის, რომ
არც სადღაც კუთხეში მიყრილი ბოტები ხარ
და არც ის ბოტები, თაროზე ტკბილად რომ სძინავთ.

როცა სამყაროს მრავალსახეობაზე საუბრობ,
ალბათ უნდა იცოდე,
რომ მე ვარ სახლის სახურავზე წვიმის ხმაური

და შემთხვევით შეიძლება კომეტის კუდიც აღმოვჩნდე,
ვიწრო ქუჩაში ქარს აყოლილი საღამოს გაზეთიც,
და წაბლით სავსე კალათიც სამზარეულოს მაგიდაზე.

მთვარეც ვარ ხეებზე
და უსინათლო ქალბატონის ჩაის ფინჯანიც.
მაგრამ ნუ ღელავ, მე არ ვარ პური და დანა.

შენ ხარ ისევ პური და დანა,
და ყოველთვის პური და დანა იქნები,
რომ არაფერი ვთქვათ, რომ ხარ ბროლი თასი და —
როგორღაც — ღვინო.

პოეზიასთან ზიარება

ვთხოვე, აიღონ ლექსი
როგორც ფოტოსლაიდი
და სინათლეზე გახედონ,

ან ყური მიადონ და მოუსმინონ მის ფუსფუსს.

ვუთხარი — ჩააგდონ ლექსში თაგვი
და უყურონ, როგორ გაიკვლევს გზას,

როგორ მოივლის ლექსის ოთახებს
და ხელის ცეცებით როგორ მიაგნებს სინათლის ჩამრთველს.

მინდა, რომ ლექსის ზედაპირი
წყლის თხილამურებით გადასერონ
და ნაპირზე მყოფთ, ხელის ნაცვლად, ავტორის სახელი დაუქნიონ.

მაგრამ მათ მხოლოდ სურთ,
ლექსი სკამზე მიაბან
და წამებით აიძულონ აღიარება...

შოლტის ცემით იწყებენ,
რომ გაარკვიონ, მაინც რატომ დაიწერა.

ზოგიერთი დღე

არის დღეები, როცა ადამიანებს მაგიდასთან ვსხამ,
ყველას თავის ადგილას.
თუ შესაძლებელია,
მუხლში ფეხებს ვუხრი
და პაწაწინა ხის სკამებზე ვამაგრებ.

მთელი საღამო ერთმანეთის პირისპირ სხედან.
კაცი ყავისფერ კოსტიუმში
უყურებს ლურჯკაბიან ქალს,
რომელიც აბსოლუტურად უძრავია და ზედმიწევნით ზრდილი.

სხვა დღეებში ის ვარ,
ვისაც ნეკნები სხეულიდან სწევს
და დაბლა, სათამაშო სახლის სასადილო ოთახში,
სხვებთან ერთად, გრძელ მაგიდასთან სვამს.

ძალიან სასაცილოა,
მაგრამ როგორ შეიძლება მოგწონდეს ის, რომ
არასდროს იცი, ყოველ შემდეგ დღეს როგორ გაატარებ —

ცოცხალი ღმერთივით, რომელიც
დააბიჯებს და მხრებით ღრუბლებს სწვდება
თუ ოთხკედელს შუა, მაგიდასთან,
პლასტმასის პატარა სახით და გაშტერებული მზერით?

სასქუენაზე თევზაობა ივლისში

გულწრფელი ვიქნები —
არასოდეს მითევზავია სასქუენაზე
და არც რომელიმე სხვა მდინარეზე.
არც ივლისში და არც სხვა რომელიმე თვეს
არ მქონია ეს სიამოვნება — თუ ეს საერთოდ სიამოვნებაა —
მეთევზავა სასქუეანაზე.

მე უფრო ვარ ხოლმე
რაღაც ამის მსგავს მყუდრო ოთახში:
კედელზე ქალის პორტრეტით,

მაგიდაზე მანდარინით სავსე თასი კი
უცნაურ შეგრძნებას ბადებს —
სასქუეანაზე თევზაობის შეგრძნებას,

ეჭვი არაა,
ვიღაცეები თევზაობენ
სასქუანაზე,

აღმა მიუყვებიან ხის ნავებით,
ნიჩბებს წყალში ღრმად უსვამენ
და შემდეგ მზეზე ამოაქვთ.

ყველაზე ახლოს
სასქუენაზე თევზაობასთან
ფილადელფიის მუზეუმში ვიდექი, ერთ ნაშუადღევს,

როცა ერთი ნახატის წინ შევყოვნდი,
რომელზეც
ეს მდინარე იკლაკნებოდა,

ლურჯი, ღრუბლად აზვირთებული ცის ქვეშ.
მდინარის პირას — ხშირი ხეები,
და ერთი ბიჭი წითელი ბენდენით,

იჯდა პატარა, მწვანე ნავში,
წვრილი ნიჩბით ხელში.
ეს ისაა, რასაც მე ალბათ
არასოდეს გავაკეთებ — მახსოვს,
გავიფიქრე და ვუთხარი კიდეც ჩემს გვერდით მდგომს.

მყისვე განვაგრძე
ამერიკის სხვა ხედების თვალიერება —
თივის ზვინები, წყალი, ქვებზე მოქათქათე

და ერთი ყავისფერი ბოცვერი, რომელიც
ისეთი ცქვიტი და აღზნებული ჩანდა,
რომ მეგონა ჩარჩოდან გადმოხტებოდა.

ოქროს წლები

ამ გაწელილ, ერთმანეთზე გადაბმულ დღეებში
ჩემი ერთადერთი საქმიანობა
სამზარეულოში ჯდომაა „ხოხბის ქედზე“,
სწორედ იქ, სადაც არც ხოხობია და
როგორც ამ ბოლო დროს შევამჩნიე, არც ქედი.

შემეძლო წავსულიყავი „მწყერის ჩანჩქერზე“
და მთელი დღე ბრიჯი მეთამაშა,
მაგრამ ვიცი, უჩანჩქერობა და უმწყერობა
ისევ „ხოხბის ქედს“ მომანატრებს.

ერთ ქვრივს ვიცნობ „მელიის გარბენზე“
და კიდევ ერთს ქვრივს „კვამლიან რიფზე“,
ერთი კი ეწევა, მაგრამ მათ სირბილზე აბა, რა მოგახსენოთ,
და მე ისღა დამრჩენია, ის პირობა დავიცვა, „ქინქლას“ რომ მივეცი.

ვინ შეაშინა მელა, ან ვინ გაასწორა მიწასთან რიფი? —
მიკვირს ჩემს სამზარეულოში, აქ, „ხოხბის ქედზე“

ინგლისურიდან თარგმნა
დალილა გოგიამ

ანდრეი კოროვინი

თანამედროვე რუსი პოეტი. დაიბადა 1971 წელს ტულის რაიონში. დაამთავრა გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. იბეჭდება 1989 წლიდან. ავტორია წიგნების: „მომღერალი ხე“ (2007) და „დაღვრილი მზე“ (2010). არის სხვადასხვა ლიტერატურული პრემიების ლაურეატი. მისი ნაწარმოებები გამოქვეყნებულია რუსეთში, უკრაინაში, გერმანიაში, დანიაში, ფინეთში, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობს ლიტერატურულ სალონს „ბულგაკოვის სახლი“ (მოსკოვი) და ვოლოშინის სახელობის საერთაშორისო პოეტურ ფესტივალს (კოქტებელი).

როცა პოეტები დიდები იყვნენ

როცა პოეტები დიდები იყვნენ
დედამიწა კი იყო პატარა
ფეხით დადიოდნენ ისინი ყველანი დედამიწაზე
ერთი ქალაქიდან — მეორეში
ერთი სოფლიდან — მეორეში
და მოედნებზე ამბობდნენ ლექსებს
იბრძოდნენ რაინდთა შეჯიბრებებში
ყველაზე ლამაზ
ქალწულებსა და პრინცესებზე ქორწინდებოდნენ

მერე კი ისევ სამოგზაუროდ ეშურებოდნენ
რამეთუ მხოლოდ სიყვარული
ბადებს ჭეშმარიტ პოეზიას
და ნამდვილი თავგადასავალი

ვაჭრები მათ ხარკს უხდიდნენ
რადგან როცა შედიოდა პოეტი ქალაქს
საქონელი უკეთესად ეყიდებოდათ
ხოლო გოგონები სარეცლის გაყოფას სთავაზობდნენ
რადგან ყველაზე ლამაზი ბავშვები
იბადებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ პოეტებისგან

ასე რომ თუკი
სადმე ლამაზ ჭაბუკს ან ქალიშვილს გადაეყრებით
იცოდეთ რომ პოეტები ჰყავდათ მათ გვარში

ოქროს ხანა იყო მაშინ და თანაც როგორი!

იმ დროს ადამიანები იყვნენ მომცრონი
და პოეტები მათ შორის ჩანდნენ გოლიათებად
არავინ იცოდა საიდან მოვიდნენ ისინი და
რა ჯურის იყვნენ
მაგრამ ცნობისმოყვარეებმა
უთვალთვალეს პოეტებს და
ნახეს რომ ისინი გადიოდნენ ქალაქგარეთ
იქ სადაც ზეცა თავისი ბაგით მიწას ეხება
და გაურკვეველ ენაზე დიდხანს
საუბრობდნენ ვიღაცასთან

ხოლო თუ რაზე საუბრობდნენ
ამის გაგება ვერავინ შეძლო

ომები მაშინ არ იყო ხოლმე
რამეთუ ომის დაწყებისთანავე
მოდიოდა რომელიღაც პოეტი და
ფეხს მრისხანედ ურტყამდა მიწას
და დამფრთხალი ორივე ლაშქარი აქეთ-იქით იფანტებოდა

ისეთი მაღლები იყვნენ პოეტები
რომ ნებისმიერი ვარსკვლავის მოწყვეტა
შეეძლოთ ციდან
ეს იყო მეფური საჩუქარი
და პრინცესის ხელის სათხოვნად წასულ პოეტს
შეეძლო ძღვნად წაეღო იგი

მას მერე ბევრი მამაკაცი
პირდებოდა თავის სატრფოს
ვარსკვლავების მოწყვეტას ციდან
მაგრამ ეს უკვე აღარავის გამოსდიოდა

როცა პოეტები დიდები იყვნენ
მათ ისეთი სასწაულების ჩადენა შეეძლოთ
რომ ადამიანებმა ისინი ჩათვალეს
ზეციდან მიწაზე დაშვებულ ღმერთებად
და პოეტები გაამაყდნენ
თავი მიიჩნიეს ღმერთის ტოლებად
და ღმერთები რომელთაც პოეტები აღარ უსმენდნენ
ძლიერ განრისხდნენ

მათი რისხვა შემზარავი იყო საშინლად
სამი წელი სამი თვე და კიდევ სამი დღე
ქარიშხლები მიწისძვრები ვულკანების ამოფრქვევები
ტანჯავდა ყველას დედამიწაზე
ხოლო შემდეგ დაიწყო წარღვნა
და როდესაც გადარჩენილი ადამიანები
გონს მოვიდნენ და აქეთ-იქით მიმოიხედეს
ველარ დაინახეს გოლიათი პოეტები
პოეტები ისეთივენი გახდნენ როგორც ყველა სხვა და
გაითქვიფნენ თანდათან ბრბოში

მას მერეა რომ ისინი რაღაც
მეტისმეტად უცნაურად ლაპარაკობენ
და დედამიწაზე მათი უკვე
არავის ესმის

ლანსელოტის ანდერძი

ჩემო ძვირფასო
ანდერძით გიტოვებ იმ დრაკონის კუდს
რომელიც მე დავამარცხე
უთანასწორო და წრფელ ბრძოლაში

გახსოვს
მისი ერთი თავი
ისტორიის ინსტიტუტმა წაიღო
მეორე —
ტვინის კვლევის ინსტიტუტმა
ხოლო მესამე
მინის თალფაქის ქვეშ განათავსეს
მავზოლეუმში

მისი სხეული ყველამ თანაბრად
დაინაწილა
ერთი კვირა გამარჯვებას ზეიმობდნენ
ბავშვებმა და ძაღლებმა
ძვლები და ბრჭყალები დაიტაცეს
ხოლო ფრთები
ჰო ჰო ფრთები
ქორწილზე მე
მეფეს ვაჩუქე

თავად კი მერგო
მხოლოდ ის კუდი
პირველივე დარტყმით
დრაკონს რომ წავაწყვიტე

ბრძოლიდან ერთი კვირის შემდეგაც
კვამლი სდიოდა ამ კუდს მერე კი
შებოლილივით გახდა
და სულ არ ფუჭდებოდა
უცნაურზე უცნაური კუდი იყო

მე ის ბაღში მოვათავსე
და ამ კუდზე მეფის სინდიოფალებმა
ბუდე აიგეს

აი დრაკონს კი რატომ ვებრძოდი
სულ აღარ მახსოვს

ბატეგის გამოკვეგვა ქრისტეს ხორცით

ჯერ იყო და წყალში დავინახე ბევრი ბატი
მერე — ის რაც მდინარეს მიჰქონდა

ბატები ტრიალებდნენ პურის ნატეხების ირგვლივ
და ამ ნატეხებიდან ერთ-ერთი ძალიან ახლოს მოცურდა ჩემთან

რათა დამენახა რომ ეს იყო სეფისკვერი
და პურის ყველა სხვა ნატეხიც სეფისკვერი იყო

უშედეგოდ ცდილობდნენ ბატები ერთ ციცქნაზე მაინც მოეკბიჩათ
მაგრამ გამხმარი იყო ყველა სეფისკვერი

განცვიფრებულმა მიმოვიხედე მე ირგვლივ
შორიახლოს მსუქანი ასაკოვანი ქალი იდგა

შავსათვალიანი და სპორტულ შარვალში გამოწყობილი
და მუჭა-მუჭა წყალში სეფისკვერებს ყრიდა

მას ბევრი სეფისკვერი ჰქონდა
მთელი ტომარა

სეფისკვერები წყალზე ტივტივებდნენ
ფრინველებთან ერთად

ფრინველები ახერხებდნენ სულ ერთი ბეწო მოეწიწკნათ
და ისიც მხოლოდ მას მერე რაც ლბებოდა პური

რასაც ფრინველები ვერ შეჭამენ
დარჩებათ თევზებს

ქრისტეს ხორცი
ფრინველებისა და თევზების
ხორცად იქცევა

იქცევა მდინარე მოსკოვად
იქცევა ჯერ მდინარედ და
მერე მოსკოვად

მესამე რომი
ქრისტეს ხორცით
გამოიკვებება

ვინაა ღმერთო ეს ქალი — ვფიქრობდი —
ვინაა ნეტა?

რატომ კვდებიან დიდი იმპერიები

ბურიატების ძველ მიწაზე
უსტ-ორდაში
კლდეებზე მხატვარს
პოზების მძერწავს
დავუმეგობრდი

ტარასუნს ვსვამდით
და აქეთ-იქით ვაწუწებდით
იქაური სულებისთვის პატივსაცემად
და ვმსჯელობდით იმაზე თუ
რატომ კვდებიან მუდამ
დიდი იმპერიები

იმიტომ ხომ არა რომ ქალები
ცოტა ბავშვებს აჩენენ ხოლმე
ან იმიტომ ხომ არა რომ სიცხე
ცხენებს უწვავს ბალახს და თივას
ან იქნებ იმიტომ რომ სულები
ურალის ქედის მიღმა უკვე
კარგავენ ძალას
ან სულაც ვინ იცის იქნებ იმიტომ
რომ ღვინო დასაპყრობ ახალ მიწებზე მიმზიდველია

ჩვენ ჩაგვეძინა ჩახუტებულებს
რათა დილით განგვეგრძო
კამათი
            წარმატებული თავდასხმების სიხარულებზე
            მოტაცებული ქალების საოცარ სილამაზეზე
            უცხო ქალაქების სიმდიდრეებზე
მუდამ კვდებიან იმპერიები

მაგრამ რჩება გადმოცემები
ჟამთაღმწერლების წარწერები სალ კლდეებზე
ალაგები სადაც ძალა სულმუდამ სუფევს
და პოზები
რომლებშიაც
                მბრძანებლობდნენ
                უყვარდათ
                იბრძოდნენ
                და კვდებოდნენ
გმირები

რომლებიც ამ ადგილების
სულები გახდნენ

თემურ ჩხეტიანი

პაიკი a2-დან

ისევ ნაპირში მომაქციეს...
უიღბლო ვარ — ისევ უბრად უნდა ვიდგე და ველოდო.
შორიდან უნდა ვუყურო სხვების გაწევა-გამოწევას და ურთიერთჯახს.
უნდა ველოდო ჩემს დროს, როცა მეც ჩამრთავენ ბრძოლაში;
როცა მეც რამედ ჩამაგდებენ

უკან ჩემივე ბანაკის ეტლი და მხედარი მიდგას,
გვერდით კი ჩემნაირი პაიკი.
ეტლი და მხედარი თავს არ მიყადრებენ
და როგორც კი დრო დაუდგებათ, თავის გზას ეწევიან.
თანაც ისე, რომ ჩემი არსებობა ალბათ აღარც გაახსენდებათ.
გვერდით მყოფ პაიკთან კი ადვილად გამოვნახე საერთო ენა
და ადვილად დავმეგობრდით;
ერთად ვადევნებთ თვალს შორიახლო დატრიალებულ მოვლენებს
და განსაცდელსაც ერთად განვიცდით.

თითქმის ყველგან დიდი შეხლა-შემოხლაა.
გვესმის ყიჟინა და კვნესა;
ვხედავთ როგორ იღუპებიან ჩვენიანებიც და მტრის მებრძოლებიც;
ვხედავთ, გვესმის, განვიცდით და ბრძოლაში ჩართვას ველოდებით.

როგორც იქნა, პირველი დავალება მივიღე —
მეტოქის წამოყელყელავებული კუ უნდა გავაძევო.
ჩემმა პირველმა ნაბიჯმა გაამართლა — კუმ უკან დაიხია.
მალე ჩემი მეგობარი პაიკი გათამამდა
და ერთბაშად ორი ნაბიჯის მანძილზე გადახტა წინ.
მე ზურგს ვუმაგრებდი ჩემს მეგობარს...

ბრძოლა გრძელდებოდა და მებრძოლთა რიგები თანდათან თხელდებოდა.
ჩვენი მეფე სადღაც იყო შეყუჟული და გარეთ თავის გამოყოფას ვერ ბედავდა.
გული მეტკინა — ჩემი მეგობარი პაიკი მოკლეს!...
ერთხანს გავოგნდი და ხმაც ვერ ამოვიღე,
მერე კი შური ვიძიე:
მეგობრის მკვლელი პაიკი შუბზე ავაგე და სიცოცხლეს გამოვასალმე...

ბრძოლა გრძელდებოდა და დასასრულს უახლოვდებოდა.
უკვე მეფეებიც გამოვიდნენ სამალავებიდან და ბრძოლაში ჩაერთვნენ.
მეგობარი პაიკის დაღუპვის მერე ჩემს ახლო-მახლო ჩემიანები იშვიათად ჩანდნენ,
მაგრამ მე უკვე შორიდანაც ვგრძნობდი მათ მხარდაჭერას;
ვგრძნობდი, რომ უკვე ყურადღების ღირსი ვიყავი;
რომ მეც რაღაც მნიშვნელოვანი მისია მქონდა შესასრულებელი
და ამ შეგნებით გულმოცემული წინ მივიწევდი!..

შორს აღარ იყო ბოლო ნაბიჯი. მე ლაზიერად გადაქცევა მელოდებოდა!..
უკვე წინასწარ მიხაროდა ჩემი მომავალი აღზევება.
გულის სიღრმეში ხომ სულ ამას ვნატრობდი —

როგორ მინდოდა ლაზიერი ვყოფილიყავი!..
ბოლო ნაბიჯი...
სუნთქვა შემეკრა — მე ხომ მეგობრის გამოსავლელი გზა გამოვიარე
და ისე გავედი!...

გავედი და უნდა გავიდე — ბრძოლის ველი უნდა დავტოვო.
მაგრამ რა ხდება?!..
ჩემს ნაცვლად და ლაზიერის ნაცვლად დაფაზე
მხედარი დასვეს!..
აღვშფოთდი... მერე ავქვითინდი...
შემომეხვივნენ, მამშვიდებდნენ, მეუბნებოდნენ:
ლაზიერად რომ ქცეულიყავ,
დავმარცხდებოდით;
მხედარი იყო აქ საჭირო
და იმ მხედარმა ისე ჩაარტყა მეტოქის მეფეს,
რომ სანამ ის გონს მოვიდოდა, ეტლი მოვიგეთ
და ბრძოლაც ჩვენი გამარჯვებით ამის მერე მორჩა და დასრულდაო...

ჩვენ გავიმარჯვეთ.
გამარჯვებას ულოცავენ ჩვენს პატრონს და მათამაშებელს.
ჩვენ გავიმარჯვეთ,
მაგრამ დავრჩით უჩინონი და ნირწამხდარნი;
მეც ნირწამხდარი —
როგორ მინდოდა ლაზიერი ვყოფილიყავი...

გადმოსავარდნი

„ყორანკლდემდე რა აიყვანდა...
თავიც მოეკლა და
იმსიშორეზეც ევლო?!
სოფელში კიდე,
საიდან გინდა, გადმოვარდე, —
ნეტა რომელი მეთექვსმეტე სართულიდან...“

ელა გოჩიაშვილი, „შაბიამანი“

ალბათ მხოლოდ ელასნაირ პოეტს თუ შეეძლო
შაბიამნიან ჯამში ცა დაენახა
და ისე ეთქვა,
რომ ჩვენთვისაც დაენახვებინა...

ლექსში ნახსენები ამბიდან თითქმის ნახევარი საუკუნეა გასული.
არა, იმ სოფელში — ვაჩნაძიანში
თექვსმეტსართულიანი კორპუსები არ წამომართულა,
მაგრამ ცივილიზაციამ თუ მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა
ამ სოფელშიც შემოაღწია,
ბევრი რამ შეცვალა და გადააფასა,
ადამიანის სულს კი მაინც ვერაფერი უწამლა.

ახლა ორი მაღალი ანძაა სოფელში აღმართული,
სასაფლაოსთან — თავში და ბოლოში —
მობილური კომპანიების მაღალი ანძები.
იმისთვის რომ მსოფლიოსთან კავშირი გვქონდეს
და ეს კავშირი იყოს მართლა შეუფერხებელი;
რომ კარგად გვესმოდეს ხმები სხვადასხვა კუთხიდან,
გვესმოდეს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან.
დიახ, ეს პროგრესია, მაგრამ რა ვქნათ? —
როგორ გავიგოთ და მოვისმინოთ
როგორ გავუგოთ ჩვენს გვერდით მყოფ ადამიანებს?...

ანძებზე ხშირად ადიოდნენ ხოლმე ბიჭები —
სოფლელი ბიჭები
და ერთმანეთსაც ეჯიბრებოდნენ:
ვინ უფრო მაღლა, ვინ უფრო თამამად.
მობილურის კამერით ფოტოებსაც იღებდნენ
და ალბათ მერე თავსაც იწონებდნენ სოფელში —
ვინ უფრო მაღლა, ვინ უფრო თამამად...

ის ბიჭიც მათი ტოლი იყო —
ასე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა.
როცა უკვე ნამდვილად გინდა, რომ ვინმე იყო;
გინდა, რომ შენც გამჩნევდნენ და თვალს გაყოლებდნენ;
როცა გინდა რომ თქვა: მეც ვარ ამ ქვეყანაზე!..

მაგრამ ყველასთვის ასე არ ხდება,
ყველას არ უმართლებს
და ის, ასე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის სოფლელი ბიჭიც
რაღაც დაჩაგრულად გრძნობდაო თავს,
რაღაცის გამო იყოო დათრგუნული...

იმ დღეს სადღაც დაულევია.
სახლში წასულა, მაგრამ არ მისულა
და მერე ორი კვირა ამაოდ ეძებდნენ.

თურმე იქ წასულა — სასაფლაოსკენ.
წასულა, რომ მაღლა ასულიყო
იმ ანძაზე, სხვები რომ ადიოდნენ;
ადიოდნენ რომ გამოჩენილიყვნენ
და ვაჟკაცობა გამოეჩინათ.

ალბათ მასაც სურდა თავის გამოჩენა.
მერე რა, რომ მარტო იყო და ვერავინ დაინახავდა
და ვერც სურათს გადაუღებდა,
საჩვენებლად რომ გამოსდგომოდა.
თავს ხომ მაინც ჩააგონებდა, მაგარი ვარო...

გადმოვარდა? თუ თვითონ გადმოხტა?
ფათერაკით იყო, თუ თავისი ნებით? —
არავინ იცის.
ფაქტია, რომ მიწაზე დაცემულა,

თან ისეთ ადგილზე დაცემულა,
ადამიანები რომ ძნელად მიაგნებდნენ —
ორი კვირა ეძებდნენ სოფელში.
ადამიანებმა ვერ, მაგრამ თურმე მგლებს უპოვიათ.
მგლები კი, მგლები...
მგლები აქაც მგლებადვე დარჩნენ...

.....
.....
.....

მკერდთან მიბნეული
იმ ბიჭის პატარა სურათით დადიოდნენ
ამ ამბის მერე
მისი ტოლები, თანაკლასელები.

დათო ყანჩაშვილი

* * *

ოდესმე მოკვდება ყველაფერი
მოკვდება სექსიც ჩვენს საწოლში
სხეულებს შორის
და ჩამოვსხდებით დაბნეულად
მე შემრცხვება ჩემი სიშიშვლის
შენ ფეხებშორის ხელს აიფარებ
და გავიხედავთ სხვადასხვა მხარეს.

როცა მოკვდება სექსი საწოლში ბუნებრივი სიკვდილით
ჩვენ გავაგრძელებთ გვერდიგვერდ წოლას
პიჟამოებით
გამიკვირდება ჩემი თავის
რა თამამი ვყოფილვარ ადრე
როგორი ურცხვი
ახლა თითქოს რაც საწოლში სექსი ჩაგვაკვდა
თითქოს თვალი აგვეხილა
და ერთმანეთს ასე შიშვლებს პირველად ვხედავთ ისე გვრცხვენია
მე ვიწვები შენსკენ ზურგით
ხოლო სიზმრები ვარსკვლავებივით ეკიდებიან ოთახის ჭერზე
და არც ერთი აღარ მოწყდება
თვალს კი დავხუჭავთ
მაგრამ ძილი არ დაამძიმებს ჩვენს ქუთუთოებს
ჩვენ კი მაინც ისე ვიწვებით
ვითომ გვძინავდეს.

როცა მოკვდება სექსი ჩვენს სხეულებს შორის
გამთენიისას ისე ავდგები
რომ ვერ მოასწრო ჩემი დანახვა
ჩემს ბებერ სხეულს მე თვითონაც თვალს ავარიდებ
და სასწრაფოდ მოვიცვამ რამეს
შენც ჩაცმული გამოხვალ ყავას ცხელს დაგახვედრებ
ერთმანეთის თვალებს მოვძებნით —
ჩვენი ბებერი სხეულების ნათელ წერტილებს,
ჯერ კიდევ რომ შერჩათ სინათლე.
მერე ხელს ხელზე ჩამოგადებ
გავიღიმებთ
და შესაძლოა ისიც ვიფიქროთ
თითქოს ახლახანს აღმოვაჩინეთ
რომ სიყვარული ეს ჩვენსავით ბებერი და ერთგული ძაღლი
ჩვენს ფეხებთან ისევ რომ წვება
არ მოკვდება ბუნებრივი სიკვდილით
სანამ სხეულებს ერთმანეთის გვერდით ვალაგებთ
და ჩვენს თვალებში ირეკლებიან
ოთახის ჭერზე ვარსკვლავებივით აჭედილი მოგონებები.

* * *

ოდესმე დაგვიპატარავდება ადამიანობა
და ფეხებთან დაეცემა —
როგორც ბავშვი,
სიარული რომ ვერ ისწავლა.
და ქუჩაში ცივი ზამთრის დროს
ჩვენ ჩავუვლით ტროტუარებზე მოფენილ ბავშვებს
ისეთი სახით გეგონება თოვლი მოვიდა

შეიძლება ზოგიერთნი შევყოვნდეთ კიდეც
სულ სხვა მიზეზით
როგორც ქარი ჩავდგეთ მუხლებზე
და ხელები ტოტებივით დავწიოთ დაბლა
რომ დაგვისველდეს და დღის ჭუჭყი ჩამოგვაცილოს...
სადაც ბავშვები წვანან თოვლივით
სადაც თოვლი ამ ბავშვების ფორმას იღებს როცა ეცემა.

ხანმოკლეა მათი სიზმარი,
როგორც ჩვენი შეყოვნება.
ხანმოკლეა მათი ნოლა,
ვინაიდან უნდა გათენდეს.

უნდა აკეცოს მზემ ეს თოვლი
როგორც დედა ააცლის საბანს
მძინარე შვილებს
გასაღვიძებლად.

ხანმოკლეა მათი სიჩუმე,
ვინაიდან გამთენიისას
წარმოსდგებიან ბავშვები
და კი არ წავლენ — წარსულდებიან
და ჩვენ სხეულებს ჩრდილებივით ფეხს ჩაკიდებენ.

და ჩვენი სხეულები იყვირებენ გახრწნას
და ყურისწამღები იქნება მათი სიმყრალე

* * *

სად მიდის სიტყვა, როდესაც ამბობ
სად მიდიან შენი სიზმრები, როცა იღვიძებ
საით მიდიან გზები ფეხქვეშ
როცა უკან, სახლში ბრუნდები
მიუწვები საკუთარ თავს
და ტანსაცმელს იატაკზე ყრი
როგორც იმედებს
რომ ჩაიცვი დილით, წასვლის წინ.

საით მიდიან ღამეები
როცა შენ გძინავს
იქნებ ზურგს უკან
იქნებ იქით, საითკენაც არ იხედები

იქნებ სარკეს ამის გამო არიდებ თვალებს
რომ ის სიტყვა, რომელსაც ამბობ
გეშინია შენმა თავმა ამ სარკიდან
არ მოგიბრუნოს

საით მიდის ანარეკლი
როდესაც სარკეს ზურგს აქცევ და ისე შორდები
იქნებ არსად
იქნებ ფეხს ირთხამს იქვე როგორც ფანჯრის რაფასთან
რომ არ გამოჩნდეს

საით მიდიხარ შენ
როდესაც არ წვიმს
და ფანჯრებზე მე ვაწერ წვიმას
და სველდებიან სახლები გარეთ
და სველდებიან ტროტუარები
ავტობუსის გაჩერებები
და სველდები შენც
არც ჩემგან და არც ჩემსკენ მიმავალი
როდესაც ყვები ქუჩასა და ჩემს სიტყვას შორის
და თავს ვერაფერს ვერ აფარებ.
საით მიდიხარ შენ
იქნებ იქით, სადაც მე ვზივარ ფეხმორთხმული
ისე, როგორც ფანჯრის რაფასთან
და გელოდები როდის მოხვალ
რომ წამოვდგე
დაგენახო
და გაგიღიმო
თუნდაც ზურგს უკან.

* * *

მე შემიძლია დიდხანს ვიცოცხლო
ანდა ცოტა ვიცოცხლო და ვკვდებოდე დიდხანს
სწორედ ამიტომ
მოვსაღამოვდები ხოლმე ფანჯარასთან
და ვიცდი,
როდის გადაიღებს დღე
როდის დაფასოვდებიან ფეხითმოსიარულეები საწოლებში
და გაემგზავრებიან შორს
სადაც დღის შუქივით იკლებს სინამდვილე,
და ფიფქებივით ეცემიან —
რეალობასთან ბრძოლაში დაღუპული
მათი ახალგაზრდა ოცნებები.
ხოლო დილით, როდესაც ულღვებათ სხეულებს სიზმრები
დაფასოვდებიან ისევ და მიდიან
საწოლებს იქით, კარებს იქით და ფანჯრებს იქით
რაღაც მნიშვნელოვნის მოსაძებნად
რაც ვერ ნახეს ძილის დროს ღამით.

მე ასე ვიცი
მოვსაღამოვდები ხოლმე ფანჯარასთან
ან პირიქით
ჩემს ფანჯარას სჩვევია ასე
ჩაიხედოს ჩემში ისე როგორც სარკეში
და დაინახოს,
თავისი ფანჯარა თავი რაზე ოცნებობს
რომ ერთხელაც მე გავიღო
და ის გადახტეს

როგორც თოვლის ფიფქი
როგორც რეალობასთან ბრძოლით დაღლილი
უკანასკნელი ოცნება
ჩემი მოსაღამოვების ჟამს.

* * *

ეს თამაში,
დიდი ხნის წინათ დაწყებული
რომელშიც ჩავრჩით
გრძელდება ახლაც,
ჯერ დავიმალეთ, მერე ვძებნეთ ერთმანეთი
და მერე ვძებნეთ ერთმანეთში
ერთმანეთი
და ვერ ვიპოვნეთ.
ეს თამაში
რომელიც ჩვენ არ წამოვიწყეთ
ეს თამაში
წამოიზარდა,
და ხელებშიც ჩაგვაბერდა ეს თამაში
გვათამაშებს
და ერთმანეთს ვიმეტებთ ახლა
როცა კარზე კაკუნი გვესმის

დაგვასტუკეს, უნდა ვკითხოთ
ვისი სული გსურს
ვისი სული გსურს
და გავატანოთ

ეს თამაში
ჯერ კიდევ მაშინ დაწყებული
როცა ერთმანეთს დავემალეთ

როცა ერთმანეთს დავუწყეთ ძებნა

და ვერ ვიპოვნეთ
ვერაფერი
გარდა ჩვენი სხეულებისა
რომელშიც ვმალავთ საკუთარ თავებს

ეს თამაში
რაც დრო გადის
უფრო გვაშინებს

თამაშიდან გვინდა გავიდეთ

მაგრამ თავში არაფერი არ მოგვდის მეტი
გარდა იმისა
რომ მივადგეთ ძველისძველ კედელს
სადაც ვიტყვით
სტუკა სტუკა
დაგასტუკე
ვერ გხედავ მაგრამ მჯერა შენი
გამოდი ღმერთო

* * *

სახიფათოა როდესაც ცხოვრობ
დღეღამეში 24 საათის სიჩქარით —
ყველაფერი შეიძლება მოხდეს ასეთ დროს.
ყველაფერი შეიძლება მოგხვდეს ცხვირპირში —
ღმერთი, სამშობლო, სამართალი
და ასე შემდეგ,
რაც არ ცვდება დარტყმის შემდეგ.

სახიფათოა მოძრაობა
დღეღამეში 24 საათის სიჩქარით
როცა ცხოვრება გადატვირთულია
და უსაფრთხოება საცობში ყვება

სწორედ ამ დროს,
შესაძლოა საჭესავით გაგექცეს ფეხი
და შეეჯახო სხვის სიყვარულს,
ანდა სხვის ღმერთს,
სხვის კანის ფერს,
სხვის სექსუალურ ორიენტაციას
და სიჩქარეს მოუმატო,
იარო დღეღამეში კიდევ უფრო 24 საათის სიჩქარით,
სანამ არ მიხვდები,
რომ ამ სიჩქარით მოძრაობა სახიფათოა —
ან სიჩქარე უნდა დააგდო
და იმოძრაო დღეღამეში
10-11 საათის სიჩქარით,
ან იპოვო ადამიანი ვინც დაგთანხმდება,
რომ ერთმანეთს ხელი მოხვიოთ
როგორც უსაფრთხოების ღვედები,
როგორც გამოგონილი სიმშვიდე
როგორც თავის მოტყუება
და გაგრძელო
დღეღამეში 24 საათის სიჩქარით მოძრაობა
და ჯანდაბას
რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს ასეთ დროს!

* * *

ერთხელაც მივატოვებ საკუთარ ნაფეხურებს
რომლებიც ძველ ფეხსაცმელთან დარჩებიან ერთგული ძაღლივით
ერთხელაც მივხვდები, როგორ უნდა გავიღვიძო
ლამაზ სიზმარში,
სადაც მეტყვიან, რომ ვშფოთავდი სიფხიზლისას
რომ ძალიან დიდხანს მარწევდნენ
და როგორც იქნა ჩამეძინა.
როგორც იქნა დავხუჭე თვალი და დავინახე
როგორ მერტყა გარშემო ხალხი,
შემთხვევითი გამვლელები, მხოლოდ სეირის საყურებლად რომ ჩერდებიან,
გადარჩაო, უთხრეს ერთმანეთს და დაიშალნენ.

ცირა ყურაშვილი

ბელიარის პამპულეგი

აქ ჩვენი კალიპოლისებია —
ჩვენი ოცნების ქალაქები.
აქ პოეზია ვარსკვლავებს ძუძუს მოუგენებს.
აქ დედის საშო საყდარია,
აქ გულში კრავია მორიგე.
ატმის ყვავილები ტიტრებია,
გზავნილი, მოდარაჯე ასულებთან,
მთავარანგელოზის თლილ თითებიდან თეთრი შროშანიც დაცურდება.
ეს ჩვენი პოეზიაა,
ჩვენი პირბადე,
ჩვენი კალიპოლისი.
ხედავთ, როგორ განვსხვავდებით?
გულის სანაცვლოდ უხსენებლის ნესტიანი ბუდე-ბუნაგი,
ბაგეზე შხამი ვასაკების ხტომა-კრუალით,
აი, თქვენი პოლიტიკა, პოეზია, შოუ!
ხომ იყო ჩვენი ცალი ხელი ჩვილების დედა,
მეორე ხელი საქმის კაცი და საქმის მამა,
ახლაც ცალი მხრით შვილებიანს მივათრევთ მარხილს,
მეორე მხარით მტერ-მოყვარის მისაგებს ვწონით.
ხითხითით გვჩუქნით უხამს ლექსებს, ვაი, როგორ გაგვანებივრეთ?!
უხამსობა არის იოლი.
უხამსი ლექსი ტანს აიყრის ოთახის პალმად,
ბლომად წყალი და ჰყოფნის თითქმის გამოზაფხული,
რომ ჭერს ახალოს მწვანე ფარფლები,
ან მიახაროს, ან მიამატოს, ან მიამადლოს თავისი თავი.
მაგრამ თითქმის წყალია პალმა,
მისი მერქანი, კორძი, წვენი, წყალია.
უხამსობა კი წყალიც არა, შხამია ოდენ.
უხამსობა არის იოლი.
სიყვარულის ძებნა ძნელია.
სიყვარული მოგთხოვს ატანას,
მუხლზე ჩოქვით მოგთხოვს შენდობას,
მოგთხოვს თავს მხრებზე,
წრფელ პირზე სინდისს,
მოგთხოვს ტყავს მამის, ძმის და მეუღლის,
მოგთხოვს იმ ჟრჟოლას, რითიც ქარი იტაცებს ყვავილს,
იმ თრთოლას, რითაც ხემი ვიოლინოს სიმს ააკვნესებს.
ამ ატმის კვირტებს — ბუსუსა კვირტებს,
თვალნათელა ციცინათელებს,
ხუჭუჭა ბატკნებს,
მთავარანგელოზის გრძელ თითებიდან დაცურებულ თეთრ შროშანებს,
მათ დანახვაზე გული რომ მიკრთის და მიჩერდება,
ნუთუ დრო გავა, ეს კაცები დაიმსგავსებენ
— ტლანქები და მოჩორკნილები, კოლბოხებს რომ ჰგვანან ბუნებით.
ვერ დაეყრდნობი, არც მიწაა, არცა ფესვია
და შეიძლება მათზე მხოლოდ ფეხი წამოკრა.

პაწია კრავი რას გაარჩევს კარგს უხამსისგან,
როცა მარჯვენას ვერ ანსხვავებს მარცხენისაგან.
ხელი გასძარით, ჩაყუნცულებს ცა არ ეხსნებათ,
მხოლოდ სიზმარი გადმოაწვიმს ფულებს ჩქერებად.
თავზე გვაყრია მჭვრეტელები, ფილაფოზები,
ჭკვიანი კაცი საქმეს თუკი ეძებს, მოძებნის.
თუ ჩინოვნიკთა ზღაპრები ახდა,
მარგალიტები გაუგორეს ჩვენებრ ამტანებს,
მათ აგიტპრომი აიტაცებს, არც გააციებს
და უთქვენოდაც სოფელ-სოფელ ჩამოატარებს.
ჯერ კი ვრცელია, არ დასრულდა ჯერ ეს ბალადა,
ჯერ მზე ჩაქრება მშიერ ბავშვების
და „ის“ მთაგორებს მოფარებული
სიმჭლეშეპარულ თითებს გალანდავს.
აქ, ოქროცურვილ კარვების ჩრდილში,
სად ლაგამს კვნეტდნენ ბედაურები,
დღეს ისტორიის საჩიხეა ჯაგლაგებისთვის,
და ბღოჭიალს ბედავს ურემი.
ხოლო მცირენი, შემართულნი, გონიერმა ქალწულებმა მიიტაცეს,
მიისაკუთრეს, ვითარც ცათა სასუფეველი,
ცოტა ბედმაც ხელი წაუკრათ.
(ჩვენ კი წყაროზე უმოწყალოდ გვიმსხვრევდა დოქებს)
მათ მიითვისეს, მიისაკუთრეს
და აბა, ერთი ისინდისე, შეეცილე, შეემეტოქე.
ხომ მქონდა სახე-ვარდი იაფი,
დედაკაცურად მეც ხომ ვიჯაფე
სხვები იხსნიან, მოიხსნან მერე
მე კიდევ ბევრჯერ დაგიმალავთ ნიქაბ-ჰეჯაფით.
ვერ შევთანხმდებით,
აქ უხამსი ვერ დააბიჯებს,
ეს კალიპოლისები ჩვენ ვაგეთ
და ვაწესებთ მიჯნებს,
პირველ ქალაქში კუპიდონისსახიანი ბავშვებია — ცალფრთა მოტეხილები,
მეორეში ჩვენ ვართ დედები
და მესამეში ქერუბიმთა ნაკრტენი ბრუნავს,
ირევა,
თოვს

1-7 აპრილი, 2011 წ.

გიორგი ბუნდოვანი

იყავი

როცა არა ხარ ფრინველი — ვერ იფრენ;
როცა არა ხარ თევზი — წყალში ვერ ისუნთქებ;
როცა არა ხარ ცხოველი — ჯუნგლებსა და ტყეებში ვერ გაძლებ;
როცა არა ხარ ქვეწარმავალი — რეალურად ვერ დაგესლავ;
როცა არა ხარ მწერი — ღრიჭოში ვერ გაძვრები;
როცა არა ხარ რეპტილია — დინოზავრებთან ვერ გაიგივდები...
და:
როცა არა ხარ ბაყაყი — ვერ იყიყინებ;
როცა არა ხარ ფუტკარი — თაფლს ვერ გააკეთებ;
როცა არა ხარ მიმინო — ქვეყანას ვერ გადმოხედავ ზემოდან;
როცა არა ხარ კალია — ხტუნვა-ხტუნვით ვერ გაიქცევი;
როცა არა ხარ დელფინი — ადამიანი ვერ გეყვარება;
როცა არა ხარ ირემი — ვერ იქორბუდებ...
და:
როცა არა ხარ ყვავილი — ოთახს ვერ დაამშვენებ;
როცა არა ხარ „ტრიპტიხი" — მირონი არ გადმოგივა;
როცა არა ხარ ტაძარი — არ გაკურთხებენ;
როცა არა ხარ პეპელა — სამი დღე არ გიწერია;
როცა არა ხარ მდინარე — კალაპოტს ვერ შეიცვლი;
როცა არა ხარ გუბურა — ვერც ამოშრები...
და:
როცა არა ხარ ოქრო — დაჟანგდები;
როცა არა ხარ ერბო — არც დადნები;
როცა არა ხარ ხორბალი — პურად ვერ იქცევი;
როცა არა ხარ ქარქაში — ხანჯალს ვერ უმასპინძლებ;
როცა არა ხარ კომპასი — გზას ვერავის გაუკვლევ;
როცა არა ხარ მტვერი — ვერც დაგროვდები...
და:
როცა არა ხარ დედა — შვილი არ გეყოლება;
როცა არა ხარ მამა — შვილს ვერ გააკეთებ;
როცა არა ხარ სისხლი — ძარღვებში ვერ იხეტიალებ;
როცა არა ხარ კუნძი — შენზე ვერ ჩამოჯდებიან;
როცა არა ხარ ძუნწი — გაიღებ;
როცა არა ხარ კვალი — არც დარჩები...
და:
როცა არა ხარ ნივთი — ადგილიც არ გექნება;
როცა არა ხარ ტვირთი — არავის დაამძიმებ;
როცა არა ხარ სახლი — ვერავინ შემოვა შენში;
როცა არა ხარ დახლი — არავინ დაგეყრდნობა;
როცა არა ხარ ხერხი — ვერაფერს გაჭრი;
როცა არა ხარ კვერცხი — შიგნიდან ვერც გატყდები...
და:
როცა არა ხარ სოკო — გინდა ფესვები;
როცა არა ხარ ლოქო — ქინძმარში არ ჩაგდებენ;
როცა არა ხარ გული — ვერ იფეთქებ;
როცა არა ხარ ხნული — ვერც აყვავილებ;

როცა არა ხარ ქარი — არც ამოვარდები;
როცა არა ხარ ზღვარი — ვერც გადაგლახავენ...
და:
როცა არა ხარ სეტყვა — არავის ატკენ თავს;
როცა არა ხარ წვიმა — არც გადაიღებ;
როცა არა ხარ თოვლი — თეთრი ვერ იქნები;
როცა არა ხარ კომლი — ვერც გამრავლდები;
როცა არა ხარ ნეხვი — არც ყარხარ;
როცა არა ხარ ჭია — არ გაისრისები...
და:
როცა არა ხარ ვაშლი — არ აცდუნებ;
როცა არა ხარ ფაშვი — არ გამოივსები;
როცა არა ხარ სხივი — ვერ გაანათებ;
როცა არა ხარ ქვა — საუკუნეებს ვერ გაუძლებ;
როცა არა ხარ ზღვა — არც აღელდები;
როცა არა ხარ კითხვა — არც დაისმები...
და:
როცა არა ხარ ნეკნი — ღმერთს არ დააინტერესებ;
როცა არა ხარ ტვინი — ვერც იაზროვნებ;
როცა არა ხარ ჰიმნი — არ შეგატენიან მასებს;
როცა არა ხარ კვარი — ჩაბნელდები;
როცა არა ხარ მდარე — აკიაფდები;
როცა არა ხარ ხურდა — არც დაგაბრუნებენ...
ხო და...
იყავი ხურდა — რომ დაგაბრუნონ!
იყავი კვარი — რომ აგანთონ!
იყავი კითხვა — რომ დაგსვან!
იყავი ზღვა — რომ აღელდე!
იყავი ტაძარი — რომ გაკურთხონ!
იყავი ფრინველი — რომ იფრინო!
იყავი ხერხი — რომ გაჭრა!
იყავი მიმინო — რომ აკონტროლო!
იყავი ქარქაში — რომ უმასპინძლო!
იყავი კომლი — რომ გამრავლდე!
და... იყავი პოეტი, რომ გიყვარდეს!..
იყავი სულ...

2011

ჯერჯერობით...

ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით ბუნკერები წარმოადგენენ კვების ობიექტებს... ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით ბომჟებად გვაქცია ყოფამ!.. ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით იყო არტისტი-პოეტი, ნიშნავს იყო თვითმკვლელი!!.. ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით ძირკვავენ პიროვნებას ჩვენში... ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით აპოკალიფსი მოგვიახლოვდა... ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით ჩაშვება მოდად იქცა... ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით სექსუალური ორიენტაცია აირია... ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით გაქცევა გვინდა აქედან... ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით ვაშლს და ხორცს ვეღარ ვყიდულობ შვილებისთვის!.. ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით თავის მოკვლაზე ვფიქრობ ხშირად!.. ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით სიყვარულის

უნარი შემომრჩენია... ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით კაცობის უნარი შემომრჩენია... ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით მოხუცი დედა გამომიგდეს სამსახურიდან... ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით ვლოცულობ — ღმერთო გამაძლებინე!.. ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით ჯანმრთელობა კიდევ მიქაჩავს... ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით ნერვები ოდნავ დამრჩა... ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით — აღარ დამრჩა ნერვები!.. ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით სადღაა ნერვები და კაი ცხოვრება?! ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით სადღაა სირცხვილის განცდა?! ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით სადღაა ნამუსის განცდა?! ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით სადღაა ღირსების განცდა?! ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით სადღაა თანაგრძნობის განცდა?! ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით სადღაა კდემამოსილების განცდა?! ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით — გადაკარგულა სადღაც პოეზია... ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით გამისვენებია პოეზია... ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით — კიდევ მინდა მოგეფეროთ!!... ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით — კიდევ მინდა გენდოთ... ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით — კიდევ მინდა მჯეროდეს... ჯერ ჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით ვსუნთქავ და მასუნთქეთ... ჯერჯერობით, მხოლოდ ჯერჯერობით... ჯერჯერობით, მხოლოდ... ჯერჯერობით... ჯერ... ერ... -ეეე

უფლის კარზე სამოთხეა განძი,
ვერ მიაგნებს ფლიდი, ცრუ და ანცი.
წუთისოფელს აფერადებს სხივი
რწმენისა და სინანულის მძივი...

საოცრების აღმსარებელ ნიავს
ისტორია საუკუნედ მიაქვს!..

არც არაფერი...

განსაკუთრებული არაფერი — მხოლოდ სიტყვები,
ხმალშემართული და ალისფერი...
განსაცვიფრებელიც არაფერი — მხოლოდ ფრაზები...
მეწამული და მრღვევი!

შემაშფოთებელი არაფერი — მხოლოდ საქციელი,
ვერმოქცევადი ვერცერთ ფარგლებში...
შემაძრწუნებელიც არაფერი — მხოლოდ იერი,
მგლის, საშოვარზე გამოსულის,
ღამით!..

დამაფიქრებელი არაფერი — მხოლოდ აზრები,
არეული, უწესრიგო, უტოპიური...
გადამეტებულიც არაფერი — მხოლოდ ქმედება,
ბარიკადების ჯვრებზე გართხმული შემოქმედება!..

შემაყოვნებელი არაფერი — მხოლოდ განზრახვა,
თვითგანმწირავი, ჯიუტი და უკომპრომისო...
შესაგუებელიც არაფერი — მხოლოდ პრინციპი,
შეუქცევადი, ერთადერთი, თავისთავადი!

გასანადგურებელი არაფერი — მხოლოდ სიცოცხლე,
ყორნის ან კრავის, ანდა ქვემძრომის...
შესაცვლელიც არაფერი — მხოლოდ ფაქტორი —
ბრძოლის, თავისუფლების და სინდისის!
სულის სინდისის...

შესაქმნელი არაფერი — მხოლოდ ლექსები,
ფარად, რომ სხვისთვის მოსარგები გახდნენ, ნიადაგ...
დასაწერიც არაფერი — აღსარებები,
სტატუსი შენი, ხელოვანის, მონანიებით!...

უძვირფასესი არაფერი — მხოლოდ რომ ზოგჯერ
თვითამოძირკვით შეყვარება სუფთა ჰაერის...
უღაღადესიც არაფერი — მხოლოდ ლოცვები,
მიახლოვება შემომქმედთან, არსით, მანერით!!!

დამტოვეთ ყველამ, მე რადგანაც უარვყოფ იმას,
რაც რომ სამყარომ დამანათლა, რითმებად, თვისად...
დამკარგეთ ყველამ, მომიტევეთ, რომ სასიკვდილო —
ასი ათასი, უთვალავი ცოდვები მიმაქვს...

ლოცვა მტკვარს!

მტკვარი ჩუენი არსობისა მომეც ჩუენ დღეს...
— ჩემი ვენები უერთდება ამ მდინარეს!
— მე არ მინდა არტერიებში ინფექცია!
— მე არ მინდა ძარღვებში — ინერცია!

მტკვარი ჩუენი მომავლისა მიეც თაობებს!
— ჩემი თვალები ბანაობენ ამ მდინარეში!
— ჩემი გული ფეთქავს ამ მდინარესთან!
— მე არ მინდა გამისკდეს გული!
— მე არ მინდა დამევსოს თვალი!

მტკვარი ჩუენი იმედისა სტერილურ იქნეს!
— ჩემი გენები — მიკრონავებია ამ წყალში!
— ჩემი სუნთქვა — ქარიშხალია ამ წყალზედ!
— მე არ მინდა შემელახოს გენეტიკა!
— მე არ მინდა შემიწყდეს სუნთქვა!

მტკვარი ჩუენი ხსოვნისა — მარადჟამიერ!
— ჩემი ისტორია, მდინარე ჩემი, ფიქრების უწყვეტი ჯაჭვია!
— ჩემი წარმოშობა — ჩემი წყალი და ტალღაა!
— მე არ მინდა წარმოშობის დაკარგვა!
— მე მინდა ვიცურაო მტკვარში და
— წყალი იყოს ანკარა, ვით ანგელოსთა ცრემლი — თაკარა!
— და ტალღა იყოს ძლიერი, ვით მეტეორი — ქორი!

მტკვარი ჩუენი ზეაღსვლისა, ღვთის წილ!!
— ჩემი ღმერთი ხომ წყალია, როგორც ხორცი და სისხლი...
— ჩემი ფილტვები კოსმოსია, დაჩუტული იალქნებით...
— მე მინდა გავშალო, გავბერო იალქნები!
— და მინდა შევსვა პეშვით ეს წყალი, ეს ქარი, ეს სისხლი!..

მინდა დავიხრჩო თავი — მტკვარში, როცა მიწაზე
— ადგილი აღარ დარჩება ჩემთვის!
— და მინდა მტკვარი იყოს მტკნარი...
— და მინდა თევზი, როგორც გეზი...
— და ჰგავდეს თევზი უფალს!!

— მაჩუქეთ მტკვარი, სუფთა და მყარი,
იყოს ის ჩემთვის — რუბიკონი და ზღვარი!..

— მტკვარი ჩუენი არსობისა, პური თვალთა ნაყოფისა...
მომეც ჩუენ დღეს, ზღვაო, მამაო — ოკეანევ!!...

ნიკა ჯინჭარაძე

წარდგენა მთარგმნელის მიერ

ნიკა ჯინჭარაძე თბილისელი რუსულენოვანი ბარდია. ასამდე სიმღერის ავტორი და შემსრულებელი. მის ერთადერთ დისკს ჰქვია „Год за десять“ და 12 სიმღერას შეიცავს.

საინტერესოა და რეფლექსიის საგნად გამოდგება, რომ დღეს ღირებული საავტორო სიმღერა — ვგულისხმობ ტექსტისა და მუსიკის თანაბარ კულტურულ დონეს, — თბილისში უპირატესად თუ მარტოოდენ რუსულ ენაზე იქმნება. არ ვიცი, შეიძლება თუ არა ამ ფაქტის მხოლოდ რუსული სიმღერის მდიდარი ტრადიციით ახსნა, რომლის მნიშვნელობაც თუნდაც პირველი სიდიდის ვარსკვლავებმა: ვლადიმირ ვისოცკიმ და ბულატ ოკუჯავამ განსაზღვრეს. ვფიქრობ, ნიჭს რომ თავი დავანებოთ, კარგ საავტორო სიმღერას წარმოშობს ინდივიდუალური სათქმელი და სკოლაში კარგად ნასწავლი ლიტერატურა, რისგანაც კოშმარულად თავისუფალია თანამედროვე ქართული საესტრადო მუსიკა. ყოველ შემთხვევაში: ვახტანგ არაშიძის, ლუდა ორაგველიძის, ალინა უმაროვას და სხვების რუსული სიმღერები ნამდვილად გამახსოვრდება და გამდიდრებს.

ჩვენს სივრცეში ნიკა შემოვიდა ერთი სიმღერით, უფრო სწორად ამ სიმღერის მინამღერით:

Такая жизнъ у нас,
Что делатъ с ней,
Ее менятъ сейчас,
Еще болъней...

ეს სტროფი მალე „კავკასიურ სახლში“ დაარსებული კაფე „დნმ“—ისა და შემდეგ მთელი ჩვენი სოციალური არეალის სლოგანად იქცა...

(სხვათაშორის, რუსულად იმიტომ მომაქვს, რომ ვერაფრით ვერ ვთარგმნე ქართულად კარგად. ცნობილია: მაქსიმალურად ლაპიდარული და გამჭვირვალე ლექსი, მით უფრო სიმღერა, განსაკუთრებით ძნელი სათარგმნია. თუ ვინმეს გამოუვა, მივესალმებით. ასევე, ვაღიარებ, რომ სიმღერების თარგმნისას სასიმღერო რიტმი ვერ შევინარჩუნე. ამის გამო სიმღერების ნაცვლად ლექსები მივიღე).

ნიკა ჯინჭარაძეს უკანასკნელი ტრუბადური შევარქვით, რადგან მისი სიმღერების უცვლელი ლაიტმოტივი სიყვარულია. სიყვარულზე წერა კი რამდენადაც ძნელია (და სწორედ ამიტომ გაიშვიათებული), იმდენად აუცილებელია ამ ჩვენს დროსა და ქვეყანაში, სადაც უკიდურესი სულიერი დაშრეტილობისა და დიდი გრძნობების თანდათანობითი სიკვდილის შედეგად, ახალგაზრდების დიდზე დიდი ნაწილი ვეღარაფერს სთავაზობს ერთმანეთს და საზოგადოებას სხეულისა და მისი „უნარ-ჩვევების“ გარდა. სიყვარული კი ამ გარემოცვაშიც თავის ენას ინარჩუნებს და რომანტიკული სიძველით დაფერილ და მაინც მუდამ ახალ სტრიქონებში იმ ფრთების მუდმივი მონატრებით გვავსებს, რომლებსაც მხოლოდ თვითონ იძლევა:

Как вода в воде,
Как звезда в звезде,
И душа в душе ищет свет...
Отыскатъ бы вот...
Чтобы жизнь в полет...
Человек же ты или нет?

ახლა ნიკა ლექსების პირველ კრებულს და მეორე დისკს ამზადებს. სავარაუდებელია, რომ მისი ბიოგრაფიის ძირითადი (ფრიად განსხვავებული) ნაკადები: სამხედრო განათლება და საქმიანობა, ფიტოთერაპევტის პრაქტიკა და მუსიკალურ-პოეტური მოღვაწეობა მისი შემოქმედების

საინტერესო შენადნობად გადაიქცევა. თუ უკვე ახლა არა, ალბათ მოგვიანებით. ყოველ შემთხვევაში, „კავკასიური სახლს“, რომლის თანამშრომელიც ნიკა ჯინჭარაძე არც ისე დიდი ხნის წინ გახდა, ამ ყველაფერმა უკვე შესძინა დისციპლინისა და ლირიკული მგრძნობელობის ახალი ტალღა, ისევე როგორც ზეპირად მოწოდებული რთული ფიტოთერაპიული რეცეპტები „სახლის“ ბინადართა სხვადასხვა სხეულებრივი შეჭირვებების დასაძლევად.

ნიკა ჯინჭარაძის სიმღერები კი, ჩვეულებრივ, „კავკასიური სახლის“ კაფე „დნმ“-ში გაისმის, რომლის მხატვრული მენეჯერიც თვითონ არის. „დნმ“-ი გარდა იმისა, რომ უბრალოდ არტ-კაფეა, ნაციონალურ უმცირესობათა მუსიკალური ხელოვნების, და ასევე, რუსული სიმღერის თავშესაფრადაც იქცა.

ნაირა გელაშვილი

ლექსები
სიმღერები

* * *

მამის საფლავზე ფრთებს შევიგრძნობ დღემდე გაუშლელს,
იშლებიან და მიიწევენ ცისკენ. და თურმე
ეს არის სული. და ნეტარი მოვკვდები ცასთან.
უძლური თანაც:
რაღაც თავიდან გავიგო და ისევ დავკარგო,
ვეღარასოდეს ვერ ვიპოვო ვეღარსად რათა.

მამის საფლავზე ჩემსავე თავს გადავეყრები,
გავიცნობ უცხოს, ორმოცი წლის წინათ ვერშობილს,
და უცებ ვიგრძნობ... რომ ვგიჟდები... რომ უკვე ვკვდები,
მთლად უარესი: რომ ამ სიკვდილს გულით ველოდი.

* * *

აღარ ვიჩქარი იმისაკენ, რაც ჩემსკენ მოდის,
აღარ მსურს იგი, რაც არ არის, რაც უნდა იყოს,
წახვეტა ქარმა ცხოვრებები, ბედისწერები,
და ჩემშიც შუქი გამორთო თითქოს.

თითქოს მავან ბრმას აეხილა თვალი უეცრად,
თვალი, რომელიც ახერხებდა აღმოეჩინა
ბედნიერების კუნჭულები მისჯილ წყვდიადში, —
და მყის გაწბილდა, სილამაზე როცა იხილა —

განათებული, მოელვარე რაღაც უაზროდ,
შიგნით სულ უფრო საშინლად რომ ცარიელდება,
ისევ დახუჭა მან თვალები ახალ მიგნებით:
„თურმე ჯობია არა გქონდეს თვალში სინათლე,
და არ იხილო, რა იძლევა ბედნიერებას“.

მე აღარ მჯერა, რომ მოსასვლელს სიმშვიდე მოაქვს,
და რომ მოუტანს ჩვენს სიცოცხლეს რაღაც სარბიელს,

აქაურობა მაღლა ალბათ კარგად იციან,
ჩვენ კი აქ, ქვემოთ ვერაფერი ვერ გავარკვიეთ.

* * *

ამბობენ, თითქოს ბედისწერას ვერ გაექცევი.
და (ტყუილიდან ტყუილამდე) ვცხოვრობთ როგორღაც.
ჩვენივე სული გვჩუქნის ზოგჯერ უცხო სინათლეს,
რომელიც მიყვარს. შეიყვარე შენც ის ოღონდაც.

ზოგჯერ შეიგრძნობ: ბედისწერა ჩვენშია მხოლოდ.
და მხოლოდ მისი გაგება და მიღება გვმართებს.
გადახრილია ნაწვალები ცხოვრების ქოხი
და მას ცალკ-ცალკე ვეღარაფრით ვეღარ გავმართავთ.

* * *

ჩვენ ყველაფერი გვექნება ალბათ.
შენც იცი, თუმცა დუმილი გინდა.
სიყვარულს უყვარს თავისი ძალა.
ახლა სცდის: და ჩვენც გადავალთ გზიდან.

გინდა ებრძოლე, გინდა ნუ ებრძვი,
მითხარი, მასთან ვის რა გასვლია.
თუმც ოცნებაშიც არ მინდა მეტი
და ჩვენს ამ ყოფნას არც რა აკლია...

მაგრამ დადგება შენი საათი
და თავს დაგატეხს რაღაც საქციელს,
ახლა კი ჩუმად გვაქსოვს ერთმანეთს
რაღაც ქსოვილად და გვიცვლის იერს...

გინდა ებრძოლე ღამით და დილით,
გინდა მაშინვე შეეშვი ფარ-ხმალს,
გაუმხელ ბოლოს ნისლეულს ძილის
რასაც მალავდი: „მწყურიხარ, სად ხარ?“

ახალ მთვარეზე ბრწყინავს სხვაგვარად
ცრემლი. ზამთარი უკვე კარზეა.
ჩვენ ყველაფერი გვექნება ალბათ.
თუმც დუმხარ, თვითონ იცი: ასეა.

* * *

ნუ ელოდები შეუძლებელს, რა საჭიროა,
ოცნებას მასზე ნუ დახარჯავ, რაც არ მოხდება...
მაგრამ... მოიწევს ბედისწერა... კვლავ მისი დროა...

ფრთხილად გვიტარებს ბედნიერ და საშიშ გაკვეთილს,
რომ სიხარულის მცნება ქვაში არის ნაკვეთი
და გულს ავალებს სიყვარულის გამეორებას...

* * *

მარტოსულ ლექსებს ერთადერთი წყარო აქვთ მხოლოდ:
მთვარის ნათელი, გადმოღვრილი დედამიწაზე —
და გაუჯდებათ სხვა სიწრფელე სტრიქონებს ბოლოს
და პირს მოხსნიან მთელ სიბნელეს და მთელ სინაზეს
ჩემი ცხოვრების: აღმასვლების წუთების სრბოლა
და დაღმასვლების საათების მძიმე ტაატი
გამეორდება, ტანჯვა, ლხენა, უაზრო ქროლვა,
პირქუში შრომა, ჩურჩული თუ ყრუ მასლაათი.
წმინდა სიმართლე გაუნათებს მანკიერებებს
შემზარავ სახეს — როგორც ლექსებს მუდამ სჩვევიათ,
შიშის გარეშე, საყვედურის გარეშე შეკრებს
ჩემს არსს თქვენს თვალწინ, ყველაფერს, რაც სულს შემთხვევია.
მიდის ცხოვრება — უცნაურად მუდამ ხანმოკლე,
მისხლტის ხელიდან გამოცანა თუ განტოლება,
მისი პასუხი მეც ვეძებე და ვერ მოვძებნე,
მხოლოდ ეს ფიქრი აღარასდროს არ მომშორდება:
ეს სტრიქონები, დაწერილი ბედის თითებით,
გაყვითლდება და დასცვივდება მეხსიერებას,
ისე, ვით ქარი ხმელ ფოთლებს რომ ფოთლებზე აფენს,
ჩვენი გზის ბოლოს ისევ ისე მარტო ვიქნებით,
როგორც მარტოა მთვარის შუქი დედამიწაზე.

* * *

ან მე არა და არ ვიზრდები, რადგან ვერ ვბედავ
ხელის აღებას ოცნებაზე და ისევ ისე
ვეძებ და ვეძებ, იმედებს ვისევ,
ეჰ, რა ხანია...
ან ეს ქვეყანა არ არის ჩემთვის,
თუკი არ შემხვდა ის ერთადერთი,
ურომლისოდაც ეს სიცოცხლე
მხოლოდ ვალია...

ღამიან ქრებიან ბგერები
ამაოდ ეძებენ ხელები
ვისაც მიუტანდნენ სინაზეს...
ჩიტების სილაღე აღარ ჩანს
ტყვიისფერ ღრუბლების გადაღმა,
და ფრთების ნეტარი მონასმი
მე აღარ მიძახის ცისაკენ...

ეს სიცარიელე რისთვის და რიღასთვის?
რად ცოცხლობს რაიმე, თუ აზრი არა აქვს?
რას, რაღას დავეყრდნო, თუკი გაწბილება
უკვე ყველანაირ სამანებს გადასცდა?
ნუთუ მარტოოდენ სიზმრების ნაგლეჯებს,
სადაც მაგ უხილავ თვალების შუქია?
ამ მოლანდებული სინათლით ეს გული
უკვე რა ხანია თავბრუდასხმულია.

ალბათ სიცოცხლეში ვეღარსად შევხვდები
ქალის გამოხედვას, სიმშვიდის გამომცემს —
ისე, ვით მძიმე და სულელურ ზღაპარში
გადამავიწყდება ფერების თამაში,
რუხი და ველური დარდი დამაოსებს...

ბედისწერები ხომ ერთმანეთს არ ჰგვანან,
და მსგავსი გზებიც ხომ სხვადასხვაგვარია,
მაგრამ სულ ეს ხდება, სადაც გაიხედავ,
რომ ერთად არიან და ერთად არ არიან...
ტყუილად ფეთქავენ ერთგული გულები,
რათა ვიბრირებდნენ ჩლუნგი სხეულები,
მათი ხმა არავის არ ესმის, ვერ ხვდება,
თითქოს მუნჯ კინოში ცხოვრობს და ბერდება...

სიყვარულისაგან სიმღერას ელიან...
ის კი ვერ ამღერდა...
ეს ნელი მიგნება მართლაც რა ძნელია:
რომ წვიმა გადარეცხს
სიცოცხლის ანაბეჭდს,
ახლა რომ ცივ ნაცარს აჩნდება...
ჩუმად და უძალოდ ტირიან სულები,
მიწიერ ციხიდან ვერგაღწეულები.

* * *

ერთხელაც მავანი, გამოღვიძებული, გაიგონებს,
წვიმა სახურავზე რაგვარ სევდით უკრავს მარტოობას...
და სულს გახევებულს შეძრავს რაღაც გრძნობა წარსულიდან,
და ხელისგულები ცახცახით ცივ სახეს დაეკრობა.
ასე ხშირად ხდება, ხშირად გვემართება ასე,
მაგრამ (სულ ტყუილად) მცირე ცვლილებაც კი გვზარავს,
მხოლოდ მწუხარება ჩუმად ჟამი-ჟამ რომ გვანთებს,
მაინც ვერ ვანათებთ, და ვწვავთ სიცოცხლეს ვით ჩალას.
მაგრამ გულებიდან ცოცხალი ცეცხლი დის,
ხელი გაუწოდეთ, გული შეაგებეთ,
მიიღეთ მთლიანად და თქვენი სიცოცხლე
ჩაწვით სიყვარულში, რათა ელვარებდეთ.
ერთხელაც ვიღაცა ქუჩაში თვალს მოკრავს წამიერად,
ტანჯვამდე ნაცნობ და ძალიან მშობლიურ სილუეტს,
და მოეწურება გული და იკითხავს ნაღვლიანად:
„ნუთუ უიმიოსო წლებს ისევ თავიდან ვისურვებ?“
ასე ხშირად ხდება, ხშირად გვემართება ასე,
ღამით ერთმანეთით მხოლოდ სიზმრებში რომ ვთბებით,
ქარი შემოდგომის ფოთლებს ატრიალებს გზაზე,
გულში არ ვიკრავდით რატომ ჩვენ ერთმანეთს მაშინ,
რისთვის გავიძარცვეთ თავი, არ შევისხით ფრთები?
მაგრამ გულებიდან ცეცხლი დის ცოცხალი,
გული და ხელისგული შეაგებეთ,
მხოლოდ სიყვარული ბადებდა სიხარულს,
და, დაე, სიცოცხლე სიყვარულს ბადებდეს...

* * *

მითხარი, საით? დილის გრილი ბილიკით მიხვალ,
შეერთვი რიჟრაჟს ეს მერამდენედ,
და მე მიტოვებ წუხილს: ეჭვებს, განგაშის გრიგალს,
თითქოსდა ღამე არ გვქონოდეს ჩვენ წუხანდელი...
მითხარ, ტუჩებით ტუჩებში რად, რად მეჩურჩულე,
ყოველი სიტყვა ცრემლებით რომ იყო მორწყული,
ვეღარ ვირწმუნებ ოცნებების ახდენას უკვე,
მოვხუცებულვარ ამისათვის,
მარტოდენ შენით,
მარტოდენ შენითღა მიდგას სული...
აი, ასეთი ცხოვრება გვაქვს,
მითხარ, რა ვუყოთ,
გადაკეთება მისი უფრო
დაგვტანჯავს, უფრო.
ბრმა ბედი განზე
მიაქანებს
მტრედსა და ყორანს...
საით? სად? საით?
სად გავყვებით
ავდარში ბორანს...
ცით კურთხეულ ჟამს
ცოცხალ ლანდების...
აი, ასეთი ცხოვრება გვაქვს,
რა ვუყოთ, მითხარ,
ჩვენს გულთან ერთად
ბოლოს საით გადავქანდებით?...
ნუ მალავ თვალებს, სველ წამწამებს ნუ დააფარებ,
გაახილე და გაგინათლოს სახე ტკივილმა,
ალბათ ტირიან დედოფლებიც, როს მათი ღამე
უკვე მთავრდება და თან მიაქვს თალხი თილისმა...
დაველოდები გულის ძგერით საღამოობით,
ნაცნობ ნაბიჯებს, ნაცნობ კაკუნს მიხურულ კარზე—
წმინდა ტიხარზე, რომელიც ჰყოფს ჩვენს სამყაროებს,
და რომლის მიღმაც შენ გაქრები განთიადისას...

* * *

ვითომ შიში აქვს? არა. ალბათ უფრო ვერ ბედავს.
ჭკუიდან შეშლა ყველას ბედი, ვიცით, არ არის.
ვინც რისკავს — ბოლოს არ ინანებს, მე ასე ვხედავ,
ვინც არა — კარგავს, რაც არ იყო დასაკარგავი.

* * *

ეს რუხი ცაც კი მყუდროდ
და მშობლიურად მიჩანს.
რომ ყოფილიყო უფრო
თამამი, ვისზეც ვფიქრობ,
შემესხმებოდა ფრთები,
ალბათ ვიფრენდი დიდხანს.

ეს დღეც მიცურავს, მიდის.
როგორ დაგვღალა სევდამ!
სიკვდილ-სიცოცხლეს შორის
ბოლია ანდა ნისლი.
ბედნიერებავ, უცხოვ,
გამიღიმებდე ნეტავ.

* * *

ალბათ მიწაზე მართლაც არ არის
ჩემი ადგილი,
და ვერცერთ ზღვაში ვერსად შეხვდებით
ვერცერთ წვეთს ჩემი
ბედნიერების...
აი, სიცოცხლის ნაპერწკალი
უკვე იქცა ნაცრის ნამცეცად...
დაბადებიდან
მარადიულ ნისლთა მხარეში
ვცხოვრობ ნახევრად.

* * *

ცხოვრების ცოდნა — ხელოვნება უფაქიზესი.
თუკი სინათლე არ გწყურია, როგორ აანთებ!
ჩემი გრძნობები ვერსად წავლენ,
ვერსად ვაგზავნი,
სხვისი გრძნობები
შემოადგნენ უკვე ჩემს კარებს.

* * *

სილამაზისგან დარჩა ფორმები,
და რეტი სიხარულისგან.
სიცოცხლე დაამძიმეს ნორმებით
და იქცა (მსუბუქ) ტყუილად.

* * *

ო, ღმერთო ჩემო, რად დამიჯდა ეს დანაკარგი!
და აი, ახლა აღარც ვტირი და აღარც ვოხრავ.
აღარ გენდობით. მზარავს თქვენი ყრუ ლაპარაკი.
გამეხარდება, თუკი მალე დასტოვებთ ოთახს.

* * *

დახუჭე თვალი და ნერვებით წარმოიდგინე.
მაინც რა ხდება! ჯადოქრობა ძალზე დიდია!
კი იცნობ, მაგრამ ვერასოდეს გაუგებ ჩიტებს,
ცაში ფრენა რომ იციან და ეს არ იციან.

ბორის პილნიაკი

ჩაუმქრალი მთვარის ამბავი

წინათქმა

ამ მოთხრობის ფაბულა ეჭვს ბადებს, რომ მისი დაწერის საბაბი მ. ვ. ფრუნზეს სიკვდილი გახდა. პირადად მე, შეიძლება ითქვას, რომ ფრუნზეს არც კი ვიცნობდი, ერთი-ორჯერ თუ მინახავს. მისი სიკვდილის ნამდვილი გარემოებების შესახებ არაფერი ვიცი და არც არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, რადგან სამხედრო კომისრის სიკვდილის რეპორტაჟი არ ყოფილა ჩემი მიზანი. — მსურს ყოველივე ეს ვაცნობო მკითხველს, რათა მოთხრობაში ნამდვილი ფაქტებისა და რეალური ადამიანების ძიება არ დაიწყოს.

ბორ. პილნიაკი

მოსკოვი
28 იანვ. 1926 წ.

ვორონსკის*
მეგობრული სალმით

თავი პირველი

გამთენიისას ქალაქი ქარხნების საყვირთა გუგუნს მოეცვა. შუკებში ლეგა ბურუსი მიიზლაზნებოდა, რიჟრაჟში ითქვიფებოდა ჟინჟღლი, ღამის ბინდბუნდი, — რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ განთიადი უხალისო, უღიმღამო იქნებოდა. აუჩქარებლად, გაბმულად გუგუნებდნენ საყვირები — ერთი, ორი, სამი, მრავალი — და ქალაქს მოდებულ რუხ ღმუილს ერწყმოდნენ. ეს ქარხნების გუგუნი იყო გამთენიის წინ, დროის გარინდებისას, — გარეუბნებიდან კი მომავალი და გამსვლელი მატარებლების ორთქლმავალთა გამკივანი, გამაღიზიანებელი სტვენა აღწევდა, — და სრულიად ნათელი იყო, რომ ამ გუგუნით ღმუოდა ქალაქი, ქალაქის სული, დატორილი მრუმე ბურუსით. ამ დროს რედაქციების სტამბებში მომცრო როტატორებს გაზეთების ბოლო ამონაბეჭდები ამოჰქონდა, და მალევე, — ექსპედიციათა ეზოებიდან — ქუჩებს პატარა ბიჭები შეესივნენ, გაზეთების დასტებით ხელში; დაცარიელებულ გზაჯვარედინზე ხან ერთი და ხან მეორე გაჰყვიროდა და თან ყელის ჩასაწმენდად ჩაახველებდა ხოლმე, რადგან ყვირილი მთელი დღის განმავლობაში უწევდათ:

— რევოლუცია ჩინეთში! კომანდარმ გავრილოვის ჩამოსვლა! კომანდარმის ავადმყოფობა!

სწორედ ამ დროს, ვაგზალში, სადაც სამხრეთიდან მომავალი მატარებლები ჩერდებიან, მატარებელი შევიდა. ეს საგანგებო მატარებელი იყო, რომლის ბოლოში რუხ-ლურჯად კიაფობდა სალონ-ვაგონი, პირქუში, საფეხურებზე მდგომი გუშაგებით, სარკისებრ ფანჯარათა მინების მიღმა ჩამოშვებული ფარდებით. მატარებელი უკუნი ღამიდან მოვიდა, გამოსცდა რა იმ ველ-მინდვრებს, ასე განცხრომით და ხელაღებით რომ შემოფლანგვიათ ზაფხული, რათა შემდეგ, ზაფხულითვე გაძარცულები, ზამთარში თოვლით დაბერებულიყვნენ. მატარებელი მძიმედ შეცურდა ვაგზლის სახურავქვეშ, უხმაუროდ, დადგა სათადარიგო ლიანდაგზე. ბაქანზე კაცი არ ჭაჭანებდა. კარებთან, ვითომდა შემთხვევით, მილიციის გაძლიერებული რაზმები იდგნენ გვირისტიანი მწვანე ნიშნულებით. სამი სამხედრო პირი, სახელოებზე დაკერებული რომბებით, სალონ-ვაგონს მიუახლოვდა. სამხედრო სალმით მიეგებნენ დამხვდურთ, — ეს სამნი, ვაგონის საფეხურთან შეჩერდნენ, გუშაგი ვაგონში მყოფთ რაღაცას ეჩურჩულებოდა, — ამის შემდეგ სამივე ვაგონში ავიდა და ფარდებს მიღმა გაუჩინარდა. სალონში მაშინვე შუქი აინთო. ორი სამხედრო მონტიორი აფუსფუსდა ვაგონთან — სახურავქვეშ სატელეფონო ხაზები შეჰყავდათ. ვა-

გონს კიდევ ერთი კაცი მიუახლოვდა, საშემოდგომო მოძველებული პალტოთი და — სეზონისთვის შეუფერებელი — ბეწვის, ყურებიანი ქუდით. ეს კაცი არავის მისალმებია მხედრულად, არც მას მისალმებია ვინმე;

— ნიკოლაი ივანოვიჩს უთხარით, რომ პოპოვი მოვიდა — თქვა მან.

წითელარმიელმა ზანტად შეათვალიერა, შეამოწმა პოპოვი, მიაჩერდა შელახულ ფეხსაცმელებს და დინჯად უპასუხა:

— ამხანაგ კომანდარმს ჯერ არ უნებებია ადგომა.

პოპოვმა მეგობრულად გაუღიმა წითელარმიელს, რატომღაც შენობით დაუწყო საუბარი და მეგობრულად უთხრა:

— აბა, ძამიკო, მიდი, მიდი, უთხარი მას, რომ მოვიდა-თქო პოპოვი.

წითელარმიელი წავიდა, მობრუნდა. პოპოვი მაშინვე ვაგონში ავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ფარდები იყო ჩამოფარებული და სინათლე ენთო, ღამე ჯიუტად შერჩენოდა სალონს, და რადგან მატარებელი სამხრეთიდან მოდიოდა, სამხრეთიც შერჩენოდა სალონს, სადაც ბროწეულების, ფორთოხლების, მსხლების, კარგი ღვინის, კარგი თამბაქოს სურნელი იდგა — სამხრეთული ქვეყნების მადლმოსილი სუნი ტრიალებდა. მაგიდაზე ლამპასთან, გადაშლილი წიგნი იდო, გვერდით კი თეფში, ბურღულის ფაფის ნარჩენით, — იქვე კოლტის გახსნილი ბუდე, გველივით გაწოლილი ქამრის თასმით. მეორე მხარეს თავმოხდილი ბოთლები ეწყო. სამხედროები, სამნი, რომბიანი სახელოებით, მაგიდიდან მოშორებით ისხდნენ ტყავის სავარძლებში, კედლის გასწვრივ, ისხდნენ მოკრძალებით, გაჭიმულები, — ხმის ამოუღებლად, პორტფელებით ხელში. პოპოვმა მაგიდას ძლივს აუარა გვერდი, პალტო გაიხადა, ქუდი მოიძრო და იქვე გვერდით დაილაგა, გადაშლილი წიგნი აიღო, გადაათვალიერა. ამქვეყნად ყველაფრის მიმართ გულგრილი გამცილებელიც შემოვიდა, მაგიდა აალაგა; ბოთლები სადღაც კუთხეში მიაწყო; ბროწეულის ქერქები ლანგარზე მოაქუჩა, — მაგიდას სუფრა გადააფარა, ზედ დადგა ერთი ჭიქა საჭიქესთან ერთად, თეფში ხმელი პურით, სირჩა კვერცხისათვის; ლანგრით მოიტანა ორი კვერცხი, მარილი და წამლები პატარა შუშებით; შემდეგ ფარდის კუთხეები აკეცა, დილას გახედა, — ფანჯრის მინაზე მიმაგრებული ფარდებიც გადასწია, — შუქი გამორთო: და სალონში რუხი, ჟინჟღლით გასენილი შემოდგომის დილა შემოიჭრა. ყველაფერმა ჩვეული იერი დაიბრუნა, კუთხეში გამოჩნდა ყუთი ღვინის ბოთლებით და დახვეული ხალიჩა. გამცილებელი ძეგლივით აღიმართა კარებში, ხელსახოცით ხელში. ამ მრუმე დილას სახეზე ყველას ყვითელი ფერი დასდებოდა, — მქრქალი, წყალწყალა შუქი წალას წააგავდა. კარებში გამცილებლის გვერდით კურიერი გაჩნდა: საველე კანცელარია უკვე მუშაობდა, დარეკა ტელეფონმა.

კომანდარმი საძინებელი კუპედან სალონისაკენ გაემართა. ეს იყო დაბალი ტანის, მხარბეჭიანი მამაკაცი, ქერა, უკან გადავარცხნილი, გრძელი თმებით. მასზე ულაზათოდ მორგებული, დაკუჭული გიმნასტურა, ოთხრომბიანი სახელოთი, ჯარისკაცული მწვანე მაუდისაგან იყო შეკერილი. მიუხედავად იმისა, რომ მისი დეზებიანი ჩექმები საგულდაგულოდ იყო გაპრიალებული, მოქცეული ქუსლები მათ გვარიან ჯაფაზე მიანიშნებდა. ეს იყო ადამიანი, რომლის სახელი მეტყველებდა სამოქალაქო ომის ჰეროიკაზე, მის მხრებს უკან მდგარ ასობით, ათასობით და ასიათასობით ადამიანზე, — ასობით, ათასობით და ასიათასობით სიკვდილზე, ტანჯვაზე, გახეიბრებასა და სიცივეზე, შიმშილზე, გამყინვარებასა და ლაშქრობათა ციებ-ცხელებაზე, ქვემეხთა ქუხილზე, ტყვიების ზუზუნსა და ღამეულ ქარებზე, ღამეში კოცონთა ტკაცანზე, ლაშქრობებზე, გამარჯვებებსა და უკუქცევებზე, და ისევ და ისევ სიკვდილზე. ეს იყო ადამიანი, რომელიც მეთაურობდა არმიებს, ათასობით ადამიანს, — რომელიც სათავეში ედგა გამარჯვებებს, სიკვდილს: დენთით, კვამლით, დამსხვრეული ძვლებით, დაფლეთილი ხორცით, იმ გამარჯვებებს, რომლებსაც ასობით წითელი დროშის ფრიალითა და მრავალათასიანი თავყრილობების ყიჟინით აღნიშნავდნენ ზურგში, რადიოში, რომელთა დიდება მთელ მსოფლიოს ეფინებოდა, — იმ გამარჯვებებს, რომელთა შემდეგაც რუსეთის ქვიშიან ტრამალებში ღრმა ორმოები ითხრებოდა გვამებისათვის, ორმოები, სადაც დაუდევრად ყრიდნენ ათასობით ადამიანის ცხედარს. ეს იყო ადამიანი, რომლის სახელი შეიმოსა ლეგენდარული ბრძოლებით, სარდლის გმირობით, უმაგალითო სიმამაცით, გამბედაობით, სიმტკიცით. ეს იყო ადამიანი, რომელსაც

უფლება და ნებისყოფა ჰქონდა, გაეგზავნა ადამიანები სიკვდილზე და მათივენაირთა მოსაკლავად. სალონში შევიდა დაბალი ტანის, მხრებგაშლილი მამაკაცი, სემინარისტის უწყინარი და ოდნავ დაღლილი სახით. იგი მიდიოდა ჩქარი ნაბიჯით, მისი სიარული ერთბაშად კავალერისტსაც და ჭეშმარიტ სამოქალაქო პირსაც ავლენდა, ოღონდ, არამც და არამც სამხედროს. სამი შტაბისტი ჩამწკრივდა მის წინაშე: მათთვის ეს იყო ადამიანი, — მესაჭე, იმ უზარმაზარი მანქანისა, რომელსაც არმია ჰქვია, — ადამიანი, რომელიც განაგებდა მათ სიცოცხლეს, უფრო კი მათ ცხოვრებას, წარმატებებით, კარიერით, წარუმატებლობებით, განაგებდა სიცოცხლეს და არა სიკვდილს. კომანდარმი მათ წინ შეჩერდა, ხელი არ გაუწოდებია, ისეთი ჟესტით ანიშნა, რომ მათ თავისუფლად დგომის უფლება ეძლეოდათ. ასე მიიღო პატაკი მათ წინაშე მდგომმა კომანდარმა: ამ სამთაგან, ერთ-ერთი წინ გაეჭიმებოდა და პატაკს აბარებდა — „ჩემდამი რწმუნებულ „, — „რევოლუციის სამსახური“. პატაკის ყოველ ჩამბარებელს კომანდარმი ხელს ართმევდა, რიგისდა მიხედვით (ისე კი, როგორც ჩანს, არც უსმენდა). მერე იგი ეულად მდგარ ჭიქას მიუჯდა, და გამცილებელიც იქვე გაჩნდა, რათა კრიალა ჩაიდანიდან ჩაი დაესხა. კომანდარმმა კვერცხი აიღო.

— როგორაა საქმეები, ოღონდ პატაკის გარეშე — უბრალოდ იკითხა კომანდარმმა.

სამთაგან ერთ-ერთი ალაპარაკდა, მოახსენა ახალი ამბები და მერე თავის მხრივ შეეკითხა:

— თქვენი ჯანმრთელობა როგორაა, ამხანაგო გავრილოვ?

კომანდარმის სახე წუთიერად გაუცხოვდა, უკმაყოფილოდ თქვა:

— აი, კავკასიაში ვიყავი, ვმკურნალობდი. ახლა კარგად ვარ, — გაჩუმდა, — ჯანმრთელი ვარ. — გაჩუმდა. — განკარგულება გაეცით, არავითარი ზარ-ზეიმი, არავითარი საპატიო ყარაული, საერთოდ ... — გაჩუმდა. — თავისუფლები ხართ ამხანაგებო.

სამი შტაბისტი წასასვლელად წამოდგა. კომანდარმა, ისე რომ არც ამდგარა, სათითაოდ გაუწოდა ხელი, — ისინი სალონიდან უხმოდ გავიდნენ. როდესაც კომანდარმი სალონში შედიოდა, პოპოვი მას არ მისალმებია, წიგნი აიღო, მიტრიალდა, გადაფურცვლა დაიწყო. კომანდარმმა ცალი თვალით გახედა პოპოვს და თვითონაც არ მიესალმა, ისეთი სახე მიიღო თითქოს ვერ შენიშნა ეს ადამიანი. როცა შტაბისტები წავიდნენ, — მისალმების გარეშე, თითქოსდა წუხელ ენახათ ერთმანეთი, კომანდარმმა პოპოვს ჰკითხა:

ჩაი გინდა, ალიოშა, თუ ღვინო?

მაგრამ პოპოვმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რადგან წინ ორდინარეცი გამოეჭიმა, — „ამხანაგო კომანდარმო“, — უპატაკა იმის შესახებ, რომ ავტომობილი მოხსნეს პლატფორმიდან, კანცელარიაში პაკეტები შემოვიდა — ერთი პაკეტი ნომერ პირველი სახლიდან, მოიტანა მისმა მდივანმა, საიდუმლო პაკეტი, — იმის შესახებ რომ შტაბში ბინა გამზადებულია, — რომ მისალოცი დეპეშებისა და ქაღალდების დასტაა მოსული. კომანდარმმა ორდინარეცი დაითხოვა, უთხრა რომ, საცხოვრებლად ვაგონში დარჩებოდა. კომანდარმი ახლა არმიასთან კი არ ჩასულა, არამედ უცხო ქალაქში იმყოფებოდა: ქალაქი, სადაც მისი არმია იდგა, აქედან ათას ვერსზე მდებარეობდა, იქ, იმ ქალაქში, იმ ოლქში დარჩა მისი საქმეები, საზრუნავი, უღიმღამო ცხოვრება, მეუღლე. გამცილებელმა, ისე, რომ პოპოვის პასუხს არ დაელოდა, მაგიდაზე დადგა ერთი ჩაის ჭიქა და ერთი ჭიქა ღვინისათვის. პოპოვი გამოძვრა თავისი კუთხიდან და კომანდარმს მიუჯდა.

— როგორაა შენი ჯანმრთელობა, ნიკოლაშა? — მზრუნველობით დაეკითხა პოპოვი, ისე, როგორც საკუთარ ძმას ეკითხებიან.

— ჩემი ჯანმრთელობა ისეა, როგორც საჭიროა, სრულიად მოწესრიგდა, ჯანმრთელი ვარ, — თუმცა ვინ იცის, იქნებ და მოგიწიოს ჩემს კუბოსთან დგომა საპატიო ყარაულში, — უპასუხა კომანდარმმა ან ხუმრობით, ან სერიოზულად: — ყოველ შემთხვევაში ნაღვლიანი ხუმრობით.

ამ ორს, პოპოვს და გავრილოვს ძველი მეგობრობა აკავშირებდა ერთმანეთთან. ერთობლივი იატაკქვეშა საქმიანობა ფაბრიკაში, ეს მაშინ, შორეულ ახალგაზრდობაში, როცა ისინი თავიანთ ცხოვრებას ორეხოვო-ზუეველ ფეიქრებად იწყებდნენ; იქ, სიჭაბუკეში, დაიკარგა მდინარე კლიაზმა, ტყეები კლიაზმის მიღმა ქალაქ პოკროვსკაიასაკენ მიმავალ გზაზე, პოკროვსკაიას უდაბნოში, სადაც „კომიტეტჩიკები“ იკრიბებოდნენ: იქ იყო უპოვარი ფეიქრული ახალგაზრდობა არალეგალური წიგნაკებით; სახარებად ქცეული გამოცემებით „დონსკაია რეჩ“, — „ისკრა“, მუშათა ყაზარმებით, საიდუმლო შეხვედრებით, — სადგურის წინ ფართო მოედნით, სადაც

ცხრაასხუთში, მუშათა თავყრილობების თავზე ტყვიები და მათრახები ზუზუნებდა; შემდეგ იყო ერთად ყოფნა ბოგოროდის ციხეში, — შემდეგ კი — პროფესიონალ-რევოლუციონერის ყოფა — გადასახლება, გაქცევა, იატაკქვეშეთი, ტაგანსკის გადასაგზავნი საპატიმრო, გადასახლება, გაქცევა, ემიგრაცია, პარიზი, ვენა, ჩიკაგო, — და მაშინდელი: ცხრაას თოთხმეტი მოღუშული ცა, ბრინდიზი, სალონიკი, რუმინეთი, კიევი, მოსკოვი, პეტერბურგი, — და მაშინდელი: ცხრაას ჩვიდმეტის ჭექა-ქუხილი, სმოლნი, ოქტომბერი, ქვემეხების ქუხილი კრემლის თავზე, შემდეგ კი, ერთი — წითელი არმიის შტაბის უფროსი, მეორე — პროლეტარულ თავადაზნაურთა წინამძღოლი, როგორც რიკოვმა იხუმრა მაშინ ტულაში, ერთისათვის ეს იყო — ომები, გამარჯვებები, კომანდობა ქვემეხებზე, ადამიანებზე, სიკვდილზე, — მეორისათვის, — გუბკომები, აღმასკომები, ВСНХ,* კონფერენციები, კრებები, პროექტები და მოხსენებები: ორივესათვის — ყველაფერი, მთელი ცხოვრება, მთელი ფიქრები მსოფლიოში უდიდესი რევოლუციისათვის, მსოფლიოში უდიდესი სამართლიანობისა და სიმართლისათვის. სამუდამოდ კი, ერთი მეორისათვის — ნიკოლაშა, ერთი მეორისათვის — ალექსეი იყო, ალიოშკა, — სამუდამო მეგობრები, ფეიქრები, ჩინებისა და რეგლამენტების გარეშე.

— შენ მე მომიყევი, როგორაა შენი ჯანმრთელობა, — ჰკითხა პოპოვმა.

— იცი რა, მე მქონდა და შესაძლებელია, ახლაც მაქვს კუჭის წყლული. ნუ, ხომ იცი, ტკივილები, სისხლღებინება, საშინელი ძმარვა, — ნამდვილი საძაგლობაა, — კომანდარმი ლაპარაკობდა ხმადაბლა, ალექსეისაკენ იყო გადახრილი. — კავკასიაში გამგზავნეს, მიმკურნალეს, ტკივილებმა გამიარა, შევუდექი საქმიანობას, ვიმუშავე ნახევარი წელიწადი, ისევ გულისრევა და ტკივილები, კვლავ წავედი კავკასიაში. ახლა კვლავ გამიარა ტკივილებმა, გამოსაცდელად ერთი ბოთლი ღვინოც კი დავლიე... — კომანდარმმა თავის თავს გააწყვეტინა: — ალიოშკა, იქნებ ღვინო გინდა, აი იქაა, თაროს ქვეშ, — მე შენ პატარა ყუთი ჩამოგიტანე, გახსენი.

პოპოვი იჯდა, თავით ხელისგულს დაყრდნობოდა, მან უპასუხა:

— არა, დილაადრიან არ ვსვამ. შენ ილაპარაკე.

— ჰოდა ჩემი ჯანმრთელობა ახლა სრულ წესრიგშია. — კომანდარმი გაჩუმდა. — მითხარი, ალიოშა, რატომ გამიმიძახეს აქ? — არ იცი?

— არ ვიცი.

— მოვიდა ქაღალდი, — კავკასიიდან პირდაპირ აქ ჩამოვსულიყავი, — ცოლთანაც კი არ გამივლია. — კომანდარმი გაჩუმდა. — ეშმაკმა უწყის, ვერ გამიგია, რაშია საქმე, არმიაში ყველაფერი წესრიგშია, არც ყრილობაა, არც არაფერია... შენ თუ ყოფილხარ კავკასიაში? — მართლაც რა შესანიშნავი ქვეყანაა, — პოეტები ჩვენთან მას მზიურ ქვეყანას უწოდებენ, მე არ მესმოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა: ვიყავი, ვნახე და — მართალია, — მზიური ქვეყანაა!.. ბროწეულია, შეჭამე ალიოშა, — ჩემთვის არ შეიძლება, ორდინარეცებს ვუმასპინძლდები. — როგორაა საქმეები?

კომანდარმი ლაპარაკობდა არმიაზე, იგი ახლა ფეიქარი კი აღარ იყო, არამედ მხედართმთავარი და წითელი არმიის წითელი გენერალი; კომანდარმი ლაპარაკობდა ორეხოვო-ზუევოზე და ორეხოვო-ზუევოს პერიოდზე, — და უთუოდ ვეღარც კი ამჩნევდა, თუ როგორ გარდაისახებოდა ფეიქრად, — სწორედ იმ ფეიქრად, რომელმაც მაშინ იქ მდინარის გაღმისპირეთის მასწავლებელი შეიყვარა და მასთან შეხვედრის წინ ჩექმებს იწმენდდა და მერე სკოლამდე ფეხშიშველა მიდიოდა, ჩექმები რომ არ დასველებოდა, და მხოლოდ სკოლასთან ახლოს, პატარა ტყეში ისევ იცვამდა ჩექმებს, — მას ბაბთიანი ***ფანტაზიაც*** კი უყიდა და ქუდი ***ა-ლა ეშმაკმა წაიღოს,*** — თუმცა მასწავლებელთან წიგნებზე საუბრების მეტი ვერაფერი გაახერხა, არ გამოუვიდათ რომანი, უარყო იგი მასწავლებელმა. კომანდარმ-ფეიქარი მშვიდი, კარგი ადამიანი იყო, იცოდა ხუმრობა და სასაცილოს დანახვაც, — და იგი ხუმრობდა, ესაუბრებოდა მეგობარს; — მხოლოდ დროდადრო ახსენდებოდა კომანდარმს უცნაური გამოძახება, მოუსვენარი ხდებოდა, უჩვეულოდ ამოძრავდებოდა და მაშინ ჯანმრთელი ფეიქარი ავადმყოფ კომანდარმზე იწყებდა ლაპარაკს: „თანამდებობის კაცი, ფელდმარშალი, სენატორიც კი! — წიწიბურის ფაფის ჭამა კი არ შემიძლია... ასეა ძმაო, ცკ ადამიანებით თამაშობს, — სიმღერისაგან სიტყვებს ვერ ამოაგდებ“, — და ჩუმდებოდა.

— ნიკოლაშა, ერთი გამაგებინე, რა გაეჭვებს? — თქვა პოპოვმა. — რას ყბედობდი საპატიო ყარაულზე?

კომანდარმმა მაშინვე არ უპასუხა, მერე ხმადაბლა მიუგო:

— როსტოვში პოტაპს შევხვდი (მან პარტიული მეტსახელით, თვრამეტიანი წლების „სახელოვანთა გუნდიდან“ უდიდესი რევოლუციონერი მოიხსენია), — ჰოდა, იგი მეუბნებოდა... მარწმუნებდა ოპერაცია გაიკეთეო, წყლული ამოიჭერი ან გაიკერეო, — საეჭვოდ მარწმუნებდა. — კომანდარმი დადუმდა. — მე თავს ჯანმრთელად ვგრძნობ, ოპერაციის წინააღმდეგია მთელი ჩემი შინაგანი არსი, არ მინდა, — ისედაც მოვრჩები. ახლა ხომ არანაირი ტკივილი არ მაწუხებს, წონაშიც მოვიმატე, და... ეშმაკმა უწყის რა არის, — ზრდასრული ადამიანი, უკვე მოხუცი, თანამდებობის კაცი, — და სულ მუცელზე ვიყურები. სირცხვილია. — კომანდარმი გაჩუმდა, გადაშლილი წიგნი აიღო. — ბებერ ტოლსტოის ვკითხულობ, „ბავშვობა და ყრმობა“-ს, — კარგად წერდა მოხუცი, — გრძნობდა ყოფიერებას, სისხლს... სისხლი ბევრი მინახავს, ჰოდა... ჰოდა ოპერაციის კი მეშინია, პატარა ბავშვივით, არ მინდა, დამკლავენ... ადამიანის სისხლის რაობა კარგად გაეგებოდა მოხუცს.

ორდინარეცი შემოვიდა, გაიჭიმა, უპატაკა, — იმის შესახებ, რომ შტაბიდან მოხსენება მოიტანეს, რომ ნომერ პირველი სახლიდან კომანდარმს მანქანამ მოაკითხა, ითხოვენ, იქ ეახლოს, — რომ ახალი ტელეგრამებია მიღებული, — რომ ამა და ამ კაცისაგან სამხრეთიდან გამოგზავნილ ამანათს მოაკითხეს. ორდინარეცმა მაგიდაზე გაზეთების დასტა დადო. კომანდარმმა გაუშვა ორდინარეცი. კომანდარმმა განკარგულება გასცა შინელი მოემზადებინათ. კომანდარმმა გაზეთი გაშალა. იქ, სადაც დღის უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესახებ იუწყებიან, ხაზგასმული იყო: „კომანდარმ გავრილოვის ჩამოსვლა“, — და აი, მესამე გვერდზე იტყობინებოდნენ, რომ: — „დღეს ჩამოდის კომანდარმი გავრილოვი, რომელმაც დროებით დატოვა თავისი არმია, რათა კუჭის წყლულის ოპერაცია გაიკეთოს“. იმავე სტატიაში ნათქვამი იყო, რომ, „ამხანაგ გავრილოვის ჯანმრთელობა შემაშფოთებელია, თუმცა პროფესორები პასუხისმგებლობას იღებენ, რომ ოპერაცია წარმატებული იქნება“.

გავრილოვი — რევოლუციის გამოცდილი ჯარისკაცი, ჯარისკაცი, კომანდარმი, მხედართმთავარი, რომელიც ათასობით ადამიანს სიკვდილზე აგზავნიდა, საომარი მანქანის გვირგვინი, მანქანისა, რომელიც მკვლელობებისათვის, სიკვდილისათვის და სისხლით მოპოვებული გამარჯვებებისათვის იყო მოწოდებული, — სკამის ზურგზე გადაიხარა, შუბლი ხელით მოიწმინდა, დაჟინებით შეხედა პოპოვს, თქვა:

— ალიოშკა გესმის? — ეს ჩვეულებრივი ამბავი არაა, მ-დაა, ვერაფერს იზამ — და დაიყვირა — შიკრიკო შინელი!

უკვე დღის თორმეტი საათი იყო, როცა ქალაქს დღის მომწვანო ბურუსი მოედო, — თუმცა უკვე აღარც კი ჩანდა ეს მომოწვანო ბურუსი, ვინაიდან ერთ მტკაველ მიწაზე, სადაც სახლები ჩარიგებულიყვნენ, ქალაქის მანქანა ამოძრავდა, დიდი, ძალიან რთული, მბრუნავი, ყველაფერი რომ ჩაუხრახნია ამ ქალაქში — მეფორნეებით, ტრამვაებით და ავტობუსებით, სახლები დაულაგებელი საწოლებით, სანაპიროზე მარშით მოსიარულე ჯარისკაცებით დაწყებული, მაღალჭერიანი ბუღალტერიების დარბაზებითა და ნარკომატების კაბინეტების საზეიმო მდუმარებით დამთავრებული, — ქალაქის რთული მანქანა, მდინარეთა ნაკადად რომ მიერეკება ადამიანებს დაზგებთან, მაგიდებთან, კონტორულებთან, მანქანებში, ქუჩებში, — მანქანა, რომლის მიღმა შეუმჩნეველი დარჩა რუხი ცა, ჟინჟღლი, ჭყაპი, დღის მწვანე ბურუსი.

თავი მეორე

ორი მთავარი ქუჩის გზაჯვარედინზე, იქ, სადაც დაუდევარ მწკრივებად მიედინებოდნენ ავტომობილები, ადამიანები, მეფორნეები — მესერს გადაღმა, სვეტებიანი სახლი იდგა. სახლი უტყუარად მიუთითებდა იმაზე, რომ ამ სვეტებს დაყრდნობილი, მდუმარე, მესრით დაყოვნებული ეს სახლი ასწლეულობით იდგა ასე, ამ ასწლეულთა სიმყუდროვეში. არანაირი ფირნიში არ იყო სახლზე. ამ სახლის კარიბჭესთან მიედინებოდნენ ადამიანები, ავტომობილების საყვირები, ბრბო, ადამიანის დრო, უღიმღამო დღე, მიედინებოდნენ მეგაზეთეები, ადამიანები პორტფელებით, ქალები მუხლებამდე ქვედაკაბებით და თხელი წინდებით, თვალს რომ ატყუებდნენ — ქალების ფეხები შიშველიაო; გრიფონებიანი კარიბჭის მიღმა დრო მშვიდდებოდა და ჩერდებოდა. მეორე სახლიც იდგა ქალაქის მეორე ბოლოში, ასეთივე კლასიკური არქიტექტურის, მესერს

მიღმა, სვეტებს მიღმა, ფრთიანი ფლიგელებით, ბარელიეფებზე გამოხატული მითიური აბდაუბ-დის შემზარავი სახეებით. ეს სახლი ქალაქის განაპირას იდგა, მის წინ მოედანი გადაჭიმულიყო, მოედანს კი თავს ადგა ქალაქის ამ ნაწილში ყველაზე ვრცელი, რუხი ცა, ქარხნის ორი მილი, ანტენები, სატელეგრაფო მავთულები. ეზოში, ყვავილთ-კვალში ყვავილებისა და იასამნების ნაცვლად არყის ხეები გაზრდილან, ამ შემოდგომის დღეს ფოთლებგაცვენილები, დასველე-ბულები და თავჩაქინდრულები რომ იდგნენ. ეზოსა და სახლს უკან დაკიდებულ ფლატეზე მდინარე მიედინებოდა, და მდინარის გაღმა მდელოებზე კვლავ გაწოლილიყო რუხი ცა, ჩამ-წკრივებულიყვნენ ფაბრიკების მილები, სოფლები, საყდარი; ფლატე არყის ხეებით გარშემოზ-რდილიყო, ზაფხულის ქარტეხილებს რომ გაეძარცვათ. ამ სახლს ორი კარიბჭე ჰქონდა, რომ-ლებზედაც ფავნთა სახეები მანჭვა-გრეხვით იმზირებოდნენ, იქვე სადარაჯო ჯიხურები დაე-დგათ, ჯიხურებთან სკამებზე დარაჯები ისხდნენ, წინსაფრებით, ქეჩის ჩექმებში, წინსაფრებზე სპილენძის ბალთებით. ალაყაფის კართან დახურული ავტომობილი იდგა, წითელი ჯვრებით და წარწერით —„სასწრაფო დახმარება“.

იმავე დღეს მსხვილი გაზეთის მოწინავეში გამოქვეყნდა სტატია — „ოქროს ვალუტის მესამე წლისთავისადმი“, აღნიშნული იყო, რომ მტკიცე ვალუტა შესაძლებელია არსებობდეს „მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი სამეურნეო ცხოვრება აგებული იქნება მყარ სამეურნეო გათვლებზე, მყარ ეკონომიკურ ბაზაზე. დოტაციები და სახალხო მეურნეობის არათანაბარზომიერად მარ-თვა ბიუჯეტთან მიმართებაში, გარდაუვალად მოშლის მტკიცე ფინანსურ სისტემას“. მსხვილი სათაური იუწყებოდა: „ჩინეთის ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ“. უცხოეთის განყოფილე-ბაში მოთავსებული იყო დეპეშები ინგლისიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ჩეხოსლოვაკი-იდან, ლატვიიდან, ამერიკიდან. დაბეჭდილი იყო დიდი სტატია: „რევოლუციური ძალადობის საკითხის შესახებ“. და ორი გვერდი განცხადებებს ეთმობოდა, სადაც ძალზე მსხვილად დაებე-ჭდათ: „ცხოვრებისეული სიმართლე — სიფილისი“. ს. ბროიდეს ახალი წიგნი „საგიჟეთში“.

სხვათაშორის, გაზეთის ამავე ნომერში ერთიმეორეზე მიყოლებით თეატრების, ვარიეტეთა, ღია სცენების, კინოების ათობით პროგრამაც იყო დაბეჭდილი, — და

— თუ სამუშაო დღე, დღე ნისლიანი, რიგების, მიღებების, მაღალჭერიანი ბუღალტერიების დარბაზთა საზეიმო მდუმარების, ქაღალდის დამზადებისა და მატყლის საქსოვ ფაბრიკებში დაზგების ტკაცანის, ქარხნებსა და სამჭედლოებში უროთა გრუხუნის, მიმავალი და მომავალი ორთქლმავლების სტვენის, ავტობუსებისა და ავტომობილების გუგუნის, ტრამვაების ზარების, ტელეფონების ზარებისა და სადარბაზოთა ზანზალაკების ჩეჩოტკის, რადიოს მოთქმის, — ქა-ლაქის მანქანის დღე, — ადამიანების, მამაკაცების, ქალების, ბავშვების, მოხუცების, მოწიფულ ადამიანთა დღე, —

— თუკი მოვლენების წინსწრებით სამუშაო დღესა და საქმეებს საღამო შეცვლის, როგორც ეს დრომ ჩაიდინა კიდეც, როცა დღე მწუხრით დაამძიმა, ფანჯრებს კი ფანრების ლიცლიცი მო-ჰფინა, ჟინჟღლით დანამული, ნამტირალევ თვალებს რომ წააგავდნენ, — ლიცლიცი, რითაც უჩინარი გახადა ზეცა, —

— მაშინ საღამო ხანს კინოს, თეატრებს, ვარიეტეებს, ღია სცენებსა და სამიკიტნოებს, ლუდხანებს — ათი ათასობით ადამიანი მიაწყდა. იქ, სანახაობათა ადგილებში, აჩვენებდნენ ყველაფერს, რასაც გინდა, აღრეული ჰქონდათ დრო, სივრცე და ქვეყნები, წარმოაჩენდნენ ბერძნებს ისეთებად, როგორებიც ისინი არასოდეს ყოფილან, ასირიელებს ისეთებად, როგორე-ბიც ისინი არასოდეს ყოფილან, — არასოდეს არსებულ ებრაელებს, ამერიკელებს, ინგლისე-ლებს, გერმანელებს — დაჩაგრულებს, არასოდეს არსებულ ჩინელებს, რუს მუშებს, არაკჩეევს, პუგაჩოვს, ნიკოლოზ პირველს, სტენკა რაზინს; გარდა ამისა, აჩვენებდნენ კარგად და ცუდად საუბრის უნარს, კარგ ან ცუდ ფეხებს, ხელებს, ზურგსა და მკერდს, კარგად ან ცუდად ცეკ-ვას და სიმღერას; ამას გარდა, აჩვენებდნენ სიყვარულის ყველა სახეობას და სასიყვარულო თავგადასავლებს, ისეთებს, რომლის მსგავსი თითქმის არ ხდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. გამოწყობილი ადამიანები რიგებად ისხდნენ, უყურებდნენ, უსმენდნენ, ტაშს უკრავდნენ, და, გამოეფინებოდნენ რა თეატრის ნათელი კიბეებიდან სველ ქუჩებში, ანაზდეულ კომენტარებს აკეთებდნენ, ცდილობდნენ ყოველთვის ჭკვიანები ყოფილიყვნენ. მერე ქუჩები ცარიელდებოდა, რათა ღამეში დაესვენათ, — და ღამით, ნაშუაღამევს, იმ დროს, როდესაც სოფლებში პირველი მამლები აყივლდებიან, შინ საწოლებში ქმრები და ცოლები, საყვარლები, უმეტესწილად მიეცე-

მიან იმას, რითაც ცხოველები, ფრინველები და მწერები გამთენიისას და მზის ჩასვლისას არიან დაკავებულნი.

დღე კი თავისი ჩვეული წესით მიედინებოდა, დროს ითვლიდა კანტორების, ბანკების, ქარხნებისა და ფაბრიკების საათებზე, საათებზე მოედნებთან, და ჯიბის საათებზე. მრავალგზის იწყებდა წვიმა წამოსვლას და მრავალგზის წყდებოდა. ერთხელ წამოთოვა კიდეც, უფრო მეტად რომ აზელილიყო თოვლ-ჭყაპი ქვაფენილებზე. ქალაქის მანქანა მუშაობდა ისე, როგორც ეგების, ისე, როგორც ყოველი მანქანა.

შუადღისას ნომერ პირველ სახლთან, იმ სახლთან, დრო რომ შეანელა, დახურული როისი გაჩერდა. მცველმა კარები გამოაღო, ლიმუზინიდან კომანდარმი გადმოვიდა. ომში, როდესაც ადამიანები შეტევაზე გადადიან, უფრო მეტად ხმაურობენ, ვიდრე იმ დროს, როცა არტილერია ურტყამს, — არტილერია უფრო მეტად ღრიალებს, ვიდრე პოლკი ბანაკში, — პოლკის შტაბებში მეტი ხმაურია, ვიდრე დივიზიების შტაბებში: არმიის შტაბებში მკაცრი სიჩუმე უნდა იყოს — მიტინგებზე უფრო მეტად ყვირიან, ვიდრე პრეზიდიუმში, — და კიდევ უფრო მეტი სიჩუმეა საგუბერნიო აღმასკომების პრეზიდიუმის სხდომებზე. —

ამ სახლში უხმაურო სიჩუმეს დაესადგურებინა, ყრუდ რეკდნენ ტელეფონები, არ ხმაურობდნენ საანგარიშოები, უხმოდ დადიოდნენ ადამიანები, არ ღელავდნენ ადამიანები, არ იხრებოდნენ ადამიანები, სწორად იდგნენ პლაკატებით შემოსილი კედლები, ნახატებს რომ ჩანაცვლებიან, ეწყო წითელი ფარდაგები, კარებთან წითელნიშნულებიანი ადამიანები იდგნენ. სახლის შორეულ ბოლოში კაბინეტის ფანჯრები ფარდებს ნახევრად დაეფარა, — ფანჯრებს მიღმა ქუჩა მიიკლაკნებოდა; კაბინეტში ბუხარი გიზგიზებდა; კაბინეტში, მაგიდაზე, წითელ მაუდზე, სამი ტელეფონის აპარატი იდგა, რათა ბუხარში დაწყობილ შეშასთან ერთად სიჩუმე დაემკვიდრებინა; ტელეფონის სამ აპარატს — ქალაქის სამი არტერია შემოჰყავდა კაბინეტში, რათა სიჩუმიდან ემართათ ქალაქი, სცოდნოდათ ქალაქის შესახებ, ყველა არტერიის შესახებ. კაბინეტში, საწერ მაგიდაზე ბრინჯაოს მასიური საწერი მოწყობილობა იდგა, საკალმეში დუჟინი წითელი და ცისფერი ფანქრები იყო ჩარჭობილი. კაბინეტში კედელზე, საწერი მაგიდის უკან, რადიომიმღები მიემაგრებინათ ორი წყვილი ყურსასმენით და ასეულივით ჩამწკრივებულიყო ელექტროზარების მთელი სისტემა — მისაღების ზარიდან დაწყებული, „სამხედრო განგაშის“ ზარით დამთავრებული. საწერი მაგიდის პირდაპირ ტყავის სავარძელი იდგა. საწერ მაგიდასთან კაბინეტში, ხის სკამზე მოუხრელი კაცი იჯდა. ფარდებს ფანჯრები ნახევრად დაეფარა, მაგიდაზე, მწვანე აბაჟურის ქვეშ, შუქი ენთო, — და ამ მოუხრელი კაცის სახე ჩრდილში არ ჩანდა.

კომანდორმა ხალიჩა გაიარა და სავარძელში ჩაჯდა.

პ ი რ ვ ე ლ ი — მოუხრელი კაცი:

— გავრილოვ, ჩემი და შენი სალაპარაკო არ უნდა იყოს რევოლუციის წისქვილის ქვა. სამწუხაროდ, ასე მგონია, რომ ისტორიული ჩარხი მეტისმეტად ტრიალებს სიკვდილითა და სისხლით, — განსაკუთრებით რევოლუციის ჩარხი. მე შენ როდი უნდა გესაუბრებოდე სიკვდილსა და სისხლზე. გახსოვს, ერთად როგორ მიგვყავდა წითელარმიელები ეკატერინოვოზე. შენ შაშხანა გქონდა, მეც მქონდა შაშხანა. ჭურვმა შენქვეშ ცხენი გაგლიჯა, და შენ ფეხით წახვედი წინ. წითელარმიელები უკან გაიქცნენ, და ერთი შენ ნაგანით მოკალი, ყველა რომ არ გაქცეულიყო. მეთაურო, შენ მეც დამხვრეტდი, რომ შემშინებოდა, და მე ვფიქრობ, მართალიც იქნებოდი.

მ ე ო რ ე, კომანდარმი:

— ოჰო, შენ აქ როგორ მოწყობილხარ, მთლად მინისტრივით, — შენთან აქ მოწევა შეიძლება? — ნამწვებს ვერ ვხედავ.

პ ი რ ვ ე ლ ი:

—ნუ მოსწევ, არ გინდა. შენი ჯანმრთელობა ამის საშუალებას არ გაძლევს. მე თვითონაც არ ვეწევი.

მ ე ო რ ე, მკაცრად, სწრაფად:

— ილაპარაკე შესავლების გარეშე, — რატომ გამომიძახე? არაა საჭირო დიპლომატობანა. თქვი!

პ ი რ ვ ე ლ ი: — მე შენ იმიტომ დაგიძახე, რომ ოპერაცია უნდა გაიკეთო.

შენ რევოლუციისათვის საჭირო კაცი ხარ. მე დავუძახე პროფესორებს, მათ მითხრეს, რომ ერთ თვეში ფეხზე დადგები. ამას რევოლუცია ითხოვს. პროფესორები შენ გელოდებიან, გაგ-

სინჯავენ, ყველაფერს დაადგენენ. მე უკვე გავეცი ბრძანება. ერთი გერმანელიც კი ჩამოვიდა.

მ ე ო რ ე: შენ როგორც გენებოს, მე კი მაინც მოვწევ. ჩემმა ექიმებმა მე მითხრეს, რომ ოპერაციის გაკეთება მე არ მჭირდება, ისედაც შეხორცდებაო. მე თავს სრულიად ჯანმრთელად ვგრძნობ, არვითარი ოპერაცია არაა საჭირო, არ მინდა.

პ ი რ ვ ე ლ მ ა ხელი უკან წაიღო, კედელზე ზარის ღილაკი მოსინჯა, დარეკა, შემოვიდა ჩუმი მდივანი, — პ ი რ ვ ე ლ მ ა იკითხა: „არის ვინმე მიღებაზე რიგში?“, — მდივანმა დასტურით უპასუხა. პ ი რ ვ ე ლ მ ა — არაფერი უთხრა, გაუშვა მდივანი.

პ ი რ ვ ე ლ ი:

— ამხანაგო კომანდარმო, გახსოვს, როგორ ვმსჯელობდით მე და შენ, გაგვეშვა თუ არა ოთხი ათასი კაცი ნაღდ სიკვდილზე. შენ გაეცი ბრძანება — წასულიყვნენ. სწორად მოიქეცი — სამი კვირის შემდეგ ფეხზე იქნები. — მაპატიე, მე უკვე გავეცი ბრძანება.

ტელეფონმა დარეკა, ქალაქის კი არა, შინაგანმა, იმ ტელეფონმა, რომელსაც სულ ცოტა ოცდაათი-ორმოცი მავთული უერთდებოდა. პ ი რ ვ ე ლ მ ა ყურმილი აიღო, უსმენდა, კითხვა გაუმეორა, თქვა: — „ნოტა, ფრანგებისათვის, — რა თქმა უნდა, ოფიციალური, როგორც გუშინ ვლაპარაკობდით, შენ ხვდები, გახსოვს, კალმახებს რომ ვიჭერდით? ფრანგები ძალიან არასაიმედონი არიან. როგორ? — ხო, ხო, — დააჩქარე. დროებით“.

პ ი რ ვ ე ლ ი:

— მე მაპატიე, აქ სალაპარაკო აღარაფერია, ამხანაგო გავრილოვ.

კომანდარმმა პაპიროსი ბოლომდე მოწია, ნამწვი წითელ და ცისფერ ფანქრებთან ჩააკვეხა, — სავარძლიდან წამოდგა.

კ ო მ ა ნ დ ა რ მ ი:

— მშვიდობით.

პ ი რ ვ ე ლ ი:

— ნახვამდის. —

კომანდარმმა წითელი ხალიჩა გაიარა და სადარბაზოსთან მივიდა, როისმა იგი ქუჩების ხმაურში გააქანა. მოუხრელი კაცი კაბინეტში დარჩა. მასთან მეტი აღარავინ მისულა. მოუხრელად იჯდა იგი და ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა, წითელი მსხვილი ფანქრით ხელში. დარეკა — მდივანი შემოვიდა, — მან თქვა: „ნამწვი მოაშორონ, აი აქედან, ამ საკალმედან“. და ისევ მდუმარედ დასცქეროდა ქაღალდებს წითელი ფანქრით ხელში. გავიდა საათი, ერთი, მეორე, ადამიანი ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა, მუშაობდა. ერთხელ ტელეფონმა დარეკა, იგი უსმენდა და უპასუხა: „ორი მილიონი მანეთი კალოშებითა და მანუფაქტურით თურქესტანისათვის, უსაქონლო ხვრელი რომ დავახშოთ. კი, ცხადია. კარგი, მიდი. დროებით“. უხმოდ შემოვიდა დერეფნის მეთვალყურე, ფანჯარასთან, მაგიდაზე ლანგარი დადო, რომელზედაც ხელსახოცგადაფარებული ჭიქა ჩაი და ცივი ხორცის ნაჭერი ეწყო, გავიდა. მაშინ მოუხრელმა კაცმა კვლავ დაურეკა მდივანს, ჰკითხა: „მზადაა საიდუმლო ცნობა?“ — და ისევ დიდხანს, მდუმარედ ჩაჰკირკიტებდა დიდ თაბახს, საგარეო საქმეთა სახკომის, ОГПУ—ს პოლიტიკური და ეკონომიკური განყოფილებების, ფინანსთა სახკომის, საგარეო ვაჭრობის სახკომისა და შრომის სახკომის რუბრიკებს. ამ დროს შემოვიდნენ — ერთი და მეორე, — ადამიანები იმ „ტროიკიდან“, რომელიც ადამიანთა ბედს წყვეტდა.

ქალაქს თავს დასტრიალებდა ყვითელი, მრუმე ბურუსში გახვეული დღე. სამი საათისათვის შუკებმა და ცამ გალურჯება და განაცრისფრება იწყეს. ოთხ საათზე, იმ დროს, როდესაც ქალაქი ჩამორეცხილ ფარანთა სველი შუშებით, მეძავთა სურმიანი თვალებივით აცრემლდა, როდესაც განსაკუთრებული ხალხმრავლობაა ქუჩებში, ღმუიან მანქანათა საყვირები, გუგუნებენ ქარხნები და მატარებლები, ჭრიალებენ ტრამვაები, — ორ ნომერ სახლთან, ქალაქის განაპირას, რამდენიმე ავტომობილი გაჩერდა. სახლი ისე ეხვეოდა წყვდიადში, თითქოს წყვდიადს აშმორებული ნესტის გათბობა შეეძლო. სახლის იმ ფანჯრებზე, მდინარის გაღმისპირეთის სივრცეს რომ გადაჰყურებდნენ, დაისის უკანასკნელი სხივი იწვოდა, და იქ, ამ სივრცის მიღმა, ეს სხივი დალეკერტებულ, ლაინისფერ სისხლად გამოედინებოდა. — სახლის კარებთან ორი მილიციელი დადგა, წინსაფრიან და ქეჩისჩექმებიან გუშაგთა გვერდით. საპარადო შესასვლელთანაც ორი მილიციელი დადგა. წითელი მეთაური, წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით, ტირიფის წნელივით მოქნილი, — ორ წითელარმიელთან ერთად სადარბაზოში შევიდა. სახლში შესვენების დრო

იყო, სიწყნარე სუფევდა, მხოლოდ სადღაც შორს, ხმადაბლა ღიღინებდა მესასთუმლე, თუ როგორ მივა მდინარესთან, როგორ შეავლებს თვალს ჩქარ დინებას. წითელ მეთაურს და წითელარმიელებს მისაღებში თეთრხალათიანი მამაკაცი შეეგება. „დიახ, დიახ, დიახ, იცით რა“ — მაშინ კი შეწყდა მესასთუმლის სიმღერა, შორიდან რომ ისმოდა. მისაღებში ფანჯრები მდინარის გაღმისპირეთის სივრცეს გადაჰყურებდნენ. აქ, ფანჯრებზე ფარდები არ ეკიდა. აქ კედლები თეთრად იყო შეღებილი, და ჭერიდან თეთრი ელექტროშუქი ეცემოდა. აქ ტელეფონები არ იდგა. ოთახი იყო დიდი და უკაცრიელი. შუაში თეთრმუშამბაგადაფარებული მაგიდა იდგა, მაგიდის ირგვლივ კი ისეთი ერთფეროვანი, მაღალზურგიანი სკამები დაედგათ, რკინიგზის სადგურებში რომაა. კედელთან ზეწარგადაფარებული დივანი იდგა, დივანთან ხის ტაბურეტი. კუთხეში, ხელსაბანის თავზე, შუშის თაროზე დაეწყოთ სხვადასხვა სახელდების პატარა ბოთლები, შტოფები სულემის ხსნარით, ქილა მწვანე საპნით, — იქვე ეკიდა ყვითელი, გაულილავებელი ხელსახოცები. პირველი ავტომობილებით პროფესორები, თერაპევტები, ქირურგები მოვიდნენ. მისაღებში ადამიანები სერთუკებსა და შავ ჟაკეტებში შედიოდნენ; ეს ადამიანები პიჯაკებს იხდიდნენ და თეთრი ხალათებით იმოსებოდნენ. ფანჯრებში მდინარის გაღმისპირეთის დაისის ლექი ჩამკვდარიყო. ადამიანები შემოდიოდნენ, ესალმებოდნენ ერთმანეთს; მასპინძლად მათ მაღალი, წვერიანი, გულთბილი, მელოტი კაცი ეგებებოდა. მეცნიერების, კონკრეტულად კი მედიცინის წარმომადგენლები, უმეტესწილად რატომღაც ძალიან შეუხედავები არიან: მათ ან არ უვითარდებათ ყვრიმალები, ან ისეთნაირად აქვთ ჰიპერტროფირებული, რომ ყურებზე განივრად უჩანთ; მათი თვალები თითქმის ყოველთვის სათვალეებს ქვეშ, ანდა საფეთქლებზე სხედან, ან თვალის ბუდეთა შორეულ კუთხეებში შემძვრალან; ზოგიერთ მათგანს ბედმა თმები საერთოდ არ უწყალობა და თითო-ოროლა ღერი ეზრდება კისერზე, — სხვებს თმა ეძალება არამარტო ღაწვებსა და ნიკაპზე, არამედ ცხვირზე, ყურებზე; და სწორედ ამ გარემოებამ წარმოშვა უთუოდ მეცნიერთა წრეში უცნაურობის ჩვევა, როდესაც ყოველი მეცნიერი აუცილებლად უცნაურია, ამასთან ეს უცნაურობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის მათ განსწავლულობას. თუმცაღა ახლა, ამ მისაღებში უცნაურობას, როგორც ჩანს, ადგილი არ ჰქონდა. ის, ვინც მოსულებს ეგებებოდა, მასპინძელი, ქირურგი, პროფესორი, ისე გაბანჯგვლულა, რომ თმები ცხვირზედაც კი ამოსვლია, — მის უცნაურობაზე ახლა მხოლოდ ხშირი, ტევრივით გაბარდნილი თმა მიანიშნებდა, რაზედაც პატარა სათვალე დასკუპებულიყო და მელოტი თავიც უცნაურად უპრიალებდა. მის შესახვედრად პროფესორი ლოზოვსკი გამოემართა, ოცდათხუთმეტი წლის მამაკაცი, გაპარსული, სერთუკში, სწორკადონიანი პენსნეთი, თვალის ბუდეთა კუთხეებში ღრმად შემძვრალი თვალებით.

— დიახ, დიახ, დიახ, ასეა.

მელოტმა კაცმა ბანჯგვლიანს ლუქისბეჭდიანი გახსნილი კონვერტი გადასცა. ბანჯგვლიანმა კაცმა ქაღალდის ფურცელი ამოიღო, სათვალე გაისწორა, წაიკითხა, — ისევ გაისწორა სათვალე, გაოცებით, ფურცელი მესამეს გადასცა. —

გაპარსულმა კაცმა დიდის ამბით განაცხადა:

— როგორც ხედავთ, ქაღალდი საიდუმლოა, თითქმის ბრძანებაა. დილით გამომიგზავნეს. ხომ ხვდებით.

პიეველი, მეორე, მესამე — ნაწყვეტები საუბრებიდან, დაბალი ხმით, აჩქარებულად.

— კონსილიუმი აქ რა შუაშია?

— მე აქ ექსტერნად გამომიძახეს. დეპეშა უნივერსიტეტის რექტორის სახელზე მოვიდა.

— კომანდარმი გავრილოვი, — იცით, ის, რომელიც.

— დიახ-დიახ-დიახ, იცით რა, — რევოლუცია, არმიის მეათაური, ფორმულა, — და — მო-ო-ბრძანდით.

— კონსილიუმი.

— თქვენ ის გინახავთ, ბატონებო, — ამხანაგი გავრილოვი, — რა კაცია?

— დიახ, დიახ, დიახ, ხომ იცით, ბატენკა.

ელექტროშუქი აქ მკაფიო, გამოკვეთილი ჩრდილებით ეცემოდა. დაისის სკნელმა თან გაიყოლა გაღმა მდინარისპირეთის უკიდეგანო სივრცე. ერთმა მეორეს ხალათის ზედა ჯიბის ღილზე მოკიდა ხელი; ერთმა მეორეს ხელი გამოსდო, რომ გასულიყვნენ. მაშინ: — ხმამაღლა, ნელა, მშვიდად — ერთი, მეორე, მესამე:

— პროფესორ ოპპელის მოხსენება შინაგანი სეკრეციის შესახებ, ქირურგთა ყრილობაზე. ოპონენტად მე გამოვდიოდი — თორმეტგოჯა ნაწლავი.

— დღეს მეცნიერთა სახლში.

— მადლობა, მეუღლე კარგადაა, ოდნავ აწუხებს კოლიტი. ეკატერინე პავლოვნა როგორაა?

— პაველ ივანოვიჩ, თქვენი სტატია დაბეჭდილია „საზოგადოებრივ ექიმში“.

მაშინ: კარებში წითელარმიელთა შაშხანებმა გაიჟღარუნეს, ქუსლი ქუსლს შემოჰკრეს, წითელარმიელები უძრავად გაქვავდნენ; კარებში გამოჩნდა ტირიფის წნელივით მაღალი, შოლტივით მოქნილი, მკერდზე წითელვარსკვლავიანი ახალგაზრდა, კარის წინ გაიჭიმა, — და შემდეგ, მისაღებში სწრაფად შევიდა კომანდარმი, თმები ხელით უკან გადაიწია, გიმნასტურის საყელო გაისწორა, — თქვა:

— გამარჯობა, ამხანაგებო! — მიბრძანებთ გავიხადო?

მაშინ: — პროფესორები აუჩქარებლად დასხდნენ მუშამბიან სკამებზე მაგიდის ირგვლივ, იდაყვები მაგიდაზე დააწყვეს, ხელები მოიფშვნიტეს, სათვალეები და პენსნეები მოირგეს, ავადმყოფს სთხოვეს დამჯდარიყო. მან, რომელმაც პაკეტი გადასცა, რომლის თვალები პენსნეს ქვეშ თვალის ბუდეებს შეზრდოდა, ბანჯგვლიანს უთხრა:

— პაველ ივანოვიჩ, თქვენ როგორც primus inter pares*, ვფიქრობ უარს არ იტყვით თავმჯდომარეობაზე.

— მიბრძანებთ გავიხადო? — იკითხა კომანდარმმა და ხელით საყელო მოსინჯა.

კონსილიუმის თავმჯდომარემ ისეთი სახე მიიღო, თითქოს არ გაუგია კომანდარმის შეკითხვა და თავმჯდომარის ადგილის დაკავებისას, ხმადაბლა წარმოთქვა:

მე მიმაჩნია, აჯობებს ჯერ ვკითხოთ ავადმყოფს, როდის გაუჩნდა დაავადების ჩივილები და რა პათოლოგიურმა ნიშნებმა აგრძნობინეს მას, რომ იგი ავადაა. მერე კი გავსინჯოთ ავადმყოფი.

...პროფესორების ამ კონსილიუმიდან ერთი ქაღალდიღა შემორჩა, გაურკვეველი პროფესორული ხელით ნაწერი, ყვითელი ქაღალდი, ხაზების გარეშე, უდიერად მოხეული, — ხის ნახერხისაგან დამზადებული ქაღალდი, რომელიც სპეციალისტებისა და ინჟინრების მონაცემების მიხედვით, შვიდ წელიწადში სავსებით უნდა გაცრეცილიყო.

კ ო ნ ს ი ლ ი უ მ ი ს ო ქ მ ი, ამა და ამ პროფესორის, ამა და ამ პროფესორის, ამა და ამ პროფესორის შემადგენლობით (ასე შვიდჯერ).

ავადმყოფი, მოქ. ნიკოლაი ნიკოლაევიჩ გავრილოვი შემოვიდა შემდეგი ჩივილებით: ტკივილი კუჭისქვეშა არეში, ღებინება, კუჭის წვა. მისდა შეუმჩნევლად დაავადდა ორი წლის წინ. მკურნალობდა მხოლოდ ამბულატორიულად, დადიოდა კურორტებზე — არ უშველია. ავადმყოფის მოთხოვნით, შეიკრიბა კონსილიუმი ზემოთჩამოთვლილ პირთა შემადგენლობით.

status praesens*. ავადმყოფის საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ფილტვები — N*. გულის მხრივ შეიმჩნევა ოდნავი გაფართოება, გახშირებული პულსი. neurastenia* სუსტი ფორმით. სხვა ორგანოების მხრივ, მუცლის გარდა პათოლოგიური არაფერი აღენიშნება. დადგენილია, რომ ავადმყოფს, როგორც ჩანს, აქვს ulkus ventriculi* და აუცილებელია გაუკეთდეს ოპერაცია.

კონსილიუმი ავადმყოფის ოპერირებას პროფესორ ანატოლი კუზმიჩ ლოზოვსკის სთავაზობს. პროფ. პაველ ივანოვიჩ კოკოსოვმა თანხმობა განაცხადა ოპერაციის დროს ასისტენტობაზე.

ქალაქი, რიცხვი, შვიდი პროფესორის ხელმოწერა.

მოგვიანებით, ოპერაციის შემდეგ, პირად საუბრებში გაირკვა, რომ სინამდვილეში, არცერთი პროფესორი არ თვლიდა საჭიროდ ოპერაციის გაკეთებას, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ავადმყოფობის მიმდინარეობის ფონი ოპერაციას არ მოითხოვდა, მაგრამ მაშინ, კონსილიუმზე, ამის შესახებ არაფერი უთქვამთ, მხოლოდ ჩუმად მყოფმა გერმანელმა წამოაყენა წინადადება ოპერაციის ზედმეტობაზე, თუმცა კოლეგების შეპასუხების შემდეგ დაჟინებით აღარც მას მოუთხოვია რაიმე; და კიდევ იმასაც ყვებოდნენ, რომ უკვე კონსილიუმის შემდეგ, როცა მანქანაში ჯდებოდნენ მეცნიერთა სახლში წასასვლელად, კოკოსოვმა, იმან, რომელსაც თვალები თმებში

შეზრდოდა, პროფესორ ლოზოვსკის უთხრა: —„ნუ, იცით რა, ასეთი დაავადება ჩემს ძმას რომ ჰქონოდა, მე ოპერაციას არ გავუკეთებდი“, — რაზეც პროფესორმა ლოზოვსკიმ უთხრა:

„კი, რა თქმა უნდა, მაგრამ... მაგრამ, ოპერაცია ხომ უსაფრთხოა“... — ავტომობილი ახმაურდა, დაიძრა, ლოზოვსკი მოხერხებულად მოკალათდა, პალტოს კალთები გაისწორა, კოკოსოვისაკენ გადაიხარა და ისე, რომ მძღოლს არ გაეგო, წასჩურჩულა:

— შემზარავი ფიგურაა ეს გავრილოვი, არავითარი ემოცია, არც ნახევარტონი, —„მიბრძანებთ გავიხადო? მე, იცით, ოპერაცია ზედმეტად მიმაჩნია, მაგრამ თუ თქვენ, ამხანაგებო ამას აუცილებლად თვლით, მითხარით დრო და ადგილი, სადაც ოპერაციაზე უნდა გამოვცხადდე“. — ზუსტად და მოკლედ.

— დიახ-დიახ-დიახ, ბატენკა, ხომ გესმით, — ბოლშევიკია, ხომ იცით, ვერაფერს იზამ, — თქვა კოკოსოვმა.

ღამით, იმავე დღეს, იმ დროს, როდესაც კინოებში, თეატრებში, ვარიეტეში, სამიკიტნოებსა და ლუდხანებში ათასობით ადამიანი ირეოდა, როდესაც შლეგი ავტომობილები თავიანთი ფარნებით ქუჩის გუბეებს თქვლეფდნენ და ამ ფარნებით, ტროტუარებზე, მოსიარულე ბრბოს უცნაური მოყვანილობის აჩრდილები იხატებოდა, — როცა თეატრებში, ერთმანეთში ურევდნენ სივრცეს და ქვეყნებს, არარსებულ ბერძნებს, ასირიელებს, რუს და ჩინელ მუშებს, ამერიკისა და სსრკ-ს რესპუბლიკელებს, სადაც მსახიობები ყველანაირი საშუალებებით აიძულებდნენ მაყურებელს აღტაცებაში მოსულიყვნენ და ტაში დაეკრათ, — ამ დროს ქალაქს, გუბეებს, სახლებს, თავს წამოადგა მთვარე, რომელიც ქალაქს არ სჭირდებოდა; ღრუბლები ძალიან მიიჩქაროდნენ, და თითქოს მთვარე შეშინებულიყო, ჩქარობდა, გარბოდა, მიხტოდა, რათა სადღაც მიესწრო, სადღაც არ დაგვიანებოდა თეთრ მთვარეს ლილისფერ ღრუბლებსა და ცის მრუმე უფსკრულებში.

ამ დროს, მოუხრელი კაცი, ნომერ პირველ სახლში, ჯერ კიდევ თავის კაბინეტში იჯდა. ფანჯრები ყრუდ დაეფარა ფარდებს, კვლავ გიზგიზებდა ბუხარი. სახლი სიჩუმეში გარინდულიყო, თითქოს ეს სიჩუმე ასწლეულებს დაეუნჯებინათ. კაცი თავის ხის სკამზე იჯდა. ახლა მის წინ სქელტანიანი გადაშლილი წიგნები ეწყო გერმანულ და ინგლისურ ენებზე, — იგი წერდა, — რუსულად, მელნით, სწორი, გამართული ხელწერით, გერმანულ Lainen-Post-ში. ის წიგნები, რომლებიც მის წინ ეწყო გადაშლილი, იყო წიგნები სახელმწიფოზე, სამართალსა და ძალაუფლებაზე.

კაბინეტში შუქი ჭერიდან ეცემოდა და ახლა უკვე კაცის სახე ჩანდა: არაფრით გამორჩეული, შესაძლებელია ოდნავ ხისტი, ყოველ შემთხვევაში, ძალზედ დაძაბული და არანაირად დაღლილი. კაცი წიგნებსა და ბლოკნოტებს დიდხანს ჩაჰკირკიტებდა. მერე დარეკა, და მასთან სტენოგრაფისტი ქალი შემოვიდა. მან კარნახი დაიწყო. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი გამონათქვამები იყო — სსრკ, ამერიკა, ინგლისი, — დედამიწა და სსრკ, ინგლისური სტერლინგები და ფუთობით რუსული ხორბალი, ამერიკული მძიმე ინდუსტრია და ჩინეთის მუშახელი. კაცი ხმამაღლა და მტკიცედ ლაპარაკობდა, მისი ყოველი ფრაზა ფორმულა იყო.

ქალაქის თავზე მთვარე მიცურავდა.

ამ დროს, დიდი სასტუმროს ნომერში, პოპოვთან, კომანდარმი იჯდა. სასტუმრო მხოლოდ კომუნისტებს ეკავათ, რომლებიც აქ თვრამეტ წელს ჩასახლებულიყვნენ, მაშინ, როცა აჯანყებათა კვამლში აუცილებელი იყო ერთმანეთის გვერდით ყოფნა. ნომერი დიდი იყო, მდიდრულად გაწყობილი, თუმცა როგორც ყოველი სასტუმროს ნომერი, ისიც დროებითობაზე, მგზავრობაზე მიანიშნებდა, მისთვის დამახასიათებელი მყუდროების საპირისპირო არსით. ისინი სამნი ისხდნენ — გავრილოვი, პოპოვი და პოპოვის ორი წლის ქალიშვილი — ნატაშა. პოპოვი დივანზე გაშოტილიყო, გავრილოვი მაგიდასთან იჯდა, მის მუხლებზე ნატაშა მოუსვენრობდა. გავრილოვი ასანთებს ანთებდა; ნატაშა კი გაკვირვებული, ისე როგორც ეს სამყაროს საიდუმლოებებით გაოცებულ ბავშვებს მოსდით, შესცქეროდა ცეცხლს, მერე მრგვლად აწყობდა ტუჩებს და ცეცხლს უბერავდა, — თუმცა არც ერთხელ არ ეყო სუნთქვა იმისათვის, რომ ცეცხლი ჩაექრო, მერე ასანთი თვითონ ქრებოდა, და მაშინ იდუმალებით გამოწვეული იმდენი გაკვირვება, აღტაცება და შიში აღიბეჭდებოდა ნატაშას ცისფერ თვალებში, რომ შეუძლებელი იყო არ აგენთო ახალი ასანთი და ქედი არ მოგეხარა იმ იდუმალების წინაშე, რომელიც თავისთავად არსებობდა თვით ნატაშაში. მერე გავრილოვმა ნატაშა დასაძინებლად დააწვინა, საწოლთან მიუჯდა და

უთხრა: „შენ თვალები დახუჭე, მე კი სიმღერებს გიმღერებ“, — და წამოიწყო სიმღერა ისე, რომ არასოდეს უმღერია, და არც რაიმე სიმღერა იცოდა; სიმღერას იქვე იგონებდა:

Пришел козел сказал:
«а ты спи, спи, спи, спи, спи », —

გაიღიმა, ეშმაკურად გახედა ნატაშას და პოპოვს, და ის, რაც პირველად მოუვიდა თავში «спи, спи, спи, спи, » სიტყვების თანაჟღერადობით დაამღერა:

Пришел козел, сказал:
«А ты спи, спи, спи, спи, спи...
Но не пис, пис, пис, пис, пис »...

ნატაშამ თვალები გააღო, გაიღიმა, გავრილოვი კი ისევ და ისევ მღეროდა ამ ბოლო ორ პწკარს, უნიჭოდ (საერთოდ ცუდად მღეროდა), ვიდრე ნატაშას არ ჩაეძინა.

მაშინ, ორნი, გავრილოვი და პოპოვი ჩაის სვამდნენ, პოპოვის წითელი ჩაიდნიდან, რომელზე-დაც თეთრი მინანქრით ეწერა: „ამხანაგ პოპოვს, ქარხანა ლისივის მუშებისაგან, ოქტომბრის მეხუთე წლისთავის დღის აღსანიშნავად“. ამ ჩაიდნით მიდიოდა პოპოვი სამზარეულოში, სადუ-ღარი კუბიდან ადუღებული წყლის ასაღებად. მან გაზეთზე გაშალა ჭიქები, თეფშები კარაქითა და ყველით, ერთ პარკში შაქარი იყო, მეორე პარკში — პური. პოპოვმა ჰკითხა: „ბურღულის ფაფა ხომ არ მოგიხარშო ნიკოლკა?“.

ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, ხმადაბლა საუბრობდნენ, მშვიდად, არსად ეჩქარებოდათ, ჩაი ბევრი დალიეს, გავრილოვი ფინჯნიდან სვამდა, გიმნასტურის საყელო გაეღეღა. აქეთურ და იქითურ წვრილმანებზე საუბრის შემდეგ, მეორე ჭიქა ჩაის დალევისას, ისე, რომ ჯერ კიდევ ნახევარიც არ შეესვა, პოპოვმა ჭიქა განზე გადგა, ცოტა ხნით გაჩუმდა, მერე თქვა:

— ნიკოლკა, ჩემმა ზინამ კი მიმატოვა, ბავშვი მომიგდო, ვიღაც ინჟინერთან წავიდა, რო-მელიც ადრე ჰყვარებია, ეშმაკმა იცის მისი თავი. მის განსჯას არ დავიწყებ, არ მინდა ლაძღვა-გინებით წავიბილწო, ისე კი უნდა ითქვას, რომ ძუკნა ძაღლივით გაიქცა, არაფერი უთქვამს, მალულად. იმის თქმაც არ მინდა, რომ არც არასოდეს ვყვარებივარ და მხოლოდ მდგომარეობის გამო ჩერდებოდა ჩემთან, მაგრამ მაინც ისე გამოდის, რომ ჩემგან აბრეშუმის წინდების, სუ-ნამოების, და რა ვიცი, პუდრის გამო გაიქცა. საკუთარი თავის მრცხვენია, ადამიანი ორმოდან ამოვიყვანე, ფრონტზე თავს ვევლებოდი, მიყვარდა, და როგორც სულელი ვათბობდი ადამიანს, ის კი, თურმე ნუ იტყვი და, ქალბატონი გამოდგა — ვერ შევიცანი ადამიანი, რომელმაც ჩემთან ხუთი წელი იცხოვრა.

და პოპოვი დაწვრილებით ყვებოდა უთანხმოების ყველა წვრილმანზე, რაც ყოველთვის მტკივნეულია სწორედ თავისი სიწვრილმანით, იმ სიწვრილმანით, რომლის მიღმა დიდი და მნიშვნელოვანი შეუმჩნეველი რჩება. შემდეგ ბავშვებზე დაიწყეს საუბარი, და გავრილოვი თა-ვისი ცოლის შესახებ ყვებოდა, ხანი რომ შეეტყო უკვე და მაინც ერთადერთი იყო გავრილოვის ცხოვრებაში. დიდხანს ილაპარაკეს ნატაშაზე, იმაზე თუ რა უნდა ექნა პოპოვს, როგორ მოევლო მისთვის, თუ ისიც კი არ იცის, ქოთანზე ნორმალურად როგორ დასვას, ან ნანინათი როგორ დააძინოს. მერე პოპოვი ვოდოვოზოვას, მონტესსორის, პინკევიჩის წიგნებს აჩვენებდა, — ხე-ლებს შლიდა, და — გამუდმებით ჩაის სვამდნენ, უკვე გაცივებულ ჩაის.

ქალაქის თავზე მთვარე მიიჩქაროდა. იმ დროს, როცა ქალაქის ქუჩები ცარიელდებოდა, რათა ღამის მყუდროებაში დაესვენათ, სოფლებში პირველმა მამლებმა იყივლეს; მაშინ, როცა ადამიანები ღეჭვით ინელებდნენ: ვახშამს, დღის შთაბეჭდილებებსა და ჭკვიანურ სენტენციებს ამ დღის შესახებ, როცა ქმრები, ცოლები, საყვარლები საწოლებში მიძვრებოდნენ, — გავრილო-ვი პოპოვისგან მიდიოდა.

— რამე წიგნი მომეცი, — ოღონდ იოლი წასაკითხი, კარგ ადამიანებზე, კარგ სიყვარულზე, უბრალო ურთიერთობებზე, უბრალო ცხოვრებაზე, მზეზე, ადამიანებსა და უბრალო ადამიანურ სიხარულზე.

ასეთი წიგნი პოპოვს არ აღმოაჩნდა.

— აი, ესეც შენი რევოლუციური ლიტერატურა, — თქვა ხუმრობით გავრილოვმა. — კარგი, კარგი, მე კიდევ ერთხელ წავიკითხავ ტოლსტოის. მართლაც ძალიან კარგად აღწერს ძველი ხელთათმანების ამბავს მეჯლისზე. — და გავრილოვი მოიღუშა, გაჩუმდა, მერე ხმადაბლა თქვა: — ალიოშკა, მე შენთვის არ მითქვამს, ფუჭ საუბარზე დრო რომ არ დაგვეხარჯა. დღეს მე უფროსობასთან ვიყავი და საავადმყოფოშიც, პროფესორებთან. პროფესორები გონიერებას აფრქვევდნენ. არ მინდა რომ გამჭრან, მეურჩება შინაგანი განწყობა. ხვალ დანის ქვეშ უნდა დავწვე. შენც მაგ დროისთვის მოდი საავადმყოფოში, ძველი დრო არ დაივიწყო. ჩემს შვილებს და მეუღლეს ნურაფერს მისწერ. მშვიდობით! — და გავრილოვი ოთახიდან გავიდა, ისე, რომ პოპოვს ხელი არ ჩამოართვა.

სასტუმროსთან დახურული მანქანა იდგა. გავრილოვი მანქანაში ჩაჯდა და ჩაილაპარაკა: — „შინ, ვაგონში“, და მანქანა შუკებს გაუყვა. სათადარიგო გზების ლიანდაგებზე მთვარე მისრიალებდა. ძაღლმა გადაირბინა, დაიწკმუტუნა და ლიანდაგების ღამეული მდუმარების სივრცეში გაუჩინარდა. ვაგონის საფეხურებთან გუშაგი იდგა. გაქვავდა, ვიდრე კომანდარმი ადიოდა. კორიდორში ორდინარეცი გაჩნდა, გამცილებელმა თავი გამოჰყო, — ვაგონში შუქი აინთო. — და იქ უცნაურმა, უტყვმა, პროვინციულმა სიჩუმემ დაისადგურა. კომანდარმი კუპე-ვაგონში შევიდა, ჩექმები გაიძრო, საღამურ ფლოსტებში წაჰყო ფეხები, გიმნასტურის საყელო გაიღეღა, — დარეკა: — „ჩაი“. სალონში გავიდა, მაგიდის ლამპას მიუჯდა, გამცილებელმა ჩაი მოიტანა, მაგრამ კომანდარმს პირი არ დაუკარებია; კომანდარმი დიდხანს კითხულობდა წიგნს „ბავშვობა და ყრმობა“, კითხულობდა, ფიქრობდა წიგნზე. მაშინ კომანდარმი საძინებელში შევიდა, დიდი ბლოკნოტი გამოიტანა, დარეკა, შიკრიკს უთხრა, — „მელანი, გეთაყვა“, და შეუდგა წერას, წერდა ნელა, უფიქრდებოდა ყოველ ფრაზას. დაწერა ერთი წერილი, გადაიკითხა, შეფიქრიანდა, მერე კონვერტში ჩადო და დააწება. მეორე წერილი დაწერა, ისევ დაფიქრდა, ისიც დააწება. მესამე წერილიც დაწერა, ძალიან მოკლე, ჩქარა წერდა, — არც გადაუკითხია, ისე დააწება. ვაგონში სამარისებური სიჩუმეა. საფეხურებთან გუშაგი გაქვავდა. კორიდორში გაქვავდნენ ორდინარეცი და გამცილებელი. თითქოს დროც გაქვავდა. კომანდარმის წინ დიდხანს ეწყო წერილები, თეთრ პაკეტებში, ზედ წაწერილი მისამართებით. მაშინ კომანდარმმა ერთი დიდი პაკეტი აიღო, სამივე წერილი შიგ ჩააწყო, დააწება და პაკეტს დააწერა: „გაიხსნას ჩემი სიკვდილის შემდეგ“. ჩვეულებისამებრ წამოდგა, დასაძინებლად რომ წასულიყო: საძინებელში გიმნასტურა გაიხადა, დაძინების წინ დაიბანა, გაიხადა, შუქი ჩააქრო. და სამი-ოთხი საათი, ვაგონი წყვდიადსა და მდუმარებაში დაინთქა. ეს მესამე მამლების ჟამი იყო. მაშინ გამცილებელს კომანდარმის კუპეში რომ შეეხედა, მისთვის მოულოდნელად, იქ, იმ ადგილზე, სადაც კომანდარმის თავი უნდა ყოფილიყო, პაპიროსის წითელ ალს დაინახავდა, მისთვის მოულოდნელად იმიტომ, რომ კომანდარმი ჩვეულებრივ არ ეწეოდა.

და მაშინ გამცილებელთან მძაფრად დარეკა კომანდარმის ზარმა.

კომანდარმი მხედართმთავრის ხმით ლაპარაკობდა:

— უნდა ჩავიცვა. თბილი შინელი. გარაჟში დარეკეთ, — სპორტული, გადახდილი, ორადგილიანი, — თვითონ წავიყვან. საბჭოების სახლთან შემაერთეთ, პოპოვის ნომერთან.

პოპოვს კომანდარმმა ტელეფონში უთხრა:

— ალექსეი, მე ახლა გამოვდივარ, გამოგივლი. სადარბაზოსთან ჩამოდი. გავრილოვი ვარ. იჩქარე.

სპორტული, ორადგილიანი, ასსიმძლავრიანი მანქანა ადგილს მოწყდა მეორე სიჩქარით, და მარაოსებრი მობრუნებისას თეთრი სინათლის ჭავლი გატყორცნა, — მძღოლი გვერდზე გახტა, — საჭესთან კომანდარმი იჯდა, — საყვირმა დაიღრიალა და მანქანა ქარისა და სივრცის კვეთით, ნარჩენი გუბეების, შუკების, დუქნებისა და დაწესებულებათა ფირნიშების გასარღვევად გაიჭრა. პოპოვი გაოცებული იდგა, ნამძინარევი. როგორც ეტყობა, მანქანამ კარგა მაგრად გაგლიჯა რეზინის სალტეები, როცა საბჭოების სახლის წინ გაჩერებისას სიჩქარე მოწყვიტა. პოპოვი უხმოდ ჩაჯდა. და მანქანა უმალ უკან ისროდა ქუჩებს, შუკებს, წუმპეთა შხეფებს, ფარნების ნათებას. ჰაერი მკვრივდებოდა და მკვრივდებოდა, მერე კი ქარის ღმუილით შემოიჭრა მანქანაში, დაიწივლა, ყინულად იქცა და უფრო სუსხიანი გახდა, — გზაჯვარედინებზე ფარნები აქთ-იქით არხევდნენ სინათლის სხივებს, ეფინებოდნენ და უმალ უკუიქცეოდნენ, — ერთიმეო-

რეზე მიყოლებით ჩაიქროლეს მილიციელებმა. მაგრამ მანქანა უკვე დაუსხლტა სახლებისა და ქუჩების გროვას, ქალაქის კარიბჭეს გასცდა და უკაცრიელი სივრცეებისაკენ, ტრამვაის შორეულ ლიანდაგებზე აქა-იქ მოციმციმე აირმაშუქებისა და მინდვრების მრუმე წყვდიადისაკენ აიღო გეზი. ყველა სიჩქარე ზღვარს იყო გადასული. ჰაერი და ქარი სრულიად შეშლილიყვნენ, სუნთქვას სერავდნენ და ახშობდნენ. მანქანის ქვეშ გზატკეცილი უკვე კარგა ხანია, რაც თეთრ, სწორ მანდილად იქცა, რაზედაც არ ჩანდა აღარც ღრმულები, აღარც გზატკეცილის ნაპირებზე მოქუჩებული ქვის გროვები, — და მაშინ, როცა გზატკეცილზე ძალიან ღრმა ღრმულები აღმოჩნდებოდა, მანქანა კამარას შეკრავდა, რამდენიმე საჟენზე ჰაერში მიფრინავდა და სალტეებიდან გამოტყორცნილ ქვების ხმაურს კარგავდა. ერთი, და ორი, და სამი, მანქანის შუქები ხის ქოხმახების კედლებს აწყდებოდნენ, ქოხები ცხვრებივით აქეთ-იქით იფანტებოდნენ და სოფელი უკან რჩებოდა ძაღლების წკავწკავში. ორ გორაკს შორის, ღარტაფში, მანქანის შუქები შემოდგომის ნისლის ნაცრისფერ ნაფლეთებში გაიბლანდა და ცხადი გახდა, რომ ნისლსაც შეუძლია იფრინოს, ინივლოს, მიისწრაფოდეს, ქარბუქივით ღმუოდეს და სახეს ჩხვლეტდეს. გავრილოვი იჯდა, საჭეს ჩაფრენილი, უკუდურესი ყურადღება, სიზუსტე და გათვლა, — და სულ წინ და წინ, უფრო ძლიერად და ძლიერად, სწრაფად — მიაქროლებდა მანქანას გავრილოვი. პოპოვი უკვე კარგა ხანია მანქანის ძირზე ოთხით დამხობილიყო, გამწარებული ჩასჭიდებოდა მანქანის ფსკერს და თავს ზემოთ არ სწევდა. ასეთნაირად, უთუოდ ერთი საათის მანძილზე, მანქანამ ასი ვერსი გაკვეთა. მერე კი იქ, რომელიღაც ძველი ტყის პირას, მანქანამ სისწრაფე დაკარგა, ძალა გამოეცალა, ჩაჩუმდა, სულის მოსათქმელად გაისტუმრა ქარები, სიცივე, — მქროლავი, ალმაცერი ჟინჟღლი შვეულად დაეკიდა, — და მანქანა გაჩერდა. პოპოვი თავის ადგილზე დაჯდა. გავრილოვმა თქვა:

— პაპიროსი მომეცი, ალიოშკა.

პოპოვმა უპასუხა:

— ეშმაკსაც წაუღიხართ შენ და შენი ფოკუსები, შიშისაგან სული კინაღამ გამძვრა, ჰა, მოწიე, ჯანდაბას შენი თავი.

გავრილოვმა გააბოლა, საჯდომზე გადაწვა, სული მოითქვა, შეფიქრიანებულმა თქვა:

— მე რომ გადავიღლები და ტვინი მეკეტება, მანქანაში ვჯდები და მივაქროლებ. ეს ქროლვა მეც მაწესრიგებს და ჩემს ფიქრებსაც. თითოეული ასეთი ქროლვა ზედმიწევნით მახსოვს. და მახსოვს უკანასკნელ წვრილმანამდე, რაც ამ ქროლვების დროს ხდებოდა, ყველა საუბარი, ყოველი ფრაზა, ხმის ინტონაციაც კი, ისიც, თუ როგორ ანათებს ნამწვი. საერთოდ ცუდი მეხსიერება მაქვს და ყველაფერი მავიწყდება, — იმასაც კი ვერ ვიხსენებდი, რა ხდებოდა ყველაზე გადმწყვეტი ბრძოლების დღეებში, — ამის შესახებ მერე მიყვებოდნენ. მაგრამ ეს ქროლვები ზედმიწევნით მახსოვს. ახლა მანქანა შეშლილივით მიმყავდა, ოთხმოცდაცხრამეტპროცენტიანი შანსით უნდა დავმტვრეულიყავით, მაგრამ ყოველი ჩემი მოძრაობა იყო ზუსტი და დამტვრევა გამორიცხული. მე მთვრალი ვარ სიზუსტის უცნაური სიმთვრალით. მაგრამ ჩვენ რომ დავმტვრეულიყავით, ჩემთვის ეს უმჯობესი იქნებოდა. მოდი ვილაპარაკოთ.

გავრილოვმა ენერგიული ჟესტით მოისროლა ნამწვი, სავარძელზე გაიმართა, გაჩუმდა, როგორც ჩანს თავის თავს უსმენდა, — გაჩუმდა სიამაყით მოზეიმე.

— თუმცა, ჩუმად იყავი, — ჩვენ კიდევ დავილაპარაკებთ. იჯექი! ჩვენ კიდევ გავიქროლებთ, კარგად ვგრძნობ თავს, იმიტომ რომ ეს ქროლვა, ეს ლტოლვა არის ის, რისთვისაც უნდა იცოცხლო, ღირს სიცოცხლე იმისათვის, რისთვისაც ჩვენ ვცხოვრობთ. ჩვენ ყველაფერი ვუთხარით ერთმანეთს ჩვენი ცხოვრებით. იჯექი! ზოგჯერ ჩუმად უნდა იყო! — ამაყად თქვა გავრილოვმა.

და მანქანამ ახლა უკანა გზაზე გააპო სივრცე — ააფორიაქა ქარი, დრო, ნისლები, სოფლები, აიძულა ნისლები და დრო ეცეკვათ, ეყვირათ და გაქცეულიყვნენ, რათა კვლავ დაემხოთ პოპოვი ოთხზე და ხელით რაიმეს ჩასჭიდებოდა ისევ, თან რაც შეიძლება მაგრად, — რათა თვალები მოეჭუტა და გულ-მუცელი აღრეოდა შიშით.

გორაკებიდან დროდადრო მთელი ქალაქი ჩანდა, — იქ, ქვევით, ნისლში, მბჟუტავ ცეცხლებსა და ცეცხლთა ანარეკლებში, შორეულ გუგუნსა და ხმაურში, — ქალაქი ძალზედ უბადრუკად გამოიყურებოდა.

ქალაქის კარიბჭეს მანქანა იმ დროს უახლოვდებოდა, გარიჟრაჟს რუხი ფერი რომ დაჰკრავს ხოლმე, როცა ქალაქს ქარხნის საყვირები აყრუებენ.

თავი მესამე

გავრილოვის სიკვდილი

პირველი თოვლი ის თოვლია, დედამიწას შემოდგომიდან ზამთრისაკენ რომ მიაცილებს, ღამით რომ მოდის, რათა შემოდგომის ჭყაპი, ნისლი, ჟინჟღლი, ფოთოლცვენა და ქუჩის ნაგავი, გუშინ რაც იყო, — ზამთრის თეთრი ქათქათა დღისგან გამიჯნოს, — მოდის იმ დროს, როცა გამქრალია ყველანაირი ტკაცანი და ხმაური, მაშინ, როდესაც ადამიანი უნდა გამხნევდეს მარადიულ მდუმარებაში, საკუთარ თავს ჩაუღრმავდეს და არ აჩქარდეს.

პირველი თოვლი გავრილოვის სიკვდილის დღეს მოვიდა. ქალაქი თეთრ სიჩუმეში გაირინდა, გადათეთრდა, დამშვიდდა, და ფანჯრებს მიღმა, ქალაქის შემოგარენიდან თოვლთან ერთად მოფრენილმა მესკიებმა ხეებიდან თოვლის ჩამოფერთხვა დაიწყეს.

პროფესორი პაველ ივანოვიჩ კოკოსოვი მუდამ შვიდ საათზე იღვიძებდა, ოპერაციის დღესაც იმავე დროს გაიღვიძა. — პროფესორმა თავი საბნიდან გამოჰყო, ამოახველა, ბანჯგვლიანი ხელი მაგიდისკენ წაიღო, ჩვეულებისამებრ იქ ხელის ფათურით სათვალე მოძებნა და ცხვირზე მოირგო, ისე რომ შუშები თმებში მოაქცია. ფანჯრის იქეთ, არყის ხეზე, მესკია ჩიტი თოვლს აქეთ-იქით ფერთხავდა. პროფესორმა ხალათი მოიცვა, ფეხები ფლოსტებში წაჰყო და აბაზანაში შევიდა. პროფესორ კოკოსოვის ბინა პროვინციულად დაბალჭერიანი იყო, — როგორც ჩანდა, კოკოსოვს ამ ბინაში ოცი წელი ეცხოვრა, ვინაიდან თავისუფალი დროის სულ ცოტა ოცი წელი მაინც უნდა მოახმარო გაყვითლებულ ფარდებზე, ფერდაკარგულ ნახატებსა და ტყავისყდიან წიგნებზე საგულდაგულოდ წმენდისას ჩამჯდარ მტვერს, დივანის ჩაზნექას, და ბინასა და მაგიდას უმაქნისი სიზუსტით მოარგო ყოველი ნივთი, — სახელობითი ასანთის ბუდიდან (სტუდენტების საჩუქარი) და ირმის ტყავგადაკრული გალეული საწერ-კალმიდან (შვეიცარიის საჩუქარი) დაწყებული, — საწოლქვეშ მდგარი ემალამოტეხილი ღამის ჭურჭლით დამთავრებული. იმ დროს, როდესაც კოკოსოვმა გაიღვიძა, სახლში სიჩუმე იყო, მაგრამ როდესაც აბაზანიდან ბურტყუნით გამოვიდა, სამზარეულოში მისი მეუღლე ეკატერინა პავლოვნა უკვე ხმაურობდა ჩაის კოვზით, პროფესორისთვის შაქარს ურევდა ჭიქაში. სასადილოში სამოვარი თუხთუხებდა. პროფესორი ხალათითა და ფლოსტებით შევიდა ჩაის დასალევად.

— დილა მშვიდობისა, პაველ ივანოვიჩ, — უთხრა ცოლმა.

— დილა მშვიდობისა, ეკატერინა პავლოვნა, — მიუგო ქმარმა.

პროფესორმა ცოლს ხელზე აკოცა, მის პირდაპირ დაჯდა, სათვალე თმებში გაისწორა, და შუშებსმიღმა გამოჩნდა მამაოებივით უწყინარი და ეშმაკური, — გულუბრყვილო და ჭკვიანური თვალები. პროფესორმა ჩაი უხმოდ მოსვა, რაღაც მორიგი სათქმელისათვის მოემზადა, მაგრამ ჩაის დალევის ჩვეული რიტუალი ტელეფონის ზარმა დაარღვია. პროფესორმა მკაცრად გახედა კაბინეტის კარს, სადაც ტელეფონი რეკავდა, მერე დაეჭვებულმა ცოლს შეხედა, უკვე მობერებულ, იაპონურ კიმონოში გამოწყობილ ფუნთუშა ქალს, — ადგა და დაეჭვებული გაემართა ტელეფონისაკენ. ტელეფონში გაისმა პროფესორის სიტყვები, მომეტებულად ბებრული ხმით წარმოთქმული, ბუზღუნით:

— დიახ, დიახ, გისმენთ, ვინ რეკავს და რაშია საქმე?

ტელეფონში უპასუხეს, რომ ელაპარაკებოდნენ შტაბიდან, რომ შტაბში იციან ოპერაცია ცხრის ნახევარზე რომაა დანიშნული და კითხულობენ, რაიმე დახმარება ხომ არაა საჭირო, ავტომობილი ხომ არ გამოუგზავნონ. — და უცებ პროფესორი გაჯავრდა, აქოშინდა, აბუზღუნდა;

...მე, იცით რა, მე საზოგადოებას ვემსახურები, და არა კერძო პირებს, — დიახ, დიახ, დიახ, იცით, ბატენკა, — კლინიკაშიც ტრამვაით დავდივარ, ბა-ბატენკა. მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ, უკაცრავად, ჩემი სინდისით. და დღესაც იმის ვერავითარ მიზეზს ვერ ვხედავ, რომ ტრამვაით არ წავიდე.

პროფესორმა ყურმილი დაახეთქა, გაწყვიტა საუბარი, აბუზღუნდა, აქოშინდა, მაგიდასთან მიბრუნდა, ცოლთან, ჩაისთან. იბუზღუნა, ულვაშები ჩაიკვნიტა და ძალიან მალე დამშვიდდა. და სათვალეებიდან კვლავ გამოკრთა ახლა უკვე დაძაბული და ჭკვიანური თვალები. პროფესორმა ხმადაბლა წარმოთქვა:

— სოფელ დრაკინი ლუჟში ავად გახდება გლეხკაცი ივანე, სამ კვირას ღუმელზე წოლაში გაატარებს, წაიკრუსუნებს, მერე ნათესაობას რჩევა-დარიგებას ჰკითხავს და საერო საავადმყოფოში წავა ექიმ პეტრე ივანოვიჩთან. პეტრე ივანოვიჩი ივანეს თხუთმეტი წელიწადია იცნობს, და ივანემ პეტრე ივანოვიჩს ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ნახევარი დუჟინი ქათამი გადაუტანა, პეტრე ივანოვიჩის შვილებს გაუშინაურდა, ისეთნაირად, რომ ერთ მათგანს ხუმრობით ყურებიც კი აუწია. ივანე ჩავა პეტრე ივანოვიჩთან, ქათამივით თავს დაუკრავს. პეტრე ივანოვიჩი შეათვალიერებს ივანეს, მოუსმენს და, თუ საჭიროა, ოპერაციას გაუკეთებს, მშვიდად, წყნარად, გონივრულად, არც იმაზე ცუდად, მე რომ ვაკეთებ. და თუ არ გამოვა ოპერაცია, მოკვდება ივანე, ჯვარს დაუდგამენ, და მორჩა... ან კიდევ, ჩემთან მოვა ობივატელი ანატოლი იურიევიჩ სვინიცკი. მომიყვება ყველაფერს ქანცის გაწყვეტამდე. მე გავსინჯავ, თანაც ერთხელ კი არა — შვიდჯერ, შევისწავლი მას და ვეტყვი — წადი-თქო ბატენკა... თუ მეტყვის: — „გამიკეთეთ ოპერაცია“ — გავუკეთებ, თუ არ უნდა, არასოდეს გავუკეთებ.

პროფესორი დადუმდა.

— კონსილიუმებზე უარესი არაფერია, ეკატერინა პავლოვნა. მე არ მინდა ვაწყენინო ანატოლი კუზმიჩს, ანატოლი კუზმიჩს არ სურს მე მაწყენინოს. ერთმანეთს კომპლიმენტებს ვეუბნებით და ჩვენს განსწავლულობას ვაფრქვევთ, ავადმყოფს კი არაფერი გაეგება. ისევეა, როგორც ბოლშევიკთა საჩვენებელ პროცესებზეა პარადი მუსიკით, — ავადმყოფს წესიერად არავინ იცნობს, — „იცით რა ანატოლი კუზმიჩ, — იცით რა, ჰერრ შიმან“...

პროფესორი გაჩუმდა.

— დღეს, მე, ჩემს საავადმყოფოში ასისტენტად ვარ ბოლშევიკის, კომანდარმ გავრილოვის ოპერაციაზე.

— ეს, ისაა, რომელიც, — თქვა ეკატერინა პავლოვნამ, — რომელიც... ნუ, ბოლშევიკურ გაზეთებში... საზარელი სახელია! — თქვენ თვითონ რატომ არ აკეთებთ ოპერაციას, პაველ ივანოვიჩ?

— ნუ, როგორ გითხრა, რაღაც განსაკუთრებული საშინელება არ ხდება, — უპასუხა პროფესორმა, — და რატომ ლოზოვსკი, — ახლა დროა ასეთი, ახალგაზრდები არიან მოდაში, მათ დაწინაურება სჭირდებათ. და მაინც, საბოლოოდ, ყველა ამ კონსილიუმების შემდეგაც ავადმყოფს არავინ იცნობს, მიუხედავად იმისა, რომ გასინჯეს, გააშუქეს, გამოწმინდეს და ყველა ჩვენმა აღიარებულმა მოინახულა. და რაც მთავრია — ადამიანს არ იცნობენ, ადამიანთან კი არა აქვთ საქმე, — ფორმულასთან, — გენერალი, ნომერი ესა და ეს, რომლის შესახებაც ყოველდღიურად წერენ გაზეთებში, ადამიანებს შიშის ზარი რომ დასცენ. ჰოდა, აბა ერთი სცადე, და რაღაც ისე არ გამოვიდეს ოპერაცია, მთელს ევროპაში გამოგაჭენებენ, საკუთარ მამას დაგავიწყებენ.

პროფესორი ისევ გაჯავრდა, აქოშინდა, აბუზღუნდა, თვალები თმებში შემალა, მაგიდიდან წამოდგა, სამზარეულოში გამავალ კარებს მიაძახა: — „მაშა ჩექმები!“ — და კაბინეტს მიაშურა ჩასაცმელად. დაივარცხნა წარბები, წვერები, ულვაშები, მოტვლეპილი თავი, სერთუკი ჩაიცვა, უკანა ჯიბეში ქათქათა ცხვირსახოცი ჩაიდო, ყვითელყელიანი, სამოვარივით გაპრიალებული ჩექმები ამოიცვა და ფანჯარაში გაიხედა: მოეგვარათ თუ არა ცხენი მთავარ შესასვლელთან. ცხენი ადგილზე იდგა, მეეტლე ივანი, რომელსაც უკვე ოცი წელია პროფესორის სამზარეულოში დაედო ბინა, დასაჯდომიდან თოვლს ბერტყავდა.

პროფესორ ანატოლი კუზმიჩ ლოზოვსკის ოთახი არ ჰგავდა კოკოსოვის ბინას. თუ კოკოსოვის ბინას თავის თავში დაეკონსერვებინა რუსეთის ოთხმოცდაათიანი და ცხრაასიანი წლების მიჯნა, ლოზოვსკის ოთახი აღმოცენდა და კონსერვაციას განიცდიდა ათას ცხრაას შვიდი წლიდან ცხრაას ჩვიდმეტ წლამდე. აქ იყო მძიმე ფარდები, ფართო დივანი, მუხის მაგიდა ბრინჯაოს შიშველი ქალების გამოსახულებიანი შანდლებით, ხალიჩებით დაფარული კედლები, რომლებზედაც მეორეხარისხოვანი ნახატები ეკიდა გამოფენიდან „მსოფლიო ხელოვნება“. ლოზოვსკის დივანზე ეძინა, მარტო არა, ახალგაზრდა, ლამაზ ქალთან ერთად; მისი გახამებული გულისპირი იატაკზე დაგებულ ნოხზე ეგდო. ლოზოვსკიმ გაიღვიძა, ფაქიზად აკოცა ქალს მხარზე და მხნედ წამოდგა, ფარდის ზონარი ჩამოქაჩა. მაუდის მძიმე ფარდა კუთხისაკენ გასრიალდა და ოთახში თოვლიანი დღე შემოვიდა. ლოზოვსკიმ ისეთი გახარებით, მზრუნველობით გახედა ქუჩას, თოვლს, ცას, როგორც ეს თავის თავში ცხოვრების უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანებს შეუძლიათ, როგორც ამას მარტოხელა კაცები აკეთებენ დილაობით. ოთახს მოავლო

თვალი, — და ვიდრე დასაბანად წავიდოდა, პიჟამოსა და ღამის ლაქის ფეხსაცმელებში ოთახის დალაგებას მიჰყო ხელი, აალაგა მაგიდა, წიგნების კარადაზე ბოლომდე შეუსმელი წითელღვინიანი ბოთლი დადგა, კარადის ქვედა თაროზე — ნამცხვრებიანი ვაზა, მაგიდაზე გადააწყო საფერფლე, სამელნე, ბლოკნოტები, წიგნები. შტეპსელში ელექტროჩაიდნის ზონარი შეარჭო, ჩაიდანში ყავა ჩაყარა. ქალს ეძინა, და ჩანდა, რომ იგი იმ ხასიათის ქალებს განეკუთვნებოდა, რომელთაც უყვართ, და მშვიდად და ერთგულად ეძლევიან სიყვარულს. ქალმა გაღვიძებისას წარმოთქვა:

— საყვარელო, — ნეტარებით გაახილა თვალები, კრიალა ზამთრის დღეს და დათოვლილ ხეებს გახედა, საწოლიდან წამოდგა, თითქოსდა სალოცავად დაიჭდო ხელები, გახარებულმა შესძახა: — საყვარელო, პირველი თოვლი, ზამთარია, საყვარელო...

პროფესორმა თავისი თეთრი, დიდი ხელები ქალს მხრებზე დააწყო, მისი თავი მკერდზე მიიზიდა და უთხრა:

— ჰო, ჰო, ზამთარია — ჩემო გაზაფხულო, ჩემო შროშანო...

ამ დროს ტელეფონის ზარი გაისმა. ტელეფონი პროფესორთან დივანის თავზე ეკიდა, ხალიჩის უკან. პროფესორმა ყურმილი აიღო, „დიახ, დიახ, გისმენთ“. რეკავდნენ შტაბიდან, კითხულობდნენ, ხომ არ იყო საჭირო, რომ პროფესორისათვის ავტომობილი გამოეგზავნათ.

პროფესორმა უპასუხა:

— დიახ, დიახ, თუ შეიძლება! ოპერაციაზე დარდი ნუ გექნებათ, ბრწყინვალედ ჩატარდება, დარწმუნებული ვარ. რაც შეეხება მანქანას — თუ შეიძლება, მითუმეტეს ოპერაციამდე სხვა საქმეებზედაც ვარ გასავლელი. დიახ, დიახ, თუ შეიძლება, რვა საათისათვის.

პროფესორმა ყურმილი დაკიდა და გახარებულმა, ამაყად უთხრა ქალს:

— ჩემო შროშანო, ჩაიცვი, მანქანა გამომივლის, ცოტას გაგასეირნებ და სახლში მიგიყვან. იჩქარე! — და ქალს მოეხვია, მხარზე დაადო თავი, ისე, როგორც ამას ძალიან ბედნიერი ადამიანები აკეთებენ.

რვას უკვე თხუთმეტი წუთი აკლდა. კაცი და ქალი, სვებედნიერნი, ჩქარ-ჩქარა იცვამდნენ. ჩაცმისას, პროფესორმა ჩინურ ჭიქებში ყავა დაასხა. გაღიმებული, ბედნიერი ქალი საკინძეს უკრავდა გახამებულ გულისპირზე. ვიდრე სახლიდან გავიდოდნენ, პროფესორმა მოზეიმე სახითა და რაღაც შიშნარევი მოკრძალებით, ტელეფონზე დარეკა: ყველანაირი შემოვლითი გზებით შეაღწია პროფესორმა იმ სატელეფონო ქსელში, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ოცდაათიორმოცი ხაზი უერთდებოდა; იგი ნომერ პირველი სახლის კაბინეტში რეკავდა, მოკრძალებით იკითხა, ხომ არ იქნებოდა რაიმე ახალი მითითებები, მტკიცე ხმამ ტელეფონში ურჩია, ოპერაციის შემდეგ უმალ მისულიყო ანგარიშით. პროფესორმა მიუგო: „კარგად ბრძანდებოდეთ, შესრულებული იქნება“, — ყურმილს თავი დაუკრა და მაშინვე არ დაკიდა. მანქანა უკვე თუხთუხებდა სადარბაზოს წინ.

ოპერაციის დღეს, დილით, ოპერაციამდე, პოპოვი გავრილოვთან მივიდა. ეს გათენებამდე მოხდა, ჯერ კიდევ ფარნები ენთო. თუმცა საუბარი არ შედგა, ვინაიდან მესასთუმლე ქალმა გავრილოვი აბაზანაში გაიყვანა ბოლო ოყნის გასაკეთებლად. აბაზანაში შესვლის წინ გავრილოვმა თქვა: — ალიოშა, წაიკითხე ტოლსტოის „ყრმობა“-ში comme il faut და comme il ne faut pa* — კარგად გრძნობდა მოხუცი სისხლს! ეს იყო უკანასკნელი სიტყვები სიკვდილის წინ, რაც პოპოვმა გავრილოვისგან მოისმინა.

პოპოვი შინ ყინვიანი ალიონის მდუმარების შრიალში ბრუნდებოდა, — მთავარი ქუჩით არ წასულა, — შუკით მივიდა ფლატესთან, რომლის უკან მდინარის გაღმისპირეთის სივრცე იშლებოდა, იქ ჰორიზონტზე, თოვლიანი სივრცეების მიღმა, ლილისფერ წყვდიადში მთვარე იძირებოდა, — აღმოსავლეთს კი წითელი ალმური ასდიოდა, ციოდა. პოპოვი მდინარისკენ დაეშვა, რათა ვაკით შესულიყო ქალაქში, — მის ზურგს უკან აღმოსავლეთი მეწამულად იწვოდა. ამ დროს გავრილოვი ფანჯარასთან იდგა, მდინარის გაღმისპირეთს გაჰყურებდა, — ხედავდა იგი პოპოვს? აბაზანაში, ფანჯარასთან, ავადმყოფის ხალათში იდგა ადამიანი, ორეხოვო-ზუეველი ფეიქარი, რომლის სახელს შერწყმოდა ლეგენდები ბრძოლებზე, ლეგენდები მის ზურგს უკან მდგარ ათასობით, ათიათასობით და ასიათასობით ადამიანზე, — ლეგენდები ათასობით, ათსა და ასიათასობით სიკვდილზე, ტანჯვაზე, დასახიჩრებაზე, სიცივეზე, შიმშილზე, გამყინვარებასა და ლაშქრობათა ციებ-ცხელებაზე, — ლეგენდები ქვემეხთა ქუხილზე, ტყვიების ზუზუნსა და

ღამეულ ქარებზე, ღამის კოცონთა გიზგიზზე, ლაშქრობებზე, გამარჯვებებსა და უკუქცევებზე, და ისევ ათასობით სიკვდილზე. ადამიანი იდგა ფანჯარასთან, აბაზანაში, ხელები უკან დაეწყო, ცას შესცქეროდა, გაუნძრევლად იდგა, მერე ხელი ასწია და დაორთქლილ შუშას დააწერა — „სიკვდილი, ოყნა, არაა comme il faut“ — და გახდა დაიწყო.

ოპერაციის დაწყებამდე, დერეფანში, საოპერაციოდან გავრილოვის პალატამდე მიიჩქარ-ოდნენ, ჩურჩულებდნენ, უხმოდ შფოთავდნენ ადამიანები. საღამო ხანს, ოპერაციის წინ, გავრ-ილოვის საყლაპავ მილში გუტაპერჩის ნაწლავი, სიფონი შეჰყავდათ, რომლითაც კუჭის წვენს იღებენ და კუჭს გამორეცხავენ, — ასეთი გუტაპერჩის ინსტრუმენტის გამოყენებას გულისრე-ვა და ფსიქიკის დათრგუნვა სდევს თან, და თითქოს ეს ინსტრუმენტი იმისთვის არსებობს, რომ გაანადგუროს ადამიანის ღირსება. დილით, ოპერაციის დაწყებამდე, უკანასკნელად გაუკეთეს ოყნა. საოპერაციოში გავრილოვი ავადმყოფის ხალათით, უხეში ტილოს შარვლითა და პერანგით შევიდა (პერანგი ღილების ნაცვლად ზონრებით შეეკრათ), შიშველ ფეხებზე საავადმყოფოს დან-ომრილი ფეხსაცმელები ეცვა, (გავრილოვს თეთრეულიც იმ დილით სტერილურით შეუცვალეს, უკანასკნელად), საოპერაციოში შევიდა გაფითრებული, გამხდარი, დაღლილი. — ოპერაცი-ისწინა ბლოკში თუხთუხებდა სპირტქურები, იხარშებოდა მონიკელებული გრძელი კოლოფები, მდუმარებდნენ თეთრხალათიანი ადამიანები. საოპერაციო ძალიან დიდი ოთახი იყო, — ზეთის თეთრი საღებავით შეღებილი იატაკით, კედლებითა და ჭერით. საოპერაციო უჩვეულოდ იყო განათებული, რადგანაც ერთი კედელი მთლიან ფანჯარას ეკავა, რომელიც მდინარის გაღმი-სპირეთში გადადიოდა. შუა ოთახში გრძელი საოპერაციო მაგიდა იდგა. აქ გავრილოვს კო-კოსოვი და ლოზოვსკი შეხვდნენ. კოკოსოვი და ლოზოვსკიც თეთი ხალათებით იყვნენ, თავებზე თეთრი ჩაჩები ჩამოეცვათ მზარეულებივით, კოკოსოვს თანაც წვერებზე სადორბლე აეკრა და თმიანი თვალები გარეთ დაეტოვებინა. კედლის გასწვრივ ათამდე თეთრხალათიანი ადამიანი ჩამწკრივებულიყო. გავრილოვი მესასთუმლესთან ერთად ოთახში შევიდა. მშვიდად, უსიტყვოდ მიესალმა პროფესორებს და მაგიდასთან მივიდა, ფანჯარაში მდინარის გაღმისპირეთს გახედა, ხელები ზურგსუკან გადააჯვარედინა. მეორე მესასთუმლემ მდუღარე სტერილიზატორით, — გრძელი მონიკელებული კოლოფით, ინსტრუმენტები შემოიტანა.

ლოზოვსკიმ კოკოსოვს ჩუმად ჰკითხა:

— დავიწყოთ, პაველ ივანოვიჩ?

— დიახ, დიახ, იცით რა... — უპასუხა კოკოსოვმა.

და პროფესორები ხელების დასაბანად გავიდნენ, რამდენიმეჯერ დაიბანეს, სულემის ხსნარი დაისხეს, იოდი წაისვეს. ქლოროფორმატორმა ნიღაბი შეათვალიერა, თავისი ჭურჭელი მოსი-ნჯა.

— ამხანაგო გავრილოვ, დავიწყოთ, — თქვა ლოზოვსკიმ. — თუ შეიძლება, კეთილი ინებეთ და მაგიდაზე დაწექით. ფეხზე გაიძრეთ.

გავრილოვმა მედდას ოდნავი დარცხვენით შეხედა, პერანგი სწრაფად აიწია, ქალმა გავრ-ილოვს, როგორც ნივთს, ისე შეავლო თვალი, გაუღიმა, ბავშვებს რომ უღიმიან ისე. გავრილოვი მაგიდაზე დაჯდა, ჯერ ერთი ფეხსაცმელი გაიძრო, მერე მეორე და სწრაფად დაწვა, თავქვეშ მუთაქა გაისწორა, — თვალები დახუჭა. და მესასთუმლემ მაშინვე სწრაფად, ჩვეულებისამებრ მარჯვედ გადაუკრა ფეხებზე თასმები, ადამიანი მაგიდას გააკრა. ქლოროფორმატორმა თვალე-ბზე პირსახოცი დააფარა, ცხვირსა და პირზე ვაზელინი წაუსვა, სახეზე ნიღაბი ჩამოაცვა, ავად-მყოფს მაჯაზე მოჰკიდა ხელი, პულსის გასასინჯად და ნიღაბზე ქლოროფორმი დაასხა, ოთახში ქლოროფორმის მოტკბო, მხუთავი სუნი გაცურდა. ქლოროფორმატორმა ოპერაციის დაწყების დრო აღნიშნა. პროფესორები უხმოდ მივიდნენ ფანჯარასთან. მედდამ მაშებით სკალპელების, სტერილური ხელსახოცების, პეანების, კოხერების, პინცეტებისა და ნემსების ამოღება და დალ-აგება დაიწყო სტერილურ დოლბანდზე. ქლოროფორმატორი ქლოროფორმს ამატებდა. ოთახში სიჩუმე გაიყინა. ამ დროს ავადმყოფმა თავი გააქნია, დაიკვნესა.

— ჰაერი არ მყოფნის, მომხსენით სახვევი, — თქვა გავრილოვმა და კბილები დააღრჭიალა.

— მოითმინეთ, თუ შეიძლება — უთხრა ქლოროფორმატორმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ავადმყოფი ამღერდა და ალაპარაკდა.

— Лед прошел, и Волга вскрылась, золотой мой, золотой, я, девчонка, влюбилась, — დაამღერა კომანდარმმა და წაიჩურჩულა: შენ კი იძინე, იძინე, იძინე. — გაჩუმდა, მკაცრად თქვა: — შტო-

შის კისელი მეტი აღარ მომცეთ, მომბეზრდა, ეს არაა comme il faut. — გაჩუმდა, მკაცრად დაიყვირა, უთუოდ ისე, როგორც ბრძოლის დროს ყვიროდა: — უკან არ დაიხიოთ! არც ერთი ნაბიჯით! დაგხვრეტთ.... ალიოშა, ძმაო, ყველა სიჩქარე ჩართულია, მიწაც აღარ ჩანს. მე ყველაფერი მახსოვს. ახლა მე ვიცი, რა არის რევოლუცია, რა ძალაა ეს. და მე არ მეშინია სიკვდილის. — და ისევ წაიმღერა: — За Уралом живет плотник, золотой мой, золотой...

თავს როგორ გრძნობთ? არ გეძინებათ? — წყნარად ჰკითხა გავრილოვს ქლოროფორმატორმა.

და გავრილოვმა ჩვეულებრივი ხმით, ასევე წყნარად, შეთქმულივით, უპასუხა:

— არაფერი განსაკუთრებული, ჰაერი არ მყოფნის.

— ცოტა კიდევ მოითმინეთ, — თქვა ქლოროფორმატორმა და კიდევ დაამატა ქლოროფორმი.

კოკოსოვმა შეშფოთებით დახედა საათს. არიან ისეთი ორგანიზმები, რომლებიც ამ თუ იმ ნარკოტიკისადმი იდიოსინკრაზიას განიცდიან, — გავრილოვს უკვე ოცდაშვიდი წუთია აძინებდნენ. კოკოსოვმა უმცროს ასისტენტს მოუხმო, სახე მიუშვირა, რათა მას სათვალე გაესწორებინა პროფესორის ცხვირზე. ქლოროფორმატორმა შეშფოთებით წასჩურჩულა ლოზოვსკის:

— იქნებ თავი დავანებოთ ქლოროფორმს, აირი ხომ არ გვესინჯა?

ლოზოვსკიმ უპასუხა:

— კიდევ ვცადოთ ქლოროფორმი. წინააღმდეგ შემთხვევაში ოპერაცია უნდა გადავდოთ. უხერხულია.

კოკოსოვმა მკაცრად მიმოიხედა გარეშემო, შეშფოთებით დახარა თვალები. ქლოროფორმატორმა კიდევ დაუმატა ქლოროფორმი. პროფესორები დუმდნენ. — ბოლოს, ორმოცადამერვე წუთზე, გავრილოვმა დაიძინა. მაშინ პროფესორებმა უკანასკნელად გაიწმინდეს სპირტით ხელები. მესასთუმლემ გავრილოვის მუცელი გააშიშვლა, გამხდარი ნეკნები და მოჭიმული მუცელი გამოჩნდა. საოპერაციო, გულისკოვზქვეშა მიდამო პროფესორმა კოკოსოვმა სპირტის, ბენზინისა და იოდის ფართო მონასმებით გაწმინდა. მედდამ ზეწარი მოიტანა, გავრილოვის ფეხები და თავი რომ დაეფარათ. მედდამ ნახევარი ქილა იოდი დაასხა პროფესორ ლოზოვსკის ხელებზე. ლოზოვსკიმ სკალპელი აიღო, კანს გაუსვა. სისხლმა ამოფეთქა, კანი გადაიხსნა; კანის ქვეშიდან ცხვრის დუმის მსგავსი, სისხლძარღვებით სავსე, ფენა-ფენად ჩალაგებული ყვითელი ქონი გამოძვრა. ლოზოვსკიმ კიდევ ერთხელ გასერა ადამიანის ხორცი, გაჭრა ფასციები, პრიალა თეთრ, ლილისფერ კუნთებიანად. კოკოსოვი, მისთვის მოულოდნელი სიმარჯვით, პეანებითა და კოხერებით სისხლმდენ ძარღვებს აცობდა. მეორე დანით ლოზოვსკიმ მუცლის აპკი გაჭრა. ლოზოვსკიმ დანა დადო, სტერილური ხელსახოცით სისხლი მოწმინდა. ღრმად, ჭრილობაში მოჩანდა ნაწლავები, თეთრ-ლურჯი ფერის კუჭი. ლოზოვსკიმ ხელი ჩაჰყო ნაწლავებში, კუჭი შეაბრუნა, ხელით გასინჯა —

კუჭის პრიალა ხორცზე, იმ ადგილზე, სადაც წყლული უნდა ყოფილიყო, — თეთრი, თითქოს ცვილისგან გამოძერწილი, ნეხვის ხოჭოს მატლის მსგავსი ნაწიბური აღმოჩნდა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ოპერაცია არ იყო გამართლებული —

— და ამ დროს, ამ დროს, — სწორედ იმ დროს, როდესაც გავრილოვის კუჭი პროფესორ ლოზოვსკის ეჭირა ხელში —

— პულსი! პულსი! — იყვირა ქლოროფორმატორმა.

— სუნთქვა! — თითქოს მექანიკურად დაუკრა კვერი კოკოსოვმა.

და მაშინ შეიძლებოდა იმის დანახვა, თუ როგორ მოძვრებოდნენ თმებიდან, სათვალეებიდან ძალზე ავი, შემზარავად ავი კოკოსოვის თვალები, გამოძვრნენ და განერთხნენ აქეთ-იქით, თვალის ბუდეებში ჩამჯდარი ლოზოვსკის თვალები კი ცხვირის ფუძეს რომ აწვებოდნენ, კიდევ უფრო დავიწროვდნენ, უფრო ჩაღრმავდნენ, დაიძაბნენ, და ერთ, საშინლად ბასრ თვალად იქცნენ. ავადმყოფს პულსი აღარ ესინჯებოდა, აღარ ფეთქავდა გული, და აღარ ისმოდა სუნთქვა, უცივდებოდა ფეხები. ეს იყო გულის შოკი: ორგანიზმი, რომელმაც არ მიიღო ქლოროფორმი, — ქლოროფორმმა მოწამლა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ადამიანი უკვე აღარასოდეს დაუბრუნდებოდა სიცოცხლეს, რომ ადამიანი უნდა მოკვდეს, რომ — შესაძლებელია ხელოვნური სუნთქვით, ჟანგბადით, ქაფურით, ფიზიოლოგიური ხსნარით — შეუქცევადი სიკვდილი გადასწიო ერთი,

ათი, ოცდაათი საათით, და მეტით არა, მაგრამ ადამიანს ცნობიერება აღარ დაუბრუნდება, რომ ადამიანი არსებითად, — მკვდარია. ცხადია, რომ გავრილოვი დანის ქვეშ უნდა მომკვდარიყო, საოპერაციო მაგიდაზე. პროფესორმა კოკოსოვმა სახე მესასთუმლეს მიუშვირა, პროფესორისათვის სათვალე რომ გაესწორებია, პროფესორმა დაიყვირა:

— გააღეთ ფანჯარა! ქაფური! ფიზიოლოგიური მოამზადეთ!

ასისტენტთა მდუმარე ბრბო, კიდევ უფრო დადუმდა. კოკოსოვი, ისე, თითქოსდა არაფერი მომხდარიყოს, დაიხარა და მაგიდაზე დაწყობილ ინსტრუმენტებს დაუწყო თვალიერება, არაფერს ამბობდა. ლოზოვსკიც დაიხარა კოკოსოვისკენ.

— პაველ ივანოვიჩ, — ჩურჩულით და ღვარძლიანად წარმოთქვა ლოზოვსკიმ.

— რა? — გამოეპასუხა კოკოსოვი ხმამაღლა.

— პაველ ივანოვიჩ, — კიდევ უფრო ხმადაბლა წარმოთქვა ლოზოვსკიმ, ამჯერად ყოველგვარი ღვარძლის გარეშე.

— რა? — ხმამაღლა გაიმეორა კოკოსოვმა და უთხრა: — გააგრძელეთ ოპერაცია!

ორივე პროფესორი წელში გაიმართა, ერთმანეთს შეხედეს, ერთს ორივე თვალი შეეზარდა და ერთ თვალად ექცა, მეორის თვალები — თმებიდან გამომძვრალიყვნენ. ლოზოვსკი წამით კოკოსოვისგან გადაიხარა, თითქოს დარტყმას გაერიდა მისი თვალი, პერსპექტივის ძიებისას თითქოს გაორდა, ცეცება დაიწყო — მერე შენივთდა უფრო მძაფრად, მკვეთრად, — ლოზოვსკიმ წაიჩურჩულა:

— პაველ ივანოვიჩ! —

და ხელი ჭრილობისაკენ წაიღო: იგი კი არ კერავდა, არამედ ბლანდავდა მუცლის ღრუს, მან გადასხნილი კანი მოჭიმა და მხოლოდ მისი ზედა საფარის ამოკემსვა დაიწყო. მერე ბრძანა:

— გაუნთავისუფლეთ ხელები! — ხელოვნური სუნთქვა!

საოპერაციოს უზარმაზარი ფანჯარა ღია იყო, და ოთახში პირველი თოვლის ყინვა შემოედინებოდა. ადამიანს ქაფური შეუშხაპუნეს. კოკოსოვი ქლოროფორმატორთან ერთად გავრილოვის ხელებს შლიდა და ზევით სწევდა, აიძულებდა ხელოვნურად ესუნთქა. ლოზოვსკი ჭრილობას კემსავდა. ლოზოვსკიმ დაიყვირა:

— ფიზიოლოგიური ხსნარი! —

და ასისტენტმა ქალმა ადამიანის მკერდში პაპიროსის სისქის ორი ნემსი ჩაარჭო, რათა მიცვალებულის სისხლში ათასი კუბი თხევადი მარილი შეესხა, რათა წნევა შენარჩუნებულიყო. ადამიანის სახეს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ აჩნდა, გალურჯდა, ბაგეებს ლილისფერი დასდებოდა.

მაშინ გავრილოვი მაგიდიდან მოხსნეს, გორგოლაჭებიან მაგიდაზე დააწვინეს და თავის პალატაში გააგორეს. მისი გული ჯერ კიდევ ფეთქავდა, იგი სუნთქავდა, მაგრამ ცნობიერება აღარ დაბრუნებია, არ დაბრუნებია არც უკანასკნელ წამს, როცა ქაფურით გატენილმა და ხელოვნურად დამარილებულმა გულმა ფეთქვა შეწყვიტა, და არც მაშინ, როცა იგი ოცდაჩვიდმეტი საათის შემდეგ, ქაფურისა და ექიმებისაგან მიტოვებული გარდაიცვალა: — შესაძლებელია იმიტომაც, რომ უკანასკნელ წუთებამდე მასთან არავის უშვებდნენ იმ ორი პროფესორისა და მედდის გარდა; თუმცა ერთი საათით ადრე, ვიდრე ოფიციალურად გაცხადდებოდა კომანდარმ გავრილოვის სიკვდილის შესახებ, — პალატაში შემთხვევით მყოფ მეზობელს უცნაური ხმები ესმოდა, თითქოს იქ ადამიანი აკაკუნებდა, ისე, როგორც ამას პატიმრები აკეთებენ სატუსაღოებში. იქ, პალატაში, ცოცხალ-მკვდარი ადამიანი იწვა, ქაფურით გატენილი, რადგან მედიცინაში არსებობს ეთიკური ადათ-წესი, არ დაუშვან ადამიანის სიკვდილი დანის ქვეშ, — და ამ პალატას პროფესორები ასე საგულდაგულოდ დარაჯობდნენ იმიტომ, რომ კვდებოდა კომანდარმი, სამოქალაქო ომის გმირი, დიდი რუსული რევოლუციის გმირი, ლეგენდებით მოსილი ადამიანი, კვდებოდა ის, ვისაც ნებისყოფა და უფლება ჰქონდა, გაეგზავნა ადამიანები სიკვდილზე და მათივენაირთა მოსაკლავად.

ოპერაცია რვა საათსა და ოცდაათ წუთზე დაიწყო და — გორგოლაჭებიანი მაგიდით, გავრილოვი საოპერაციოდან თერთმეტ საათსა და თერთმეტ წუთზე გამოიყვანეს. მაშინ შვეიცარმა დერეფანში თქვა, რომ პროფესორი ლოზოვსკი ორჯერ იკითხეს ტელეფონზე — ნომერ პირველი სახლიდან. და კვლავ მოვიდა შვეიცარი და თქვა, რომ პროფესორს ტელეფონთან ელოდებიან. ლოზოვსკი ტელეფონისკენ გაემართა. ლოზოვსკი ზარს ნომერ პირველი სახლიდან ელოდა.

ტელეფონში გაისმა: „საყვარელო, ძალიან მომენატრე“, — და წამიერად ლოზოვსკის კბილები დაეღრიჭა, ჩანდა, რაღაც ძალიან მწარედ უნდა ეთქვა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ყურმილი ისე დააგდო. პროფესორი კონტორასთან მივიდა, სადაც ტელეფონი იდგა, ფანჯარასთან გაჩერდა, პირველ თოვლს გახედა, ფრჩხილები მოიკვნიტა და ტელეფონის ყურმილთან მივიდა. იმ სატელეფონო ქსელში შეაღწია, რომელსაც ოცდაათი-ორმოცი ხაზი უერთდებოდა, ყურმილს თავი დაუკრა და თქვა, რომ რომ ოპერაცია წარმატებით ჩატარდა, თუმცა ავადმყოფი ძალიან სუსტადაა და რომ ისინი, ექიმები თვლიან, რომ მისი მდგომარეობა მძიმეა და მოიბოდიშა, რომ ახლა მისვლა არ შეეძლო. ზემოთ, დერეფანში, საოპერაციოსა და ავადმყოფის პალატას შორის, სადაც დილით შფოთავდნენ და ჩურჩულებდნენ ადამიანები, ახლა სულიერი აღარავინ იყო.

გავრილოვი მოკვდა, — ანუ პროფესორი ლოზოვსკი გამოვიდა მისი პალატიდან თეთრი ქაღალდის ფურცლით, თავი დახარა, მწუხარებითა და დიდი ამბით განაცხადა, რომ ავადმყოფი, არმიის კომანდარმი, მოქალაქე ნოკოლაი ნიკოლაევიჩ გავრილოვი, ძალზედ სამწუხაროდ, — გარდაიცვალა პირველ საათსა და ჩვიდმეტ წუთზე.

სამი მეოთხედი საათის შემდეგ, როდესაც ღამის ორი საათი ახლოვდებოდა, საავადმყოფოს ეზოში წითელარმიელების ასეულები შევიდნენ და ყველა შესასვლელებსა და კიბეებზე გუშაგები დადგნენ. პალატაში, სადაც კომანდარმის ცხედარი ესვენა, ის სამი გენშტაბისტი შევიდა, ვაგზალში კომანდარმის დასახვედრად რომ იყვნენ მისულები, ის სამი ადამიანი, რომლებისთვისაც გავრილოვი იმ უზარმაზარი მანქანის მესაჭე იყო, არმია რომ ეწოდება, — ადამიანი, რომელიც განაგებდა მათ სიცოცხლეს; ახლა ისინი კომანდარმის ცხედრის სამეთაუროდ იყვნენ მოსულები. ამ დროს სოფლებში მეორე მამლები ყივიან. ამ დროს ცაზე ღრუბლები მიცურავდნენ და მათ უკან მიიჩქაროდა სავსე მთვარე, სრბოლით დაღლილი მთვარე. ამ დროს, პროფესორი ლოზოვსკი, დახურული როისით, ექსტერნად მიემართებოდა ნომერ პირველი სახლისაკენ; როისი უხმოდ შევიდა გრიფონებიან კარიბჭეში, გუშაგებს გვერდი აუარა და სადარბაზოსთან გაჩერდა, გუშაგმა კარი გამოაღო; ლოზოვსკი იმ კაბინეტში შევიდა, სადაც საწერი მაგიდის წითელ მაუდზე ტელეფონის სამი აპარატი იდგა, საწერი მაგიდის უკან კი, კედელზე, ასეულივით ჩამწკრივებულიყვნენ ზარები. რა საუბარი ჰქონდა ლოზოვსკის ამ კაბინეტში, — უცნობია, — საუბარი მხოლოდ სამ წუთს გაგრძელდა; ლოზოვსკი კაბინეტიდან — სადარბაზოდან — ეზოდან ძალიან სწრაფად გავიდა, პალტოთი და ქუდით ხელში, ჰოფმანის გმირების მსგავსად; ავტომობილი უკვე ღარ იდგა; ლოზოვსკი მიდიოდა ტორტმანით, თითქოს მთვრალი იყო; უკაცრიელი ქუჩები ღამის ამ გარინდულ უძრაობაში ლოზოვსკისთან ერთად ტორტმანებდნენ. —

ღამის უმოძრაო უდაბნოში, მთვარის შუქზე, ქუჩები ტორტმანებდნენ ლოზოვსკისთან ერთად. ლოზოვსკი — ჰოფმანისებურად — გამოვიდა ნომერ პირველი სახლის კაბინეტიდან. ნომერ პირველი სახლის კაბინეტში მოუხრელი კაცი დარჩა, მაგიდასთან იდგა: დახრილი, თავჩაქინდრული, მუშტებზე დაყრდნობილი. იგი დიდხანს იდგა გაუნძრევლად. კაცი მის ფორმულებსა და ქაღალდებს მოსწყვიტეს. და აი, კაცი ამოძრავდა. მისი მოძრაობები სწორკუთხოვანი და ფორმულების მსგავსი იყო, იმ ფორმულებისა, ყოველღამე სტენოგრაფისტ ქალს რომ კარნახობდა. იგი ძალიან სწრაფად ამოძრავდა. ზურგს უკან ზარს დააჭირა ხელი, ტელეფონის ყურმილი აიღო. მორიგეს უთხრა: „სპორტული, ღია“. მერე დაურეკა მას, ვისაც უთუოდ ეძინა, ვინც პირველთა „ტროიკაში“ შედიოდა, სუსტი ხმით უთხრა: — „ანდრეი ძვირფასო, წავიდა ადამიანი, კოლია გავრილოვი მოკვდა, აღარ გვყავს მებრძოლი ამხანაგი. დაურეკე პოტაპს, გეთაყვა, დამნაშავეები ჩვენ ვართ, მე და პოტაპი“.

მოუხრელმა კაცმა მძღოლს უთხრა: — „საავადმყოფოში“. ქუჩები აღარ ტორტმანებდნენ. ღრუბლებში შფოთავდა, ჩქარობდა მთვარე, და ქუჩებს შოლტივით ეგებოდა ავტომობილი. საავადმყოფოს შავი შენობა ღამის წყვდიადში მშფოთვარე ფანჯრებით კრთოდა. შავ გასასვლელებში გუშაგები იდგნენ. სახლი დუმდა, ისეთი მდუმარებით, სიკვდილს რომ ახლავს თან. მოუხრელი კაცი — შავი დერეფნებით — კომანდარმ გავრილოვის პალატასთან მივიდა. კაცი პალატაში შევიდა, — იქ საწოლზე კომანდარმის ცხედარი ესვენა, სულის შემხუთავად ყარდა ქაფური. პალატიდან ყველა გავიდა. პალატაში დარჩნენ მოუხრელი კაცი და ადამიანის, გავრილოვის ცხედარი. კაცი საწოლზე ჩამოჯდა, ცხედრის ფეხებთან. გავრილოვის ხელები, საბნის ზემოდან ეწყო, სხეულის გასწვრივ. კაცი დიდხანს იჯდა ცხედართან, თავდახრილი, დადუმე-

ბული. სიჩუმე იყო პალატაში. კაცმა გავრილოვის ხელი აიღო, ხელი ჩამოართვა, თქვა:

— მშვიდობით, ამხანაგო! მშვიდობით, ძმაო!

და პალატიდან გავიდა, თავჩაქინდრული, არავისთვის შეუხედავს ისე თქვა: —„სარკმელი მაინც გამოაღეთ, სუნთქვა შეუძლებელია“, — და სწრაფად გაიარა შავი კორიდორი, კიბეებზე ჩავიდა.

ამ დროს სოფლებში მესამე მამლები ყიოდნენ. კაცი უხმოდ ჩაჯდა მანქანაში. მძღოლმა თავი მოაბრუნა, ბრძანება რომ გაეგო. კაცი დუმდა. კაცი გამოერკვა, — კაცმა თქვა: — „ქალაქგარეთ! — მაქსიმალური სიჩქარით“ —

მანქანა მაშინვე მთელი სიჩქარით მოსწყდა ადგილს, მარაოსებრ შემობრუნდა, შუქები გასტყორცნა, — დაიძრა შუკების, ფირნიშების, ქუჩათა მონაკვეთების დასასერად. ჰაერი ერთბაშად გამკვრივდა, მანქანაში ქარმა დაუბერა, დაიზუზუნა. უკან მიფრინავდნენ ქუჩები, სახლები, ფარნები, — ფარნები აქეთ-იქით ისროდნენ ცეცხლოვან სხივებს, აცხრებოდნენ და უმალ უკუიქცეოდნენ. მანქანა მთელი ძალით მიისწრაფოდა ქალაქგარეთ, საკუთარი თავიდან დასხლტომას ცდილობდა. უკვე გაუჩინარდნენ საგარეუბნო ტრამვაების აირმაშუქები, ცხვრებივით მიმოიფანტნენ ძაღლების ყმუილში სოფლის ქოხმახები. უკვე აღარ ჩანდა გზატკეცილის ზედაპირი, დროდადრო ბორბლების ხმაურიც იკარგებოდა, მყისიერად, როცა მანქანა ჰაერში მიფრინავდა. ჰაერი, ქარი, დრო და მიწა სტვენდა, წიოდა, ღმუოდა, ხტოდა, მიჰქროდა: და ამ თვალშეუდგამ სწრაფვაში, როცა ყველაფერი მიისწრაფოდა, უძრავად ჩანდნენ გვერდით მიმავალი, ღრუბლებს ამოფარებული მთვარე, ეს მანქანა, და ადამიანი, მშვიდად რომ იჯდა მანქანაში.

იმ ტყის პირას, სადაც რამდენიმე დღის წინ გავრილოვი და პოპოვი იყვნენ, კაცმა ბრძანა: „გააჩერე!“ — და მანქანამ სიჩქარეები მოწყვიტა, დატოვა რა უსარგებლოდ სივრცე, დრო და ქარი, — შეაჩერა მიწა და ღრუბლებს მიღმა განდევნა მთვარე. კაცმა არ იცოდა, რომ ამ ტყესთან — ორიოდე ღამის წინ — გავრილოვი იმყოფებოდა. კაცი მანქანიდან გადმოვიდა და უხმოდ, ნელი ნაბიჯით ტყისკენ წავიდა. ტყე თოვლში გარინდულიყო. ტყის თავზე მთვარე მიიჩქაროდა. არავინ იყო და კაცი ვერავის გამოელაპარაკებოდა. კაცი ტყიდან მალე არ გამოსულა. მანქანაში ჩაჯდომისას თქვა:

— უკან დავბრუნდეთ. არ იჩქაროთ.

ქალაქს მანქანა გამთენიისას მიუახლოვდა. აღმოსავლეთით წითელი, მეწამული, ცივი მზე ამოდიოდა. იქ, ქვევით — ლილისფერ და ლურჯ — გამჭვირვალე კვამლში — ბინდბუნდში ქალაქი იწვა. კაცმა ქალაქს ცივი მზერა მოავლო. ამ დროს, ცის კაბადონზე, მთვარისაგან დარჩენილი, ოდნავ შესამჩნევი ყინულოვანი კოშტი დნებოდა. ქალაქის გუგუნი თოვლის სიჩუმეში აღარ ისმოდა.

თავი უკანასკნელი

საღამო ხანს, კომანდარმ გავრილოვის დაკრძალვის შემდეგ, როდესაც სამხედრო ორკესტრის სპილენძის საყვირების ხმა მიწყდა, სამგლოვიარო ბაირაღები აიშალნენ და ათასობით დამწუხრებულმა ჩაიარა, როცა ადამიანის ცხედარი ცივდებოდა მიწაში, მიწასთან ერთად, პოპოვს თავის ნომერში ჩაეძინა და გამოეღვიძა მაგიდასთან, მისთვის გაურკვეველ დროს. ნომერში სიბნელე და სიჩუმე იყო, ნატაშა ტიროდა. პოპოვი დაიხარა, ქალიშვილი ხელში აიყვანა, ოთახში გაატარ-გამოატარა. ფანჯარაში სრბოლით დაქანცული თეთრი მთვარე შემოძრომას ლამობდა. პოპოვი ფანჯარასთან მივიდა, თოვლს და ღამის სიჩუმეს გახედა ფანჯრიდან. ნატაშა ხელებიდან ჩამოხტა და ფანჯრის რაფაზე დადგა. პოპოვს ჯიბეში გავრილოვის წერილი ედო, ის უკანასკნელი ბარათი, რომელიც კომანდარმმა ღამით დაწერა, სანამ საავადმყოფოში წავიდოდა. ბარათში ეწერა:

„ალიოშა, ძმაო! აკი ვიცოდი, რომ მოვკვდებოდი. შენს გოგონას როცა ვაძინებდი, ფიქრებმა წამიღო. მაპატიე, შენ ხომ არც ისე ახალგაზრდა ხარ. ჩემი ცოლიც ხანშია შესული, შენ მას ოცი წელია იცნობ. მივწერე მას უკვე. შენც მისწერე. დასახლდით ერთად, ან იქნებ... დაქორწინდეთ კიდეც. ბალღები გაზარდეთ! მაპატიე, ალიოშა“.

ნატაშა ფანჯრის რაფაზე იდგა, და პოპოვმა დაინახა, რომ ის ლოყებგაბუშტული, ტუჩებს

ამრგვალებდა, მთვარეს შესცქეროდა, მთვარეს უმიზნებდა და სულს უბერავდა.

— რას აკეთებ, ნატაშა? — ჰკითა მამამ.

— მთვარე მინდა ჩავაქრო, — უპასუხა ნატაშამ.

სავსე მთვარე ვაჭრის ქალივით ასდევნებოდა ღრუბლებს, სრბოლა ღლიდა.

ეს იყო დრო, როცა ქალაქის მანქანა იღვიძებდა, როდესაც გუგუნებდნენ ქარხნის საყვირები. საყვირები გუგუნებდნენ დიდხანს, აუჩქარებლად — ერთი, ორი, სამი, მრავალი, — და ქალაქის თავზე რუხ ღმუილს ერწყმოდნენ. სრულიად ნათელი იყო, რომ ამ საყვირებით ახლა მთვარით გათოშილი ქალაქის სული ღმუოდა.

მოსკოვი
პოვარსკაიას ქუჩა, 9 იანვარი, 1926 წელი

შენიშვნები

ვორონსკი, ა. კ. — ცნობილი კრიტიკოს-მარქსისტი, ВЦИК-ის (სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის) წევრი.

ВСНХ _ Высший Совет Народного Хозяйства. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

ОГПУ _ Обьеденённое Государственное Политическое Управление. გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო.

primus inter pares — (ლათ.) პირველი ტოლებს შორის — ყველაზე უფროსი ადამიანი საერთო პროფესიის ადამიანთა ჯგუფში. ითვლება, რომ ძველ რომში, ასე უწოდებდნენ ცეზარს.

status praesens — (ლათ.)ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა სამედიცინო გამოკვლევის დროს.

N. — (ლათ.) ნორმის ფარგლებში.

neurastenia — (ლათ.) ნევრასთენია, დაავადება.

ulkus ventriculi — (ლათ.) კუჭის წყლული.

comme il faut — (ფრ.) წესიერი.

ne faut pa — (ფრ.) არაწესიერი.

რუსულიდან თარგმნა
ნიკო დადიანმა

ნაირა გელაშვილი

მე ის ვარ

(ძველებური ამბავი. მოზარდებისთვის)

„მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმდე გასატანისა“

შოთა რუსთაველი

1959 წელი

შემოდგომა

როდესაც ფანჯარას მზე ეფრქვევა, ის მაინც იქ დგას, თუმცა, საფიქრებელია, რომ ვერაფერს ხედავს, რადგან წესით მზე უნდა აბრმავებდეს... ალბათ დგას და თვალები აქვს დახუჭული, და სახით გრძნობს სინათლის სითბოს ... შეიძლება ოდნავ ახელს თვალს და მოპირდაპირე სახლის ფანჯრებს შესცქერის, ისევ ისე, როგორც ყოველთვის, და იმ სახლში არავინ იცის, მაინც ვის უყურებს, რადგან მანძილი, ამ ორ სახლს რომ აშორებს, არ იძლევა საშუალებას, გაარკვიონ მისი მზერის მიმართულება...

და ვეღარც შენ ხედავ, როცა მის ფანჯარას დილისა თუ შუადღის მზე ალაპლაპებს, რადგან სინათლე შენც გაბრმავებს და მას გიუჩინარებს. მაგრამ შენ მაინც არ აშორებ თვალს...

— რას მიშტერებიხარ? გარეთ ყურების დროა? სკოლაში გაგვიანდება! რატომ აგილაგებია კაქტუსები ფანჯრის რაფიდან? ჩქარა! ჩქარა!

2010 წელი

— ნანა, სადა ხარ, სად? როგორა ხარ? დილიდან გირეკავ და არ მპასუხობ... გაგიკეთეს გადასხმა?

— საად?... ჰოო... კი, გადამისხეს... ვიწექი სამი საათი...

— ცოტა ხმამაღლა, არ მესმის კარგად. ეხლა სადა ხარ?

— ეხლა?... ეხლა ვარ მიღებაზე...

— ვისთან? რატომ ლაპარაკობ ასე დაბნეული? ცუდადა ხარ?...

— არაა...

— ვისთან ხარ მიღებაზე?

— ვისთან?... ბატონ...პროფესორ გოგი კორდიასთან ...გესმის?

— ...

— ალო, არ გესმის? ალო, გაითიშა?

— ...

— სად წახვედი? გაითიშა? ალო!

— რაა? ... ნანა... რა სთქვი? ვისთან ხარ?

— პროფესორ გოგი კორდიასთან...

— (ღმერთო ჩემო)... ჰკითხე, ადრე ვაკეში ცხოვრობდა?

— უკაცრავად, ბატონო პროფესორო, ჩემი მეგობარი კითხულობს, ადრე ვაკეში ხომ არ ცხოვრობდაო... (ეკითხება: მას)...ახლაც ვაკეში ვცხოვრობო (მეუბნება: მე)

— და... ადრე მუხაძის ქუჩაზე ხომ არ ცხოვრობდა?

— ცოტა ხმამაღლა, ცუდად ისმის.

— ... ადრე მუხაძის ქუჩაზე ხომ არ ცხოვრობდა?

— ადრე მუხაძის ქუჩაზე ხომ არ ცხოვრობდაო (ეკითხება: მას) დიახო (მეუბნება მე)

— (ის არის. ის არის. ის არის.) ... მაშინ...გადაეცი, რომ ნია ლელიშვილი ...(რა ბრიყვულად და არაბუნებრივად ჟღერს: ჩემი სახელი და გვარი, თითქოს ზედმეტია) უთვლის მოკითხვას... (ღმერთო ჩემო)

— აი... ჩემი მეგობარი, ნია ლელიშვილი გითვლით მოკითხვას...ბატონო პროფესორო... დიახ... დიახ... (ეუბნება: მას)... ჩემგანაც გულითადი მოკითხვაო... (მეუბნება მე).

— (მიშველე, ღმერთო...) ... უთხარი, ხშირად მახსენდები... თ ...თქო

— ... ხშირად მახსენდები...თო (ეუბნება: მას) ... მეცო (მეუბნება: მე. უცბად დაწეული ხმით)... „**მეც**“-ო?

1959 წელი

შემოდგომა

— სად გარბიხარ, გოგო! ჯერ ხომ ადრეა, მოდი, ჩაი მაინც დალიე, თუ ასე გეჩქარებოდა, ვერ გაჰყევი იმათ მანქანით? რა უნდა გააკეთო ასე ადრე სკოლაში?

— გოგოს ნუ მეძახი, ვერ ვიტან! ვერ ვიტან! გაიგე?

— აბა, ხმას დაუწიე, მე დედა ვარ და რასაც მინდა იმას დაგიძახებ! „გოგო“ რითი არ მოგწონს მაგალითად? თმა გადაივარცხნე! წესიერად გაიყავი შუაზე. გაყოფის ხაზი სულ სწორი უნდა იყოს, სწორი და თეთრი, და არა მიღრეცილ-მოღრეცილი! სად გარბიხარ-მეთქი! დალიე ჩაი! უნდა თბილ ჩულქებზე გადახვიდე, აღარ არის გეტრების დრო! რატომ ლურჯები არ ჩაიცვი, თეთრები მალე გესვრება!

— ამხანაგებთან ერთად მივდივარ, გაკვეთილებამდე სკოლის ეზოში გვავარჯიშებენ! და არა მშია, არ მინდა ჩაი!

და ფანჯარასთან მიირბენ. კიდევ ერთხელ გადახედავ მუხაძის ქუჩას და მერე ჩაკისრისტეხდები კიბეებზე, ფალიაშვილის ქუჩაზე მიჰქრი და **№ 84**-თან ქვავდები, იქ სადაც ფალიაშვილის ქუჩას ბერძენიშვილისა ჰკვეთს. ხეს ეფარები და მიშტერებიხარ იმ არსებას, რომელიც ზემოდან ჩამოდის, ჩამოსდევს დაღმართს, იქიდან, სადაც მუხაძის ქუჩა ბერძენიშვილის ქუჩას უერთდება.

„რა ამხანაგები! სად არიან ამხანაგები! სად ჯანდაბაში მიექანება, ჯერ ხომ ადრეა! როგორ გარბის! ლამის კაბა წამოეხადოს თავზე! გოგოა ეხლა ეს? „გოგოს“ ნუ მეძახიო! მოიცა. მობრძანდები შინ! ჩამოვა პარასკევს მამაშენი, ვეტყვი, ვეტყვი აუცილებლად და ნახე, რა დღესაც დაგაყრის!“ — მესამე სართულის აივნიდან გადახრილა და ცდილობს დიდხანს ხედავდეს ჩანთიან შვილს, რომელსაც თანდათან ხეები ფარავენ.

ის მაღალია. და მხრებში გამართული. გადაჰკვეთს ფალიაშვილის ქუჩას, გადის ბერძენიშვილის ქუჩაზე და იქიდან ჭავჭავაძის პროსპექტს მიადგება. ტროტუარზე ჩერდება, უცდის, როდის ჩაივლიან მანქანები, ავტობუსები და ტროლეიბუსები. მერე მეორე მხარეს გადაირბენს და სტუდქალაქის წინ, ავტობუსის გაჩერებაზე ხეს მიეყრდნობა. მხრით.

ფრთხილად მიიწევ წინ ბერძენიშვილის ქუჩაზე, ჭავჭავაძის პროსპექტისაკენ, ჩაუვლი მეწაღის უფანჯრო ჯიხურს, მესაათის ფანჯრიან ჯიხურს, გაზეთების კიოსკს, ხილ-ბოსტნეულის მაღაზიას, მერე ტროტუარის ნაძვს ეფარები და თვალს არ აშორებ პროსპექტის იქითა ნაპირს, იქამდე, ვიდრე მას ავტობუსი შთანთქავდეს.

.

— რა გატირებს, გოგონი? შეგემთხვა რამე?

უხმოდ უქნევს თავს გამვლელ ქალს და მიდის. ფალიაშვილის ქუჩას მიუყვება 57-ე სკოლისკენ. ყვითელ ფოთლებს მიაშრიალებს და გაკვეთილზე იგვიანებს.

— ლელიშვილი! შენ რა ფანჯარაში საყურებლად დადიხარ სკოლაში? რას მიშტერებიხარ, გოგო, ღრუბლებს, რა დაკარგე ცაში, მიპასუხე!

— ...არაფერი..

— ოჰ! „არაფერი“! აბა, აბრძანდი და გამობრძანდი დაფასთან... ცოტა ჩქარა, რა მკვდარივით მოიწევ! აბა, ჩამოაწიკწიკე საზეპიროები!

— არ ვიცი...

— არც ერთი?

— არც ერთი...

— მაინც რატომ? რატომ გაგთიშა ასე გამჩენმა, გამაგებინე, არაფრის სწავლა აღარ გინდა, გოგო? რა დაგემართა, შარშან ხომ კარგად სწავლობდი!

—„გოგოს“ ნუ მეძახით, და ნურც გვარს, მე სახელი მქვია.

— სახელიო? შენ სახელის რა ღირსი ხარ! ერთი საზეპირო რომ არ გეცოდინება სახელგანთქმული პოემიდან, სახელის ღირსი ხარ შეეენ? მიბრძანდი ადგილზე! ასე. გადაშალე წიგნი! უჩვენეთ ერთი მაგ ქალბატონს საიდან იწყება საზეპირო! ყველამ ერთად წავიკითხოთ ხმამაღლა! აბა!

„მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან;
ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან;
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულისა ენითა,
მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა,
ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა,
კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედა ფრფენითა.“

— შენ რატომ არ კითხულობ, ლელიშვილი?! შენ რა არ გეკადრება?

— არ მესმის და იმიტომ.

— არ გესმიიის? რა არ გესმის, მაგალითად? ხომ ჩაგაწერინეთ სიტყვების განმარტება! ხომ შეგიდგინეთ საზეპიროების ლექსიკონი!

— რა საშინელი სიტყვებია : „ვთქვნე!“ ძლივს ვამბობ, „ბნდებიან“! „ფრფენითა“, ძლივს ვამბობ! ენა მომტყდა!

— მართლა მოსატეხი და მოსაჭრელი გაქვს ეგ ენა, შენი დასაწუნია რუსთაველი?! აბა, დაატანე გონებას ძალა! მითხარი, რას ნიშნავს:

„ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხვდეს, გინდა ქუში;
მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაში-მტლუში“.

— ამოიღე ხმა!

— რა საზიზღარი სიტყვაა: „მტლაში-მტლუში“. არ ვიცი, რას ნიშნავს, მაგრამ გული მერევა!

— რა უნდა გელაპარაკო! ჭკუიდანა ხარ გადასული! არ გესმის, რომ რუსთაველიც ვერ

იტანს? შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველსაც გული ერევა! აჰა! გაიხარეთ, ზარია უკვე! მაგრამ არ გაინძრეთ ადგილებიდან! აი, ეს გექნებათ საზეპირო შემდეგისათვის:

მას ცოცხალი ნუ ელევის, რაცა პირველ შეუყვარდეს,
ნუცა ლხინსა აუზვავდეს, ნუცა ჭირსა შეუზარდეს:
მისთვის დასთმოს ყველაკაი, მისთვის ველთა გამოვარდეს,
ნურა გაჰვა, სოფელიცა მისი კერძი გარდაქარდეს

და ა.შ. გასაგებია?! რაც შეგეხება შენ, მადამ ლელიშვილი! თუ ჭკუაზე არ მოხვალ, დედაშენს დავიბარებ, არ მოიყვან და გაკვეთილებზე აღარ დაიშვები!

ბოლო გაკვეთილიც დამთავრდა. და-მთავ-რდა! ვიდრე ზარის ხმა მიწყდება, პიონერის ყელსახვევს კისრიდან იძრობ და ჩანთაში იტენი.

გხედავ. მახსოვს.

— ეი, ნი! კუსასთან მივდივართ, წამოდი, ახალი ფირფიტა უშოვია, თან ვიცეკვებთ, ტვისტი, რამე, თან ლიქიორს დავლევთ, დედამისი სახლში არ არის და არც მოვა!

— არა! არა! მეჩქარება! ნუ მექაჩები სახელოზე! — ხელებს ასავსავებ. კიბეებზე მიექანები ბავშვების ჩანჩქერთან ერთად, რომელიც შენ: თმააწეწილსა და კაბაშემოგრეხილს ქუჩაში გაგტყორცნის.

გარბიხარ.

57-ე სკოლაც ფალიაშვილზეა და **№96** საცხოვრებელი სახლიც. მათ შორის მოქცეულ ფალიაშვილის ქუჩის მონაკვეთს 4 ქუჩა გადაჰკვეთს: არაყიშვილის, რიგის, კავსაძის და ბერძენიშვილის... ამ ბევრმანქანიანი გადაკვეთების გამო ჯერ კიდევ 2-3 წლის წინ მარტოს არ უშვებდნენ სკოლაში და სკოლიდან სახლში. ახლა კი თავისუფალია, თა-ვი-სუ-ფა-ლი! და საკუთარი მოძრაობის სისწრაფეს მხოლოდ თვითონ წყვეტს.

გადაიქროლებს არაყიშვილის ქუჩაზე, გაირბენს ფალიაშვილის ქუჩას, ვიღაც ძლევამოსილ ქალს ეჯახება, მუჯლუგუნს იღებს, მიაწყდება რიგის ქუჩას, ვიღაც საშიში ბიჭები დაუსტვენენ, შეიძლება, იმიტომ რომ, კაბა, რომელიც მუხლებს არ უფარავს, მეტისმეტად უფრიალებს... სულერთია...

ფრთხილად, ნი! წინ დაიხედე! მანდ, ერთგან, ვიდრე ბორდიურს მიაღწევ, ქვაა ამოჩრილი, ფეხს წამოკრავ! და რადგან ძალიან სწრაფად მირბიხარ, მთელი ძალით დაასკდები ასფალტს! ორი წამიღა გაშორებს დაცემას, წინ დაიხედე!

წაიქეცი!

გხედავ. მახსოვს.

აყენებს ვიღაც.

ხელისგულები გადაყვლეფილი, მუხლები დასისხლიანებული, ლოყა დაჟეჟილი, მთლიანად მტვერში ამოსვრილი... და აი, ეს ყველაფერი მაინც მიაქვს, მიარბენინებს კიდეც, მთელს თავის იავარქმნილობას. ეჰ! ყურადღებას არ აქცევს, საშიში ბიჭები რომ უსტვენენ, შეუბრალებლად.

და გადაირბენს კავსაძის ქუჩას, მანქანა ამუხრუჭებს, ... გადაირბენს ბერძენიშვილის ქუჩას და ფალიაშვილის **№84-**თან ჩერდება. სულს ძლივს იბრუნებს. სახლის კუთხესთან ჩანთას ძირს დააგდებს, ზედ მუხლებზე დგება, გაოფლილ საფეთქელს კედელს აყრდნობს და ჭავჭავაძის პროსპექტისაკენ იყურება. ამ დღეს ისიც ამ დროს ბრუნდება ხოლმე შინ... წუთები მისეირნობენ. ჩქარა წადით! დგება, მხრით სახლის კედელს ეყუდება, თვალს არ ახამხამებს... ნუთუ დაიგვიანებს?

გამოჩნდა! ბერძენიშვილის ქუჩას მოუყვება, მაგრამ ვიღაცასთან ერთად. გადმოკვეთეს მოსაშვილის ქუჩა. ცოტა ხანს უყურებს. მოხუცი კაცი გაჩერდება, ყავარჯნით შლაპას აიწევს და

მის მზერას დაამგზავრებს თავისას. წამიც და №№84-ის სადარბაზოში იმალება, რომ არ დაინახოს: მან. და მას არც არასოდეს დაუნახავს, როგორ აცილებენ და როგორ ხვდებიან...

როცა ფალიაშვილს გადაკვეთენ და ბერძენიშვილს ზემოთ აუყვებიან, გამოდის სადარბაზოდან და ზურგიდან უყურებს, იქამდე, ვიდრე მუხაძეზე შეუხვევენ მარჯვნივ...

კარს მარია უღებს.

— О Боже! Опять! Опять упала!

მიათრევს სამზარეულოში. წმენდს.

— რატომ დარბიხარ ამდენს, მითხარი! რატომ არ შეგიძლია ნელა სიარული! დედაშენი გაბრაზებულია, დილას არ გისაუზმია, რატომ არ ჭამ? გამხდარი ხარ! გინდა მოკვდე? რატომ აგდებ ჩანთას ძირს? გამოდი ოთახიდან, დაიბანე ხელები და ჭამე, მზად არის საჭმელი, გესმის? ნია! არ გესმის?

მაღალი ბიჭი ამხანაგთან ერთად მოპირდაპირე სახლის სადარბაზოში გაუჩინარდა. ეს სამსართულიანი აგურის სახლია. **მუხაძის ქ. №14.**

სადარბაზოს ბაქნის პატარა ფანჯარაში მოჩანს: მიადგნენ მეორე სართულის კიბეს. ითვლის. ოცამდე შინ შევლენ. და ცოტა ხნის შემდეგ ბიჭი უკვე ფანჯრის წინ ისვეტება...

— აი, პიურე და შემწვარი თევზი, მაყვლის კისელიც, ხომ მიაყოლებ? კაცო, რატომ დგას ეს ბიჭი სულ ფანჯარასთან? ვის უყურებს ამ ჩვენს სახლში? სულაქველიძეებს მიშტერებია ალბათ, ეგენი ხომ ნახევრად ტიტვლები დააბოტებენ ოთახებში! იმ დღეს მანია ბეკერიც მეკითხება: Почему этот юноша постоянно стоит у окна и смотрит на нас? მაგას ჰგონია, მაგას უყურებს!

მოდი! მოდი! რა არის ეგ? მაჩვენე მაჯა! ისევ კბილის პასტის ზოლი! უკვე მერამდენედ! ასე დადიხარ მთელი დღე?! ვერავინ შეგნიშნა, ნეტავ! უკვე დიდი ხარ, საყვარელო, არ უნდა მიაქციო ყურადღება, კბილებს როცა იხეხავ, რომ მაჯაზე გეწუწება?! იდაყვამდე მიგყვება, შეხედე! წადი დაიბანე! წადი. აბა, დაჯექი. მისმინე, ნია! დედაშენი გაბრაზებულია. დილას აივნიდან გიყურებდა თურმე და ამხანაგები არც გამოჩენილან, მარტო გარბოდა კისრისტეხითო. ასე ადრე რატომ გარბოდაო. ეჭვებშია. მე მითხარი, რაშია საქმე, შენ ხომ იცი, რომ სამარეზე ჩუმი ვარ. აი, შენი საცვლები, გარეცხილი და დაუთოებული, ჩაიწყე უჯრაში. მართალია, ჯერ ისევ მზეა, მაგრამ აღარც ისე თბილა, უკვე უნდა შეეშვა გეტრებს. ბამბის ჩულქებზე უნდა გადახვიდე, პადვიაზკები უკვე გაგიმზადე, ტრუსიკიც ცოტა თბილი უნდა ჩაიცვა, გავჩუმდე? რატომ უხეშობ? რატომ უნდა გავჩუმდე? რას ვამბობ უაზროს? კაქტუსები რატომ აალაგე ფანჯრის რაფიდან? აღარ გინდა? როგორც გინდა. და მაინც, სად მირბოდი? პასუხი მოამზადე. დედაშენისთვის. მოგწონს ვინმე?

— მომწონს? სისულელე! დამანებეთ თავი! ვინ უნდა მომწონდეს! უბრალოდ, სირბილი შემიყვარდა, გაიგე? ს ი რ ბ ი ლ ი !

— სირბილი ყოველთვის გიყვარდა! და ისე, დიდი ამბავი! შენხელა ტანცპლაშჩადკაზე დავდიოდი და პაკლონიკებს ვიწუნებდი! ჩელიაბინსკში. ცუდია, აქ რომ არ არის ტანცპლაშჩადკები. ფოქსტროტს ვცეკვავდით, ვალსს ვცეკვავდით, რაღაცეებს ვცეკვავდით. რა სჯობია, დგახარ, გამოპრანჭული, დუხდასხმული და ელოდები და მოდის ვიღაცა და საცეკვაოდ გაჰყავხარ. მოგწონს, — გაჰყვები. არ მოგწონს, — არ გაჰყვები. შენს მარჯვენა ხელს მარცხენა ხელში მოიქცევს, თავის მარჯვენას წელზე შემოგხვევს, მიგიკრავს, თუ ძალიან მოსწონხარ, მთლად გულში ჩაგიხუტებს, თუ შენც ძალიან მოგწონს, თავს მიაყრდნობ მკერდზე (თუ მაღალია) ან მხარზე დაადებ, ან საერთოდ კისერზე შემოხვევ ხელებს და ტკბილ სიზმარში გადახვალ. აი, მოდი, გაჩვენო, აი ასე, ნაზად გადმოდგი ნაბიჯი, მსუბუქად... რა მოგდის, რატომ გადახტი კენგურუსავით? ჩემი სამი ამხანაგი ტანცპლაშჩადკის წყალობით გათხოვდა. ერთი პირდაპირ იქედან. აი, ასე. ერთი ხანობა ხო იყო ვაკის პარკში ცეკვები, რისთვის მოსპეს. ნეტავ, კიდევ მაცეკვებდეს ვინმე! ფო-

ქსტროტი იმდენად აღარ მინდა. მაგრამ ნელი ცეკვა, გულში ჩახუტებული... ნელი ცეკვა, ნელი. ისე ნუ მომკლავ, ღმერთო, რომ აღარავინ მაცეკვოს ნელა.

რეებს ამბობს ეს ქალი! არაფერი, არაფერი შენ არ გეხება.
განა იმიტომ, რომ ძირითადად რუსულად ლაპარაკობს?
„ტანცპლაშჩადკა“?
ცეკვა?
რა ცეკვა? რის ცეკვა? ვისთან? იმასთან? ჩახუტება?!!

როგორც ყოველთვის მის სამ ფანჯარას მისჩერებია. **სამსართულიანი აგურის სახლის მეორე სართულის სამ ფანჯარას.** ამ ქუჩის ყველაზე ლამაზი სახლია. დაბინდული აგურის. მიწიდან ძირზე უთხელესი ხავსი აჰკვრია. და არის **№14.**

უკვე ისე აქვს თვალი გაწაფული, რომ ოთახის სიღრმეში მოძრავ სხეულებსაც ხედავს. კარგია, რომ ფარდები ფანჯრებიდან სულ გადაწეული აქვს. ახლა ისინი აჩრდილებს წააგვანან. დადის ორი აჩრდილი. ორი ბიჭის აჩრდილი. გადიან ხოლმე, ალბათ სამზარეულოში, დიდი ოთახიდან, რომლის კარიც აივანზე გამოდის, და ისევ შემოდიან, და ქრებიან, რადგან სავარძლებში სხდებიან ალბათ. ალბათ სამზარეულოდან საჭმელი, სასმელი, თეფშები, ჭიქები და მსგავსი რაღაცეები შემოაქვთ. ახლა აღარ ჩანან, ესე იგი, სხედან. მათი სიცილი და ხმამაღალი ლაპარაკი გამოდის გარეთ აივნის ღია კარიდან. ნეტავ, **რაზე** ლაპარაკობენ. **რაზე** იცინიან. ნეტავ, **რას** ჭამენ, **როგორ** ჭამენ, ნეტავ, **რა** უყვარს, ნეტავ, **როგორ** ზის, **როგორ** იცინის. მხიარულად არიან. აბა, რა არის ამ ბიჭისთვის მის გვერდით ყოფნა! როგორ ჩვეულებრივ, როგორ თამამად, როგორ უდარდელად იქცევა! სხვასთანაც ასე იქნება ალბათ. ასეთი ამხანაგები სხვებიც ეყოლება. თვალს როგორ უსწორებს? როგორ შეუძლია რაღაცეებზე იყბედოს და ასე ხმამაღლა იცინოს! ჭამოს და სვას და სიგარეტი მოწიოს! აი, ბოლი აივანზეც კი გამოდის! როგორ, როგორ შეუძლია ასე ღორივით მოიქცეს მის წინაშე!

თვითონ კი ალბათ არასდროს ეღირსება ასე ახლოდან მისი დანახვა. ან როგორ გაბედავს ასე ახლოს მისვლას! ხომ გული გაუსკდა! ან როგორ უნდა მოხვდეს მის სიახლოვეს? ვინ არის, ვის დაჰკარგვია? ერთი უაზრო „გოგო“! მაჯა გადაატრიალა და წყალში გახსნილი კბილის პასტის ბაც ნაკვალევზე დაისვა ხელი. გაიშორა. უფროსმა ძმამ ხელის კვრა იცის. დედამ — ჩქმეტა, ან თმის მოწიწკნა. მამამ — გაჭიმული საჩვენებელი თითით მაგიდაზე კაკუნი. ნეტავ, გვერდი არ სტკივა იმ თითს?

მაგრამ ის როგორღა არის, რომ მიუხედავად ამგვარი გამოხდომებისა, სადღაც, ალბათ გულში, საკუთარ თავს ნარნარ არსებად აღიქვამს? არსებად, სინათლეს რომ აფრქვევს და ყველას თავს აყვარებს. ყველა რომ ცდილობს დიდხანს უყუროს და რაც შეიძლება ხშირად ესტუმროს. შეიძლება ელენე ბებოს ბრალია ეს: „გედის ყელივით მკლავები გაქვს შვილოო“, რომ ეუბნება და ბებერ, დალაქულ ხელს ოდნავ აკარებს მკლავზე. ის კი იშორებს, გაღიზიანებული. ზიზღიც კი ერევა. რადგან მისგან სულაც არ სურს ამისთანა რამეების მოსმენა, მით უფრო შეხება, არამედ...მოხუცი კი მაინც არ იშლის თავისებურ გაუგებრობებს: „შენი წონა თვალ-მარგალიტზე უფრო ძვირფასი ხარ, შვილო, კარგად გახსოვდეს, ერთი დიდი, ოქროს ენძელა ხარ, ღმერთის თვალისჩინი, ღმერთი ციდან დაგყურებს და გესიყვარულება: ჩემი ლამაზი, ჭკვიანი, კრიალა გოგო, ჩემი ნიაო, შენს თავს გაუფრთხილდიო“. ჰოდა, ზოგჯერ, შეიძლება სიზმარში, სჯეროდა ხოლმე ეს, ესე იგი, გრძნობდა საკუთარ სიკარგეს, თითქმის ნათებას, ან რაღაცნაირ კრიალს. მეფის ასულიც კი ყოფილა საკუთარ სიზმარში, ან ერთი უცხო ქვეყნის დედოფალი. გვირგვინიც კი სდგმია თავზე... მაგრამ უმეტესად, და ძირითადად დედისა და უფროსი ძმის წყალობით, უბადრუკობად მიაჩნდა თავი. და ალბათ სწორედ ამიტომ უსამართლობად კი არა, უსაშველობად აღიქვამდა მასთან ახლოს ყოფნის აბსოლუტურ შეუძლებლობას. ატირდა და თავი ფანჯრის რაფას ჩამოაყრდნო.

ხმები და ჩქამები.
ოთახებიდან.

ზარი.

კარის ჭრიალი. რაღაცის დაგდება. სკამის გახრიალება. თეფშებისა და დანა-ჩანგლის წკრიალი. ისინი ეუბნებიან, რომ:

უმცროსი ძმა მოვიდა

უფროსი ძმა მოვიდა.

სათითაოდ ასადილა, მარიამ.

დედა მოვიდა.

მარია მიდის.

ნეტავ, არავინ შემოაღოს კარი.

და საღამოც მოვიდა..

ბინებში ჭაღები აინთო და ფანჯრებიდან გადმოდენილი შუქები მუხაძის ქუჩის ჯერ ისევ მსხმოიარე ადესის ტალავერებს გადაეფინა.

მის ბინაშიც ანთია სინათლე და რადგან ფარდები გადაწეულია, კარგად აჩენს ორი ბიჭის სილუეტს, რომლებიც უკვე ამდგარან და მიდი-მოდიან. ამდენი ხანი რას აკეთებენ? ალბათ როგორ მოაცდინა! რატომ არ მიდის სახლში? შეიძლება ამდენი ხანი სხვის სახლში ყოფნა? უსაქმური! უპატრონო!

საწერ მაგიდას უჯდება, რვეულს შლის, №11 კალამს მელანში აწობს, (რა ლამაზი კალამი იყო! ყველაზე უფრო წვრილწვერიანი, ოქროსფერი, ნატიფი და საკუთარი ღირსების განცდით გამსჭვალული. არისტოკრატი! და როგორ სუფთად, წვრილად წერდა!) წიგნებს ილაგებს, რადგან მალე დედა შემოიხედავს.

დედამ მართლა შემოიხედა და კმაყოფილი დარჩა, წიგნებში თავჩარგული რომ იხილა. მერე ძმებიც ასევე შეამოწმა და უფროსს ყური კინაღამ აადღლიზა, რადგან მეცადინეობის ნაცვლად კოჭებით თამაშობდა თავის ოთახში.

.....

უკვე ღამეა. მთვარე ჩამოჰყურებს მუხაძის ქუჩას. ფანჯრები შავ-ყვითლად ბზინავენ. ეღირსა, როგორც იქნა! მიეთრევა! სტუმარი იცვამს, გადიან, სადარბაზოს ფანჯარას ჩაივლის ერთი წყვილი ნახევარი ფეხი, ის კი აივანზე გამოდის. აცილებს ამხანაგს, რომელიც ქვემოდან აჰხედავს. ის თავს ასწევს მაღლა და მარჯვენა ხელის მტევანს ბრტყლად ისე გადააქნევს, თითქოს ჰაერი გაჭრაო. მერე ოთახში შეტრიალდება და თეფშების ალაგებას იწყებს.

როგორ დაუტოვა იმ არარაობამ მთელი ნასუფრალი — მას! არ უნდა მიხმარებოდა ალაგებაში?! წამში წარმოიდგინა, როგორ ეხმარება თვითონ. როგორ მარდად ტრიალებს იქ, მისთვის ალბათ სამუდამოდ აკრძალულ ოთახებში, როგორ ალაგებს, როგორ რეცხავს (ეს შენ, ნია? ჯერ იატაკზე დაგდებული საგანიც რომ არ აგიღია?) ... ის ზღაპარი გაახსენდა, ქოთნის ხუფი რომ გაქალდება, ბინაში ტრიალს და ყველაფრის დაწკრიალებას რომ მოჰყვება და მერე, როცა ბინის პატრონის მოსვლის დრო დგება, ისევ გახუფდება. დევს თავისთვის წყნარად და უყურებს თავისი ხუფური მზერით ყველას და ყველაფერს. ეს მართლაც გამოსავალი იქნებოდა მისთვის: **იქვე ყოფნა**, რაღაცა საგნად, სამარადჟამოდ. სხვა ხომ არაფერი არ შუძლია. მხოლოდ ყურება. ყურების ბედნიერება. გაუმარჯოს თვალებს!

ბიჭი საძინებელში გადის, ზუსტად მისი ოთახის პირდაპირ და იხდის. პულოვერს უდიერად ისვრის გვერდზე. „საროჩკასა“ და მაისურსაც მიაყოლებს და ერთწამს ასე დგას: წელზემოთ შიშველი. ხელებს მაგრად ისვამს მკერდზე და მხრებზე. იზმორება. მას სუნთქვა ეკვრება, სახეზე იფარებს ხელისგულებს. მერე თითებიდან იყურება. ბიჭი ასევე უდიერად აიტაცებს საწოლის გადასაფარებელს და სადღაც მიაგდებს. მერე სინათლეს აქრობს. მაგრამ ჩანს, მთვარის წყალობით, როგორ ეცემა იგი ლოგინში. მერე თვითონაც აქრობს სინათლეს, უაზროდ იხდის

და ღამის პერანგს იცვამს. მაგრამ აღარ მოსწონს, მეტისმეტად ბავშვური და ბრიყვული ეჩვენება. შეცურდება გვერდითა ოთახში და უკან დედამისის გამჭვირვალე ღამის პერანგით გამოცურდება... მთვარის შუქში დგას სარკის წინ. ახლა ელემენტარულ სიმართლედ ეჩვენება სიტყვები: მეფის ასული ხარო. მართალია, ოდნავ იატაკზე ეთრევა ეს, რასაც დედამისი „პენუარს“ უწოდებს, მაგრამ მერე რა: ისე ლამაზად მიიღვრება მისი მხრებიდან... ამისთანა პერანგს დედა მხოლოდ მაშინ იცვამს, როცა მამა ჩამოდის ხოლმე, ესე იგი, კვირაში ერთხელ. ცალი ხელით თმას კეფაზე აიტანს... თავს შეატრიალებს... „ნეტავ ლამაზი ყელი მაქვს?“. გინდაც მქონდეს. მერე რა. ის ხომ ვერასოდეს დაინახავს...

ფრთხილად ჩაწვა საწოლში, პერანგი გაისწორა, კოჭებამდე ჩაიწია და საბანი დაიხურა... თვალები დახუჭა.

მკვდარივით გამართული და გულხელდაკრეფილი ღამის ღრუბლებს აჰყურებდა და ცრემლები ეღვრებოდა საფეთქლებზე. მერე პირით ფანჯრისკენ გადაბრუნდა, ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა და მზერა ბიჭის ფანჯარას მიაპყრო. მერე თვალები დახუჭა, და თანდათან ისე ცხადად წარმოიდგინა ლოგინში მწოლიარე და მძინარე, თითქოს მის გვერდით იწვა: ოღონდ თავისსავე საბანში გახვეული და სუნთქვაშეკრული, მისკენ ხელის გაწვდენასაც რომ ვერ ბედავდა.

მეორე დღეს ბოლო ორი გაკვეთილი გაგიცდათ. ბავშვები კინოთეატრ „ყაზბეგში“ გაიხვეტნენ. შენც მიგათრევდნენ, მაგრამ არ გაჰყევი. ვეღარავისთან ვეღარ პოულობ საერთოს. რადგან რაზედაც ყოველ წუთს ფიქრობ, იმას ვერავის მოუყვები. სხვა ყველაფერმა კი მნიშვნელობა დაკარგა. და შენ სულ უფრო და უფრო მარტო რჩები. ყველაფრიდან გთიშავს ეს, რაც დაგემართა. ნელა მიუყვები ფალიაშვილის ქუჩას, ნელა, რადგან ჯერ ადრეა და იგი ჯერ არ მოვა. ყვითელ ფოთლებს მიაშრიალებ, თუმცა უკვე გრილა, ჯერ ისევ გეტრები, თანაც თეთრი გეტრები გაცვია. არ გაგიხდია (მიუხედავად იმისა, რომ დედამ უკვე მეასეჯერ გიბრძანა და ყურის ბიბილოზეც კი წაგწვდა), მაგრამ რა აზრი აქვს, ის ხომ ვერასდროს მათ ვერ შეამჩნევს, გეტრებს კი არა, ჯერ შენც არ შეუმჩნევიხარ.

უაზროდ შესცქერი კერძო სახლების სხვადასხვანაირ, დაკეტილ კარებებს. ადრე ზარს რეკავდით და გარბოდით. სახლის პატრონები ვერასდროს გიჭერდნენ. შორიდან მოგაყოლებდნენ ხოლმე წყევლას და ლანძღვას, ან მუშტებს გიქნევდნენ. ერთხელ დიდი, შავი ძაღლი მოგიქსიეს, დაგეწიათ და კინაღამ დაგგლიჯათ. ახლა ვერ გაგიგია, რა იყო ამ მავნებლურ რეკვებში საინტერესო.

აი, ამ შიგნით შეწეულ ტუფის სახლში, მესამე სართულზე ჭკუიდან შეშლილი ახალგაზრდა და უშნო ქალი ცხოვრობს. „შჩოლკა“ წარბებსაც უფარავს, ბევრი მძივი ჰკიდია და სახე სულ ფანჯრის მინაზე აქვს მიკრული. თურმე შეყვარებულს მიუტოვებია და... ვერ აუტანია... აქ შენ და შენი ამხანაგები, აუცილებლად შეჩერდებოდით და ქალს ემანჭებოდით, იქამდე, ვიდრე ის ტირილს, კივილს და ხელების ქნევას არ დაიწყებდა. გამოვარდებოდა დედამისი აივანზე და ყველას გწყევლიდათ: მასაც მანჭვა-გრეხვით პასუხობდით. „თქვენ მოგეწიოთ ამისი უბედურებაო“ — გაჰკიოდა ხანშიშესული, საშინლად გამხდარი ქალი. მის უბედურებას კი „სიგიჟე“ ერქვა.

ს ი გ ი ჟ ე

ახლა ერთ წამს შეჩერდები ხოლმე მდუმარედ, თითქოს მონუსხული გაჰხედავ გონებადაბნელებულ ფანჯრის მონას და ვერ გაგიგია, რა შიშია ეს, ან მაშინ რატომ იქცეოდით ისე.

გადაჰკვეთა კავსაძის ქუჩა და ერთ ღია ფანჯარასთან გაჩერდა. ორი დიდი გოგო, ალბათ ოცი წლისები, ფანჯრის რაფაზე აქეთ-იქით შემომსხდარან, მოხრილი მუხლები ერთმანეთისთვის მიუტყუპებიათ და ლექსებს კითხულობენ. ის მათ ქვემოთ კედელს ეყუდება და უსმენს:

„ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ,

ხეთა ჯარს, ხეთა რიგს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?“

გული ეკუმშება. „**სადა ხარ? სადა ხარ? სადა ხარ?“** თვალები ცრემლებით ევსება და ძლივს კითხულობს ყდაზე: „**გალაკტიონი**.“ მივა თუ არა შინ, მოძებნის.

გოგოები ზემოდან აგდებით გადმოხედავენ: „რას გვიყურებ?“ არ პასუხობს. „თქვენ ვინ გიყურებთ! ოცი წლის გომბიოებო!“ გაიფიქრებს და გარბის. გოგოები საჩვენებელ თითს შუბლთან იტრიალებენ და ლექსების კითხვას განაგრძობენ.

ბერძენიშვილის ქუჩას მიაღწია. მწვანეპლაშჩიან ქალს საათი ჰკითხა. მთელი საათია მის გამოჩენამდე. სად წავიდეს? მივა ვაკის პარკამდე, მერე მოსაშვილის ქუჩას გამოჰყვება, ბერძენიშვილით ისევ ფალიაშვილზე გამოვა, მერე ბარნოვზე ავა და ა. შ.

ახლა ეს არის სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დრამის სცენა: ფალიაშვილის ქუჩის მონაკვეთი №84 იდან №116 მდე. მისი პარალელური მოსაშვილისა და მუხაძის ქუჩები. რომლებსაც დარიალისა და ბერძენიშვილის ქუჩები ჰკვეთენ. ბოლოში კი ვაკის პარკია, რომელსაც ეს სამი პარალელური ქუჩა უერთდება. და: **ფალიაშვილის №96 და მუხაძის №14. 96 და 14. ერთმანეთს უყურებენ.**

მიდის, მიდის და ყვითელ ფოთლებს მიაშრიალებს. თეთრი გეტრები ფოთლების მტვრით ესვრება.

ვაკის პარკში გაბორიალდა და უკანასკნელ ვარდებს დააშტერდა უკვე ჩამქრალი აუზის ირგვლივ. დაყნოსა, მერე ტოტები შეატოკა და დაინახა, როგორ დაიფარა მიწა თეთრ-წითელი ფურცლებით...

ჩაიმუხლა, ჩანთა მიწაზე დადო და აკრეფა დაიწყო. უცებ გვერდზე გაიხედა და ადგილზე გაიყინა: პარკის კიბეებზე ის ჩამორბოდა! ის!

პლაშჩის კალთებს მოაფრიალებდა და პირდაპირ მისკენ იღებდა გეზს! თავი ჩაჰკიდა და რაღაცა ჩხირით მიწის ხაზვას შეუდგა. აშკარად თვალთ უბნელდებოდა. იგრძნო, როგორ ჩაუარა უკან სწრაფი ნაბიჯით. თითქოს მისი ტანის სითბო თუ სურნელიც კი მოჰბერა ნიავმა. ასე ახლოს არასდროს ყოფილა. როცა გახედვა შეძლო, ის უკვე პარკის გასასვლელში მიაბიჯებდა და ფალიაშვილის ქუჩას უახლოვდებოდა. ვარდის ფოთლებიმოისროლა, ადგილიდან მოსწყდა და მოსაშვილის ქუჩაზე გაიჭრა. „რომ გამომეკიდოს, ვერ დამიჭერს, ვერასოდეს ვერ დამეწევა“ — გაიფიქრა. სიამოვნებდა საკუთარი სისწრაფის შეგრძნება. დარიალის ქუჩაზე გეოლოგიის სამმართველოს შენობასთან აუხვია და იქ გაჩერებულ ვილისს ამოეფარა. ცოტა ხნის შემდეგ ისიც გამოჩნდა. მუხაძის ქუჩისკენ აუყვა აღმართს და გაუჩინარდა.

რას ათვალიერებ, ნია?

ლექსიკონს?

საიდან გაგახსენდა ეს სამი შავი, მძიმე ტომი, ერთადერთი (რუსულ-ქართული) ლექსიკონი თქვენს სახლში, თუ არ ჩავთვლით დედაშენის სამედიცინო ცნობარებსა და ენციკლოპედიებს?

აღარაფერს აღარ სწავლობ და ლექსიკონი რა ჯანდაბად გინდა?

იატაკზე მორთხმულს სამივე ტომი ფეხებზე გადევს და ფეხებს გიბუჟებს. შენ კი მაინც ეძებ გამალებული. ეჰ, რადგან რუსული ანბანის თანმიმდევრობა არ გისწავლია, ასო Л – ს საპოვნელად ხან რომელ ტომს დაეძგერები, ხან რომელს. დილით მარიასაგან გაიგე ეს სიტყვა, გრძნობამორეული რომ ღიღინებდა: вернис ко мне любовь моя –ო და ახლა ეძებ **ЛЮБОВЬ** –ს სუნთქვაშეკრული, რათა ბოლოსდაბოლოს გაიგო, რა არის ეს, მაინც რა უბედურებაა, რა სიმპტომები აქვს, რამდენ ხანს გრძელდება, რანაირი გართულებები იცის და რითი შეიძლება დამთავრდეს ..

და, აი, „**ЛЮБОВЬ**“ — და „სიყვარული“. სხვა არაფერი. სულ არაფერი. კი მაგრამ სადღაც ხომ უნდა იყოს „**სიყვარულის**“ ა ხ ს ნ ა - გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა და დახასიათება, რომელიმე წიგნში, აბა, მარტომ როგორ უნდა გაართვას თავი ა მ ა ს მოწაფე გოგომ?

ეგებ დედამისის სამედიცინო ლექსიკონებში იყოს? ხომ აშკარად ავადმყოფობას ჰგავს? ალბათ არის კიდეც ავადმყოფობა.

ახლა სქელ სამედიცინო ცნობარს ფურცლავ გამალებით:

„სიგამხდრე“...
„სიმსუქნე“...
„სიბეცე... “
„სითბური მკურნალობა“...
„სითბური ქოშინი“...
„სიკვდილი“...
„სიმკვრივე“...
„სიმპათიკური ნერვიული სისტემა... “
„სინათლით მკურნალობა“...
„სინოვიტი“...
„სირინგომიელია“ (ზურგის ტვინის ნელა პროგრესირებადი ორგანული დაავადება)...
„სირსველი“...
„სისხლდენა“...
„სისხლდენის შემაჩერებელი საშუალებები“...
„სისხლის გადასხმა“...
„სისხლის მიმოქცევის სისტემა“...
„სისხლის შედედება“...
„სისხლის ჯგუფები“...
„სიყვითლე“
„სიცოცხლე“...
„სიცოცხლისუნარიანობა“...
„სიცხე“...
„სიცხის დამწევი საშუალებები“...
„სიფილისი“ ...
„სიწითლე“...
„სიყრუე“...

ჯანდაბა და დოზანა! ყველაფერია და „სიყვარული“ არ უნდა იყოს?! „სიყრუე“ არის და „სიყვარული“ არა? იმ იდიოტურ გაკვეთილებს ღეჭავენ მთელი წელი და ეს, ყველაზე ძნელი და გაუგებარი, არავინ უნდა აუხსნას?

— რატომ დაგიყრია ეს წიგნები ძირს, ნიუშკი, რას ჰგავს ეს? არ უნდა აგეღო?! — მარია. ცოტა ხნის შემდეგ.

— ოო, კარგი რა, მარია, ვერ ხედავ რამსიმძიმე ტომებია!

და ამ დროს გახსენდება „**გალაკტიონი**“ და მეორე ოთახში გარბიხარ, სადაც შემინულ კარადაში მხოლოდ მხატვრული ლიტერატურაა მოთავსებული.

ჯერ გამალებით ფურცლავ, მერე სარჩევს კითხულობ:

„შავი ღრუბელი“
„საღამო“
„როცა ბულბული განთიადისას“
„ვითარცა გედი განთიადისას“
„შუქი“
„ნიავი“
„დადგება დრო სანატრელი“

„**დრო სანატრელი**?“ აბა, ამას ნახავს, რა არის ეს **სანატრელი დრო**?

არაფერი უთხრა ლექსის დასაწყისმა, ამიტომ მაშინვე დასასრულზე გადავიდა:

გამეფდა ღამე
ბარად, მწვერვალზე
და ბოროტება —
სინათლის ქნარზე,
მაგრამ დადგება
დრო სანატრელი
და მოგვინათებს შუქი ცხოველი!

რა სისულელეა! რა „ღამე“, რა „ბოროტება“, რა „სიმართლის ქნარზე“! „და მოგვინათებს შუქი ცხოველი“ რა შუქი! რა შუაშია შუქი და ცხოველი? ეს არის „დრო სანატრელი“? „სანატრელი“ არის ის, შ ე ნ რ ო მ გ ი ყ ვ ა რ ს და იმასაც რ ო მ უ ყ ვ ა რ ხ ა რ ! გინდაც ღამე იყოს, გინდაც დღე! რომ ხედავ და გხედავს! კიდევ: ხანდახან მაინც რომ ელაპარაკებით ერთმანეთს, ხანდახან მაინც სადღაც მიდიხართ ერთად. ან არ მიდიხართ... ეს არის „სანატრელი დრო“ და როცა ერთმანეთს ვეღარ დაინახავენ თქვენი თვალები, ეს არის „ბოროტი დრო“.. აი, ეს არის...

აი, ხომ ხედავ, ნია, თუმცა ჯერ ცამეტი წლის ხარ, უკვე შენი ცხოვრებისეული ფილოსოფია გაქვს, შენი, ასე ვთქვათ, მსოფლმხედველობა. საინტერესოა...

ჰო. ისევ სარჩევს მიუყვები:

„პირველი მაისი“ (პირველ მაისს რაღაც დღესასწაულია)
„მომაკვდავი“ (ოოოჰ!)
„სასფლაოზე (ფუჰ!)
„გახსოვს?“
„განწირულება“
განწირულება?

.....
.....

რას ვეძებ ნეტა ამ ხეტიალში?
ბედნიერებას? ოჰ, არა, არა!
სიყვარულს? — განა ამ სიყვარულმა
მე ოცნება არ დამისამარა?

(ნუთუ სიყვარული ოცნებას ასამარებს? რა საშინელებაა! ჯანდაბას, „დაასამაროს“ და დაამიწოს ოცნება! ოღონდ თვითონ იყოს! როცა ძალიან, ძალიან გიყვარს, პრინციპში ძალიან ცოტა რამეზეღა ოცნებობ... ბევრზე ოცნებას მაინც ვერ ბედავ, რადგან ცოტაც გყოფნის... მასეა, ნია?)

მე საფლავს ვეძებ, რომ დამიამოს
და დამავიწყოს გულის ღრმა წყლული,
ეს კი არ არის ბედიერება,
არც მეგობრობა, არც სიყვარული.
სიცოცხლის ძგერა იდუმლად ჰქრება,
მის დავიწყებას დავეძებ მარად,
და არსად არის ეგ დავიწყება“.

ნუთუ მეც მომინდება მისი დავიწყება? ნუთუ არც **მეგობრობა** იქნება, არც **სიყვარული**? რატომ უნდა ვეძები საფლავი? ვერ ვიტან.

„ბინდის სტუმარი“
„ფოთლები“
„ყვავილ-წუთები“
„ქალწული“
„როგორც სინათლე მოხეტიალე“
„სიშორით შენით“

„სიშორის შენის სიახლოვე, მარადის მძაფრი,
აბრუებს ყნოსვას, ვარდო ტყიურო!

„სიშორის შენის სიახლოვე მარადის მძაფრი“?
„სიშორის შენის სიახლოვე?“

გული შეგეკუმშა. შენ ხომ ამას ვერაფრით ვერ მოიფიქრებდი! ამ სახელს ხომ ვერ მოუძებნიდი შენს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ს ?

მართლაც რატომ, რატომ იყო შენთვის ა ს ე თ ი ახლობელი ის, ვისაც არ იცნობდი? რ ო - გ ო რ , რ ა ნ ა ი რ ა დ გახდა ის, სრულიად უცხო, უცნობი ადამიანი უფრო მშობლიური, ვიდრე დედა, მამა, ან ძმები? არა, არა, შენი გონება ვერაფრით წვდებოდა იმას, რაც გულისთვის ისეთი ბუნებრივი იყო, რომ არანაირი კითხვები არ უჩნდებოდა.

მაგრამ რა შუაშია „**ტყიური ვარდი**?“ ტყის ვარდი შენც გიყვარს, ნია, ვაკის პარკში რომ ხარობს, სულ ორ ადგილას, რაღაცნაირად მარტო, გარიყული გაზონის დაბურულ სიღრმეში, მსხვილეკლებიანი, ღიალალისფერი, პატარა ყვავილებით. მაგრამ განა იმას ეტყვი ასეთ რამეებს? — **„სიშორის შენის სიახლოვე, მარადის მძაფრი?“** არა, რა თქმა უნდა. სისულელეა! სხვათა შორის ეს სიტყვა: „**მძაფრი“,** ისევე როგორც მრავალი სიტყვა, რაც ამ ლექსებშია, შენ **ჯერ** საერთოდ არ გიხმარია. **ასე** ხომ არ ლაპარაკობენ.

—ნია! ნია! სადა ხარ?

დედა. მოსულა. ხორკლიანი ხმა. მჟავე კიტრივით. როგორ ყვირის.

— რას აკეთებ აქ? რატომ არ მეცადინეობ? რა წიგნია ეგ? **გალაკტიონი!?** რა ჯანდაბად გინდა **გალაკტიონი?** რა შუაშია? გაკვეთილებს მიხედე! აბა! დროზე!

დედას მძულვარე მზერას სტყორცნი და შენს ოთახში გადიხარ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მიიპარები კარადასთან, „გალაკტიონს“ ჟაკეტის ქვეშ მალავ და შენს ოთახში გაგაქვს. ის ლექსი უნდა იპოვო: **„სადა ხარ? სადა ხარ? სადა ხარ?“**

1995 წელი

09

— ალო! გამარჯობათ! თუ შეიძლება მითხარით ტელეფონის ნომერი: კორდია, ჯაფარიძის ქუჩაზე, სახლის ნომერი არ ვიცი...

— მაშასადამე, კორდია... ჯაფარიძის ქუჩა...ესე იგი... სოლოლაკი. კი ბატონო.... ჩაიწერეთ! იწერთ? ოთხმოცდაცხრამეტი — ოცი — სამოცდაათი.

— დიდი მადლობა...

— არაფერს.

99 20 70

რა ვქნა? დავრეკო? რა ვუთხრა? თვითონ რომ მიპასუხოს? ცოლმა რომ მიპასუხოს? ცოლი ხომ აუცილებლად ეყოლება? თუკი მე გავთხოვდი...

მაგრამ მე გავეყარე, ეგებ ისიც გაეყარა... თუმცა, რატომ გაეყრებოდა? დედამისმა რომ აიღოს ყურმილი? ან მამამისმა? ნეტავ, ცოცხლები არიან ისევ? ყველას მხოლოდ შორიდან ვიც-

ნობდი: თვალით. მას კი... რა ვუთხრა, რა მინდა-მეთქი? მაშინაც კი არ ვიცოდი, რა მინდოდა, და ახლა? 34 წელია გასული. ოცდათოთხმეტი. მაგრამ, მე მგონი, ახლა უფრო ვიცი: ძალიან, ძალიან მინდა გავიგო: რა მოუვიდა? ცოცხალია? როგორი ადამიანი დადგა? შემიყვარდებოდა ახლა? შევუყვარდებოდი ახლა მაინც? როგორ გამოიყურება? როგორ გადაიტანეს ეს ქაოსი? ყველაფრის ნგრევა? სამოქალაქო ომი, სიბნელე, სიცივე, უმუშევრობა, მიწისძვრა — თან სოლოლაკში! ზვიადისტი რომ აღმოჩნდეს? ხომ გავგიჟდი! ჯობია, არ დავრეკო!

მაგრამ ... რომ ვეღარ ვისვენებ? რა არის ეს: რაღაც წარსული, შენი ცხოვრების ძველი წელთაღრიცხვა. დაახლოებით VI საუკუნე ან VII, რა ვიცი, უკვე უღრმეს უშენობაში გაშვებული, — თავიდან რომ დაიწყებს შენში ბალახივით აღმოცენებას? სევდის ნელ, ჩუმ მორევად ტრიალს? რომ შეგაღონებს, ფეხქვეშ მიწას რომ გამოგაცლის, როცა გეგონა, რომ უკვე ფეხი მოიკიდე დედამიწაზე და შენი ცხოვრებაც ასე თუ ისე დაალაგე, ანუ „ააწყვე“? და ეს ნაცოდვილარი დაწყობილება შეუმჩნევლად რომ დაიწყებს ტოკვას და რღვევას, თითქოს გაბმული და ნელი მიწისძვრა არხევს სიპით ნაგებ სახლს... თუმცა, ეს ხომ არ არის „რაღაც წარსული?“ არც გარდაცვლილებს ეხება საქმე, რომელთაც სჩვევიათ, ისევ და ისევ პურივით მოიტეხონ ხოლმე შენი გული. ეს მაინც **სულ სხვა** ამბავი იყო. პირველი. პირველი კი არასოდეს მეორდება. შეიძლება მეორე განმეორდეს. ფრთხილად. დაანებე თავი. ნუ მოძებნი. ნუ ნახავ. ნუ დაიმსხვრევ ხატს, მერე რაღას იზამ? მერე სიცარიელეს გუდასავით ვერ წამოიკიდებ, რომ სადმე ჩამოცალო, შორს! სწორია: საშიშია. ეს. ძალიან.

მაგრამ მერე უფრო დავბერდები. თუმცა, 48 წელი სულაც არ არის სიბერე. ეს ბრიყვებს ჰგონიათ. ჩვენს დროში ეს ჯერ კიდევ ახალგაზრდობაა, საერთოდ, და მე ჯერ ისევ ახალგაზრდა ვარ და შინაგანად შეიძლება უფრო ლამაზიც... შეიძლება გარეგნულადაც... ხანდახან ძალიან მომწონს ჩემი თავი. ხანდახან — საშინლად არა.

მოდი, რეპეტიციას გავივლი:

მაშასადამე:

ვარიანტი პირველი

99 20 70

— ალო!

— დიახ — მპასუხობს ქალის ხმა, ალბათ ცოლია (ნეტავ როგორი ცოლი ჰყავს) — უკაცრავად კორდიას ბინაა?

— დიახ

— თუ შეიძლება, თუ შეიძლება... ბატონ გოგის სთხოვეთ...

— ვინ კითხულობს?

— მე... მე პაციენტი ვარ...

— გოგი შინ არ არის...

— ბოდიშს გიხდით

და მოგვიანებით ისევ დავრეკავ.

ვარიანტი მეორე:

99 20 70

— ალო!

— გისმენთ — მპასუხობს კაცის ხმა (ნეტავ ვიცნობ მის ხმას? რაღაც მთლად ჩვეულებრივი დიქცია არ ჰქონდა... ვიცნობ, თუ ის არის?)

— თუ შეიძლება... ბატონ გოგის სთხოვეთ... (ასი წელი ჩემს ხმას ვერ იცნობს. ან რა ხმა უნდა მქონოდა მაშინ — ღლაპს)

— მე ვარ ...

— ... გამარჯობა ...თ
— გამარჯობათ
და ყურმილს ვკიდებ. არ შემიძლია. ვერ დაველაპარაკები. არ შემიძლია. რა უნდა ვუთხრა. „იცით, გოგი, აღარ მომასვენა სურვილმა, გამეგო, როგორ ხართ...“ არა, არ შემიძლია. რატომ უნდა ავაფორიაქო უაზროდ? ცოლი იქნება იქვე, ან შვილი, ჰკითხავს, ვინ არისო. რომ უთხრას: „იყო ერთი, ადრე, არანორმალური...“

მორჩა. მეყოფა რეპეტიცია. რაც არის, არის. ვრეკავ. გამაგრდი!

99 20 70

— ალო!
— გისმენთ! — მოხუცი ქალის ხმაა, ახლად ჩამოსულის.
— უკაცრავად, ეს... კორდიას ბინაა?
— იყო კორდიების. ეხლა ჩვენია: ჯახაიების.
— კორდიებისგან იყიდეთ?
— კი, კორდიებისგან... იქნება ასე ორი წელი...
— ხომ არ იცით, ისინი სად წავიდნენ?
— არ ვიცი მე. მოვლიან ჩემი ქალიშვილი და ჩემი სიძე საღამოს და იქნებოდეს იცოდენ იმათმა...
— აფხაზეთიდან ხართ?
— კი ვართ აფხაზეთიდან.
— ბოდიში
— არაფლის.
.....

კარზე აკაკუნებენ. კიდევ და კიდევ. იძახიან: „ნია!“
ვერკვევი: შემოდით.
ქეთინოა:
— რა მოგივიდათ?
— არაფერი.
— ინტერვიუზე არიან.
— არ შემიძლია.
— დათანხმებიხართ. ტელევიზიაში მისვლაზე უარი გითქვამთ და აქ ჩაწერაზე დათანხმებიხართ. გადაირევიან.
სახეზე ხელებს ვიფარებ.
— რა დაგემართათ? ცუდადა ხართ?
— **ის** მე არა ვარ, ქეთინო, გესმის, **ის,** ვინც ინტერვიუს იძლევა, ვინც აქაურობას მართავს, ვინც... საერთოდ ლაპარაკობს... **ის** მე არა ვარ, გესმის... სად წავიდე?
— ვინ ხართ, აბა? ვაიმე, აი, ცხვირსახოცი, მოიწმინდეთ ცრემლები, სად უნდა წახვიდეთ? უკვე მოდიან!

შემოდიან: შემზარავი ტელეკამერებით. დგამენ, აწყობენ.
ეს გოგოები. ჟურნალისტები. ყოველთვის შიშსა ჰგვრიან. თითქოს უნდათ ხაფანგში გაგაბან. წიგნებს არ კითხულობენ. ისედაც იოლას გადიან, რადგან არც სხვები კითხულობენ.
— თუ შეიძლება, გვითხარით, ქალბატონო ნია, მაინც რა არის ჩვენი ქვეყნის და საერთოდ, ჩვენი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი?
— (ეს „ქალბატონო“. მახსოვს, როცა მითხრეს პირველად. გულში ისარმა გამიარა, რუსთაველზე იყო, „მერანის“ შენობაში. რა ვიცი მე. ქრისტე ღმერთი კი არა ვარ, ვიცოდე,

„მაინც“ რამ დააქცია ეს ქვეყანა..) ... მე მგონი... მთავარი ის არის, რომ მთავარი და არამთავარი ვერ გაგვირჩევია...

1960 წელი

ზამთარი

მთელი ღამე თოვს. მ თ ე ლ ი ღ ა მ ე . უზარმაზარი ფიფქები ნელი ფიქრივით ნელა მოფარფატებენ. ნ ე ლ ი ფ ი ქ რ ი ვ ი თ .

საწოლში მუხლმოყრილი
მხრებზე საბანწამოხურული
ფანჯრის რაფაზე იდაყვებდაყრდნობილი
შუბლით შუშას მიკრული
ბარდნით მოჯადოებული
გაქვავებული
და თან
აღელვებული
ესე იგი:
აღელვებულად გაქვავებული
აი, ასეთი:
შესცქერი თოვას.

„ეს **ჩვენი** პირველი თოვლია. **ჩვენი** პირველი თოვლი!“

თქვენი თოვლი?კი მაგრამ რა გაქვთ თქვენ, საერთოდ, საერთო, ნია?

მუხაძის ქუჩისა და ერთმანეთის სახლების გარდა, რომლებსაც თქვენი თვალები ხედავენ? ნეტავ როდესმე თუ შეუმჩნევიხარ? ალბათ ისე, ფანჯარაში თუ მოუკრავს თვალი ან აივანზე, მექანიკურად, და მერე სხვა ვინმეზე ან რამეზე გადაუტანია მზერა... ვთქვათ, წვიმაზე, ძაღლზე ან მანქანაზე...

და რატომ არ უყურებს ამ თოვას? რა აძინებს ამ ბარდნაში? რა ბედნიერება იქნებოდა, ერთად რომ ეყურათ! ეყურათ. ეყურათ. ეყურათ. უსასრულოდ, ერთმანეთის გვერდიგვერდ ფანჯრის რაფაზე იდაყვდაყრდნობილებს, თუნდაც ერთი საბანი არ ჰქონოდათ ორივეს მოხვეული, არამედ ცალკ-ცალკე ყოფილიყვნენ თავ-თავიანთ საბნებში ჩათბუნებულები! და საბნებით ერთმანეთს მიკრულები.

სულ უფრო და უფრო მაღლდება თოვლი მის აივანზე. ხვალ ალბათ თოვლის გადმობერტყვა მოუწევს. ხოდა, გადმობერტყოს!

თურმე ძნელია დაძინება, როცა გარეთ სითეთრე ისადგურებს...

დილაუთენია ახელს თვალს და ისევ ისე უძგერდება გული: ისევ ბარდნის! არ იცის, ვის ახაროს! უმცროს ძმას მაინც ეღვიძოს, ჩაიწვენდა ლოგინში და ერთად შეხედავდნენ. მაგრამ, არა! მხოლოდ მისთვის ემეტება ეს გამაოგნები კორიანტელი. წრიალებს და ვერ ისვენებს. წრიალი, საერთოდ, ძალიან ძნელია. მას ალბათ მხოლოდ დიდები უძლებენ. თვითონ კი ვერაფერს უხერხებს. ხოლმე.

ოჰ, ცივია პარკეტი! სინათლის ანთება არ შეიძლება. ძალიან ჩუმად უნდა ჩაიცვა.

კორიდორი... ფაფუკი ვარდისფერი პალტო. ვხედავ. მახსოვს. ნელა ჩამოხსენი საკიდარიდან დათბილული ბოტები. ჩუუ. პალტოებს ქვემოთ პატარა ხის სკამია. გამოაცურე, დაჯექი და ისე გაყავი ფეხები. ფრთხილად. ამ კარს უკან, კორიდორში რომ გამოდის, ხომ შენს უფროს ძმას სძ-

ინავს. ჩუუ, ისე გადაატრიალე გასაღები, რომ არ დაიწკრიალოს, ისე გააღე უზარმაზარი კარი, რომ არ დაიჭრიალოს... მოიცა, ქალბატონ ელენეს ხელჯოხი გაიყოლე, აი, კუთხეში რომ აყუდებულა, სუუ, ნელა მიხურე, ასე, აბა, ახლა კი დაეშვი... სარდაფს ვერც კი იგრძნობ...

ფეხაკრეფით ჩაუყვა კიბეებს. ჩაეშვა სარდაფში, ისე გაირბინა ბნელი, ნესტიანი, მუდამ მძიმესუნიანი გვირაბი, რომ ამჯერად შიში არც კი გახსენებია, და სითეთრეში ავიდა.

დგას. აი, თვალისმომჭრელი, უენო, უცნობი სითეთრე. პირველად მან უნდა დააბიჯოს ფეხი? არ სიამოვნებს. ეს. ერთი. ორი. სამი. ნახევრამდე ეფლობა ბოტები. ძლივს აიარა პატარა კიბე და ეზოს მეორე სართულზე ამოჰყო თავი...

სამი ხე: ჭერმის, ლეღვისა და თუთის აღარ იცნობოდა. თოვლი მათ ურიცხვ, მსხვილ და წვრილ ტოტებზე კი არ იდო, არამედ იდგა. აქეთ-იქით გაფრენილი, ქვეშ შავხაზგასმული თეთრი სტრიქონები. მეზობელი ეზოს მაღალი ნაძვი. უზარმაზარ თეთრ თათებად ჰქცევია ტოტები. ყველაზე მეტ თოვლს ნაძვები იტევენ.

ძლივს იკავებდა გრძნობის მოზღვავებას, აღარ იცოდა, რა ექნა, დაეყვირა თუ ეტირა. ტუჩებით შეხებოდა თუ ჯოხით ეცემა და გაენადგურებინა ეს ჩუმად მოციმციმე სიქათქათე.

თოვლი სულ ახლდა. სიცოცხლის პირველივე წლებიდან. სოფელში. ქალაქში. და არასდროს გაჰკვირვებია. არასდროს გაოგნებულა. მაშ ახლა რა ემართება?

როცა შეშდები. და ცხოვრებაში პირველად ფიფქების ხმა გესმის. ჰო, ნამდვილად ესმოდა მის ჯერ ისევ თბილ ყურებს ეს ყოვლად უჩუმარი, თანაბარი შრიალი, რომელიც აბრეშუმის ჭიის ხმა ახსენებდა, ბავშვობაში, სოფლად, მეორე ოთახიდან რომ გამოისმოდა ხოლმე, სადაც უამრავი თოვლივით თეთრი და ფაფუკი ჭია თუთის ფოთოლს შეექცეოდა...

ეზო გადაჭრა, რკინის ჭიშკრით მუხაძის ქუჩაზე გავიდა და მისი აივნის ძირში გაჩერდა. მერე წინ წავიდა, ჩაიმუხლა და თოვლში ხელებგაშლილი, პირაღმა გაწვა. ფიფქები სახეზე ეფინებოდნენ და ადნებოდნენ. ხედავდა მათ, თავის წამწამებზე წამოცმულებს. ვარდისფერ პალტოს კი თანდათან უფარავდა თოვლი... თოვას ასცქეროდა. დედას ჰქონდა ოდესღაც ასეთი ჰაერისნაირი კაბა: ნისლისფერი და რძისფრადდაფიფქული. „კარგია თოვა“. „კარგია სიგიჟე“. „კარგია სიყვარული“. „კარგია სიკვდილი...“ ამას თვითონ ფიქრობს თუ თოვლი ჩასჩურჩულებს უკვე გაციებულ ყურში?

მერე ფრთხილად წამოდგა. მისი გამოსახულება არ უნდა წაიშალოს. ძირს დაგდებული ხელჯოხი აიღო და ხელის კანკალით შეუდგა ასოების გამოყვანას თოვლში ღრმად ჩატვიფრული საკუთარი სილუეტის გასწვრივ..

ისევ ლოგინში იწვა და ძაგძაგებდა... თუმცა, პალტო კარგად დაბერტყა მეორე სართულზე, მაინც სველი დარჩა... ბოტები საერთოდ საწოლის ქვეშ შეყარა... ვიდრე ის გაიღვიძებს და აივანზე გამოვა, თოვლი სულ წაშლის მის გამოსახულებასა და სიტყვას... მაგრამ, აი, თოვლმა გადაიღო... აი, გათენდა... გვერდითა ოთახებში წამოიშალნენ. ძმების ყიჟინა დაიძრა: „თოვლი! თოვლი!“ მან შუქი აანთო... ჩანს, როგორ გავიდა საძინებელი ოთახიდან იქითა მხარეს, სამზარეულოსკენ... უკვე მთლად გათენდა და მზეც ამოდის... ნუთუ არ გამოიხედავს ფანჯრიდან? აივანზე არ გამოვა? ძირს თოვლს არ დახედავს?ვიდრე მზე დაადნობს? ვერ დაინახავს იმას, რაც მას მიუძღვნეს?

მის ზემოთ, მესამე სართულზე ორი წითელი თავი ჩნდება: ერთი — ერთ ფანჯარაში, მეორე — მეორეში. ესენი საშინლად დაჭორფლილი, პატარა ტყუპი ძმები არიან, მათ შორის, აივნის კარის შუშასთან — მესამე წითელთმა — დაყრილი თავი კი მათი დედისაა. სამივე წითელი თოვას შეშტერებია.

„ჩაიცვი! დაგაგვიანდება!“ — უყვირის გარედან დედა, სახელით არ ეძახის, ეს იგი, გაბრაზებულია. არის და იყვეს! მაგის დარდი არა აქვს ეხლა!

„ღმერთო! გამოვიდა!“

უკვე პალტო აცვია და ყურებიანი ქუდი ხელში ჩაუბღუჯია. თითქოს დაბნეული დაჰყურებს თავის აივანზე სქლად დაფენილ თოვლს... მერე წინ გადაქანდება, ხელებით რკინის მოაჯირს დააწყდება, შეაზანზარებს, თოვლი ჩამოცვივა, და ის მარჯვნივ და მარცხნივ ატრიალებს თავს.

პირს აღებს, ჩანს ღრმად ისუნთქავს ჰაერს... მერე წინ იხედება, მათ ეზოს უყურებს, სამ ხეს და ძაღლის სახლს, ბოლოს ძირს, თავისი აივნის წინ დააჩერდება თოვლს და ... ჩანს, რომ გაიცინებს: რადგან ძირს, თოვლზე უზარმაზარი ასოებით წერია „მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ " და ადამიანის სილუეტია გამოსახული, ისრით რომ შეუერთებიათ ამ სიტყვასთან. და ისარი გულიდან გამოდის. ბიჭი იცინის, გადაიხრება და პირველ სართულს ჩახედავს. იქ ერთი დიდი გოგო ცხოვრობს, ოციოდე წლის, და ალბათ ფიქრობს, რომ სწორედ მას მიუძღვნეს პირველი თოვლის ასეთი მილოცვა. მისი ფანჯრებისკენ კი არც იხედება. ცოტა ხანში სადარბაზოდან გამოდის და მიდის. უცებ თოვლში ჯერ ისევ ჩატვიფრულ გულ-ისრიან გამოსახულებასთან შეჩერდება. დახედავს. და გვერდს უქცევს. ზედ არ გადაუვლის.

ვხედავ. მახსოვს.

სკოლიდან უკვე დაბრუნდი.

ის კი ჯერ შინ არ არის. ამ დღეს ჩვეულებრივ იგვიანებს ხოლმე. ალბათ შეღამებულზე მოვა. ასე რომ, ჯერჯერობით თავისუფალი ხარ. შენს თავს ეკუთვნი. მთლიანად მაინც არა, მაგრამ მაინც... და როცა მეზობელი ბავშვები გიძახიან, ჩამოდი, ვიციგავოთო, ჩადიხარ, მარიას ნებართვით, და მასაც თან მიათრევ სარდაფში... ისიც ბუზღუნ-ბუზღუნით აღებს სარდაფის კარებს და ათასნაირი ხარახურის ქვეშ მოქცეულ ციგას ხვნეშით გამოათრევს ბნელი კუთხიდან. და ვიდრე შენ ციგაზე დახვეული თოკის გამოხსნას ცდილობ, მარია უზარმაზარ რკინის ყუთზე გადაეკიდება და შავად მბზინავი ქვანახშირით ავსებს ორ ვედროს, რისთვისაც მოხერხებულად იყენებს იქვე მიგდებულ რკინის პატარა ნიჩაბს: — ბარემ ამასაც ავიტან — ამბობს— ამ ოხერს. ქვანახშირი კი მაინც იყრება სარდაფის იატაკზე და ბზინავს.

შენ კი უკვე გარეთ, ბნელ გვირაბში მიიჩქარი გულში ჩახუტებულ ციგასთან ერთად... ადიხარ ეზოში, ლაღად გადიხარ მუხაძის ქუჩაზე: ის ხომ შინ არ არის, და, მაშასადამე, როგორც უკვე ვთქვით, ნორმალური ადამიანი ხარ. შედარებით, რა თქმა უნდა. წაარიხინებ ახლა ციგას ბერძენიშვილის ქუჩამდე, რომელიც სარკესავით მოყინულა და უამრავ თავზეხელაღებულ მოციგურავეს მასპინძლობს, ახვალ ქუჩის თავამდე და შენც დაეშვები... მაგრამ უეცრად ადგილზე შეშდები. **მუხაძის №14-ის** წინ მოულოდნელად სალათისფერი მოსკვიჩი ჩერდება.

მათი მანქანა. საჭესთან უფროსი ძმა ზის, რომელიც არაფრით არ ჰგავს მას, გვერდით კი — დედა. ძმა გადმოდის და კარს უღებს დედას, დიდ, შავგვრემან, ფუმფულა ქალს, მერე რაღაც მძიმე ჩანთას გადაათრევს საბარგულიდან და სადარბაზოში შედის. დედას კი ორი პატარა, ქსოვილის ჩანთა უჭირავს და ძალიან ფრთხილად მიიწევს სადარბაზოსკენ... და თვითონაც ვერ იგებს, როგორ მიაგდებს ციგას ქუჩის განაპირას, თოვლში, და...„დაგეხმარებით!" — ემუდარება და დაბნეულ ქალს ლამის ხელიდან სტაცებს ქსოვილის არცთუ მსუბუქ ჩანთებს. ვიდრე ის — მისი დედა გონს მოვა, უკვე კიბეზე არბის... შიგთავსს დაჰყურებს, ერთში ზემოდან მრგვალი თეთრი პური ძევს, მეორეში — კანფეტებით სავსე პარკი. კიბის თავზე ჩერდება აქოშინებული, მოახერხებს და მარცხენა პარკს მაჯაზე შეიგდებს, მარჯვენათი კი პურს დასწვდება, ორივე ჩანთიანი ხელით პირთან მიიტანს და კოცნის, აკანკალებული, კოცნებით ფარავს მის ჯერაც ისევ თბილ, ამობურცულ, მზისფერ ზედაპირს...

„შეიძლება?" — ჩუმად იძახის მის ღია კართან და პასუხამდე შეაბიჯებს მის ბინაში...

— უჰ! რატომ შეწუხდი, გენაცვალე, მე უნდა ჩავშველებოდი... — მისმა ძმამ ჩანთები ჩამოართვა და ის დაეშვა... მისი დედა პირველივე კიბის თავზე ისვენებდა...

— შენ გაეზარდე, შვილო დედაშენს, დიდი მადლობა, რა თავაზიანი ბავშვი ყოფილხარ.

ეს მისმა დედამ უთხრა. მისმა დედამ. მისმა დედამ. „თავაზიანმა ბავშვმა" გვერდით ჩაურბინა ქალს და მხოლოდ „ნახვამდის" წალუღლუღება მოახერხა.

და მიჰქრის ახლა ბერძენიშვილის გასარკული ქუჩისკენ და სველი თოკით მიათრევს თოვლში ამოგანგლულ ციგას. „უჰ! რატომ შეწუხდი გენაცვალე, მე უნდა ჩავშველებოდი..." „უჰ! რატომ შეწუხდი, გ ე ნ ა ც ვ ა ლ ე , მე უნდა..." „შენ გაეზარდე, შ ვ ი ლ ო , დედაშენს, დიდი მადლობა, რა თავაზიანი ბავშვი ყოფილხარ" „შენ გაეზარდე, შ ვ ი ლ ო , დედაშენს, დიდი მადლობა, რა თავაზიანი ბავშვი ყოფილხარ," „შენ გაეზარდე, შ ვ ი ლ ო , დედაშენს..." „რატომ

შეწუხდი, გ ე ნ ა ც ვ ა ლ ე . . . “ „რა თ ა ვ ა ზ ი ა ნ ი ბავშვი ყოფილხარ“ ... „შ ე ნ გ ა ე ზ ა რ დ ე “... „გ ა ე ზ ა რ დ ე , “ „ შ ვ ი ლ ო “ . . . „ შ ვ ი ლ ო “ „ შ ვ ი ლ ო “... სიტყვების თბილი ქურქი. გაეხვა და გათბა. მიფრინავდა და ციგაც მალაყებს გადადიოდა. სულმოუთქმელად აირბინა ბერძენიშვილის ქუჩის მოლიპული აღმართი...

და მიჰქროდა მერე მბზინავ თავდაღმართზე სველი ციგით და გაყინული საჯდომით... მიჰქროდა გიჟურად... დუნე ნაწნავზე თმის სამაგრი მოსძვრა და თმა გაეშალა... „ფრთხილად, გოგო!“ უძახდნენ ვიღაცეები. მაგრამ ვეღარ ფრთხილობდა და აი, კიდევ უფრო ასწრაფდა და გადააფრინდა კიდეც ფალიაშვილისა და ბერძენიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე საგანგებოდ მიქუჩებული, გაყინული თოვლის ბექობს, რომლის ფუნქციასაც ციგების შეჩერება წარმოადგენდა... გაისმა ჭახანი და ფალიაშვილის ქუჩაზე მანქანა, რომელმაც ციგიდან გადმოვარდნილ არსებას ძლივს აარიდა თავი, მეორე მანქანას დაეჯახა და დააბზრიალა...

აი, ხომ ხედავ, ბეწვზე გადარჩი. ისევ დალილავდი. მძღოლების ყვირილი გაცილებს ფალიაშვილის ქუჩით შინმიმავალს. კიდევ კარგი, ის არ გხედავს. მე კი ისევ გხედავ. **ჯერ ისევ** გხედავ. გადაყვლეფილ ლოყებზე ცრემლები გეღვრება და ნიკაპზე — გახეთქილი ტუჩებიდან დადენილი სისხლი. გაყინული ხელისზურგით იჩერებ...

მარიას შეძრწუნება. მორიგი. О, мамочка! О, боже! და საკუთარ ლოყაზე სილის შემოლაწუნება. მერე, როგორც ყოველთვის მსგავს შემთხვევებში, სამზარეულოში წათრევა, სადაც უზარმაზარ თიხის ღუმელში ქვანახშირი იწვის...

სახეს ბანს, წინააღმდეგობის მიუხედავად ყველაფერს ხდის, უთვალიერებს ხელფეხსა და გაყინული საჯდომს. ყველა დაშავებულ ადგილს დაუმუშავებს, ოღონდ პაციენტის წინააღმდეგობის გამო იოდს ვერაფერზე უსვამს, აცმევს, ლოგინზე წამოაწვენს და ყურძნის მტევნებით მოხატულ, მწვანე პლედს აფარებს.

ის კი ცოტა ხნის შემდეგ დაჟეჟილ მუხლებზე იდგა და მის ფანჯრებს გაჰყურებდა. სალათისფერი მოსკვიჩი გამქრალიყო. ბინაშიც არავინ ჩანდა. ასე იცოდნენ. გამოაკითხავდნენ, თეთრეულსა და საჭმელ-სასმელს გამოუტანდნენ და მალევე მიდიოდნენ თავიანთ ბინაში, სადაც ყველანი ერთად ცხოვრობდნენ: დედ-მამა და ორი ძმა... ის კი აქ მარტო იყო. სამედიცინო ინსტიტუტში დადიოდა და მთელი დღე მეცადინეობდა... და იყო **20 წლის**.

წარმოიდგინა, როგორ შეჭამდა ი მ პურს. როგორ შეეხებოდა მისი ტუჩები მისი ტუჩების ნაკვალევს. ეს ხომ მაინც შეხებაა! შ ე ხ ე ბ ა . ტანში გააჟრიალა და ისევ დასთბა.

მერე მოხდა ეს: რომელიღაცა დილით სახლიდან აღარ გამოვიდა. კარგა ხანს ელოდი ფალიაშვილისა და ბერძენიშვილის ქუჩების გზაჯვარედინზე, და გაკვეთილზე დაიგვიანე. ბოლო გაკვეთილი გააცდინე და კისრისტეხით მოქანდი შინ. საწოლზე შეხტი, მუხლის ჩოქზე დადექი და სახით ფანჯარას აეკარი. მის საძინებელში სინათლე ანთია, ესე იგი შინ არის. რას აკეთებს? ჩამობურული დღეა და წიგნს უშუქოდ ვერ წაიკითხავ. წევს და წიგნს კითხულობს? უცებ ის დიდი ოთახის კართან ჩნდება. ფანჯარას მოხრილი მარჯვენა ხელით და ხელს შუბლით ეყრდნობა. მარცხენა ხელის მტევნით მარჯვენა ხელის მტევანს ეჭიდება და ასე, საკუთარი მკლავების ჩარჩოში იქცევს სახეს. სქელი ჯემპრე აცვია, ყელი აქვს კაშნეთი შეხვეული და ჩანს, რომ ახველებს. სწორდება, ახველებს, ახველებს და ისევ საკუთარი მკლავების ჩარჩოში იქცევს სახეს. მერე ისევ სწორდება და ისევ ახველებს...

„ავად არის.“ **ასეთი** დარდი შენ არ იცოდი. **ასეთნაირი**. ერთხანს წრიალებ და მერე იქ, დიდ ოთახში გადიხარ, სადაც მამაშენის კაბინეტია მოწყობილი. ფანჯრებზე მძიმე, შვინდისფერი ფარდები. კუთხეში როიალის სუფევა. BLÜTNER. შავი, ვრცელი, თხელი, მბზინავი. მუქშვინდისფერი, მძიმე საწერი მაგიდა და ასეთივე კარადა დათვის თათებზე. მაგიდაზე სპილენძის მძიმე, ფიგურებიანი „ნაბორი“: ორი პატარა გადაჭრილი ხე — კალმების ჩასადები. დათვისთავიანი სარწეველა საშრობი, წიგნების საჭრელი მძიმე, ბლაგვი დანა, ჩასვენებული სპილენძისავე

ბუდეში.... აი, ასეთი მძიმე და მნიშვნელოვანი ყველაფერი. მაგრამ ახლა ეს შენთვის სულერთია. შენ მამაშენის ყულაბა გაინტერესებს, სადაც ის რკინის მონეტებს აგროვებს. თითოეული მონეტა ათ მანეთს ნიშნავს. წამოაყირავებ. რა საშინლად ჟღრიალებენ. უნდა მოასწრო, ვიდრე მარია შემოვა იატაკის პრიალ-პრიალით. ქვემოდან შესცქერი შავ, ვიწრო ნაპრალს, სადაც მონეტები ეჩხირებიან და ვერ ეტევიან, საჭიროა მხოლოდ ერთი მოხვდეს იქ და მაშინ უბრალოდ ჩამოცურდება. დგახარ. ნერვიულად ფიქრობ და უეცრად გარბიხარ დედაშენის სარკესთან, მშობლების საძინებელში. ეძებ და პოულობ დედაშენის წარბების პინცეტს, ძალიან თხელი ბოლოებით. ისევ წამოაპირქვავებ მძიმე ყულაბას, მარცხენა ხელში გადაიტან, უზუსტესად შეაცურებ მარჯვენათი პინცეტის ტუჩებს ბნელ, ვიწრო ნაპრალში და იმაზე ბევრად უფრო ნაზად მოჰკიდებ რკინის მონეტის გვერდს, ვიდრე დედაშენი ჰკიდებს ხოლმე საკუთარ წარბებს...

უკვე მაღაზიაში ხარ, მოსაშვილის ქუჩაზე. ყიდულობ ბორჯომს, ორ „სლოიკას," თეთრ პურს, კარაქს, რძე და თაფლი საკუთარი ბინიდან აწაპნე, რადგან რძეს ასე გვიან ვერსად ვეღარ იყიდის კაცი და თაფლი ხომ ისედაც არსად არ არის. ბერძენიშვილის აღმართს აირბენ და გულის ბაგაბუგით გადიხარ მუხაძის ქუჩაზე. ახლა მარიამ არ უნდა მოგკრას თვალი. არც მეზობლებმა! მაგრამ, საუბედუროდ, ეს სწორედ მარიაა, აივანზე რომ გადმოხრილა და სარეცხს იღებს. ელექტრონის ბოძს ამოეფარე, იცდი. შედის. სცილდები სამალავს. მაგრამ ახლა შენი უმცროსი ძმა გამოდის აივანზე. "რა ჯანდაბა გინდა აივანზე ამ სიცივეში, შედი შინ!" შედის. უნდა მოასწროს, ვიდრე უფროსი ძმა მოვა. ის ქვეყანას შეყრის. მარიას მოთაფლავს. უმცროს ძმასაც მოისყიდის. მაგრამ უფროს ძმას სკანდალი სიცოცხლეს ურჩევნია. უახლოვდები **მუხაძის № 14-ს**. და დგება შენი აღსასრულის წუთები. უცებ შერბიხარ სადარბაზოში, აირბენ სამ კიბეს, გატენილ ტყავის პატარა ჩანთას მისი კარის წინ დგამ და ზარის შავ ღილაკს სამჯერ ხანგრძლივად აჭერ თითს. „მისი ზარის ხმა"! და წუთში უკვე გარეთ ხარ. თქვენი ეზო. დაფეთებული ჯეკა. ყვითელი ძროხა, ანუ გრანდიოზული კატა — დარია ოსიპოვნა. სარდაფის გვირაბი. თქვენი კიბეები... გაშტერებული მარია. დაბნეული უმცროსი ძმა, მეოთხეკლასელი. შენი ოთახი. შენი საწოლი. შენი ფანჯარა....

2000 წელი

09

— გისმენთ ნოლ ცხრა — ცნობათა ბიურო!

— გამარჯობათ... თუ შეიძლება, მომეცით ყველა კორდიას, კ ო რ დ ი ა ს , დიახ კ ო რ დ ი ა ს , არ გაგიგიათ ეს გვარი? ნომერი და მისამართი, თუ შეიძლება... დიხ, ყველასი, ნახეთ, ხომ? დიახ, ვიწერ... დიახ, დიახ, გლდანშიც არიან? ვიწერ... დიახ, დიახ... სულ ეს არის? დიდი მადლობა...

რა ვქნა ეხლა? რა უნდა ვქნა. ყველასთან ჩამოვრეკავ და ის იქნება.

1960 წელი

გაზაფხული

— ისევ გაიქცა! გაეკიდე, თამაზ! ნახე, სად მიდის! გესმის? აითრიე წელი და გაეკიდე! გაიგე, მართლა სკოლაში მიდის ასე ადრე?

— მეტი საქმე არა მაქვს!

— შენ დამიწდი, შენ! შენც იმავე სკოლაში არ სწავლობ, არ უნდა აქცევდე ყურადღებას შენს უმცროს დას? ადექი, გაგვიანდება!

— დამანებე რა თავი! რა ყურადღება უნდა, იტაცებს ვინმე? ვის რა ოხრად უნდა ეგ ლაწირაკი, ეგ უცხვირპირო! თუ გინდა, სკოლიდან რო მოვალთ, მოვდებ ერთს ყბაში!

— ისედაც არ ამტვრევთ ერთმანეთს ცხვირ-პირს?! თქვე მხეცებო, მე როცა სახლში არა ვარ, ისედაც არ ანგრევთ აქაურობას? მარია ლამის გააგიჟოთ! ეგეც რომ გაგვექცეს, დაგხოცავთ ორივეს, იცოდე! მე თქვენი გულისთვის სამსახურს თავს არ დავანებებ! რომ ამოწყდეთ ყველანი, სახლში არ დავჯდები!

— ღმერთმა დაგვიფაროს! ვინ გაგიძლებს მთელი დღე!

— ხედავ შენ? ჩამოვა მამაშენი და ნახავ მერე მაგ ენის სავსავს! ჩემმა პაციენტებმა იციან ჩემი ფასი! წადი, იკითხე! მზე ამოსდით ჩემზე!

— ხოდა, გაანათე ყველანი, გაანათე, რა გინდა ჩვენგან!

— ვიდრე სამსახურიდან მოვალ, ქვანახშირს ამოიტან! მარიას მიეხმარები, გესმის?

— მაგ ქალბატონს რატომ არ ავალებ? არ ეკადრება? მე უნდა მომწყდეს წელი მაინცადამაინც? პატარა კალათით მაინც ამოიტანოს!

დედა აივანზე გაიჭრება და ხედავს თავის ქალიშვილს, ისევ ისე გიჟივით რომ გარბის ხეებქვეშ და მესამე სართულის აივანზე გადაკიდებული სიცოცხლიდან გააძევებს მას: „მამაჩემთან წასულხარო“ მიაძახებს. ხოლო მამამისი შვიდი წლის მკვდარია უკვე.

და ისევ ის მარშრუტი. უკვე რვა თვეა ყოველ დილით გაცილება და კვირაში ორჯერ დახვედრა. და სულ ერთნაირი დევნა-თვალთვალი: გულისხეთქვითი: ელვის სისწრაფით გზაჯვარედინამდე: სადაც ბერძენიშვილისა და ფალიაშვილის ქუჩები ჰკვეთენ ერთმანეთს. იქ დალოდება №84 სახლის კუთხესთან და შორიდან დანახვა იმის, თუ როგორ ჩამოდის იგი დაღმართზე. სადარბაზოში შევარდნა, როცა იგი უსწორდება და იქიდან ყურება, როგორ კვეთს იგი ფალიაშვილის ქუჩას, როგორ მიუყვება ბერძენიშვილის მონაკვეთს, როგორ გადადის ჭავჭავაძის პროსპექტზე, როგორ დგება სტუდქალაქის კორპუსების წინ ხის ძირას და როგორ ატრიალებს მაღალ კისერზე შემდგარ მრგვალ თავს მარცხნივ და მარჯვნივ, ვიდრე მოვარდნილი ავტობუსი არ შთანთქამს და არ გაიტაცებს.

მაგრამ დღეს უცბად სულ სხვა რამ ხდება. როგორც კი ავტობუსი დაიძვრება, მოწაფეც უეცრად მოსწყდება ადგილს, ჭავჭავაძის პროსპექტს გადასჭრის და ღრჭიალით ჩამომდგარ მეორე ავტობუსში გაუჩინარდება.

მას თითქმის არასდროს უმგზავრია ავტობუსით მარტო. და ახლა შეეზიზღა ამდენი ხალხი.

„წინ წამოდით! წამოიწიეთ წინ! ჩემსკენ! აბა, ბილეთები! ბილეთები ავიღოთ! გადმოაწოდეთ ფული!“ — ღაღადებს უკანა კარის გვერდით კუთვნილ სკამზე ამაღლებული კონდუქტორი და ხელებს იქნევს. წინ არ წასულა, ერთადერთი ოცკაპიკიანი გადააწოდა და ფანჯარას აეკრა.. დღეს ბუფეტში ველარ იყიდის ვერაფერს. როგორც იქნა, ვიღაც ჩავიდა და დაჯდა. შეტრიალდა და ღია ფანჯარაში გაჰყო თავი. წინ იყურება. უკვე დაეწივნენ წინა ავტობუსს. ვიდრე ინსტიტუტში შევა, კიდევ ერთხელ შეავლებს თვალს, შეიძლება მისი ამხანაგებიც დაინახოს... ჩავიდა! მისი ავტობუსის ფანჯრებს ჩაუარა! გოგო წამოხტა, კარისკენ გაიწია, ვიღაც მოხუც ქალს ფეხზე დაადგა ფეხი და წინა კარიდან ამომავალ მგზავრებსაც შეასკდა. წარმოუდგენელი ძალით გაიბრძოლა ავტობუსში კანონიერად ამომავალთა წინააღმდეგობის დასაძლევად და საშინელ ჭყლეტაში გარეთ გაეტენა, ოღონდ დავარდა.

„შენ მოგტყდეს ფეხები, შე უზრდელო! შე უპატრონო! გამწარდი, როგორც მე გამიმწარე სული! არაფერს გასწავლიან ან სკოლაში, ან ოჯახში? წინა კარიდან უნდა ჩახტე?“ — ყვიროდა დაშავებული მოხუცი ქალი და სხვებიც, უკვე ავტობუსში აღწეულები, კვერს უკრავდნენ... მან ყური მოჰკრა დადევნებულ ხმებს, მაგრამ ახლა აღარაფერი ანაღვლებდა, თავისი, ყველა ემპირიული თვალსაზრისით უწესო მგზავრობის მიზნის გარდა... „რას სწყევლით, ქალბატონო! რა მოხდა, დაიქცა ქვეყანა?! პატარა გოგოა, ბოლოს და ბოლოს, თანაც ლამაზი!“ — გამოესარჩლა იქ აღარ მყოფს ვიღაც უფროსკლასელი ბიჭი.

„შენც შატალოზე ბრძანდები, ალბათ, არა, ვაჟბატონო!“ — ახლა ამას ეცა ამბოხებული ქალბატონი... და ავტობუსიც დაიძრა. ააღელვა უცნობი ბიჭის გამოქომაგებამ, მისმა სიტყვებმა, განსაკუთრებით კი სიტყვამ „**ლამაზი**“ ... მართლა ლამაზია? მაგრამ ახლა არც სილამაზის დრო იყო, არც არაფრის...

სტუდენტმა პავლოვის გამზირზე გადაირბინა, მოწაფეც მიჰყვა, სტუდენტმა კორპუსების ეზოები აჭრა, მოწაფემაც, სტუდენტმა ვაჟა-ფშაველას გამზირი გადაჰკვეთა და სტუდენტებს შეერია... მოწაფე კი ტროტუარზე ხის ქვეშ იდგა და ხედავდა, როგორ შემოეხვივნენ ბიჭს ამხანაგები, ბიჭები, გოგოები, დიდი გოგოები, როგორ ჩამოეკიდა ერთი კისერზე, მეორემ როგორ ჩასჭიდა ხელი და ინსტიტუტის შენობისკენ როგორ გააქცია...

ამის დასანახად მოიკალი თავი?
ეჰ, ნია, ნია, ნუღარასდროს დაედევნები უკან დიდ ბიჭებს!
ახლა **ისეთი** ხარ, თითქმის ყველაფერი, რასაც დაინახავ, გულს გატკენს...
აი, ისევ ტირი. და, აბა, რა გატირებს? რომ გკითხოს ვინმემ, რა გინდაო, ხომ ვერც უპასუხებ.

ეგებ ძალიან მარტო იგრძენი თავი? შენ ხომ მეგობრებიც აღარა გყავს. რადგან: აბა, რა მეგობარია ის, ვისაც ყველაზე მთავარს არ უმხელენ! ყველაზე მთავარს! იმას კი ჰყავს. შენ კი ყოვლად უაზრო და ძალიან მიმალული განცდა გაიცანი: განცდა, შეიძლება წამიერი, მაგრამ მაინც: რომ ის შენ გეკუთვნის და სხვები არ უნდა შეეხონ. რომ ეს უსამართლობაა. არა, თუ ხვდები ამ განცდის მთელ არანორმალურობას?!
ახლა სჯობს, ის იკითხო, რომელი ავტობუსი, ტროლეიბუსი თუ ტრამვაი გაგიყვანს ვაკეში, №57-ე სკოლის სიახლოვეს, რომ მესამე გაკვეთილს მაინც მიუსწრო, თორემ, ისედაც ძალიან ბევრს აცდენ და სულ აღარ სწავლობ, და ამის გამო დიდი უსიამოვნება გიახლოვდება... მე გაფრთხილებ: უსიამოვნება გიახლოვდება. მე ხომ დიდი ხანია ყველაფერი ვიცი, რაც უნდა შეგემთხვას? ეგებ ცოტა დაწყნარდე და შეეცადო სკოლის ატანას?

ზიხარ გაკვეთილზე, ფანჯარასთან, ისევ ცას აჰყურებ, რომ ცრემლები არ ჩამოგდინდეს, და თვალიდან არ გშორდება ის სცენა: გოგოები რომ შემოეხვივნენ. **ეხებოდნენ.**
ეჰ, ასეა ნია, ის იტანჯება, ვისაც უყვარს...
და მერე **„ლამაზი“** ამოგიტივტივდა თავში... ლოყებზე ხელებს ისვამ... „**ლამაზი**“ „...ეს ჩემზე ითქვა...“ — ფიქრობ და ეს ცოტაოდენ სიხარულს განიჭებს...

ესე იგი, ტანჯვა შემოდგომით უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე გაზაფხულზე.
ეს შენ დაასკვენი, თუმცა ჯერ მხოლოდ თორმეტი წლის ხარ. უფრო ზუსტად: თორმეტი წლისა და ექვსი თვის.
რა თქმა უნდა. რადგან მაშინ, შემოდგომაზე, გარეთაც ისეთი სევდა იყო, როგორც შენში. გეგონა: ცა შენი გულივით ტიროდა და ფოთოლიც შენი გულივით კვდებოდა.
ახლა კი ყველა ყვავილი, ყველა ჩიტი და ყველა პეპელა ხარობს. აი, როგორ თავგადაგდებული შესტვენს განთიადს შენი ეზოს ერთი ყვითელმუცელა ჩიტი... და ეს მზიანი და მოყვავილე დღეები შენსას აღარაფერს შეესაბამება, ასაკის გარდა...

გაზაფხული კი ბრძანებლურია და გიბრძანებს ბედნიერი იყო. ანუ გიყვარდეს და უყვარდე. ეს კი ისეთი საშიშია, ნია.
რადგან უმეტესად ეს არის წყურვილი უწყლო უდაბნოში, გინდაც ირგვლივ ხილი მწიფდეს და ყვავილნარი ყვაოდეს.
ცოტა ხნის წინ კი წელიწადის დროებს ვერც ამჩნევდი, რადგან ბავშვი ხომ ყველგან ახერხებს ბავშვობას, მით უმეტეს უზრუნველყოფილი. თამაშისათვის ყველაფერი გამოდგება: გუბეებიც, ლოლუებიც და ფუღუროებიც. რა უნდა თამაშს! ჰოდა, ჯერ კიდევ გუშინ, უმცროს ძმასთან ერთად კარამელების ფერად-ფერად ქაღალდებს აგროვებდი, დედასა და მამას შორის ძილი გიყვარდა, საპონს აქაფებდი და საწრუპი ჩხირით ბუშტებს უშვებდი აივნიდან, მაყვალს მუჭით იტენიდი პირში, შელოცვილ ძაფს იხვევდი მეჭეჭზე, ორთვლიანი ველოსიპედით სოფელში დაჰქროდი, და ინდიელთა ბელადის ხმებს გამოსცემდი, გამობერილ ლოყებზე თითებს იტა-

კებდი ხოლმე აქეთ-იქიდან, გამოცვლილ საცვალს ხან სად ისროდი, ხან სად, ისე, რომ მარია ზოგჯერ ჭაღიდან ხსნიდა, — რა ლაღად იყავი, რა უდარდელად, ნია, არაფერი არ გაწუხებდა საძულველი სკოლის გარდა, მაგრამ სკოლასაც უძლებდი, იმდენად უზრუნველი იყო დანარჩენი ცხოვრება! გემრიელი ჭამა იცოდი, ნეტარებისგან ფეხებს აქანავებდი ხოლმე, გიყვარდა ბაყაყივით ხტუნვა და მამალივით ყივილი, და დარწმუნებული იყავი, რომ სიცოცხლე მუდამ ასეთი იქნებოდა: თამაშის, სიცილის, ჭამა-სმის, სიმღერისა თუ წიგნის კითხვის სიამეებით დატენილი: შენი სიცოცხლე. (ახლა ნუღარ შევეხებით იმას, ამ ყველაფერს რაღაც სევდა და შიში რომ ამოსდებოდა სარჩულივით. რად გვინდა, ეს ხომ არ ჩანდა).

მაგრამ აი, ვეღარც იხსენებ, როგორ შეგემთხვა, როგორ დაგატყდა თავს ე ს: **უსაშველო.**

ის დღე! უცებ მოპირდაპირე სახლის აივანზე, ზუსტად შენი აივნის გასწვრივ ის რომ დაინახე: და უცებ რომ დამთავრდა ბავშვობა: რადგან დაძაბულობა დაიწყო; საიდუმლო და მარტოობა, უუ, რა საშინლად უცხო, მომნუსხავი და შემზარავი რაღაცეები და თან გადაჭდობილი სიხარულთან თუ სიხარულის მოლოდინებთან! დიახ, ბედნიერებების იმედებთან და... ბედნიერების შეუძლებლობის უტყუარ წინათგრძნობასთან. ძალიან ბევრი იყო ეს ყველაფერი, შენ კი მარტო იყავი და პატარა: აბა, რა არის თორმეტი წელი ქარიშხლის ან უდაბნოს წინაშე.

მოკლედ, შენი ლაღი ცხოვრება უეცრად დამთავრდა შარშან, შემოდგომა რომ შემოდგა ქუჩებში ... რადგან მოულოდნელად (და ეს ყოველთვის მოულოდნელად ხდება), და შემთხვევით (და ეს თითქმის მუდამ შემთხვევითია), შეაწყდი იმას: უცნობს და უცხოს, ვინც რატომღაც: დაუმსახურებლად და უმიზეზოდ შენი სიცოცხლისათვის წყალივით აუცილებელი გახდა, სიხარულზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თუმცა სიცოცხლე და სიხარული რას გაუყვია! ყოველ შემთხვევაში სამყაროს გამჩენს არა...

ის კი აივნის მოაჯირს დაყრდნობოდა, უსტვენდა და საკუთარ მელოდიას ოდნავ აყოლებდა თავსა და ხელის მტევნებს. ჩამავალი მზე უცნაურ შუქში ხვევდა და ლურჯ და შვინდისფერ უჯრებიან პერანგზე ფერებს უმკვეთრებდა. და ქართული მელოდია არ იყო ეს. უცნობი იყო და სევდიანი, თუმცა ძალიან ნელი — არა... და, გული შეგიძრა. ნარინჯისფერი ნათელი სულ უფრო და უფრო აგიზგიზებდა მისი პერანგის შვინდისფერ და ლურჯ კვადრატებს და სრულიად დამორჩილდი ამ გამოცხადებას...

და აი, შენს ქუჩაზე, აკაციები აყვავებულან. ოდნავი სიოც კი მგრძნობიარედ ათრთოლებს სიმეტრიულად ჩაწიკწიკებულ, ოვალურმწვანე ფოთლებს, რაღაც საკრავს რომ წააგვანან. და რა ნაზი სურნელი აქვთ დუნედ დაკიდებულ, თეთრმოყვითალო მტევნებს. სახე თუ არ შეახე, ვერც კი იგრძნობ. და შენც იწოდებ და ახებ. და შენი ქუჩა პირდაპირ უერთდება დიდ და უამრავამბებიან ვაკის პარკს. მრავალი ხე აქ შენსავით ალბათ თორმეტნახევარი წლისაა, რადგან, შენ რომ დაიბადე, მაშინ რგავდნენ აქ ერთი ბეწო ნაძვებს, მუხებს და ტირიფებს. მაგრამ, ამ ხეებს ის გრძნობები, ახლა შენი სილაღე რომ შეუმუსრავთ, სიზმრადაც არ დაესიზმრებათ. დგანან უსურვილონი, ანუ წყნარები, ქარი თუ დაურღვევს ხოლმე ამ უდრტვინველობას, მაგრამ მათ შიგნით არაფერი იცვლება და შენ სულ არაფრად გჭირდება მათი სიმშვიდე. უფრო ქარიშხალში გავარდებოდი გარეთ ანდა თავსხმაში, სახლიდან რომ გიშვებდნენ, მაგრამ ვინ გაგიშვებს...

ახლა კი ამ პარკში გაზაფხულს ვერსად გაექცევი, პირდაპირ თვალებში უნდა ჩახედო, როცა პურის საყიდლად გამოსული პარკში შეუხვევ და იბორიალებ. ორი თბილი პურით დამძიმებული, მსხვილთვლებიანი ბადის კონწიალით. და გიგანტური ვარდების თითქმის მოურიდებელ, თეთრწითელ გადაშლას შეაშტერდები. ან შენს საყვარელ ველურ ვარდს მიაკითხავ ერთ დაბურულ, მივარდნილ გაზონში, ან ლურჯად აყვავებულ გველის სუროს დააშტერდები... შინ კი ამტკიცებ, რომ პურის რიგში მოგიწია დგომა...

ეჰ, ისეთი რაღაც დაგემართა, ნია, რომ ახლა განუწყვეტლივ დაგჭირდება ტყუილი მაშველი რგოლივით... მაგრამ ტყუილს ვიღა ჩივის, როცა უკვე ქურდობა დაგჭირდა, საკუთარი მამის გაძარცვა, მართალია, სულ ათი მანეთით, მაგრამ ხომ იცი, რომ ასსაც აიღებ, თუ მას დასჭირდა. ეეჰ!

მაშასადამე, უკვე მეცამეტე წელში ხარ, ნია, და ფიქრობ, ოცისა რომ გახდები, თავს მოიკლავ, რადგან ოცი წელი უკვე სიბერე თუ არა, საშინლად არასაინტერესო ასაკი გგონია, ოცი წლის გოგოები — საშინლად მოსაწყენი არსებები, რომლებიც ფეხებსა და იღლიებს იპარსავენ, წამწამებს იღებავენ, წელზე საშინლად მაგრად იჭერენ ქამრებს და რომელთა ცხოვრებასაც არავითარი ღირებულება აღარ გააჩნია. გიკვირს, რა უხარიათ და საერთოდ, რატომ არ იკლავენ თავს! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეგენი ხომ ვეღარ დარბიან სწრაფად! ხომ ვეღარ **დაჰქრიან!** და, აბა, სიცოცხლეს რაღა ფასი აქვს, თუკი ქარივით ვეღარ იქროლებ!

ოცი წელი მხოლოდ იმას უხდება და ეპატიება.

და ამის გაფიქრებაზე მოსწყდი ადგილს და ლამის გაფრინდი. ჯერ პარკის აუზს შემოუქროლე ორჯერ, ხელებგაშლილმა, მერე ტირიფებისკენ აიღე გეზი, და კუსტბის ფერდზე ავარდი ეკლიან ბუჩქებს შორის მიმოგრეხილი ბილიკით... არბიხარ, არბიხარ...

და, აი, ხავსზე გდიხარ პირდაღმა, საშინლად გაოფლილი და სულს ვეღარ იბრუნებ... სადღაც სულ ახლოს ჩიტი სტვენს, წინ, ბალახზე ყვითელი პეპელა აფარფატებს ფრთებს და გაოფლილი ცხვირი ლამის ხავსიდან ამოჭყეტილი იისთვის დაგიდია...

იებს კრეფ ჩაჩოქილი... და რაღაც ქშენა გარკვევს გარინდებიდან... ფეხზე დგები, უეცრად აცნობიერებ, რომ ძალიან შორს ხარ, რაღაც თითქმის უდაბურ ადგილას, სადაც ყოფნა სასტიკად გეკრძალება, აქეთ-იქით იხედები და ხედავ კიდეც ბუჩქებს, საიდანაც ქშენა მოისმის... თავზარდაცემული მოსწყდები ადგილს და თავქვე ეშვები...

უკვე ახლოს ხარ პარკთან, მაგრამ ეს ვიღაა? ეს ბუჩქებშორის დაკუზული მოხუცი ქალი, პატარა კალათითა და დანით ხელში, რომლითაც მიწას ჩიჩქნის? ღმერთო, ელენე ბებო!

წელში იხრები და შეუმჩნევლად ჩაუსრიალებ გვერდით. გარბიხარ პარკის წითელი ხრეშით მოფენილ გზაზე, რომელიც ბარნოვის ქუჩაზე გადის. ჩაუხვევ დარიალის ქუჩაზე და უკვე მუხაძეზე ხარ! ის ჯერ არ მოვა. ჯერ ადრეა. მაშასადამე, შეიძლება. მაგრამ, მეზობლები?! ფალიაშვილის ქუჩის № 96-ის ბინადარნი, რომლებსაც ფართო ფანჯრებიდან შესანიშნავად შეუძლიათ დანახვა, რომ მათი თანამობინადრე „გოგო“ სხვა ქუჩის, კერძოდ, **მუხაძის №14** —ში შედის, სადაც მას სულ არაფერი არ ესაქმება?! ისინი ხომ აუცილებლად ეტყვიან ამის შესახებ დედამისს! ყოველთვის ხომ ვერ გადარჩება!

რადგან ეს დიდი კორპუსი კი არ არის, სადაც ხალხი ერთმანეთს წესიერად არც იცნობს, ეს ე. წ. „ამხანაგური სახლია“, ანუ ისეთი, „ამხანაგობა“ რომ აშენებს. ოთხსართულიანი — დიდი, „არატიპიური“ ბინებით. და ასეთივეა **მუხაძის №14** -ც, ოღონდ სამსართულიანი. და საერთოდ, ამ ქუჩებზე მხოლოდ კერძო, ან „ამხანაგური“ სახლები დგას, მაღალჭერიანი და ეზოებიანი, რომელთა ბინადართაც აივნებზე და ფანჯრებთან დგომა უყვართ, რადგან ლამაზია მარცხნივ და მარჯვნივ განფენილი, ხეხილიან-ყვავილებიანი ეზოები თუ წინ, არცთუ ისე შორს აღმართული კუსტბის მთის ფერდი... თან მუხაძის ქუჩაზე ტალავერებიც არის...

და ასეთ სახლებში ადამიანები ერთმანეთს სწრაფად ეცნობიან და ადვილად იმახსოვრებენ. არა, სარა სულაქველიძე ნამდვილად შეზვავდება მათ ბინაში, თავისი ძმის უზარმაზარი ქუსლჩაკეცილი ტუფლების ბრაგაბრუგით და ჰკითხავს დედას: „რა უნდოდა ნიას მუხაძის №14-ში?“ ლიზა ბელსკი არ შევა. არც მანია ბეკერი.

მაგრამ შენ უკვე აღარ შეგიძლია სიფრთხილე, არა, არა, აღარ შეგიძლია, და ამიტომ მეზობლებსაც აღარაფრად აგდებ...

მთავარი ის არის, რომ აპრილია, გაზაფხულის პირველი თბილი მზიანი დღეები და შენ პირველი იების პატარა, სურნელოვანი თაიგული გიჭირავს მიწით დათხვრილ ხელში.

წამში აირბენ მეორე სართულზე და მისი კარის წინ ჩაიჩოქებ. ხელს უსვამ ყავისფერ სახელურს, მერე ჯერ ლოყას, მერე ტუჩებს ადებ და თვალებს ხუჭავ... მერე ნაწნავიდან რეზინის სამაგრს იძრობ, კბილებით გადაჭრი, ცალი ბოლოთი იის კონას ახვევ, კვანძავ და მეორეთი სახელურზე ამაგრებ. მორჩა. კიბეზე ეშვები და უკვე გარეთ ხარ... სქელი ნაწნავი სწრაფად დაგეშალა და ასე თმაგაშლილი შევარდები ფალიაშვილის №96-ის ეზოში, რომელიც მუხაძის ქუჩაზე, ზუტად მისი სახლის წინ გადის... როცა სარდაფის ბნელ და ნესტიან, მუდამ მძიმესუნიან

გვირაბში ჩაეშვები, მაშინღა გახსენდება ის საშინელება, რაც ქშენის ხმას გამოსცემდა: კაცი, რომელიც გაშმაგებული ხდიდა ბუჩქებში გულაღმა მწოლიარე ქალს... გულის რევა იგრძენი... ტანში გაგცრა. ზიზღისა და შიშისაგან. საერთოდ, საშიშია ასეთ ადგილებში მარტო ხეტიალი, ნია. გახსოვდეს. და სადარბაზოებიც საშიშია. სამწუხაროდ. გახსოვს, გზაჯვარედინზე, ფალიაშვილისა და ბერძენიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, მის გამოჩენას რომ ელოდებოდი და გამოჩენისას სადარბაზოში შეცურდი უკუსვლით, ვიღაც მოინტელიგენტო, სათვალიან კაცს რომ შეეფეთე და იმან ჩუმად და ტკბილად რაღაცა გითხრა რუსულად, შენ რომ არც გაგიგია, არა იმიტომ რომ რუსული არ გესმოდა, არა, უბრალოდ მაგის დარდი არა გქონდა, სხვაგან ქროდა შენი გონება, — მაგრამ იგრძენი რომ საზიზღრობა შემოგთავაზეს. სხვა კი შეიძლება უფრო აგრესიულიც იყოს. გვიან გააცნობიერე იმ კაცის ნათქვამი, და თუმცა დროს ძალიან შორს წაეღო უკვე, მაინც საზიზღარ ნალექად დაგრჩა. აი, ასე ხდება. ამიტომ ერიდე სადარბაზოებს, ნია. მით უმეტეს ჩაბნელებულებს. სადარბაზოების ბნელ-ბინძურ სულს. ჰო.

მესაიდუმლე გამოგიჩნდა. მას ცისანა ჰქვია და ოცი წლისაა, თან თავი უფრო უფროსი ჰგონია, მაშასადამე, სწორედ ის არის ვინც, შენი აზრით, სჯობდა მკვდარი ყოფილიყო. დედაშენის ახლო ნათესავია, ქარელიდან ჩამოსულა დედაქალაქში, სასწავლებლად. თვითონ მიხვდა, რომ რაღაც გჭირდა და იმასაც მიხვდა, რომ ეს რაღაც წინა სახლის ბინადარს, მისი ასაკის ბიჭს უკავშირდებოდა, რომელსაც შენთვის „ბიჭი“ არ ერქვა. არა, რა სისულელეა! „კაცი“? ვაი, — არც „კაცი.“ არა. არა. არა! მაშ ვინ? ეჰ, განა ამდენი სიტყვა აქვს ენას!

— ძალიან გიყვარს? — გეკითხება.

გრძნობ, რაღაც დამთავრდა. რაღაც, რაც მძიმე კი იყო, მაგრამ ცუდი — არა. სრული მარტოობა შენს ბედისწერასთან.

ის კი დგას და: — ძალიან გიყვარს?

რას ნიშნავს „**ძალიან**“? და მხრებს იჩეჩავ. და ნანობ, რომ დამთავრდა.

— არ უკოცნია?

— **რაა?**

— რა ჰქვია?

— არ ვიცი.

შენ თვითონ ახლა აღმოაჩინე, რომ სახელი არ იცოდი. და რომ არც გჭირდებოდა.

— რაა? არ იცნობ? ა რ ი ც ნ ო ბ ?? აბა, **როგორ** გიყვარს? **რა** გიყვარს?? გაიცანი, მერე რა უნდა გაცნობას? სამ დღეში გავიცანი მერაბი! რომ მოაკითხა ჩემს თანაკურსელს ტექნიკუმში, მომეწონა და მერე, გავახერხე ისე, რომ ვითომ შემთხვევით შევხვდი. გავიგე, რომ გეპეიში სწავლობდა, წავედი და დაველოდე, ლექციები რომ მთავრდებოდა... იქიდან პირდაპირ ლაღიძეში დამპატიჟა, გესმის შენ? იმასაც მაშინვე მოვეწონე... რა უნდა გაცნობას, არ გინდა? გინდა მოგიხერხო?

ტანში გაგცრა.

ერთი კვირის შემდეგ კი ღამით, როცა ყველას სძინავს, საწოლზე გიჯდება და გეჩურჩულება: დღეს ტრამვაით ფუნიკულიორზე ავედით, მერე ნაყინი ვჭამეთ, მერე ერთ მყუდრო ადგილას სკამზე ჩამოვსხედით და ...მისმინე, კოცნა დამიწყო... შენა გგონია, ტუჩებს ისე, მშრალად ადებენ ერთმანეთს? მეც მასე მეგონა... — ტუჩები შენს ყურთან მოაქვს და ჩურჩულით გიხსნის, როგორც კოცნიან თურმე „სინამდვილეში“...

— ფუჰ! — შეგზიზღდება და ხელს ჰკრავ. — თავი დამანებე! მეძინება!

მერე ცდილობ დაივიწყო, ტუჩებს უნებურად იწმენდ ხელისზურგით, მაგრამ დიდი ხანი დაგჭირდება დასავიწყებლად.

და აი, ამ ამბებიდან რაღაც ხნის შემდეგ თავზე დაგდგომია ეს მესაიდუმლე და მისი ხმა ფარულ მუქარას შეცავს: „თუ გონს არ მოხვალ, იცოდე, **ყველაფერს** დედაშენს ვეტყვი“.

მაშასადამე, ჯერჯერობით თანამზრახველი და მოკავშირე, თავს დაგდგომია და შიშინით შეგაგონებს, რომ უნდა დაიძინო, რადგან უკვე მესამე ღამეა, რაც არა გძინავს. რადგან მესამე

დღეა, არ გამოჩენილა: შენი მეზობელი მოპირდაპირე სახლიდან. მართალია, მას მეორე სახლიც აქვს, სადაც, როგორც ვთქვით უკვე, მისი დედ-მამა და ორი ძმა ცხოვრობენ და, ბუნებრივია, თუ ზოგჯერ იქ დარჩება, მაგრამ ეს ცხოვრებისეული სიცხადე შენ ვერაფერს გშველის. რადგან, ჯერ ერთი, შენ მისი დანახვა გწყურია, სრულიად აუტანლად, მისი, ვისაც თითქმის ყოველდღე ხედავ, ოღონდ მუდამ ერთი და იგივე მანძილით დაშორებულს, იმ მანძილით, რამ სიგანეცაა მუხაძის ქუჩა + თქვენი ეზო; მეორეც, დარდობ, ვაითუ, ავად არისო, მესამეც, ძრწი, ვაითუ, აღარ დაბრუნდეს და მისი რომელიმე ძმა გადმოვიდეს აქ საცხოვრებლად. და თვალს ვეღარ ხუჭავ. თან დარაჯობ, ეგებ ღამით დაბრუნდეს შინ.

იმდენად ცუდად ხარ, ამ დილით დედაშენმა სკოლაში არ გაგიშვა. რადგან დაიჯერა, რომ მართლა მუცელი გტკივა, როგორც შენ უთხარი, გული მუცლით რომ ჩაანაცვლე, რადგან სიმართლეს ვინ დაგიჯერებდა!

ცისანას, რომელსაც მთელი შუბლის გაყოლებაზე თმა უხუჭუჭდება და სიცილ-ღიმილისას არა მხოლოდ ორივე ლოყა, არამედ ნიკაპიც ეჩვრიტება, სერიოზულად ძნელად აღიქვამ. მაგრამ როგორც ერთადერთ მოკავშირეს ეთანხმები: „ხო, უნდა დავიძინო.“

თქვენს საწოლებს ერთი კედელი ჰყოფს. მას ლოჯში სძინავს, შენ — შენს პატარა ოთახში და, როცა შუაღამისას ისევ შემოდის შენთან და ისევ ფანჯრის რაფაზე იდაყვებით დაყრდნობილს გხედავს, მთვარის შუქში გაქვავებულს და გაშტერებულს — თვითონაც ქვავდება და შტერდება. კუშტად გახედავს „ბიჭის“ ჩაბნელებულ ფანჯრებს და აღარაფერს ამბობს. ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემოდის ღამის პერანგის ფრიალ-ფრიალით და ერთ თეთრ აბსა და ჭიქა წყალს გიწვდის, აი, დალიე დამშვიდდებიო. შენც სვამ უაზროდ. ის კი იქვე დაგიჯდება და ცოტა ხნის შემდეგ უცნაურად ძილქუშდაცემულს ფრთხილად გაწვენს და გახურავს საბანს.

ხოლო დილით ქალბატონი ელენე ბუზღუნებს: „რა იქნა, რა ვქნა, ჩემი ძილის წამალი? ერთი ტაბლეტი კიდე მქონდა დარჩენილი და აღარ არის. ამაღამ რომ დამჭირდეს?“

ალბათ აღარ გქონდაო, შეაპარებს ცისანა და მოხუცი ღიზიანდება: „როგორ თუ აღარ მქონდა! სკლეროზი ჯერ არ დამმართნია, ქალბატონო! მართლა, რატომ დაიგვიანე გუშინ? მაინც როდის მთავრდება შენი სამსახური? თუ გმირთა მოედნიდან ვაკეში გამოსვლას ორი საათი სჭირდება?! არ დაგავიწყდეს, რისთვისა ხარ ჩამობრძანებული! აქ სეირნობას ვერ დაგაწყებინებ, იცოდე!“ აი, ასე, ახლა ოცი წლის ცისანას მისდგნენ.

და: „დაანებე თავი!“ — საკუთარ ყვირილს გამოჰყვა ოთახიდან: ბოლოს და ბოლოს გაღვიძებული, თმაგაწეწილი და თვალებშეშუპებული. ძალიან კარგი, რომ დედა და მამა შინ არ არიან, ბაზარში წასულან, ძმებს ისევ სძინავთ და მარია დღეს არ მოდის, რადგან კვირაა. ასე რომ, ახლა შეუძლია ბებიას ანგარიში გაუსწოროს ათასი ნერვების მომშლელი წვრილმან-მსხვილმანისთვის, თუნდაც იმისთვის, ყოველ დილა რომ უთვალთვალებს შვილიშვილებს: ჩაიში სამ კოვზზე მეტი „პესოკი“ არ ჩაიყაროთო. თან ეს „პესოკი!“ იმისთვის, დედამისის გარდერობს რომ არ აჩხრეკინებს და საერთოდ, ამბები რომ მიაქვს თავის ქალიშვილთან.

„რას დამყვირი, შე შეჩვენებულო!“ — ხელიდან სათვალე უვარდება ტახტზე დასკუპებულ პატარა მოხუცს.

— კაცო, გამაგებინეთ ერთი, ვის უყურებს ეს ბიჭი მთელი დღე, ფანჯრებთან რომ აყუდებულა! — ყველას ერთად გვეკითხება მამა, ბაზრიდან მოტანილი ხორაგის ამოლაგებაში რომ ეხმარება დედას. და ჩვენ: დედა, ელენე ბებო, ცისანა, ჩემი უმცროსი ძმა და მე ერთად ვიხედებით მისკენ და ყველა მხრებს იჩეჩავს, ჩემს გარდა.

ის დგას, ლოყაზე ცალი ხელით აუჩქარებლად ისვამს პირსაწმენდის ბოლოს, კაშნესავით რომ ჰკიდია კისერზე და როგორც ყოველთვის, ჩვენი სახლისკენ იყურება. საერთოდ, აი, ასე ძალიან ხშირად ისვამს ხოლმე პირსაწმენდის ბოლოს ლოყაზე.

— მე მგონი, გიჟია — მშვიდად ამბობს დედა.

— ხო, ხო გიჟია, გიჟი! — ცალ ფეხზე ხტის ჩემი უმცროსი ძმა, რომელსაც ცოტა ხნის შემდეგ ყურს ვუგრეხ, მას როგორც ჰგონია: უმიზეზოდ. შურის ძიების სხვა საშუალება არა მაქვს.

— რას გიშლით, დგას თავისთვის, შვილო, აბა სად უნდა გაიხედოს, მაგისი სახლის წინ ჩვენი სახლია და.. — ჩაილაპარაკებს ელენე ბებო და ქსოვას აგრძელებს და მე გადავწყვიტე, მას კარგად მოვექცე. აღარ დავუყვირებ, აღარ დავუმალავ წინდის ჩხირებს და სამკურნალო ბალახების მოგროვებაშიც მივეხმარები.

— ციცო! — უცებ ხმამაღლა ამბობს მამა და გამომცდელად შეხედავს ცისანას — მაგას, მე მგონი, შენ მოსწონხარ და შენ გიყურებს! აბა სხვას ვის? სხვა ამ სახლში არავინ არ არის. მანია ბეკერს ხომ არ მიაშტერდება ასე, ან სარა სულაქველიძეს, ან ბელსკების ქალს?

სარა დეიდა კარის მეზობელია, ბუმბერაზი ქალი, თავის და-ძმასავით; მანია დეიდა ლამაზი, ფაშფაშა ებრაელი ქალბატონი, რომელიც მის თავზე ცხოვრობს, ბელსკები კი ჩვენს თავზე ბინადრობენ.

ვგრძნობ, დედას სიამოვნებს, ამ ქალებს ასე რომ იხსენიებენ. რადგან როგორც ცისანა მეუბნება, თურმე ეჭვიანობს მათზე. იეჭვიანოს. დაიტანჯოს ცოტა.

ცისანა წითლდება.

— მე? არც კი შემიმჩნევია, რა ვიცი...

„სხვა ამ სახლში არავინ არ არის“. რა თქმა უნდა, არავინ ცისანას გარდა, ვისაც შეიძლება „ამ ბიჭმა“ შეხედოს!

„თქვენ ამბობთ ასეთ რამეებს და აზრადაც არ მოგდით, რომ მკლავთ“.

„თქვენ აზრადაც არ მოგდით, რომ თუმცა ჯერ ცამეტი წლისაც არა ვარ, მაგრამ უკვე გული მტკივა. თითქოს წინდის ჩხირებს მიყრიან“.

„ერთხელაც წავალ თქვენგან! აუცილებლად წავალ და აქ დაგტოვებთ ყველას!“

და ჩემს ოთახში გავდივარ. ისიც შორდება ფანჯარას და უჩინარდება. ალბათ მეცადინეობს. ხომ ასძახა დედამისმა ერთხელ აივნიდან მათ თავზე მცხოვრებ მეზობელს: მთელი დღე მეცადინეობსო. და შესვენებებში ფანჯარასთან ისვენებს. სად უნდა დაისვენოს აბა?

მე კი **ვითომ** ვმეცადინეობ. სინამდვილეში ისევ „გალაკტიონს“ ვფურცლავ. ხომ უნდა ვიპოვო ის ლექსი: „**სადა ხარ? სადა ხარ? სადა ხარ?“**

„თეთრი ლანდები“
„ალვები თოვლში“
„ვერხვები“
„მერი“

.....
.....
„ბედი, რომელიც მე არ მეღირსა,
ქარს მიჰყვებოდა როგორც ნამქერი...“

რომელი ბედი არ ეღირსა? მერისთან ყოფნა? ალბათ მეც ასე ვიტყვი ოდესმე. ალბათ. ალბათ. აბა, სხვა რა მექნება სათქმელი? თუმცა, არა. მე ალბათ ვიტყვი:

„ბედი, რომელიც მე არ მეღირსა,
პეპელასავით მიფრინდა სხვასთან“

და, შ ე ე ძ ლ ო მერისთან ყ ო ფ ნ ა ? მისი შეხება? მისთვის თვალებში შეხედვა? რ ო გ ო რ უნდა ყოფილიყო მასთან? და, რ ო გ ო რ ცოცხლობდა მერის გარეშე?

მთაწმინდის მთვარე
ლურჯა ცხენები
შერიგება
მარმარილო

საღამო
მე მოვალ

.....
.....

მე მოვალ, მე მოვალ, მე მოვალ — სიზმარი

„ობელისკი“
„ედარებოდა შეშლილს“
„იერი“
„კოშკი“
„ვინ არის ეს ქალი?“
„ცამეტი წლის ხარ“

ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა
ჭაღარა გულის ზმანება ავი, —
ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,
ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი!

გაივლის კიდევ ცამეტი წელი,
მოახლოვდება გზა ოცდაექვსის,
მოცელავს მაღალ ზამბახებს ცელი,
ატირდება დრო და ჩემი ლექსი

ოჰ, როგორ მიდის ახალგაზრდობა —
დაუნდობელი სურვილი ლომის!
და ყოველივე როგორ ნაზდება,
როცა ახლოა მზე შემოდგომის.

ჰაა! ესე იგი, უკვე გადაუარა მერის სიყვარულმა, რომელიც გაუთხოვდა და უკვე **ცამეტი წლის** გოგო შეყვარებია! ესე იგი, შეიძლება **ცამეტი წლის** გოგო შეუყვარდეთ დიდებს! ნეტავ, თვითონ რამდენი წლისა იყო ამ დროს? დიდი იქნებოდა, თორემ ასეთ ლექსს ხომ ვერ დაწერდა? ან რატომ მოიკლა თავი? ეს სკოლაში უთხრეს, როცა მასწავლებელს ჰკითხა, გალაკტიონის ლექსებს ვისწავლით თუ არაო. შეიძლება იმ ცამეტი წლის გოგოსთვის მოიკლა თავი! ხომ ამბობს, **„ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია, ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავიო!“**

აი, **როგორ** შეიძლება უყვარდეთ ცამეტი წლის გოგო! ესენი კიდე ... ყველა ნერვებს მიშლის, მთელი ჩემი ოჯახი, ზოგჯერ უმცროსი ძმაც კი!

გული ძალიან მიცემს. ადრე არ ვიცოდი გულის აჩქარება. ახლა კი საშინლად ამიჩქარდება ხოლმე. მე მგონი, ავადა ვარ. თუ ვეღარ დავინახავ, მას, მეც თავს მოვიკლავ, აბა რაღა უნდა გავაკეთო?!

ამათთან რომ დავრჩები, რა უნდა გავაკეთო?!

ეს იყო ზუსტად ნახევარი საუკუნის წინ. როცა შენც ცოცხალი და ახალგაზრდა იყავი, მამა. სულ ორმოცი წლის, თუმცა მაშინ ლამის მოხუცი მეგონე, და უცხო და შორეული. მე შენი უკვე მეშინოდა და გაგირბოდი. რადგან ცამეტი წლის ვიყავი. დედა კი უბრალოდ აღარ მიყვარდა, რადგან ის უკვე იყო მახვილი — მარადიულად ჩემს წინააღმდეგ მომართული.

შენ ჯერ არ იყავი სამუშაოდ თბილისში გადმოსული — შენს შემზარავ სიკვდილთან შესახვედრად, ცხრა წლის შემდეგ რომ დაგატეხეს თავს, და მხოლოდ კვირაში ერთხელ ჩამოდიოდი

ჩვენს დიდ ბინაში, სადაც უშენოდ მიედინებოდა ჩვენი ცხოვრება, ფალიაშვილის ქუჩის №№96-ში. უკან კი მუხაძის ქუჩა იყო. ვიწრო და მყუდრო, შიგადაშიგ შავი ყურძნის ტალავერით გადახურული...

მუხაძის ქუჩა — ჩემი გზა-კვალდაკარგული გულის ლაბირინთი, გვირაბი სამოთხიდან ჯოჯოხეთისკენ და პირიქით და პირიქით.... და მაშინ უკვე მთელი ოჯახის პატიმრად აღვიქვამდი თავს და აღარ მინდოდა ციხის გაძლიერება მისი უფროსის ჩვენთან გადმოსვლით...

„ქარებს ქარობა“
„მოსვლას აპირებს წვიმა“
„მერის თვალებით“

ისევ მერი?

ის ცამეტი წლის გოგო სადღა გაქრა, რომ აღარსად ახსენებს? გადაუყვარდა და ისევ მერი უყვარს?

მე მგონი, ამ კაცს ნამდვილად არავინ არ უყვარდა...

დავიღალე...

— რას შვრები, მორჩი გაკვეთილებს? — დედა შემოდის. მუდამ საქმიანი. მუდამ მბრძანებელი. ვერ ვიტან, ასე რომ შემოვარდებიან ხოლმე. — თუ მორჩი, მაშინ მოწესრიგდი და დაიძინე, დროს ნუღარ კარგავ, ნუ იგვიანებ, აბა, დროზე!

მან დაგვიანებებს მოუმატა და შენ ხშირად შუაღამემდე მუხლმოყრილი ზიხარ ლოგინში, ფანჯრის მინაზე შუბლმიკრული. აი, თურმე რა ყოფილა უძილობა. სისულელე გეგონა, დიდები რომ უჩიოდნენ. „რაღაც ვეღარ ვიძინებ“. „რაღაც უძილობა დამჩემდა.“

ელოდები. აი, თურმე რა ყოფილა ლოდინი. გგონია, ა ს ე უფრო ნაკლები ხიფათი ელის ჩაბნელებულ მუხაძის ქუჩაზე მარტო მომავალს, სადაც ერთი-ორი ლამპიონი ცრიატებს? არ იცი. არ იცი, რატომ ვერ იძინებ, ვიდრე ბინაში შუქს არ აანთებს და მერე არ ჩააქრობს და სიბნელეში არ გაუჩინარდება. კარგი იქნებოდა, დედამისისთვის ეთქვა ვინმეს, რომ ყურადღება მიექცია, გაერკვია, სად დაბრძანდება, რომ აეკრძალა! ამ ბინაში ტელეფონი არა აქვს, მაგრამ იქ ხომ ექნებათ! მოძებნიდა ნომერს, მაგრამ გვარი რომ არ იცის! არც გვარი, არც სახელი. და მთელი უცნაურობა ის არის, რომ თითქოს შეეჩვია ამ არცოდნას, თითქოს აღარც კი საკლისობს მის სახელს. რად უნდა სახელი? განა როდესმე დაუძახებს? განა როდესმე ამის უფლება ექნება? როგორ უნდა გაბედოს? ხოდა, რა საჭიროა?!

ცისანა კი გიჟდება და ამტკიცებს, რომ ეს არ არის ნორმალური ამბავი: **ისე გიყვარდეს რომ არ იცნობდე.** არც სახელი იცოდე და არც გვარი. მისი დაგვიანებები კი რატომღაც ნორმალურ ამბად მიაჩნია და რაღაც უსიამოვნო ქარაგმებით რატომღაც გაზაფხულთან აკავშირებს...

მისი ნაბიჯების ხმას შორიდანვე სცნობ, ისე გაგიმახვილდა ყური, შემოუხვევს თუ არა თავის ქუჩაზე, იქედანვე გესმის ეს უცნაური, უკვე ძალიან ახლობელი ხმა, სულ ერთი და იგივე რიტმით რომ ხმიანებს მუხაძის ქუჩის ღამეულ სიყრუეში და ხშირად ახალჩაძინებულს გაღვიძებს ხოლმე.

ახლაც ჩაგვთლიმა, ფანჯრის რაფაზე თავჩამოდებულს, რადგან უკვე ორ საათს გადასცდა. და უცბად გამოგაღვიძა თან ნაცნობმა და თან ძალიან უცნობმა ხმამ. ეს არის კაკუნი დაწყვილებული მის დახშულ ნაბიჯებთან. და ლამპიონის შუქში შემოვიდა კიდეც... წყვილი: ის და ქალი, ალბათ, ოცი წლის გოგო, რომლისთვისაც მას ხელი შემოუხვევია მხრებზე და ტანზე მიუკრავს. ეს „ფრანცუზსკების“ წვეტიანი ქუსლების კაკუნია და პირდაპირ გულში გერჭობა. სწორედ ასეთი წვრილქუსლებიანი ფეხსაცმელებია ახლა მოდაში, რომლებზეც დიდი გოგოები გიჟდებიან. პირი გაგიშრა. თმის ძირები და ხელისგულები დაგისველდა. ალბათ ამას ჰქვია „ცივი ოფლი“ ... და ისინი უკვე შევიდნენ სადარბაზოში... აიარეს სამი კიბე და ბინაში სინათლე აინთო. მერე დიდ ოთახში გამოჩნდენ, ცოტა ხანს იქ ისხდნენ, მერე საძინებელში დაილანდნენ,

ზუსტად შენი ფანჯრების პირდაპირ და მერე სინათლე ჩაქრა... თვალთ დაგიბნელდა და წინდის ხუთივე ჩხირი გაგერჭო გულში და ამოძრავდა... ხელები გულზე მიიჭირე, თითქოს სისხლს იჩერებდი ... მერე ჩანასახივით დაეხვიე და საბანში დაიმარხე თავი... რაღაც დამთავრდა, ოღონდ რა, არ იცოდი. მაგრამ ის, რაც დამთავრდა, იყო ძალიან, ძალიან კარგი, რაღაც ბავშვური და ამდენად მშობლიური. და დაუბრუნებელი... რატომღაც ერთი ლექსი აგიტივტივდა ატკიებულ თავში, ლექსი კი არა, სიმღერა, ერთ-ერთი იმ უცნაური, არეულ-დარეული სიმღერებიდან თუ სიმღერების ნაწყვეტებიდან, ბებია რომ დუდუნებს თუ ღიღინებს ხოლმე: ***„უცოდველი გოგო, ბიჭიც უცოდველი, იმათ კვალზე ხარობს ენძელ-მატიტელი.“*** „რა არის „მატიტელი“? „რა არის „უცოდველი?“

გამთენიისას წელისა და მუცლის საშინელმა ტკივილმა გამოგაღვიძა... ზეწრის სისველეც იგრძენი. ყველაფერს გავიწყებდა სრულიად უცნობი, გაუგონარი ტკივილი და შენ გაიფიქრე, რომ ჯოჯოხეთში იყავი და რომ ჯოჯოხეთი სწორედ ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ: სიბნელე, სიცივე, სისველე და სიმწარე, რომელიც უჯრედ-უჯრედ გიფლეთდა წელსა და მუცელს და გირევდა გულს და მთელ სიცოცხლეს... შენ გმინვაზე ცისანა შემოვიდა... მერე დედა... რაღაცეებს გეუბნებოდნენ, საშინლად გაუგებარს... აგაყენეს, აბაზანაში გაგიყვანეს წელში ოთხად მოხრილი და შენ დაინახე რაღაც შემზარაობა... და „ვკვდები?“ იკითხე. და რაც მათ გიპასუხეს, ის სიკვდილზე უარესი მოგეჩვენა.

გამოგიცვალეს, ჩაგიფინეს, დაგალევინეს „ოქროს ფხვნილი“, გამაყუჩებელი, რომელმაც ვერ გაგიყუჩა, მერე რაღაც სხვა, ფეხებზე წინდები, თუმცა, მაისი ილევა უკვე, წელზე „გრელკა“, თუმცა, ეს ამ დროს თურმე „პრინციპში არ შეიძლება“, როგორც ბრძანებს ეს ორი ქალი, და შენ ამასობაში გული წაგივიდა და სადღაც სიბნელეში ჩავარდი... კი, ეს არის ჯოჯოხეთი: მარადიული „დედათა წესი“, როგორც ბებია მოიხსენიებს ხოლმე...

სამი დღე საბნიდან აღარ გამოგიყვია თავი, არ გიჭამია, ხმა არ ამოგიღია, გაუჩერებლად გდიოდა ცრემლი. და არა მხოლოდ იმის გამო, რომ ისევ ძალიან გტკიოდა წელი და მუცელი, გეგლიჯებოდა ნელა და ტლანქად. და მისი ფანჯრებისკენ აღარ გაგიხედია.

რაღა აზრი ჰქონდა. შენს თავს უკვე დამცირებულად გრძნობდი. რას წარმოიდგენდი, თუ ასეთი უბედურება გელოდა! ასეთი სამარცხვინო მდგომარეობა! ასეთი შეურაცხყოფა! როგორღა უნდა გევლო სკოლაში! ხომ შეიძლებოდა, კაბა დაგსვროდა! ხომ შეგეტყობოდა, ასე მძიმედ, უხერხულად და უშნოდ რომ დადიოდი! და ხომ **სირბილი უნდა დაგევიწყებინა**! და, ღმერთო, როგორ უნდა გაგეძლო სირბილის გარეშე!

და საერთოდ, სრულ არარაობად, უწმინდურ უბადრუკობად აღიქვამდი თავს. საერთოდ გაქრა და ჩაკვდა „მეფის ასული“, „ნამივით გოგონა“, „ზეცის ენძელა“ თუ შროშანი თუ ჯანდაბა და ქაჯი, ბებია რომ ბოდავდა ხოლმე. და დარჩა „გომბიო“, „კუთხუნჯი“, როგორც სჩვეოდა დედაშენს შენი შემკობა, როცა შენი დამცირება და ფეხით გასრესა მოსწყურდებოდა მრისხანების ჟამს. შეიძლება ამიტომ გიკვირდა მუდამ, თუ დიდი გოგოები რატომ არ იკლავდნენ თავს. **ეს** ხომ ნამდვილი სიმახინჯე იყო. **ს ი მ ა ხ ი ნ ჯ ე** . ტკივილის გარდა.

ენა ვერ აღწერდა, ისეთ სიმუხთლედ, ისეთ უსამართლობად და ძალადობად აღიქვამდი **ამას**: სამყაროს მხრიდან. რატომღაც ღმერთთან არ აკავშირებდი, მიუხედავად იმისა, რომ მასთან ჯერჯერობით ბუნდოვანი დამოკიდებულება გქონდა.

უცებ გადაიწიე საწოლიდან, მაგიდაზე შემოდგმული ღამის ნათურა დაითრიე და მთელი ძალით დაახეთქე ძირს, მერე მარმარილოს პატარა ზარდახშა ხეთქე კედელზე ჩამოკიდულ შენს საყვარელ სურათს „ალიონუშკას“ და ის ნამსხვრევებად იქცა... რას ერჩოდი, თავისი უბედურება არ ეყოფოდა! არადა, გიყვარდა, წყლისპირას მტირალი, ფეხშიშველა გოგო, დაკარგულ პატარა ძმას რომ დაეძებდა. მარია უხმოდ გიცქერდა ერთხანს, მერე კი უხმოდვე ახვეტა ნამსხვრევები და გავიდა.

ხოლო შენ მეოთხე დღეს გადაწყვიტე თავი მოგეკლა. ძლივს აითრიე წელი, სადღაც დედაშენის თმის სარჭი მოძებნე და შტეფსელის წინ პატარა ხის სკამზე ჩამოჯექი. ერთ წამში დამ-

თავრდება ყველაფერი. საკმარისია ეს შავი, მოხრილი, მაგარი მავთული ორივე ბოლოთი შტეფსელში შეარჭო. ხომ მომკვდარა ასე არა ერთი. მაგალითად, ბოლოს ვიღაცის ოთხი წლის ბავშვს „დაარტყა დენმა“, რომელმაც აი, ასევე დედამისის თმის სარჭი შეარჭო ამ თურმე ა ს ე საჭირო საგანში. და მას ვეღარასდროს ვეღარ დაინახავ. სხვები დაინახავენ, შეეხებიან, მოეხვევიან, მოუვლიან, შენ კი იწვები შავ მიწაში და თვალები ამოგიშრება მისი დანახვის წყურვილით და არავის ეცოდინება, რატომ მოკვდი, რატომ ვეღარ შესძელი სიცოცხლე... აი, შეახე კიდეც მავთულის ბოლოები ... მაგრამ უცებ მოგინდა იმ ორ შავ ხვრელში შეგეხედა. დაიხარე და სახე მიადე... შტეფსელის მრგვალ, უძირო და სიკვდილით დატენილ თვალებში იყურები... უცნაური სუნი გცემს თითქოს, რაღაც ტექნიკური სუნი: ფიქრობ, ალბათ ელექტროდენის სუნიაო. და უცებ გულს გაზიდებს... შუბლს მიადებ შტეფსელს და ტირი და, როცა გამოიტირებ ყველაფერს, რასაც სახელსაც ვერ არქმევ, ალბათ ბავშვობას, შენი განცდით — უკვე ვეღარ დასაბრუნებელს, წელში სწორდები, აუდგომლად იღებ მაგიდიდან შავ ფანქარს და შტეფსელის ორ შავ თვალს ჯერ წარბებსა და წამწამებს უხატავ, მერე ცხვირს ორი წერტილით, მერე განიერ გაცინებულ პირს. და ამ ახლად წარმოქმნილ სახეს უსიხარულოდ შესცქერი. მაინც კარგია. შტეფსელების გაცინება სჯობს მათ აბოლებას ხვრელ-თვალებში შეთხრილი შპილკებით, ნია.

ყველა სიკეთესთან ერთად მამაც ორი დღით ადრე ჩამოვიდა და განაცხადა, რომ სამ დღეში თბილისს სტოვებდით. რადგან არდადაგები დაიწყო უკვე. რომ ჯერ სოფელში წახვიდოდით, როგორც ყოველთვის, და მერე შორს, სადმე, ალბათ კისლოვოდსკში...

ამეების თქმის შემდეგ დედამ რაღაც ჩასჩურჩულა და მამაც უეცრად გაჩუმდა. შენ გესმის ეს ყოველივე, შენი საბნიდან, შენი ოთახიდან, რადგან საერთოდ გავარჯიშებული გაქვს სმენა მეზობელი ოთახების ხმათა გარჩევასა და მათ მიხედვით იქ მიმდინარე ქმედებათა ამოცნობაში. ძალიან გავარჯიშებული...

ახლა კი მამაშენის უეცარი გაჩუმებაც გესმის... და : „ნუ შეხვალ, არ გინდა“ — დედაშენის ჩუმი სიტყვებიც. და მამაც აღარ შემოდის, მაშინ როდესაც ყოველთვის პირველად შენთან შემოდიოდა ხოლმე სოფლიდან ჩამოსული. აი, ასე. მაშასადამე, ეს არის სამარცხვინო ტანჯვა, რომელზედაც მამებთან და ძმებთან არასოდეს ლაპარაკობენ. და **ამან** კიდევ უფრო დაგაშორა მათ.

ნეტავ, ქმართან თუ ლაპარაკობენ? ან შეყვარებულთან? ალბათ კარგია ექიმი ქმარი.

ესე იგი, შორს, კისლოვოდსკში მიდიხართ. მაშასადამე, ისევ იმ საშიშ ჯვრის უღელტეხილსა და დარიალის ხეობას გაივლით, რაც ყოველთვის ძალიან გიხაროდათ სამივე ბავშვს. მაგრამ ახლა მხოლოდ აათკეცებდა შენს უბედურებას. რადგან:

მართალია, ყველაფრის ხალისი დაჰკარგე და, როგორც შენ გგონია, სამუდამოდ; მართალია, მის ღირსად ვეღარ აღიქვამ თავს, ისედაც რომ ვერ აღიქვამდი, მაგრამ ახლა ისე ხარ, თითქოს პატივაყრილი იყო; მართალია, ჯერ იმით მოიწამლე, რომ „ვიღაც გოგო მიიყვანა სახლში“, და შენ გაგიჩნდა ყოვლად უაზრო განცდა, რომ გიღალატა, ან: შენ თუ არა, რაღაცას (რადგან შენ ხომ სინამდვილეში სრულიად მორჩილი უუფლებობით ხარ სავსე მის მიმართ). ჰო, მართალია, ყოველივე ამის გამო გადაწყვიტე, „შეეშვა“ მას, მაგრამ ახლა მიხვდი, რომ ეს უბედურება ჯერ-ჯერობით ძალიან სუსტი და უმწეოა შენი გრძნობის წინაშე, რომელსაც თურმე „სიყვარულს“ უწოდებენ, და წამსვე მიიძენძ-მოიძენძა, როგორც კი მისგან შორს წასვლის სრულიად რეალური საფრთხე დაგატყდა თავს...

ო, ნეტავ აქ დაეტოვებინეთ, მასავით მარტო, ბინის დარაჯად! ს ა მ ი თ ვ ე, ისე რომ არც ერთხელ არ დაინახო?! როცა სამი დღეც კი ვერ გაძელი, თვით იმ მდგომარეობაში, როცა სიცოცხლის ხალისის ნასახიც კი აღარ შეგრჩენოდა?

თავჩაქინდრული
მხრებჩამოყრილი
ჩამქრალი

ჩამკვდარი
ჩამჭკნარი
დამდნარი
უნუგეშო
და
უმომავლო

აი, ასეთი მიაბიჯებ 1960 წლის 2 ივნისს ფალიაშვილის ქუჩაზე და თვალებში უყურებ მკვდარ ზაფხულს, რომელსაც მისგან შორს, სხვა ადგილებში გაატარებ.

2005 წელი

— კი, მაგრამ, რანაირად შეიძლება, რომ ამდენი ხანი, ესე იგი, მთელი ო რ მ ო ც დ ა ხ უ თ ი წელი, ერთ ქალაქში ცხოვრობთ და არცერთხელ, არცერთხელ არ მოგიკრავს თვალი?

— ესე იგი, შეიძლება...

— და... ეგებ აღარ არის ცოცხალი?

— ნუ ამბობ მაგას!

— მართლა ყველა კორდიასთან ჩამორეკე?

— კი.

— საოცარია. და არ გაიკითხ-გამოიკითხე სადმე, ვთქვათ ექიმების წრეში?

— როგორ არა... როგორც შემეძლო. იცი რა, მე ხომ გამუდმებით არ ვეძებ. ეს არის... როგორ გითხრა, შეტევასავით, ან ქრონიკული ავადმყოფობის პერიოდულ გამწვავებასავით... ან კუნძულივით, რომელიც ჩაიძირა და დიდი ხნის შემდეგ ისევ ამოტივტივდა, მერე ისევ ჩაიძირა და ახლა პერიოდულად, ასე, ხუთ წელიწადში ერთხელ, ისევ ამოტივტივდება ხოლმე და მოაქვს რაღაც, სრულიად გამოუთქმელი გრძნობები... სევდა გასაგებია, მონატრებაც, მაგრამ კერძოდ რისი, არ ვიცი, მისი? თუ **ჩემი თავის**, როგორიც მაშინ ვიყავი? იმ სიტუაციების? თუ მაინც და ისევ ის : მისი დანახვის სურვილი... თუ იმ მდგომარეობის გამეორების სურვილი, როცა ყველაფერი წინ გქონდა, ესე იგი, „ქალის ბედნიერება“, ახლა კი ყველაფერი უკანა გაქვს..

— მოკლედ შენი ატლანტიდაა...

— ასე გამოდის... ახლა სწორედ პლატონზე მაქვს ლექცია წასაკითხი...

— მისმინე, პლატონი იქით იყოს და მე დავკავდები ამ საქმით. რაღაცნაირად არ გამოდის, რომ ისე წახვიდე ამქვეყნიდან, ვერც ერთხელ ვეღარ ნახო... არის ამაში რაღაც საშინლად უაზრო და უსამართლო... იცი, რას ვიზამ? ყველა საავადმყოფოში და კლინიკაში ჩამოვრეკავ და ვიკითხავ, ექიმი კორდია ხომ არ მუშაობს იქ. ასე ვიზამ. დრო გადის. გაიხსენე, რომ უკვე 58 წლისა ხარ!

1961 წელი

ზაფხული. შემოდგომა.

რაღა დარჩა? ათი დღეც და ზაფხულს წერტილი დაესმება.

ესე იგი, აგვისტოს 20-ია და თქვენი ზურმუხტისფერი „ვოლგით“ ნელა უახლოვდებით თბილისს. შორი გზიდან მოდიხართ: ზღვიდან. უკან მოიტოვეთ არა მარტო ზღვა: სოფელიც, ჯვრის უღელტეხილიც, დარიალის ხეობაც და კისლოვოდსკიც — სამკურნალო წყლებიანი ქალაქი, სადაც დედა უკვე მეორე წელია დაგათრევთ და ყველას გაიძულებთ, მჟავე წყალი სვათ და დაისვენოთ... საშინლად ბევრი რამ დარჩა უკან... სოფელი წელში მოხრილი პაპა-ბებიით; ღამისფერთვალება ვირით, ფერადოვანი ქათმებით, ოქროქლიავით, ვარდისფერი ბლით, „სინაფით“, „კრუჟოვნიკითა“ და პიტნის ჩაით, აყვავებული ორღობეებითა და მივარდნილ-მიყრუებული

ადგილებით; კისლოვოდსკის დიდი პარკი „ტერენკურებით“; მისი ჭურჭლეულის მაღაზიები ჩინურ-ვიეტნამური ხისა და ფაიფურის სერვიზებით; შავ, პრიალა ხეზე დაწებებული მარაოიანი სადაფის ქალებით; ბიჟუტერიის მაღაზიები ათასგვარი მოციმციმე მძივებით, გულსაბნევებითა და საყურეებით; რესტორნები ბიფშტექსებით, რამშტექსებით, ლანგეტებით, რაგუებით, კროკეტებითა და ბეფ-სტროგანოვებით... ასევე დესერტებით: მაზურკებით, პლიაცკებით, ობლატებით, პუდინგებით, ნაყინებითა და კრემ-ჟელეებით... საცეკვაო მოედანი და ტბა ქალაქგარეთ.

მერე კი, ბოლოს, შავი ზღვა: სადაც დილაადრიან შეგიყვარდა მარტო გასვლა და ნაპირზე ხეტიალი, ქვიშაზე ხატვა, უცნაური ფორმის კენჭების შეგროვება და უხმოდ ტირილი უზარმაზარი სივრცის წინაშე. დედაშენის ჩხუბის მიუხედავად: „სად დაწანწალებ? რა უნდა ცამეტი წლის გოგოს მარტო ზღვის პირას?! რატომ ხარ არეული, მითხარი, რატომ? სანამ რაღაცა უბედურებას არ გადაეკიდები, არ გაჩერდები?“ მაგრამ მაინც ცეცხლი ჰქონდა გამოცლილი მუდამ მამხილებელ ხმას: რადგან ცოტა შეფიქრიანდნენ მშობლები, იმდენად დაკარგული გაქვს ფერი და მადა...

მაშასადამე, უამრავი რამ გეძლეოდა, დიდი მრავალგვარობა და სიჭრელე ცხოვრებისა, დედა და მამა ხომ მთელი წელი აგროვებდნენ ფულს, რათა „სისხლსავსე“ ზაფხულები ეჩუქებინათ... და აი, ამდენმა რამემ ერთად მაინც ვერ გააფერმკრთალა მისი სახე, ვერა და ვერა, ამდენმა რამემ ვერ გადაიბირა შენი გული. პირიქით: ბოლოს სულაც შენ გაფერმკრთალდი და სისხლნაკლულს დაემსგავსე... და აი, ასეთი შედიხარ ზაფხულის თბილისში, ჯერ ისევ დაცარიელებულსა და შენსავით ჩამკვდარში, რომელიც თანდათან სიცოცხლით გავსებს, გული ლამის ამოგვარდეს საგულედან, როცა ვარაზის ხევს აივლით და ვაკისკენ გაუხვევთ...

ის შინ არა ჩანს.

ცისანას საპარიკმახეროში მიათრევ და თმას იჭრი.

დედა, როცა დაგინახავს, მრისხანებას იოკებს, რადგან როგორც ვთქვით, შეფიქრიანებულია შენი არასახარბიელო მდგომარეობით, — მხოლოდ ცისანას გაჯორვით კმაყოფილდება. მამა კი ლამის ცუდად გამხდარა, როცა შენი მოჭრილი ნაწნავი დაუნახავს, რომელსაც ცისანამ მეორე ბოლოც შეუკრა და ჩანთით წამოასვენა შინ, ხოლო დედაშენმა თავის საწოლზე დაასვენა. თავწაჭრილი გველივით. ჩამომჯდარა რაღაცნაირად მოშვებული, მამაშენი, და დიდხანს დაჰყურებდა თურმე და ერთადერთხელ და ფრთხილად დაუსვამს ხელი და უმწეოდ უკითხავს დედაშენისთვის: „ხო ძალიან ლამაზი იყო“? ესე იგი: ნაწნავი. ამას ცისანა გიყვება ჩურჩულით.

„იტანჯეთ ეხლა, რამდენიც გინდათ“ — ფიქრობ დაუნდობლად.

— ვა, როგორ გიხდება! — უნებურად აღმოხდა სამი წლით უფროს ძმას.

მერე სწრაფად დაიბრუნა სტილი და დამცინავად შეატრიალ-შემოატრიალა თავი: პრანჭია გოგოს გააჯავრა.

— ეხლა დიდ გოგოს გავხარ — ტუჩი აუბზუა სამი წლით უმცროსმა ძმამ: როგორც ნაღალატევმა და მიტოვებულმა. ისედაც ნაწყენია შენზე. რადგან ბოლო ხანებში აღარ ეთამაშები. ადრე კი როგორ გიხაროდათ ხოლმე შინ მარტო დარჩენა. მაშინვე პურის პატარა ლუკმებს გაიმზადებდით ზედ დასკუპებული ყველის ან ძეხვის ციცქნა ნაჭრით, ღვინოს მოძებნიდით და თითო ყლუპს თითო ლუკმას აყოლებდით. მერე, დიდების მოსვლამდე შემთვრალები წვებოდით და იძინებდით. ეს მხოლოდ თქვენი საიდუმლო იყო.

— უი, როგორ შეიცვალე, შვილო, — ამბობს ნირწამხდარი დიდედა და მერე სიბრძნეს უხმობს: — რა ლამაზად გაქვს თმა აბუბულავებული...

— Ну и ну! Просто красавица! Где ты была до сих пор? — იძახის მარია — ოღონდ ცოტა უნდა მოიმატო! გესმის? — და ნირს მაშინაც არ იტეხს, როცა იგრძნობს, რომ მთავარი პირების მიერ მისი აღტაცება გაზიარებული არ არის.

— ეხლა სულ სხვა ხარ, ეხლა ნაღდად შ ე გ ა მ ჩ ნ ე ვ ს , ვარიანტი არ არის, არ შ ე გ ა მ ჩ ნ ი ო ს ! — ჩაგსისინებს ყურში ცისანა.

და შენ არ გსიამოვნებს. გეჩვენება, რომ ზედმეტად შინაურულად გექცევა.

თითქოს გულმა უგრძნო: ჟენია დეიდა ჩამოდის — ცისანას დედა. სახელგანთქმული მკე-

რავია და დატრიალდა ძველი, დაბინდული, წელში გამოყვანილი „ზინგერის“ კოხტა, მბზინავი ბორბალი: ტანსაცმელს გიკერავს. და სულ რაღაც ხუთ დღეში შენ გიჩნდება:

1. **თეთრი რომბებით მოხატული შვინდისფერი ჩითის კაბა** (უმკლავებო, ზემოთ „წელზე მომდგარი“, „უკან ჩახსნილი“ და სამ ღილზე შეკრული, წელსქვემოთ ნაოჭებით);

2. **თეთრად დაწინწკლული ლურჯი აბრეშუმის კაბა** (ზემოთ „წელში გამოყვანილი“, იდაყვებამდე ვიწრო სახელოებით, წინ ჩახსნილი, ოთხ პატარა ღილზე შეკრული, ქვემოთ განიერი)

3. **კრემისფერი „ჩეჩუნჩის“ ოდნავ წელში გამოყვანილი, საზაფხულო კოსტიუმი,** გრძელი სახელოებით, ზემოთ ერთი პატარა და ქვემოთ ორი უფრო დიდი ჯიბით, ზედა ჯიბეში წვერით ზემოთ ამოწეული, ვარდისფერი ცხვირსახოცით);

4. **ფერადი „ტაფტის“ იუბკა** (ორივე მხარეს „ჩაჭრილი ჯიბეებით“ და განიერი „სკლადკებით,“ ქვემოთ რომ იშლება);

5. **„რიპსეს“ იუბკა წვრილი, ფერმკრთალი ყვავილებით მომწვანო ფონზე** (ზემოდან დაკერებული მომრგვალო ჯიბეებით, ოდნავ ნაოჭიანი)

და

6. **თეთრი აბრეშუმის „ბლუზკა**“ (წინ ჩახსნილი, წვრილღილებიანი, ყელთან შეკრული მრგვალი საყელოთი, რომელსაც თეთრი ბატისტის მაქმანი აქვს შემოვლებული).

გარდა ამ ყოველივესი და, რაც მთავარია: გიკერავს ბატისტის **„პადიუბკას“,** რომელსაც მერე „გიკრახმალებენ“ კიდეც, რადგან ეს „პადიუბკების,“ „კიკინებისა“ და ჩარლსტონ-ტვისტის ჟამია და რაკიღა კიკინები უარყავი, თმა მოკლედ შეიჭერი რა, — უპადიუბკობა მეტისმეტი იქნებოდა.

დედას ეს „ნაჭრები“ თუ საკაბეები იმ წუთას არ უყიდია, ასეთი რამეები შეგროვილი და ორ ჩემოდანში აქვს გადამალული. მას უყვარს „ასეთი რამეების“ შეგროვება, რაც ეჯავრება მამას. იგი საშინლად ვერ იტანს „ზედმეტ ნივთებს“. ისე, რომ ერთხელ ისედაც რაღაცაზე გაბრაზებულმა აივნიდან, ესე იგი მესამე სართულიდან, ძირს, ეზოში მოისროლა მეუღლის მიერ შეძენილი უცნაური ფორმის ტორშერი. კიდევ კარგი, ის შინ არ იყო და ვერ იხილა ჰაერში გაფრენილი უცნაური საგანი!

მაგრამ ახლა ესოდენი სიუხვე შენდამი, საოჯახო თათბირის შედეგად გადმოიფრქვა. რადგან დედ-მამა შეთანხმებულია, რომ შენ სრულიად აუხსნელად ჯანმრთელობა შეგერყა. ყოველ შემთხვევაში, მადა, ხალისი და ფერი დაკარგული გაქვს. და ეს თერაპიაა. ბოლოს და ბოლოს, დედა ხომ თერაპევტია.

და შენ მართლაც აღელდი და გახალისდი. ხან ერთს იცვამ, ხან მეორეს და გარდერობის სარკეში იმეორებ და იმახსოვრებ შენს თავს. მაგრამ მერე ისევ უნუგეშობა გიპყრობს: **სად, სად** უნდა ჩაიცვა ეს ამდენი ტანსაცმელი, შენ ხომ მარტო არსად არ გიშვებენ; თუ სადმე მიდიხარ — მშობლებთან ერთად: კინოში, თეატრში თუ წვეულებაზე. და, აბა, მაშინ რაღა აზრი აქვს შენს სილამაზეს და ჩაცმულობას! ის სად დაგინახავს?

ეგებ გაბედო და აივანზე დადგე ხოლმე? ვითომ ისე.

დიდედა კი წელში მოხრილი აგროვებს მორჩენილ ნაჭრებს, ანუ დიდ-პატარა ნაკუწებს. მერე მათგან ჭრის თანაბარ რომბებს და ჭკუიდან შემშლელი მოთმინებით და უზუსტესად ოთხივე მხრიდან აკერებს ერთმანეთს და ასე კერავს საბნის პირებს. ოღონდ ეს მაშინ, როცა უკვე ბევრი აქვს ხოლმე შეგროვილი, ეს კი ჟენია დეიდას ჩამოსვლებს უკავშირდება. და როცა შენი კაბები აღარ იქნება ამქვეყნად, ეს პატარა საბნები დარჩება, დახედავ ნაკუწების პატარა რომბებს და ყველას გაიხსენებ... კაბებს, იმ დღეებსა და ამბებს, რაც ამ კაბებს უკავშირდება...

აბა, ახალმა კაბებმა როგორ უნდა გიშველოს, როცა ის ჯერ ისევ არ ჩანს?

და ისევ უმადობა, ისევ ღამის დარაჯობანი, ისევ ტირილი, ისევ გულის ამოვარდნები და ჩავარდნები, და ისევ და უკვე განუწყვეტლად ყველაფრის მოყოლა მისთვის: უხმოდ და უდამწერლობოდ:

„ფანქარს ვთლიდი და თითი გამეჭრა, მარიამ შემიხვია. მეწვება. მოდიხარ უკვე? რომელი კაბა მოგწონს? აი, ეს ხო? მეც. წუხელ სიზმარში ვყვიროდი, დედაჩემს გული გავუხეთქე, და არ მახსოვდა, რა ვნახე. ხშირად მომდის ხოლმე ასე, შენ? სულ მარტო რომ ხარ მაგ სახლში ღამით, არ გეშინია? ალბათ არა, შენ ხომ ძალიან დიდი ხარ. მე ბევრი რამის მეშინია, მაგალითად, იმ ოთხი დღის, ხომ გესმის? იცი, რა საშინელებაა? ვერ აგიწერ. ტკივილი და სიმახინჯე. და ისეთი, ისეთი სისუსტე — სიკვდილივით. ეს არის კატასტროფა, თვეში ერთხელ. თან უნდა დამალო. შენ ხომ ექიმი ხარ. შენ ყველაფერი იცი. კიდევ სკოლის მეშინია. ცუდად ვხდები, რომ მახსენდება, გესმის, ცუდად, შენც ასე იყავი? კიდევ მეშინია მშობლების და თაგვების, კბილის ექიმის და ბინტის სუნის... დაჭრილი ხორცის და დიდი გოგოების, გომბიოების. შენთან არაფრის არ შემეშინდებოდა. როგორი მაღალი ხარ! ბატინკები გიყვარს? მეც. ახლები უნდა მიყიდონ ამ ზამთრისთვის. მაგრამ ზამთარი ჯერ შორს არის. ხედავ ამ დიდ, ყვითელ კატას ლეღვის ხეზე, ჩვენს ეზოში, სულ მაგ ხეზეა მოკალათებული, ლამაზია არა? მას ჰქვია დარია ოსიპოვნა. ხედავ შავ ჯეკას, ჩვენი ეზოს ძაღლს, შენს სადარბაზოშიც წვება ხოლმე სიცხეში, არ გააგდო, შენ არ გააგდებ. ხედავ იმ დიდ, ძალიან წვრილქიმებიან ვარსკვლავს? ეგ იშვიათად ჩნდება ხოლმე და სულ კუსტბის მთის თავზე. ამიტომ აქეთა აივნიდან ვერ დაინახავ, იქითა აივანზე უნდა გახვიდე, ეზოს მხარეს. ხედავ? თენდება, გღვიძავს? რატომ არ მოდიხარ შენს სახლში, ავად ხომ არა ხარ. არ იყო. გემუდარები. შვინდისფერ კაბას ვიცვამ, პურზე მივდივარ, მარია მაგზავნის, მერე ვაკის პარკში გავუხვევ, იმ ადგილას დავდგები ისევ შადრევანთან, ეგებ ისევ გამოჩნდე... შენ ხომ ცისანას არ უყურებ შენი ფანჯრებიდან, მამაჩემს რომ ჰგონია, შენ ხომ ისე იყურები, რადგან სულ მეცადინეობ და ასე ისვენებ ხოლმე... სადა ხარ?“

„პური უკვე მოვიტანე. დიდხანს ვიდექი შადრევნის ვარდებთან, შენ არ გამოჩნდი. ცარიელი იყო ყველაფერი. მერე მარიას ვთხოვე, ამხანაგთან წავალ— მეთქი. წადი, ოღონდ დედაშენს არ უთხრა. ამხანაგის ტელეფონი დამიტოვე, რამე რომ იყოს, დაგირეკავ, თან კარგ სადილს ვაკეთებ, და არ დაიგვიანოო. კი, კი, კი, ვეუბნები ყველაფერზე, ლურჯი აბრეშუმის თეთრად დაწინწკლულ კაბას და მერე პადიუბკას ვიცვამ, სარკეში ვტრიალებ, რა ლამაზად დგას, ჩემი კაბა, თმაში უაზროდ ვიყრი თითებს და უკვე გარეთ ვარ. ეგებ გავხალისდე ცოტა, ქუჩებში გავალ, ეგებ სადმე შემხვდე... ეგებ, ეგებ. „გამოჩნდი, გამოჩნდი, გამოჩნდი, გემუდარები...“ — ვიმეორებ გულში.

კი. კი. მახსოვს. ასეთი უხმო და უდამწერლობო წერილები რომ დაგჩემდა, ნია.

გვერდზე გადაზნექილი აკაციის ქვეშ დგახარ, ფალიაშვილის ქუჩის ბოლოში, აგურის სახლის წინ, რომელიც არის №116 და №3 ავტობუსს ელოდები. დაჟინებით და უაზროდ გასცქერი ქუჩას, საიდანაც ავტობუსი უნდა მოვიდეს... სინამდვილეში ვერაფერს ხედავ. და ვეღარ იშორებ: „**სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ.**“ და აი, უცებ რაღაცას გრძნობ ზურგით, წამით ქვავდები, ჟრუანტელი გაგივლის ხერხემალში და შეტრიალდები: ახლა კი ღმერთმა ან აკაციის ხემ უნდა გიშველოს, რადგან: ის დგას შენს წინ! თავად ის. შენს წინაშე.

და უკვე გრძნობ თავბრუს და იმას, რომ ნათელი გაკლდება თვალებში და ხმები ყურებში. ის ბუნდოვანდება: და აკაციას ჰხვევ ხელს და ლოყით ეკვრები. გგონია დაყრუებულ არემარეში მხოლოდ შენი გულის ბაგაბუგი ისმის. გუგუნებს ფალიაშვილის ქუჩაზე, შენობებში, ვაკის პარკში, ყველაზე მეტად კი აკაციის ხეს გადაეცემა...

სახეში ვერ უყურებ. წამით ახედე და მაშინვე მიწას დააშტერდი.. ამიტომ ვერ ხედავ, თვალებში გაკვირვება რომ ჩაუდგა და მერე დაკვირვება ... და სადღაც გაისმა:

— **გამარჯობა.**

ეს არის მისი ხმა.

— გამარჯობა.

ეს შენი საწყალი ხმაა, ჩურჩულს ძლივს გაცდენილი. კატის კნუტიც კი უფრო ომახიანად უპასუხებდა თავის გულის რჩეულს.

— რა გქვია?

ის გეკითხება.

მორჩილად პასუხობ. იგივეს შეკითხვა აზრადაც არ მოგდის.

თვითონ ამბობს თავის სახელს.

მერე კიდევ რაღაც გკითხა და შენც რაღაც უპასუხე. კიდევ რაღაც და კიდევ რაღაც. აღარაფერი გესმის. ერთი რამისთვისღა იბრძვი: რომ ძირს არ დაეცე. რადგან: თვალებში ბინდი კი არ გეფანტება, არამედ გემატება. მხოლოდ იმის წარმოდგენა, რა უშნო სანახავი იქნები ძირს დანარცხებული, გაძლევს ძალას — კიდევ ცოტა ხანს გაუძლო. მადლობა ღმერთს! მოდის მოლურჯო **ავტობუსი №3,** ვაკის პარკის წინ უხვევს და უკვე თქვენს წინ ქშენს. მგზავრები, რომლებიც თურმე იქ არსებობდნენ, ადიან, და მხოლოდ მაშინ, როცა მძღოლი უკვე ქოქავს, ისიც ადის. რაღაცას გეკითხება. ალბათ ამას : არ მოდიხარო? მაგრამ შენ უკანასკნელი ძალების მოკრებით თავს გაიქნევ: უარის ნიშნად. კარი იხურება. ხ ე ლ ს გ ი ქ ნ ე ვ ს ფანჯრიდან. ავტობუსი მიდის....

თავისუფლად ამოისუნთქავ... პარკში ზიხარ. სულს იბრუნებ. როგორ მოაღწიე ამ სკამამდე, მოსაშვილის ქუჩიდან რომ შესასვლელია იქ, ორ გაზონს შუა, არ იცი... რამდენი ხანი გადის, ვერ გრძნობ... რომ გაწვიმს, ვერც იმას... ვერ ხედავ გაკვირვებულ შემოხედვას ნელა მიმავალი ქოლგიანი კაცისას, გაკვირვებულ შემოხედვას სირბილით ჩავლილი ბიჭისას, გაკვირვებულ შემოხედვას სირბილით ამოვლილი შეყვარებულებისა, ერთი პლაშჩი რომ გადაუფარებიათ. აი, თურმე რა ადვილად შეიძლება გადაიქცე გაკვირვებული მზერების ობიექტად. ყველას ხომ არ ემართება ეს. ვერც იმას იგებ, როგორ წამოფრინდები უცბად და როგორ დაჰქრი ხელების შლით შადრევნის ირგვლივ... ორივე ხელით ფართო წრეებს რომ ხაზავ ჰაერში. ასე ბავშვობაში დარბოდით ხოლმე სოფლის მინდვრებზე, როცა თვითმფრინავობანას თამაშობდით. და ახლაც თამაშობ, რადგან თვალწინ გიდგას მისი მზერა, რომელსაც წამიერად შეავლე თვალი: ეს იყო მზერა, რომელსაც მოსწონს ის, ვისაც უყურებს... ახლა მთავარია, მართლა არ გაგიჟდე...

ეს იყო პ ი რ ვ ე ლ ი დ ი დ ი დ ღ ე შენი ცხოვრების თორმეტნახევარი წლის მანძილზე! დ ი დ ი დ ღ ე!

კიდევ იქნება ნეტავ დ ი დ ი დ ღ ე ე ბ ი?

— მარიაა! მარიაააა! საყვარელო! მარიაააა! — კარი ოდნავ შემოვხსენი თუ არა, შემოხტა, აი, ესეთი ყვირილით. და ისე დამეტაკა, კინაღამ წავიქეცი, კიდევ კარგი, კორიდორში ხალიჩა გვიგია, აი, ასეთი ბავშვია, ეს ბავშვი, ემოციურია ძალიან, და მკოცნის, მკოცნის, „მარიაა! გალუბუშკა!“, შეყვარებულია, ნამდვილად, მე რას გამომაპარებს, მაგრამ ვისში? წეღან გავუშვი ამხანაგთან, ახალი ტანსაცმელი ჩაიცვა, ჟენიას შეკერილი, იმ გოგოს, მანანა მღებრიშვილს, ძალიან კარგად აცმევენ, მამამისი ეგვიპტეში მუშაობს, კაშხალს აშენებს და ძალიან კარგ რაღაცეებს უგზავნის. ამას კიდე, რა? ეხლა შევუკერეთ რაღაცეები. სულ ადგილობრივი რაღაცეებისაგან. მოკლედ გავუშვი იმასთან, სანამ დედაშენი მოვა, უნდა დაბრუნდე-მეთქი, ამას ხომ არ უშვებენ არსად. მაგრამ, აი, მალე დაბრუნდა. ეგებ მანანასთან კი არ მიდიოდა, ბიჭს უნდა შეხვედროდა? და შეხვდა კიდეც? Ну и пусть, пусть радуется, жалко ребенка, главное не потерять ее доверие, чтобы она все рассказывала...

— მოიცა, გოგო, გატყდა პოლის ჯოხი, ადექი! ადექი! გავაპრიალო პოლი, მასტიკის სუნი მინდა გავიდეს დედაშენის მოსვლამდე, გესმის?

— ცოტა მასრიალე, გეხვეწები!

— აჰა, ხო გასრიალე! გეყოფა! ადექი!

— მარია! კატლეტები გააკეთე?! ვაშა, მარია! ბორში და კატლეტები?! დიდება მარიას! მოდი ისინიც ვასადილოთ!

და ვიდრე დაკივლებას მოვასწრებდი, აივანზე გავარდა და ერთი ჯეკას ესროლა, ერთი იმ ყვითელ ძროხას: იმ მსუქან კატას, ლეღვის ხეზე რომ უყვარს ჯდომა. საშინლად დაფეთდნენ, ყვითელი ძროხა თვლემდა, კატლეტი პირდაპირ თავში მოხვდა და უბრალოდ ძირს გაადინა

ზღართანი ჩხავილით. მაგრამ იმ წამსვე მოვიდნენ აზრზე და შთანთქეს ჩემი კატლეტები по киевски. ჩემი სახელგანთქმული კატლეტები! მაგათთვის ჩავაქსოვე შიგ სული და გული?

ეს კი, ჯერ ხელებზე დადგა, ჩამოეფხატა იუბკა იატაკამდე, დაუფარა სახე, მერე გადაიქნია ტანი და შპაგატზე დაჯდა.

— ადექი! — ვყვირი — ადექი! მასტიკიანია იატაკი, რა გარეცხავს მერე მაგ ტრუსიკს! თან შეგცივა და უარესად გეტკინება მუცელი!

ის კი კაბაზე დამეჭიდა და წამაქცია და ვგორავთ ორივენი იატაკზე და ვკვდებით სიცილით! აი, ასეთი ბავშვია! ემოციურია, თავისებურია, უნდა გაუგონ, მაგრამ ნინა გიორგიევნა ცოტა უცნაური ქალია! გადასარევი ექიმია, გულუხვია, გულკეთილიც არის სხვების მიმართ, პაციენტები უყვარს, პაციენტებსაც უყვართ ძალიან, კაპიკს არ იღებს არავისგან, არც საჩუქრებს, სხვა ექიმებს კი არა ჰგავს, მაგრამ ბავშვებთან უხეშია, ბავშვებიც სულ ატყუებენ...

— აბა, ეხლა მითხარი, რა მოხდა? მანანასთან არ ყოფილხარ, ეს ფაქტია, ვის შეხვდი?

— მარია! საყვარელო, ჩემო თეთრო, ჩემო ბუნჩულა! არასოდეს არ გეტყვი!

ზარია.

ნინა გეორგევნა მოვიდა. ეს შეეგება, მძიმე ჩანთა ჩამოართვა, სახლის ფაჩუჩები მიურბენინა, ლოყაზე აკოცა, „როგორა ხარ, დედიკო?“ — ეკითხება, ესიყვარულება, ნინა გეორგევნა ფრთხილად პასუხობს, დაეჭვებული აკვირდება. „ო, ბოჟე, ბოჟე, აი, ასეთია ეს დაწყევლილი სიყვარული, უყვარხარ, შენც ყველა გიყვარდება, არ უყვარხარ და შენც ყველასათვის ცივდები მაცივარივით... შენ გვიშველე ღმერთო.“

ღამე კი მაინც ღამეა. საწოლში დგახარ მუხლის ჩოქზე, ფანჯრის რაფაზე იდაყვებდაყრდნობილი, შუშაზე შუბლმიკრული, და ტირი, ტირი, რადგან მის ფანჯრებში აბსოლუტური სიბნელეა, რადგან ის სახლში არ არის, რადგან არ იცი, სად არის და როგორ არის, რადგან გენატრება, გენატრება....

და რადგან სრულიად მარტო ხარ და არავინ არის მთვარის გარდა, რომელიც არის ცივი და მუნჯი და თითქმის რეგვენი, მაინც მას შესტირი, მთვარეს, და შენს ცრემლებში ტივტივებს და მერე შენ ქუთუთოებქვეშ იმარხება, სველი, და ასე გეძინება, მუხლის ჩოქზე, ფანჯრის რაფაზე თავჩამოდებულს, უკვე მერამდენედ...

ბებიაშენი კი გეუბნება, ღმერთს ორი ქილა აქვს და ერთში დიდების ცრემლებს აგროვებს, მეორეში — ბავშვებისაო. არც ერთი ცრემლი არ იკარგებაო. შენ კი ახლა უკვე აღარ იცი, შენი ცრემლები რომელ ქილაში მოხვდება, დიდებისაში თუ ბავშვებისაში. თუმცა, არც გინდა, საერთოდ, ვინმეს ცრემლებში იყოს არეული.

ძვირფასო, ძვირფასო, ბედი კლავს ჩემს სხეულს,
თვალებში ყორნების მქენჯნიან კლანჭები,
ამირანს მიჯაჭვულს და მგოსანს წაქცეულს
ვილაც ფრთებს მაკვეცავს, ეჰა, ვიტანჯები!

ამაოდ მომესმის დედოფალთ გროვიდან
ძახილი ფარული, ძახილი ცისმარი,
მე მოვალ და მრავალ ყვავილებს მოვიტან,
მე მოვალ, მე მოვალ, მე მოვალ სიზმარი...

„**მე მოვალ, მე მოვალ, მე მოვალ სიზმარი**...“ — აგეკვიატა. ძალიან მოქმედებს შენზე დასაწყისი: „**ძვირფასო, ძვირფასო, ბედი კლავს ჩემს სხეულს**“ „ძვირფასო, ძვირფასო,“ „ძვირფასო, ძვირფასო“.... თუმცა, მაინც სუსტია... კარგია, ძალიან კარგი, მაგრამ რ ო გ ო რ ც შენ უსიტყვოდ უწოდებ მას, იმასთან შედარებით მაინც ძალიან სუსტია. შენ რას იტყოდი? „**ჩემო სიცოცხლევ“?**

„ჩემო გულო?“ „ჩემო სიყვარულო?“ „შენს სუნთქვას ვფიცავარ, შვილო“ — გეუბნება ხოლმე ზოგჯერ დიდედა. **„ჩემო სუნთქვავ?“**არ იცი, არა...

აი, სად ყოფილა:

ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარ და ქარ,
ხეთა ჯარს, ხეთა რიგს რკალად ხრის,
სადა ხარ? სადა ხარ? სადა ხარ?

„სადა ხარ“ „სადა ხარ“ „სადა ხარ“...

მაგრამ შენს გულს მაინც არც ერთი არ მიესადაგება, ვერც ერთი ვერ აკმაყოფილებს. გადი წიგნების კარადასთან, სხვა წიგნი მოძებნე. ეგებ მაგ წიგნშია რამე საშენო, ახლა რომ შეეხე? გადმოიღე. ლექსებია ეგეც. ვისია? „ანა კალანდაძე?“ ვინ არის, ნეტავ? შეიძლება ქალის ლექსები უფრო ახლოს მოვიდეს შენს გულთან, რომელიც კარგა ხანია, ხაფანგში გაება. საწყალი.

დაუჩქარე, დედაშენი უახლოვდება შენი ოთახის კარს, ნუ გავიწყდება, რომ ახლა გაკვეთილებში უნდა იყო თავჩარგული. აიღე წიგნი და გადი! დაჯექი, დამშვიდდი, სახელმძღვანელოებით მოიფინე მაგიდა, და მათ ქვემოთ ახლი წიგნი დამალე.

— აბა, რას შვრები? რატომ გაქვს თმა აჩეჩილი?! კიდევ ერთხელ გაფრთხილებ, მოუმატე მეცადინეობას! მოუმატე! არ მათქმევინო მამაშენისთვის! მანახე, ერთი! რა წიგნებს მალავ აქ? რად გინდა, გოგო, ეგ გალაკტიონია თუ ანა კალანდაძე! რა უნდა გაიგო! აი! „მანანა“ გადის ტელევიზორში და თუ გინდა უყურე! სკოლის ამბებია. თუ არა და იმეცადინე!

და ის ამრეზილად შესცქერის ფილმს ზარმაც და მატყუარა პიონერ გოგოზე, რომელიც ბოლოს ფიცს სდებს, რომ გამოსწორდება და სანიმუშო პიონერი გახდება... მარტო ქურთი მეეზოვე მოსწონს, რომელიც სასაცილო სახლმმართველს თუ ვიღაცას, ეჩხუბება: „ცოცხი მაიტა კაცო! რითი უნდა დაგაო! მაიტა ცოცხი!“ და იმის პასუხზე: „ცხვირით დაგავეო,“ ყვირის: „შენი ცხვირი უფრო გრძელი არ არი? მაიტა შენი ცხვირი, დაგაო!“

საერთოდ, დიდი სისულელეა ეს ყოველივე, როცა შენ ა ს ე თ ი რამ გჭირს. ასეთი რამ. შედის თავის ოთახში და ისევ ლექსებში რგავს თავს:

ეს რაღაც უფრო ნაკლებად გასაგები ენაა, რა არის, მაგალითად: „ო, დიდებულთა მერცხალთ გვახარონ ვარდის შემოსვლა...ეამბორება ყვავილს პეპელა ჩუმად, მიპარვით...“ „დიდებულთა მერცხალთ“ რა საშინელებაა! „ეამბორება“ აგრეთვე... ბუნება საერთოდ არ გაინტერესებს, ყოველ შემთხვევაში, ლექსებში ნამდვილად არა, „ვარდთ შემოუნახავთ წვეთები წვიმის...“ აუ!

„როდესაც კვნესის ბუკიოტი...“ ბუკიოტი სიკვდილის ფრინველია. სოფელში ასეა. ბუკიოტი, მიკიოტი...

„ხმობენ კაკბები... სურნელთ მაკმევნი...როკვენ ყვავილნი...“ რა მოსაწყენია! ფურცლავ, ფურცლავ, და მალე მოისვრი... მაგრამ აი, ამ ლექსზეც გადაიშალა და შენ მაშინვე შეგეკრა სუნთქვა:

რომ ავყოლოდი გულისთქმას,
ჭკუას არ დავიხმარებდი,
შენთან გავლევდი ჩემს დღეებს,
შენს გულში გავიხარებდი,
ზურგს საფქვავს წამოვიგდებდი,

გზას წისქვილისკენ გავლევდი,
ბატარაც რამე გწყენოდა,
სულს ხოხობივით დავლევდი.

სუნთქვა შეგეკრა, მიუხედავად იმისა, რომ არ გესმის, რას ნიშნავს „**გულისთქმა.**“ „ალბათ იგივეა რაც გული“ — გაიფიქრე და ხელებში მოიქციე სახე, რადგან უკვე ტირი. და ხედავ შენს გულს როგორც ხოხობს, თუმცა, ხოხობი არასოდეს გინახავს. მაგრამ იქნება რაიმე ფერადი და ნაზკისერა ფრინველი და ხედავ შენს გულს ხოხობივით ყელგადაგდებულს, რატომღაც თოვლზე რომ გდია და „სულს ლევს,“ რადგან მას აწყენინე რაღაც, ვის გულშიც, როგორც შენს მზიან სახლში ისე ცხოვრობ და ხარობ...

არა, არა, შენი საშველი მართლა აღარ არის, ნია...

„**შენთან გავლევდი ჩემს დღეებს, შენს გულში გავიხარებდი, ზურგს საფქვავს წამოვიგდებდი, გზას წისქვილისკენ გავლევდი, ბატარაც რამე გწყენოდა, სულს ხოხობივით დავლევდი...**“ იმეორებ და იმეორებ, თუმცა რა უნდა აქ, ვაკეში, მუხაძის ქუჩაზე ფქვილით სავსე ტომრებს, ან წისქვილს, ან ხოხობს და რა ვიცი, საერთოდ...

მაგრამ უეცრად ქვავდები. მასთან შეხვედრიდან მხოლოდ მეორე დღეს, უფრო სწორად, მეორე დღის საღამოს უეცრად აღსდგება მთელი თქვენი საუბარი, ანუ: მისი შეკითხვები და შენი პასუხები. აქამდე კი მხოლოდ ხედავდი, ხედავდი მას რაღაცნაირად მთლიანად. მაშინ ეს სიტყვა რომ გცოდნოდა, იტყოდი, რომ ხედავდი არა მის სახეს და თავს და მხრებს, ცხვირსა და ტუჩებს, არამედ მის ს ა ხ ე ბ ა ს , მაღალ სილუეტს, ღიმილს, მზერას, ხელების მოძრაობას, ამ ყველაფერს გახვეულს მის ხმაში. და მზე დანათოდა ამ „სახებას“ თუ თვითონ აფრქვევდა სინათლეს ღმერთივით, ვერ იგებდი. მერე გამოიკვეთა თეთრ-ლურჯ უჯრედებიანი პერანგი, „გულის ჯიბით“ და აი, ამ საღამოს კი — ხმა, რომელიც გეკითხებოდა:

„რომელ კლასში ხარ?“ „რომელი საგანი გიყვარს?“ „კარგად იცი?“

და რა ეშმაკმა გათქმევინა ტყული, ნია! როდის აქეთ შეგიყვარდა გერმანული? ან კარგად ცოდნა ჰქვია მაგ ცოდნას, „დეკლინაციონ“ და „კონიუგაციონ“ ერთმანეთში რომ აგერია? მთელი შარშანდელი წელიწადი, რაც ეს ამბავი დაგატყდა თავს, წესიერად ხომ აღარაფერი გისწავლია?

და უცბად წამოვარდები სკამიდან და უკვე ლოჯში ხარ:

— **დედა**! **დედა!** — რამდენი ხანია თავს არიდებ ამ სიტყვის წარმოთქმას. — **დედა**!

— რა იყო, გოგო! რა მოხდა? — გულგახეთქილი გამორბის „დედა“ სამზარეულოდან.

— დედა, გთხოვ, გემუდარები, მასწავლებელი ამიყვანე გერმანულში, დედა, გეხვეწები, დედა, გეხვეწები! — ხელისგულებიც კი შეგეტყუპა, და ასე აცახცახებ ჰაერში, თითქოს დედაშენი ღმერთი იყოს.

2005 წელი

— ჰოიმეე, ღმერთო მაღალო! ეგეთი რამე არ გამიგია! დავრეკე ყველა საავადმყოფში და თითქმის ყველა პოლიკლინიკაში! ზოგან ორჯერ! არაო! ექიმი გოგი კორდია აქ არ მუშაობსო. სად არის ეს ადამიანი, გეკითხები!

— მე მეკითხები?

— ვის ვკითხო აბა? შინაგან საქმეთა მინისტრს? ... თუმცა... მოიცა, მოიცა... რატომაც არა!

— რა რატომაც არა?

— რა და.... არ მიმტყუნო, ჩემო გამჭრიახობავ! მე მყავს ნათესავი პოლიციის უფროსი, სოლოლაკში... წავალ და იმას ვკითხავ რჩევას, როგორ უნდა ვიპოვოთ დაკარგული ადამიანი... მაგათ ექნებათ კომპიუტერული სტატისტიკა, საარჩევნო სიები ხომ აქვთ, როგორ არა აქვთ! და თუ იქაც არ აღმოჩნდა, მაშინ მკვდარია, იცოდე, ჩემო მეგობარო, და უნდა დავნებდეთ ბედისწერას, უნდა დავივიწყოთ! თუმცა, მკვდრებიც ხომ შეჰყავთ საარჩევნო სიებში!

— ნანა! ნუ ლაპარაკობ უაზრობას! დარწმუნებული ვარ, რომ ცოცხალია! მე ვგრძნობ, გესმის, ვგრძნობ, ამას! რომ სადღაც დადის, სადღაც, და სუნთქავს...

— რაო? დადის და დასუნთქავს? რა დღეში ჩავვარდით, კაცო... რა მოგდის?

1961 წელი

მამამ სქელი, ტყავისყდიანი, შინდისფერი ბლოკნოტი გაჩუქა.

და შენ არც კი დაფიქრებულხარ, ისე წააწერე თავფურცელზე **„დღიური“**.

ეს არ არის სკოლის საძულველი „დღიური“, სადაც კვირის დღეები, გაკვეთილები და ნიშნებია აღნიშნული, რომლებიც ბევრჯერ გადაგიკეთებია. ეს გახდება შენი მესაიდუმლე. ასე გაქვს გაგონილი, რომ დღიური ადამიანის მესაიდუმლეა. და შენც წერ:

„გამარჯობა, ჩემო დღიურო!

ჯერ შენ არა ხარ დღიური, რადგან ცარიელი ხარ. მაგრამ მე შენ ჩაგაბარებ ჩემს გულს და შენ გახდები დღიური. ჩემი მესაიდუმლე. შენ გაივსები ჩემი სიტყვებით, რომლებიც შენს მეტს არავის არ ეცოდინება. ეს სიტყვები იქნება მასზე. ესე იგი, ის, მე და შენ ვიქნებით ერთად. და ახლავე გთხოვ, არასოდეს არავის არ წააკითხო ჩემი ნაწერი, გინდაც მე მოვკვდე. თუ დედაჩემი და მამაჩემი, ან ჩემი ძმა, ან ბებიაჩემი მოინდომებენ შენს წაკითხვას, გავალებ, არ დაუშვა ეს: ან გაფრინდი და ცაში გადაიკარგე, გინდაც თოვდეს, ან ცეცხლში შევარდი, ჩვენი ქვნახშირის ღუმელი ხომ აქვეა. აი, ასეთი უნდა იყოს ჩვენი მეგობრობა“.

და მერე:

„გუშინ მთელი დღე არ ყოფილხარ. შუა დღისას შენი ძმა მოვიდა მანქანით. დიდი ჩანთა გადმოიღო და შენთან ამოიტანა. მერე ფანჯრები და აივნის კარი გააღო. ასე ნახევარი საათი ანიავებდა. კარიდან დავინახე, სიგარეტის კოლოფი ეჭირა ხელში და გაკვირვებული ატრიალებდა. ალბათ ეჭვი შეეპარა, რომ ეწევი. მე კი ვიცი, რომ შენ არ ეწევი. ალბათ შენს იდიოტ ამხანაგს დარჩა, რომელიც უკვე მესამეჯერ იყო შენთან და დიდის ამბით აფუილებდა.

ხანდახან სიკვდილი მინდა. გულში სულ შენ გელაპარაკები. ყველაფერს გიყვები. ასე მგონია, რომ მითხრა, კლდიდან გადავარდიო, — გადავვარდები“

„რატომ არის ასე ცოტა ნიშნები? მარტო **კითხვის** და **ძახილის** ნიშანი? და როგორ უნდა გამოვხატო გაუბედავი შეკითხვა? სევდიანი ტონი? საიდუმლო ხმა? მუდარით სავსე შეხედვა? როცა გინდა, რომ უპასუხო და ვერ პასუხობ? მე შემოვიღებ ამ ნიშნებს. მაშასადამე:

— სიხარულით სავსე შეხედვა; — იდუმალი ტონი;

— მუდარიანი შეხედვა; — როცა გინდა რომ უპასუხო და ვერ პასუხობ,

აი, ჩემი მოთხრობა:

— მოხვედი?

— საოცარი საღამოა...

— მალე ნუ წახვალ...

— რატომ გინდა, რომ დიდხანს დავრჩე?

—

შეიძლება უსიტყვოდაც:



ამ მოთხრობას მერე გავაგრძელებ და დავუმატებ ნიშნებს“.

1975 წელი

— დღეს ჩვენ ვისაუბრებთ ამ დიდი პოეტის შეხედულებებზე სიყვარულის შესახებ. მე თქვენ დაგირიგეთ მისი რამდენიმე ლექსი და ამონაწერი წერილებიდან, ყველას არ გეყოთ და უნდა გადაგემრავლებინათ, ან გადაგეწერათ...

— გადავამრავლეთ, პატივცემულო!

— ძალიან კარგი. მოდით, ჯერ ერთ-ერთი ლექსი გავარჩიოთ, აი, ეს **„შენ, რომელსაც არ გაგიმხელ“**... მაგრამ მანამდე მინდა გკითხოთ: სკოლაში ალბათ გაწერინებდნენ ასეთ თემებს: ვთქვათ, **„სიყვარული ვეფხისტყაოსანში,“** ან სხვა პოეტთან, თუ გახსოვთ რომელიმეს, რას წერდით? მით უმეტეს, რომ კერძო მასწავლებლებთანაც ზუსტად იგივე თემების წერას გასწავლიდნენ...

— აუ, არა პატივცემულო! არაფერი არ გვახსოვს...

— ასეთი ერთსულოვანი პასუხი ჯერ არ გამიგია... არადა, სულ ორი-სამი წლის წინ იზეპირებდით მაგ თემებს, ახლა ხომ მეორე კურსზე ხართ... კარგი.

მისმინეთ: რაც უფრო დიდია პოეტი, მით უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იგი ადამიანს, მით უფრო მაღალი რანგის არსებად ხედავს მას და მით უფრო მეტად იტანჯება ადამიანის გადაგვარებით... მკითხე.

— რას ნიშნავს მაღალი რანგის არსება, მასწ.?

— აა. ჰო. ვთქვათ ასე: ადამიანი არის არსება, რომელსაც აქვს ძალიან დიდი შესაძლებლობები. ის ერთადერთი არსებაა, რომელსაც შეუძლია მოგონება, წინათგრძნობა, სამყაროს შეცნობა, დაბრძენება, სილამაზის აღქმა, სინანული, აღტაცება, წინასწარმეტყველება. მას აქვს იმის უნარი, რომ საშინელი ტანჯვაც კი მის სულიერ ზრდას... შეეწიოს... სამყარო, სიცოცხლე კი ისეთი თავმბრუდამხვევად დიდი და ლამაზია ... და თუ ადამიანი თავის ამ ნიჭებს და უნარებს განივითარებს, პატარა ღმერთივით გახდება... მოიცათ, რიგ-რიგობით! შენ, ლუკა!

— პატივცემულო! შეცნობა რა არის?

— ბარემ თქვენც მკითხეთ! თქვენი სახელი? გია?

— ქალბატონო ნია, ღმერთი გწამთ?

— მასწ! მასწ! მე ეს ლექსი არ მესმის, მასწ!

— პატივცემულო! რამდენი წლის ბრძანდებით?

— ქალბატონო ნია, სული რა არის?

— იცით, რა, ბავშვებო! იმედია არ გწყინთ, ბავშვებს რომ გეძახით, ჩვევაა, ჩემს მეგობრებსაც ასე ვეძახი, მაგრამ ასე შორს ვერ წავალთ. ჩაინიშნეთ თქვენი შეკითხვები და ლექციის ბოლოს მკითხეთ, მოვიტოვოთ ხოლმე ასე თხუთმეტი წუთი. ახლა მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ვარ ოცდარვა წლის, და ღმერთი მწამს, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. რადგან „მწამს“, ცარიელი სიტყვაა, თუ ღმერთს არ ეძებთ, ანუ თუ არ გსურთ, გსურთ კი არა, თუ არ გწყურიათ მისი გაცნობა, მასთან დაახლოება... ეს კი რთული, თუმცა, ძალიან საინტერესო, ძალიან დამუხტული გზაა და ყოველდღიურ შრომას მოითხოვს. მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანს. ჩვენს ლექსს უნდა დავუბრუნდეთ. მე წაგიკითხავთ. ჯერ გერმანულად, მერე ქართულად.

Du, dem ich nicht sage,
Dass ich bei Nacht weinend liege,
Dessen Wesen mich müde macht, wie eine Wiege,

Du, die mir nicht sagt, dass sie wacht meinwtwillen,
Wie wenn wir diese Pracht ohne zu stillen
In uns ertrügen?
.....
.....
.....

ახლა ქართულად:

შენ, რომელსაც არ გაგიმხელ,
რომ ცრემლების ღვრით ვათენებ ღამეს,
ვისი არსებაც აკვანივით
მქანცავს და მარწევს,
შენ, რომელიც არ გამიმხელ
ჩემს გამო დარდით
თვალს რული რომ არ გეკარება,
აბა, მითხარი,
ამ ნეტარებას
ვით ავიტანდით,
რომ არა ვდუმდეთ?

აბა, შეხედე შეყვარებულებს,
მაშინვე, როცა აღსარება გადაშლის გულებს,
უკვე სტყუიან.

შენ მარტო მტოვებ.
და ერთადერთი შემიძლია გაგცვალო ასე:
შენ წამი იყავ შეჩერებული, და ახლა ისევ შრიალი მავსებს,
ყოველი ჩქამი შენს თავს მაგონებს, შენითაა სამყარო სავსე,
ქარიც შენა ხარ და უკვალო კეთილსურნელიც...
მე ყველა ქალი დამკარგვია, შემოვაჭდე ვისაც მკლავები,
მხოლოდ შენ ერთი ისევ და ისევ დაიბადები,
რადგან არასდროს მეკუთვნოდი, ხარ განუყრელი.

.....

— კარგია, ცოტა ხანს ჩუმად ყოფნა რომ შეძელით...
— პატივცემულო!
— რაო, ნიკა!
— პატივცემულო, გერმანულში არის: „რადგან არასდროს შეგაჩერე, ხარ განუყრელი...“ ქართულში კი „რადგან არასდროს მეკუთვნოდი“, „anhalten“ ხომ შეჩერებას ნიშნავს და არა კუთვნებას. და მთელი აზრი იცვლება: „რადგან არასდროს შეგაჩერე“ თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ ის ქალი და ის კაცი, ან გოგო და ბიჭი, რა ვიცი, მოკლედ, შეყვარებულები, თითქოს ერთმანეთს ეკუთვნოდნენ, ერთად იყვნენ და მერე ქალი, ან გოგო წავიდა. „რადგან არასდროს მეკუთვნოდი“ კი ნიშნავს, რომ არასოდეს არ ყოფილან ერთად. ესე არ არის, ქალბატონო ნია?
— ყოჩაღ, ნიკა! მასეა. მაგრამ ეს უკვე მთარგმნელის ნებაა, ან თვითნებობა. რაღაც გაამძაფრა. საიდან იცი ასეთი კარგი გერმანული?
— დედა მყავდა გერმანელი...
— რა მოუვიდა?

— გულით გარდაიცვალა. ვიდრე ცოცხალი იყო, საერთოდ არ ვეკარებოდი გერმანულს, ვერ ვიტანდი, როცა მომიკვდა, მერე გერმანული წიგნებიდან თავს აღარ ვიღებ.....

— კარგია ეგ. მეც... ჯერ ვერ ვიტანდი და მერე უცბად დავაკვდი ამ გერმანულს. მოხდა რაღაც ისეთი, ძალიან კარგად რომ არ მესწავლა, აღარ გამოდიოდა... ახლა მეც არა მჯერა, მაგრამ მაშინ, 13 წლის რომ ვიყავი, დღეში ორმოცდაათ, სამოც სიტყვას ვსწავლობდი და არ მავიწყდებოდა. წარმოგიდგენიათ? ნამდვილი სიგიჟე იყო... 180 ძლიერი ზმნა ორ დღეში დავიზეპირე. გრამატიკას ხომ ვნთქავდი პირდაპირ. იყო ასეთი დრო...

— მაინც რა მოხდა, მასწ? გვითხარით, რა!

— რა და ერთ ადამიანს ტყუილი ვუთხარი, გერმანული კარგად ვიცი-მეთქი, არადა .. ის ადამიანი... ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, ძალიან ... და ამ ტყუილმა ისე შემზარა, რომ გაგიჟებული დავეძგერე ამ ენას, რათა შემდეგ შეხვედრაზე იმ ადამიანთან უკვე სიმართლე ყოფილიყო...უკვე კარგად მცოდნოდა, არ ვიცოდი როდის შემხვდებოდა...

— და შეგხვდათ, მასწ?

— ჰო, შემხვდა... ოღონდ გერმანულის შესახებ აღარ უკითხავს...

— ვისი თარგმანია, მასწ?

— ... ჩემი. და არის ძალიან, ძალიან მოკრძალებული თარგმანი. მე მინდოდა, რაც შეიძლება, სადა და ზუსტი ყოფილიყო, ამიტომ, ბანალურ რითმებსაც კი არ მოვერიდე, მაგალითად, „შეყვარებულებს“ — „გულებს“, მაგრამ რითმას ამ პოეტის ლექსებში მინიმალური მნიშვნელობა აქვს. თუმცა, მოდი ჯერ ის ვთქვათ, რა ვერ გაიგეთ.

— მაინც რატომ არ ეუბნებოდნენ ერთმანეთს, რომ ერთმანეთი უყვარდათ, თან ასე ძალიან, პატივცემულო? და რანაირად არის ეს ნეტარება? ასე ხომ ცხოვრებაში არ ხდება...

— ჰო, არ ხდება... მაგრამ, შეიძლება საუკუნეში ერთხელ მაინც მოხდეს. და თუ მხოლოდ ერთს უყვარს, რას იზამს მაშინ? რიღასთვის უნდა უთხრას, კიდეც რომ შეეძლოს? თუმცა, მთავარი ის არის, რომ არაფრის თქმა არ შეუძლია. იმდენად დიდი და ძლიერია მისი გრძნობა, რომ თან დიდ ძალას აძლევს, თან საშინლად ქანცავს და ზარავს კიდეც... ამ დროს ლაპარაკის კი არა, იმის თავიც არა გაქვს, იმასაც ვერ ბედავ, სახეში შეხედო. თითქოს ღმერთი იყოს: ის.

— და მერე ასეთი გრძნობა სად მიდის, პატივცემულო?

— ჰოო... ძნელი სათქმელია... რაღაცაში გადადის. აი, მაგალითად, ნიკამ დედის სიყვარული და მონატრება გერმანულზე გადაიტანა, დედის ენაში ეძებს დედას... და ასე იპოვის კიდეც, სხვანაირად ოღონდ...

— და „**შენ ერთადერთი შემიძლია გაგცვალო ასე**“ რას ნიშნავს, პატივცემულო? როგორ შეიძლება შეყვარებულის გაცვლა?

— აბა, კიდევ ერთხელ წაიკითხე, ვინმეზე კი არ გასცვალა, არამედ... რაზე, აბა, მითხარით, რაზე გასცვალა? დაუკვირდით! ჰო, ნიკა!

— მთელ სამყაროზე, პატივცემულო, ხომ ამბობს: „**შენითაა სამყარო სავსე**“-ო?

— ჰო, სამყაროზე. ვაი, უკვე ზარია! იფიქრეთ ამაზე, ბავშვებო, და შემდეგ ლექციაზე მითხარით რას ნიშნავს: ეს „**გაცვლა?**“ რას ნიშნავს: „შენით არის სამყარო სავსე.“ მე კი გეტყვით, თუ რას ნიშნავდა უპასუხო სიყვარული ამ პოეტისთვის, და რატომ აყენებდა მას ასე მაღლა. ადამიანის ყველა უნარზე მაღლა. ნახვამდის.

1961 წელი

შემოდგომა

— მეტი აღარ შემიძლია, გაიგე! წამოდი ეხლა გაჩერებასთან! ხომ ხედავ, რომ უკვე დაბნელდა! ცოტა ხანში ავტობუსიც აღარ მოვა! როდის უნდა მივიდეთ სახლში! უკვე შინ იქნებიან! ცხრა საათია უკვე, გესმის? ღამის ცხრა საათი! როდის ყოფილხარ ამ დროს გარეთ, მარტო! შენც მოგკლავენ და მეც! — ცისანა მზად არის გაგგლიჯოს. გააფთრებულია: შიშისგან და

დაღლილობისგან. რადგან: უკვე სამი საათია, სამ საათზე მეტია დადიხართ, დაძრწიხართ ქალაქის ქუჩებში... კერძოდ, ლენინის მოედანზე, კიროვის ქუჩაზე, ჯაფარიძის ქუჩაზე, მახარაძის ქუჩაზე, ლერმონტოვის, დადიანის და სხვა და სხვა ქუჩებზე... უფრო სწორად, შენ მიჰქრი, გიჟივით, საშინლად გაფაციცებულ თვალებს ხან მარჯვნივ მიჰყრი, ხან მარცხნივ, და ის ძლივს მოგდევს...

— აღარ შემიძლია! — ცისანას ისტერიული, ტირილამდე მისული ხმა ნერვებს გიშლის, მაგრამ ძებნაზე ხელს ვერ გაღებინებს... — შენ მართლა გაგიჟდი, მართლა! მამაჩემის სულს ვფიცავარ, თუ ყველაფერი არ ვუთხრა თქვენებს... ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი !

კი, ეს „ყველაფერი“ საკმაოდ ბევრია და საკმაოდ საშიში, მაგრამ ახლა შენ მხოლოდ ერთი რამ გაშინებს, გაშინებს კი არა, უბრალოდ თავზარს გცემს: რომ შეიძლება დღესაც ვერ ნახო. დ ღ ე ს ა ც . და ვეღარ შორდები ლენინის მოედანს და ზემოთ, სოლოლაკის იმ კუთხეს, სადაც მისი მეორე, ან პირველი სახლი გეგულება, სახლი, სადაც მისი დედ-მამა და ძმები ცხოვრობენ. გვარი (ჯერაც) არ იცი, თორემ აქამდე ყველა სახლის ყველა სადარბაზოს შემოივლიდი და მაცხოვრებელთა სიებს შეისწავლიდი. თუ მისამართს დაადგენდი, მერე ტელეფონის ნომერსაც გაიგებდი. აქ მაინც ხომ ექნებათ ტელეფონი. ვინმეს დაარეკინებდი და გაიგებდი, რა სჭირს. ავად არის, წავიდა სადმე, თუ რა დაემართა... რადგან მეორე კვირაა ვაკის სახლში არ გამოჩენილა და მეორე კვირაა გაკვეთილების ნაცვლად ამ მიდამოში დაეხეტები იმის იმედით, რომ შეიძლება სადმე გადააწყდე.

„სადღაც სოლოლაკში ცხოვრობენ, ლენინის მოედნიდან მარცხნივ რომ აუხვევ და მერე აღმართს აჰყვები, მგონი ჯაფარიძის ქუჩაზე...“ ეს ცისანას უთხრეს, მისმა მეზობლებმა ვაკეში, მუხაძის №14-ის პირველ სართულზე მცხოვრებმა დიდმა გოგომ და დედამისმა... კიდევ კარგი, ეს მაინც იცის...

და იცის, რომ აქ ის ახლოსაა, რომ სადღაც აქ არის...

— არ წამოვალ! შენ წადი, თუ გინდა, დღეს უნდა ვნახო! რაღაც უნდა გავიგო! — არტყამ და ასე უხეშად აშვებინებ ხელს ცისანას შენი „იტალიური პლაშჩის“ ქამრიდან, მაგრად რომ გაგიჭერია, როგორც მოდა ითხოვს... ეს პლაშჩი მამამ ჩამოგიტანა პარიზიდან, ჯერ იშვიათობაა თბილისში და თვალს გაყოლებენ, მაგრამ ამას შენ ვერ ამჩნევ, ცისანასგან განსხვავებით, რომელიც იმასაც ამჩნევს, რომ მხოლოდ პლაშჩისთვისაც არ გაყოლებენ თვალს... შიგნით კი თოვლივით თეთრი ჟაკეტი გაცვია, ნაქსოვი „მაკარონი“, ასევე ჩამოტანილი პარიზიდან, ოღონდ ეს, შენდა სამწუხაროდ, — დედაშენისთვის, რაც შენ მიგაჩნია უდიდეს გაუგებრობად, რადგან დედაშენი ამ დროს უკვე 48 წლისაა, შენ კი ოცი წლის გოგოების ცხოვრება მიგაჩნია უაზროდ და... მოკლედ, ვერ გაგიგია, დედაშენს რად უნდა ეს მშვენიერება... როცა შენ აქა ხარ, ცამეტი წლისა და შეყვარებული...

ცისანა სიძულვილის ახალ ნაკადს გაფრქვევს. არ იცის, რომელ წყალში ჩავარდეს.

ისევ ლენინის მოედანზე ტრიალებ. ეს მაღაზია „საჩუქრების“ დიდი ვიტრინაა, სავსე ბროლით, შუშით და ფაიფურით, ზემოდან წყალივით ჩამოღვრილი ქართული აბრეშუმის ფერადფერადი ნაჭრების ფონზე... დგახარ ვიტრინის წინ და განწირული მიშტერებიხარ შუშის ჯუჯა ხეების ტოტებზე ჩამოკიდებულ მძივებს, ბეჭდებს, საათებსა და სამაჯურებს, მათ ძირში მიმობნეულ პორტსიგარებს, ბროლის ვაზებს და ბროლის საფერფლეებს... ვიღაცეები ამეებს საჩუქრებად მიიღებენ... შენ კი იმაზე ფიქრობ, ახლა სად წახვიდე, სად გააგრძელო ძებნა, სად შეიძლება გადააწყდე მას.

სხვათა შორის, რატომღაც ძველებური ნივთების მაღაზიები შეგიყვარდა, „საკომისიოები,“ სადაც ე. წ. ანტიკვარული ნივთები იყიდება... და ეს ორი თვე, სკოლაში თითქმის რომ აღარ დადიხარ, რადგან ვეღარ იტან ვერც კლასელებს და ვერც მასწავლებლებს, ვერც გაკვეთილებს და ვერც შესვენებებს, და სკოლის ნაცვლად ქუჩა-ქუჩა დაეხეტები, — ლამის ყველა „საკომისიო“ შეისწავლე: ფაიფურის ფუშფუშაკაბებიანი მოცეკვავე გოგონები, კარგად ჩაცმული ფაიფურის

ბავშვები ფაიფურის სულ სხვადასხვაგვარ, მოჩუქურთმებულ, ფერად ეტლებში; ფაიფურის, ვერცხლისა და შუშის ჩიტები, ადამიანები და ცხოველები... სიფრიფანა, თითქმის გამჭვირვალე ფინჯნები და თეფშები; ლამის შენი სიმაღლე ფაიფურის ვაზები და საოცრად ნაზად ამორკალულფეხებიანი შვინდისფერი ხის სავრძლები; უზარმაზარი ფეხზე მდგომი საათები და კედლის საათები, რომელთაგან ზოგი ყრუ და ძალიან შორეული ხმით რეკავს, ზოგი კი ლამის გუგუნებს და შენ ცოტა არ იყოს, გეშინია ამ ხმების... ათვალიერებ შენთვის უცნობი წარსულის ამ მიუწვდომელ ნივთებს და მისთვის შესაფერისებს არჩევ, რომელთაც, რომ შეგეძლოს, აჩუქებდი, რომლებითაც, რომ შეგეძლოს, ბინას მოუწყობდი.. აი, რაში გადის შენი დრო, ნია, ნაცვლად იმისა, რომ ბრუნვებს, უღლებებს, საზეპიროებს, პატრიოტულ და სატრფიალო მოტივებს, ტანგესებსა და კოტანგესებს, გლეხთა ომებსა და კლასობრივ ბრძოლებს უღრმავდებოდე!

უეცრად მოსწყდება „საჩუქრების“ ვიტრინას და მირბის.

ცისანა მისდევს განწირული თვითშეჩვენებით: „ჩემი ბრალია ყველაფერი, ჩემი, მე ვარ ჩამოსახრჩობი! რატომ მაშინვე არ ვუთხარი მაგის მშობლებს ყველაფერი! ეხლა უკვე მეც ჩათრეული ვარ ამ ჭაობში!“

მირბიან და ცისანა ვერ იგებს, როგორ აღმოჩნდებიან კოლმეურნის მოედანზე, მერე საჯარო ბიბლიოთეკასთან, მერე წინ, ალექსანდროვის პარკში, ასე გვიან! ასე გვიან! თითქოს ქუჩის ქალები იყვნენ! მერე მიდიან, ქოშინით, რა თქმა უნდა, მერე ჩერდებიან, ისევ მიდიან, ცამეტი წლისა ისევ წინ და ოცი წლისა ისევ უკან, და ეს უკანა განწირული უხმობს ყველა ზეციერ მფარველს მშვიდობიანად გააღწევინონ ღამის ქუჩებიდან და დააბრუნონ შინ ასევე მშვიდობიანად. თან გამალებით იგონებს დამაჯერებელ ამბავს შინ დამხვდურთათვის, რომელთა გახსენებაც კი თმას ყალყზე უყენებს, იგონებს დრამატულ ამბავს, რომელიც შეემთხვათ და მათი **ასეთი** დაგვიანება გამოიწვია!

და უკვე ნელა მიდიან, რადგან ამოწურვადია ყველაფერი ამ დედამიწაზე, მათ შორის ჭკუიდან გადასული მოზარდის ენერგიაც, და დაიღალა ისიც, და ნელა, თითქოს თავის დაურწყულებულ გულსა და ბედისწერაში ჩაპირქვავებული, მიუყვება რაღაც ბნელ და ვიწრო აღმართს...

ცისანამ არ იცის, რა ქუჩაა ეს, საერთოდ ახლა სად არიან, მაგრამ ცოტაც აიაღმართეს და წინ სასტუმრო საქართველოს განათებული ფასადი გამოჩნდა... დიდება უფალს, ესე იგი, უკვე ვერაზე გამოუღწევიათ, ცოტაც და ავლენ კიდეც პროსპექტზე...

უეცრად ტროტუართან სულ ახლოს მანქანა ჩერდება. ჩერდება არა ცისანასთან, არამედ სასოწარკვეთილ მოზარდთან. მძღოლი გვერდით იხრება, მარჯვენა ფანჯრისკენ, კარს აღებს და იძახის: „შინ მიდიხარ?“ და მერე: „დაჯექი.“

ცისანა აცნობიერებს, რომ **ეს სალათისფერი მოსკვიჩია, რომ საჭესთან ის ზის, მათი მეზობელი, მათი გიჟური ხეტიალის მიზანი და მისი დეიდაშვილის ურიცხვ უკუღმართობათა მიზეზი. და ცისანა აცნობიერებს მთლად გადასარევ საოცრებასაც: მძღოლის გვერდით რომ ბიჭი მოკალათებულა, ასევე ძალიან მაღალი, კარს აღებს, გადმოდის და მის დეიდაშვილს წინ დაჯდომას სთავაზობს. მერე აღებს უკანა კარს, ჯდება და ცისანას ანიშნებს, მის გვერდით დაიკავოს ადგილი.** ეს, აი, ასე, რატომღაც იგულისხმება: რომ ცისანა უნდა ჩაჯდეს უკან და ეს ლაწირაკი — წინ. საერთოდ კი, ეს არ არის სიზმარი, არც რაიმე დამუხტული ამბავი, შეთხზული მრისხანე და შურისმაძიებელ დამხვდურთათვის, იქნება ეს ქალბატონი ელენე თუ ქალბატონი ნინა, ეს არის რეალობა, რომელიც ხდება ღამის ათ საათზე, რომელიღაც ვიწრო აღმართოვან ქუჩაზე, სასტუმრო „საქართველოს“ პირისპირ...

შენ კი, შენ, ნია, აღარა ხარ ცოცხლებში ჩასათვლელი, რადგან ლამის მართლა გაგიჩერდა გული, და გაგიჩერდა აზრი. დგახარ ქანდაკებასავით, ოღონდ ძრწოლით სავსე ქანდაკებასავით და შესცქერი ამ გამოცხადებას. მერე ვერ იგებ, როგორ ჯდები, როგორ ხურავ კარს, მანქანა როგორ ადის მელიქიშვილზე, როგორ ჩაუვლის უნივერსიტეტს, „ლეჩკომბინატს“, მე-9 საავადმყოფოს, „სტუდქალაქს“, როგორ შეუხვევს ჭავჭავაძის პროსპექტიდან მარცხნივ, ბერძენიშვილის ქუჩაზე, ბერძენიშვილიდან მარჯვნივ მოსაშვილის ქუჩაზე, მიდის ვაკის პარკამდე და იქი-

დან ჩაუხვევს ფალიაშვილის ქუჩაზე... გზაში ისმის ლაპარაკი. ხან მისი ამხანაგი ელაპარაკება ცისანას, ხან ის ელაპარაკება თავის ამხანაგს, ხან მისი ამხანაგი ელაპარაკება მას, ხან ის — ცისანას; შეიძლება შენც გითხრა ვიღაცამ რაღაცა, მაგრამ შენ არაფერი გესმის, ვინ ვის რას რატომ ეუბნება. შენ განადგურებული ხარ მისი **ესოდენი** სიახლოვით. და როცა მანქანა სადღაც მკვეთრად შეუხვევს, თითქმის ეხები მას და მისი ყელიდან ამონაბერ სითბოს შეიგრძნობ. და ეს ყველაფერი მეტისმეტია.

და როცა მანქანა შენი სახლის წინ ჩერდება, შენ გაუნძრევლად ზიხარ. ცისანა კი უკვე გარეთაა გამხტარი და ახლა შენს კარს აღებს. მაგრამ ვიდრე კარი გაიღება, ხდება საოცრება: მოულოდნელად ის თავზე გადაგისვამს ხელს. რაღაც ფრთხილად, მსუბუქად გადაგისვამს ხელს „აბუბულავებულ“ თმაზე... კეფიდან კისრამდე.

ვხედავ. მახსოვს.

ამას ცისანაც ამჩნევს. და „ეცოდება ეს უბედური“ — ფიქრობს ნიშნისმოგებით. კიბეებზე კი ხიფათიან ამბავს გაორთქლებს ყურში, რომელიც, შენ ვიდრე მეოთხე სართულს ააღწევთ, უნდა გაითავისო.

და ეს არის მ ე ო რ ე დ ი დ ი დ ღ ე შენი ცამეტწლიანი ცხოვრების მანძილზე. მ ე ო რ ე დ ი დ ი დ ღ ე!

კარი იღება: ამღვრეულ მდინარესავით შეგასკდება: პანიკური და მრისხანე შეძახილები, გამოცემული დედისა და ბებიის მიერ. და ვიდრე დედა, რომელმაც უკვე დაითრია ცისანა, გაგგლეჯთ ორივეს, დათრეული ყვირილით იწყებს დრამატული თხზულების ამოთქმას: რომ მეგობარმა გოგომ დაურეკა და სთხოვა, მასთან მისულიყო, რადგან ცუდად გახდა, მგონი, ბრმანაწლავის შეტევა დაემართა, დედის მოსვლამდე სთხოვდა დარჩენას, წავიდა და ნიაც გაიყოლა, იქიდან რომ გამოდიოდნენ, ნია წაიქცა და კეფა დაარტყა კიბის საფეხურს, გახდა ცუდად, ისევ შეიყვანა მეგობართან, იქ უკვე იყო მეზობელი ექიმი, რომელიც მის ამხანაგს უტრიალებდა დედამისთან ერთად, ნიაც მიუწვინეს გვრდით, აღმოუჩინეს პირველადი დახმარება, განძრევა არ შეიძლებაო და აი, ბოლოს მანქანით მოიყვანეს შინ... ვიდრე ცისანა დაძაბულ ეპიურ ნაკადს ქსოვს, შენ უკვე შენს ოთახში შედიხარ, სარკის წინ დგები და გაოგნებული შესცქერი საკუთარ თავს, ე.ი. თმას, და რამდენჯერმე ასახიერებ ხელის გადასმას ისე, რომ თმას არ ეხები, რათა მისი კვალი არ წაშალოს შენმა ხელისგულმა... და ღამე საწოლში კი არ წევხარ, არამედ ზიხარ, რათა მისი კვალი არ წაშალოს ბალიშმა... და მთელი სამი კვირა თმა აღარ დაგიბანია, რათა მისი კვალი არ წაეშალა წყალს, რის შედეგადაც მკლავებზე სულ უფრო გემატება სისხლჩაქცევები: ჩქმეტების კვალი, განხორციელებული მშობელი დედის მიერ, რომელიც თანდათან გადადგა ჭკუაზე შენი ახალი სიგიჟის წყალობით: „ც ა მ ე ტ ი წ ლ ი ს გ ო გ ო თ ა ვ ს ა რ ი ბ ა ნ ს!!!!!“ „მ ე ს ა მ ე კ ვ ი რ ა ა ც ა მ ე ტ ი წ ლ ი ს გ ო გ ო ს თ ა ვ ი, თ მ ა ა რ დ ა უ ბ ა ნ ი ა!!!“ და მას, მკურნალს, იგივე ექიმს, გულში გაუელვა შემზარავმა ეჭვმა, რომ შენ შეიძლება მართლა ფსიქიკურად დაავადდი, რადგან მსგავსი ახირებები ასეთ ავდმყოფებს ახასიათებთ თურმე...

შენ კი დახვალ, თითქოს შარავანდი გადგას თავზე და გაოგნებული ხარ ამ უსაზღვრო წყალობით შენს მიმართ. და საკუთარი იდუმალებითა და მიუწვდომლობით... ს უ ლ სხვაგანა ხარ. და ახლა შენთან მიკარება არ შეიძლება. და ტრიალებს და ტრიალებს ერთი და იგივე წამი, შენი თვალებისთვის, თმისთვის, ხერხემლისთვის, მთელი სხეულისთვის, გულისთვის, სულისთვის... შენელებული წამი, თუ როგორ აღიმართება მისი ხელი ჰაერში და როგორ ეშვება შენს თმაზე, მსუბუქად, და როგორ ნელა, ფრთხილად მიცურავს კისრისაკენ...

— რაშია საქმე? რატომ ხარ ასე განაზებული? — თვალების ჭუტვით გეკითხება მარია... — აქ არა ხარ. სადა ხარ? კიდე არ მეტყვი? დედაშენი მეუბნება, მგონი მართლა ვერ არის კარგადო, ესე იგი, ცოტა აურიაო... ეჰ, ნინა გეორგიევნა, ნინა გეორგიევნა, სიყვარული სიგიჟეა, აბა რა არის, ავადმყოფობაა... მას კი თავში არ მოსდის, ან შეიძლება თავში მოსდის, მაგრამ არ იცის, როგორ მოიქცეს და უხეშობს... ეს არ შეიძლება. ბავშვს უნდა გვერდით დაუდგე... დედა-

ჩემი გვერდით რომ დამდგომოდა, ჩემი ცხოვრება სულ სხვანაირად წავიდოდა... მაგის ჯიბრით დავდიოდი ბიჭებთან, სულაც არ მომწონდნენ, მაგრამ დავდიოდი და ათას უბედურებას გადავეკიდე... ხოდა, შენც რომ არ გადაეკიდო რამეს, ჯობია მითხრა, მე ხომ ყველაფერი მესმის შენი... რითი უნდა გამაკვირვო შენ მე...

* * *

ბოლო ორი გაკვეთილი გაგიცდათ.

— წამოდი! თინიკოსთან მივდივართ! არავინ არ არის სახლში! მარტო ჩვენ ვიქნებით!

— არ დაიწყო ეხლა! წამოდი, ოთხნი მივდივართ! იცი რა ლიქიორი აქვთ, დედამისის გაკეთებული?! მუსიკებსაც ჩავრთავთ, ვიცეკვებთ!

და შენც მიყვები. იმიტომ კი არა, რომ გეხალისება, იმიტომ რომ სამი დღეა ისევ არ გამოჩენილა, იმიტომ, რომ ისევ ვერაფრით გაგიგია ერთი რამ: გამჩნევს კი თავისი ფანჯრიდან? მაშინ **ვის** გამოელაპარაკა: თავის მეზობელ გოგოს, რომელსაც ფანჯრიდან ხედავს ხოლმე, თუ გაჩერებაზე შემთხვევით შეხვედრილს? და მერე **ვინ** ჩაისვა მანქანაში და **ვის** გადაუსვა თავზე ხელი, თავის მეზობელს, თუ გაჩერებაზე შემთხვევით გაცნობილს? თუ ორივე გაერთიანებული ჰყავს? და საერთოდ, ვის უყურებს მართლა თავისი კარის ფანჯარასთან ასვეტილი? ეგებ მართლა ლიზა ბელსკის უყურებს, მათ თავზე რომ ცხოვრობს და მართალია, საშინლად მოხუცია, ასე ორმოცდახუთი წლის, მაგრამ, როგორც ყველა ამბობს, კარგად გამოიყურება? ან ბუაჩიძეების სამ გოგოს, მათ ქვემოთ რომ ცხოვრობენ? ან ეგებ მართლა ცისანას უყურებს? არა, შეუძლებელია! ეგებ ლამაზ ქალებს და გოგოებს კი არა, უბრალოდ ადამიანებს უყურებს, მაგალითად, ბუმბერაზ სულაქველიძეებს, მათი კარის მეზობლებს, და საერთოდ, ეგებ ყველას თანაბრად ათვალიერებს? და ბოლოს იგრძენი, რომ დაიღალე. ამდენი ლოდინით. ამდენი ნერვიულობით. კითხვებით. ეჭვებით. დაძაბულობით. მონატრებით. ტანჯვით. დაიღალე. არც ერთი შენი ამხანაგი არ არის შენსავით დაღლილი.

ლიქიორი სხვადასხვა ხილისგან ყოფილიყო დამზადებული, ბებია უგზავნიდა თურმე სოფლიდან. ხომ შეიძლებოდა ბებიამისსაც ლიქიორები დაემზადებინა და არა სანთლები და სუნელები?! ჯანდაბა! ცეკვავთ... თინიკოს ფირსაკრავიც აქვს. ცეკვავთ... ჯადოსნური სასმელი: ყველა ხილი ელაპარაკება შენს ენას... სასას, ყელს... ელაპარაკება ხილურად, ტკბილად... თვალები ოდნავ გეხუჭება.

გარეთ კი ქარი იყო... თმას უწეწავდა, ტუჩებს უშრობდა და უწვავდა, და ხშირად მოილოკავდა ხოლმე ტუჩებს, ამის გამო უფრო უსკდებოდა... გარბოდა, რადგან ცოტა დააგვიანდა. დედა მაინც არ იქნებოდა შინ, მარიას კი ყველაფერი ესმოდა... მაგრამ კარი სწორედ დედამ გაუღო და მის დანახვაზე მოთმინების ძაფი საშინელი ხმაურით გადაუწყდა:

— რას გავხარ, გოგო? სად ეგდე ამდენ ხანს? ვისთან იყავი? რას გიგავს ტუჩები! რას აკეთებდი? რა ხდება საერთოდ შენს თავს? აბა ამოისუნთქე! ალკოჰოლის სუნი!

და მთელი კოშმარი იმით დაგვირგვინდა, რომ მამა გამოვიდა საძინებლიდან. რამ ჩამოიყვანა შუა კვირაში? დედამ წამით გაიხმო ოთახის კუთხეში, რაღაც ჩასჩურჩულა და მამა პირქუშად გამოემართა მისკენ:

— სად იყავი? — და სილა გააწნა.

საფეთქლით კედელს მიეხალა. და სამყარო ჩამოიქცა.

— О Боже! — აღმოხდა იქვე ატუზულ მარიას და ნიკაპი პირიანად ჩამალა თითქოს სალოცავად შეტყუპულ ხელებში.

.....

— Владимер Николаевич! Вы такой благородный человек... Как то это на Вас не похоже. Она же маленькая девочка... и так сердце у нее как у птички постоянно силно беется... Она ж ни в чем ни провиниласъ... может заидете к неи ...

როგორც იქნა მარიამ დაიმარტოხელა ინციდენტის გამო ისედაც ნერვებდაგლეჯილი ოჯახის უფროსი.

მაგრამ შენ ოთახში აღარ იყავი. გადააბრუნეს სახლი. გაცვივდნენ ფალიაშვილის ქუჩაზე, მერე — მუხაძის, მიცვივდნენ ვაკის პარკთან, მერე უკან, ჩაცვივდნენ სარდაფში, გახსნეს, შევიდნენ, აანთეს სინათლე. „ვაიმე. ნუთუ დავიღუპეთ?“ — ეს მამაშენის ხმაა, რომელიც გარბის. სხვებიც მისდევენ. „წადით, ირბინეთ, გაგიჟდით, ჩაიქციეთ ნაღველა“ — ეს შენი ფიქრებია, შეზავებული ქვანახშირის საზიზღარ სუნთან, რომელიც ყოველთვის, მაგრამ ახლა განსაკუთრებით გირევს გულს, რადგან ქვანახშირში ზიხარ, უზარმაზარ ყუთში. თუმცა ეს კარგი ხარისხის ანტრაციტია. ბზინავს. და ბღუჯავ და მთელი ძალით ესვრი დაკეტილ კარს. მთელი ძალით ყუთიდან. და კიდევ და კიდევ და კარის წინ შავად მბზინავი გორა აღიმართება. ახლა ვეღარც კი შემოხსნიან. და ფიქრობ, რომ აქ მოკვდე. და იკუნტები და ტირი. ამას არასდროს აპატიებ მათ. განსაკუთრებით მამას. რადგან მამა სულ სხვაა.

ეჰ, ნია, რომ გცოდნოდა, რომ სულ რვა წელიღა დაგრჩათ ამ დედამიწაზე ერთადყოფნისა, რომ რვა წლის შემდეგ მხეცურად მოგიკლავენ მამას, რა თქმა, უნდა აპატიებდი.

„შენ რომ დაგენახე გაგიჟდებოდი. ასე ცუდად არასდროს ვყოფილვარ. მთლიანად გამიშავდა სახე, ხელები, ფეხები, კაბა. სარდაფებში საერთოდ საშინელი სუნი დგას. ქვანახშირი მძიმეა და ბზინავს. მარიამ მიპოვა. თურმე უფიქრია, უფიქრია და მიმხვდარა, ქვანახშირის ყუთში ჩაძვრებოდაო. შემოანგრიეს კარი: მარიამ და ჩემმა უმცროსმა ძმამ. შემოიწია შიგნით ქვანახშირის გროვა. მე კი დამძინებოდა. ძილში ძალიან მციოდა. „ფუი ეშმაკსო!“ — ბებიაჩემმა მართლა დაიძახა, ასე, ლოჯში რომ შევაბიჯე და ტახტიდან ჩამოხტა. და მე მართლა ეშმაკივით დავეჯღანე, რქები დავისვი თავზე, დავიყმუვლე და გამოვეკიდე. ჩემი მშობლების საძინებელში შევარდა. მარიამ ხელი მტაცა და აბაზანაში შემათრია, თორემ ბოლომდე გავუხეთქავდი გულს. ჩემი მშობლები კი ჩვენს მეზობელ ფუტურიძეებთან ჩაბრძანებულიყვნენ საკონსულტაციოდ და მერე უკვე მილიციაში აპირებდნენ წასვლას. მარიამ დაურეკა იქ. მაგრამ ვიდრე არ დავიბანე და ლოგინში არ ჩავწექი, არ დავარეკინე. მალე არ უნდა ღირსებოდათ ამოსუნთქვა. ისევ ცუდად ვარ, თუმცა მას შემდეგ სამი დღე გავიდა. მამაჩემი გაემგზავრა. არ შევურიგდი. დილით დიდხანს წმენდდა თავის ვოლგას. ეგონა აივნიდან გადავხედავდი. არ გადამიხედია. დედაჩემის დანახვაზე ცუდად ვხდები. ჩემი უფროსი ძმა ნერვებს მიშლის. შენ რომ არ იყო, შეიძლება სახლიდან გავქცეულიყავი. ეს დღეები სკოლაში აღარ წავედი, სიცხე მომცა. შენ კი აქ არა ხარ. ძალიან გთხოვ, მოდი. მოდი. მოდი. მოდი.

დაღამებულა. დამძინებია. შენს ფანჯრებში სინათლე ანთია. აი, შენც! როდის მოხვედი? საძინებელში შედიხარ. იხდი, ჯეპრეს გვერდზე ისვრი და წვები. მეც ვწევარ. დავიძინოთ“

— მისმინე, მე მეგონა ბავშვები მხოლოდ ქორწილის შემდეგ ჩნდებოდნენ. თუ ქორწილი არ იქნებოდა, ისე რამდენიც არ უნდა გეკოტრიალა ბიჭთან — არავინაც არ გაჩნდებოდა. ხვდები ეხლა როგორი ბრიყვი ვიყავი? უქორწილოდ, თუ თეთრი კაბა არ გეცმებოდა, თუ თეთრი ფატა არ გედგმებოდა, საერთოდ მეგონა, რომ არც არაფერი არა ხდებოდა, რაც არ უნდა მომხდარიყო. გესმის ჩემი გონების მდგომარეობა? საიდან ასეთი აზრები, აზრზე არა ვარ. ხოდა, პირველად რომ დავორსულდი, мамочка, როგორ მიყვარდა ის ბიჭი, ანტოშკა, დედაჩემმა ორივე გვცემა. დაგვბეჟა ძალიან. ისეთი ნაზი ბიჭი იყო ანტოშკა, сердце мое, ისეთი წვრილი მაჯები ჰქონდა, მაჯა გაებზარა, შიშისაგან კინაღამ გაგიჟდა და სულ გაიქცა ჩელიაბინსკიდან, ჯერ დედამისთან დაიმალა გემის ბუფეტში, და გაყვა მერე იმ გემს, გადაიკარგა. კაცო! მე წამათრია ვიღაც აბორტმახერთან და გამიკეთა აბორტი. რა არის აბორტი? არ იცი? უნდა იცოდე. ეს არის ჯოჯოხეთი. ეს არის წყევლა. ეშმაკების შანთები შენს საშვილოსნოში. გამოგშიგნავენ. და თავს იგრძნობ საშინლად. ნუ გიყვები? აბა ის იყო კარგი, მე რომ არავინ არაფერს მიყვებოდა? იმდენს ვტიროდი, რომ თხუთმეტი წლის გოგოს კატარაქტა დამემართა, მას შემდეგ მაქვს თვალები ასეთ დღეში.

გუშინ რომ მკითხე, ღმერთი გწამსო, შენ სხვებსაც ეკითხები ამას ბოლო ხანებში, მაგრამ веришъ богу? კი არ უნდა სთქვა, უნდა სთქვა веришъ в бога? აბა არ მეწამება! ანზორი რომ გა-

მოაგზავნა ჩემთან იქ, კაცო, იქ, ჩელიაბინსკში! ის რომ არ გამეცნო, მოვკვდებოდი, თანაც რაღაც სკანდალურად. ყველაფერს ვუყვებოდი ანზორიკს, сердце мое, და ვტიროდი ხოლმე, და შევუყვარდი, და შემირთო და წამომიყვანა აქ. და ისე მიყვარდა ჩემი ქმარი, რომ ქართულს ვსწავლობდი დღედაღამ, რადგან უხაროდა, ქართულად რომ ველაპარაკებოდი ხოლმე. ხოდა, კიდევ კარგი სოფელში ვცხოვრობდით, მუკუზანში, და სულ ქართულად უნდა მელაპარკა. Обожала я его, ты же знаешь. მერე ჩამოვედი თბილისში და ვიყიდე ერთი სახლუკა აეროპორტისკენ... მყავდა მეგობარი ტანია, მაგრამ ერთხელ ჩემთან ერთად მოინდომა დაწოლა, კაცო, ვერ გავიგე, რა მოგდის მეთქი და მიყვარხარო... თურმე არიან ისეთი ქალები, როგორებსაც ქალები უყვართ. არ მოისვენა და გავაგდე სახლიდან. აბა, რა უნდა მექნა! ძალიან განვიცადე, რადგან მაშინ მარტო ეგ ერთი მეგობარი მყავდა. უნდა იცოდე ყველაფერი.

რეებს ყვება, დედაჩემო, ეს ქალი!

რა ქალი, რა კაცი! რა ქორწილი, რის აბორტი! რა შუაშია ეს ყველაფერი! რა კავშირი აქვს ჩემთან! მე ხომ მისალმებასაც ვერ გავბედავ!

და გერმანულს ვეცი.

მე ვიცი უკვე ურიცხვი სიტყვა.

მე ვიცი ყველაფერი, რაც სიყვარულს უკავშირდება: ***die Liebe, das Herz, die Sehensucht, das Gefühl, die Eifersucht, die Verzweiflung, der Tod, weinen, warten, sorgen...*** სიყვარული, გული, მონატრება, გრძნობა, ეჭვიანობა, ტირილი, ლოდინი, ზრუნვა, სიკვდილი... და საერთოდ...

1975 წელი

— აბა, როგორ არის საქმე, ცოდნის წყაროს დაწაფებულნო? რას მეტყვით?

— მე წავიკითხე, რაც გვითხარით, პატივცემულო!

— თქვენ?

— ჩვენც, მასწ.

— თქვენ?

— მე ვერ მოვასწარი, პატივცემულო!

— ეეჰ! ძალიან მწყინს. კარგი. ვის სურს ილაპარაკოს?

— მე თვითონ არა, პატივცემულო, შემეკითხეთ და გიპასუხებთ.

— გეკითხებით, მაია, ხომ? მაია! მაშასადამე, რას ნიშნავს:

შენ მარტო მტოვებ. და ერთადერთი შემიძლია გაგცვალო ასე.
შენ წამი იყავ შეჩერებული და ახლა ისევ შრიალი მავსებს.
ყოველი ჩქამი შენს თავს მაგონებს, შენით არის სამყარო სავსე.
ქარიც შენა ხარ და უკვალო კეთილსურნელიც...

— რას და... აი, როდესაც გიყვარს, შენი შეყვარებულის მეტს ვერავის ვეღარ ხედავ. აღარავინ აღარ გაინტერესებს. მარტო ის გაინტერესებს, რაც შენს შეყვარებულთან კავშირშია. და თუ დაგტოვებს, ისე ცუდად გახდები, რომ ვერ გაძლებ, რადგან აღარც შეყვარებული გეყოლება და აღარც არაფერი გექნება, იმიტომ რომ ყველაფერს შეყვარებულის გამო დაშორდი...

— და რატომ დაშორდი შეყვარებულის გამო ყველაფერს?

— ყველას და ყველაფერს. იმიტომ რომ შეყვარებული მთელ შენს გონებას იპყრობს, სხვაზე ვერავისზე და ვერაფერზე ვეღარ ფიქრობ. სულ მასზე ფიქრობ, ფიქრობ გაუთავებლად...

— და კარგია მერე ეს?

— პრინციპში ცუდია, პატივცემულო, იმიტომ რომ ეგოიზმი გამოდის... და გამოშტერებულობა, მაგრამ პრინციპში სხვანაირად არ შეგიძლია, ხომ გესმით...

რა აცინებთ, მასწ?

— მართლაცდა, რა გაცინებთ? სიყვარულს დასცინით? ოდესმე ყველას შეგიყვარდებათ ვინმე, დიდი იმედი მაქვს... და ეგოიზმიო, რომ ამბობთ, ადამიანს ყველაფერი რომ თავისთვის კი არა, თავისი შეყვარებულისათვის უნდა, სიცოცხლეც რომ შეუძლია გასწიროს მისთვის, — მაინც ეგოიზმია?

— რა ვიცი, პატივცემულო, სხვებზე რომ ვეღარ ფიქრობს, იმიტომ ვამბობ... პროსტო, მაპატიეთ, მასწ., მარტო ერთ ადამიანზე ფიქრობს.

— და მერე? როცა მარტო რჩება? როცა ის ადამიანი სტოვებს?

— ჰოდა, მარტო რომ რჩება, აღარაფერი აღარა აქვს და თუ ყველაფერს თავიდან არ დაუმეგობრდა, უბრალოდ გაგიჟდება, მასწ. აბა უყველაფროდ როგორ უნდა იყოს? და თავიდან ამჩნევს ყველაფერს, ესე იგი მთელ სამყაროს.

— მაგას ნიშნავს **„ყოველი ჩქამი შენს თავს მაგონებს, შენითაა სამყარო სავსე?“**

— მე მგონი. იმიტომ რომ როცა შეყვარებული ჰყავდა, როცა ერთად იყვნენ, სხვა არაფერი არ სჭირდებოდა და შეიძლება, ვერც ამჩნევდა. როცა აღარა ჰყავს, ახლა ყველაფერში ის უნდა იპოვოს, ან, არადა, დაივიწყოს, ან არადა, მოკვდეს.

— კარგი, მაია, ძალიან სწორად გაგიგიათ. და როდის უფრო მდიდარია ადამიანი? როცა შეყვარებული ჰყავს და სხვაზე ვეღარაფერზე ვეღარ ფიქრობს, თუ როცა ყველაფერში შეყვარებულს ეძებს და პოულობს, მაგალითად, ყვავილში, ღრუბელში, წვიმაში, ზღვაში?

— რა ვიცი, მასწ. მაპატიეთ, ქალბატონო ნია, შეიძლება მაშინ უფრო გამდიდრდეს, როცა შეყვარებულს დაჰკარგავს, და ყველგან და ყველაფერში იმის ძებნას დაიწყებს, შეიძლება ამაზე ძალიან კარგი ლექსები და მუსიკა დაწეროს, ან ძალიან კარგი ნახატი დახატოს, მაგრამ, მე მაინც მერჩივნა, ჩემი შეყვარებული ჩემთან ყოფილიყო, ხომ გესმით.

—... როგორ არა...

— პატივცემულო, შეიძლება? გერმანულში რომ არ არის ასე: **„შენ წუთი იყავ შეჩერებული, და ახლა ისევ შრიალი მავსებს!“** აქ უფრო მოკლედ არის: „შენ ერთი წუთი ხარ, შემდეგ კი ეს (ალბათ იგულისხმება „ეს წუთი“) შრიალად გადაიქცევა“. და არც ეს: **„ქარიც შენა ხარ და უკვალო კეთილსურნელიც“.** დედანში უბრალოდ არის: „ან ეგებ ეს სურნელია ნარჩენის, ნაშთის გარეშე?.“

და ეს ფრაზა საერთოდ ზედმეტია: **„ყოველი ჩქამი შენს თავს მაგონებს, შენითაა სამყარო სავსე.“**

— გმადლობ, ნიკა! ყოჩაღ, რომ გიშრომიათ და შეგიდარებიათ! საქმე ის არის, რომ ნათქვამი გასაგები უნდა იყოს. ლოგიკურად ან ემოციურად. ხშირად რაც დედანში გასაგებია, თარგმანში ზუსტად ისე რომ დასტოვო, შეიძლება ნამდვილი უაზრობა გამოვიდეს. ამიტომ უნდა გაშალო ან დააზუსტო ნაგულისხმევი აზრი, მაგრამ ისე, რომ ავტორის პოეტიკა, მისი მსოფლმხედველობა არ შელახო, მის ფარგლებში უნდა დარჩე.

— მე ყველაზე მეტად სწორედ ეგ სტრიქონი მომწონს: „ყოველი ჩქამი შენს თავს მაგონებს, შენითაა სამყარო სავსე“

— და რატომ მოგწონთ, მაია?

— რა ვიცი, პატივცემულო, ვერ აგიხსნით...

— ბოლო სტრიქონებზე რას მეტყვით, გიორგი?

— მე არ ვეთანხმები, პატივცემულო. რა გამოდის, ვისაც მოეხვევი, აუცილებელია დაშორდე მერე?

— თქვენც მასე გესმით ეს სტრიქონები, ზურა?

„მე ყველა ქალი დამკარგვია, შემოვაჭდე ვისაც მკლავები,
მხოლოდ შენ ერთი ისევ და ისევ დაიბადები,
რადგან არასდროს შეგაჩერე,
ხარ განუყრელი“.

მასე გესმით?

— დიახ. აბა როგორ უნდა გავიგო, პატივცემულო?

— სხვები რას ფიქრობთ?

— ეს მისი, ე. ი. პოეტის გამოცდილებაა, მასწავლებელო. და არა რაღაც სავალდებულო წესი და კანონი. თანაც „**შემოვაჭდე ვისაც მკლავები**“ იმას კი არ ნიშნავს, რომ ერთხელ მოეხვია, არამედ იმას, რომ ეს ქალი მას ეკუთვნოდა, ერთად იყვნენ ფიზიკურად. და მერე, როცა წავიდა, პოეტმა არ შეაჩერა, არ მოინდომა მისი შენარჩუნება...

— ანუ, მისი ნების დათრგუნვა, არა?

— დიახ... თავისუფლება მიანიჭა...

— სწორია, მაია... თქვენ ზუსტად მიჰყვებით ამ პოეტის გრძნობებს... და რატომღაა განუყრელი?

— ალბათ იმიტომ, რომ როცა შეყვარებულები ერთად არიან, მერე... დაქორწინდებიან, მერე ხან იჩხუბებენ, ხან შერიგდებიან, გაჩნდება ათასი პრობლემა და სიყვარული კვდება... და როცა შორიდან გიყვარს, არ გეკუთვნის ფიზიკურად და ვეღარც დაჰკარგავ...

— და რას ნიშნავს: „**ისევ და ისევ დაიბადები“?** ჰო, ნიკა!

— დედანშიც ზუსტად ასეა: „ისევ და ისევ დაიბადები“ ან: „ყოველთვის თავიდან დაიბადები“ ესე იგი, ისევ და ისევ თავიდან გაახსენდება, პატივცემულო!

— ჰო. ისევ და ისევ თავიდან... ალბათ რაღაც ინტერვალებით... და იმ ინტერვალებში შეიძლება საერთოდ აღარ ახსოვდეს ხოლმე... მაგრამ ის ისევ დაბრუნდება... იმიტომ რომ აღსრულებელი სურვილი ისეთივე ძლიერია, როგორც ძვირფასი გარდაცვლილი... „გამახსენდები, გამეხსნება ნაიარევი“ — როგორც ერთ სხვა ლექსშია...

1962 წელი

ზამთრის უკანასკნელი დღე

ოთხი თვე გავიდა.

საიდან?

რა თქმა უნდა, ბოლო, ესე იგი, მეორე შეხვედრიდან.

რა თქმა უნდა, შემთხვევით შეხვედრიდან.

რა თქმა უნდა, ქუჩაში.

მანქანით რომ წამოიყვანა.

და ეს სასწაული ოქტომბრის ბოლოს გარდამოხდა.

და მთელი ეს ოთხი არეული თვე ასაზრდოვა.

და, როგორც უკვე გაგანდეთ, იგი დადიოდა როგორც შარავანდედადგმული და ეგონა, რომ მისი თმა ასხივებდა. შეიძლებდა ასხივებდა კიდეც.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ბნელდებოდა. ყველაფერი.

როცა, მის გულს და ჩაბნელებული მუხაძის ქუჩის სიჩუმეს ისევ ის წვეტიანი „ფრანცუზკები“ სვრეტდა...

მაგრამ აღარაფერს აღარ ჰქონდა მნიშვნელობა.

სრული უუფლებობიდან ამოზრდილი მისი ტანჯული უდრტვინველობა ლამის უსაზღვროობაში გადაზრდილიყო...

დღეს კი ზამთრის უკანასკნელი დღეა.

უკვე ორი კვირაა, მზე გამოჩნდა.

თუმცა მაინც არ თბილა, მაგრამ აშკარად სითბოს წინკარია.

და იგი ზის ამ გრილნათელ წინკარში, ვაკის პარკის იმ შესასვლელში, ფალიაშვილის ქუჩას

რომ უერთდება. ზის რაღაცნაირად გვერდულად, უღონობისაგან თავს რომ აყრდნობს ადამიანი საკუთარი მოხრილი ხელის ბალიშს, სკამის საზურგეზე რომ ამობურცულა. ჩანთა გვერდით უგდია.

კარგი.

ზის და თვალებდახუჭული უწყვეტად ფიქრობს: „მოდი.“

მაგრამ განა ეს ფიქრია?

არა, რა თქმა უნდა. ეს არის ის, რასაც უწოდებენ „ხმობას.“

და ამას სჩადის მთელი, მოჭიმული ადამიანი. მისი ორგანიზმის ყველა უჯრედი ამ ერთი სიტყვის, ამ ერთი წყურვილის ირგვლივ შემოკრებილა. ეს სიტყვა გულში იბადება და ყველა კაპილარს გადაეცემა; „მ ო დ ი “. „მ ო დ ი .“ „მ ო დ ი .“ მერე გაცურდება ჰაერში და ადრესატის ძებნას იწყებს.

ისწავლეთ შეყვარებულებისაგან მაგია.

რადგან: გადის კიდევ ერთი საათი. და უეცრად ვიღაც ჯდება მის გვერდით და ხმას არ იღებს.

მოწაფე ნელა ასწევს თავს, ნელა შეტრიალდება და მის სახეს შეეფეთება.

წამსვე წინ გაიხედავს. და დაკარგავს საკუთარი თავის, მიდამოს, ზამთრისა თუ მზის შეგრძნებას. დაიმახსოვრეთ: ასეთ წუთებში აღარაფერი აღარ არსებობს მის გარდა.

და გაისმის: მისი ხმადაბალი **„გამარჯობა“** და **„აქ რას აკეთებ“** — შეკითხვის კილოს გარეშე.

მისი ხმა.

ყველა ნაზამთრალ ტოტს გააჟრიალა. ალბათ. და დაიმახსოვრეს მათ და ჰაერმა ეს ხმა. ხოლო შეკითხვის ადრესატი — რა თქმა უნდა, უგონოდ ქმნილი, და უუნაროდ, რაიმე ნიშანწყალი გაიღოს სიცოცხლისა (ხოლო სიცოცხლე თუ რამეა, მისი საგულედან ამოვარდნილი გულია, ახლა), არც ცდილობს პასუხის გაცემას.

დიდი, თბილი ხელისგული პატარა, ცივ ხელისზურგზე.

ჟრჟოლა.

ეს სიტყვა კარგად არ ესმოდა. ჯერ არც უხმარია. აი, თურმე რა ყოფილა. პირველად მაშინ გაიცნო მანქანაში, მისი ცხოვრების მ ე ო რ ე დ ი დ დ ღ ე ს . მაგრამ ახლა სხვაა.

გული სისწრაფეს უმატებს.

„ხელები გაგყინვია“ — ამბობს მისი ხმა. ყურთან სულ ახლოს.

ჟრჟოლა.

და მის ხელებს ხელებში იქცევს. დააორთქლავს. ისე, რომ ტუჩებით ეხება. მერე წამოაყენებს. პალტოს ჩაიხსნის. მარცხენა კალთას სკამზე გადაფენს და ზედ დასვამს. მარცხენა ხელს საზურგეზე დებს, მარჯვენათი პალტოს მეორე კალთას აფარებს, მუხლისთავებს უმალავს, მის ხელებს იღებს და იღლიის ქვეშ ამოიდებს, სადაც ძალიან თბილა. ხელით ნაქსოვი ჯემპრე აცვია.

ახლა მთლიანად პალტოში ჰყავს გამოხვეული. გულში ჩაკრული. არ შეიძლება არ ესმოდეს მისი გულის ძგერა. ლამის აგონიური. არსებობს გულის ცემის მაქსიმალური სისწრაფე. იმის იქით გული სკდება. ბოლოს და ბოლოს მომავალი ექიმია.

ცივ შუბლზე აკრობს თბილ ტუჩებს.

მას კი მის თბილ ყელში აქვს სახე ჩარგული. და ისუნთქავს მის სურნელს და ძალას კარგავს.

და კარგია ეს. რადგან ამის შემდეგ აღარაფერი აღარ უნდა იყოს. ან ასე უნდა გაგრძელდეს სამარადისოდ. ან ამით ყველაფერი დამთავრდეს. ჟრუანტლის სახლში დასახლდა.

„გათბი?“ — ეკითხება ძალიან ჩუმად და ჯერ ერთ ქუთუთოზე ეხება ტუჩებით, მერე მეორეზე. ხოლო იმ ქუთუთოს, რომელსაც მისი ტუჩები მოშორდნენ, ორ თითს აფარებს: **„შესცივა“**

და სხედან ასე. და უმცროსს ჰგონია, რომ აღარაფერს აღარ სცივა მათ ირგვლივ, ყველა და ყველაფერი გათბა, და მათ წინ ტოტებზე ახლად გამოსული, ჯერ შეკუმშული კვირტები უკვე

ნეტარებით იბერებიან და სადაც არის გაიშლებიან... და გაზაფხული ყველაზე ჩქარა აქ, ვაკის პარკის შუა შესასვლელში მოვა.

და მისი პალტოდან ცალი თვალით ხედავს წითელ მიწაზე დაგდებულ გამოღრუტნულ ნახევარპურს და გახუნებულ, ნაზამთრალ ბეღურას, მას რომ კენკავს და ხშირად ისე ღრმად ყოფს ნისკარტს პურში, რომ თავი აღარ უჩანს. მერე საერთოდ შეჯდება პურის გამოქვაბულში და ახლა თავს ჰყოფს ხოლმე გარეთ, რადგან პურის კიდეს კენკავს.

შენ წარმოიდგინე, მახსოვს. და ვხედავ.

და ბაღი იმახსოვრებს მათ. მათ გამოსახულებას აღიბეჭდავს ნაზამთრალი და დაწმენდილი ცა, გამზეურებული ჰაერი, ძაღლებისა და ჩიტების წმინდა თვალები, ყოველ შემთხვევაში, ასე ჰგონია უმცროსს და ასე ეგონება შემდეგაც.

ხოლო იგი კიდევ უფრო ძლიერ იხუტებს, ორ მოხრილ თითს ნიკაპქვეშ ამოსდებს, ოდნავ აუწევს სახეს და ტუჩებზე ეხება ტუჩებით... და ის ოდნავ სისველეს იგრძნობს, სულ ოდნავს, და უკვირს...

შემდეგ იგი წამოდგება. მასაც ააყენებს, პალტოს საყელოს აუწევს, პალტოს ღილს შეუკრავს, კაშნეს გაუჭერს და ეტყვის „წადი შინ.“ და თვითონ მიდის.

და ეს არის მისი ცხოვრების მ ე ს ა მ ე დ ი დ ი დ ღ ე .

„სულ არ ჩამოვსულიყავი ამ ოხერ თბილისში, არ მერჩივნა? რატომ არ დაიქცა ის დღე, მე რომ ამ ოჯახში შემოვდგი ფეხი! რატომ არ მომტყდა ეს ფეხი, რომელიც ამ ოჯახში შემოვდგი! ვის გადავეკიდე, ღმერთო, ვის!“ — მერამდენედ ფიქრობს ცისანა. იგი მისჩერებია თავის საწოლზე ბუდასავით მორთხმულ, თითქოსდა უსასრულობაში მზირალ მოზარდს, ბუდასავე ღიმილი რომ შეჰყინვია ბაგეზე და გონს ვეღარ მოდის.

„ჩამიხუტა“ — თითქოს ბოდავს მოზარდი და თვალებს ხუჭავს.

„სად?“, „როდის?“ და მისთანები...

და რაღაც-რაღაცეების შეტყობის შემდეგ ისევ ფიქრობს:

„შეეცოდა ალბათ ეს უბედური!“

„უბედური“ კი თავის ხელის ზურგებს კოცნის, მერე ქუთუთოებზე და ტუჩებზე გადაიტარებს თითებს, მერე მხრებზე იხვევს ხელებს... და წვება...

„ეხლა საერთოდ გამოთაყვანდება! საერთოდ აღარ წავა სკოლაში. და აღარც მე წავალ დედამისის მაგივრად კლასის კრებაზე! მეყოფა! რაც უნდა ის ქნას! თავში ქვა იხალოს! ვინ აღარა ყოფილა შეყვარებული, რომ ამისთანები არ ჩაუდენია... ჩემი ძმა რუსთავში მარტენის ღუმელს ერკინება. სახელგანთქმული მეტალურგი, სტახანოველი. წამომწყები მოძრაობის: „არცერთი უდისციპლინო და ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით“! და მე ვის გვერდითა ვარ! სწორედაც ჩამორჩენილისა და უდისციპლინოს გვერდით! ვღალატობ ჩემს ძმას! და: „ტუჩების ტუჩებზე მიდება მართლა კოცნა ხო არ გგონია?“ — ავად მიახალა ახლად ჩამოყალიბებულ ბუდას.

და მერე ძილის წინ ზის საბნის ქოხში, სადაც ღამის ნათურა შეუთრევია და კითხულობს უკვე ახალ მონაპოვარს ძველი მწვანე წიგნიდან **„ხალხური პოეზია“**:

ნეტამცაი, მამკლამცაი,
ასო-ასო ამქნამცაი,
ქვეშ ჭინჭარი დამიგონ და
ზედ მდუღარე მასხანმცაი,
ჩემი ხორცი ყვავ-ყორანთა
საჭმელად და სასმადმცაი,
ოღონდ შენთან მამყოფინა,
ოღონდ შენთან დამსვამცაი...

წამში იზეპირებს, მერე დიდხანს ტირის და მერე ეძინება. დედას კი დამწვრის სუნი აღვიძებს... და შეშლილივით წამოხტება და მეორე ოთახში გააწყდება.

ააგლეჯს საწოლს ამომწვარ საბანს და მის ქვეშ აღმოაჩენს მძინარე შვილს, წიგნსა და ანთებულ მაგიდის ნათურას. დასცქერის ამ ყოველივეს ზარდაცემული და ვერ გაუგია რა სჭირს ამ მშვენიერ წიგნს დასამალი: ეს ხომ **„ხალხური პოეზიაა“.**

უკან დარჩა ყველაფერი: ხასიათის წამხდენი ხმა, დედა რომ გამოსცემდა, ჩხუბი, მისი სასოწარკვეთილი შეკითხვები და მუქარები: რომ გააგლეჯინებდა მამამისს მის თავს, თუ არანორმალურ საქციელს არ მოიშლიდა...

მას ეს ყველაფერი აღარ ეხებოდა. ის უკვე **სხვა** ადამიანი იყო. მთლიანად სინაზე და სითბო ... მთელი სამყარო უყვარდა. მთელ მსოფლიოს ხელებს უწვდიდა:

მან უკვე იცოდა სამყაროს მთავარი საიდუმლო: სამოთხე, ანუ გულში ჩაკვრა. ის ახლახან იყო ედემის ბაღში და იქიდან მოდიოდა... აბა, როგორღა შეიძლებოდა ვინმეზე გაბრაზება.

ლამის თითის წვერებზე დადიოდა. ხმამაღლა აღარ ლაპარაკობდა და ხმამაღლა აღარ იცინოდა, თითქოს არ უნდოდა ვიღაც ძალიან სათუთი დაეფრთხო...

ფართოდ უღებდა ფანჯრებს გაზაფხულის ნიავს, ღრმად სუნთქავდა, ღამით ხელებს შლიდა და მიფრინავდა... დაჰქროდა მუხაძის ქუჩისა და ვაკის პარკის ზემოთ, მთების თავზე, მთვარის ქვეშ და მთვარის გასწვრივ...

თბილად ექცეოდა დედას და ბებიას, ისევ იკრავდა გულში უმცროს ძმას, აღარ ეჩხუბებოდა უფროს ძმას, ლოყებს უკოცნიდა მარიას, გაძლიერებულად კვებავდა ჯეკას და „ყვითელ ძროხას“ ანუ კატა დარია ოსიპოვნას...

მხოლოდ ხანდახან გაუელვებდა ხოლმე ფიქრი: ვის ეხვეოდა იგი: მეზობლის გოგოს, რომელსაც ფანჯრიდან ხედავდა ხოლმე? გაჩერებაზე შემთხვევით გაცნობილს? მანქანით შემთხვევით წამოყვანილს? თუ პარკის სკამზე შემთხვევით ნაპოვნ უპატრონო ბავშვს? განა გამორიცხული იყო, რომ მათ ერთმანეთთან ვერ აკავშირებდა?

* * *

აი, მსოფლიო უკვე მის ოთახშია!

მამამ თხოვნა აუსრულა და უზარმაზარი რადიომიმღები სახელად „МИР“

თავისი ოთახიდან მის ოთახში გამოათრია.

როგორ ციმციმებს ფერადი შკალა! ცეკვავენ ცისფერი და წითელი ტალღები... ამ დროს ოთახში უნდა ბნელოდეს.

და როცა ის ფერადად მოციმციმე ციფრებიან შკალაზე დაასრიალებდა შავ ხაზს და აღელვებული მთელი მსოფლიოს ხმებში, ენებში, ორკესტრებსა და სიმღერებში დაცურავდა, — უფრო ადვილად იტანდა მონატრების აუტანელ ტანჯვას. ასატანი კი მართლაც ჰქონდა. რადგან ის ამ დღის შემდეგ კარგა ხანს აღარ გამოჩენილა...

„ნეტამცაი, მამკლამცაი, ასო-ასო ამქნამცაი....
ქვეშ ჭინჭარი დამიგონ და ზედ მდუღარი მასხანმცაი...
ოღონდ შენთან მამყოფინა, ოღონდ შენთან დამსვამცაი...“

მაგრამ ატრიალე, ნელა ატრიალე რადიო-მიმღების მრგვალი, შავი ჩამრთველი, გაცურდი დედამიწის ხალხების ჰანგებსა და ხმებში.

აი, აი, რა კარგი უცხო და უცნობი მელოდიაა...

ყოველდღე ისევ სამოცამდე გერმანულ სიტყვას და ერთ-ორ ლექსს იზეპირებდა, ისევ „საკომისიოებში“ და პარკში დაეხეტებოდა, ანტიკვარულ ნივთებსა და ხეებს ათვალიერებდა, ქანაობდა პარკის ნავ-საქანელებზე და ლამის ცაში ადიოდა, ისე, რომ ერთი-ორჯერ გულგახეთქილმა ნავების კაცმა შუა ქანაობაში ყვირილით გააჩერა....

სკოლაში კი იშვიათად იყო და სუფთა სინდისით ავადმყოფობას იმიზეზებდა...

2006 წელი

— მივაგენი!
— ?
— მ ი ვ ა გ ე ნ ი ! აი, ტელეფონის ნომერი. აი, მისამართი!
— ?
— ჰო. მაშასადამე, მსგავს შემთხვევებში უნდა მიმართოთ პოლიციას! ან უშიშროებას! მათ უკვე კომპიუტერში ჰყავთ ყველა. და მაშინვე ამოაგდო ამ ყოვლისმცოდნე აპარატმა ძებნილი „გოგი კორდია. დაბადებული 1940 წელს ..... მისი სურათი და მისამართი: წყნეთი, კოსტავას ქუჩა და ა. შ.
— წყნეთში ცხოვრობს? ეს ტელეფონი და ეს მისამართი არასოდეს მოუციათ, როდესაც ტელეფონით ვეძებდი!
— არ ვიცი. ეს ნამდვილად მისი მისამართი და ტელეფონია! ენდე ვანოს!
— ვანო? ვანო ვილაა, კაცო?
— ვაანოო? ცა-მიწისმჩხრეკელი ივანე! სისტემის მეუფე!
— ოჰ! იქამც იყოს! ახლა რა ვქნა?
— უნდა დაურეკო!
— მე? როგორ უნდა დავურეკო? ვერ დავურეკავ!
— აბა, რა ვქნათ?
— ეგებ შენ ნახო?
— მე? მერე? დავუშვათ, ვნახე. მერე?
— რა მერე! მერე მომიყვები! როგორ არის, როგორ გამოიყურება...
— სახლში ხომ ვერ მივადგები? მაშინ სამსახურიც უნდა გავიგოთ....
— ეგებ სახლშიც იღებს პაციენტებს?
— და თუ არ იღებს?
— არ ვიცი. ის ვიცი, რომ უნდა წახვიდე.
— სად?
— წყნეთში.
— რა ვუთხრა მერე, კაცო! რა? ვინა ვარ, რა მინდა-მეთქი!
— მოვიფიქროთ! ვთქვათ, ვითომ გითხრეს, რომ ექიმი კორდია სახლში იღებს პაციენტებს და შენც მიხვედი, რადგან რაღაც, ვთქვათ, კანის წვა და ქავილი გაწუხებს...
— აჰა. კარგი ბატონო. იყოს მასე. ხვალ შაბათია. სამსახურში არ იქნება. ჰოდა, მივადგები შინ, წყნეთის ჰაერსაც ჩავყლაპავ. მისდღემში არ ვყოფილვარ წყნეთში. ე.ი. მთავარია დავინახო და გამოველაპარაკო. ისე, მე ის არ მეყოფა, რაც მაწუხებს, რაღა კანის ქავილი ავიტეხო! თუ შინ დამხვდა და თუ შინაც იღებს პაციენტებს, ვეტყვი, თქვენზე მითხრეს, რომ ენდოკრინოლოგი ბრძანდებით და ჩიყვი მაქვს-მეთქი. ეგებ მართლა ენდოკრინოლოგი აღმოჩნდეს და მართლა მიმიღოს! მთავარია: დავინახო, აღვიქვა, დავაკვირდე! გავიგონო მისი ხმა, დავიმახსოვრო მისი ჟესტიკულაცია და სიტყვები! და წვრილ-წვრილად გადმოგცე მერე.
— ჰო. კიდევ თვალების ფერი. თვალებში ჩახედე კარგად, რა ფერისა აქვს.
— შენ რა არ გახსოვს?
— მე თვალებში არ შემიხედავს. ვერ ვბედავდი.
— გამაგიჟებ. ნამდვილად უნდა მოვძებნო.

1975 წელი

— მოგესალმებით. რატომ ხართ დღეს ამდენი?
— სხვა ფაკულტეტებიდანაც მოვიდნენ, პატივცემულო! ხომ შეიძლება?
— ალბათ ჯობდა ჯერ ჩემთან შეგეთანხმებინათ. თუ არა?

— მართალი ბრძანდებით. ბოდიში, პატივცემულო! ხომ შეიძლება დაგესწროთ?

— მე მგონი, კი. თუ თქვენს ლექციებს აცდენთ, ჯობს ეს არ ვიცოდე, არა?

— რა თქმა უნდა, პატივცემულო!

— რაზე შევჩერდით, თუ გახსოვთ?

— როგორ არა. განშორებაზე, მიტოვებაზე, მარტოობაზე და უპასუხო სიყვარულზე!

— ოო, როგორ ჩამოასხაპასხუპეთ, მზია!

— რა დამავიწყებდა, მასწავლებელო!

— ნამდვილი უბედურების მატარებელია, არა? თან ძნელი წარმოსადგენია, რომ რომელიმე თქვენგანმა ამ მატარებლის ოთხივე ვაგონში არ ამოყოს თავი, სხვადასხვა დროს ან ერთდროულად, თუ უკვე ამოყოფილი არა გაქვთ, არა?

— ზოგი დიდი ხანია უკვე იქ ზის, მასწ, და მირახრახებს!

— მერე, ძნელია?

— ძაან, პატივცემულო!

— მაშ, რა ვაგონებია ეს?

— განშორება, მიტოვება, მარტოობა და უპასუხო სიყვარული.

— შეიძლება გკითხოთ, თუ რომელი თქვენგანია შეწუხებული მარტოობით?

— შეიძლება, მასწ.!

— მაშინ უბრალოდ ხელი ასწიოს იმან, ვინც მარტოა და ეს სტანჯავს.. ოოო! ხელებაპყრობილი ტანჯვა. ასეც ველოდი. ახლა ხელი აიწიოს იმან, ვისაც მარტოობა ხანდახან სჭირდება. მოდი, გადავთვალოთ...

.....

— დიდი მადლობა. რა მივიღეთ? 75 ბავშვიდან 70 იტანჯება მარტოობით.

მაგრამ 40-ს მარტოობა იშვიათად ან ხშირად სჭირდება. გამოდის, რომ ამ 40 ბავშვს ყოველთვის არა თუ არ სტანჯავს მარტოობა, არამედ ხშირად ან იშვიათად სჭირდება კიდეც, და მაშ, რატომ სთქვა, რომ მუდამ სტანჯავს? რატომ აიწია პირველ კითხვაზე ხელი? არ მესმის. ვინ ამიხსნის? თქვენ, ნიკა?

— მე მგონი იმიტომ, რომ ისინი, უფრო სწორად ჩვენ, მეც ამ ორმოცში ვარ, როცა მარტო ვართ, მაშინ როცა არ გვინდა მარტო ყოფნა, ისევე ვიტანჯებით როგორც ყველა, ვისაც არასოდეს არ სურს მარტო ყოფნა. ის მომენტები, როდესაც ჩვენ გვსიამოვნებს ან გვჭირდება მარტოობა, ვერ გადასწონის, ესე იგი, ვერ ამსუბუქებს იმ დროს, როცა მარტოობა გვტანჯავს.

— ძალიან კარგად ჩამოაყალიბეთ. გმადლობთ, ნიკა. და მაინც, ყოფილა ორნაირი მარტოობა: საჭირო და არასაჭირო, სასიამოვნო და უსიამოვნო ან სულაც მტანჯველი. ასე გამოდის, ხომ? კარგი. ახლა მოდით ასეთი კითხვა დავსვათ: როდის გჭირდებათ მარტოობა? ცხადია, ეს კითხვა ორმოც ბავშვს ეხება. პირველი რიგიდან მივყვეთ და მოკლედ ვუპასუხოთ. მე ჩავიწერ.

— როცა წიგნს ვკითხულობ!

— როცა მუსიკას ვუსმენ!

— როცა ვხატავ!

— როცა ვოცნებობ!

— როცა ვტირი!

— როცა ვფიქრობ!

— როცა ბუნებაში ვარ!

— როცა ავადა ვარ!

— როცა ჩემს საყვარელ ფილმს ვუყურებ!

— როცა დღიურს ვწერ!

— როცა ვმეცადინეობ!

— როცა ვუკრავ!

— როცა ველოსიპედით დავდივარ!

.....

.....

.....

— თქვენ თვითონ მოისმინეთ. სურათი თქვენს თვალწინაა. და არიან ადამიანები, და ალბათ თქვენს შორისაც, ვისაც წიგნის კითხვაც უყვარს, მუსიკის მოსმენაც, დღიურის წერაც, ბუნებაში სიარულიც, ხატვაც და ა.შ. არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ქმედება, რომელსაც ასევე მარტოობა სჭირდება: ლოცვა. და მაშასადამე, ასეთ ადამიანებს ძალიან ბევრი მარტოობა სჭირდებათ, და თუ ამდენი არა აქვთ, იტანჯებიან. და რომ ჰქონოდათ, მათი დღე ძირითადად სასიამოვნო მარტოობით იქნებოდა ამოვსებული და უსიამოვნო მარტოობა მათ ვეღარ დაანგრევდა. ასე არ არის?

— იცით რა, მასწავლებელო? რაღაცა, მაგალითად, წიგნის კითხვა, შეიძლება შენ თვითონ გიყვარს, მოკლედ, თან დაგყვა ამის სიყვარული, არ ვიცი, მე, მაგალითად, სულ მიყვარდა და მიყვარს, მაგრამ სხვა რამე, მაგალითად, მუსიკა ან ბუნება, ან რა ვიცი, ალბათ უნდა შეგაყვარონ, იმიტომ რომ კარგია, როცა ბევრი რამე გიყვარს. მაგრამ სხვა რამე არ მასწავლეს და არ შემაყვარეს, და სულ მთელი დღე წიგნს ხომ ვერ ვიკითხავ?

— მართალი ხართ. და რა შეიძლება დავარქვათ იმ მოვლენას, როცა რაღაცას გაყვარებენ, გასწავლიან და გაჩვევენ? რა არის ეს? ვერ მეტყვით? აბა, დაფიქრდით! აა... ღღღ ...ზ

— აღზრდა!

— როგორ დაიგუგუნეთ! კარგი. ამას ცოტა ხნით თავი დავანებოთ და 35 თქვენგანს მივხედოთ. გამოდის, რომ თქვენ, ვისაც არასდროს არ გჭირდებათ მარტოობა, არც კითხვა გიყვართ, არც წერა, არც მუსიკის მოსმენა და არც ოცნება? გისმენთ. თქვენი სახელი?

— რეზო. მასწ. ბოდიში, პატივცემულო, მუსიკის მოსმენა მიყვარს, მაგრამ სხვებთან ერთად. და წიგნის კითხვაც სამკითხველოში მირჩევნია. მარტო როცა ვრჩები, დეპრესია მეწყება.

— კეთილი. მაგრამ ხომ ნამდვილად არიან თქვენს შორის ისეთებიც, ვინც არც წიგნს კითხულობს, არც მუსიკას უსმენს, არც ხატავს, არც ოცნებობს, არც მეცადინეობს... აქ სამსჯავრო კი არა გვაქვს, პრობლემებზე ვსაუბრობთ. და იმიტომ ვსაუბრობთ, რომ ამით ჩვენი პოეტის სამყაროს მივუახლოვდეთ და გავიგოთ, რაში ხედავდა ადამიანის ტრაგედიას.

— არიან, პატივცემულო, შეიძლება სხვაგან უმეტესობა ეგეთი იყოს.

— კი მაგრამ, ვინც არც წერს და არც კითხულობს, ამ ლექციაზე რიღასთვის მოვიდა? მე ხომ ვთქვი, რომ ვისაც ლექცია არ აინტერესებს, არ მოვიდეს, არას არ დავუწერ-მეთქი?

— სიყვარულზე და განშორებაზე და ეგეთ რამეებზე ლაპარაკი ყველას აინტერესებს, მასწ!

— შეიძლება წერა და კითხვა და მუსიკა და სპორტი არ გიყვარდეს, მაგრამ, აი, შეყვარებული ძალიან მაგრად გიყვარდეს, პატივცემულო!

— და რომ მიგატოვოს, მერე რას იზამ? რითი ამოავსებ იმ სიცარიელეს?

— არ ვიცი...

— და აი, პოეტს, რომელსაც ჩვენ უკვე მესამე თვეა რაც ვსწავლობთ, იმდენი რამ უყვარდა და აინტერესებდა, რომ როცა რაიმე უბედურება ან ძალიან ცუდი, გამანადგურებელი მარტოობა დაატყდებოდა თავს, მაშინვე კარგ მარტოობას შეეფარებოდა ხოლმე. აზროვნებდა, მუსიკას უსმენდა, ბუნებით ტკბებოდა, წიგნს კითხულობდა, ნახატებს ათვალიერებდა, მოგონებებსა და ოცნებებს ეძლეოდა, ლოცულობდა, წერდა დღიურებს თავისთვის, წერილებს მეგობრებისთვის, და ბოლოს ახალი ტკივილიდან რაღაც ახალ ლექსს შექმნიდა ხოლმე. რა თქმა უნდა, მხოლოდ მარტოობაში არა ცხოვრობდა. ჰყავდა მეგობრები, ახლობლები და მათთანაც იყო, მაგრამ იმდენი ხნით არა, რომ ცოტა დრო დარჩენოდა მარტოობისთვის.

— პატივცემულო, ხომ შეიძლება, რომ არაფერი არ შეგემთხვეს, არც ვინმემ მიგატოვოს და არც არაფერი, ვინც გიყვარს იყოს შენთან, თუ არადა, სხვა იპოვნო, ვინც შენთან იქნება და იყო კარგად.

— როგორც მე გამიგია, მასე თითქმის არასოდროს ხდება. ამბობენ, რომ მცდარი და საშიში აზრია, თითქოს ადამიანი მხოლოდ სიამოვნებისთვის იყოს გაჩენილი და ცხოვრებაც თითქოს ამას ჰპირდებოდეს. აი, ხომ ხდავთ ჯერ მეორე კურსზე ხართ, და უმეტესობა უკვე ამბობთ, რომ მარტოობით იტანჯებით. და მერე ეს არ შემცირდება, პირიქით მოიმატებს. ალბათ სჯობს,

თავი არ მოვიტყუოთ და ვიცოდეთ, რომ დიდი სიძნელეების გადალახვა მოგვიწევს. და აქედანვე ჩამოვყალიბდეთ მარტოობის ოსტატებად, როგორც ჩვენი პოეტი იტყოდა. ვისწავლოთ როგორ გარდავქმნათ ცუდი, ანუ გამანადგურებელი მარტოობა კარგ, ნაყოფიერ მარტოობად. და მარტოობის შიშით უაზრო და გამომფიტავ დროსტარებაში არ გადავენარცხოთ. თორემ სიხარულს სამუდამოდ დავკარგავთ. დიდ გრძნობებს დიდ წინააღმდეგობები წარმოშობს. ადამიანს კი ძლიერი გრძნობები უნდა ჰქონდეს და არა უძალო, ნელთბილი. აბა წამიკითხეთ ახლა ჩვენი ლექსი.

— ზეპირად ვიტყვი, პატივცემულო!

შენ მარტო მტოვებ. და ერთადერთი შემიძლია გაგცვალო ასე.
შენ წამი იყავ შეჩერებული და ახლა ისევ შრიალი მავსებს.
ყოველი ჩქამი შენს თავს მაგონებს, შენითაა სამყარო სავსე.
ქარიც შენა ხარ და უკვალო კეთილსურნელიც.
მე ყველა ქალი დამკარგვია, შემოვაჭდე ვისაც მკლავები,
მხოლოდ შენ ერთი ისევ და ისევ დაიბადები,
რადგან არასდროს შეგაჩერე, ხარ განუყრელი.

— გმადლობთ. მე დაგირიგეთ ამ პოეტის სხვა ლექსებიც მარტოობაზე. წაიკითხავთ, ანი?
— დიახ.

მარტოობა

წვიმად ჩამოდის მარტოობა. წვიმაა იგი.
ზღვიდან მოიწევს, ეგებება საღამოს ბინდებს,
უკაცრიელი ველებიდან ზეცისკენ მიდის
(სავსეა დიდი მარტოობით ზეცა ყოველთვის)
და მოიღვრება, ქალაქს ასე ციდან მოელტვის.

როცა დილისკენ მიიქცევა ქუჩაბანდები,
წყვილთა საათებს იგი წვიმად დაედინება
და სხეულები, ერთმანეთი რომ ვერ გაათბეს,
კვლავ იყრებიან, მიაქვთ სევდა და გაწბილება...
და როცა ორს სძულს ერთმანეთი ჩუმად, მძვინვარედ
და მაინც ღამით ერთ სარეცელს ინაწილებენ,

მაშინ დიდდება მარტოობა უკვე მდინარედ...

— მე მგონი, ხვდებით, აქ როგორ მარტოობაზეა ლაპარაკი.
— პატივცემულო, როცა ქალი და კაცი ფიზიკურად ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან, მაგრამ სულიერად არიან ძალიან შორს, მაშინ ძალიან დიდი და ცუდია მათი მარტოობა... ადიდებულ, მღვრიე მდინარეს ჰგავს...
— ჰო, ნიკა. ძალიან ზუსტად თქვით. არსებობს ასეთი უნაყოფო და გამომფიტავი მარტოობა. ამაზეა აქ ლაპარაკი. კიდევ ერთი „მარტოობა“ გვქონდა.
— თქვენ წაიკითხეთ, რა, პატივცემულო!
— კეთილი.

შენ, ჩემო წმინდა მარტოობავ, უხვი ბაღი ხარ!
როდესაც დილა სველ ბაღნარებს თვალებს გაუხელს,

შენც სწევ წამწამს და ატოკებ კალთას.
თვალებკრიალა მარტოობავ! ეს დღეც დაღვინდა,
და სურვილები დგანან უკვე შენს ოქროს კართან,
დე, აგრე იდგნენ, კარს ნუ გაუღებ.

დაფიქრდით, რა სურვილები იგულისხმება, რომლებსაც მარტოობამ კარი არ უნდა გაუღოს? შემდეგი ლექციისათვის გთხოვთ ეს სამი ლექსი შეადაროთ ერთმანეთს, სასურველია, წერილობით. ორ წუთში ზარი დაირეკება.

— პატივცემულო, ჩვენ ხომ უპასუხო სიყვარულზე უნდა გველაპარაკა, ანუ რატომ ანიჭებს ეს პოეტი ამხელა მნიშვნელობას უპასუხო სიყვარულს!

— ცოტა უკვე ვილაპარაკეთ ამაზე. თქვენ ალბათ არ იყავით წინა ლექციაზე.

ვეცდები გავიმეორო. სიჩუმე. ადამიანი იმყოფება ხილულ სამყაროში. მაგრამ იცის, ან გრძნობს, რომ ეს სამყარო ნახევარკუნძულივითაა და მიბმულია უზარმაზარ უხილავ სამყაროს... თქვენ გჯერათ ეს?

— არ ვიცი, პატივცემულო.

— პოეტი ასე ხედავდა. გრძნობდა ამას. ის იტანჯებოდა იმით, რომ იმ უხილავ სამყაროს, საიდანაც ხილული წარმოიშვა და, რომლითაც გამსჭვალულია მთელი მიწიერი ყოფიერება, ადამიანი ვერ სწვდება. მაგალითად, არ იცის, რა ხდება სიკვდილის შემდეგ, როგორია ღმერთი, როგორები არიან ანგელოზები, როგორ ზემოქმედებენ ჩვენს ცხოვრებაზე, რას ელიან ჩვენგან, როგორია უსასრულობა... ამის გამო ის ბრმად აღიქვამდა თავს. და მან იგრძნო, რომ სამ მდგომარეობაში ადამიანს თითქოს თვალი აქვს ახელილი: ახლოს მიდის იმ უსასრულო და უხილავ სამყაროსთან: ღმერთის, ანგელოზების, გარდაცვლილების სივრცესთან. ეს სამი მდგომარეობაა: ბავშვობა, სიკვდილის სიახლოვე და უპასუხო სიყვარული. უპასუხო სიყვარული იმდენად აძლიერებს ადამიანის ტანჯვას, რომ ბოლოს ის უსასრულობაში გადადის სიყვარულთან ერთად. ამ ზღვრულ მდგომარეობებში ადამიანის შინაგანობა ღიაა და მასში მარადისობა შემოდის. აი, ასე ფიქრობდა. და გთხოვთ თქვენც იფიქროთ ამაზე.

1961 წელი

შენს ოთახში გაყავხარ. საჭიროდ თვლის, წუთით გაჩუმდეს და თვალებში გიყუროს. მერე კი ამბობს: „**გელოდება**“.

გულმა რეჩხი გიყო. არ კითხულობ: „ვინ?“

იმეორებს: „**გელოდება.** სამ საათზე. თავისთან სახლში. საათნახევარში აქ უნდა იყო. ვიდრე დედაშენი მოვა.“

და უცბად ყვირი: „რააა! ვინ მელოდება? რატომ მელოდება? საიდან? როგორ?“

ფანჯარაზე განიშნებს ხელით და გიმარცვლავს: „გ ე ლ ო დ ე ბ ა “. „მერე აგიხსნი.“

„შ ე ნ ის ნ ა ხ ე ?

„დიახ. მერე აგიხსნი, ეხლა წადი.“

„შ ე ნ ის ნ ა ხ ე ?“

ხედავ: ცისანას ფერი ეცვალა. შიში დაეტყო, თუმცა მალავს.

„შემთხვევით შემხვდა. მერე გიამბობ“

არ გჯერა.

„არ წავალ. ა რ შ ე მ ი ძ ლ ი ა .“

„წადი. **გელოდება**. ეგებ რა უნდა გითხრას. ნუ გეშინია. არ შეგჭამს. დრო გადის.“

.....

და ადიხარ მის კიბეებზე. დასაკლავი ცხვარივით. დასაკლავ ცხვარს კი მხოლოდ იმაზე შეუძლია ფიქრი, თუ როგორ დაიკვლება. ორი ოცინლისა შეიყარა და განაჩენი გამოუტანეს ცამეტიწლისას.

სამჯერ შეისვენე და გულზე ხელები მიიჭირე. „ასეთი გულისცემით არავისთან მისვლა არ შეიძლება. სირცხვილია“. — აი, ასეთი რამეც კი გაიფიქრე და მიუახლოვდი კიდეც აღსასრულს: მისი კარები. ხელი გიკანკალებს. ზარს ძლივს რეკავ... და „მიშველე, ღმერთო!“

ის.

„მოდი. გეყოფა ფეხების წმენდა. მოდი. მოდი.“

გვერდზე დგება.

შედიხარ.

ცალი ხელით კარს კეტავს. შენს ზურგს უკან. მერე იმავე ხელით მხარზე გეხება, ოდნავ, მეორე ხელით წინ, ღია კარისკენ მიგითითებს.

მიდიხარ, მოგყვება.

ზურგით **გრძნობ.** კეფითაც.

პატარა ოთახია. ფანჯარა არც კი აქვს. პლაშჩს გხდის. თავბრუ გეხვევა. კარის გვერდით საკიდარზე კიდებს, თეთრი ხალათის გვერდით. ეს მისი ხალათია ალბათ. დედაშენს ასეთი თეთრი ხალათი გარდერობში უკიდია. მამაშენსაც თეთრი ხალათი აცვია სამსახურში: ღვინის ქარხანაში. დივანზე დაჯდომას გთავაზობს. დივანი მწვანეა. ერთ ბოლოში წიგნებია. მეორეში — ხავერდის გაცრეცილი მუთაქა. იქვე ყვითელი ტორშერი დგას. ტორშერი ანთია. ჭაღი არა. თვითონ სავარძელში ჯდება.

სავარძელი დგას კედელთან, მუთაქის მხარეს.

არ იცი, ხელები სად წაიღო. შენ გაცვია კრემისფერი ჩეჩუნჩის „წელზე მომდგარი“ კოსტიუმი, ბებიაშენი რომ „კოფთას“ ეძახის. და წელი გაქვს ძალიან წვრილი. და გაცვია ყავისფერი ტაფტის იუბკა და ქვეშ პადიუბკა.

„კარგად ზიხარ?“

თავის დაქნევით ეთანხმები.

დუმილი.

„აბა, მითხარი, რა გემართება?“

ძლივს შეხედავ და მერე წინ იყურები: წინ კი მისი თეთრი ხალათი და შენი პლაშჩია. ერთმანეთის გვერდიგვერდ. ერთმანეთს ეხებიან. სახელოებით. **ეხებიან.**

მთელ ძალებს იმას ახმარ, რომ არ ატირდე. „ბარემ თეთრი ხალათი ჩაეცვა და ისე ეკითხა: „აბა, მითხარით, რას უჩივით?“ როგორც დედამისმა იცის ხოლმე. უაზროდ აშტერდები, დივნის ბოლოში მიწყობილი წიგნების ყუებს. სულ ზემოთას ყდაზე აწერია **„გული. გულსისხლძარღვთა დაავადებები**“.

„მითხარი... ესე იგი... რატომ აცდენ გაკვეთილებს?“

ვერაფერს ეუბნები. რა თქმა უნდა. კონცენტრირებული ხარ საკუთარ გულზე და ცდილობ რაიმენაირად შეაგონო, რომ ბაგაბუგი შეანელოს.

გზარავს უეცარი ფიქრი, რომ შეიძლება შენმა მოღალატე ნათესავმა ყველაფერი უთხრა, ყველაფერი: რძის ამბავი, იის ამბავი, ის, თუ როგორ ჭკუიდან გადასული ეძებდი მაშინ, ღამით, ქალაქში, შემთხვევით რომ შეგხვდათ მანქანით... მაგრამ ამას ვიღა ჩივის, ვაითუ, ისიც უთხრა, როგორ გაძარცვე მამაშენის ყულაბა... რომ ესე იგი, ქურდი ხარ... არა შეუძლებელია. არ ეტყოდა. ასეთი ვერაგი ხომ ვერ იქნება. თუმცა, ოცი წლისაა. სწორედ ახლა მოგცა გერმანულის მასწავლებელმა წასაკითხად შილერის **„ვერაგობა და სიყვარული.“** რადგან უკვე თავისუფლად კითხულობ დიდ წიგნებს. და გაქრა ეს ფიქრიც ... და დარჩა შენი ცახცახი და უძლურება.

და ხვდება ისიც, რომ ვერაფერს ეტყვი. რომ ხმას ვერ ამოიღებ.

გერმანულის იმედიღა გაქვს. ღმერთს ევედრები, გკითხოს, გერმანულის თაობაზე რაიმე. ახლა ხომ აღარ გამოგივა ტყუილი, როცა უპასუხებ, რომ კარგად იცი: ეს ენა. რომ აი, ასეთ წიგნებს კითხულობ უკვე.

ღმერთო, ღმერთო, ყველა უჯრედის, კაპილარისა და მოლეკულის მპყრობელო! რამდენი

უძლური კანკალი გადმოგეცემა ალბათ. ეს ცახცახიც შენში დარჩება, რადგან, აბა, სად უნდა წავიდეს? და გაქრობით როგორ უნდა გაქრეს! ეს ყველაზე უენო და ხმამაღალი მეტყველება. ზღვრული ენა. შენთან მომიჯნავე. რადგან შენ თურმე სიყვარული ხარ. და თუ ასეა, ალბათ ცახცახიც ხარ, ანუ თრთოლა, რადგან სიყვარული გაბმული თრთოლა ყოფილა.

და მერე ის ლაპარაკობს. გრძელ ხელებს ამოძრავებს. ცდილობს დამალოს, რომ ღელავს. ახლოს ზის შენთან. ოდნავ რომ მოიწიოს, მუხლებით შეგეხება...

და ის ამბობს, რომ შენ კარგად უნდა ისწავლო და გაკვეთილები აღარ გააცდინო. რომ თვითონ სულ მეცადინეობს, რადგან დროის დაკარგვა არ შეიძლება, რომ ეს შეცდომაა. რომ მერე ყველა ნანობს უქმად დაკარგულ დროს. რომ თუ არ ისწავლი, არასაინტერესო ცხოვრება გექნება და ა. შ. და რაღაცეები...

თურმე დივანზე ხელს აცურებ. დივანი ძალიან მწვანეა.

ის კი გეკითხება: **„რამე ნამცეცები ხომ არ ყრია“?**

„არა“ ამოთქვამ და ხელს აჩერებ.

„დაიმახსოვრე“ — ჩაგჩურჩულებს რაღაც ხმა. „დაიმახსოვრე.“ და წამით ისევ შეხედავ. ისევ ჩაგებეჭდება მისი მზერა, მზერა რომელსაც მოსწონს ის, ვისაც უმზერს. ბედნიერება გადაგირბენს გულზე ჩიტივით. თვალებს ხრი. **აი, ასეთი რამ**. **ასეთი** წუთები. შენს გვერდით ზის და გიყურებს. მისი თვალები მხოლოდ შენით არიან დაკავებულნი. ახლა მხოლოდ შენა ხარ მათში. მხოლოდ შენ და სხვა არავინ და არაფერი.

შემოხედვაც შეხებაა. თვალებით კოცნაა**. გრძნობ. სახით**.

ოდნავ წინ რომ იხრები, მისგან გამომავალი სითბო აღწევს შენამდე...

ასე დიდხანს ვეღარ ისხდებით. გრძნობ. ამას.

და უცებ: ზარი! კარზე.

გულის გადაქანება.

ისიც შეკრთება. უცბად დგება და წინკარში გადის. გესმის: ყრუ ლაპარაკი.

მერე შემოდის. ოთახის კარს მიხურავს. ზურგით მიეყრდნობა და ამბობს: **„უნდა წახვიდე. დედაშენი მოსულა**.“

წელს ძლივს აითრევ და მილასლასებ...

მის წინ გაჩერდი. იმან, ისე რომ არ განძრეულა, შენი პლაშჩისკენ გაიწოდა მარჯვენა ხელი. ჩამოხსნა. მოგახურა. ჯერ მარჯვენით, მერე მარცხენაც მიახმარა. მაშასადამე, ორივე ხელით. და... პლაშჩის საყელოებით თავისკენ მიგიზიდა. მოგეხვია. მარჯვენით პლაშჩის შიგნიდან. მარცხენით პლაშჩის გარედან. გულში ჩაგიკრა. ძლიერად. სახე სამჯერ გაგისვ-გამოგისვა სახეზე, ესე იგი, ცხვირი ცხვირზე, ტუჩები ტუჩებზე, ძალიან ნელა და ოდნავ...

და გკოცნის შუბლზე. ლოყებზე. ქუთუთოებზე. და მერე ტუჩებზე. **ზე.** და კვლავ იგრძენი სულ ოდნავი სისველე... სულ ოდნავი. და ჩაგჩურჩულებს: **„ძალიან კარგი გოგო ხარ. მინდა იცოდე ეს. და მინდა სულ ასეთი იყო. გესმის? ა ს ე თ ი “**

შენი ცამეტწლიანი ცხოვრების მ ე ო თ ხ ე დ ი დ ი დ ღ ე .
უ დ ი ა დ ე ს ი .

მთელი მსოფლიო გიყვარს. რატომ არ შეიძლება მთელი მსოფლიოს ჩახუტება? კოცნა? გადაირბინე ქუჩა. შეფრინდი ეზოში. ჩაეხუტე ჯეკას. აკოცე შავ ცხვირზე. ყვითელი ძროხა, ანუ, დარია ოსიპოვნა გარბის.

ვერაგი და მოღალატე ცისანა სარდაფის შესასვლელში დგას. იგი სისინებს, პურიან ბადეს გჩრის და სველ პირსაწმენდს გიჩვენებს: „ჩქარა! ადრე მოვიდა! ვითომ პირსაწმენდს ვფენდი და ჩამომივარდა. შენზე ვუთხარი, პურზე გავაგზავნეთ-მეთქი.“ ნაჩვრეტები ლოყებზე და ნიკაპზე უმოძრავებს. გაირბენთ ბნელ გვირაბს, არბიხართ კიბეზე, შერბიხართ სახლში...

უმცროს ძმას ეხვევი, მარიას ეხვევი, დედას კოცნი, დიდედას კოცნი და შენს ოთახში შერბიხარ: დგახარ სარკის წინ და სარკიდან გიყურებს ცამეტი წლის წმინდანი, ვიღაც კუნძულე-

ლი მეფის კურთხეული ასული, „დიდი ოქროს ენძელა...“ რაღაც სასწაული. და ცოცხალ ხელის ზურგზე კოცნი მას. სინორჩის სრულყოფილი ბედნიერება. უნდა გაუძლო. რადგან ბედნიერებაც საშიშია. ნია.

2007 წელი

— რა ქენი?

— დამაცადე ამოვისუნთქო. პირდაპირ წყნეთიდან მოვდივარ...

— ნახე?

— ვერა. გადასულა.

— სად?

— არ ვიცი. ჯერ ის ქუჩა ვეძებე კარგა ხანს. მერე სახლი. ეზოში მუშები ტრიალებდნენ. ვეკითხები, უკაცრავად, პროფესორი გოგი კორდია აქ ცხოვრობს-მეთქი, და არაო. სულ სხვა გვარი მითხრეს, იმის სახლიაო. მერე მეზობელს ვკითხე, ვუთხარი, პაციენტი ვარ მეთქი. სამი თვეა, რაც ეს სახლი გაყიდეს და გადავიდნენო. არ იცოდა სად. აი, ასე.

— აი, ასე. როგორც ჩანს, აღარ მიწერია ამ ადამიანის ნახვა. აღარ.

— ჯერ ფარხმალს ვერ დავყრით.

— ალბათ უცხოეთში წავიდა.

— არ ვიცით. ისევ პოლიციას უნდა მივაკითხო. ე.ი. ჩემს ბიძაშვილს. უნდა გავიგო, რატომ იყო ძველი მისამართი დაფიქსირებული და არა ახალი. თუ ჩვენი პოლიციის კომპიუტერული სისტემა მართლა ვითარდება, მალე უნდა გაჩნდეს პროფესორ გოგი კორდიას ახალი მისამართიც. და მადლობა უნდა შევწიროთ ცა-მიწისმჩხრეკელ დემონ ივანეს.

— ვინ ივანეს, კაცო?

— ვაიმეე, რით ვეღარ დაიმახსოვრე ის, ვინც ყველას თავი დაამახსოვრა, ვანო, გესმის, მინისტრი ვანო!

— ჰოდა, მიხვალ ახალ მისამართზე და გეტყვიან, ერთი თვეა, რაც გაყიდა და სხვაგან გადავიდა, სად — არ ვიცითო. დავიღალე.

— არა. გული მიგრძნობს, რომ ვიპოვით. ვერ მაჭმევ რამეს! ძალიან მომშივდა. ნაღვლის ბუშტი მჩხვლეტს. თავიც მტკივა.

— სუპი ხომ გინდა, და ყვავილოვანი კომბოსტო! ყოველივე საუკეთესო დაიმსახურე, როგორც უბადლო დეტექტივმა. მერე ყავა დავლიოთ.

— უჰ! ეგებ ცოტა ხანს დავიძინო და მერე შევჭამო? ძალიან დავიღალე. თან ვნერვიულობდი, ხომ გესმის.

— ჭამე და მერე დაიძინე...

1961 წელი

გაზაფხული

— რა სახე გაქვს! თითქოს გაჭყლეტილი ბაყაყი შემოგიგდეს!

— რა ბაყაყი, მარია, ნახე რა მახინჯი ყოფილა, ნახე!

— ვინა, კაცო? ვინ ყოფილა მახინჯი? რა წიგნია ეგ? — დაიცა, ჩამოვიდე.

მარია ფანჯრის წმენდას თავს ანებებს. რაფიდან ძირს ჩამოცურდება.

— ნახე. გული! რა კოტიტაა! რა სქელია! რაღაც გადაჭრილი მილები ამოსჩრია და გარედან კიდევ ჭიაყელების ბადე აქვს გადაკრული!

— **„გული. გულსისხლძარღვთა**...“ რა ჭირად გინდა ეგ წიგნი, დედაშენის. ჭიაყელები კი არა სისხლძარღვებია ეს... ეგ გადაჭრილი მილები კი აორტაა ან რაღაც ჯანდაბა!

— ასეთი მახინჯი უნდა იყოს? გული? ასეთი?

— შენ, რა, ტირი? შენ მართლა აფრენ, იცი, ნიუშკი...

— და კიდევ, ნახე რა წერია: **„გულის ფუნქციაა სისხლის რიტმული გადატყორცნა ვენებიდან არტერიაში“** ეს იდიოტობაა გულის ფუნქცია? გულის ფუნქცია სიყვარული არ არის? ამას ასწავლიან სტუდენტებს? თან კიდევ მე ავადმყოფი ვარ, მარია, იმიტომ რომ ეს ყველაფერი მჭირს: **სინუსური ტაქიკარდია** (გულისცემის მომატება წუთში 100 დარტყმამდე და მეტად), **სინუსური ბრადიკარდია** (გულისცემის შენელება 60-30 დარტყმამდე) **წიი— ნაგულ-ოვანი ექ-სტრაა-სისტოო-ლიები** (პაციენტი მათ შეიძლება აღწერდეს როგორც „გულის ფრიალს“), **წინაგულების ციმციმი და თრთოლა (მოციმციმე არიტმია)...**

— გაჩერდი! გაჩერდი! თორემ კივილს დავიწყებ! — და იცინის — Ой, мамочка! შენ წაკითხული არ გექნება, Трое в лодке, не считая собаки, — ხოდა, წაიკითხა იქ ერთმა ტიპმა სამედიცინო ლექსიკონი და დაასკვნა, რომ ყველა დაავადება სჭირს кроме воспаления коленного сустава და შენ რაღაც სხვა რამე გჭირს, ნია, ვიცი მე...

1961 წელი

— აბა, რა გვქონდა გასამეორებლად?

— სიყვარული ვეფხისტყაოსანში, მასწ!

— აბა, დავიწყოთ პირველი მერხიდან და ვთქვათ საზეპიროები. ვისაც არ ეცოდინება, კარგად ჩაიბეჭდეთ თავებში, ნიშანი არ ეღირსება! აბა, ვიწყებთ...

.....

— ყოჩაღ! ყოჩაღ!

— აბა შენ!

— მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენელთა ყურნიცა დავალდებიან;
ვთქვა ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცსა ჰხვდებიან;
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან...

— ყოჩაღ! მაგრამ „მსმენელთა“ კი არა, არამედ, „მსმენლისა“! და კიდევ: „ვთქვა“ კი არა, არამედ „ვთქვნე“, გასაგებია? აბა, გავაგრძელოთ!

— მასწ! მასწ! რა არის, მასწ, „ხელობანი ქვენანი?“

—ხომ აგიხსენით, ხომ ჩაგაწერინეთ?! ეს იგივეა, რაც მომდევნო სტროფებში რომ ამბობს: „მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი; მიჯნურობა სხვა რამეა არ სიძვისა დასადარი: იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი, ნურვინ გაჰრევთ ერთმანეთსა, გესმათ ჩემი ნაუბარი! და „მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაში-მტლუში“! ეს არის მდაბალი გრძნობა! გასაგებია? რას იცინი, ბიჭო?! გავაგრძელოთ! აბა, ლელიშვილი! გამოერკვიე! ადექი და თქვი! რაო! კიდევ არ იცი! რა ჯანდაბა დაგემართა, გოგო, როცა ვისწავლეთ, არ შევიდა შენს თავში, ახლა ვიმეორებთ, და ამდენი ხნის მანძილზე ერთი სტროფი მაინც არ უნდა გესწავლა? რა დაგიშავა მაინც ამ რუსთაველმა, რითი ვეღარ მოგაწონა თავი?! რა არის აქ ძნელი გასაგები? აგერ ამდენმა შენმა ამხანაგმა გაიგო და შენ რით ვეღარ გააცნობიერე, რა არის ნამდვილი, ამაღლებული სიყვარული რუსთაველისთვის! და საერთოდ? მართალია, გაკვეთილებს აღარ აცდენ, მაგრამ, რად გინდა! ვეღარ მოსულხარ გონს! ღმერთო, ვისთვის იწერება ამდენი მშვენიერი პოეტური ქმნილება?! აბა, ცაგარელი, შენ გააგრძელე, უსმინეთ ყველამ:

— არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა ჭირთა, მალვა,
თავის წინა იგონებდეს, გამუდმებით ჰქოდეს ხალვა,

შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა,
დასთმოს წყრომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.
— ყოჩაღ, ცაგარელი! მაგრამ „გამუდმებით“ კი არა, არამედ „ნიადაგმცა!“

2009 წელი

— არ უნდა ითარსებოდეს ადამიანი! მართლა ყვავივით დაიყრანტალე მაშინ, იპოვი მის ახალ სახლს და ისიც გაყიდული დაგხვდებაო! ვიპოვე! მართლაც! როგორ არ შევაქო სწორუპოვარი მინისტრის სისტემა? უკვე იყო კომპიუტერში მისი ახალი მისამართი! წავედი, ვიწანწალე, მოვძებნე, ვიპოვე და მითხრეს, ორი კვირაა, რაც ეს სახლი გაყიდა და სხვაგან გადავიდაო!

— აი, ხომ ხედავ...

— დამანებე თავი... მეტი აღარც დრო მაქვს, აღარც ენერგია... სად არის ჩუსტები? ფეხები მეტკინა.

— მიდი მიწექი ცოტა ხანს, გვირილის ჩაის მოგიტან...

.....

— როგორ მიყვარს, ეს ორი ტახტი ერთმანეთის პირისპირ რომ დგას, არც ერთ ჩემს ნაცნობს არ მოსვლია მსგავსი რამ თავში. ორი დაღლილი ადამიანი წევს და ერთმანეთს უყურებს და ელაპარაკება.... ეს მუთაქებიც და ბალიშებიც გლიჯავს. თან წიგნების კარადაც აქვეა... МИР. შენ, რად გინდა ეს გრანდიოზული რადიომიმღები, რომელი წელთაღრიცხვისაა?

— ჩემი ბავშვობის დროინდელია. მარტო ჩვენ გვქონდა იმ ხანებში ამხელა რადიომიმღები. მთელ საღამოებს ამასთან ვატარებდი... ჭკუაზე გადავდიოდი, მთელი მსოფლიოს ხმები, ენები და სიმღერები რომ მესმოდა.... ასე მეგონა, მსოფლიო ოთახში მყავდა. ვგიჟდებოდი, ისე მინდოდა გამეცნო ეს მსოფლიო.

— რა მაინტერესებს იცი? მაინც როგორ დამთავრდა მაშინ თქვენი ამბავი?

ესე იგი, შენი და მისი.

— როგორ? საშინლად მძიმე დღე იყო. გაუგებარი.

— რატომ წამოჯექი, არ შეგიძლია დაწოლილმა მოყვე?

— არა. ეს არა. ჩვენი ბოლო შეხვედრა მის სახლში შედგა. ეს იყო მეოთხე შეხვედრა. ამის შემდეგ სკოლა აღარ გამიცდენია, რადგან მან მთხოვა, აღარ გააცდინოო. ერთხელ, იქნებოდა ასე, ორი კვირა გასული, დაორთქლილ ფანჯარაზე გოგო დახატა: ბათინკებიანი ფეხები ერთი მიმართულებით, თავზე ქუდი, ხელში ჩანთა... და მერე ორი თითით ფანჯარაზე გაიარა. ასე გამახსენა კიდევ ერთხელ, რომ სკოლაში უნდა მევლო. და ორივე ვიცინოდით. შემოვიდა კარის მეზობელი, სარა სულაქველიძე და აღელვებული ეუბნება ბებიაჩემს და ჩვენს შინამოსამსახურე მარიას: „ამის ატანა უკვე აღარ შეიძლება! ის ვაჟბატონი მთელი დღე თვალს არ მაშორებს, ახლა კი რაღაცეებს მიხატავს ფანჯარაზე! მაგისი ტოლი ვარ მე?“ გესმის? მარიამ დაიტრიალა თითი შუბლთან... მე მგონი, ყველას ეგონა, რომ მას უყურებდა! სარას, მანია ბეკერს, ლიზა ბელსკის, ქვემოთ კიდევ ბუაჩიძეებს, ფუტურიძეებს... რამდენიმე დღის შემდეგ ფანჯრის მინის ხელა ქაღალდზე უზარმაზარი ფერადი ყვავილი დავხატე. მთელი დღე ვხატავდი. მართლა გული და სული ჩავაქსოვე. ფანჯარას ავაკარი და ვანიშნე შენ გიძღვნი-მეთქი. გაიცინა. აივანზე გამოვიდა, რომ კარგად დაენახა, მერე ხელი გულზე დაიდო და მდაბლად დამიკრა თავი. ორიოდ წუთში ლიზა ბელსკი ეჩურჩულება მარიას, უკვე აივნიდან მიკრავს თავსო. მოკლედ, ამის შემდეგ აღარ გამოჩენილა. აღარ მინახავს. პურის მაღაზიიდან ვბრუნდებოდი, მუხაძის ქუჩის ბოლოში იყო ეს მაღაზია. საშინელი ქარი ქროდა. მივდივარ მისი სახლისკენ და რას ვხედავ: მუხაძის №14-ის წინ დგას ავეჯით გავსებული სატვირთო მანქანა... მაშინვე ვიცანი მისი მწვანე დივანი და ყვითელი ტორშერი, რაღაც გვერდულად იყო ჩაჭედილი სკამებს, საწოლებსა და მაგიდას შორის, მაგრამ სწორედ მწვანე დივნის გვერდით, რომელზედაც ვიჯექი მაშინ, მის სახლში რომ ამოვყავი თავი... მანქანა უცბად დაიძრა და რატომღაც ძალიან სწრაფად წავიდა, მთელი ავეჯი აჯაყჯაყდა. ტორშერი წაყირავდა.. თავზარი დამეცა. მეგონა, მარტო ჩემი კი არა, მთელი

მსოფლიოს ცხოვრება დამთავრდა და სადღაც გაიქცა... და გამოვეკიდე... მანქანა წამით შეჩერდა ბერძენიშვილის ქუჩასთან, თითქოს ყოყმანობსო და გაქრა... საშინელი ქარია. ელექტრონის ბოძთან ვდგავარ გაქვავებული, ჩვენი სახლის მხარეს... ცალი ხელი შემოვხვიე ბოძს... და ერთი სახლიდან ვიღაც თმააწეწილი რაღაცას მიყვირის, მერე სხვა თმააწეწილიც თავის აივნიდან რაღაცას მიყვირის ხელების ქნევით. არ ვაქცევ ყურადღებას... ყველაფრით, თვალებით, გულით, ტვინით, ხელებით მივხვდი: რომ ის სულ წავიდა. და უცებ ვხედავ ჩამოწყვეტილ ელექტრომავთულს, ქარში რომ იკლაკნება... და სწორედ მისკენ დავიწყე ნაბიჯების გადადგმა. ყვირილი გაძლიერდა და ღრიალში გადაიზარდა. სხვებიც მიემატნენ... აივნებიდან... კარგად მახსოვს, რომ გადავწყვიტე, ეს მავთული ხელით დამეჭირა. ვტაცე კიდეც ხელი. და თვალები დავხუჭე. უცებ რაღაც პატარა შავი სატვირთო მანქანის მსგავსი გაჩერდა ჩემს წინ, ძარაზე კიბე ჰქონდა, და შავფორმიანი მუშა გადმოხტა, რომელმაც მერე კიბეზე დაიწყო ასვლა... სინათლე უკვე გაეთიშათ მთელ ქუჩაზე...

— შენ, რა, თავს იკლავდი?

— ეგრე გამოდის. მახსოვს, რომ მაშინვე, როგორც კი მისი საგნებით სავსე მანქანა გაუჩინარდა, რაღაც საშინელი დაღლილობა ვიგრძენი. თავი ამტკივდა. ვინ გაუძლებს ასეთ ძაბვას მთელი ორი წელი! კიდევ რაღაცის ატანა აღარ შემეძლო. მიშველე, მარია!-მეთქი სახლში რომ ავბრუნდი და ხელებში ჩავუვარდი. გული თითქმის აღარ მიცემდა... რაღაც წამალი დამალევინა. მივეგდე ლოგინზე და ძილქუში დამეცა. ამის შემდეგ აღარ მინახავს. და, რაც მთავარია, აღარ მიძებნია. 1995 წლამდე.

— ო, ღმერთო ჩემო, ნაღვლის ბუშტი ამტკივდა... საშინელი სევდით მავსებს ეგ ამბავი... შენ რომ არ მიყვებოდე, არ დავიჯერებდი. არის ამ ყველაფერში რაღაც დაუჯერებელი... და მოუნელებელი... ამდენი ხანი, ამდენი ხანი არსად რომ არ შეგხვედრია! რატომ? რატომ? მომაწოდე, ნო შპა, თუ შეიძლება... მისმინე, და მაინც ყველაზე მეტად რაზე გწყდება გული?

— გითხრა? რაზე და... ორჯერ მომეხვია, სულ ორჯერ ჩამიკრა გულში, ერთხელ ვაკის პარკში და ერთხელ თავის სახლში, და ვერც ერთხელ ვერ გავბედე, მეც მოვხვეოდი... და აი, ეს ისე დამაკლდა... ისეთ აღუსრულებელ ნატვრად დამრჩა... რადგან თუ რამე არის ამქვეყნად ცათა სასუფეველი, — ეს მოხვევნაა, გულში ჩაკვრა... და მერე, დიდი ხნის შემდეგ სულ ამას ვხედავდი ხოლმე, სიზმარში, რომ ვბედავდი და მეც ვხვევდი ხელებს, წელზე, ძალიან ძლიერად.... ხანდახან გამღვიძებია და ხელები ჰაერში მქონია მორკალული...

— სადღაც გიწერია „სულიწმიდის კვერი“

— ჰო. აი, ეს. და კიდევ იმაზე მწყდება გული, რომ ერთმანეთის სახელები არ წარმოგვითქვამს, ესე იგი, არ მიგვიმართავს ერთმანეთისთვის, არ დაგვიძახია. არადა, როცა შენი შეყვარებული წარმოთქვამს შენს სახელს, თითქოს ტუჩებით ეხება იმას, ვინც შენ ხარ... ეს მართლა ძალიან ინტიმური რამ არის. ამ დროს იგრძნობ, რატომ არის სახელი საიდუმლო. კიდევ იმაზე მწყდება გული, რომ მისგან არაფერი, ესე იგი, არცერთი ნივთი არ დამრჩენია, რომ ერთმანეთისთვის წერილი არ გაგვიგზავნია, რომ ქუჩაში არ გაგვივლია, რომ ჩვენი ქუჩები შეიცვალა, ფალიაშვილზე, მოსაშვილზე, მუხაძეზე ძველი აგურის სახლები გაქრა და უწარსულო, უმეტყველო ახალი და ყრუ შენობები გაჩნდა, რომ ქუჩებში ჰაერი აღარ იძვრის და ხეები ხმება, რომ დარიალის ქუჩას ახლა ელიავას ქუჩა დაარქვეს და ვაკის პარკის შესასვლელში რესტორანი ჩადგეს, მის შუაგულში კი ნავების ადგილას დიდი შენობა... იმ დღეს ტაქსით გავიარე მუხაძის ქუჩაზე, დარიალის ქუჩიდან ავუხვიე, და მადლობა ღმერთს, მისი სახლი ისევ ისე დგას, მუხაძის №14. ძველი, დაბინდული აგურის სამსართულიანი სახლი, ხის ფანჯრები ღრმად რომ აქვს ჩამჯდარი, მაგრამ მთელი ქუჩა უსიამოვნოდ შეცვლილია... ტალავერები აღარ არის. ჩემს მეხსიერებაში კი აღარაფერი შეიცვლება. ვაკის პარკი სამი შესასვლელით: მოსაშვილის, ფალიაშვილის და ბარნოვის ქუჩებიდან. და იქ, შუა შესასვლელში, მარცხენა მხარეს, მეორე სკამზე ვსხედვართ ჩვენ, მე და ის... და ის თავის პალტოში მხვევს, რომ არ შემცივდეს... და ვსხედვართ ასე. და გადის წელიწადის დროები. და გვაცვივა ყვითელი ფოთლები, გვეცემა წვიმის წვეთები, გვეფინება თოვლის ფიფქები... ჩვენ კი არ ვბერდებით, რადგან ერთმანეთს ვართ ჩახვეულები... და რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ პირადი ბედნიერების ხსენებაზე თუ გახსენებაზე მხოლოდ და მხოლოდ

მასთან ოთხი შეხვედრის ეპიზოდი გამახსენდებოდა. დღემდე. როგორც ჩანს, ეს იყო ერთადერთი შეხვედრა. დანარჩენი ყველა შეხვედრა არასწორი იყო. შედეგებით თუ ვიმსჯელებთ. ან: სხვა დანარჩენი: კარგი, ცუდი, ნაზი, უხეში, მართალი, სუფთა თუ რაც იყო — ჩვეულებრივი ცხოვრება იყო. ის კი — არაჩვეულებრივი.

— ჰო. როგორც ანა მანიანის უთქვამს, იყვნენ კაცები ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ მათ არაფერი მოუტანიათ ჩემთვის გაწბილების გარდაო. ერთი შენი ლირიკული პერსონაჟი ქალი რომ ამბობს, სად აღარ მახსოვს, „მაგრამ მათ ჩემში გაწბილების დატოვეს სევდა, ისიც არ მახსოვს, თუ ეს სევდა რისი კვალია“... ეჰ. მართლაც. ყველაზე კარგად რატომ გამახსოვრდება ის პერიოდი, რომელიც ფიზიკურ დაახლოებას უსწრებს წინ? ხომ არის ამაში რაღაც სრულიად გამოუცნობი? საშინლად დავსევდიანდი. და მისთვის თვალებში რომ არ შეგიხედია, ალბათ ამაზეც გწყდება გული, მისი თვალების ფერი რომ არ გახსოვს.

— ხო. ხომ გითხარი. და რა იყო, იცი? მე მას ვერ ვუძლებდი. და ოთხივეჯერ, როცა მის გვერდით აღმოვჩნდი, გაქცევა მინდოდა მისგან. შორს რომ ვიყავი, მასთან ყოფნას ვნატრობდი, მასთან რომ ვიყავი, შორს ყოფნას, და ეს იმიტომ, რომ ჩემი გრძნობა იმდენად დიდი იყო, რომ ვერაფრის დამატებას ველარ გაუძლებდა. და არც გულისხმობდა. რაღაც საოცრება გადავიტანე. ძალიან მიკვირს, რომ არ მოვკვდი.

2010 წელი

— დაამთავრე მოთხრობა?

— მე მგონი.

— კმაყოფილი ხარ?

— არა, რა თქმა უნდა... რაც მინდოდა, ის მაინც არ გამოვიდა... რაღაც დაუცველი და უმწეო გაჩნდა....

— როდის მომცემ წასაკითხად?

— რა ვიცი. როცა გინდა.

— და როდის მიუტან ძებნილ გოგი კორდიას?

— მე? მე? მე... ვერ მივუტან...

— რაა? ძლივს გადავაწყდი მაგ სუბიექტს, უკვე იცი, სადაც მუშაობს და არ მიუტან!!?

— ვერა. არ შემიძლია... მეც ვეკითხები ჩემს თავს, რატომ, რატომ არ შეგიძლია-მეთქი. წადი, ნახე, ხომ ეგ გინდოდა, ხომ მაგას ნატრობდი ამდენი ხანი, რომ გენახა, როგორ გამოიყურება, დაილაპარაკეთ, მოუსმინეთ ერთმანეთს-მეთქი. და ვერ მიხსნის ჩემი თავი, რატომ არ შეუძლია... მაგრამ, არ შეგვიძლია. ესე იგი, მე და მე, ანუ: ჩვენ. როგორ მინდა, როგორ მინდა, ღმერთო, რომ შემეძლოს.

— ოო, ზეცანო! მაშ რისთვის დავწანწალებდი ამდენს? რისთვის მაძებნინე ამდენი? არადა, ეგ მისი ბიოგრაფიაც ხომ არის! ხომ იმსახურებს ადამიანი იმის ცოდნას, ვისზე როგორ იმოქმედა, ვისში რა გრძნობები გამოიწვია, რბილად რომ ვთქვათ...

— იმსახურებს.

— მით უმეტეს, 70 წლის კაცი რომ იძულებულია ისევ იმუშაოს და თან იმ ტიალ, დუხჭირ საავადმყოფოში?! აი, ასე.

— ჰო. მაგრამ შენც ხომ იცი, რომ ვინც ჩვენ გვიყვარდა, ან ვინც გვიყვარს, ის აქ არ არის...

— სად აქ?

— დედამიწაზე. მოკლედ, არ ვმეორდებით. წარმოიდგინე, რა საშინელება იქნება, სულ სხვა ვიღაცას რომ გადააწყდე. მაგალითად, ამ მთავრობის კაცი რომ აღმოჩნდეს. ხომ გავგიჟდები!

— იცი, რომ შენი ყველაფერი იცის?

— რა იცის?

— რაც ხალხმა იცის. მოგეხსენებათ, რომ ასე თუ ისე, ცნობილი პიროვნება ბრძანდებით. ტელევიზიით, რადიოთი, პრესით ესაუბრებით საზგადოებას. ჰოდა, ისიც თვალს გადევნებდათ მთელი ეს ხანი.

— დედაა... რას ამბობ! ესე იგი, ეგ სულ მხედავდა, ღმერთივით, მაშინ როცა მე ვეძებდი! როცა თვალის მოკვრას ვნატრობდი! მაშინ კი, მაშინ, იმ ორი წლის მანძილზე მე ვხედავდი და ეგ ვერა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა. არადა, მთელი ცხოვრება მინდოდა, რომ ყველასთვის უცნობი ვყოფილიყავი! ვერავის ვეცნე ქუჩაში, ტრანსპორტში, რა ვიცი, ვერსად! ამიტომ მეჯავრება ტელევიზიით გამოსვლა, მაგრამ ყოველთვის ხომ ვერ დააღწევ თავს! მაშასადამე, სულ მადევნებდა თვალს? და მე რომ ასე შევიცვალე! რა საშინელებაა!

— ისიც ხომ შეიცვალა...

— მაგრამ მე ეს არ მინახავს და ამიტომ ისევ ისეთი მეგულება, როგორიც მახსოვს...

— უცვლელი... ღვთაებასავით... ესე იგი, მოთხრობას თავის შესახებ ვერ წაიკითხავს...

— რატომ? შენ მიუტანე. ბოლო-ბოლო მისი პაციენტი ხარ... და თან თვალებშიც შეხედე, მითხარი, რა ფერისა აქვს..

— მეე?.... კარგი მივუტან. იმას ნამდვილად ვერ გადავიტან, რომ არ წაიკითხოს. თვალებშიც შევხედავ... და შენ? მართლა არ ნახავ?

— არა.

— ნუ მეუბნები მაგას, ნუ! ცუდად ვხდები! გემუდარები, ნახე და ერთხელ მაინც მოეხვიე... რა გახდა ეს ერთი მოხვევნა! ოცდამეერთე საუკუნეში! რა გახდა ეს ერთი, ერთადერთი მოხვევნა, გამაგებინე! ნუ გამიშვებ სამარეში მაგ დარდით... და ნურც შენ წახვალ...

— რა გახდა! ადვილი სათქმელია...

— მოთხრობა რომ დაიბეჭდება, იმედია დაბეჭდავ სადმე, მე მგონი, რაღაც მოძრაობა დაიწყება მოთხოვნით, რომ შეხვდე იმ კაცს და ერთმანეთს გადაეხვიოთ. არ შეიძლება თქვენი ისე წასვლა ამ ქვეყნიდან. ამას **მაინც** ვერ უნდა მივაღწიოთ? იმას, რომ ორი ადამიანი, რომლებმაც ოდესღაც ერთმანეთი გულში ჩაიკრეს და მერე მთელი ცხოვრება ერთმანეთი აღარ უნახავთ და **ეს** სულ ახსოვდათ, ერთმანეთს გადაეხვიოს? გავგიჟდები. თუმცა, რა **მაინც!** ასე მგონია, ამ მოხვევნაში ათასობით დაბერებული გული გაახალგაზრდავდება და გაქვავებული გალღვება... **ასე მგონია.**

— ორზე რას ლაპარაკობ? მანდ მხოლოდ ერთს უყვარდა...

— ხო, მაგრამ იმ ერთის სიყვარული იმხელა იყო, ორივეს ყოფნიდა და ისტორიაც შექმნა... ეჰ. ალბათ ღმერთს გამორჩეულად უყვარს უპასუხო სიყვარულით გატანჯულები, რადგან თვითონაც უპასუხოდ ვუყვარვართ, ჩვენ ხომ ვერასოდეს შევიყვარებთ მას ისე, როგორც მას შეუძლია ჩვენი სიყვარული... უკვე შეიძლება ფანჯრის გახსნა. უკვე დათბა. ხედავ ხეებს? ისევ მოვიდა გაზაფხული... ისევ ისეთი, როგორც ყოველთვის, ნირუცვლელი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს... გადმოირბინა სასაფლაოები, ბიბინბიბინით, და შემოვარდა ქალაქში... შლის აფრებს და ყველას აგიჟებს, უგზო-უკვლო ზღვაში გამომყევითო, სულაც არ აინტერესებს, ვის რა პრობლემა აქვს, ასაკი, კანონები და სხვა ტვირთები... მაშველ რგოლსაც კი არ გვპირდება... როგორ გინდა გაუძლო! შენ კიდევ ერთ, ერთადერთ შეხვედრაზე, ერთ მოხვევნაზე ამბობ უარს?

1961 წელი

მშვიდობით, ჩემო დღიურო.

რა ხანმოკლე აღმოჩნდა შენი სიცოცხლე. ახლა აღარაფერი აღარ ხდება და მეც აღარაფერი მაქვს შენთვის სათქმელი. აი, ორ წამში დაგხურავ და მოკვდები.

მაგრამ ჩემი ანბანით უკანასკნელად დაგიწერ ჩემს სიტყვებს, რომლებსაც ველარავინ წაიკითხავს. ველარც შენ.

ნომრის თემა: ლევ ტოლსტოი და რელიგია

ლევ ტოლსტოი

ბოლოთქმა „კროიცერის სონატისათვის“*

უამრავი წერილი მივიღე და კვლავაც ვიღებ ჩემთვის უცნობ პირთაგან, რომლებიც მთხოვენ, უბრალოდ და გასაგებად ავუხსნა, თუ რას ვფიქრობ ჩემს მიერ დაწერილი მოთხრობის შესახებ, რომლის სათაურია „კროიცერის სონატა“. შევეცდები გავაკეთო ეს, ანუ რამდენადაც შესაძლებელია, მოკლედ ავხსნა დედაარსი იმისა, თუ რისი თქმა მსურდა ამ მოთხრობაში, და რა დასკვნების საფუძველს იძლევა ის.

უპირველეს ყოვლისა მინდოდა მეთქვა, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჩამოყალიბდა ყველა ფენისათვის საყოველთაოდ აღიარებული და ცრუ მეცნიერების მიერ მხარდაჭერილი მტკიცე შეხედულება იმის თაობაზე, რომ სქესობრივი ურთიერთობა აუცილებელი პირობაა ჯანმრთელობისათვის და რადგანაც ქორწინება ყოველთვის არაა შესაძლებელი, ქორწინების გარეშე სქესობრივი ურთიერთობა, რაც მამაკაცს არაფერს ავალდებულებს, ფულის გადახდის გარდა, სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, და ამიტომაც ეს აუცილებლობა უნდა წახალისდეს კიდეც. ეს შეხედულება იმდენად აღიარეს და განმტკიცდა, რომ ექიმების რჩევით, მშობლები შვილების გარყვნილებასაც კი უწყობენ ხელს; მთავრობებს, რომელთა ერთადერთი საზრუნავი თავისი მოსახლეობის ზნეობრივი კეთილდღეობაა, წესად შემოაქვთ გარყვნილება, ანუ აყალიბებენ ქალთა მთელ ფენებს, განწირულთ ფიზიკური და სულიერი განადგურებისათვის, რათა დააკმაყოფილონ მამაკაცთა ვითომდა მოთხოვნილებები, ხოლო უცოლო კაცები კი, სრულიად დამშვიდებული სინდისით ეძლევიან გარყვნილებას.

და აი, მე მსურს ვთქვა, რომ ეს არაა კარგი, ვინაიდან არ შეიძლება, რომ ადამიანთა ერთი ნაწილის ჯანმრთელობას შეეწიროს სხვა ადამიანების სხეული და სული, ისევე, როგორც დაუშვებელია, რომ მავანთა ჯანმრთელობისათვის სხვათა სისხლი შეისვას.

დასკვნა კი, რომელიც ჩემი აზრით აქედან ბუნებრივად უნდა გამომდინარეობდეს, არის ის, რომ ასეთი მცდარი აზრისა და სიცრუის აყოლა არაა საჭირო. იმისათვის კი, რომ არ ავყვეთ ყოველივე ამას, საჭიროა, ჯერ ერთი, არ დავუჯეროთ უზნეო მოძღვრებებს, როგორი ცრუ მეცნიერებებიც არ უნდა უჭერდნენ მათ მხარს, მეორეც, გვესმოდეს, რომ ისეთ სქესობრივ ურთიერთობაში შესვლა, რომლის დროსაც ადამიანები თავს იზღვევენ მოსალოდნელი შედეგებისაგან — შვილებისაგან, ან კიდევ ამ შედეგების მთელ სიმძიმეს ქალებს აკისრებენ, ანდა წინასწარ გამორიცხავენ ბავშვების გაჩენის შესაძლებლობას, ასეთი სქესობრივი ურთიერთობა დანაშაულია ზნეობრიობის ელემენტარული მოთხოვნილებების წინაშე — ანუ, არის უნამუსობა, და ამიტომ, თუ უცოლო კაცებს არ სურთ იცხოვრონ უნამუსოდ, არ უნდა ჩაიდინონ ასეთი რამ.

იმისათვის კი, რომ მათ შეძლონ თავის შეკავება, უნდა მისდევდნენ ცხოვრების ბუნებრივ წესს: არ მიეძალონ სმას, უზომოდ არ ჭამონ, მოერიდონ ხორცს და არ აარიდონ თავი შრომას (ოღონდაც ტანვარჯიშსა და გასართობ შრომას კი არა, არამედ დამქანცველ შრომას), აზრადაც არ გაივლონ სხვა ქალებთან ურთიერთობის შესაძლებლობა, ისევე, როგორც ნებისმიერი ადამიანი არ დაუშვებს ამგვარ საქციელს დედასთან, დებთან, ნათესავებთან და მეგობრის ცოლებთან.

---

*კროიცერი, როდოლფ (1766-1831წ.წ.) — გერმანული წარმოშობის ფრანგი მევიოლინე, Rodolphe Kreutzer, რომელსაც მიუძღვნა ბეთჰოვენმა სონატა №№9 ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის.

ეს პირველი.

მეორე გახლავთ ის, რომ ჩვენ საზოგადოებაში, სადაც სასიყვარულო ურთიერთობებს განიხილავენ არა მარტო ჯანმრთელობისა და სიამოვნების უცილობელ პირობად, არამედ როგორც ცხოვრების პოეტურ, ამაღლებულ ნეტარებას, ცოლქმრული ღალატი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საზოგადოების ყველა ფენაში, (განსაკუთრებით გლეხობაში, სალდათობის წყალობით).

და მიმაჩნია, რომ ეს არ არის კარგი. დასკვნა კი, რომელიც აქედან უნდა გაკეთდეს, არის ის, რომ ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს.

იმისათვის, რომ ეს არ ხდებოდეს, საჭიროა შეიცვალოს დამოკიდებულება ხორციელი სიყვარულისადმი, მამაკაცები და ქალები ოჯახში უნდა იზრდებოდნენ ისეთი სულისკვეთებით, ისეთი საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით, რომ ქორწინებამდე და ქორწინების შემდეგ, შეყვარებულობას და მასთან დაკავშირებულ ხორციელ სიყვარულს, როგორც პოეტურ და ამაღლებულ მდგომარეობას კი არ უნდა უყურებდნენ, როგორადაც ამას ახლა მიიჩნევენ, არამედ როგორც ადამიანისათვის დამამცირებელ, ცხოველურ მდგომარეობას, და რომ დაქორწინების დროს მიცემული ერთგულების პირობის დარღვევა, საზოგადოებრივი აზრით ისეთნაირად მაინც უნდა ისჯებოდეს, როგორც ისჯება ფინანსური ვალდებულებების დარღვევები, სავაჭრო გამორჩენები და არ უნდა უმღეროდნენ მას რომანებში, ლექსებში, სიმღერებსა და ოპერებში, როგორც ამას ახლა აკეთებენ.

ეს მეორე.

მესამე ისაა, რომ ისევ და ისევ იმ მცდარი შეხედულების შედეგად, ხორციელი სიყვარულის მიმართ რომ არსებობს, ბავშვების დაბადებამ აზრი დაკარგა, და იმის მაგივრად, რომ შვილი წარმოადგენდეს ცოლქმრული ურთიერთობის მიზანსა და გამართლებას, სასიამოვნო სასიყვარულო ურთიერთობათა გახანგრძლივების ხელის შემშლელ პირობად იქცა, და ამის გამოა, რომ ქორწინების გარეშე და ქორწინებაში მყოფთა შორის, მედიცინის მეცნიერების მსახურთა რჩევით, გავრცელება იწყო იმ საშუალებათა გამოყენებამ, ქალებს შვილების გაჩენის შესაძლებლობას რომ ართმევს, ან კიდევ ჩვეად იქცა ის, რასაც ადრე არ ჰქონია ადგილი და ახლაც არ ხდება პატრიარქალურ გლეხთა ოჯახებში: ცოლქმრული ურთიერთობების გაგრძელება ფეხმძიმობისა და ძუძუთი კვების დროს.

და მე მიმაჩნია, რომ ეს არ არის კარგი. არ არის კარგი ბავშვების გაჩენის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს ათავისუფლებს ადამიანებს ბავშვებზე ზრუნვისა და გარჯისაგან, რაც ხორციელი სიყვარულის გამოსყიდვას ემსახურება, მეორეც კი, იმიტომ, რომ ეს ძალიან ახლოსაა ადამიანის სინდისისათვის ყოვლად მიუღებელ ქმედებასთან — მკვლელობასთან. ასევე ცუდია თავშეუკავებლობა ორსულობისა და ძუძუთი კვების დროს, ვინაიდან ეს ანადგურებს ქალის ფიზიკურ და რაც მთავარია სულიერ ძალებს.

დასკვნა კი, რომელიც აქედან გამომდინარეობს, არის ის, რომ ამის კეთება არ შეიძლება. და იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს, უნდა იქნას გაგებული, რომ თავშეკავებულობა, რაც ადამიანის ღირსების უცილობელი შემადგენელი პირობაა ქორწინებამდე, კიდევ უფრო აუცილებელია ქორწინებაში ყოფნის დროს.

ეს მესამე.

მეოთხე არის ის, რომ ჩვენს საზოგადოებაში, სადაც ბავშვებს სიამოვნების ხელისშემშლელად, ან ბედკრულ შემთხვევად, ანდა თავისებურ სიამოვნებად მიიჩნევენ, მაშინ, როცა ისინი იბადებიან უკვე წინასწარ განსაზღვრული რაოდენობით, ამ ბავშვებს ადამიანური ცხოვრების ამოცანების გათვალისწინებით კი არ ზრდიან, რაც მათ, როგორც გონიერ და მოსიყვარულე ადამიანებს მოელით, არამედ იმ სიამოვნებათა სულისკვეთებით, რაც, მშობლებს უნდა მოჰგვარონ მათ. ამის შედეგად კი, ადამიანის შვილები იზრდებიან ცხოველების ნაშიერთა მსგავსად, ასე რომ, მშობელთა უმთავრესი საზრუნავი ის კი არაა, რომ შეამზადონ ისინი ადამიანისათვის შესაფერისი ღირსეული ქმედებებისათვის, არამედ ის (რაშიც მშობლებს მხარს უჭერს ისეთი ცრუ მეცნიერება, როგორიცაა ეგრეთ წოდებული მედიცინა), რომ რაც შეიძლება კარგად გამოკვებონ ბავშვები, გაზარდონ სიმაღლეში, რომ ისინი გამოიყურებოდნენ სუფთად, თეთრფეროვნად, მაძღრად, ლამაზად (თუ ამას ჩვენში, დაბალ ფენებში არ აკეთებენ, მხოლოდ ძალაუნებურად ხდება, თორემ დამოკიდებულება იგივეა). და გააზიზებულ ბავშვებში, ისევე, როგორც ყოველ გადამძღარ ცხოველში, არაბუნებრივად ადრე იჩენს თავს გადაულახავი გრძნო-

ბადობა, რაც შემდგომში, ყრმობის ასაკში, ამ ბავშვებისათვის გაუსაძლისი ტანჯვა-წვალების მიზეზი ხდება. მორთულობა, კითხვა, გასართობი სანახაობები, მუსიკა, ცეკვა, ტკბილი საკვები, ცხოვრების გარემო პირობები, ტკბილეულის კოლოფებზე ნახატებით დაწყებული, რომანებით, მოთხრობებითა და პოემებით დამთავრებული, კიდევ უფრო აღვივებს ამ გრძნობადობას, და ამის შედეგად, ყველაზე საშინელი სქესობრივი მანკიერებანი და დაავადებები ორივე სქესის ბავშვების ზრდის პროცესში ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა და ხშირ შემთხვევაში მოწიფულ ასაკშიაც გადადის.

და მე მიმაჩნია, რომ ეს არ არის კარგი. დასკვნა, რომელიც აქედან უნდა გაკეთდეს, არის ის, რომ უნდა შეწყდეს ბავშვების აღზრდა ცხოველების ნაშიერთა მსგავსად, და მათი აღზრდისას ლამაზ და მოვლილ სხეულზე ზრუნვის ნაცვლად, სრულიად სხვა მიზნები უნდა დაისახოს.

ეს მეოთხე.

მეხუთე ისაა, რომ ჩვენს საზოგადოებაში ახალგაზრდა კაცსა და ქალს შორის შეყვარება, რომლის საფუძველში მაინც ხორციელი სიყვარული ძევს, აყვანილია ადამიანთა მისწრაფებების უმაღლეს პოეტურ მიზნამდე, რის დადასტურებასაც მთელი ჩვენი საზოგადოების ხელოვნება და პოეზია ემსახურება; ახალგაზრდა ადამიანები თავიანთი ცხოვრების საუკეთესო დროს ანდომებენ: კაცები — ტრფობის სახარბიელო საგანთა შეთვალიერებას, გამოძებნას და სასიყვარულო კავშირისა ან ქორწინების ფორმით მათ დაუფლებას, ქალები და ქალიშვილები კი, — კაცების შეტყუებას და რაიმე კავშირში ან ქორწინებაში მათ ჩათრევას.

და ამის გამო ადამიანთა საუკეთესო ძალები უნაყოფო და მავნე საქმეზე იხარჯება. აქედან მომდინარეობს ჩვენი ცხოვრების ზღვარგადასული განცხრომის მეტი წილი, აქედანაა კაცების უსაქმურობა და ქალების ურცხვობა, რომლებიც მოდების მიხედვით და მეძავ ქალთა წამხედურობით არ ერიდებიან, სხეულის ვნებათა აღმძვრელი ნაწილების გამომზეურებას.

და მე მიმაჩნია, რომ ეს არ არის კარგი.

არ არის კარგი იმიტომ, რომ ტრფობის საგანთან სიახლოვის მიზნის მიღწევა ქორწინებით, ან ქორწინების გარეშე, როგორ პოეტურადაც ხოტბაშესხმული უნდა იყოს ის, უკადრისი საქციელია ადამიანისათვის, ისევე, როგორც უკადრისია, მიზნად დაისახოს გემრიელი და უხვი საკვების მოხვეჭა, ადამიანთა უმეტესობას უმაღლეს კეთილდღეობად რომ წარმოუდგენია.

დასკვნა კი, რომელიც შესაძლებელია აქედან გაკეთდეს, ასეთია: ნუ იფიქრებენ, რომ ხორციელი სიყვარული რაღაც განსაკუთრებული და ამაღლებული რამაა, არამედ უნდა შეიგნონ, ადამიანის საკადრისი მიზანი — ემსახურო კაცობრიობას, სამშობლოს, მეცნიერებას, ხელოვნებას (რომ აღარაფერი ვთქვათ ღვთისადმი მსახურებაზე) — რა სახისაც უნდა იყოს ის, თუკი მას ადამიანის ღირსების შესაბამისად მივიჩნევთ, — არ მიიღწევა ტრფობის საგანთან კავშირით, ქორწინებით, ან მის გარეშე, არამედ პირიქით, შეყვარებულობა და სიყვარულის საგანთან სიახლოვე (როგორდაც უნდა ეცადონ ამის საპირისპიროს მტკიცებას ლექსებითა და პროზით), არასოდეს აიოლებს ადამიანისათვის ღირსეული მიზნის მიღწევას, არამედ ყოველთვის აფერხებს მას.

ეს მეხუთე.

აი, ეს არის ის არსებითი, რისი თქმაც მსურდა და რაზედაც ვფიქრობდი, რაც გამოვთქვი ჩემს მოთხრობაში. და მეჩვენებოდა, რომ მსჯელობა იმაზე, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს ეს ბოროტება, რაზეც ეს დებულებები მიუთითებდა, შესაძლებელია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, არ დაეთანხმო მათ, არამც და არამც არ შეიძლება.

მე მეჩვენებოდა, რომ შეუძლებელია არ დაეთანხმო ამ დებულებებს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისინი სავსებით ესადაგება კაცობრიობის პროგრესს, რომელიც საზოგადოების ზნეობრივ შეგნებასთან, ჩვენს სინდისთან ერთად, მუდამ ისწრაფვის აღვირახსნილობიდან სულ უფრო მაღალი და მაღალი სიწმინდისაკენ, და იცის მისი ფასი; და მეორეც იმიტომ, რომ არსებითად, ეს დებულებები სახარების მოძღვრებიდან გამომდინარე, უცილობელი დასკვნებია, რომელთაც ჩვენ ან აღსარებაში ვამბობთ, ან კიდევ, მართალია შეუცნობლად, მაგრამ მაინც ვაღიარებთ ზნეობრიობის შესახებ ჩვენი ცნებების საფუძვლად.

მაგრამ ასე არ მოხდა.

მართალია, პირდაპირ არავინ ხდის სადაოდ იმ დებულებას, რომ გარყვნილება მიუღებელია ქორწინებამდე, და მიუღებელია ქორწინების შემდეგაც, რომ არ შეიძლება ხელოვნურად

აღიკვეთოს შვილის გაჩენა, რომ ბავშვები გასართობად არ უნდა ვაქციოთ, და არაა საჭირო სასიყვარულო ურთიერთობების ყველაფერზე მაღლა დაყენება, — ერთი სიტყვით არავინ დაობს, რომ სიწმინდე გარყვნილებას სჯობს, მაგრამ ამბობენ: „თუ დაუქორწინებლობა სჯობს ქორწინებას, მაშინ ცხადია, ადამიანებმა უნდა აკეთონ ის, რაც უმჯობესია. და თუ ადამიანები ასე მოიქცევიან, კაცთა მოდგმა არსებობას შეწყვეტს, და ამიტომ შეუძლებელია კაცობრიობისათვის თვითგანადგურება იდეალად იქცეს“.

მაგრამ, რომ არაფერი ითქვას იმის შესახებ, რომ კაცთა მოდგმის განადგურება არახალი ცნებაა ჩვენი სამყაროს ბინადართათვის, რაც რელიგიური ადამიანებისათვის რწმენის დოგმატია, ხოლო სამეცნიერო წრის წარმომადგენელთათვის, მათი დაკვირვებებიდან გამომდინარე, გარდაუვალი დასკვნაა მზის გაცივების თეორიის შესახებ, მაშინ დავინახავთ, რომ ამ წინააღმდეგობებში არის დიდი, მეტად გავრცელებული და ძველთაძველი გაუგებრობა.

ამბობენ, რომ „თუ ადამიანები მიაღწევენ უზადო ზნეობრიობის სრულ იდეალს, — მოისპობიან, და ამიტომ ასეთი იდეალი არ არის სწორი“. მაგრამ ისინი, რომლებიც ასე მსჯელობენ, შეგნებულად, ან კიდევ შეუგნებლად ერთმანეთში ორ სრულიად სხვადასხვა რამეს ურევენ — წესს, განაწესსა და იდეალს.

უზადო ზნეობრიობა არ არის არც წესი და არც განაწესი, არამედ იდეალია, ანუ უფრო სწორად — მისი ერთ-ერთი პირობაა. იდეალი კი, მხოლოდ მაშინაა იდეალი, როცა მისი განხორციელება მხოლოდ იდეაში, ცნობიერებაშია შესაძლებელი, როცა იგი მისაწვდომი ხდება მხოლოდ უსასრულობაში და რის გამოც მასთან მიახლოების შესაძლებლობა უსასრულოა. იდეალის მიღწევა რომ იყოს შესაძლებელი, ან მისი განხორციელების შესაძლებლობის წარმოდგენა რომ შეგვძლებოდა, მაშინ იგი იდეალი აღარ იქნებოდა. ასეთია ქრისტეს იდეალი, — ღვთის სასუფევლის დამკვიდრება დედამიწაზე, იდეალი, რომელიც ჯერ კიდევ წინასწარმეტყველებმა განჭვრიტეს, და რომლის მიხედვით დადგება დრო, როცა ადამიანები ღვთის მიერ იქნებიან შთაგონებულნი და რომ ისინი თავიანთ მახვილებს სახნისებად გადაჭედავენ, შუბებს — ნამგლებად, მგელი და კრავი მოძოვენ ერთად, ყველა არსება სიყვარულით დაუკავშირდება ერთმანეთს. ადამიანური ცხოვრების მთელი აზრი ასეთი იდეალისაკენ წარმართულ მოძრაობაში ძევს, ამიტომაც ერთობლივი სწრაფვა ქრისტიანული იდეალისაკენ და სიწმინდისაკენ, როგორც ამ იდეალის ერთ-ერთი პირობისკენ, არა თუ გამორიცხავს სიცოცხლის შესაძლებლობას, არამედ პირიქით, ამ ქრისტიანული იდეალის არარსებობა წინსვლას მოსპობდა, და მაშასადამე, სიცოცხლის შესაძლებლობასაც.

მსჯელობა იმის თაობაზე, რომ კაცობრიობის მოდგმა შეწყვეტს არსებობას, თუკი ადამიანები მთელი ძალით მოიწადინებენ სიწმინდისაკენ სწრაფვას, იმ მსჯელობის მსგავსია, რომლის მიხედვითაც კაცობრიობის მოდგმა განადგურდება, თუ ადამიანები, არსებობისათვის ბრძოლის მაგიერ, მთელი ძალისხმევით შეეცდებიან შეიყვარონ მეგობრები, მტრები, ყოველი ცოცხალი არსება. ასეთი სახის მსჯელობები გამომდინარეობს ზნეობრივი ხელმძღვანელობის ორ მეთოდს შორის არსებული განსხვავების ვერგაგებისაგან.

ისევე, როგორც გზის მაძიებლისათვის, და მოგზაურისათვის არსებობს გზის გაკვლევის ორი მეთოდი, ასევე სიმართლის მაძიებელი ადამიანისათვის არსებობს ზნეობრივი მართვის ორი მეთოდი. ერთი — მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანს მიეთითება საგნები, რომლებიც მას ცხოვრების გზაზე უნდა შეხვდეს, და იგი ამ საგნებისკენ მიემართება.

მეორე მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი გზას მხოლოდ კომპასის საშუალებით მიიკვლევს, რომელსაც თან ატარებს, და რომელზედაც იგი მუდამ ერთ უცვლელ მიმართულებას ხედავს, და ამიტომ ყოველგვარი მისი გადახრის მიზეზიც თავად არის.

ზნეობრივი მართვის პირველი მეთოდი გარეგან განსაზღვრებათა, წესების მეთოდია: ადამიანს მოცემული აქვს ქცევის განსაზღვრული ნიშნები, რაც მან უნდა გააკეთოს, ან არ უნდა გააკეთოს.

„დაიცავი შაბათი, წინადაიცვითე, არა იპარო, არა სვა მათრობელა, არა კლა სულიერი, მიეც მეათედი ღარიბებს, არა იმრუშო, განიბანე, ილოცე დღეში ხუთგზის, პირჯვარი გადაიწერე, ეზიარე და ასე შემდეგ“. ასეთია გარეგანი რელიგიების: ბრამინთა, ბუდისტთა, მაჰმადიანთა, ებრაელთა მოძღვრების დებულებები, არამართებულად ქრისტიანულს რომ უწოდებენ.

არსებობს სხვა მეთოდიც, რომლითაც ადამიანს მიენიშნება მისთვის მიუწვდომელი გზა

სრულყოფისაკენ და ადამიანი ამ გზისკენ მისწრაფებას შინაგანად შეიცნობს; მას მიეთითება იდეალი, და იგი მუდამ ხედავს, რა მანძილითაა მისგან დაშორებული.

„შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი გონებით. შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი. იყავით სრულყოფილნი, როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი“.

ასეთია ქრისტეს მოძღვრება.

გარეგან რელიგიურ მოძღვრებათა აღსრულების შემოწმება არის ქცევათა თანხვედრა ამ მოძღვრებათა განსაზღვრებებთან, და ეს თანხვედრა შესაძლებელია.

ქრისტეს სწავლების აღსრულების შემოწმება იდეალურ სრულყოფილებასთან შეუსაბამობის ხარისხის შეცნობაა (მიახლოების ხარისხი არ ჩანს, ჩანს მხოლოდ სრულყოფილებისგან გადახრა).

გარეგანი კანონის აღმსარებელი ადამიანი ბოძზე ჩამოკიდებული ფარნის შუქის ქვეშ მდგარ კაცს წააგავს. იგი დგას ამ ფარნის ნათელ შუქზე, და იმის იქით გზა არა აქვს წასასვლელი. ადამიანი კი, რომელიც ქრისტეს აღიარებს, იმ ადამიანს ჰგავს, რომელიც გრძელ ან ნაკლებად გრძელ ლატანზე დამაგრებული ფარნით გზას ინათებს: სინათლე მუდამ წინ უსწრებს და გამუდმებით აგულიანებს ადამიანს, მისდიოს მას და კვლავ უხსნის წინ ახალ, ნათებისაკენ მიმზიდველ, გასხივოსნებულ სივრცეს.

ფარისეველი ღმერთს მადლობას სწირავს იმისთვის, რომ იგი ყველაფერს აღასრულებს.

მდიდარმა ახალგაზრდამაც, ბავშვობიდან მოკიდებული, ყველაფერი შეისრულა და ვერ გაუგია, რაღა შეიძლება აკლდეს მას. და მათ არ ძალუძთ სხვაგვარად იაზროვნონ; მათ წინაშე აღარ არის ის, რის მისაღწევადაც ისინი სწრაფვას გააგრძელებდნენ. მეათედი გაცემული აქვთ, შაბათიც შეინახეს, მშობლებს პატივი მიაგეს, არ უმრუშიათ, ქურდობა, მკვლელობა არ ჩაუდენიათ. მაშ რაღაა კიდევ? ქრისტიანული მოძღვრების მიმდევართათვის კი სრულყოფილების ყოველი ახალი საფეხურის მიღწევა უფრო მაღალ საფეხურზე ასვლის მოთხოვნილებას აღვივებს, საიდანაც კიდევ უფრო დიდი სიმაღლეები მოჩანს და ასე დაუსრულებლად.

ქრისტეს კანონის მიმდევარი მუდამ მეზვერის მდგომარეობაშია. იგი თავის თავს ყოველთვის არასრულფასოვნად მიიჩნევს, ვეღარ ხედავს გზას, რომელიც მან უკვე განვლო, სამაგიეროდ გამუდმებით ხედავს მის წინ იმ გზას, რომლითაც მან კიდევ უნდა იაროს და რომელიც ჯერ კიდევ არ გაუვლია.

სწორედ ამაშია განსხვავება ქრისტეს მოძღვრებასა და ყველა სხვა რელიგიურ მოძღვრებას შორის, რაც მოთხოვნათა სხვადასხვაგვარობაში კი არ მდგომარეობს, არამედ ადამიანთა სახელმძღვანელო მეთოდებს შორის სხვაობაში. ქრისტეს არ მოუცია ცხოვრების არანაირი განსაზღვრება, არასოდეს დაუკანონებია რაიმე დაწესებულება, არასოდეს დაუკანონებია არც ქორწინება. მაგრამ ადამიანებმა, რომელთაც ვერ გაიგეს ქრისტეს მოძღვრების განსაკუთრებულობა, შეეჩვივნენ გარეგან მოძღვრებას და სურთ მართლები იყვნენ, ისევე, როგორც ფარისეველი მიიჩნევს თავის თავს მართებულად, რაც მიუღებელია ქრისტეს მოძღვრების მთელი სულისკვეთებისათვის, და რომლის მიხედვითაც მათ სიტყვასიტყვით შეადგინეს გარეგანი წესების ეგრეთ წოდებული საეკლესიო ქრისტიანული სწავლება და ამით ჩაანაცვლეს იდეალის ჭეშმარიტად ქრისტიანული მოძღვრება.

საეკლესიო სწავლებებმა, ქრისტიანულს რომ უწოდებენ თავს, ცხოვრებისეულ გამოვლინებებს, ქრისტეს მოძღვრების იდეალის ნაცვლად, ამ მოძღვრების სულისკვეთების საწინააღმდეგო, გარეგანი განსაზღვრებანი და წესები მიუსადაგეს. ეს გაკეთდა ხელისუფლების, სასამართლოს, მხედრობის, ეკლესიისა და ღვთისმსახურების მიმართ, და იგივე გაკეთდა ქორწინების მიმართაც; მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს არამცთუ დაუწესებია ქორწინება ოდესმე, არამედ, თუკი გარეგან განსაზღვრებებს ჩავეძიებით, გამოდის რომ უარყოფდა კიდეც მას („დაუტევე ცოლი შენი და შემომიდეგ მე“), ეკლესიურმა სწავლებებმა, თავს ქრისტიანულს რომ უწოდებენ, აღიარეს ქორწინება, როგორც ეკლესიური ინსტიტუტი, ანუ განსაზღვრეს ის გარეგანი პირობები, რომლის დროსაც, ხორციელი სიყვარული ქრისტიანისათვის თითქოსდა ცოდვად არ ჩაითვლება და სავსებით კანონიერია.

მაგრამ იმის გამო, რომ ჭეშმარიტ ქრისტიანულ მოძღვრებაში არ არსებობს ქორწინების დაწესების არავითარი საფუძვლები, მოხდა ისე, რომ ჩვენი სამყაროს ადამიანები ერთ ნა-

პირს მოწყდნენ და მეორეს ვეღარ მიაღწიეს, ანუ, არსებითად არ სჯერათ ქორწინების ეკლესიური წესებისა და გრძნობენ რა, რომ ამ ინსტიტუტს ქრისტიანულ მოძღვრებაში არანაირი საფუძველი არ გააჩნია, ამასთან ერთად ვერ ხედავენ მათ თვალწინ ეკლესიური სწავლებით დაფარულ ქრისტეს იდეალს, ანუ სრული, უზადო ზნეობრიობისაკენ სწრაფვას, და ქორწინების მიმართ ყოველგვარი სახელმძღვანელოს გარეშე რჩებიან. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის თითქოსდა უცნაური მოვლენა, რომ ებრაელები, მაჰმადიანები, ლამაისტები და სხვები, მართალია, ბევრად უფრო დაბალი დონის რელიგიურ მოძღვრებებს აღიარებენ, ვიდრე ქრისტიანულია, და თუმცა ქორწინების ზუსტი გარეგანი განსაზღვრებები გააჩნიათ, — ოჯახური საწყისი და ცოლქმრული ერთგულება შეუდარებლად უფრო მტკიცე აქვთ, ვიდრე ეგრეთ წოდებულ ქრისტიანებს.

გარკვეულწილად მათთან დაშვებულია განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქცეული მრავალცოლიანობაა. მაშინ, როდესაც ჩვენში სრული აღვირახსნილობა, მრავალცოლიანობა და მრავალქმრიანობაა დამკვიდრებული, რომელიც არავითარ განაწესს არ ექვემდებარება და შენიღბულია წარმოსახვითი ერთქორწინებით.

მხოლოდ იმის გამო, რომ დაწყვილებულთა ერთ ნაწილთან სამღვდელოება გასამრჯელოს გულისათვის ცნობილ ცერემონიალს ატარებს, რასაც ეკლესიურ ქორწინებას უწოდებენ, ჩვენი სამყაროს ბინადართ მიამიტად ან თვალთმაქცურად წარმოუდგენიათ, რომ ერთქორწინებაში ცხოვრობენ.

შეუძლებელია იყოს ქრისტიანული ქორწინება, და არც არასოდეს ყოფილა, ისევე, როგორც, არასოდეს ყოფილა და არც შეიძლება იყოს ქრისტიანული ღვთისმსახურება (მათე. VI, 5-12; იოანე. IV,21), არც ქრისტიანი მოძღვარნი და მამები (მათე. XXIII, 8-10), არც ქრისტიანული საკუთრება, არც ქრისტიანული მხედრობა, არც სასამართლო, არც სახელმწიფო. სწორედ ასეთნაირად ესმოდათ ყოველთვის ეს ჭეშმარიტ ქრისტიანებს პირველსა და მომდევნო საუკუნეებშიც.

ქრისტიანის იდეალი, ეს არის ღვთისა და მოყვასისადმი სიყვარული, ეს არის ღმერთისა და მოყვასის მსახურებისათვის საკუთარი თავისაგან განდგომა; ხორციელი სიყვარული, ქორწინება კი საკუთარი თავის მსახურებაა და ამიტომაც იგი დაბრკოლებას წარმოადგენს ღმერთისა და ადამიანების მსახურებისათვის, რის გამოც ქრისტიანული თვალსაზრისით — ეს დაცემად და ცოდვად ითვლება.

ქორწინება არ შეიძლება ხელს უწყობდეს ღვთისა და ადამიანის მსახურებას, მაშინაც კი, დაქორწინებისას კაცობრიობის მოდგმის გაგრძელება რომ ჰქონდეთ მიზნად დასახული. ასეთმა ადამიანებმა უმჯობესია დახმარება გაუწიონ და გადაარჩინონ მილიონობით ბავშვის სიცოცხლე, რომლებიც გამუდმებით იღუპებიან ჩვენს გარშემო არა მარტო სულიერი, არამედ მატერიალური საზრდოს უკმარისობის გამო, ვიდრე იქორწინონ ბავშვების გასაჩენად.

ქრისტიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლებოდა დაცემისა და ცოდვის შეგრძნების გარეშე დაქორწინება, თუკი დაინახავდა და ეცოდინებოდა, რომ სამყაროს მოვლენილ ბავშვთა სიცოცხლე ყოველმხრივაა უზრუნველყოფილი.

შეიძლება არ მიიღო ქრისტეს მოძღვრება, მოძღვრება, რომლითაც გამსჭვალულია მთელი ჩვენი ცხოვრება და რომელზედაც მთელი ჩვენი ზნეობრიობაა დაფუძნებული, მაგრამ, თუ ვიზიარებთ ამ მოძღვრებას, შუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ სწორედ ეს მოძღვრება ასახავს უზადო ზნეობრიობის იდეალს.

სახარებაში ხომ ცხადად და ყველა სხვაგვარი გააზრების შესაძლებლობის გარეშეა ნათქვამი — ჯერ ერთი ის, რომ ცოლიანი არ უნდა შორდებოდეს ცოლს, რათა სხვა შეირთოს, არამედ უნდა იცხოვროს მასთან ვისაც ერთხელ შეუღლდა (მათე.V, 31-32), მეორეც, მამაკაცისათვის ზოგადად, როგორც ცოლიანისათვის, ასევე უცოლოსათვის, ცოდვად ითვლება ქალს შეხედოს, როგორც ტკბობის საგანს (მათე.V, 28-29), და მესამე, უცოლოსათვის უმჯობესია საერთოდ არ შეირთოს ცოლი, ანუ სავსებით უცოდველი იყოს (მათე.XIX, 10-12).

შესაძლებელია, ძალიან ბევრს ეს მოსაზრებები უცნაურად და წინააღმდეგობრივადაც კი მოეჩვენოს. და მართლაც, ისინი წინააღმდეგობრივია, მაგრამ არა ერთმანეთის მიმართ, არამედ ისინი ეწინააღმდეგებიან მთელს ჩვენს ცხოვრებას, და უნებურად ჩნდება ეჭვი: — ვინაა მართალი? ეს მოსაზრებები, თუ მილიონობით ადამიანისა და ჩემი ცხოვრება? სწორედ ამას

განვიცდიდი მე ყველაზე მწვავედ მაშინ, როდესაც იმ დასკვნებამდე მივედი, რომელთაც ახლა გამოვთქვამ: მე არ ველოდი, რომ ჩემი აზრების თანამიმდევრობა მიმიყვანდა იქამდე, სადამდეც მივედი. მე შემზარა ჩემმა დასკვნებმა, არ მინდოდა მათი დაჯერება, მაგრამ არდაჯერებაც შეუძლებელი იყო. და ეს დასკვნები, როგორადაც არ ეწინააღმდეგებიან ისინი ჩვენი ცხოვრების წესწყობილებას, როგორადაც არ ეწინააღმდეგებიან იმას, რასაც წინათ ვფიქრობდი და გამოვთქვამდი კიდეც, იძულებული გავხდი მეღიარებინა.

„მაგრამ ყველა მსგავსი მოსაზრება, რომელიც შესაძლებელია სამართლიანიც იყოს, ქრისტეს მოძღვრებას მიეკუთვნება და სავალდებულოა მათთვის, ვინც მათ აღიარებს, თუმცა ცხოვრება ცხოვრებაა და არ შეიძლება, წინასწარ დასახო ქრისტეს მიუწვდომელი იდეალი, და დატოვო ადამიანები ამ ერთი იდეალის ამარა, ყოველგვარი სახელმძღვანელოს გარეშე, ერთ ყველაზე მეტად მწვავე, და ყველაზე დიდი უბედურების მომტან საკითხთან“.

„ახალგაზრდა, ვნებიან კაცს თავდაპირველად მოხიბლავს იდეალი, მაგრამ ვერ გაუძლებს, მოთმინებას დაკარგავს, და იმის გამო, რომ არ იცის და არ ცნობს არავითარ წესებს, სრულ გარყვნილებაში ვარდება“.

ასე მსჯელობენ ჩვეულებრივ.

„ქრისტეს იდეალი მიუღწევადია, ამიტომ შეუძლებელია ჩვენი ცხოვრების სახელმძღვანელოდ გამოდგეს; მასზე შესაძლებელია საუბარი, ოცნება, მაგრამ ცხოვრებისათვის გამოუყენებელია, და ამიტომ თავი უნდა დავანებოთ მას. ჩვენ იდეალი კი არ გვჭირდება, არამედ წესი, სახელმძღვანელო, რომელიც მოერგებოდა ჩვენს ძალებს, ჩვენი საზოგადოების ზნეობრიობის ძალთა საშუალო დონეს: საუბარია ეკლესიურ პატიოსან, ან თუნდაც არც მთლად პატიოსან ქორწინებაზე, როცა ერთ-ერთი მექორწინე, ჩვენთან კი, ეს, ჩვეულებრივ, ქორწინებამდე უკვე მრავალ ქალთან ნამყოფი მამაკაცია, ან ისეთ ქორწინებაზე, გაყრის შესაძლებლობას რომ უშვებს, ან თუნდაც სამოქალაქო წესით ქორწინებაზე, ანდა იაპონურ ქორწინებაზე გარკვეული ვადით, — ამგვარი შეხედულებებით ხომ საროსკიპოებამდეც მივალთ?“.

ამბობენ, ეს უკეთესია, ვიდრე ქუჩური გარყვნილება. უბედურებაც სწორედ იმაშია, რომ თუ თავს უფლებას მისცემ, იდეალი შენი სისუსტის მიხედვით დააკნინო, ვეღარ მიაგნებ იმ ზღვარს, რომელზედაც უნდა გაჩერდე.

მაგრამ ეს მსჯელობა ხომ იმთავითვე არასწორია; არასწორია უპირველეს ყოვლისა ის, რომ უსასრულო სრულყოფის იდეალი არ შეიძლება წარმმართველი იყოს ცხოვრებაში და მისი შემყურე იძულებული ხდები ან ხელი ჩაიქნიო და თქვა, რომ აღარ მჭირდება, რადგანაც ვერასოდეს მივაღწევ მას, ან კიდევ იდეალი იმ საფეხურებამდე დააკნინო, რომელზედაც დგომა შენს სისუსტეს სწადია.

ეს მსჯელობა იმას წააგავს, მეზღვაურმა თავის თავს რომ უთხრას, რადგანაც ახლა მე არ შემიძლია იმ ხაზს გავყვე, კომპასი რომ მიჩვენებს, გადავაგდებ მას, ანდა აღარ დავხედავ, ანუ უკუვაგდებ იდეალს, თუ არა და კომპასის ისარს იმ ადგილზე დავამაგრებ, რომელიც ამ წუთში ჩემი გემის სვლას დაემთხვევა, ანუ იდეალს დავაკნინებ ჩემი სისუსტის შესაბამისად. ქრისტეს მიერ მოცემული სრულყოფილების იდეალი ოცნება ანდა რიტორიკული ქადაგებების საგანი როდია, არამედ ადამიანთა ზნეობრივი ცხოვრების ისეთივე აუცილებელი და ყველასთვის ხელმისაწვდომი სახელმძღვანელოა, როგორც კომპასია აუცილებელი და ხელმისაწვდომი იარაღი მეზღვაურისათვის; მხოლოდ უნდა გჯეროდეს როგორც ერთის, ასევე მეორისა. რა მდგომარეობაშიც უნდა იმყოფებოდეს ადამიანი, ქრისტეს მიერ ბოძებული იდეალის მოძღვრება ყოველთვის დაეხმარება მას მიიღოს ყველაზე სწორი მითითება იმ ქმედებებზე, რაც უნდა განახორციელოს, ან არ უნდა განახორციელოს. მაგრამ სავსებით უნდა გჯეროდეს ამ მოძღვრებისა, მხოლოდ ამ მოძღვრების, და თავი უნდა დაანებო ყველა სხვას, ისევე, როგორც მეზღვაურმა უნდა დაუჯეროს კომპასს, და არ იხელმძღვანელოს იმით, რასაც ირგვლივ ხედავს. უნდა იცოდე ქრისტიანული მოძღვრებით ხელმძღვანელობა, ისევე, როგორც უნდა იცოდე, თუ როგორ უნდა იხელმძღვანელო კომპასით, ამისათვის კი მთავარია გათვითცნობიერებული გქონდეს შენი საკუთარი მდგომარეობა, და უნდა იცოდე და არ უნდა გეშინოდეს ზუსტად განსაზღვრო, რამდენად გადაუხვიე ამ მოცემულ იდეალურ მიმართულებას. რომელ საფეხურზედაც უნდა იდგეს ადამიანი, ყოველთვის აქვს შესაძლებლობა მიუახლოვდეს ამ იდეალს, და ამავე დროს, არანაირი მდგომარეობა არ იქნება მისთვის ისეთი, რომ თქვას — რომ მიაღწია მას, და არ შეეძლოს

ისწრაფვოს კიდევ უფრო მეტად მიახლოებისაკენ. ასეთია ადამიანის სწრაფვა ქრისტიანული იდეალისაკენ ზოგადად, და უზადო ზნეობრიობისაკენ კერძოდ. თუკი წარმოიდგენთ სქესობრივი საკითხის მიმართ ადამიანის სრულიად განსხვავებულ მდგომარეობებს — უცოდველი ბავშვობიდან ქორწინებამდე, — რა დროსაც არ ხდება თავის შეკავება, დაინახავთ, რომ ამ ორ მდგომარეობას შორის ყოველ საფეხურზე, ქრისტეს მოძღვრება, მის მიერ ქადაგებული იდეალით, ყოველთვის ნათლად და განსაზღვრულად უწინამძღვრებს, თუ რა უნდა გააკეთოს და რა არ უნდა გააკეთოს ადამიანმა ამა თუ იმ საფეხურზე.

როგორ უნდა მოიქცნენ გაურყვნელი ჭაბუკი და ქალიშვილი? უნდა აარიდონ თავი ცდუნებებს და შეინარჩუნონ სიწმინდე, იმისათვის, რომ შეძლონ მთელი თავისი ძალ-ღონე მოახმარონ ღვთისა და ადამიანთა მსახურებას, ისწრაფონ აზრებისა და სურვილების სულ უფრო და უფრო მეტი ზნეობრიობისაკენ.

როგორ უნდა მოიქცნენ ცდუნებებს დამორჩილებული ჭაბუკი და ქალიშვილი, რომელთა გონება უსაგნო სიყვარულსა, ან კიდევ მავანისადმი სიყვარულს შეუპყრია და ამის გამო გარკვეულწილად დაუკარგავთ ღვთისა და ადამიანების მსახურების შესაძლებლობა? — მოიქცნენ ისევ კვლავინდებურად; არ მისცენ თავს დაცემის უფლება, იციან რა, რომ ასე ნებაზე მიშვებით ვერ დააღწევენ თავს ცდუნებას, არამედ უფრო გააძლიერებენ მას, და უწინდებურად ისწრაფონ სულ უფრო მეტი და მეტი ზნეობრიობისაკენ, რათა საშუალება მიეცეთ სრულფასოვნად ემსახურონ ღმერთსა და ადამიანებს.

როგორ უნდა მოიქცნენ ის ადამიანები, რომელთაც ვერ დაძლიეს წინააღმდეგობები და დაეცნენ? არ მიიჩნიონ თავიანთი დაცემა კანონიერ სიამოვნებად, როგორც ახლა მიიჩნევენ, რაც საქორწილო წეს-ჩვეულებებითაა გამართლებული, არც შემთხვევით სიამოვნებად, რაც სხვებთანაც შეიძლება გაიმეორო, არც უბედურებად, როცა დაცემა მეძავთან ხდება და წეს-ჩვეულებების გარეშე, არამედ აღიქვან ეს პირველი დაცემა, როგორც ერთადერთი, როგორც მტკიცე და ურღვევი ქორწინების საწყისი.

დაქორწინება, მისგან გამომდინარე შედეგებით — ბავშვების დაბადებით — დაქორწინებულთათვის განაპირობებს ღვთისა და ადამიანთა მსახურების ახალ, უფრო შეზღუდულ ფორმას. ქორწინებამდე ადამიანს შეეძლო უშუალოდ, სხვადასხვა ფორმით განეხორციელებინა მსახურება ღვთისა და ადამიანებისადმი; ქორწინების შემდეგ კი იზღუდება მისი მოქმედების სფერო, რაც მისგან მოითხოვს ქორწინების შედეგად შობილი შთამომავლობის აღზრდასა და ჩამოყალიბებას, რათა ისინი მომავალში ღმერთსა და ადამიანებს ემსახურონ.

როგორ უნდა მოიქცნენ ქორწინებაში მყოფი მამაკაცი და ქალი, მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, თუ ბავშვების აღზრდისა და მოწიფვის გამო შეზღუდულ მსახურებას ეწევიან ღვთისა და ადამიანებისადმი?

ისევ და ისევ: ეცადონ განთავისუფლდნენ ცდუნებისაგან, განიწმინდნონ, განერიდონ ცოდვას, შეცვალონ ის ურთიერთობები, რომლებიც აბრკოლებს ღვთისა და ადამიანებისადმი მსახურებას, ხორციელი სიყვარული კი ჩაანაცვლონ სუფთა, და-ძმური ურთიერთობით.

ამიტომ სიმართლეს არ შეეფერება ის, რომ ჩვენ თითქოსდა არ შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ ქრისტეს იდეალით, ვინაიდან იგი ესოდენ ამაღლებული, სრულყოფილი და მიუწვდომელია. ჩვენ არ შეგვიძლია ამ იდეალით ხელმძღვანელობა მხოლოდ იმის გამო, რომ საკუთარ თავს ვიტყუებთ და ვცრუობთ.

თუკი იმას ვამბობთ, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს უფრო მეტად განხორციელებადი წესები, ვიდრე ქრისტეს იდეალია, თორემ სხვა შემთხვევაში, ვეღარ მივაღწევთ რა ქრისტეს იდეალს, გარყვნილებაში ჩავეფლობით, ამით იმას კი არ ვამბობთ, რომ ქრისტეს იდეალი ძალზე ამაღლებულია, არამედ მხოლოდ იმას, რომ ჩვენ არ გვწამს მისი და არ გვსურს ჩვენი ქმედებები ამ იდეალის მიხედვით განვსაზღვროთ.

როცა ვამბობთ, რომ ერთხელ დაცემით გარყვნილებაში ვვარდებით, ამით ხომ იმას ვამბობთ, რასაც უკვე წინასწარ მივიჩნევთ, რომ მეძავთან დაცემა ცოდვა კი არაა, არამედ თავშესაქცევია, გართობაა, რაც არაა აუცილებელი გამოვასწოროთ იმით, ქორწინებას რომ ვუწოდებთ. ჩვენ რომ გვესმოდეს, რომ დაცემა ცოდვაა, რომლის გამოსყიდვა აუცილებელი და შესაძლებელია მხოლოდ ურღვევი ქორწინებით და მთლიანად იმ საქმიანობით, რასაც ქორწინების შედეგად

დაბადებული ბავშვების აღზრდა მოითხოვს, მაშინ დაცემა არანაირად არ იქნებოდა გარყვნილებაში ჩავარდნის მიზეზი.

ეს ხომ იმის მსგავსია, მიწათმოქმედმა ის თესვა თესვად არ ჩათვალოს, რომელმაც არ გაუმართლა, და დათესავს რა მეორე და მესამე ადგილზე, მხოლოდ ის მიიჩნიოს ნამდვილად, რომელიც გაუმართლებს. ცხადია, რომ ასეთი კაცი უამრავ მიწას და თესლს გააფუჭებდა და მაინც ვერასოდეს ისწავლიდა თესვას. იდეალად მხოლოდ ზნეობრიობა დაისახეთ, ჩათვალეთ, რომ ყოველგვარი დაცემა, ვისაც არ უნდა შეემთხვეს და ვისთანაც არ უნდა შეემთხვეს ის, ერთადერთი და ურღვევი ქორწინებაა მთელი ცხოვრების მანძილზე, და ცხადი გახდება, რომ ქრისტეს მიერ ბოძებული სახელმძვანელო არა თუ საკმარისი, არამედ ერთადერთი გზაა.

„ადამიანი სუსტი არსებაა და ამოცანა მას მისი შესაძლებლობების მიხედვით უნდა მიეცეს“, — ასე ამბობენ ხალხში. ეს იგივეა, რომ თქვა: „სუსტი ხელები მაქვს და არ შემიძლია გავავლო ხაზი, ანუ უმოკლესი მანძილი ორ წერტილს შორის, რომელიც სწორი იქნება, და იმისათვის, რომ საქმე გავიადვილო, მიუხედავად იმისა, რომ სწორის გავლება მსურდა, ნიმუშად მრუდე ან წყვეტილ ხაზს ავირჩევ“. რაც უფრო მეტად სუსტია ჩემი ხელი, მით უფრო სრულყოფილი ნიმუში მჭირდება.

თუკი შევიცნობთ იდეალის ქრისტიანულ მოძღვრებას, არ შეიძლება ისე მოვიქცეთ, რომ თითქოს არ ვიცნობთ მას და შევცვალოთ გარეგანი განსაზღვრებებით. იდეალის ქრისტიანული მოძღვრება კაცობრიობისათვის ღიაა სწორედ იმიტომ, რომ ძალუძს უხელმძღვანელოს მას ამჟამინდელ ასაკშიაც. კაცობრიობამ უკვე გამოსცადა და განვლო რელიგიური, ზედაპირული განსაზღვრებების პერიოდი, და ახლა აღარავის სჯერა მათი.

ქრისტიანული მოძღვრება ის ერთადერთი მოძღვრებაა, რომელსაც ძალუძს უხელმძღვანელოს კაცობრიობას. არ შეიძლება, არ უნდა ჩაანაცვლონ ქრისტეს იდეალი გარეგანი წესებით, პირიქით, საჭიროა ეს იდეალი მუდამ წინ მიგვიძღოდეს მთელი მისი სიწმინდით, და რაც მთავარია გვწამდეს მისი.

ნაპირთან ახლოს მოცურავეს შეიძლება უთხრათ: „იცურე იმ მაღლობის, ბორცვის, შუქურას მიმართულებით“ და ა.შ.

მაგრამ დგება ჟამი, როცა მოცურავენი ნაპირს დაშორდებიან, და ახლა მათ უნდა უხელმძღვანელოს მხოლოდ მიუწვდომელმა მნათობებმა და მიმართულების მაჩვენებელმა კომპასმა. ჩვენ კი, ერთიცა და მეორეც მომადლებული გვაქვს.

რუსულიდან თარგმნა
ნიკო დადიანმა

ვალენტინ ნიკიტინი

მონანიების გარეშე

„ჩემი განდგომა საღვთო სჯულისგან — აღნიშნავს ლ. ნ. ტოლსტოი „აღსარებაში“, — ძალიან ადრე გახდა ცნობიერი... ზოგიერთი მოგონების მიხედვით თუ განვსჯით, არც არასოდეს მწამდა სერიოზულად, მე მხოლოდ ნდობა გამაჩნდა იმის მიმართ, რასაც მასწავლიდნენ, და რასაც უფროსები ჩემს წინაშე აღიარებდნენ, თუმცა ეს ნდობა ძალზე მყიფე იყო“.

თექვსმეტი წლის ასაკში, როდესაც ყაზანის უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა, ტოლსტოი წერდა: „მთელი ეს კატეხიზისი — სიცრუეა“. მაშინაც კი, როცა მწერალი მართლმადიდებლურ წეს-ჩვეულებებს ფორმალურად ასრულებდა, იგი არ იზიარებდა საეკლესიო დოგმატებს. ნიშანდობლივია ტოლსტოის ჩანაწერი თავის დღიურში 1852 წელს: „არა გამეგება რა სამებისა და ძე ღვთისას დაბადების საიდუმლოებებისა...“. 1853 წლის ივლისში კი წერს: „არ შემიძლია დავუმტკიცო ჩემს თავს ღმერთის არსებობა, ვერ ვპოულობ ერთ საფუძვლიან მტკიცებულებასაც კი, და მიმაჩნია, არცაა აუცილებელი ამის გაგება. უფრო იოლი და მარტივია, შეიცნო მთელი სამყაროს მარადიული არსებობა...“. ტოლსტოისათვის უცხო იყო ქრისტიანული სოტეროლოგიის (მოძღვრება ხსნის შესახებ) სფერო, იგი ვერ ხედავდა საეკლესიო საიდუმლოებებში იდუმალ აზრს და არ ცნობდა წმინდა წერილის ღვთივსულიერებას. მისი „რწმენა“ შემოიფარგლებოდა ერთგვარი აბსოლუტის აღიარებით, სულის სრულიად განყენებული, სპირიტუალური არსებობით, რომელიც ინდივიდის გარდაცვალების შემდეგ, უნივერსუმის ქსოვილს შერეული, სამყაროს მთლიანობას ერწყმის. ასეთი პანთეიზმი არსებითად ეწინააღმდეგება ქრისტიანულ პერსონალიზმს. ასეთი „რწმენა“ ახლოსაა თეოსოფიურ და ოკულტურ მოძღვრებებთან, რომლებიც ბუდიზმის, იუდაიზმისა და ისლამისათვის საერთო მახასიათებელ პრინციპებს ავითარებენ და ქრისტიანული ღვთისმეტყველების თვალსაზრისით, რელიქტურ ფორმებს წარმოადგენენ.

თავის ვრცელ გამოკვლევაში „ტოლსტოი და დოსტოევსკი“, დ. ს. მერეჟკოვსკი შეეცადა ეჩვენებინა, რომ ტოლსტოის არსებაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ბუნება ვლინდება, ორი რიგრიგობით მონაცვლე ხასიათი, თითქოსდა ორი ადამიანი: მწირი მოაზროვნე, ფსევდოქრისტიანი, „ბერი აკიმი“ და დიდი, ჭეშმარიტი წარმართი, „გულთამხილავი“, ძია ეროშკა. „მაცდუნებელი“ ორეული, მოჩვენებითი „მაქცია“, ტოლსტოისეული „თვითმარქვია“, არა იმდენად „მოაზროვნე“, რამდენადაც „ტვინიკოსი“ ბერი აკიმი, განუდგა ქრისტეს და მის მიერ ყოვლისუარმყოფელი „ქრისტიანობით“ თითქმის სრულ უღმერთობამდე მივიდა. მაგრამ მერეჟკოვსკი დასძენს, და აქ მან უთუოდ სწორად განჭვრიტა გენიალური მწერლის მსოფლმხედველობის არსი, — „ჭეშმარიტი ლ. ტოლსტოი, დიდი წარმართი, ძია ეროშკა, არ განდგომია, და ვერც განუდგებოდა ქრისტიანობას, მხოლოდ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი არც არასოდეს ყოფილა ქრისტიანი“.

ტოლსტოის იდეური ევოლუციის გასარკვევად მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია 1855 წლის 5 მარტს, მის მიერ დღიურში გაკეთებული ჩანაწერი: „ღვთაებრიობასა და რწმენაზე საუბარმა დიდებულ, მრავლისმომცველ აზრამდე მიმიყვანა, რომლის განხორციელებასაც, ვგრძნობ, რომ სიცოცხლეც შემიძლია შევწირო. ეს აზრია — კაცობრიობის განვითარების შესატყვისი ახალი რელიგიის, ქრისტეს რელიგიის, ოღონდ რწმენისა და იდუმალებისაგან თავისუფალი, პრაქტიკული რელიგიის დამკვიდრება, რომელიც მომავალი ნეტარების პირობას კი არ იძლევა, არამედ ნეტარებას მიწაზევე მიაგებს“.

ლ. ნ. ტოლსტოის შვილი, ლევ ლვოვიჩი, იხსენებდა, თუ როგორ დაჰყავდა ერთ დროს მამას ბავშვები ეკლესიაში და ცდილობდა საეკლესიო წეს-ჩვეულებების დაცვას. ეს ყველაფერი 1882 წლამდე, ანუ ჯერ კიდევ მოსკოვში წასვლამდე ხდებოდა, მაგრამ დიდხანს აღარ გაგრძელებულა.

„...მახსოვს ასევე მისი ანაზდეული გულგატეხილობა მართლმადიდებლობის მიმართ. ერთხელ სადილობისას, [მარხვის დროს] ყველა გემრიელ, ძროხის ხორცის კატლეტებს შეექცეოდა.

მამა დიდი ხნის განმავლობაში ალმაცერად შესცქეროდა მათ, მერე უცებ ჩემს ძმას, ილიას უთხრა: — აბა ერთი ილუშა, მეც მომაწოდე კატლეტი. — ილუშა სკამიდან წამოხტა, ფანჯრის რაფიდან კატლეტებიანი ლანგარი აიღო და მამას მიაწოდა. ამ დღის შემდეგ, აღარც მარხვას და არც რაიმე მართლმადიდებლურს მამა აღარ იცავდა და დაიწყო კიდეც „დოგმატური ღვთიმეტყველების კრიტიკის“ წერა.

რა თქმა უნდა, საქმე კატლეტებში არ ყოფილა. ტოლსტოის ეკლესიისაგან განდგომას ბევრად უფრო ღრმა ფესვები გააჩნია.

ლ. ნ. ტოლსტოის ეკლესიისგან განდგომის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა მისი უკიდურესად მტრული დამოკიდებულება მართლმადიდებელ სამღვდელოებასთან. ტოლსტოის აღშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ ეკლესიის მსახურნი, რომლებიც იმ დროს პრივილეგიებით სარგებლობდნენ, ამავე დროს თავისებურად ჩინოვნიკობასაც ითავსებდნენ. ცეზაროპაპიზმის მიმბაძველობა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა სულიერებას, ასევე ეკლესიისა და სახელმწიფოს ზედმეტი სიახლოვე, იმ პერიოდში ბევრს აწუხებდა, მაგალითად ფილოსოფ-სლავიანოფილებს ი. კირეევსკოის, ი. აკსაკოვს, ა. ხომიაკოვს.

ამ დროისათვის, ტოლსტოი, 1860 წლის რეფორმებით იმედგაცრუებული, მღელვარებით აკვირდება პატრიარქალური წყობის რღვევას, და ოჯახის წიაღში ცდილობს უკანასკნელი დასაყრდენის მოპოვებას, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა რომანში „ანა კარენინა“. მაგრამ ეკლესიის საიდუმლოებებით ნაკურთხი ქორწინებითი კავშირი მას სრულიადაც არ მიაჩნდა ურღვევ კავშირად, და ოჯახის, როგორც „მცირე ეკლესიის“ გაგება, მისთვის ორგანულად უცხო იყო. და რომანშიც ნათლად გამოჩნდა ეკლესიის შინაგანი არსის ის უარყოფა, რომელიც უკვე მოგვიანებით სრულად აისახა რომანში „აღდგომა“. „ანა კარენინას“ პრობლემატიკამ ტოლსტოი კიდევ უფრო დააახლოვა იმ იდეურ გარდატეხასთან და მსოფლმხედველობასთან, რაც მის ეგრეთ წოდებულ „მიმართვა“-ში გამოვლინდა და ისეთ ნაწარმოებებში აისახა, როგორიცაა „აღსარება“, „დოგმატური ღვთისმეტყველების კრიტიკა“, „რაშია ჩემი რწმენა?“ და სხვა.

1870-იანი წლების ბოლოს ტოლსტოიმ გადაიტანა კრიზისი, რაც პირველი არ ყოფილა მის ცხოვრებაში. თუმცა სიკვდილის შიში და „არარსებობის სევდა“ ვერ გადალახა — მხოლოდ „ანესთეზია“ განიცადა. და მას ეს განცდები მარტოოდენ ყმაწვილური გრძნობების დაბრუნების შემდეგ გაუქარწყლდა: „რაოდენ უცნაურია, რომ სიცოცხლის ის ძალა, რომელიც მე დამიბრუნდა, არ იყო ახალი, არამედ ძველი — სწორედ ის, ჩემი ცხოვრების პირველ ხანებში რომ მიზიდავდა...“.

ხაზს უსვამს რა ტოლსტოის ამ აღიარებას, გ. ფლოროვსკი მწერლის მიმართვის შესახებ წერს: „და ეს ბობოქარი სულიერი მღელვარება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მსოფლმხედველურ ცვლილებას. ეს თითქოს კრუნჩხვა იყო ჩაკეტილ ფსიქიკურ წრეში. ეს იყო მტანჯველი ცდა. მაგრამ წრე მაინც არ გაიხსნა... ტოლსტოი თავად აღიარებს და ადასტურებს, რომ ახალი არაფერი დაბადებულა, რომ ის თვითონაც არ შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ სულიერი განწყობილება“.

თავისი „ახალი მსოფლგაგება“ ტოლსტოიმ გამოხატა თხზულებაში „რაშია ჩემი რწმენა?“. აქ იგი ცდილობს სახარების მისეული ინტერპრეტაცია წარმოაჩინოს. ქრისტეს მიერ ხალხის დამოძღვრა მთის ქადაგებაში, მას შემდეგ პუნქტებამდე დაჰყავს: „ნუ ეწინააღმდეგბი ბოროტებას, ნუ იმრისხანებ, ნუ გაეყრები, ნუ დაიფიცებ, ნუ განიკითხავ, ნუ იომებ“. ტოლსტოის აზრით, მათშია ჩადებული მთელი ქრისტიანული მორალი, და ამის საფუძველზე შესაძლებელია დედამიწაზე შეიქმნას ბედნიერი ცხოვრება, ანუ მისი ტერმინოლოგიის გამოყენებით, „ღვთის სასუფეველი ადამიანთა შორის“.

ყოველთვის აღიარებდნენ, რომ სახარების მცნებანი იდეალად არიან დასახულნი და მათ ზნეობრივი კანონის ძალა გააჩნიათ. ტოლსტოიმ მათი ძირეული გადასინჯვა მოინდომა: „როგორ შეიძლება მოყვასი ისე გიყვარდეს, როგორც საკუთარი თავი, თუ ჩემში ჩადებულია საკუთარი თავისადმი სიყვარული, რომელიც მე წამითაც კი არ მტოვებს, და ძალზე ხშირად ასეთივე გამუდმებული სიძულვილი სხვების მიმართ?.. მოთმინებისა და თავგანწირვის მოთხოვნა ეწინააღმდეგება ადამიანურ ბუნებას“.

ტოლსტოიმ „აქცენტები გადააადგილა“, გონებით გაფილტრულ სახარებისეულ ცნებებს ნიადაგი უცვალა: წამოაყენა მოსაზრება მთელი საზოგადოებისა და სახელმწიფოს, სამთავრობო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების, ადამიანის ყოფა-ცხოვრების უმაღლესი იდეალების

შესატყვისად მოწყობის შესახებ, რითაც სინამდვილეში მათ დააკისრა ადამიანური ბუნების არასრულყოფილებაზე პასუხისმგებლობა და ამით თითქოსდა გაათავისუფლა პირადი პასუხისმგებლობისაგან მისი მიმდევრები, რომელთაც შემდგომში ტოლსტოველები უწოდეს. ამასთან ერთად ტოლსტოიმ „ზნეობრივი თავისუფლების“ ამოცანა დასახა, რასაც „ბოროტების წინააღმდეგ ძალადობის არგამოყენების“ პრინციპი დაუდო საფუძვლად.

სახარებაში, ქრისტეს მოწოდება „წინ ნუ აღუდგები ბოროტს“ (ბოროტს და არა ბოროტებას), ესადაგება კონტექსტის მიხედვით უპირველეს ყოვლისა სისხლის აღებით შურისძიების უარყოფას, რაც ძველ დროში იყო გავრცელებული წარმართთა და იუდეველთა შორის: *„თვალი თვალსა წილ და კბილი კბილსა წილ. მე კი გეუბნით თქვენ: წინ ნუ აღუდგებით ბოროტს, არამედ, თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაში გაგაწნას, მეორე ლოყაც მიუშვირე. ვინც მოისურვებს შენთან დავას და შენი პერანგის წაღებას, მოსასხამიც გაატანე. ვინც ერთ მილზე წაყოლა გაიძულოს, ორზე გაჰყევი. ვინც გთხოვოს, მიეცი და ზურგს ნუ შეაქცევ მას, ვისაც შენგან სესხება სურს“. (მათე 5. 38-42).*

ამ სიტყვებში, როგორც ვხედავთ, უპირველეს ყოვლისა მოწოდებაა აპატიო მას, ვინც გაწყენინა, აქტიურად შეეწინააღმდეგო ბოროტებას კეთილი საქმეებით. ლოგიკური მახვილი მიანიშნებს, გასცე იმაზე მეტი, ვიდრე გთხოვენ, გასცე უხვად, აკეთო სიკეთე, რაც მხოლოდ სიყვარულს ძალუძს. ამის საპირისპიროდ, ტოლსტოი ბოროტებისათვის წინააღმდეგობის არგაწევის პრინციპს უპირობო ზნეობრივ საწყისად აცხადებს და მცდარად მიაჩნია, რომ სწორედ ესაა ქრისტიანული მორალის განსაკუთრებული არსისა და აზრის გამომხატველი. მაშინ როდესაც, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავდნენ ტოლსტოის ოპონენტები, „ჭეშმარიტი ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ამ პრინციპს დაქვემდებარებული და შეზღუდული მნიშვნელობა ენიჭება. ეს პრიციპი თავისთავად არ წარმოადგენს თვითმიზანს, არამედ მხოლოდ საყოველთაო ერთობის მისტიკური საწყისის განმტკიცების საშუალებაა ადამიანთა ურთიერთობაში“ (ე. ტრუბეცკოი).

წინააღმდეგობის არგაწევის შესახებ მისეული ქადაგებიდან გამომდინარე, ტოლსტოი განიკითხავდა ლოცვას მხედრობაზე, იარაღის კურთხევას, ძლევათა სავედრებელ ლოცვებს, თვლიდა, რომ ყველაფერი ეს შეუთავსებელია ქრისტიანულ მოძღვრებასთან. ამ საფუძველზე რუსული მართმადიდებლური ეკლესია მან ფარისევლობაში დაადანაშაულა. მის მიერ წამოყენებული წინააღმდეგობის არგაწევის პოზიციიდან გამომდინარე, მწვავედ აკრიტიკებდა რა ეკლესიას, ტოლსტოი ამავე დროს სრულიად ამაოდ ცდილობდა ქრისტეს ავტორიტეტის დამოწმებას. საქმე იმაშია, რომ სახარებისეულ რჩევა-დარიგებებში არ იკრძალება „არ იომო“ და არაა მცნება „არ განარჩიო შენი ხალხი სხვა ხალხისაგან“, როგორც ეს ტოლსტოიმ გააჟღერა. და ეკლესია, როგორც ცნობილია, ყოველთვის ლოცავდა მხედრობას და ხალხს, როდესაც საქმე სამშობლოს გადარჩენას ეხებოდა. ომი დაშვებულია ეკლესიის მიერ, ამაში ტოლსტოი მართალია, მაგრამ მხოლოდ როგორც თავგანწირვისა და პატრიოტიზმის გამოვლინება.

და ამ მიმართებით ტოლსტოის მიერ ქრისტეს მცნებებისა და სახარების ავტორიტეტის დამოწმება რელიგიური იყო მხოლოდ ფორმის მიხედვით. ტოლსტოი რელიგიურ დოგმებსა და მცნებებს იმისთვის კი არ იყენებდა, რომ გაეაზრებინა ისინი სულიერებასთან მათ შესაბამისობაში, არამედ იმისათვის, რომ მისი საკუთარი, ტოლსტოისეული მოძღვრება შეექმნა.

დროთა განმავლობაში ტოლსტოვსტვო მისი რეალური სახით, სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა სექტანტობას. 1879 წელს, ტოლსტოიმ ინახულა ტულის ეპისკოპოსი ნიკანდრი და ესაუბრა მას და მღვდელ ა. ნ. ივანოვს ხალხურ რწმენაზე, მომლოცველობაზე, რუსულ საეკლესიო მოსაგრეობაზე.

წლინახევრის შემდეგ, ტოლსტოიმ თვითონ განახორციელა „მომლოცველობა“, მსახურ ს. ა. არბუზოვსა და იასნაია პოლიანას სკოლის მასწავლებელთან ლ. ფ. ვინოგრადოვთან ერთად მან ქალამნებით იარა სოფელ-სოფელ, იასნაია პოლიანადან ოპტინის სავანემდე. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ვიდრე ტოლსტოი ოპტინის სავანემდე მიაღწევდა, 1881 წლის 13 ივნისს, სოფელ მანანკაში რასკოლნიკების (სტაროვერების) კრებას დაესწრო.

უკანა გზაზე, ტოლსტოი კალუგაში შეხვდა და ესაუბრა სექტანტ ა. ს. იკონნიკოვს, მივიდა ადგილობრივ სასამართლოში და იქაურ პროკურორ ლანგესთან სექტანტთა ყოფით დაინტერესდა. იასნაია პოლიანაში დაბრუნების შემდეგ, ტოლსტოიმ მიიღო სინოდის ობერ-პროკუ-

რორის კ. პ. პობედონოსცევის წერილი, რომელშიც ეს უკანასკნელი ატყობინებდა, რომ უარზეა მწერლის ცნობილი წერილი გადასცეს ახალ ხელმწიფეს, ალექსანდრე მესამეს, რომელშიც იგი ითხოვდა გაეთავისუფლებიათ 1881 წლის 1 მარტს, მეფის მკვლელობაში მონაწილე ნაროდოვოლცები. უარის თქმის მიზეზად პობედონოსცევი ასახელებდა მასსა და ტოლსტოის შორის არსებულ ქრისტიანობის გაგების ძირეულ სხვაობას: „თქვენი რწმენა ერთია, ჩემი და ეკლესიური კი სხვაა... ჩვენი ქრისტე — არაა თქვენი ქრისტე“.

უკვე ობერ-პროკურორის ამ სიტყვებში იგრძნობა მოახლოვებული მეხთატეხის ნიშნები, თუმცა „ცა დაიქუხებს“ ოცი წლის შემდეგ...

ტოლსტოის ანტირელიგიური ნაწარმოებებით, რომლებიც რუსეთში აკრძალეს, დაინტერესდნენ დასავლეთის გამომცემლობები. 1884 წელს, ლაიფციგში, გერმანულ ენაზე გამოდის „რაშია ჩემი რწმენა?“, ხოლო 1885 წელს, ლონდონში გამოიცა ვ. გ. ჩერტკოვის მიერ ინგლისურად თარგმნილი „აღსარება“ და „რაშია ჩემი რწმენა?“, საერთო სათაურით „ქრისტეს ქრისტიანობა“, აგრეთვე „მოკლედ მოთხრობილი სახარება“. იმავე წელს, ტოლსტოიმ გაასწორა ლ. დ. ურუსოვის მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილი „მოკლედ მოთხრობილი სახარება“. 1890 წელს ეს წიგნი ჟენევაში გამოსცეს. ტოლსტოის იდეები ხელმისაწვდომი გახდა მსოფლიოს საზოგადოებრიობისათვის.

რუსეთში, ტოლსტოის ეს ნაწარმოებები შეტანილი იყო მრავალრიცხოვან ჰექტოგრაფიულ გამოცემებში. თვითონ ტოლსტოი დიდი მონდომებით ავრცელებდა საკუთარ შეხედულებებს სხვადასხვა სექტანტურ საზოგადოებათა წევრებს შორის. სწორედ ამ პერიოდში გამოიჩინა მან განსაკუთრებულ ინტერესი იუდაიზმის მიმართ და რაბინ სოლომონ ალექსანდრეს ძე მინორის ხელმძღვანელობით ძველი ებრაული ენის შესწავლას შეუდგა (1822 წლის ოქტომბერ-ნოემბერი). მინორის დახმარებით ტოლსტოიმ დაიწყო ძველი აღთქმის დედანში კითხვა, თუმცა მალე იგი „ბნელ, გაუგებარ და საშინელ წიგნად“ გამოაცხადა.

ტოლსტოის ოპონენტებმა დიდი მწერალი ბიბლიის გაუბრალოებაში დაადანაშაულეს: „მის მიერ ფურცელნახევარზე გადმოცემული სრული ძველი აღთქმა გაოცებას იწვევს მთელი რიგი უცნაურობებით, — წერდა ერთ-ერთი მათგანი. — უაღრესად ღრმა და უზარმაზარი წიგნისგან იგი აკოწიწებს რაღაც ძალზე უმნიშვნელოს, თუნდ ურწმუნოთათვისაც კი... ბიბლია პირველი ადამიანების დაცემის ღრმა მისტიკური თხრობით იწყება. დაცემის მოვლენის არსი — სიკეთისა და ბოროტების ხე-ცნობადის შესახებ მცნების დარღვევა... ტოლსტოის გადმოცემით მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანებმა აკრძალული ხის ნაყოფი იგემეს, რომელსაც თითქოსდა ძლევამოსილების მინიჭების ძალა ჰქონდა... ბიბლიური თხრობა იმის შესახებ, რომ ადამიანებმა ამ ცდუნებით ხრწნილება მოჰგვარეს მთელ სამყაროს, ცოდვითა და გამჩანაგებლობით გაანადგურეს ნოყიერი ნიადაგები... ლ.ნ.-ის გადმოცემაში უცნაურ ამბად წარმოჩინდება, თითქოსდა პირველ ადამიანთა ცოდვების გამო დედამიწაზე აღმოცენდნენ „ცუდი ბალახები, რომელთა მსგავსი ადრე არ ყოფილა“.

1881 წლის 19 ივლისს, ტოლსტოიმ სოფელ პატროვკაში გაიცნო ა. ს. პრუგავინი, რომლისგანაც პირველად შეიტყო გლეხკაც-სექტანტ ვასილ კირილეს ძე სიუტაევის (1819-1892) შესახებ, რომელიც „საკუთარი რელიგიის“ შექმნას ცდილობდა. სიუტაევის ვაჟმა, ივან ვასილის ძემ, 1887 წელს უარი განაცხადა სამხედრო სამსახურზე, რამაც მეტად დააინტერესა ტოლსტოი, და მას ძლიერი სურვილი გაუჩნდა გაეცნო სიუტაევი.

სიუტაევზე არ ითქმოდა, რომ ის პატრიარქალური გლეხობის ინტერესების ტიპიური გამომხატველი იყო. იმდროინდელი ცხოვრების ძირითად ბოროტებად მას ქალაქები მიაჩნდა, რომლებიც მისი შეხედულებით კი არ უნდა გაეფართოებინათ, არამედ „დაენგრიათ“, რათა მოესპოთ ვაჭართა წოდება, აეძულებინათ ქალაქის მოსახლეობა სოფელში გადასახლებულოყო და იქ „ოფლის ღვრით“ მოეყვანა პური. ამავე დროს, იგი საზოგადოებრივი მეურნეობის თავგამოდებული მიმდევარი იყო, რომლის დროსაც გლეხების მთელი ქონება ეკუთვნის ყველას და სადაც კერძო საკუთრება არ არსებობს ტანსაცმელსა და ინდივიდუალური მოხმარების საგნებზეც კი.

ასეთი შეხედულებების შესატყვისად სიუტაევი შვილებთან ერთად ერთ დიდ განუყოფელ

ოჯახად ცხოვრობდა. იგი აძოვებდა სოფლის ნახირს... სიუტაევის ოჯახში ყველაფერი საერთო იყო, დედაკაცების სკივრებიც კი... საეკლესიო წეს-ჩვეულებებს და იმას, რასაც მართლმადიდებლურ ეკლესიაში საიდუმლოებას უწოდებენ, სიუტაევი არ ცნობდა.

სიუტაევთან ურთიერთობამ ტოლსტოიზე უზარმაზარი ზეგავლენა მოახდინა. იგი მ. ა. ენგელგარდტს წერდა: „აი, ესეც თქვენი გაუნათლებელი ტეტია, — მისი გავლენა კი ადამიანებზე, ჩვენს ინტელიგენციაზე ბევრად უფრო დიდი და მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთად აღებული ყველა რუსი მეცნიერი და მწერალი, პუშკინებითა და ბელინსკების ჩათვლით, ტრედიაკოვსკისგან მოკიდებული, დღევანდელ დღემდე“.

1882 წლის იანვრის ბოლოს სიუტაევი მოსკოვში ჩავიდა და დენეჟნის შესახვევში მდებარე ტოლსტოის სახლში დაიდო ბინა. გრაფი მას, როგორც ერთგვარ „საკვირველებას“ აჩვენებდა მოსულ სტუმრებს. ცნობილია, რომ ი. ე. რეპინმა სიუტაევის პორტრეტიც კი დახატა, რომელიც ახლა ტრეტიაკოვის გალერეაშია დაცული.

1882 წლის ზამთარში, სრულიად რუსეთის აღწერის დროს, რაშიც ტოლსტოი უშუალოდ იღებდა მონაწილეობას, რათა უკეთ გაცნობოდა ქალაქის დუხჭირ ცხოვრებას, ყურადღებით ეკიდებოდა სიუტაევის რჩევებს. გააცნო რა მას „მოკლედ მოთხრობილი სახარება“, ტოლსტოი ბ. ი. ალექსეევს წერდა: „...მე და სიუტაევი ყველაფერში თანამოაზრენი ვართ, უკანასკნელ წვრილმანებშიაც კი“.

ტოლსტოის ბინაში სიუტაევის სტუმრობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა ქალაქის მესვეურთათვის, რომელთა წარმომადგენლებთან საუბარზეც ტოლსტოიმ უარი განაცხადა. მიუხედავად ამისა, სიუტაევი გაემგზავრა პირველსატახტო ქალაქიდან. ცნობილია, რომ 1888 წლის ზაფხულში, სიუტაევს ალექსანდრე მესამესთან შეღწევა სურდა, რათა დაერწმუნებინა მეფე, რომ „ხალხის საკეთილდღეოდ მეფეს ებრძანებინა სახარების სიუტაევისებური ინტერპრეტაციით ქადაგება“. ვ. ვ. რახმანოვის გადმოცემით, პეტერბურგში ყოფნისას, სიუტაევმა ნ. ი. ლესკოვი ინახულა, რომელიც ეცადა, რომ სიუტაევს ხელი აეღო ამ განზრახვაზე. მაგრამ სიუტაევმა არ დაუჯერა, და იგი მეფის სასახლის კარიბჭესთან მაშინ დააკავეს, როდესაც შიგ შესვლას ლამობდა. ამის შემდეგ, სიუტაევი მშობლიურ სოფელში გაამგზავრეს. „არ მიმიშვეს, — ყვებოდა იგი. — რომ მივეშვით, ნახავდით მაშინ, რაც იქნებოდა!“.

სიუტაევის „მიმბაძველობით“, ტოლსტოი გასპრიდან ნიკოლოზ მეორეს წერდა წერილებს, უნდოდა დაეყოლებინა ხელმწიფე, — საუფლისწულო მამულები გლეხებისათვის გადაეცა. სიუტაევისადმი ინტერესი კი მას ცხოვრების ბოლომდე გაჰყვა.

სიუტაევის გარდა, 80-იან წლებში ტოლსტოიზე ძლიერი ზეგავლენა იქონია მეორე გლეხმა-სექტანტმა — ტიმოთე მიხეილის-ძე ბონდარევმა (1820-1898). „ბონდარევი ტოლსტოის სოციალური იდეების ერთთგვარი სულისჩამდგმელია, ისევე, როგორც სექტანტი სიუტაევი იყო მისი რელიგიური იდეების სულისჩამდგმელი“, — აღნიშნავს ამედეი პაჟესი, ბონდარევის თხზულების წინასიტყვაობაში — („შრომისმოყვარეობა და მუქთახორობა, ანუ მიწათმოქმედის დღესასწაული“, პარიზი, 1890). ბონდარევის ხელნაწერი ფრანგულ ენაზე ითარგმნა ტოლსტოის რჩევით, რომელმაც დიდი ძალისხმევა გასწია იმისათვის, რომ ეს ნაშრომი საზოგადოებას რუსულ ენაზეც გაეცნო (ტოლსტოის წინათქმით, ეს ნაშრომი გამოსცა გამომცელობა „Посредник“-მა 1906 წელს).

ტ. მ. ბონდარევი ცხოვრობდა ენისეის გუბერნიაში და შედიოდა „იუდეველობის“ სექტაში. იგი მტრულად იყო განწყობილი ყველა სხვა რელიგიური მიმდინარეობის აღმსარებლების მიმართ, კერძოდ კი თავისი თანასოფლელი მოლოკანების მიმართ.

ბონდარევის ხელნაწერის შესახებ ტოლსტოიმ პირველად გ. ი. უსპენსკის სტატიიდან შეიტყო, რომელიც 1884 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში „Русская мысль“. ეს ჟურნალი მწერალმა 1885 წლის 13 ივლისს, პოლიტიკური მოტივით გადასახლებაში მყოფი ვასილი სტეფანეს ძე ლებედევისაგან მიიღო, იმ დროს, როდესაც იგი წერდა თავის ყველაზე მამხილებელ თხზულებას — „მაშ რაღა ვქნათ ჩვენ?“. პრივილეგირებული კლასების, განსაკუთრებით კი მემამულეების მწვავე მხილება, და გლეხთა „სარფიანი შრომის“ აპოლოგია ბონდარევის ხელნაწერებში, ყველაზე მეტად ესადაგებოდა თვით ტოლსტოის ხასიათსა და აზრებს. ამას გარდა, ხელნაწერის ენა, დაფუძნებული ხალხურ ენასა და ბიბლეიზმების მტკიცე შენარევზე, განსაკუთრებულად გამომხატველი და სახოვანი ეჩვენა მას: „გულმოწყალება გამოიჩინე ჩვენდამი მდიდარო კლასო! უკვე

რამდენი ათასი წელია, რაც შენ, აულაგმავ ცხენზე ამხედრებული, ჩვენს ზურგზე დააჭენებ, მთელი ტყავი ძვლებამდე გაგვაძრე. ის რასაც შენ მიირთმევ, ხომ მხოლოდ შესახედადაა პური, სინამდვილეში კი სხეულია ჩვენი; რასაც შენ სვამ, მხოლოდ შეასხედადაა ღვინო, სინამდვილეში კი სისხლია ჩვენი“.

ასეთ თავხედურ მეტაფორას, ევქარისტიის საიდუმლოს შედარებიდან რომ მომდინარეობს, შეუძლებელია არ მოეხიბლა ტოლსტოი. მან იმავე დღეს, ოჯახურ წრეში წაიკითხა ბონდარევის თხზულება, და როგორც მეორე დღეს, ვ. ს. ლებედევისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა, „წაკითხვის შემდეგ, ყველა უხმოდ წამოდგა და შერცხვენილნი წავიდ-წამოვიდნენ“. იმავე წერილში ტოლსტოი ბონდარევს თხოვდა, დაწვრილებით ეცნობებინა მისი ოჯახური მდგომარეობის, რელიგიური მრწამსისა და ცხოვრების ნირის შესახებ.

იმავე დღეს, ლ. დ. ურუსოვისადმი მიწერილ წერილში, ტოლსტოი აღრფთოვანებას გამოხატავდა ბონდარევის ხელნაწერზე: „მთელ ეკონომიკურ მეცნიერებას ამის მსგავსი არაფერი უთქვამს“.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, ტოლსტოიმ პირველი წერილი მიწერა ბონდარევს, რომელშიც ატყობინებდა, რომ წაიკითხა მისი ხელნაწერი — „მეტად სასარგებლო და გასახარელი“, თუმცა აზრი არა აქვს იმის იმედზე ყოფნას, რომ მეფისა და მინისტრებისაგან მოსალოდნელია სავალდებულო სამიწათმოქმედო შრომის კანონის გამოცემა, რისკენაც ბონდარევი მოუწოდებდა. ასეთი სახის ილუზიები ტოლსტოისათვის ნამდვილად უცხო იყო: „შინაგან საქმეთა მინისტრის და თუნდაც მეფის მეშვეობით, არაფრის გაკეთება არ შეიძლება და არცაა მოსალოდნელი“.

1886 წელს, მინუსინსკის მუზეუმის თანამშრომელმა, ლებედევმა, ტოლსტოის გაუგზავნა ბონდარევის ახალი ხელნაწერი — „დამატება, ჩემს მიერ, ბონდარევის, ადრე დაწერილ შრომისმოყვარეობასა და მუქთახორობაზე რომელიც ამოღებულია პირველწყაროდან: „ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი“. იმავე წლის 26 მარტს, ტოლსტოი ატყობინებს ბონდარევს, რომ წაიკითხა როგორც მისი ძირითადი ხელნაწერი, ასევე მასზე დამატებაც: „ერთიც და მეორეც ძალიან კარგია და სავსებით სწორი“.

ტოლსტოი დიდ ძალისხმევას იჩენდა, რათა „შრომისმოყვარეობა და მუქთახორობა“ ფართო მკითხველისათვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი და მიაღწია კიდეც, რომ 1888 წელს, ჟურნალ „Русская старина“-ს მეორე ნომერში დაიბეჭდა ბონდარევის ეს ნაშრომი. მიუხედავად იმისა, რომ ცენზურამ ამოიღო იგი ამავე ჟურნალის კრებულიდან, ტოლსტოიმ მაინც მოახერხა, რომ გლეხსექტანტის ეს თხზულება როგორღაც გაეძვრინა ცენზურის მარწუხებში, თუმცა რადენადმე შემოკლებული სახით. „შრომისმოყვარეობა და მუქთახორობა“ 1888 წელს სრულად გამოქვეყნდა ჟურნალში „Русское дело“, რისთვისაც ჟურნალმა შინაგან საქმეთა მინისტრის გაფრთხილება მიიღო. ორი წლის შემდეგ, წიგნი ფრანგულ ენაზე გამოვიდა პარიზში, 1895 წელს კი, „რუსი მწერლების კრიტიკულ-ბიოგრაფიულ ლექსიკონის“ მეხუთე ტომში, რომელიც ს. ა. ვენგეროვის რედაქციით გამოდიოდა, ტოლსტოიმ სტატია მიუძღვნა ბონდარევს. ამ სტატიაში ტოლსტოი წერდა: „შესაძლებელია უცნაურად და ახირებულადაც მოეჩვენოთ ადამიანებს ჩემი ახლანდელი მტკიცება, რომ ბონდარევის თხზულება, რომლის მიამიტობაზე სიბრალულით გვეღიმება ჩვენი გონებრივი სიდიადის სიმაღლიდან, ბევრად უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება, ვიდრე რუსული ლიტერატურის ისტორიებში აღწერილი თხზულებები, და უფრო მეტ ზეგავლენას მოახდენს ადამიანებზე, ვიდრე ყველა ისინი, ერთად აღებული“.

1898 წლის 30 დეკემბერს, ტ. მ. ბონდარევის შვილის, დანიელ ტიმოთეს-ძისადმი მიწერილ წერილში, რომელმაც ტოლსტოის მამის გარდაცვალების ამბავი შეატყობინა, მწერალმა პატივი მიაგო მის ხსოვნას: „მე მას დიდად ვაფასებდი, როგორც მწერალს და მიყვარდა როგორც ადამიანი“. იმავე წერილში ტოლსტოიმ ბონდარევი დაახასიათა, როგორც „შესანიშნავი ადამიანი, რომელმაც შთამომავლობას მნიშვნელოვანი თხზულება დაუტოვა“.

თავის ნაშრომში „მაშ რაღა ვაკეთოთ?“, ტოლსტოი აღნიშნავდა: „მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ორმა რუსმა მოაზროვნე ადამიანმა დიდი ზნეობრივი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე, მათ გაამდიდრეს ჩემი აზროვნება და განმიმარტეს ჩემი მსოფლმხედველობა. ეს ადამიანები არ იყვნენ რუსი პოეტები, მეცნიერები, მქადაგებლები, არამედ ეს იყო ჩემთვის ახლაც ცოცხალი ორი შესანიშნავი ადამიანი, გლეხები სიუტაევი და ბონდარევი, რომლებმაც მთელი ცხოვრება

გლეხურ შრომაში გაატარეს“.

ბონდარევი და სიუტაევი, ისევე როგორც ტოლსტოი, მგზნებარედ და დაუნდობლად ამხელდნენ გაბატონებულ კლასებს; სამივე უტოპიური პროექტების მიმდევარი იყო ისე, რომ გარკვეული არ ჰქნდათ გლეხთა კლასობრივი ბრძოლის რეალური გზები და მოსალოდნელი შედეგები. შეხედულებათა ასეთმა მსგავსებამ განაპირობა მათი ერთნაირად უარყოფითი დამოკიდებულება ეკლესიისადმი.

გარდაცვალების წინ, ტოლსტოის მიერ ოპტინის სავანისა და შამორდინსკის მონასტრების მონახულებას, ზოგიერთი მკვლევარი მის მონანიებად და ეკლესიასთან შერიგების მცდელობად მიიჩნევს. ტოლსტოის, როგორც „უძღები შვილის“ მეტად სადაო ვერსიის მომხრეები, ცდილობენ სასურველი სინამდვილედ წარმოაჩინონ, როგორც ამას მაგალითად ი. ა. ბუნინი აკეთებს თავის ცნობილ „ტოლსტოის განთავისუფლებაში“. ფსიქოლოგიურად ეს გასაგებიცაა და მიმზიდველიც, უძღები შვილის თემა ხომ მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების შედევრებში, შერიგებისა და პატიების იდეალებით, გულის მომგები და ამაჩუყებელია.

მაგრამ ამ საკითხისადმი ნებისმიერი „პლურალისტური“ მიდგომის დროსაც კი, გასათვალისწინებელია თვით ტოლსტოის სიტყვები, რომლის ჩანაწერი მან 1909 წლის 22 იანვარს, ტულის არქიეპისკოპოს პარფენთან საუბრის შემდეგ გააკეთა: „ეკლესიასთან მიბრუნება და სიკვდილის წინ ზიარება მე ისევე არ შემიძლია, როგორც არ შემიძლია სიკვდილის წინ უხამსი სიტყვებით საუბარი ან კიდევ უმსგავსო ნახატებს ყურება, ამიტომ ყველაფერი ის, რასაც ჩემი სიკვდილის წინ მონანიებასა და ზიარებაზე იტყვიან, — სიცრუეა...“.

ეკლესია გონივრულად მოიქცა: ანათემას არ ჰქონია ადგილი

მოთხრობა „კროიცერის სონატა“, რაზედაც ტოლსტოი რამდენიმე წელი მუშაობდა, პრობლემატიკით, სოციალური და ანტიკლერიკალური მხილებების სიმძაფრით, უპრეცედენტო მოვლენად იქცა იმდროინდელ ლიტერატურაში. მოთხრობის გამოქვეყნებამ საეკლესიო წრეების შეშფოთება გამოიწვია. საქმე იმაშია, რომ ტოლსტოიმ „კრეიცერის სონატაში“ მარტო მისი გარემოცვის მორალურ აღვირახსნილობას კი არ ახადა ფარდა, არამედ ამასთანავე უუნაროდ გამოაცხადა თვით ეკლესიური ქორწინების მორალური საფუძვლები. ტოლსტოის აზრით, სიყვარულის არასწორი გაგებით გამოწვეული ეს უუნარობა, რომელიც ინდივიდუალური ყოფიერების სრული უაზრობის გაცნობიერების შედეგად აღმოცენდება, მიმართული უნდა იყოს არა პიროვნებაზე, არამედ უპიროვნო მთლიანობაზე.

მოთხრობაში ტოლსტოი გადაჭრით გმობს ყველანაირ ქრისტიანულ სიმბოლოს, უარყოფს ქორწინების, როგორც საიდუმლოების გაგებას, და ამას ყველაფერს თავიდან ბოლომდე სრულ სიყალბედ მიიჩნევს.

ვ. ბ. შკლოვსკის სიტყვებით, მოთხრობაში წარმოჩინდა ტოლსტოის ის თვალსაზრისი, რომელიც მან შემდეგ სრულად განავრცო რომანში „აღდგომა“ (ნეხლუდოვისა და კატუშა მასლოვას თემა), და რაც იმაში მდგომარეობს, რომ „სიყვარული საერთოდ არ არსებობს და რომ სქესობრივი აქტი იმდენად ამაზრზენია, რომ შეუძლებელია საყვარელ ადამიანთან აღასრულო“.

მოთხრობა, რომლის დაბეჭდვაზეც თავიდან უარი ითქვა, ხელნაწერების სახით მოედო მთელ რუსეთს, რამაც გაუთავებელი მოთქმა-მოთქმა და ცხარე კამათი გამოიწვია.

„კროიცერის სონატის“ შესახებ სინოდის ობერ-პროკურორი კ. პ. პობედონოსცევი თავის მეგობარს, ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს უფროსს, ე. მ. ფეოქტისტოვს წერდა: „წავიკითხე პირველი ორი რვეული: გულის ამრევია — ცინიზმამდე სისაძაგლედ მეჩვენა... მართალია, ავტორი ავადმყოფი, გაღიზიანებული ადამიანის პირით საუბრობს, რომელიც სიძულვილითაა გამსჭვალული იმის მიმართ, რის გამოც ის დაიჩაგრა, მაგრამ ყველა ხვდება, რომ იდეა ავტორს ეკუთვნის. და გამუდმებით, მხოლოდ უარყოფითი გეცემა თვალში... ნაწარმოები ძალიან ძლიერია. და როდესაც ჩემს თავს კითხვას ვუსვამ, უნდა აიკრძალოს ის თუ არა ზნეობრივი თვალსაზრისით, ძალა არ მყოფნის „ჰო“ ვთქვა. გამამტყუნებენ ის ადამიანები, რომლებიც იდეალებს პატივს მიაგებენ. წაიკითხავენ რა ამ მოთხრობას, იტყვიან: ისე კი, ეს ხომ სი-

მართლეა. ზრდილობისათვის აკრძალვა კი — ერთგვარი ფარისევლობა გამოდის“.

მას შემდეგ, რაც მწერლის მეუღლე, ს. ა. ტოლსტაია აუდიენციაზე იმყოფებოდა ალექსანდრე მესამესთან, იმპერატორმა ნება დართო გამოეცათ „კრეიცერის სონატა“, მხოლოდ... თხზულებათა სრულ კრებულში. 1891 წლის ივნისში, მამონტოვის ტიპოგრაფიაში დაიბეჭდა ლ. ნ ტოლსტოის თხზულებათა მე-13 ნაწილი, რომელშიც „კროიცერის სონატა“ შევიდა. მოთხრობის გამოქვეყნება იმთავითვე გასცდა სუფთა ლიტერატურული მოვლენის ჩარჩოებს და გამოიწვია ცხარე დისკუსიები ქორწინებაზე, როგორც ოჯახური ურთიერთობის დრომოჭმულ ფორმაზე.

რუსული მართლმადიდებელი ეკლესია შეეცადა გონს მოეყვანა ლ. ტოლსტოი. 1892 წლის მარტში, მწერალი მოინახულა მოსკოვის სასულიერო აკადემიის არქიმანდრიტმა ანტონმა (ხრაპოვიცკი), მაგრამ მისმა შეგონებამ, როგორც აღმოჩნდა, შედეგი ვერ გამოიღო.

მალე კი პირველად გაისმა სიტყვა „განკვეთა“. 1892 წელს, ლ. ტოლსტოის მოსკოვიდან მეუღლე ატყობინებდა: „გუშინ, გროტმა (ნიკოლოზ იაკობის ძე გროტი — ვ. ნ.) მოიტანა წერილი, რომელშიც იგი წერს, რომ აქაურ მიტროპოლიტს [მოსკოვისა და კოლომენსკის მიტროპოლიტი ლეონტი (ლებედინსკი)] შენი ეკლესიისაგან საჯაროდ განკვეთა სურს“.

ასე რომ, განკვეთის საკითხი ჯერ კიდევ 1892 წელს ამოტივტივდა, მაშინ, როდესაც „კროიცერის სონატა“ დაიბეჭდა. ხოლო 1899 წელს, მას შემდეგ, რაც ჟურნალ „Нива“-ში რომანი „აღდგომა“ გამოქვეყნდა, ეს საკითხი უკვე კარგა ხნის მომწიფებული იყო. ვაი რომ დიდი მწერალი გაკადნიერდა და ამ ნაწარმოებში მკრეხელობა და ღვთის გმობა დაუშვა. წმინდა ევქარისტიის შესახებ იქ ნათქვამია: „აიღო რა ხელში ოქროს თასი, მღვდელი კარებშუა დადგა და მსურველები მიიპატიჟა, თასში მოთავსებული ღმერთის სხეული და სისხლი რომ შეეჭამათ“. თავისი არსებობის ცხრამეტი საუკუნის მანძილზე, ქრისტიანული ეკლესია არ მოსწრებია ასეთი ძალის დაუნდობელ ცილისწამებას, სარკაზმს, თანმიმდევრულ უარყოფას. ყველასათვის, როგორც ოფიციალური, ასევე სამღვდელოების ხელისუფალთათვის ცხადი გახდა, რომ ტოლსტოის ეკლესიასთან შერიგებაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო.

1899 წლის ნოემბერში, წმინდა სინოდის წევრმა, არქიეპისკოპოსმა ამბროსიმ (კლუჩარევი), შეადგინა სინოდის დადგენილების პროექტი ტოლსტოის განკვეთის შესახებ. 1900 წლის მარტში, კიევის მიტროპოლიტმა და სინოდის უპირველესმა წევრმა იოანიკიმ (რუდნევი) საიდუმლო ცირკულარით დაავალდებულეს ყველა სასულიერო კონსისტორია, გამოეცხადებინათ მათდამი დაქვემდებარებული სამღვდელოებისათვის „ტოლსტოის მონანიების გარეშე გარდაცვალების შემთხვევაში, მისი მოხსენიების, პანაშვიდისა და სულის მოსახსენიებელი წირვის აკრძალვის შესახებ“.

იმავე წელს, სინოდის უპირველეს წევრად დაინიშნა პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტი ანტონი (ვადკოვსკი). ამ დანიშვნასთანაა დაკავშირებული იმ ხმების გავრცელება, რის შესახებაც თავის დღიურში ა. ს. სუვორინი წერდა: „ყვებიან, რომ მიტროპოლიტმა ანტონმა სრულიად რუსეთში დააგზავნა საიდუმლო ცირკულარები მკაცრი მოთხოვნით მთელი სამღვდელოებისადმი — ტოლსტოი არ ეღიარებინათ მართლმადიდებლად. ამ ცირკულარით გრაფი გამოაცხადეს მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ ურჩ, მტრულად განწყობილ კრიტიკოსად და ერეტიკოსად“.

ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ კონსერვატორული განწყობის ლიტერატურულ წრეებში ტოლსტოის განკვეთის საკითხი ჯერ კიდევ რამდენიმე წლით ადრე განიხილებოდა — კერძოდ, მას შემდეგ, რაც ჟურნალ „Русский вестник“-ში, 1895 წელს, გამოქვეყნდა ვ. ვ. როზანოვის სტასტია „გრაფი ტოლსტოის ერთი მღელვარების (შიშის) გამო“. მასში როზანოვმა საჯაროდ „დატუქსა“ ტოლსტოი მართლმადიდებლობისაგან განდგომისათვის“.

ვ. ს. სოლოვიოვის ცნობილ „სამ საუბარში...“, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ, 1899 წლის ოქტომბერში, „Книжка недели“-ში დაიბეჭდა, დიდმა რუსმა ფილოსოფოსმა-იდეალისტმა აშკარად გამოხატა საკუთარი შეხედულება ტოლსტოიზე, როგორც „რელიგიურ თვითმარქვიასა და ქრისტიანობის ფალსიფიკატორზე“, ცრუმესიის წინამორბედზე. ყველაფერი ეს წინ უსწრებდა სინოდის გადაწვეტილებას ტოლსტოის ეკლესიისაგან განკვეთის შესახებ, რაც თავისთავად, უკვე მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო

დასასრულ, 1901 წლის 24 თებერვალს, წმინდა სინოდის გამოცემა „Церковные ведомости“-ში გამოქვეყნდა წმინდა სინოდის 1901 წლის, 21-22 თებერვლის, №557 განჩინება — „მიმართვა მართლმადიდებელი საბერძნეთისა და რუსეთის ეკლესიის სულიერი შვილებისადმი გრაფ ტოლ-

სტოის შესახებ“. მასში ნათქვამი იყო:

„მსოფლიოში ცნობილი მწერალი... გრაფი ტოლსტოი, საკუთარი მზვაობარი ჭკუა-გონებით შეცდენილი, აუმხედრდა უფალს და ქრისტესა მისსა და მის წმინდა მადლს, ყველას წინაშე ცხადად განუდგა მის მასაზრდოებელ და აღმზრდელ დედას, მართლმადიდებელ ეკლესიას, და თავისი ლიტერატურული შემოქმედება და ღვთისაგან მისთვის ბოძებული ნიჭი, მოახმარა ხალხში ისეთი მოძღვრების გავრცელებას, რომელიც ეწინააღმდეგება ქრისტესა და ეკლესიას, და გამიზნულია ადამიანების გონებასა და გულებში მამისეული რწმენის, მართლმადიდებლური რწმენის აღმოსაფხვრელად... თავის თხზულებებსა და წერილებში, რასაც მრავლად ავრცელებენ იგი და მისი მოწაფეები მთელ სამყაროსა და განსაკუთრებით კი ჩვენი ძვირფასი სამშობლოს ფარგლებში, იგი ფანატიკოსის გულმოდგინებით ქადაგებს მართლმადიდებლური ეკლესიის ყველა დოგმატისა და თვით ქრისტიანული რწმენის არსის დამხობას... და შეურაცხოფს რა მართლმადიდებელი ხალხის რწმენის ყველაზე წმინდა საგნებს, არ მოერიდა ყველაზე უდიდესი საიდუმლოების, წმინდა ევქარისტიის დაცინვასაც კი. ყოველივე ამას გრაფი ტოლსტოი ქადაგებს გამუდმებით, სიტყვით და წერილობით, მთელი მართლმადიდებლური სამყაროს შესაცდენად და სავალალოდ, და ამით შეფარულად კი არა, არამედ ყველასათვის თვალსაჩინოდ, შეგნებულად და გამიზნულად ჩამოაცილა საკუთარი თავი მართლმადიდებელ ეკლესიასთან ყოველგვარ ურთიერთობას. ჩვენი ყოველი ცდა მის გონს მოსაგებად უშედეგოდ დამთავრდა. ამიტომ ეკლესია აღარ თვლის მას თავის წევრად და არც შეუძლია ჩათვალოს, ვიდრე იგი არ მოინანიებს და არ აღადგენს მასთან ურთიერთობას... ამიტომ ვადასტურებთ რა მის განდგომას ეკლესიისაგან, ამავე დროს ვლოცულობთ და ვევედრებით უფალს, მიანიჭოს მას სინანული, რათა შეიცნოს ჭეშმარიტება“.

სინოდის ეს გადაწყვეტილება, რომელიც კ. პ. პობედონოსცევმა შეადგინა, ხოლო რედაქცია გაუკეთეს სანკტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტმა ანტონმა, აგრეთვე სინოდის წევრებმა — მიტროპოლიტებმა ფეოგნოსტომმა და ვლადიმირმა, არქიეპისკოპოსმა იერონიმმა, ეპისკოპოსებმა იაკობმა, მარკელმა და ბორისმა, მოიწონა ნიკოლოზ მეორემ და გადაიბეჭდა ყველა გაზეთსა და ჟურნალში, მოგვიანებით კი გამოქვეყნდა სრულიად სხვადასხვა გამოცემებში.

1901 წლის 24 თებერვალს, ანუ იმავე დღეს, გამოიცა ბეჭდვითი საქმეების მთავარი სამმართველოს №1576 განკარგულება „პრესაში იმ ცნობებისა და სტატიების გამოქვეყნების აკრძალვის შესახებ“, რაც სინოდის გადაწყვეტილებას შეეხებოდა. მაგრამ ამ განკარგულების მიუხედავად, კონსერვატიული პრესის მრავალი ორგანოდან გაისმა მძაფრი ბრალდებები, საწინააღმდეგო მოსაზრებები და მოწოდებები. მაგალითად, ყაზანის როდიონოვსკის ინსტიტუტის უფროსი მარია ლვოვის ასული კაზემ-ბეკი (თავისი გვარით ტოლსტაია, ლ. ტოლსტოის ნათესავი), მიტროპოლტ ანტონს წერდა: „მართალია სინოდის მიმართვა რბილადაა დაწერილი, სიმპატიურადაც კი, მაგრამ არადროულად. რა საჭიროა ისეთი ზომების მიღება, რასაც საპირისპირო შედეგებამდე მივყავართ და გაძლიერების ნაცვლად, ასუსტებენ ეკლესიას?“.

ფართო გამოხმაურება ჰპოვა ს. ა. ტოლსტაიას წერილმა, რომელიც 26 თებერვალს, ანუ განკვეთიდან ორი დღის შემდეგ მან მიტროპოლიტ ანტონს გაუგზავნა. ტოლსტოის მეუღლე წერდა:

„ჩემს ტკივილიან გულისწყრომას საზღვარი არა აქვს. მაგრამ არა იმ თვალსაზრისით, რომ ამ ქაღალდის წყალობით სულიერად დაეცემა ჩემი მეუღლე: ეს ადამიანების საქმე არაა, ეს უფლის ნებაა... არამედ იმ ეკლესიის თვალსაზრისით, რომელსაც მე მივეკუთვნები... რომელიც ხმამაღლა უნდა ქადაგებდეს სიყვარულის კანონს, ყოვლისმიმტევებლობას, სიყვარულს მტრების მიმართ, რომელთაც ვძულვართ, ლოცულობდეს ყველაზე, — აი, ამ თვალსაზრისით, სინოდის გადაწყვეტილება ჩემთვის სრულიად გაუგებარია“.

მიტროპოლიტ ანტონის 1901 წლის 16 მარტის პასუხში ცხადად იკითხებოდა: „თქვენს მეუღლეზე, ვიდრე ის ცოცხალია, ჯერ კიდევ არ ითქმის რომ დაიღუპა, მაგრამ სრული ჭეშმარიტება ითქვა მასზე, რომ იგი ჩამოცილდა ეკლესიას და აღარ ითვლება მის წევრად, ვიდრე არ მოინანიებს და კვლავ არ შეუერთდება მას“.

ტოლსტოის წინააღმდეგობრივი ხასიათი მეტწილად აიხსნება მასში ორი სტიქიის — შემოქმედებითისა და განსჯითი სტიქიის დაპირისპირებით. ცნობილი რელიგიური ფილოსოფოსი

ვლადიმერ ერნი წერდა: „თუ ის პირველ სტიქიაში (შემოქმედებითში) გენიალურია, მეორეში შეუპოვარია. თუ მისი ცხოვრების შემოქმედებით ხანაში იგი ღვთიური გულუხვობით აფრქვევს თავისი ჭვრეტისა და თავისი შთაგონებების მადლს, განსჯით ხანაში იგი ნეხლუდოვისეული შეუპოვრობით „ცეცხლს ეთამაშება“... შეყვარებულობისა და სიყვარულის იდუმალი საზრისისა და ქორწინების საიდუმლოების ნეხლუდოვისეული უარყოფა უკუგდებულია შემოქმედი ტოლსტოის მიერ... ხელოვნების ნეხლუდოვისეული კრიტიკა კი, ტოლსტოის შემოქმედების გრანდიოზულობის ფაქტის წინაშე, სრული გაუგებრობაა... ნეხლუდოვისეულ კოსმოპოლიტიზმსა და ეროვნულობისადმი მის გაუგებარ გაუცხოებას, უპირისპირდება „ომისა და მშვიდობის“ ავტორის თითქოსდა ფარული, თუმცა მგზნებარე და თვალშისაცემი პატრიოტიზმი.

ამასვე ადასტურებს თანამედროვე ავტორიტეტული მკვლევარი ნ. ნ. სკატოვი: „ომსა და მშვიდობაში“, თვით ტოლსტოი მთელი თავისი ძალისხმევით აცოცხლებს მამებს, და ამ საქმეში მთელ თავის დიდებულ ნიჭს. აქსოვს...“.

და ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ტოლსტოი, რომელმაც თავის თავზე „ახალი რელიგიის“ მახარებელის ტვირთი იკისრა, ისე როგორც ყველა გენიალური შემოქმედი, ვერ თავსდება რამენაირი იდეოლოგიის პროკრუსტეს სარეცელში, ამ შემთხვევაში კი ტოლსტოვსტვოს იდეოლოგიაში. ტოლსტოი თვლიდა, რომ იგი ქრისტიანობის გაუკუღმართებებს ებრძოდა, ვინაიდან მას სწორად ესმოდა ქრისტეს მოძღვრება, რაც სრულიად შეუწყნარებელი და შუთავსებელი იყო რეალურ სინამდვილესთან.

რა თქმა უნდა, მწერალი-ერესიარქი იმსახურებდა ანათემას, ანუ ეკლესიური შეჩვენების საკრალურ აქტს, როგორც ერთგვარ „სასჯელის უმაღლეს ზომას“. ეს სრულიად ნათლად გამომდინარეობს სინოდის გადაწყვეტილებაზე მისი ქედმაღლური პასუხიდანაც, რაც იმაზე მიუთითებს, თუ რაოდენ ღრმად და შეურიგებელად ჩაიკირა იგი თავის მეამბოხე ანტიკლერიკალიზმში. ტოლსტოიმ პირდაპირ განაცხადა, რომ უარყოფს „გაუგებარ სამებას“, როგორც „უაზრო იგავს პირველი ადამიანის დაცემის შესახებ“, „ღმერთის შესახებ ამბავს, რომ იგი ქალწულისაგან იშვა ადამიანთა მოდგმის მხსნელად“, ხოლო ეკლესიურ მოძღვრებას, ლოცვებსა და საიდუმლოებებს „მზაკვრულ და მავნე სიცრუედ, ყველაზე უხეში ცრურწმენებისა და ჯადოქრობის ერთიანობად“ მიიჩნევს.

მაგრამ ეკლესია სამართლიანად მოიქცა, როცა იგი ეგრეთ წოდებული განკვეთით შემოიფარგლა, იხელმძღვანელა რა იკონომიის (შეწყნარების) და არა აკრივიის (მკაცრი უკომპრომისობის) პრინციპებით. ეკლესია ძველთაგანვე გვასწავლიდა და ახლაც გავასწავლის მწვალებლობისადმი შეურიგებელ დამოკიდებულებას და ქრისტესმიერი სიყვარულის შესაბამისად შემწყნარებლურ დამოკიდებულებას მწვალებლების მიმართ, რომელთაც დახმარების ხელი უნდა გავუწიოთ.

ერეტიკოსი ლევი არ შეუჩვენებიათ ტაძრებში, ისე როგორც ეს დიდი მარხვის პირველ კვირადღესაა მიღებული, მართლმადიდებლობის ზეიმის დროს. და როგორი სიცხადითაც ეს ა. ი. კუპრინმა აღწერა თავის მოთხრობაში „ანათემა“ 1913 წელს. (ეს ნაწარმოები თავიდან ბოლომდე მონაგონია).

„ჩემი არს შურის-გებაი, და მე მივაგო“ (რომ. 12:19), — აცხადებს თვით უფალი და აფრთხილებს ეკლესიას, ნუ ესწრაფვის ჩაენაცვლოს უფლის მართლმსაჯულებას. 1901 წელს, რუსული მართლმადიდებელი ეკლესია თავის მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და ამ ცნების ერთგული დარჩა. ამიტომ ეკლესიისადმი შეთავაზება ტოლსტოის მიმართ ანათემის მოხსნის თაობაზე (ასეთი მოწოდებები გაისმოდა 1978 წელს, ტოლსტოის დაბადებიდან 150-ე წლისთავსა, და 2001 წელს — მისი განკვეთის 100 წლისთავზე) — სრული გაუგებრობაა. იმ მორწმუნე ქრისტიანებს კი, რომლებიც გენიალური მწერლის თაყვანისმცემლები არიან, სანუგეშოდ უნდა შევახსენოთ: სიყვარული კანონზე მაღლა დგას, გულმოწყალება უფლებაზე, მიმტევებლობა სამართლიანობაზე. და მაცხოვრის აღთქმით, *ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან ეკლესიას* (მათე 16:18), სწორედ იმიტომ, რომ ეკლესია ამ პრინციპების ერთგულია.

რუსულიდან თარგმნა
ნიკო დადიანმა

ვლადიმირ მიკუშევიჩი

„ყველა დამნაშავეა ყველას გამო“ თუ „არ არიან ამქვეყნად დამნაშავენი“?

ლ. ნ. ტოლსტოისა და ფ. მ. დოსტოევსკის დაუსწრებელი დიალოგი

გარდაცვალებიდან რამდენიმე თვით ადრე, ლ. ნ. ტოლსტოი მუშაობდა ნაწარმოებზე, რომლის სათაურიც შესაძლოა უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე მწერლის ჩვენამდე მოღწეული ცალკეული ცხოვრებისეული მოვლენები. მოთხრობაზე მუშაობა ტოლსტოიმ 1908 წელს დაიწყო, 1910 წელს კი იგი დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ მან უკვე ნათლად წარმოიდგინა, თუ როგორ უნდა დაიწეროს თხზულება „არ არიან ამქვეყნად დამნაშავენი“...

ოცდაათი წლით ადრე კი, რომანში „ძმები კარამაზოვები“, შემდგომში ბერად შემდგარი ზოსიმეს მომაკვდავი ძმა ამბობს: „...ჭეშმარიტად დამნაშავეა ყველა ყველას წინაშე, ყველას მაგიერ და ყველაფრის გამო“. იგი კვდება ჭლექისგან ისევე, როგორც კონსტანტინე ლევინის ძმა ნიკოლოზი ლევ ტოლსტოის რომანში „ანა კარენინა“, მაგრამ არა ისე შეძრწუნებული და სასოწარკვეთილი, როგორც ნიკოლოზი, არამედ სამოთხისეულ ნეტარებაში მყოფი: „თუმც ცოდვილი ვარ ყველას წინაშე, მაინც ყველა მომიტევებს, და სამოთხეც ესაა“.

თითქოსდა ეს ორი გამონათქვამი, „ყველა დამნაშავეა ყველას გამო“ და „არ არიან ამქვეყნად დამნაშავენი“ — ურთიერთგამომრიცხავია, თუმცა ამავე დროს მოქმედებს ერთმანეთზე და იმის ვარაუდსაც უშვებს, რომ მათგან ერთი-ერთი არ არსებობს (არ იქნებოდა) მეორის გარეშე.

რომანი „ანა კარენინა“ დაიბეჭდა სულ რაღაც ორი წლით ადრე, ვიდრე „ძმები კარამაზოვები“ გამოქვეყნდებოდა. და აი, თავის რომანზე გამალებით მომუშავე დოსტოევსკი პოულობს დროს, გამოეხმაუროს კონსტანტინე ლევინის გამონათქვამს, რომელშიც არცთუ ისე უსაფუძვლოდ ხედავენ ტოლსტოის alter ego-ს: „ჩემთვის მთავარია, ვგრძნობდე, რომ მე არ ვარ დამნაშავე“. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა ლ. ნ. ტოლსტოი მთელი ცხოვრების მანძილზე, და სწორედ ამ პრინციპმა განაპირობა მისი რელიგიური ძიებანი და აღსასრული. დოსტოევსკიმ მაშინვე შეიგრძნო ამ ფრაზის შინაგანი მნიშვნელობა, უწოდა რა „ანა კარენინას“ — „განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტი“. „მე სწორედ იმას ვუსვამ ხაზს, რაც საშინელი გარყვნილების გვერდითაა, იმას, რომ მე ვხედავ და წინასწარ ვგრძნობ იმ მომავლის ადამიანებს, რუსეთის მერმისი რომ ეკუთვნით, რომ უკვე შეუძლებელია მათი არდანახვა და, რომ შემოქმედმა, რომელმაც დაუპირისპირა რა ეს დრომოჭმული ცინიკოსი სტივი თავის ახალ ადამიანს — ლევინს, ამით თითქოსდა ერთმანეთს დაუპირისპირა ხელიდან წასული, გარყვნილი, შემზარავად მრავალრიცხოვანი, მაგრამ საკუთარი განაჩენით უკვე თვითმკვლელობამდე მისული რუსული საზოგადოება ახალი სიმართლის მქონე საზოგადოებას, რომელსაც აღარ ძალუძს თავის გულში ატაროს რწმენა იმისა, რომ დამნაშავეა და ყველაფერს გაიღებს, რათა განიწმინდოს გული ამ დანაშაულისაგან“.

ამგვარად იმას, რასაც ლევინი-ტოლსტოი თავს თავს მიაწერს, დოსტოევსკის მთელ საზოგადოებაზე გადააქვს, და ბუნებრივია, მიიღებდა რა ცნობად ამ მოსაზრებას, ტოლსტოი ძნელად თუ დაეთანხმებოდა მას. და საბოლოო აზრი „არ არსებობენ ამქვეყნად დამნაშავენი“, სწორედაც რომ ამ იდუმალი უთანხმოების შედეგი იყო. ტოლსტოისათვის დანაშაული ყოველთვის პირადულია და დანაშაულისათვის უცილობელი ინსტანციაც ასევე უაღრესად პირადულია: სიკვდილი. „ბატონო, ეს ცოდვაა, ყველანი მოვკვდებით“ — შეაგონებს გლეხკაცი მის დამჩაგვრელს მოთხრობაში „ყალბი კუპონი“ (ტოლსტოი ამ მოთხრობას 1904 წლამდე წერდა და დაუმთავრებელი დარჩა): „ივან მირონოვმა ახსენა ღმერთი, და ის რომ ყველანი მოვკვდებით“. არის სხვა თვალსაზრისიც სიკვდილის შესახებ: „გგონია მოკვდები — საფლავზე კი ბალახი აბიბინდება, ეს არის და ეს“. ადამიანები, როგორც ამას ტოლსტოი ხედავს, ერთმანეთისაგან მათი სიკვდილისადმი თავისებური დამოკიდებულებით განსხვავდებიან. ზოგიერთს სიკვდილზე ფიქრი ხელს ააღებინებს დანაშაულის ჩადენაზე, სხვას კი პირიქით, მისკენ უბიძგებს, აქაო და მაინც მოვკვდებიო. მაგრამ ასეა თუ ისე, ცოდვა იმით შეიცნობა, რომ „მოკვდავნი ვართ“.

სწორედ ამ ცხოვრებისეული პრინციპების შეჯახებაზეა აგებული დაუმთავრებელი მოთხრობა „ყალბი კუპონი“. უფროსი მეგობარი მახინი წააქეზებს გიმნაზისტ მიტია სმოკოვნიკოვს, კუპონზე „2 მან. 50 კაპ“ წინ ერთიანი დაუსვას „და 12 მან. 50 კაპ. გახდება“. მეგობრები მოახერხებენ ეს კუპონი ფოტოგრაფიულ ხელსაწყოთა მაღაზიაში დაახურდაონ. მაღაზიის მეპატრონე, ევგენი მიხაილოვიჩი ამ კუპონით გლეხ ივან მირონოვისაგან შეშას იყიდის, რომელიც მოგვიანებით სასამართლოზე ცდილობს შეაგონოს მებატონეს, რომ „ყველანი მოკვდავნი ვართ“, — მაგრამ ევგენი მიხაილოვიჩი მეეზოვე ვასილს მოისყიდის და ისიც ფიცის ქვეშ ჩვენებას მისცემს, რომ არც მას და არც მებატონეს ივანე მირონოვი არასოდეს უნახავთ.

ამასობაში, ივანე მირონოვი ცხენიპარიობას მიჰყოფს ხელს და მას ყოფილი ჯარისკაცი სტეფან პელაგეიუშკინი კლავს, რომელსაც სამხედრო სამსახურში ყოფნისას, ჯარისკაცების დახვრეტას ავალებდნენ „და ახლაც, ივანე მირონოვის მოკვლისას, ისევე როგორც მაშინ, საშინელს ვერაფერს ხედავს. მოკლეს და მოკლეს. მერე რა, ახლა ის, ხვალ კი მე“. სტეფანეს ერთი წლით პატიმრობას მიუსჯიან, ამ ხნის განმვლობაში მისი ოჯახური მეურნეობა მთლიანად ჩანაგდება, და როდესაც სტეფანე ციხიდან გამოდის, მას წასასვლელიც კი აღარსად აქვს. იგი ღამეს ერთ ნაცნობ მეშჩანინთან ათევს, რომელმაც ღარიბ გლეხს ცოლი წაართვა. და სტეფანს სურვილი უჩნდება „მუცელი გადაუსეროს“ მეშჩანინს და „ბადექონი გამოურწყას ბილწ დედაკაცს“. სტეფანე ხელს წაავლებს ნაჯახს, ადრევე რომ შენიშნა, და ისევე, როგორც დოსტოევსკისთან რასკოლნიკოვი, ნაჯახით კლავს მეშჩანინს, მის თანამეცხედრეს, იღებს ფულს და მიდის.

სამაზრო ქალქში კი ღარიბი ქვრივი, მარია სემიონოვნა ცხოვრობს და თავისი პენსიით არჩენს ლოთ მამას, დას, საკუთარ ქმარსა და შვილებს. იგი ერთ უფეხო სოფლელ თერძს ქირაობს, რომელმაც მოხუც მამას ხიფთანი უნდა გადაუკეთოს და თვით მარია სემიონოვნას ჯუბაჩაზე მაუდი გადაუკრას. თერძს ებრალება მარია სემიონოვნა მისი დუხჭირი ცხოვრების გამო, რომელსაც დაუჩემებია, რომ მისთვის უცნობია, იმქვეყნად რაიმე ჯილდო ელის თუ არა, ამიტომაც ცხოვრება ასე უჯობს. თერძი სახარების კითხვას იწყებს და სოფელში მას ჯერ ერთი მიმდევარი, გლეხი ივან ჩუევი გაუჩნდება, მერე კი რამდენიმე გლეხი უარს იტყვის დალევაზე, გინებასა და ეკლესიაში სიარულზე. სხვა გლეხები მათ თავს ესხმიან, სექტანტები თავს იცავენ, და ივანე ჩუევი, როგორც მეამბოხე, ციხეში ამოყოფს თავს.

სტეფან პელაგეიუშკინმა ყური მოკრა, რომ მარია სემიონოვნამ პენსია აიღო, ღამით მისი სახლის საკეტი გატეხა და სახლში შეიპარა. ჯერ მისი უმცროსი და მოკლა, როცა მან დაყვირება სცადა, მერე დანით მოკლა მისი ქმარი და ყელი გამოჭრა მარია სემიონოვნასაც, ვინაიდან ვეღარ გაუძლო მის ხმასა და მზერას, რომელმაც მოასწრო და უთხრა: „სხვების სულებზე უფრო მეტად, შენ საკუთარს ღუპავ“. ამის შემდეგ, სტეფანე ციხეში მოხვდება. იქ იგი ისე მორჩილად და უწყინრად იქცევა, რომ ზედამხედველის ეჭვსაც კი იწვევს: „მეორე თვეა იგი ჩვენთანაა, სამაგალითოდ იქცევა. ოღონდაც მეშინია, რაიმე ხომ არა აქვს ჩაფიქრებული. ძალიან გაბედული კაცია და განუზომელი ძალის პატრონია“.

სტეფან პელაგეიუშკინს კი გამუდმებით გამხდარი, დანაოჭებული კისერი ელანდება, მარია სემიონოვნას რომ გამოჭრა და მისი დამრიგებლური ხმა ჩაესმის ყურში: „სხვების სულებს და საკუთარსაც ღუპავ. განა ეს შეიძლება?“ მაშინ მან უპასუხა: „ესე იგი შეიძლება“, — ახლა კი შავბნელები, სისხლიანი თვალებით ჩასჩურჩულებენ: „მას ხომ მოუღე ბოლო — შენ თავსაც ბოლო მოუღე, თორემ არ მოგასვენებთ“. და სტეფანე შესთხოვს მას, მის საბრალო სულს, გამხდარი, დანაოჭებული, ყელგამომოჭრილი კისრით, აპატიოს. ქალი არაფერს პასუხობს, თუმცა სტეფანე უეცრად თავს მშვიდად იგრძნობს, მას შემდეგ, რაც გაიგონებს, როგორ კითხულობს ივან ჩუევი სახარებას, სადაც, როგორც ჩუევი ირწმუნება, ყველაფერია ნათქვამი, ნათქვამია, თუ როგორ ეუბნება ქრისტე ავაზაკს: „ამინ გეტყვი შენ, დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა“. (ლუკა XXIII, 32-43). „იმ დროიდან სტეფანე სხვა ადამიანად იქცა“. აქამდე სტეფანე ასოებს ცნობდა, მაგრამ კითხვა არ იცოდა. ციხის გუშაგმა მას სახარება მიუტანა და ის ადგილი უჩვენა, სადაც ლოცვა „მამაო ჩვენო“ იკითხებოდა. „სტეფანე „მამაო ჩვენოს“ კითხვას შეუდგა, ისე, რომ ნაცნობ ასოებს ნაცნობ ბგერებს უთავსებდა. და უცებ მისთვის ნათელი შეიქნა ასოთა თანწყობის საიდუმლოება, და მან კითხვა დაიწყო“. მალე სტეფანე გავლენას მოიპოვებს სხვა ტუსაღებზე, რომელთა შორისაა მკვლელი მახორკინი. დროდადრო მახორკინი ციხეში ჯალათის მოვალეო-

ბას ასრულებს. ამჟამადაც ორი გლეხკაცის ჩამოხრჩობას ავალებენ, მაგრამ ამჯერად მახორკინი მტკიცე უარზეა, და მიუხედავად იმისა, რომ ციხის უფროსი მას გამათრახებით ემუქრება, მახორკინი პასუხობს: „რას იზამ, გამამათრახებთ და გამამათრახეთ, ადამიანის მოკვლის კანონი კი არსად წერია“. ციხის უფროსი ამაში სტეფან პელაგეიუშკინის ზეგავლენს შეიცნობს და იტყვის: „გამომივიდა აქ ციხის წინასწარმეტყველი“.

სტეფან პელაგეიუშკინს კი სწორედ ის მახინი დაკითხავს, მიტია სმოკოვნიკოვს კუპონის გაყალბება რომ ასწავლა, ახლა კი სასამართლოს გამომძიებელი გამხდარა. ისიც ვერ შეძლებს თავი აარიდოს იმ ზეგავლენას, რომელსაც სტეფან პელაგეიუშკინი სხვა ადამიანებზე ახდენს: „მახინი შეუცნობლად გრძნობდა, რომ მის წინაშე მდგარი, ხუნდებდადებული და თავგადაპარსული ადამიანი, რომელიც მოიყვანეს, სდარაჯობენ და დასამწყვდევად ორი ჯარისკაცი წაიყვანს, სრულიად თავისუფალი ადამიანი იყო და ზნეობრივად მათზე მიუწვდომლად მაღლა იდგა... ყველაზე მეტად კი მახინი იმან გააოცა, რაც მან ზედამხედველისაგან შეიტყო — რომ ჯალათმა მახორკინმა, პელაგეიუშკინის ზეგავლენით, თავისი მოვალეობის შესრულებაზეც კი განაცხადა უარი, მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი სასჯელი ელოდა“.

მიტია სმოკოვნიკოვმა კი ინჟინრად დაიწყო მუშაობა. საბადოს დირექტორი მას ურჩევს, მეგზურად სტეფან პელაგეიუშკინი წაიყვანოს: „ექვსი სული სიცოცხლეს გამოასალმა, თუმცა წმინდა ადამიანია. თავდებად მე ვუდგები“. ასე იკეტება წრე ყალბი კუპონის ამბის გარშემო, რაც ბევრი ბოროტების მიზეზი გახდა, თუმცა სასიკეთოდ კი შემობრუნდა. მართალია მოთხრობა დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ტოლსტოის მხატვრულმა სიძლიერემ მასში ახალ სიღრმეებს მიაღწია და მის მკითხველს გულგრილს არასდროს ტოვებს.

„ყალბი კუპონის“ ცენტრალური სახე — ადრე მოურჯულებელი მკვლელი, მერე კი წმინდა ადამიანი — სტეფან პელაგეიუშკინი — დოსტოევსკის რომანის „დანაშაული და სასჯელის“ გმირის, მკვლელ როდიონ რასკოლნიკოვის აშკარა ანალოგი და ანტიპოდია. რასკოლნიკოვი კლავს მევახშე ალიონა ივანოვნას არა გაძარცვის მიზნით, არამედ იმისთვის, რომ დარწმუნდეს, არის თუ არა ზეკაცი, რომლისთვისაც ყველაფერი ნებადართულია: „მე ახლა შეშინებული პირუტყვი ვარ, რომელმაც არ იცის, აქვს თუ არა ამის უფლება“. სტეფან პელაგეიუშკინი კი მარია ივანოვნას მავედრებელ კითხვაზე: „განა ეს შეიძლება?“ — მას ყელს გამოჭრის სიტყვებით: „ესე იგი შეიძლება“, — ანუ ისე, როგორადაც, რასკოლნიკოვის აზრით, ზეკაცი უნდა პასუხობდეს. ამის შემდეგ კი რასკოლნიკოვსა და პელაგეიუშკინს შორის დიდი სხვაობა ჩნდება. რასკოლნიკოვი რწმუნდება, რომ ის არ განეკუთვნება იმ ადამიანებს, რომელთათვისაც ყველაფერი ნებადართულია. და მისი სასჯელიც სწორედ ამაში მდგომარეობს. თუმცა ნამდვილ სიბრალულს მსხვერპლის მიმართ მაინც არ განიცდის. და უკვე მაშინ, როცა დანაშაულის ასაღიარებლად აპირებს წასვლას, თავის დას გასძახებს: „მე, საძაგელი, ბოროტი მკბენარი, ბებრუხანა მევახშე მოვკალი, აღარავის რომ აღარ სჭირდება, ასეთის მოკვლისთვის ორმოცი ცოდვა მიგეტევება, ღარიბებს წოვდა სისხლს, და განა ეს დანაშაულია?“ რასკოლნიკოვი კატორღაში ყოფნის დროსაც არწმუნებს თავის თავს: — „სინდისი ჩემი სუფთაა“. სახარების კითხვა, სონიასადამი სიყვარული ეხმარება მას რამდენადმე შეეგუოს იმ აზრს, რომ იგი შეშინებული პირუტყვია. ამის საპირისპიროდ, სტეფან პელაგეიუშკინი მისი მსხვერპლის მიმართ ფიზიკურ თანაგრძნობას განიცდის, ისეთს, როგორიც მხოლოდ ლევ ტოლსტოის შეეძლო გამოეხატა და მკითხველიც მოენუსხა. სტეფანე პატიებას თხოვს მარია სემიონოვნის საბრალო სულს, მის გამხდარ, დანაოჭებულ კისერსაც, რომელიც მანვე გამოჭრა. სწორედ ეს დაუძლეველი, სტიქიური თანაგრძნობა განასხვავებს ტოლსტოის დოსტოევსკისაგან, რომელსაც ნ. კ. მიხაილოვსკიმ ტყუილუბრალოდ როდი უწოდა „ულმობელი ტალანტი“.

თუმცა არსებობს ერთი უდავო მსგავსება ტოლსტოისა და დოსტოევსკის შორის. ორივესათვის უპირობოდ მიუღებელია სიკვდილით დასჯა. „სიკვდილით დასჯის უარყოფა ფეხს იკიდებს რუსულ იდეაში“, — წერს ნ. ა. ბერდიაევი. „ნათქვამია „არა კაც-ჰკლა“, — მაშ, იმის გამო, რომ მან მოკლა, ისიც უნდა მოკლან? არა, ეს არ შეიძლება“, — მოითხოვს თავადი მიშკინი დოსტოევსკის რომანში „იდიოტი“. სტეფან პელაგეიუშკინი მკვლელად მას მერე იქცა, რაც სამხედროში მსახურებისას მას ჯარისკაცის დახვრეტა დაავალეს. მოთხრობაში „ყალბი კუპონი“ ჯალათები ყოფილი მკვლელები არიან. ტოლსტოის გაგებით, სიკვდილით დასჯა კი არ აღკვეთს ახალ დანაშაულებებს, არამედ პირიქით, აქეზებს ადამიანებს მისკენ, ანდა სულაც მათ გამომ-

წვევ მიზეზად იქცევა. საინტერესო აქ ისაა, რომ ამ შემთხვევაში ტოლსტოის მოსაზრება, არც მეტი და არც ნაკლები — კარლ მარქსისას ემთხვევა.

ასე რომ, საკმაოდაა დასაბუთებულია ტოლსტოის დაახლოება მარქსთან, იბსენთან და ზოლასთან, რაზეც ოსვალდ შპენგლერი ამახვილებს ყურადღებას. შპენგლერი ტოლსტოის თითქმის ლენინისეულად — „ბოლშევიზმის მამასაც“ კი უწოდებს, რომელმაც ტოლსტოის „რუსული რევოლუციის სარკე“ შეარქვა. პოეტი ინოკენტი ანენსკი კი მსგავსებას პოულობს ტოლსტოისა და დასავლეთის პროტესტანტიზმის მასწავლებლებს შორის: „...ერესიარქი ტიშენდორფით* ხელში, შტრაუსით თაროზე და დარვინით მაგიდის ქვეშ“. დარვინი აქ შემთხვევით არაა მოხსენიებული. ტოლსტოის ბოლო პერიოდის მოძღვრება რწმენის შესახებ ხომ მეცნიერება თუ არა, ბუნებრივი გადარჩევის რელიგიაა. მის შემოქმედებაში მიზეზობრივი კავშირების გადაჯაჭვა სუფევს. „ომსა და მშვიდობაში“ ნაპოლეონის რაციონალურ ინდივიდუალიზმზე იმარჯვებს სახალხო მასების სტიქიური გუნდური მოძრაობა თავის წინასწარმეტყველებთან — კუტუზოვთან და პლატონ კარატაევთან ერთად, რომელთაც, სხვათაშორის, არც კი წარმოედგინათ, რომ იგი წინასწარმეტყველია, მსგავსად „წყვდიადის მეუფების“ გმირის — აკიმისა, რომლის რწმენის სიმბოლო მის „тае“-შია: „...შენ შენსკენ ეწევი, როგორც გაწყობს, ღმერთი კი, ესე იგი тае, თავისკენ გაბრუნებს“. რწმენის ეს სიმბოლო დასტურდება უბრალო, მაგრამ შემზარავი ხალხური ანდაზით: „ცოდვაში ისე გაება, როგორც ჩიტი მახეში“ («Коготок увяз – всей птичке пропасть»). შინამოსამსახურე ნიკიტა უდარდელად მრუშობს მის დიასახლისთან ანისიასთან, რაც იმით მთავრდება, რომ იგი ჯერ ანისიას ქმარს, ხოლო შემდეგ საკუთარ ახალშობილ შვილს კლავს. „ყალბი კუპონიც“ ხომ სავსეა მოულოდნელი, მაგრამ ნაწინასწარმეტყველები შედეგებით: „ღმერთი თავისკენ აბრუნებს“. ბედისწერის ასეთი ანალოგია ტოლსტოის მართლაც აახლოებს დასავლეთის პროტესტანტიზმთან, და „აღდგომის“ მკრეხელური სურათები, რამაც ტოლსტოი მართლმადიდებლობას ჩამოაცილა, ხალხური რწმენისადმი მიდრეკილებით კი არ აიხსნება, არამედ ინტელექტუალი-არისტოკრატის უკიდურესი დასავლურობით, რომელიც რელიგიაზე ფრანგულად ფიქრსა და მის შესახებ გერმანულად კითხვას შეეჩვია.

დოსტოევსკისთან ყველა ყველას გამოა დამნაშავე, და ესაა სამოთხე, ვინაიდან სამოთხე — ეს არის მონანიება, და იგი ამოუცნობია ისევე, როგორც ამოუცნობია თვით ღმერთი, რომელიც მხოლოდ რწმენაში ვლინდება. ტოლსტოისათვის „ამქვეყნად არ არიან დამნაშავენი“, რადგან სასამართლოს თავმჯდომარე ხელს აწერს სასიკვდილო განაჩენს, ჯალათი კი ჩამოახრჩობს, და ისინი ისე ბუნებრივად არიან ამ მდგომარეობამდე მისული, როგორც ჩვენ ვსხედვართ ახლა და ჩაის შევექცევით აქ, მაშინ როცა ბევრს სცივა და აწვიმს. „არ გამეგებოდა“, — ეუბნება სტეფან პელაგეიუშკინი სასამართლოს გამომძიებელს მახინს, დაკითხვისას. გაუგებლობის გამო — დანაშაული, და გაუგებლობის გამო — სასჯელი.

ტოლსტოის ეკუთვნის მოთხრობა „რა აცოცხლებს ადამიანებს“, რომელსაც ოლონეცკელი ხალხური მთქმელის, ვ. პ. შჩეგოლენოკის მონათხრობი დაედო საფუძვლად. მეწაღეს ქარგლად ანგელოზი ემსახურება, რომელიც ღმერთმა იმისთვის დასაჯა, რომ სული არ ამოხადა ქალს, რადგან მისი ქალიშვილები შეიცოდა, რომელთაც ობლობამ შემდგომში ბედნიერება მოუტანა: ისინი მეზობელმა იშვილა და ამ კეთილი საქმის გამო თვითონაც გამდიდრდა. იმას, რაც მოთხრობაშია ნაგულისხმები, ძნელია არ დაეთანხმო: „ვისაც უყვარს — ის ღმერთშია და ღმერთი მასშია, რადგან ღმერთია სიყვარული“.

მაგრამ თუ ღმერთი ადამიანშია, სადაა ადამიანი, რომელშიც ღმერთია? ტრადიციული პასუხი ამ კითხვაზე ცხადი და უბრალოა: ეკლესიაში. მაგრამ ლევ ტოლსტოი გამოვიდა მართლმადიდებელი ეკლესიიდან, ჩამოსცილდა მას. მიტროპოლიტი ანტონი ასე ხსნიდა ეკლესიის გადაწყვეტილებას: „ტოლსტოის განკვეთის აქტი მისთვის სამუდამო ჯოჯოხეთური წამების მისჯას კი არ ნიშნავს, არამედ მხოლოდ ქრისტიანობის „წმინდა წოდების“ მოხსნას გულისხმობს. ღმერთთან ტოლსტოის თავისი სამსჯავრო ელის და საქმეთა მისთა გამო მიეგება“.

მართლმადიდებელი ეკლესიისაკენ მიმავალი გზის საძიებლად ხომ არ წავიდა ლ. ნ. ტოლსტოი იასნაია პოლიანადან? იქიდან იგი ხომ ოპტინის სავანეში გაემართა, სადაც მისთვის მიღებაზე უარი არ უთქვამთ. მაგრამ სწორედ ოპტინის სავანეში იტყვის მასზე ბერი ამბროსი:

*კონსტანტინე ფონ ტიშენდორფი (1815-1874) — გერმანელი პროტესტანტი ღვთისმეტყველი, ბიბლიის მკვლევარი.

„ამაყია მეტად“. შესაძლებელია, სიცოცხლის დასასრულს ტოლსტოი რწმუნდება, რომ ეკლესიიდან უბრალოდ წასვლა არ შეიძლება, ისევე, როგორც არ შეიძლება ეკლესიაში უბრალოდ დაბრუნება. იგი მიეშურება ეკლესიისაკენ საკუთარი გზის საძიებლად და კვდება გაციებისაგან, დარწმუნებული იმაში, რომ ეკლესიის გარეშე, ეკლესიის მიღმა სამყაროში ძლიერ ცივა.

რუსულიდან თარგმნა
ნიკო დადიანმა

იოზეფ რაცინგერი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „აფრა“ №16)

ახალი დროის ზღურბლზე

**ნაწყვეტი წიგნიდან „მიწის მარილი.
ქრისტიანობა და კათოლიკური ეკლესია ათასწლეულთა მიჯნაზე“
(საუბარი პეტერ ზეელანდთან)**[1]

ეკლესიის მომავალი — მომავლის ეკლესია

ბატონო კარდინალო, ამ საუკუნეში თუ არის კიდევ მოსალოდნელი პაპის მხრიდან ეკლესიის მომავალთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი განცხადებები თუ გადაწყვეტილებანი? ვგულისხმობ თუნდაც შიდასაეკლესიო რეფორმებს. როგორ გესახებათ ეს შესაძლო ცვლილებები?

მე ვფიქრობ, პაპისგან კიდევ მთელ რიგ მნიშვნელოვან განცხადებებს უნდა ველოდოთ. მსოფლიოში სწორედ ის აკეთებს ყველაზე მეტს ქრისტიანობის გაერთიანებისათვის და რელიგიათა შორის დიალოგიც ახლო მომავალში მნიშვნელოვან თემად დარჩება. ამას, რა თქმა უნდა, სოციალურ და პოლიტიკურ ეთიკასთან დაკავშირებულ თემათა მთელი დიდი რიგი დაემატება. მაგრამ უმთავრესი მაინც სახარების დვრიტაა, რომელიც განუწყვეტლივ უნდა ვიქადაგოთ და რომელიც თანამედროვე საზოგადოებასთან კომპრომისის შემთხვევაში იბინდება.

გარდა ამისა იგეგმება ერთი პანამერიკული და ერთი აზიური სინოდი, რომლებზედაც, ვვარაუდობ, ძალზე მნიშვნელოვანი აქცენტები დაისმება. თუკი პაპმა ამერიკის ორივე კონტინენტის მკვეთრი ურთიერთსხვაობის მიუხედავად, მაინც ერთიანი სინოდის მოწვევა გადაწყვიტა, ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე კონტინენტმა, განსხვავებების მიუხედავად, ურთიერთშემავსებელი და გამაერთიანებელი ელემენტები გამონახოს და ერთობლივი ძალებით გაავრცელოს სახარება. აქ განიხილება როგორც ლათინოამერიკულ კულტურათა პრობლემატიკა, — სიღარიბე, ძველი კულტურებისა და თანამედროვე კულტურული იდენტურობის ურთიერთმიმართება, — ისე მათი დიალოგი ჩრდილოამერიკულ ანგლო-საქსურ კულტურასთან კათოლიციზმის ფარგლებში. მე ვფიქრობ, რომ ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება.

რაც შეეხება აზიურ სინოდს, აქ ყურადღება გამახვილდება საკითხზე, თუ როგორ ერწყმის ქრისტიანობა აღმოსავლურ რელიგიურ კონტექსტს და როგორ შეიძლება ათასწლეულის მიწურულს ამ ორი განსხვავებული რელიგიური კომპლექსის ძალთა გაერთიანებით სასიკეთო შედეგის მიღება. როგორც მე მესახება, ამ ორი სინოდის მომზადებას პონტიფიკატმა დღეს თავისი ძალების დიდი ნაწილი უნდა დაუთმოს.

გარდა ამისა, მუშავდება 2000 წლისათვის მოსამზადებელი სამწლიანი პროგრამა: ქრისტოლოგიის წელიწადი, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქრისტეს პიროვნებას; მას მოჰყვება თეოლოგიური წელიწადი, ზოგადად რწმენის საკითხებს რომ დაეთმობა; დაბოლოს — სულიწმიდის წელიწადი. ეს ყოველივე დაუკავშირდება ნათლობისა და ზიარების გაღრმავებული წვდომის მცდელობას. 2000 წელს კი მთელი ეს ღონისძიებები დაგვირგვინდება ყველა ქრისტიანული კონფესიების შეხვედრებითა და, აგრეთვე, იუდაიზმისა და ისლამის წარმომადგენლებთან დიალოგით. მე ვფიქრობ, რომ ეს მასშტაბური პროგრამა — ორი დიდი სინოდი და 2000 წლისათვის მზადების სამწლეული, რომლის ცენტრშიც სამსახოვანი ღმერთია

[1] წიგნი გამოცემულია 1998 წელს, როდესაც მომავალი რომის პაპი ჯერ კიდევ ბავარიის კარდინალის წოდებას ატარებდა, თუმცა ყდაზე მოთავსებული ანოტაცია მას „პაპის შემდეგ კათოლიკურ ეკლესიაში ყველაზე გავლენიან პირად“ მოიხსენიებს (მთარგმნ.).

მოქცეული, დასასრულს კი მსოფლიოს ყველა მორწმუნეთა შეხვედრა, — ისეთი აქცენტების დასმას უკავშირდება, მნიშვნელოვანი გავლენა რომ უნდა მოახდინონ მსოფლიოზე.

ჯერ კიდევ 1970 წელს, ერთ-ერთ წერილში „რწმენისა და მომავლის“ შესახებ თქვენ გამოთქვით მოსაზრება, რომ ეკლესიაში ახალი იერარქიული ფორმების ჩამოყალიბებაა მოსალოდნელი. სხვათაშორის, ისაუბრეთ ახალი წესის შემოღებაზეც, რომელიც განსაკუთრებულად ერთგული, გამოცდილი მორწმუნეების მღვდლად კურთხევას ითვალისწინებს.

მაშინ გამიჩნდა იმის წინათგრძნობა, რომ ეკლესია ერთ მშვენიერ დღეს უმცირესობაში აღმოჩნდებოდა, რომ მას უწინდელ მასშტაბურ ფორმებზე უარის თქმა და უფრო მოკრძალებული არსებობა მოუწევდა. ამასთან დაკავშირებით გამიჩნდა აზრი, რომ იმ ადამიანთა გვერდით, ვინც ახალგაზრდობიდანვე აირჩია მღვდლის პროფესია, შეიძლებოდა შეგვერჩია სხვადასხვა პროფესიის მორწმუნე ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ასევე დაიწყებდნენ ეკლესიაში მსახურებას. ჩემს ამ მოსაზრებაში მართებული იყო ის, რომ ეკლესიას თანდათან საზოგადოებაში უფრო მოკრძალებულ პოზიციასთან შეგუება უწევს. და სწორედ ამგვარი საპატიო წოდებების ხარჯზე შეიძლება მისი გაძლიერება. თუ რამდენად ბევრი მოიძებნება ასეთი vir probatus („ნაცადი ადამიანი“, რომელიც სხვა პროფესიიდან მოვა ეკლესიაში), ეს უკვე სხვა საქმეა. მაგრამ უძველესი ეკლესია სწორედ ამგვარი ერთგული კაცების ხარჯზე არსებობდა, რადგანაც პირველ საუკუნეებში ჯერ კიდევ არ იყო სასულიერო სემინარიები და იმ ადამიანებს, ვინც საამისო მოწოდებას შეიგრძნობდნენ, თავიანთი პროფესიების მიტოვება უწევდათ; დაახლოვებით, II-III საუკუნეებიდან მოყოლებული ისინი ქორწინებაზეც ამბობდნენ უარს. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, თუ რა ახალ ფორმებს მიიღებს დღეს საეკლესიო მსახურება. თუმცა ერთი რამ უეჭველია: ეკლესიის მსახურის წოდების გარეშე ქრისტიანობა წარმოუდგენელია და, მეორე მხრივ, მღვდლის მისია განუყოფლად უკავშირდება ქორწინებაზე უარის თქმას.

ხომ არ მოუტანს თაობათა ცვლა ეკლესიას ახალ კულტურულ ფორმებს? ახალ ფორმებს ხომ არ მიიღებს ეკლესიური ცხოვრება?

დარწმუნებული ვარ, რომ ასე იქნება. ახალ კულტურულ ეპოქას მუდამ ეკლესიური ცხოვრებისა და რწმენის კულტურის ახალი ფორმები მოაქვს. გავიხსენოთ რომანტიზმი, გოთიკა, აღორძინება, ბაროკო და როკოკო, XIX საუკუნის საეკლესიო კულტურა, ახალგაზრდული მოძრაობის მიერ შექმნილი ეკლესიური ცხოვრების ახალი ფორმები. თუ გავიხსენებთ ვატიკანის მეორე მსოფლიო კრების შემდგომ მოვლენებს, როდესაც გადამეტებული გზნებით ცვლიდნენ საეკლესიო არქიტექტურულ ფორმებს, კლიროსისა თუ სამონასტრო ორდენების წესდებებს, ეს ნამდვილ კულტურულ რევოლუციას ჰგავდა. დღეს ამ ნაჩქარევ ქმედებებს უკვე ძალიან ბევრი ნანობს. მაგრამ ცოცხალ ეკლესიაში ფორმების განახლება ბუნებრივია. ეს პროცესები ახლაც მიმდინარეობს. როგორც ყოველთვის ხდება, მუდმივი ჭიდილის პროცესში აქაც ხორბლის ეკალ-ბარდებისაგან დაცალკევება გვიწევს. როგორც მოციქული გვასწავლის: „სულს ნუ ჩააქრობთ... ყველაფერი გამოსცადეთ, კარგს ჩაეჭიდეთ“. (1 თეს., 5:19,21).

თუ ფიქრობთ, რომ პაპობის ინსტიტუტი მომავალშიც უცვლელი დარჩება?

მისი ბირთვი უეჭველად უცვლელი იქნება. სხვა სიტყვებით, მუდამ საჭირო იქნება ისეთი ადამიანის არსებობა, ვინც წმინდა პეტრეს მემკვიდრეობას იტვირთავს და კოლეგიალურ დონეზე შეთანხმებულ, საბოლოო, პირად გადაწყვეტილებას მიიღებს. პერსონალისტური პრინციპი ქრისტიანობისაგან განუყოფელია, ის ანონიმობით ვერ გაბუნდოვნდება, მას მუდამ ეყოლება მღვდელი, ეპისკოპოსი და, საბოლოო ჯამში, ერთი პიროვნების მიერ წარმართული ერთიანი ეკლესია. უცვლელად დარჩება ვატიკანის პირველი და მეორე კრებების მიერ ხაზგასმული პასუხისმგებლობა ეკლესიის ერთიანობაზე, რწმენასა და ზნეობრივ წესრიგზე. ამ ამოცანების შესრულების ფორმები შეიძლება შეიცვალოს და უეჭველად შეიცვლება კიდევაც, მას შემდეგ, რაც პაპის განმგებლობას ის ეკლესიები შეუერთდება, მანამდე მის ფარგლებს გარეთ რომ არსე-

ბობდა. მთლიანობაში, ჩვენი ახლანდელი პაპის მმართველობა, მისი მოგზაურობები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, რადიკალურად განსხვავდება პიუს XII-ის მმართველობისაგან. ახლა მიჭირს და არც მსურს ვიფიქრო შესაძლო კონკრეტული ცვლილებების შესახებ. ამის წინასწარ თქმა შეუძლებელია.

შესაძლებელია თუ არა ახლო მომავალში ახალმა თეოლოგიურმა აღმოჩენამ უფრო გასაგები ან, პირიქით, უფრო რთული გახადოს ჩვენთვის ქრისტიანული რწმენა?

ეს შესაძლებელია. ამ საუკუნეში თეოლოგიური აღმოჩენები გააკეთეს ისეთმა ადამიანებმა, როგორიცაა კონგარი, დანიელუ, რანერი, ბალთაზარი და სხვა. თეოლოგიაში ისეთი ახალი პერსპექტივები გაიხსნა, რომლის გარეშეც ვატიკანის მეორე კრება ვერ შედგებოდა. რწმენა იმდენად ღრმა განზომილებებში აღწევს, რომ მასში მუდამ იქნება ახალ-ახალი ხედვის შესაძლებლობები. ჩვენ ამ საუკუნეში იმის მომსწრენიც გავხდით, რომ შეიძლება სრულებით ახალი, მოულოდნელი პრობლემები წამოიჭრას; ვგულისხმობ ისტორიულ-კრიტიკული მეთოდის შემოღებას, ჰუმანიტარული მეცნიერებების თეოლოგიაში შემოჭრას და სხვა. ამგვარი მოვლენების შესაძლებლობა მუდამ უნდა დავუშვათ. რწმენა შეიძლება გართულდეს, მაგრამ შეიძლება უფრო იოლი და უშუალოც გახდეს.

ერთ-ერთ ახალ პრობლემად შეიძლება ისიც იქცეს, რომ თვით თეოლოგიის მხრივაც სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა: როგორ დავასაბუთოთ ის, რომ ღმერთი მხოლოდ იესოს პიროვნებაში განკაცდა და არა, თუნდაც, აღმოსავლურ ღვთაებებში? როგორ შეიძლება მთელ ისტორიულ პროცესში ერთადერთი პიროვნება მოგვევლინოს ჭეშმარიტი ღვთის განსხეულებად?

ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა ითქვას ის, რომ რელიგიის ისტორია სინამდვილეში არ იცნობს ღვთის განკაცების სხვა ისეთ მაგალითს, როგორიც იესო ნაზარეველია. ამ მოვლენასთან ყველაზე უფრო ახლოსაა ინდუისტური ღვთაება კრიშნა, რომელსაც თაყვანს სცემენ, როგორც ვიშნუს „ავატარას“ (ღვთის განსხეულებას). ის სხვადასხვა ვარიაციებით ფიგურირებს ინდუიზმის მთელ რელიგიურ ისტორიაში, მაგრამ არსებითად განსხვავდება ღვთის ქრისტიანული განკაცებისაგან, რომლის დროსაც ღმერთი მთლიანად შეერწყა ერთ კონკრეტულ ისტორიულ ადამიანს და ამით მთელი კაცობრიობა ღვთაებრივ არსს მიუახლოვა. ქრისტიანული რწმენა დაფუძნებულია ერთი შემოქმედი ღვთის იუდაისტურ რწმენაზე, რომლის თანახმადაც ღმერთი ადამიანებთან ერთად ქმნის ისტორიას და თავადაც უშუალოდაა დაკავშირებული ამ ისტორიასთან. მაშასადამე, არჩევანს ქრისტესა და კრიშნას თუ სხვა რელიგიურ ფიგურას შორის როდი ვაკეთებთ; არჩევანი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მხრივაა ღმერთი, უკლებლივ ყველასათვის რომ ცხადდება და ადამიანს თვით მის ხორციელ არსებამდე რომ უახლოვდება, და, მეორე მხრივ, აბსოლუტურად განსხვავებული რელიგიური ხედვა, რომლის თანახმად ღვთაება ურიცხვი დაუსრულებელი ხატის თუ ფიგურის სახით იჩენს თავს: მათ მიღმა კი ადამიანი იდუმალ, გამოუცნობ ღვთაებრივ განზომილებას შეიგრძნობს. ეს ჭეშმარიტების, ღვთის, სამყაროსა და ადამიანის ორი სრულიად განსხვავებული წვდომაა. ქრისტიანს ძალუძს, მსოფლიოს რელიგიათა სურათ-ხატებში ქრისტიანობისაკენ სწრაფვა ამოიკითხოს, თითქოს ბნელში ხელის ფათურით რომ ეძებს ჭეშმარიტებას; შეუძლია მათში ღვთის იდუმალი განგებაც შეიგრძნოს, სხვა რელიგიების გავლით ადამიანებს სწორი გზისაკენ რომ წარმართავს. მაგრამ ეს მუდამ ერთი და იგივე ღმერთია, — იესო ქრისტეში განკაცებული ღმერთი.

უკვე გამოიკვეთა იმ პრობლემათა და საშიშროებათა ნაწილი, რომელთა წინაშეც წარსდგება ეკლესია ახალ ეპოქაში. უკვე შევჩერდით იმაზე, რომ მას ფუნდამენტალიზმში სდებენ ბრალს, ამტკიცებენ, თითქოს ის წინსვლას აფერხებს და თეოკრატიული სახელმწიფოს დამკვიდრებას ცდილობს. თვით ქრისტიანული რწმენის შინაარსობრივი ბირთვი სულ უფრო კარგავს განსაზღვრულობას: ჯვარცმა, ცადამაღლება და ხსნა სულ უფრო მეტ ადამიანში იწვევს ეჭვს და თვით მთიდან წარმოთქმული ნეტარებანიც გვიანდელ გამონაგონად მიაჩნიათ. სულ უფრო მკაფიოდ ისმის მოთხოვნები, ეკლესია გაუქმდეს და გზა დაუთმოს პოსტქრისტიანულ რელიგიურობას.

ამ ყოველივეს მილიონობით ქრისტიანის რწმენა გადასწონის, — მათი, ვინც სწორედ ეკლესიის დახმარებით პოულობს გზას ჭეშმარიტი ადამიანობისაკენ. ჩვენი საუკუნის დიდმა დიქტატურებმა დაუნდობლად და მძლავრად გამოუტანეს ქრისტიანობას სასიკვდილო განაჩენი; მათი მტკიცებით, მას მხოლოდ უგუნურნი და გამოუსწორებელნიღა იზიარებენ. ხოლო ამ გოლიათთა დაცემის შემდეგ ნათლად გამოჩნდა, რომ ჰუმანურობის ჭეშმარიტი მცველნი სწორედ მორწმუნენი ყოფილან და მხოლოდ მათ ძალუძთ ამ ნანგრევებიდან ახალი ცხოვრებისაკენ გზის გაკაფვა. ქრისტიანულ რწმენას ბევრად უფრო დიდი მომავალი აქვს, ვიდრე იმ იდეოლოგიებს, რომლებიც მას თვითგაუქმებისაკენ მოუწოდებენ.

დაკარგული შუალედის პოვნა — როგორი შეიძლება იყოს ახალი ეკლესია

პაპის მისამართით არაერთხელ გამოთქმულა საყვედური, თითქოს ის ეკლესიის განვითარების საპირისპირო რეტროგრადულ მოძრაობას უჭერდეს მხარს და უკანასკნელი საეკლესიო კრების შედეგებს ანგარიშს არ უწევდეს. ამის საპირისპიროდ იოანე-პავლე II მოგვიწოდებს, რომ „2000 წლისათვის საუკეთესო მზადება იქნება ვატიკანის მეორე კრების მონაპოვრის ზედმიწევნით ზუსტი განხორციელება როგორც ცალკეული ადამიანის, ისე ეკლესიის ცხოვრებაში“.

ის მუდამ გახლდათ ვატიკანის მეორე კრების ერთგული, ეს მისთვის ეპოქის უმთავრეს მოვლენად რჩებოდა. მასში მონაწილეობისას ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ეპისკოპოსი იყო. თუ არ ვცდები, სწორედ კრების პერიოდში აკურთხეს არქიეპისკოპოსად. მაშინვე ძალზე კონსტრუქციულად ჩაება საეკლესიო და საერო პროგრამის „Gaudium et spes“ („სიხარული და იმედი“) მომზადებაში. ძირითადი გამოცდილება, რაც კრებისაგან მიიღო, სწორედ ამ ტექსტზე მუშაობა აღმოჩნდა, რაც თავისი ფილოსოფიური აზროვნების წყალობით არ გასჭირვებია. შეიძლება ითქვას, რომ ამ საეკლესიო კრების ყველაზე უფრო დინამიური და პროგრესული ეს დოკუმენტი მისი ცხოვრების მაქსიმად იქცა. ის დარწმუნებულია ვატიკანის განგებისეულ მისიასა და იმაში, რომ კათოლიკურ ეკლესიას სულიწმიდამ ახალი დავალებები დააკისრა, როგორც ლიტურგიული და ეკუმენისტური მოძრაობების სახით, ისე რელიგიის თავისუფლების, რელიგიათა დიალოგის, იუდაიზმთან დიალოგისა და თანამედროვე საერო საზოგადოებასთან საერთო ენის გამონახვის თვალსაზრისით. კაცმა რომ თქვას, არ მეგულება მეორე პიროვნება, ვინც ვატიკანის მეორე კრების პრობლემებმა მასზე მეტად გაიტაცა და ვინც მათი გადაჭრა მასავით თავის პირად ცხოვრებისეულ მიმართულებად აღიქვა. ამიტომაც მუდამ აბსურდულად ჟღერდა თვალსაზრისი, თითქოს პაპი მეორე კრების გადაწყვეტილებების განხორციელებას აფერხებდეს. სინამდვილეში მას ნებისმიერ კათოლიკეზე ბევრად უფრო სწამს იმ სამწლიანი კრების მნიშვნელობისა, რაშიც თვითონ ქმედითი მონაწილეობა მიიღო. რა თქმა უნდა, მას ისიც ესმის, რომ ამ მნიშვნელობის გაგება სხვადასხვაგვარად შეიძლება. როდესაც საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებისადმი ერთგულებაზე საუბრობს, ცხადია, დინამიურ დამოკიდებულებას გულისხმობს. მაგრამ კრების გადაწყვეტილებები თვითნებურად კი არ უნდა შევცვალოთ, არამედ ის უნდა შევასრულოთ, რაც მართლა ითქვა კრებაზე.

ხომ არ საჭიროებს ეკლესია ქრისტიანული რწმენის გასავრცელებლად რაღაც ახალ ჟღერადობას, ახლებურ კილოს?

დიახ, ვფიქრობ, ეს მართლაც საჭიროა. ამაზე მეტყველებს ის, რომ დღეს ევროპაში ქრისტიანთა შორის გარკვეული დაღლილობა, გამოფიტულობა იგრძნობა. ერთი მართლმადიდებელი მღვდლის შესახებ წავიკითხე, რომელმაც თქვა: ძალიან ვეცადე, მაგრამ ადამიანები ვერაფრით ავიყოლიე, უბრალოდ არ მისმენენ, წირვისას ლამის ჩაეძინოთ, ანდა საერთოდ არ მოდიან, ესე იგი, სათქმელს ცუდად გამოვთქვამო. ამგვარი განცდა ეკლესიის არაერთ მსახურს ჰქონია. ძალზე მნიშვნელოვანია, ქადაგებისას ცოცხალი სიტყვის მეშვეობით თვითონ დავამყაროთ შინაგანი კავშირი წმინდა წერილთან, ქრისტესთან; ამავე დროს, მღვდელი თავისი დროის ადამიანია,

დროს ვერ გაექცევა და სწორედ ამ მდგომარეობიდან უნდა განიმტკიცოს საკუთარი რწმენა. და მაშინ, როდესაც თავისი პიროვნების სიღრმიდან შეძლებს ილაპარაკოს რწმენის შესახებ, ახალი ჟღერადობაც თავისთავად გაჩნდება.

თუ არის მოსალოდნელი მესამე სამყაროს მხრიდან ისეთი იმპულსები, რომელიც, თქვენივე სიტყვებით, „ევროპულ პროვინციალიზმს“ გააღრმავებს? ხომ არ იქნება მომავლის ეკლესია დღევანდელზე უფრო აფრიკული, აზიური თუ ამერიკული, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად ევროპული?

ეს უეჭველია. რადგანაც დღევანდელ ეკლესიაში რაოდენობრივადაც კი სხვა კონტინენტები სჭარბობენ ევროპას. ამ კონტინენტების კულტურული თვითშეგნება სულ უფრო ძლიერდება. ევრო-ამერიკული კულტურის კრიზისმა არა მხოლოდ ისლამს შესძინა სიამაყის ახალი განცდა, არამედ სხვა დიდ კულტურულ სამყაროებსაც გაუჩინა განახლებული ცნობიერება და საკუთარი კულტურული წარსულისადმი განსაკუთრებული მოწიწება: მათ გააცნობიერეს, რომ მსოფლიო რაღაც ახლით შეუძლიათ გაამდიდრონ. მაგალითად, აფრიკელებს შორის შეინიშნება მძლავრი განცდა იმისა, რომ ისინი, მართალია, ჯერ კიდევ შუაგზაში, სწავლის პროცესში არიან, მაგრამ, სამაგიეროდ, რწმენის მართლაც გასაოცარი უშუალობითა და სიხალისით შეუძლიათ სხვებს მაგალითი უჩვენონ. მათ გააცნობიერეს, რომ მათი კულტურული მემკვიდრეობა ისეთ საგანძურს იტევს, ჯერაც ასათვისებელი რომაა. მსგავსი განწყობა ძალზე მკვეთრად ჩანს სამხრეთ ამერიკასა და აზიაშიც. ასე რომ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიის კულტურული მრავალსახეობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება და რომ სხვა კონტინენტთა წვლილი მნიშვნელოვნად შეუცვლის სახეს.

უკვე დიდი ხანია, რაც უცნაურად არ გვეჩვენება იმის წარმოდგენა, რომ ერთ მშვენიერ დღეს პაპის სავარძელს აფრიკელი ანდა ლათინოამერიკელი ეპისკოპოსი დაიკავებს.

ცხადია, არა. ყოველ შემთხვევაში, კარდინალთა კოლეგიაში არავინ გამორიცხავს იმას, რომ შეიძლება შავკანიანი ანდა რომელიმე სხვა არაევროპული ეროვნების წარმომადგენელი ავირჩიოთ. თუ რამდენად „მოინელებს“ ამას ევროპული ქრისტიანობა, ეს კიდევ სხვა საკითხია. რადგანაც, რასობრივი თანასწორობის შესახებ განცხადებებისა და რასობრივი დისკრედიტაციის გმობის მიუხედავად, გარკვეულწილად ჯერ კიდევ არსებობს ევროპელის ცნობიერება, კრიტიკულ მომენტებში რომ წამოყოფს ხოლმე თავს. მაგრამ, ვფიქრობ, კარდინალები მხოლოდ იმას დაუფიქრდებიან, თუ რომელი კანდიდატი უფრო ღირსეულად გაუძღვება ეკლესიას, ხოლო კანის ფერსა და წარმომავლობას მათთვის მნიშვნელობა არ ექნება.

შეიძლება თუ არა წარმოვიდგინოთ, რომ მომავალში რომელიმე დოგმა ან სულაც წმინდა წესი შეიცვალოს ანდა გაუქმდეს იმის საფუძველზე, რომ ეკლესიას ახალი ლოგიკა ჩამოუყალიბდება?

ის, რაც ერთხელ იქცა „დოგმად“, ანუ რელიგიური ჭეშმარიტების ფორმულად, აზრს ვეღარასოდეს დაკარგავს, ისევე, როგორც მეცნიერული აღმოჩენა ვეღარასოდეს გაუქმდება, თუმცა ის შეიძლება ახალ, განსხვავებულ კონტექსტში მოექცეს და გარკვეულწილად საზრისიც შეიცვალოს. ჩვენთანაც ასეა: ჭეშმარიტება ჭეშმარიტებად დარჩება, მაგრამ ახლადგახსნილმა პერსპექტივებმა შეიძლება მას ახალი შუქი მოჰფინოს. შვიდი წმინდა წესი უეჭველად ასევე დარჩება, მათი რიცხვი ხომ თვით ადამიანური ცხოვრების ლოგიკას შეესაბამება, მაგრამ სხვადასხვა დროს ისინი განსხვავებულად განიცდება. ჯერ კიდევ ასი წლის წინათ ყველაზე მორწმუნე ადამიანებიც კი მხოლოდ წელიწადში სამ-ოთხჯერ მიდიოდნენ აღსარების ჩასაბარებლად და საზიაროდ. დღეს კი ყოველდღიური ზიარება იქცა წესად. აღსარების წესმაც საუკუნეთა მანძილზე ძალზე ბევრი სახეცვლა განიცადა. ტრიენტის საეკლესიო კრების (1545-1563) საკრამენტოლოგია ისევე, როგორც შეწყალების შესახებ მისი მოძღვრება (ეს გახლდათ რეფორმა-

ციასთან კამათის შედეგი) არ გაუქმებულა, მისი გაუქმება შეუძლებელია, მაგრამ მან განვითარება განიცადა და სახე იცვალა. ამდენად, მოძრაობა და უძრაობა ურთიერთშეთავსებად მომენტებად გვევლინება, როგორც ამას მთელი ისტორია ცხადყოფს.

მესამე ათასწლეულის დასაწყისი ახალი რელიგიური ცნობიერებით იქნება აღბეჭდილი. ის დიდი კულტურების ელემენტებითაა განმსჭვალული, ბუდისტური, ათეისტური, პრიმიტიული ხალხების რელიგიებიდან ნასესხები მოტივებით. იქნებ შესაძლებელია, ეკლესიამაც განიცადოს განაყოფიერება სხვა რელიგიების მხრიდან?

სხვა რელიგიათა წარმომადგენლებთან დიალოგი მართლაც მიმდინარეობს. ვფიქრობ, მართლაც შეიძლება ბევრი რამ შევისწავლოთ თუნდაც აზიის დიდი მისტიკური ტრადიციისაგან და სწორედ მისტიკის დონეზე იკვეთება რელიგიათა შორის მრავალი მსგავსება, რომელიც პოზიტიურ თეოლოგიაში ნაკლებად მკაფიოა. ამ მხრივ, დღეს რელიგიათა დიალოგში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მაისტერ ეკჰარტის სულიერი მემკვიდრეობა, შუა საუკუნეების დიდი მისტიკოსი ქალები და დიდი ესპანური მისტიკა. მათი წყალობით ვსწავლობთ იმას, რაც მსოფლიო მისტიკურ მოძღვრებებს აერთიანებს (ნეგატიური თეოლოგია) და, ამავე დროს, კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება ის მკვეთრი სხვაობები, ბუდისტურ და ქრისტიანულ მოძღვრებებს შორის რომ არსებობს. უკვე აშკარაა, რომ ჩვენმა თეოლოგიურმა აზროვნებამ დღეს ბევრი რამ შეიძლება ისესხოს აღმოსავლური მითოსური სიუჟეტებიდან და ფილოსოფიიდან. ამაში მდგომარეობს ჩვენი თეოლოგიისა და ჩვენი რელიგიური ცხოვრების განახლებისა და გადახალისების შანსები.

ქრისტიანული აღზრდისა და რწმენის მემკვიდრეობით გადაცემის განუყოფელ ნაწილს თითქმის 1500 წელიწადის მანძილზე თავისებური ქრისტიანული გარემო წარმოადგენდა. დღეს ეს გარემო აღარ არსებობს სკოლებში, მედიებსა თუ საზოგადოებრივ ფორმაციებში. თანამედროვე მსოფლმხედველობა, როგორც ჩანს, სულ უფრო მეტად შორდება ეკლესიურ ფასეულობებს. საერთოდ თუ იქნება კიდევ შესაძლებელი მომავალში ეკლესიისათვის საკუთარი იდეების საზოგადოებისათვის მიწოდება?

ძალიან სწორად შენიშნეთ, რომ რელიგიურ ცხოვრებას ქრისტიანული გარემო სჭირდება. მე ასე ვიტყოდი: იყო ქრისტიანი, ეს საკრებულოში ცხოვრებას ნიშნავს, ქრისტიანი ვერ იქნები, თუკი ყველასაგან გათიშული ხარ. თვით განდეგილიც კი თავისი საკრებულოს, ორდენის წევრია და მისგან მხარდაჭერას გრძნობს. ეკლესიის უპირველესი საზრუნავი სწორედ ასეთი საკრებულოების შექმნა უნდა იყოს. ევროპისა და ამერიკის საზოგადოებრივი კულტურა ამგვარ საკრებულოებს ვეღარ გვთავაზობს. ეს კვლავაც გვაბრუნებს შეკითხვასთან, თუ როგორ უნდა იარსებოს ეკლესიამ ქრისტიანული სულისკვეთებისაგან დაცლილ სამყაროში. მას სრულიად ახალი ტიპის საკრებულოების ჩამოყალიბება მოუწევს, რომლებიც უწინდელზე მეტად უნდა ამოუდგნენ მხარში ერთიმეორეს და ერთმანეთს რწმენა განუმტკიცონ.

ჩვეულებრივი საზოგადოებრივი გარემოცვა დღეს აღარ კმარა, რადგან მასში ქრისტიანული ატმოსფერო არ სუფევს. ამიტომაც ქრისტიანებმა ერთმანეთი უნდა გაიტანონ. უკვე ჩნდება კიდევაც ახალი ფორმები, სხვადასხვა სახის „მოძრაობები“, რომლებსაც საკრებულოები თუ დაჯგუფებები უკავშირდება. შეუქცევადად მიმდინარეობს კატექიზაციის განახლების პროცესი, რომლის ფარგლებშიც დამწყებებს შეუძლიათ გაეცნონ ქრისტიანობას, შეისწავლონ მისი საფუძვლები; კიდევ ერთ მნიშვნელოვან გზად მესახება სამონასტრო ცხოვრების გააქტიურება, რომელიც ქრისტიანობის უშუალო განცდასთან იქნება დაკავშირებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი საზოგადოება მის მთლიანობაში ქრისტიანულ გარემოდ აღარ გვევლინება, — და ეს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ოთხი-ხუთი საუკუნის მანძილზეც ხომ ასე იყო, — მაშინ ეკლესიამ თვითონ უნდა შექმნას ისეთი საზოგადოებრივი უჯრედები, რომლებშიც მცირე მასშტაბით იმოქმედებს ერთურთის გატანის, მხარდაჭერის, თანადგომის ეკლესიური პრინციპები.

კონკრეტულად როგორ გესახებათ ეს აქტიური საკრებულოები? აშკარაა, რომ დღეს ევროპაში უკვე ფეხი მოიკიდა სახალხო ეკლესიის ფორმებმა. როგორი იქნება მისი საპირისპირო მოდელი? ხომ არ წარმოგიდგენიათ გერმანიაში ქრისტიანული კიბუცების[2] მსგავსი დასახლებების არსებობა?

რატომაც არა? ამას დრო გვიჩვენებს. მე მგონი, არ იქნება მართებული, თუკი დღეს შევეცდებით მომავლის ეკლესიის ისეთი ზუსტი მოდელი დავსახოთ, რომელიც მას დღევანდელზე უფრო მეტად წარმოაჩენს უმცირესობის ეკლესიად. მე ვფიქრობ, მომავალშიც ასე იქნება, მაგრამ მაინც ბევრი ადამიანი ეცდება მასში დასაყრდენის პოვნას. ყველა მოსალოდნელი ცვლილების მიუხედავად, ჩემი ვარაუდით, ეკლესიური ცხოვრების არსებით უჯრედად მაინც სამრევლო დარჩება. მაგრამ მოძღვრისა და მრევლის ურთიერთობის ინსტიტუტი მთლიანად ძველებურად ვერ შენარჩუნდება, თუმცა ის თავისთავად ნაწილობრივ ახალ სისტემას წარმოადგენს. ასე თუ ისე, მორწმუნეთა ერთმანეთთან შეხვედრა მუდამ აუცილებელ და სულიერად გამამდიდრებელ მომენტად დარჩება. ამის გვერდით კი მომავალშიც, როგორც მუდამ რელიგიის ისტორიაში, იარსებებს დაჯგუფებები, რომლებსაც ესა თუ ის ქარიზმა, მისი ფუძემდებლის პიროვნება თუ სულიერების სპეციფიური გზა განამტკიცებს და შეკრავს. მრევლსა და ამგვარ „მიმდინარეობებს“ შორის აუცილებელია ნაყოფიერი გაცვლა-გამოცვლა. „მოძრაობას“ ეს საიმისოდ სჭირდება, რათა სექტად არ იქცეს, ხოლო სამრევლოს — რათა არ გახევდეს. დღეს მსოფლიოში უკვე შეინიშნება ქრისტიანული ცხოვრების სრულიად ახალი ფორმების გამაოგნებელი მრავალფეროვნება და ამ გაგებით მომავლის ეკლესია უკვე ჩვენს გვერდითაა.

„წმინდა, წმინდა, წმინდა“ — სულიერი რევოლუცია

ეკლესია დღეს ბიუროკრატული, შეშინებული, მეტისმეტად ადამიანურია. ხომ არ დადგა დრო, დავიბრუნოთ სულიერი ფასეულობები და ნაკლებად ვიფიქროთ პრაქტიკულობაზე? პარიზის ყოფილმა კარდინალმა ვეიომ ერთხელ თქვა: „ყოველივე უნდა იყოს წმინდა, წმინდა, წმინდა! ჩვენ ნამდვილი სულიერი რევოლუცია გვესაჭიროება“. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ეკლესიას ვერ ეყოლება ახალი მიმდევრები, თუკი ის არ განიწმინდა და ქალწულებრივი უმწიკვლოება არ დაიბრუნა?

თქვენი შეკითხვა გარკვეულწილად უკვე პასუხსაც შეიცავს. ხშირად მითქვამს, რომ ზედმეტად ბიუროკრატულნი ვართ. ნებისმიერ შემთხვევაში გვჭირდება სისტემის გამარტივება. ყოველივე კომისიების მეშვეობით არ უნდა წყდებოდეს, შესაძლებელი უნდა იყოს პირადი შეხვედრებიც. და კიდევ: ყველაფერი რაციონალურად ვერ გადაწყდება. ქრისტიანობა მეტისმეტად მიეჯაჭვა გონებას, მაშინ როცა სინამდვილის აღქმის სხვა საშუალებებსაც უნდა მოვუხმოთ. ჩვენ ახლახან ვისაუბრეთ რელიგიათა დიალოგისა და მისტიკის შესახებ და დღევანდელ ნერვულად დაძაბულ სამყაროს სწორედ ეს განზომილება აკლია. კარლ რანერის ცნობილი გამონათქვამის თანახმად: „მომავალი ქრისტიანი მისტიკოსად თუ არ იქცა, საერთოდ ვერ იარსებებს“. ასეთ დიდ პრეტენზიებს მე არ ვაცხადებ, რადგან ადამიანები ასე რადიკალურად მაინც ვერ შეიცვლებიან. ჩვენს სისუსტესაც ვერსად გავექცევით, ასე რომ, ყველა ერთბაშად ვერ გადაიქცევა მისტიკოსად. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ქრისტიანობას სული შეეხუთება, თუკი ჩვენ-ჩვენი სიცოცხლის იდუმალ წიაღს არ ჩავუღრმავდით და იქ არ ვეძიეთ რწმენა და შინაგანი ნათელი. ცარიელი ქმედება და მხოლოდ ინტელექტუალური საქმიანობა აღარ კმარა. დღეს უმნიშვნელოვანესია უბრალოებისაკენ და შინაგანი განზომილებისაკენ სწრაფვა, სინამდვილის ზერაციონალური და ინტუიციური წვდომის ფორმების ათვისება.

სპირიტუალიზმის ამ აღორძინებას ხომ არ მივყავართ კვლავაც უშუალო და ელემენტარულ რწმენასთან, რომელსაც დასაბამიდან მოყოლებული ეფუძნება ქრისტიანობა?

[2] კიბუცი — რელიგიური კომუნის ტიპის სოფლური დასახლება ისრაელში.

ზოგჯერ ყოველივე ისე რთულად გამოიყურება, რომ გეჩვენება, რწმენის საფუძვლებში მხოლოდ სწავლული თუ გაერკვევაო. ეგზეგეტიკამ ბევრი რამ დადებითი შეგვძინა, მაგრამ მან აგრეთვე შეგვიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ბიბლია იმდენად რთული აღსაქმელი იყოს, რომ ჩვეულებრივი ადამიანი მას ვერც კი წაიკითხავს. ხელახლა მოგვიწევს იმის გაცნობიერება, რომ ბიბლიას ყველასათვის განკუთვნილი სათქმელი აქვს და რომ ის სწორედ უბრალოებსა და მდაბალთ მიმართავს. ამ გაგებით, ვეთანხმები განმათავისუფლებელი თეოლოგიის წიაღში წარმოქმნილ მოძრაობას, რომელიც Interpretacion popular[3]-ის აუცილებლობას ამტკიცებს. ბიბლიის ჭეშმარიტი მემკვიდრე და მკვლევარი სწორედ ხალხია. სახარება სწორედ უბრალო ადამიანებს მიმართავს, მათ არ სჭირდებათ თითოეული ნიუანსის წვდომა, რათა მისი დვრიტა შეიგრძნონ. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თეოლოგიის დიდი აღმოჩენები გაუფასურდება: ისინი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს მსოფლიო კულტურათა დიალოგში. მაგრამ თეოლოგიამ არ უნდა დაჩრდილოს რწმენის უბრალოება, რომელიც უშუალოდ შეგვახვედრებს ღმერთთან, — ღმერთთან, რომელიც ჩვენთან შესახვედრად განკაცდა.

ხომ არ წარმოგიდგენიათ, რომ რაოდენობრივი შემცირების შედეგად, — ვგულისხმობ ეკლესიისაგან იმ ფორმალურ მორწმუნეთა ჩამოშორებას, რომლებსაც ქრისტიანობასთან სულიერად აღარაფერი აკავშირებთ, — მალევე მოხდება ქრისტიანობის ხარისხობრივი ცვლილებაც, რწმენის საფუძვლების კონსერვირება და კონცენტრირება? კარდინალმა ლუსტიგერმა განაცხადა, რომ თანამედროვე კულტურა როდი უსვამს წერტილს ქრისტიანობის აღსასრულს, ის მხოლოდ ახალი მსოფლმხედველობის ესკიზებსა და ჩანახატებს გვაწვდის. ლუსტიგერის თქმით, „კაცობრიობა მხოლოდ მაშინ გადარჩება, თუკი ეს თავად სურს. დღეს ყოველ წუთს უკანასკნელი სამსჯავროს წინაშე ვდგავართ“. დღეს მაქსიმალურად გაიზარდა ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის განადგურების შესაძლებლობა, მაგრამ ამის საპირისპიროდ, გაიზარდა ქრისტიანად ყოფნის შესაძლებლობაც: ამას აღარავინ გვავალდებულებს, ეს ჩვენს თავისუფალ არჩევანზეა დამოკიდებული. კარდინალი დარწმუნებულია იმაში, რომ ყველაფერი სწორედ ახლა იწყება და რომ „ახლაღა ვდგავართ ქრისტიანული ეპოქის ზღურბლზე“. იზიარებთ თუ არა ამ თვალსაზრისს?

ასე გაბედულად ვერ განვაცხადებ, რომ ქრისტიანული ეპოქის ზღურბლზე ვდგავართ. რადგან, რას ნიშნავს ქრისტიანული ეპოქა? იმას კი დავეთანხმები, რომ ქრისტიანობა მუდმივი განახლების შანსს გვანიჭებს. სადღაც მიწერია, რომ ქრისტიანობა მუდამ ერთდროულად მდოგვის მარცვალიცაა და ხეც, წითელი პარასკევიც და აღდგომის დღესასწაულიც. წითელი პარასკევი არასოდეს არის ჩავლილი, ის მუდამ სუფევს, და არც ეკლესია გვევლინება ოდესმე ზრდასრულ ხედ, ასეთ შემთხვევაში ის გახევდებოდა და გახმებოდა: ის გამუდმებით იმყოფება მდოგვის მარცვლის მდგომარეობაში. ამ გაგებით ვეთანხმები კარდინალს: დღესაც ახალი დასაწყისის წინაშე ვდგავართ და მუდამ უნდა გვქონდეს განახლების იმედი. ის, რომ დღეს ჩვენს რწმენაში აბსოლუტურად შეუზღუდავნი და თავისუფალნი ვართ და ამ რწმენით უნდა დავუპირისპირდეთ შეშლილ სამყაროს, მართლაც ანიჭებს ქრისტიანობას თვითგამოხატვის ახალ საშუალებებს. სწორედ რაოდენობრივად შეკვეცილ და ამის გამო უფრო შეგნებულ ქრისტიანობას ახალ დროებაში გადარჩენის მეტი შანსი ექნება. ამ გაგებით მართლაც ქრისტიანული ეპოქის ზღურბლზე ვდგავართ. ჩემს თავზე ვერ ავიღებ იმის პასუხისმგებლობას, რომ ზუსტად ვიწინასწარმეტყველო ის დრო, როდესაც ეს მოხდება. მაგრამ კიდევ ერთხელ მსურს ხაზი გავუსვა: ქრისტიანობაში მუდამ არსებობს განახლების შესაძლებლობა და ეს განახლება დღესაც მიმდინარეობს. ამის ხარჯზე ქრისტიანობა მუდამ შობს ახალ მნიშვნელოვან პიროვნებებს.

წლების წინათ თქვენ გამოთქვით იმის იმედი, რომ „ეკლესიაში სამების/სულთმოფენობის ჟამმა ჩამორეკა“. თქვენივე სიტყვებით, არსებობს ახალგაზრდა ადამიანების მთელი ჯგუფები, რომელთა სუფთა, დაუნაწევრებელ რწმენასაც შეიძლება „ჭეშმარიტი კათოლიციზმი“ ვუწოდოთ. თქვენი აზრით, დღეს ახალი ქრისტიანები გვჭირდება, უწინდელზე მამაცნი და გოროზნი? ერთხელ ისიც ბრძანეთ, ეკლესიას ახალი რეფორმატორების ნაცვლად დღეს ახალი წმინ-

[3] (ფრანგ.) პოპულარული ინტერპრეტაცია.

დანები ესაჭიროება, რომელთაც რწმენის შინაგანი ვიტალურობა დაბადებს და რომლებიც რწმენის სიმდიდრესა და მოუსყიდველ სიწრფელეს ხელახლა აღმოაჩენენო.

რეფორმატორისა და წმინდანის ურთიერთმიმართებას რაც შეეხება: თითოეული წმინდანი გარკვეულწილად რეფორმატორია, რადგან ის ახალ სიცოცხლეს ჩუქნის ეკლესიას და მის განწმენდასაც ახდენს. მაგრამ რეფორმატორს უფრო ხშირად იმ ადამიანს უწოდებენ, ვისაც ეკლესიაში სტრუქტურული ცვლილებები შემოაქვს და თვითონაც სტრუქტურათა განზომილებაში მოღვაწეობს. ასეთი ადამიანები დღეს მართლაც ნაკლებად გვჭირდება. ვინც მართლა ძალზე გვჭირდება, ესაა ადამიანები, რომლებიც უმძაფრესად შეიგრძნობენ ქრისტიანობას, რომელთათვისაც ის ბედნიერებად და იმედად იქცევა და მისი წყალობით ყოვლისმომცველი სიყვარულით განიმსჭვალება. ასეთ ადამიანებს ვუწოდებთ წმინდანებს.

სწორედ წმინდანები იყვნენ მუდამ ეკლესიის ჭეშმარიტი რეფორმატორები, რომელთა წყალობითაც ის უფრო უშუალო და რწმენისათვის გახსნილი ხდებოდა. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ ძველი დროის მიწურულს ბენედიქტემ ახალი სულისკვეთება შემოიტანა ქრისტიანობაში, რომლის წყალობითაც მან ხალხთა დიდ გადასახლებას გაუძლო. ანდა გავიხსენოთ ფრანჩესკო და დომინიკე — მათი წყალობით ფეოდალურ, გაქვავებულ ეკლესიაში ახალი სახარებისეული სიცოცხლე შემოიჭრა, უმძაფრესად რომ განაცდევინა მორწმუნეებს სახარებისეული სიღარიბე, უბრალოება და სიხალისე და ნამდვილი მასობრივი მოძრაობა წამოიწყო. ანდა გავიხსენოთ XVI საუკუნე. ტრიენტის საეკლესიო კრება ძალზე მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ კათოლიციზმის რეფორმა მხოლოდ ისეთი პიროვნებების არსებობამ გახადა შესაძლებელი, როგორიც იყვნენ ტერეზა ავილელი, ხუან დე ლა კრუსი, იგნასიუს ლოიოლა, კარლოს ბორომეო[4] და მრავალი სხვა, რადგანაც ეს ადამიანები უბრალოდ განახლებულად, უშუალოდ განიცდიდნენ ქრისტიანულ რწმენას, ახალი ფორმებით გამოხატავდნენ მას და სწორედ ამით განაპირობეს ეკლესიის აუცილებელი, მხსნელი რეფორმები. ამიტომაც ვთქვი, რომ დღეს ხსნა ფორუმებისა და სინოდებისაგან კი არ მოდის, — თუმცა ისინი შეიძლება სასიკეთო და აუცილებელიც კი გახდეს, — არამედ განსაკუთრებულად სარწმუნო პიროვნებებისაგან, რომლებსაც ჩვენ წმინდანებს ვუწოდებთ.

რა ახალ შანსებს სთავაზობს ეკლესია მსოფლიოს

ათასწლეულთა მიჯნის მოახლოვებისადმი მიძღვნილ თავის ეპისტოლეში პაპმა ხაზი გაუსვა იმას, რომ „ეკლესია... თავის რტოებქვეშ მთელ კაცობრიობას შეიფარებს“. ამ გამონათქვამში ძალზე მნიშვნელოვნად მეჩვენება შემდეგი რამ: დღეს, როდესაც განსაკუთრებით გვიჭირს რეალობის სწორი აღქმა და გადაწყვეტილებათა მიღება, განსაკუთრებით გვჭირდება სანდო მრჩეველი, მოძღვარი, როგორც ცალკეული პიროვნების, ისე ორგანიზაციის სახით, რომელიც კატასტროფათა ეპოქებშიც კი ურყევად იდგება. ღია საზოგადოება, რომელსაც არსებითად მხარს ვუჭერთ, სულ უფრო მეტ მოთხოვნებს გვიყენებს. ის მარტოს გვტოვებს შესაძლებლობათა უსასრულო არჩევანის წინაშე, რომელსაც გადაწყვეტილების მიღებისას ზეწოლა ახლავს თან, ნაირგვარ თავისუფლებათა წინაშე, რომელთა უმრავლესობაც უსარგებლო ან სულაც მავნეა და რომლებსაც თავს ველარ ვაღწევთ. ღია საზოგადოების შანსების შესანარჩუნებლად, დემოკრატიის დასაზღვევად, რათა დიქტატურულ სისტემაში არ ჩავეშვათ, აუცილებელია დახურული სუბსისტემები, ანუ ისეთი მოდელები, რომელთა არსებობა და პოზიცია არც შემთხვევით ახირებებს უკავშირდება, არც საყოველთაოდ მიღებულ თვალსაზრისებს.

[4] კათოლიკური ეკლესიის მოღვაწენი, წმინდანები: ფრანჩესკო ასიზელი (1181-1226) — სახარებისეული სიღარიბისა და უშუალოების მქადაგებელი, ფრანცისკანელთა ორდენის დამაარსებელი იტალიელი წმინდანი, რომლის მოძღვრებაც გმობდა კათოლიკური ეკლესიის გაქვავებულ დოგმებს, თუმცა შემდგომში მთლიანად იქნა მის მიერ გათავისებული; დომინიკ დე გუსმან გარსესი (1170-1221) — ესპანელი რელიგიური მოღვაწე, ქადაგთა ანუ დომინიკანელთა სამონასტრო ორდენის დამაარსებელი; ტერეზა ავილელი (1515-1582) — ესპანელი მისტიკოსი და რელიგიური მწერალი; ხუან დე ლა კრუსი (1542-1591) — ესპანელი რელიგიური მწერალი, პოეტი, მისტიკოსი; იგნასიო ლოიოლა (1491-1556) — ესპანელი საეკლესიო მოღვაწე, იეზუიტთა ორდენის დამაარსებელი; კარლოს ბორომეო (1538-1584) — იტალიელი საეკლესიო მოღვაწე, კარდინალი, არქიეპისკოპოსი.

თქვენ უშუალოდ მიუახლოვდით იმ საკითხს, თუ რა პოზიცია უკავია ეკლესიას საზოგადოებრივი თავისუფლების სისტემაში, რა სტატუსი აქვს, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მას საზოგადოებისათვის. ამით ძალზე მნიშვნელოვან თემას შეეხეთ. ეკლესია არ გახლავთ მრავალ ორგანიზაციათა შორის ერთ-ერთი, ის არც სახელმწიფოს შიგნით არსებული სახელმწიფოა: ასე რომ იყოს, მის მსგავსად, იმავე დემოკრატიული პრინციპებით უნდა ეხელმძღვანელა. ის აბსოლუტურად სხვა რამაა: ასე ვთქვათ, სულიერი ძალაა. გარეგნულად სოციალური და ორგანიზაციული ფორმა აქვს, მაგრამ თავისი არსით უშრეტი წყაროა; ის სახლემწიფოს ისეთ ძალას აწვდის, რომელიც მას თავისთავად არ გააჩნია. არსებობს ბიოკენფიორდეს ცნობილი, უკვე აფორიზმად ქცეული გამონათქვამი: დემოკრატიული საზოგადოება ისეთი ძალებით საზრდოობს, რომლებსაც თავად ვერ აწარმოებს; წეღან თქვენ იგივე აზრი გამოთქვით, როდესაც საზოგადოების საყრდენ სისტემებზე საუბრობდით.

ეს ყოველივე კიდევ ერთ ძალზე მნიშვნელოვან საკითხს ეხება, რომელსაც ახლა მეტისმეტად არ ჩავუღრმავდებით: ესაა დემოკრატია თვით ეკლესიის შიგნით. თუკი ამ თვალსაზრისით ვინმეს ჰგონია, რომ ეკლესიამ სახელმწიფოს უნდა მიბაძოს, მას მცდარად ესმის თვით ეკლესიის არსი, რადგან ჩვენ ხომ ვიცით, რომ დემოკრატია მხოლოდ გაბედული მცდელობაა, რომელსაც უმრავლესობის პრინციპით ადამიანური ცხოვრების მხოლოდ ზოგიერთი მომენტის მოგვარება ძალუძს. როგორც კი მას ჭეშმარიტების თუ სიკეთის ცნებებზე გავავრცელებთ, ის მონსტრად იქცევა; მონსტრად იქცევა მაშინაც, თუკი მისი დახმარებით უმცირესობა, რომელიც, შესაძლოა, ძალზე მრავალრიცხოვანიც იყოს, გამუდმებით იძულებულია სხვებს დაემორჩილოს, რასაც საბოლოოდ ოლიგარქიის ამა თუ იმ სახესთან, ერთი დაჯგუფების ბატონობასთან მივყავართ. ამიტომ დემოკრატია თავისთავად ითხოვს შემავსებელ რეალიებს, რაც მის მექანიზმებს საზრისს მიანიჭებს და რაც თავისი აგებულებით საკუთარი შინაგანი მისიის აღსრულებას ეფუძნება.

ყოველივე ამის გამო ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეკლესიამ საკუთარი თავი თვითმმართველურ ორგანოდ კი არ ჩათვალოს, რომელიც მსახურებას ითხოვს და ბრძანებებს გასცემს, არამედ რომ მან ხელთუქმნელი ფასეულობებით იცოცხლოს და კაცობრიობა ისეთი რამით გაამდიდროს, რასაც ის თავისთავად ვერ მოიპოვებდა. მას არა აქვს უფლება, მსოფლიოზე იბატონოს: ის უნდა ინახავდეს პასუხებს, რომლის მისაღებადაც მსოფლიო მას გაჭირვების ჟამს მიმართავს. მიწის მარილისა თუ ქვეყნიერების ნათელის ბიბლიური სურათ-ხატები გარკვეულწილად იმ საზრისს შეიცავს, რომ ეკლესიას წარმომადგენლის ფუნქცია აკისრია. მიწის მარილი იმას ნიშნავს, რომ მთლიანობაში მიწა არ არის მარილი. ეკლესია განსაზღვრული ფუნქციით უნდა ემსახუროს მსოფლიო მთლიანს, ჩართულია ამ მთლიანში, მაგრამ მის ასლს როდი წარმოადგენს, ის არაა სახელმწიფო. ყოველივე ეს ნათლად უნდა ჩანდეს ეკლესიის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ის გამუდმებით უნდა აცნობიერებდეს თავის განსაკუთრებულ მოვალეობას. ის ერთდროულად სარკმელს უნდა წარმოადგენდეს, რათა მისი გავლით მსოფლიო ღვთის ნათელისაკენ გაეშუროს და, ამავე დროს, ეს სარკმელი ღიად და თავისუფლად შეინარჩუნოს, რათა მსოფლიოში საარსებოდ აუცილებელმა ჰაერმა შემოაღწიოს.

თუკი ასეა, განა ეკლესიამ, როგორც მაერთებელმა, საზრისის მიმწოდებელმა ძალამ, არ უნდა გაილაშქროს ძალაუფლებაზე, მოდების დიქტატურაზე, კაპიტალისტურ საზოგადოებრივ სისტემაზე? მთელი ძალისხმევა იმას არ უნდა მოახმაროს, რათა, ასე ვთქვათ, შესაქმისეული პირველწყაროს დამცველ ავანგარდად იქცეს? მის მიერ დასახულ გეზს მნიშვნელობას შესძენდა ის ტრადიცია და სიბრძნეც, რომელსაც თავად ეფუძნება და ისიც, რომ მის სათავეში თვით ღმერთი დგას.

ამით კვლავაც ვუბრუნდებით შეკითხვას, თუ რამდენად უნდა გაიხსნას ეკლესია ახლის მისაღებად, რათა ხანდაზმულობისა და წარსულზე მიჯაჭვულობის საფრთხე აირიდოს. რამდენად უნდა აუწყოს ნაბიჯი თანამედროვეობას და სად უნდა გავიდეს ზღვარი, რომლის იქითაც მას წინააღმდეგობის გაწევის გაბედულება მართებს? ამ საკითხს კი თავისთავად მოსდევს მეორე: საბოლოო ჯამში, რა ან ვინ არის ეკლესია? უეჭველია, რომ ყველა, ვინც კი ეკლესიის სახელით გამოდის, მაშასადამე, ნებისმიერი წოდების სამღვდელო პირი ამ სიმამაცეს პრაქტიკაშიც უნდა ავლენდეს.

მაგრამ ფრაზას „ჩვენ ვართ ეკლესია“ ჭეშმარიტი აზრი არ უნდა დავუკარგოთ. ეკლესია მხოლოდ სამღვდელოებისაგან როდი შედგება. ეს სიტყვა მხოლოდ მაშინ მოახდენს გავლენას სამყაროზე, მაშინ იქნება დამაჯერებელი და ქმედითი, თუკი მხოლოდ რომაულ საბუთებსა და ეპისტოლეებში კი არ გაიჟღერებს, არამედ თუკი მოძღვრის სიტყვას ცოცხალი საკრებულოს ხმაც აჰყვება. ამიტომაც მნიშვნელოვნად მესახება, რომ ამგვარი მოწოდებანი ზევიდან კი არ მოდიოდეს, არამედ რომ ქრისტიანებმა შეიგნონ: ისინი თავისთავად წარმოადგენენ ძალას და შეუძლიათ წინ აღუდგნენ საზოგადოების დიქტატს.

მოძღვარს მხოლოდ ის ძალუძს, რომ დამაჯერებლად გამოთქვას, რაც ისედაც უკვე ცოცხლობს ეკლესიის წიაღში, მაგრამ შეიძლება პირიქითაც ვთქვათ: მრევლს გამუდმებით სჭირდება გამხნევება და მხარდაჭერა, რომელიც შესძენს ახალ ძალას, იყოს ის, რაც არის. როდესაც ამბობენ, ეკლესიას წინააღმდეგობის გაწევა უნდა შეეძლოსო, ამით პირველ რიგში სწორედ მრევლი უნდა იგულისხმებოდეს და არა სამღვდელოება, და აგრეთვე აუცილებელ სათნოებად მიმაჩნია გარჩევის უნარი, თუ რომელ სულს შეიძლება ვენდოთ[5]: ყველაფერი, რაც თანამედროვეა, არ არის კარგი, მაგრამ ასევე, პირიქითაც: ყველაფერი, რაც თანამედროვეა, არ არის ცუდი. ამის გარეშე ეკლესია თავისი სიტყვითა და მსახურებით ნამდვილ შედეგს ვერ მიაღწევს.

კიდევ ერთხელ უნდა შევჩერდე ჩვენს თანამედროვე ევროპულ ეკონომიკურ სისტემაზე. როგორ გგონიათ, მხოლოდ და მხოლოდ საბაზრო ინტერესებით მცხოვრები ეს სისტემა კიდევ ათ წელიწადს თუ იარსებებს?

მსოფლიოს ეკონომიკური მდგომარეობა მეტისმეტად ცუდად მესმის საიმისოდ, რომ ამ კითხვაზე პასუხი გაგცეთ. მაგრამ ცხადია ის, რომ ასე დიდხანს ვეღარ გაგრძელდება. პირველ რიგში, იმ პარადოქსული ვალების გამო, რომელშიც სახელმწიფოები ჩაეფლნენ. სახელმწიფო, ერთი მხრივ, ხარჯავს ფულს და საერთოდ ფულის ღირებულების გარანტად გვევლინება, მეორე მხრივ კი ის, როგორც ირკვევა, სრული ბანკროტია. ჩვენ ფიქციათა და წინააღმდეგობათა მთელ ქსელში ვართ გახლართულნი და შეუძლებელია ეს პროცესი უსასრულობამდე გაგრძელდეს.

სწორედ ახლახან (1996 წლის გაზაფხულზე) ამერიკაში გავხდით მომსწრენი იმისა, რომ სახელმწიფო არ აღმოჩნდა გადახდისუნარიანი და იძულებულია, დაიხუროს როგორც საწარმო ანუ თავისი პერსონალი უვადო შვებულებაში გაუშვას, რაც არნახულ წინააღმდეგობად გვევლინება, რადგანაც სწორედ სახელმწიფო აგებს პასუხს საზოგადოებრივი მთლიანის დაუნაწევრებლობაზე. ამ მარცხმა მკვეთრად დაგვანახა, რომ ჩვენს სისტემაში მნიშვნელოვანი ცდომილებებია დაშვებული და რომ მათ გამოსასწორებლად დიდი ძალისხმევაა საჭირო. მაგრამ მსურს დავუმატო, რომ მათი გამოსწორება ვერ მოხერხდება, თუკი ყველამ ერთად არ გამონახა მატერიალურ ფასეულობებზე უარის თქმისათვის საჭირო ძალა. მთავრობათა მიერ გაცემული განკარგულებები არსებით კორექტივებს ვერ შეიტანს. აქ საზოგადოების ნამდვილი გახლეჩის მცდელობა უნდა განხორციელდეს. ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ ყველაფერს, რაც გვსურს, ვერ მივიღებთ, რომ უკვე მიღწეულ სტანდარტზე უფრო დაბლა ჩამოსვლაც კი მოგვიწევს. თავი უნდა დავაღწიოთ საკუთრების, საკუთარი უფლებებისა და პრეტენზიების დაცვის მზარდ მოთხოვნილებას. ვფიქრობ, სულის სიღრმეში განხორციელებული ეს შემობრუნება, რომელიც მომავლისა და ჩვენს თანამოძმეთა გამო საკუთარ სურვილებზე უარის თქმას შეგვაძლებინებს, ჩვენი სისტემების დაცვის საუკეთესო საშუალებად იქცევა.

თქვენო უწმინდესობავ, დღევანდელი პერსპექტივიდან ხომ არ შეგიძლიათ იმის თქმა, თუ რა ისტორიულ შეფასებას დაიმსახურებს ახლანდელი პონტიფიკატი? რა მნიშვნელობა ექნება ამ პერიოდის დასასრულს ეკლესიისა და მსოფლიოსათვის?

ეს კვლავაც სამომავლო პერსპექტივებთან გვაბრუნებს, ასეთ დროს კი ვცდილობ სიფრთხილე გამოვიჩინო. თვით პაპმა, როგორც წარმოშობით პოლონელმა, უკვე საგრძნობლად გადააადგილა პერსპექტივები: დასავლეთის საზღვარმა უფრო შორს გადაინაცვლა აღმოსავლეთისაკენ და აღმოსავლეთის უფრო ფართო თვალსაწიერი გაგვიხსნა. იოანე-პავლე II-მ თა-

[5] მინიშნება სახარებისეულ სიტყვებზე: „საყვარელნო, ყველას სულს ნუკი ენდობით!“ (I იოანე, 4:1).

ვისი მოგზაურობებითაც გახსნა დასავლეთის საზღვრები და ეკლესია უწინდელზე მეტად დაუკავშირა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც მჯერა, რომ დასავლური მემკვიდრეობა მუდამ ძალზე მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს კაცობრიობის ისტორიაში. რადგან დასავლურმა რწმენამ კაცობრიობას მხოლოდ ხელოვნების სახით როდი შესძინა დიდი და წარუშლელი სიმდიდრე (ვგულისხმობ რომანტიზმს, გოთიკას, აღორძინებას, ბაროკოსა და ასე შემდეგ), არამედ აზროვნებისა და წმინდანთა დიდებული პიროვნებების სახითაც, ვისშიც სრულყოფილად განსხეულდა ქრისტიანობა და ვისი მაგალითის წყალობითაც ადამიანი უფრო მეტად მიუახლოვდა ღვთის შესაქმისეულ ჩანაფიქრს. ამ უზარმაზარ მემკვიდრეობაზე კაცობრიობა უარს ვერასოდეს იტყვის, იგი მას მხოლოდ ახალ-ახალ, უფრო ფართო პერსპექტივებში მოაქცევს.

მსოფლიოს ჭეშმარიტი ისტორია

ჟამთა აღსასრულის შესახებ

ეპისკოპოსთა, სამღვდელოებისა და ყველა მორწმუნესადმი მიმართულ სამოციქულო ეპისტოლეში „მესამე ათასწლეულის მოახლოების გამო“ პაპი „ჟამთა აღსასრულის“ შესახებ საუბრობს. მისი თქმით, ქრისტიანობაში დროის ცნებას „ფუნდამენტური მნიშვნელობა“ აქვს; ქრისტეს გამოცხადებით უკვე მოგვევლინა „ჟამთა აღსასრული“. დაიწყო „ეკლესიის ჟამი, რომელმაც მის მეორედ მოსვლამდე უნდა გასტანოს“. როგორ განმარტავთ ამ სიტყვებს? ნუთუ მთელი დრამა უკვე კარგა ხანია დასრულებულია, ნუთუ საკუთარი თავი ამოვწურეთ?

ამ ღია ეპისტოლეს დასაწყისში ბიბლიური ციტატაა მოყვანილი. „ჟამთა აღსასრულის“ ცნება მოციქულ პავლესაგანაა ნასესხები. ბიბლიაში ძალზე მკაფიოდაა გამოთქმული ის აზრი, რომ ეს ისტორიის უკანასკნელი ფაზაა. ლუკას სახარებამ უკვე მოულოდნელად შორსმჭვრეტელურად გადასწია ამ აღსასრულის ვადა შემდეგი სიტყვებით: „იერუსალიმი გაითელება ხალხებისაგან, ვიდრე მათი ჟამი არ აღსრულდება“ (ლუკა, 24:24).

ეკლესიის წმინდა მამებმა ეს აზრი იმით განავრცეს, რომ ისტორია ადამიანის სიცოცხლეს შეადარეს, რომელიც ექვს სასიცოცხლო ფაზად იყოფა. ამ მოძღვრების თანახმად, კაცობრიობის ისტორიამ ახლა მეექვსე და უკანასკნელ ფაზაში შეაბიჯა. ახალმა დრომ ეს თვალსაზრისი მნიშვნელოვნად შეცვალა, ეს ჯერ კიდევ აღორძინების ეპოქაში დაიწყო, ხოლო დღეს იგი მთლიანად უარყოფილია. განვლილი მონაკვეთი მეექვსე ფაზა კი არა, შუა საუკუნეები გახლდათ, ახლა კი კვლავ ნამდვილი ისტორია იწყება. როგორც აღმოჩნდა, ისტორიული ფაზები ბევრად უფრო ხანგრძლივი ყოფილა, ვიდრე გვეგონა; მსოფლიო და კაცობრიობის ისტორია 6000 წელიწადს კი არა, დროის უსასრულო რაოდენობას ითვლის. სავსებით გასაგებია, რომ ამ აღმოჩენამ გარკვეულწილად „ჟამთა აღსასრულზე“ ჩვენი წარმოდგენაც გააბუნდოვნა და დროის განცდას უსასრულობის შეგრძნებაც შესძინა.

ასეთ კულტურულ კონტექსტში გვიწევს ბიბლიისა და ეკლესიის მამათა ამ მსოფლმხედველობის ხელახლა გადასინჯვა, რომელსაც საფუძვლად ექვსიათასწლიანი ისტორიული ფაზის მოდელი უდევს. სრულიად ახლებურ წვდომას მოითხოვს ბიბლიის ფუძისეული იდეაც, რომ ქრისტეს სამყაროში მოსვლით ისტორია თავის საბოლოო წერტილს უახლოვდება. მე ვიტყოდი, რომ უკანასკნელი ათწლეულების აღმოჩენებმა მსოფლიო ისტორია დააჩქარა, საფრთხე გაამძაფრა და ამიტომაც დღეს დროთა აღსასრული უწინდელზე უფრო რეალურად გვიდგას თვალწინ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. დღეს განახლებული სიმძაფრით შევიგრძნობთ, რომ ქრისტიანობა, რომელიც იმთავითვე მსოფლიოს გაერთიანებისაკენ, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამიჯნვისაკენ იყო მიმართული და რომელმაც მრავალღმერთიანობის გაუქმებით გარკვეული ავტონომია დაამკვიდრა, მართლაც ისტორიის ახალი და საბოლოო ფაზის დასაწყისს ნიშნავს. ისტორიის აღსასრულის მოახლოება უნდა გვესმოდეს არა ათასწლეულთა აღრიცხვით, არამედ იმ თვალსაზრისით, რომ ქრისტე დასასრულის დასაწყისია და ჩვენ მისგან დაშორებისა და მასთან კვლავ მიახლოვების გზა გვაქვს გასავლელი.

პაპის ეპისტოლე სწორედ ამ საკითხებს ეხება; იქ საუბარია იმის თაობაზე, რომ ქრისტე გადამწყვეტ აქცენტს უსვამს მსოფლიო ისტორიას, რომ ისტორიული გზის სულ უფრო დრამატულ გზაგასაყარებზე როგორც ამოსავალ წერტილად, ისე საბოლოო მიზნადაც სწორედ ის გვევლინება. ჩვენ დასასრულისკენ მივდივართ იმდენად, რამდენადაც ქრისტეს ვუახლოვდებით. ეს დასასრული განადგურებას კი არა, სრულყოფას ნიშნავს, რომლის დროსაც ისტორია თავის დასრულებულ სახეს, სისავსეს მიაღწევს.

უკვე ნახსენებ ეპისტოლეში პაპი აგრეთვე აცხადებს, რომ 2000 წელი მხოლოდ საუკუნისა და ათასწლეულის დასასრულის გამო აღსანიშნავი რიგითი თარიღი კი არ იქნება, არამედ „უფლის განსაკუთრებული წყალობის წელიწადიც“. რას ნიშნავს ეს? განსაკუთრებულ მოვლენებს, მართლაც ღვთის განსაკუთრებულ წყალობას? საიუბილეო წელიწადი ხომ აგრეთვე სოციალური სამართლიანობის აღდგენის წლადაა ჩაფიქრებული, როდესაც უნდა მოხდეს ყველა ცოდვის მიტევება და ყველა სასჯელის გაუქმება, მოწინააღმდეგეთა შერიგება, მრავალგვარი — ეკლესიური და არაეკლესიური — აღსარება და მონანიება. იქნებ ეკლესიას კიდევ სხვა გეგმებიც აქვს? ეპისტოლე მრავალმნიშვნელოვნად გვამცნობს, რომ „ეკლესია ახალი ათასწლეულის ზღურბლს ისე ვერ გადააბიჯებს, რომ თავისი შვილები გ ზააბნეულობისაგან, ორგულობისაგან და შეცდომებისაგან არ განწმინდოს“.

მე ვფიქრობ, ზუსტად უნდა გვესმოდეს, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ეს თარიღი და რას — არა. უპირველეს ყოვლისა, ყოველგვარი მაგიური მოლოდინი უნდა ჩამოვიშოროთ. ნუ გვგონია, რომ ამ დროს ჩვენს ცხოვრებაში თავისთავად შემოიჭრება დიდი კოსმიური ან თუნდაც კულტურული თუ რელიგიური მოვლენები. საღად უნდა მივუდგეთ იმ ფაქტს, რომ ესეც ჩვეულებრივი თარიღია და მას შეიძლება გარკვეული შემთხვევითობებიც ახლდეს თან. დიონისე მცირე[6] ქრისტეს დაბადების თარიღის დაანგარიშებისას ერთი-ორი წლით შეცდა. სინამდვილეში ქრისტე, როგორც ჩანს, დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვით 7 წელს დაიბადა. ამას თუ გავითვალისწინებთ, 2000 წელიც უფრო ადრე უნდა აგვეღნიშნა. ასე რომ, მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივანიჭოთ რაღაც მაგიური დატვირთვა.

მაგრამ ისტორიაში სწორედ ეს თარიღი დამკვიდრდა...

დიახ, და ჩვენ სწორედ მის მიხედვით ვცხოვრობთ. მაგრამ ის არც მეტაფიზიკური, არც ისტორიული აუცილებლობიდან არ გამომდინარეობს. მაშასადამე, პირველი, რაც უნდა შევიგნოთ, ისაა, რომ 2000 წელს სასწაულების მოლოდინი უნდა გვქონდეს. მეორე კი ის იქნება, რომ დავუფიქრდეთ: მაშ, რას ნიშნავს ჩვენთვის 2000 წელი? პაპი მართებულად გვეუბნება, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, მოსაგონარი თარიღია. ის კიდევ ერთხელ უმძაფრესად გვახსენებს იესო ქრისტეს დაბადების ფაქტს, იმდენად მნიშვნელოვანს, რომ მან კაცობრიობის არსებითი ნაწილისათვის ახალ წელთაღრიცხვას ჩაუყარა საფუძველი. ეს, ერთი მხრივ, წარსულის გახსენებაა, მეორე მხრივ და უმთავრესად კი, საკუთარ თავში ჩაღრმავება, გახსენება მაცხოვრის პიროვნებისა, რომელიც მუდამ აწმყოში მყოფობს და მუდამ მიმართავს თითოეულ ჩვენგანს. ეს უნდა გახდეს იმავდროულად წარსულის, აწმყოსა და მომავლის გახსენება, როგორც მოწოდება, მოთხოვნა და შანსი, მისი ღირსნი გავხდეთ და მას მივუახლოვდეთ.

პაპი სთავაზობს კაცობრიობას, ყოველ შემთხვევაში, მის ქრისტიან ნაწილს, მხარდაჭერას გახსენებისა და რწმენის განახლების ამ გზაზე: ესაა ჩვენს მიერ უკვე ხსენებული სამწლიანი პროექტი, რომელმაც ჩვენს სულში დავანებული, იქნებ მიძინებული ჭეშმარიტება უნდა გამოაღვიძოს. ერთ-ერთი მომენტი სწორედ ესაა: პაპი გვაძლევს იმის შესაძლებლობას, გახსენების ეს აქტი მართლაც შედგეს.

მეორე მომენტი უკავშირდება იუბილეს ძველაღთქმისეულ მოტივს, რომლის თანახმადაც ყოველ 49 ანუ შვიდჯერ შვიდ წელიწადში ერთხელ ისტორია თავის დასაბამს უბრუნდება და თავიდან იწყება. კერძო საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა შეთანხმება უქმდება, ყველა ერთმანეთს პატიობს და ცხოვრება მთლიანად განახლებულ, გადახალისებულ სახეს იღებს. პა-

[6] დიონისე მცირე (Dyonissus Exiguus) — VI საუკუნის რომაელი თეოლოგი.

პის აზრით, თუკი მართლაც ოდესმე ყოფილა ამგვარი იუბილე, 2000 წელმა შეძლებისდაგვარად სწორედ ასეთი ფუნქცია უნდა იკისროს, რათა ჩვენს დასაბამს, ქრისტეს დავუბრუნდეთ. ძველი აღთქმის სურათები კი ერთგვარ გამოწვევად უნდა მივიღოთ ძველი ვალების გასასტუმრებლად, ისეთი ტვირთის ჩამოსახსნელად, როგორიც თუნდაც ჩვენი ეკონომიკური სისტემაა, და, ასე ვთქვათ, ყველაფრის ნოლიდან დასაწყებად.

ეს ყოველივე ზევიდან რაღაც კოსმიური მადლის სახით კი არ გადმოგვეფრქვევა, არამედ ამოცანისა და შესაძლებლობის სახით ეძლევა ჩვენს მეხსიერებას. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია სწორედ ის სიფხიზლე და თავშეკავებულობა, რაც უკავშირება სიტყვებს „მოგონება“ და „მეხსიერება“, მაგრამ ეს სიფხიზლე არ უნდა ნიშნავდეს რელიგიური საზრისისაგან დაცლას, ის უნდა გვექცეს საყრდენად, რათა საღად მოვიკრიბოთ სულიერი ძალები ახალი დასაწყისისათვის.

მაგრამ პაპი ძალზე შორს მიდის, როდესაც მოგვიწოდებს, განიწმინდეთ, ცოდვები მოინანიეთო; თავისი უკანასკნელი მოგზაურობისას, ავსტრალიაში, მან განაცხადა, შესაძლოა, მართლაც აუცილებელი გახდეს უდაბნოში წასვლა, რათა იქიდან შევეგებოთ უფლის დაბრუნებასო.

მისი ამ გამოსვლის ტექსტი ჩემთვის უცნობია, მაგრამ შეუძლებელია ის გულისხმობდეს, რომ 2000 წელს უფალი დაბრუნდება. ეს იმ ბიბლიურ სიტყვებს ეწინააღმდეგება, რომ მეორედ მოსვლის დრო და საათი არავინ იცის. შეიძლება ვთქვათ, რომ ის მაშინ ბრუნდება, როდესაც ჩვენი სული იხსნება მის შესაგებებლად; ამ გაგებით დროდადრო მუდამ ვხდებით ქრისტეს დაბრუნების მომსწრენი მაშინ, როდესაც ის განახლებულად შემოდის ისტორიაში. მაშასადამე, ღიად უნდა დარჩეს კითხვა იმის თაობაზე, თუ როდის დაბრუნდება იგი საბოლოოდ, როდის აიყვანს ხელში ისტორიას და საუკუნოდ შეწყვეტს მის დინებას, — ეს არანაირ ქრონოლოგიურ გამოთვლებს არ უკავშირდება. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია იმისათვის ვილოცოთ და ვემზადოთ, რომ ის ჩვენს დროში შემოვიდეს, ეს კი მაშინაა შესაძლებელი, თუკი მას ჩვენი შინაგანი განზომილება ღიად დაუხვდება. მე ვფიქრობ, რომ „უდაბნოში გასვლაც“ სწორედ ასე უნდა გავიგოთ. ცალკეული ადამიანებისთვის ამ სიტყვებმა შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობაც შეიძინოს. მაგრამ ზოგადად ეს ნიშნავს ჩვენი საგნობრივად გადატვირთული, ზედმეტობებით დახუნძლული სინამდვილიდან გაღწევას შინაგანი თავისუფლების, სიფხიზლისა და სინანულის განზომილებაში, რის გარეშეც განახლება შეუძლებელია.

სოციოლოგები, მომავლის მკვლევრები და კულტურის კრიტიკოსები გაცხარებით დაეძებენ მომავალი ეპოქის დასახასიათებლად შესაფერის ცნებას. უკვე გვაქვს მოდერნი, პოსტმოდერნი და პოსტპოსტმოდერნიც კი, ასე რომ, კიდევ ერთი „პოსტ-“ წინდებულის მიმატება ნამდვილად გაგვიჭირდება. იქნებ სწორედ მოლოდინი ქმნის და განაპირობებს იმას, თუ როგორი იქნება მომავალი და იქნებ ეს მოლოდინი სახელწოდებასაც თავისთავად მოუნახავს? თქვენ როგორ განსაზღვრავდით მომავალ დროებას?

რაიმე კონკრეტული დასახელების მოფიქრება გამიჭირდება. მუდამ წინააღმდეგი ვიყავი ახალი დროის დასასრულის, ანუ პოსტმოდერნის შესახებ საუბრის. ეს მეტისმეტად ნაჩქარევი თვალსაზრისია. დროთა მიჯნის დანახვა მხოლოდ გარკვეული მანძილიდან შეიძლება. რა თქმა უნდა, „შუა საუკუნეების“ ცნება აღორძინების ხანაში შეიქმნა: ის რაღაც შუალედური პერიოდის დასრულებაზე მიუთითებდა და ამით აღორძინება საკუთარ თავს ახალ სულისკვეთებად აცხადებდა და ამაში მართალიც იყო. დღესაც ნათლად ჩანს, რომ ისტორიის დაჩქარება რაღაც გარდატეხას მოასწავებს, რაც ახალი დროის 500-600-წლიან მსვლელობას რადიკალურად შეცვლის. მაგრამ მთელი ამ პერიოდიზაციის გადასინჯვა გვიწევს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ის თავისი არსით მხოლოდ ევროპას შეესაბამება. რადგანაც ამ პერიოდებში ძნელად თუ ჩავსვამთ ინდურ ან ჩინურ ისტორიას, მიუხედავად იმისა, რომ პარალელები შესაძლებელია. იასპერსი ყველა კულტურის გამჭოლ, ეგრეთ წოდებულ ზღვრულ დროზე ლაპარაკობს. ნებისმიერ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, არ უნდა ვეცადოთ სახელის დარქმევა იმისათვის, რასაც ჯერ არც კი ვიცნობთ. ამის მაგიერ უნდა ვეცადოთ შინაგანი მზადყოფნისათვის, რათა მოსალოდნელმა

გარდატეხამ არ მოგვტეხოს და რათა შევძლოთ, მომავალ დროებასაც ადამიანისა და ღვთის ეპოქა ვუწოდოთ.

ჩემი უკანასკნელი შეკითხვაც სწორედ ამას ებმის: თქვენო უწმინდესობავ, როგორია მსოფლიოს ჭეშმარიტი ისტორია? და კიდევ: სინამდვილეში რას ითხოვს ჩვენგან ღმერთი? ერთგან გიწერიათ: „ისტორიას განსაზღვრავს სიყვარულის ჭიდილი მის უუნარობასთან, იმ სულიერ გავერანებასთან, რომელიც მაშინ გვატყდება თავს, როდესაც რიცხობრივი, მატერიალური ფასეულობების გარდა სხვა ფასეულობებსა და სხვა სინამდვილეს ვეღარ აღვიქვამთ... სიყვარულის უნარის დაკარგვა შობს მომაკვდინებელ მოწყენილობას, რომელიც ადამიანზე მომწამვლელად მოქმედებს. თუკი ამ მოწყენილობამ მთლიანად გვძლია, მაშინ ადამიანიც და მასთან ერთად მთელი სამყაროც განადგურდება.“

ამ მოსაზრების გამოთქმისას დავეყრდენი ნეტარ ავგუსტინეს, რომელიც თავის მხრივ უფრო ადრინდელ ქრისტიანულ, კატექიზისულ ტრადიციას განაგრძობს, როდესაც ისტორიას ორი საუფლოს, ორი ძალის ურთიერთჭიდილად წარმოგვიდგენს. გოეთემ იგივე თვალსაზრისს მიმართა, როდესაც თქვა, ისტორია რწმენისა და ურწმუნობის ორთაბრძოლაა. ავგუსტინემ ეს ოდნავ სხვაგვარად ჩამოაყალიბა: მისი სიტყვებით, ისტორიაში ერთურთს ებრძვის ორგვარი სიყვარული — ერთია თვითუარყოფამდე მისული ღვთის სიყვარული, მეორე კი საკუთარი თავის სიყვარული, რომელიც ღვთის უარყოფამდე მიდის. მისთვის ისტორია ამ ორგვარი სიყვარულის დრამაა. მე ამ აზრის დაზუსტებას შევეცადე, როდესაც დავწერე, ღვთის საპირისპირო სიყვარული ამ სახელწოდებას საერთოდ არ იმსახურებს-მეთქი, ის სიყვარულის უარყოფა და უუნარობაა. ისტორია მთლიანობაში სიყვარულისა და უსიყვარულობის ჭიდილია. სწორედ ამის მომსწრენი ვართ ჩვენს დროში, როდესაც ადამიანის პიროვნული თავისუფლება იქამდეც კი მიდის, რომ მას შეუძლია განაცხადოს: სულაც არ მსურს სიყვარული, რადგან ეს სხვაზე დამოკიდებულს გამხდის და, მაშასადამე, თავისუფლებას შემიზღუდავსო.

სიყვარული მართლაც სხვაზე დამოკიდებულებას ნიშნავს, რადგან სიყვარულის საგანი შეიძლება წამართვან და ამით ჩემს ცხოვრებაში ტანჯვის დიდი საფრთხე შემოდის. აქედან მოდის შეგნებული თუ გაუცნობიერებელი უარი: ვიდრე ეს საფრთხე დამემუქრებოდეს, ვიდრე იმაზე დამოკიდებული გავხდები, რასაც თავად ვერ წარვმართავ და ამით უფსკრულის პირას აღმოვჩნდები, ჯობს საერთოდ არ განვიცადო სიყვარული. მაშინ როდესაც ქრისტე სულ სხვაგვარ გადაწყვეტილებას გვკარნახობს: დასტურით შევხვდეთ სიყვარულს, რადგან, მხოლოდ მას, მოსალოდნელი ტანჯვის მიუხედავად, ძალუძს ჩვენს თავთან მიგვიყვანოს და ისეთებად გვაქციოს, როგორებიც უნდა ვიყოთ.

ვფიქრობ, ისტორიის ჭეშმარიტი დრამა მართლაც ესაა: მრავალგვარი ურთიერთდაპირისპირებული ფრონტის მიღმა საბოლოო ჯამში ერთადერთი დიდი ორთაბრძოლა ხდება — სიყვარული უსიყვარულობის წინააღმდეგ.

და რას მოელის ღმერთი ჩვენგან?

უნდა შეგვეძლოს სიყვარული და მხოლოდ მაშინ ვიქნებით მისი ხატი და მსგავსება. რადგან, მოციქულ იოანეს სიტყვებით, ღმერთი თავად სიყვარულია და მას სურს, ჩვენც მისი მსგავსი არსებები ვიყოთ, ჩვენი სიყვარულის თავისუფალი არჩევანით ვემსგავსოთ მას და ამით, ასე ვთქვათ, სამყაროში მისი ნათელი განვავრცოთ.

ალექსანდრე მენი

XX საუკუნის ძალზე მნიშვნელოვანი ქრისტიანი მწერლის, მამა ალექსანდრე მენის (1935-1990) ყველაზე მასშტაბური ექვსტომეული ნაშრომი „გზის, ჭეშმარიტებისა და სიცოცხლის ძიებაში“ მოიცავს კაცობრიობის რელიგიური გამოცდილებისა და ძიებების უმნიშვნელოვანეს ეტაპებს მსოფლიოს უდიდესი რელიგიის, ქრისტიანობის დაბადებამდე. ეს გახლავთ მკითხველის ერთგვარი შემზადება ავტორის მთავარი ნაშრომისათვის, რომელსაც „ძე კაცისა“ ეწოდება. ექვსტომეულში შესულია შემდეგი წიგნები: ტომი I — „რელიგიის დასაბამი“, ტომი II — „მაგიზმი და ერთღმერთიანობა“, ტომი III — „დუმილის კარიბჭესთან“, ტომი IV — „დიონისე, ლოგოსი, ბედისწერა“, ტომი V — „ღვთის სასუფევლის მაცნენი“, ტომი VI — „ახალი აღთქმის ზღურბლთან“. მეხუთე ნაწილი მოგვითხრობს ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა შესახებ და სიღრმისეულად იკვლევს მათ მოძღვრებას. გთავაზობთ ამ წიგნის შესავალს.

მთარგმნელი

ღვთის სასუფევლის მაცნენი

დიდად ცდება ის, ვინც წმინდა წერილის გამოცხადებებს მხოლოდ ისტორიული მომავლის წინასწარმეტყველებად მიიჩნევს. მათში ყველა დროისათვის განკუთვნილი სიბრძნეა ჩადებული.

პ. ი. ჩაადაევი

წინასწარმეტყველთა წიგნები ძველი აღთქმის ტექსტის მხოლოდ მეოთხედს შეადგენს; აზრობრივად კი მათ ცენტრალური ადგილი უკავიათ ბიბლიის ქრისტიანობამდელ ნაწილში. მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ მათ საკმაოდ ხშირად დაუმსახურებლად აკლდება ყურადღება წმინდა წერილის სხვა განყოფილებებთან შედარებით. ბიბლიის მკვლევრებს უდიდეს სირთულეს სწორედ წინასწარმეტყველები უქმნიდნენ, ამიტომაც ძველი აღთქმის მრავალ გადმოცემაში ისინი მკრთალ, უსახურ ჩრდილთა წყებად წარმოგვიდგებიან და მათ ერთადერთ დანიშნულებად მესიის მოსვლის წინასწარმეტყველება მიიჩნევა. ამგვარი მონათხრობი, როგორც წესი, დიდ მამამთავრებსა და მეფეებს ბევრად მეტ ყურადღებას უთმობს.

ცხადზე ცხადია, რომ ბიბლიურ გმირთა სახეებს წმინდა წერილი საოცრად ცოცხლად გვიჩვენებს, მათ შესახებ თქმულებები ღრმა საზრისსა და დრამატიზმს შეიცავს, მაგრამ ეს ყოველივე მაინც მხოლოდ შესავალია დიად წინასწარმეტყველთა ქადაგებისათვის. ძველი ისრაელის მამამთავრები და წინამძღოლნი, მეფეები და მღვდლები ქმნიდნენ იმ ადამიანურ გარემოს, სადაც ცრურწმენათა, ბარბაროსულ ჩვეულებათა და ღვთის შესახებ ტლანქ წარმოდგენათა დანაშრევიდან გამოცხადების პირველი სხივები გამობრწყინდა. მხოლოდ მოსეს იდუმალი და არსებითად გაუგებარი ფიგურა აღმართულა ძველაღთქმისეული ადრეული ისტორიის ბინდში, როგორც ბუმბერაზი. ის ღვთის ჭეშმარიტი მაცნე გახლდათ, წინასწარმეტყველი, რომლის მსგავსიც შემდეგ აღარ მოსულა (მეორე რჯული, 34:10), *ის იყო სხვა წინასწარმეტყველთა დასაბამი* (გამოსვლა, 7:1; რიცხვთა, 11:17-25). მისი მოძღვრება მთელი სისავსით მხოლოდ კლასიკური *პროფეტიზმის* წიაღში იქნა გააზრებული, რომელსაც სათავე პირველმა მწერალმა-წინასწარმეტყველმა, ამოსმა დაუდო.

„წინასწარმეტყველი“ ჩვეულებრივ წარმოდგენაში მომავლის წინასწარ ხილვით დაჯილდოვებული ადამიანია; არადა, ბიბლიაში პროფეტიზმის ამგვარი ვიწრო გაგების საწინააღმდე-

გოდ, პირველ რიგში, თვით ტერმინი *ნაბი* (წინასწარმეტყველი) მეტყველებს. მას საფუძვლად აქადური სიტყვა „ნაბუ“ (მოხმობა-მოწოდება) უნდა ედოს და, აქედან გამომდინარე, „ნაბი“ უნდა გავიგოთ, როგორც (ღვთის მიერ) „მოწოდებული“. ამავე დროს, მისი შესაბამისი ბერძნული სიტყვა თავისი შინაარსით აღნიშნავს იმას, ვინც სხვის მაგიერ ლაპარაკობს, მის სიტყვებს გადმოგვცემს, ძველი აღთქმა კი შეიცავს პირდაპირ მინიშნებებს იმაზე, რომ „წინასწარმეტყველი“ შიკრიკია, მაცნეა.

მომავლის განჭვრეტის უნარი, რომელიც უდაოდ ახასიათებდათ წინასწარმეტყველებს, თვითკმარი კი არ ყოფილა, არამედ, პირველ რიგში, იმის დასტურს წარმოადგენდა, რომ ეს ადამიანები მართლაც ღვთის გამოგზავნილნი იყვნენ.

ქრისტიანული აზროვნებისათვის ამ ადამიანთა წინასწარმეტყველური უნარი, უპირველეს ყოვლისა, ძვირფასია იმით, რომ მათ ღვთის სასუფევლისა და მესიის მოსვლა იქადაგეს. „ისინი ჩემს შესახებ მოწმობენ“, — ქრისტეს ეს სიტყვები ძველი აღთქმის ღვთისაგან შთაგონებულ ბრძენკაცებს ეხებათ. იშვიათად მოსულან ქვეყნად მათსავით მომავლისაკენ მისწრაფული ადამიანები; მათ ხელეწიფებათ დროის ზღვარის გადალახვა, ამიტომ უფლის ცხებული ქრისტეს სახე მათთვის ცოცხალი და ხელშესახებია. ეს იმდენად თვალსაჩინოა, რომ სახარების ავტორები ქრისტეს მიწიერი ცხოვრების თითქმის ყველა მოვლენის დასტურს წინასწარმეტყველებთან პოულობენ.

მიუხედავად ამისა, არ იქნება მართებული, თუკი წინასწარმეტყველთა სულიერ მნიშვნელობას მხოლოდ ქრისტეს მოსვლის წინასწარი ხედვით შემოვფარგლავთ. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ახალი აღთქმის ხანაში ისინი სამუდამოდ წარსულს ჩაბარდებოდნენ. სინამდვილეში მათში, პირველ რიგში, სახარებისეული გამოცხადების *წინამორბედნი* უნდა დავინახოთ; ისინი გზას უკვალავდნენ განკაცებულ ღმერთს და მაღალგანვითარებულ რელიგიურ მოძღვრებას ქადაგებდნენ, რომელიც, მართალია, სახარების სრულყოფილებას ვერ შეედრება, მაგრამ დღემდე მაინც არ კარგავს სასიცოცხლო მნიშვნელობას.

წინასწარმეტყველნი დღესაც ჭეშმარიტების განმცხადებლებად გვევლინებიან. ისინი კაცობრიობის მარადი თანამდევნი არიან; მათი ხმა ისმის ყველგან, სადაც კი ადამიანები პატივს მიაგებენ ბიბლიას; მათი სახეები გვიმზერენ სიქსტეს კაპელას თაღებიდან და ძველი რუსული ტაძრების კედლებიდან, მათ სიტყვებს პოეტები ლექსად აქცევენ, ისინი მუსიკოსებს შთაგონებენ, ხოლო მსოფლიო ომების მოუსვენარ ეპოქაში წინასწარმეტყველთა მოწოდებანი და გაფრთხილებანი ისე ჟღერს, თითქოს დღეს ყოფილიყის წარმოთქმული. მაგრამ არც ამაშია მათი უმთავრესი მნიშვნელობა. ისინი გვეძვირფასებიან, როგორც რწმენისა და სიცოცხლის მოძღვარნი. ფსალმუნები, ჰიმნები და წინასწარმეტყველებანი, რაშიც ამ დიადმა ღვთისმჭვრეტელებმა თავიანთი შინაგანი გამოცდილება გაგვიზიარეს, ყოველი რელიგიური ადამიანის გულში, უკვე ოცდახუთ საუკუნეზე მეტია, ცოცხალ გამოძახილს პოულობს.

* * *

წინასწარმეტყველნი ცხოვრობდნენ კაცობრიობის სულიერი გამოღვიძების ხანაში, რომელსაც იასპერსმა მარჯვედ უწოდა „ღერძული დრო“[1]. სწორედ ამ პერიოდში თითქმის მთელს მსოფლიოში ჩნდება ისეთი მოძრაობები, ქრისტიანობამდელ რელიგიურ აზროვნებას სრულყოფილ სახეს რომ ანიჭებს. უპანიშადებისა და ბჰაგავატ-გიტას ავტორები, ბუდა და ლაოძი, ორფიკოსები და პითაგორელები, ჰერაკლიტე და სოკრატე, პლატონი და არისტოტელე, კონფუციუსი და ზარატუსტრა — კაცობრიობის ყველა ეს დიდი მოძღვარი წინასწარმეტყველთა თანამედროვე იყო; პროფეტული მოძრაობა გარკვეულწილად მოგვევლინა ერთ-ერთ ნაწილად ახალი მსოფლმხედველობისა და სიცოცხლის უმაღლესი საზრისისაკენ ადამიანთა საერთო სწრაფვისა.

მსოფლიოს მრავალ მოძღვარს ახასიათებდა უმაღლესი რელიგიური ნიჭი, რომლის წყალობითაც ის ღვთიურ საიდუმლოს ეზიარა. და მაინც, სულიერ წინამძღოლთა ამ ოჯახში წინასწარმეტყველები განცალკევებით დგანან.

უპირველეს ყოვლისა, სხვაგან არსად ვხვდებით ასე მკაფიოდ გამოხატულ *მონოთეიზმს*, რომელიც მატერიალური სამყაროს რეალობის აღიარებას უთავსდება. ტარეევი მართებულად

ამტკიცებს: „ებრაელთა შეუდარებლად მაღალი და წმინდა მონოთეიზმი დიდწილად წინასწარმეტყველთა მოძღვრების შედეგი გახლავთ“[2].

თუმცა, ერთი შეხედვით, წინასწარმეტყველთა მოძღვრება ამ თვალსაზრისით სულაც არ გვეჩვენება გამონაკლისად: ეგვიპტის, ინდოეთის, ჩინეთისა და საბერძნეთის მოაზროვნენი, ასევე ამაღლდნენ პოლითეიზმზე და ერთიანი ღვთიური საწყისისადმი რწმენა დაიმკვიდრეს. ისეთი ცნებები, როგორიცაა ათონი, აპეირონი, ნუსი, ბრაჰმანი, ნირვანა უეჭველად ბევრ საერთოს შეიცავს: ყოველი მათგანი უზენაესი საკრალური სინამდვილის აღმნიშვნელი იეროგლიფია. ინდოელთა მჭვრეტელობამ და ელინთა აზრმა ამ სინამდვილისაკენ გზაზე შორს წაიწია. მათ დაძლიეს უძველეს სარწმუნოებათა ანგარებიანი მაგიური ხიბლი, სასიცოცხლო იდეალები კი გარეგნული სამყაროდან სულის განზომილებაში გადმოიტანეს.

და მაინც, ღვთიური არსის შესახებ ყველა მოძღვრებას ჰქონდა ისეთი ნიშნები, საშუალებას რომ არ გვაძლევს, ისინი ჭეშმარიტ მონოთეიზმად ვაღიაროთ. ექნათონის რელიგია ბუნების თაყვანისცემის ნიშნებითაა აღბეჭდილი და ხილულ მნათობს, მზეს უკავშირდება; ანტიკური ნატურფილოსოფოსებისათვის ღვთაება განუყოფელია კოსმიური სტიქიებისაგან; უპანიშადები აღიარებენ უკიდურეს მონიზმს, ბრაჰმანი კი, საბოლოოდ, უსახურ არარად წარმოგვიდგება; ბუდა შეგნებულად უპირისპირებს ნირვანას შესახებ საკუთარ მოძღვრებას ნებისმიერი სახის თეიზმს, ხოლო ბჰაგავატ-გიტა ხაზს უსვამს ღვთიურ სახეებათა სიმრავლეს და ამით წარმართობას უხსნის გზას. თვით არისტოტელესა და პლატონისთანა ფილოსოფოსებსაც კი, ერთიანი ღვთის შესახებ რომ საუბრობდნენ, სწამდათ მეორეხარისხოვან ღვთაებათა არსებობისა და აღიარებდნენ მათი კულტის აუცილებლობას. გარდა ამისა, ღმერთს გვერდით უყენებდნენ მარადიულ მატერიას. ბიბლიას ყველაზე მეტად ზარატუსტრას რელიგია უახლოვდება, მაგრამ მის მიერ ბოროტი საწყისის აბსოლუტიზაცია მასაც არსებითად ორღმერთიანობად (დუალიზმად) აქცევს.

ამგვარად, ქრისტიანობამდელ მსოფლიოში მხოლოდ ძველი აღთქმის რელიგია გვევლინება ისეთ მსოფლმხედველობად, მთლიანად თავისუფალი რომაა არამხოლოდ წარმართობის, არამედ პანთეიზმისგანაც, ანუ ღვთის ბუნებასთან აღრევისაგან.

განა ეს უცნაური არ არის? როგორ აღმოჩნდა ამ ღარიბ, უმნიშვნელო ქვეყანაში გაჩენილი მოძღვრება ასე თვითმყოფადი, როგორ გაუსწრო მან დიდ ცივილიზაციათა რელიგიურ და ფილოსოფიურ დოქტრინებს? სად უნდა ვეძიოთ ამ ისტორიული გამოცანის პასუხი?

ამაო გარჯა იქნება, თუკი პასუხს უცხოურ გავლენებში ვეძიებთ. წინასწარმეტყველნი ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელი მოძღვარნი რომ ყოფილიყვნენ, ამ შემთხვევაში კიდევ შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ მათ წინამორბედთა გაკვალულ გზაზე გაიარეს, თუმცა სიბრძნით ყველას აჯობეს; მაგრამ საქმეც ისაა, რომ წინასწარმეტყველთა მოძრაობა ბერძნული ფილოსოფიის, ბუდიზმისა და ზოროასტრიზმის წარმოშობამდე ორი საუკუნით ადრე დაიწყო.

ვერც პირად გენიალურობაზე მინიშნება ჰფენს ნათელს ამ საიდუმლოს. ის მისაღები იქნებოდა, საქმე მხოლოდ ერთ ადამიანს რომ ეხებოდეს (ამგვარად, მართებულია იმის მტკიცება, რომ ბუდას გარეშე ვერ იარსებებდა ბუდიზმი, პლატონის გარეშე კი პლატონიზმი). მაგრამ წინასწარმეტყველთა შემთხვევაში ჩვენს წინაშეა ქადაგთა მთელი პლეადა, ერთი მეორეს სამი საუკუნის მანძილზე რომ ენაცვლებიან.

დაბოლოს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წინასწარმეტყველთა მოძღვრება თავისი დროის რელიგიურ ნორმებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა, მაშინ აუცილებლად დავასკვნით, რომ პროფეტიზმის საიდუმლოს ახსნა წმინდა ისტორიული კუთხით შეუძლებელია. ჩვენ შეგვიძლია მეცნიერული მეთოდებით დავადგინოთ წინასწარმეტყველთა ცხოვრების თარიღები, წყაროების საფუძველზე აღვადგინოთ მათი ისტორიული გარემო, ლიტერატურული თუ ფილოლოგიური თვალსაზრისით განვიხილოთ მათი წიგნები, ვიპოვოთ მათში სხვა რეფორმატორებთან ურთიერთშეხების წერტილები ანდა თვალი ვადევნოთ მათ კავშირს ეპოქის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან, მაგრამ ეს ყოველივე პროფეტიზმის არსის წვდომისათვის საკმარისი ვერ აღმოჩნდება.

როდესაც მივმართავთ ბიბლიას მთელ მის სულიერ განუმეორებლობაში, აუცილებელი ხდება სრულიად განსხვავებული კრიტერიუმები და მიდგომა.

პირველი, რაც თვალში გვეცემა წინასწარმეტყველთა წიგნების კითხვისას, არის მათი უყ-

ოყმანო დარწმუნებულობა მათ მიერ მიღებული გამოცხადების ჭეშმარიტებაში. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდებიან ბიბლიური მამები თითქმის ყველასაგან, ვინც ყველა დროში ეძიებდა ჭეშმარიტებას.

არსთა პირველსაწყისის წვდომას დაშურებული ფილოსოფოსები თითქოს შეუვალი კედლის წინაშე იდგნენ, რომელსაც უკაკუნებდნენ და აყურადებდნენ. ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ ვარაუდს, კამათობდნენ, მსჯელობდნენ. „ძნელია ჩასწვდე ყოველთა მამას“, — ამბობს პლატონი, რიგ-ვედას ავტორი კი ასეთ შეკითხვას სვამს:

„ვინ იცის ჭეშმარიტად, ვინ მოგვითხრობს ახლა,
საიდან გაჩნდა სამყარო ჩვენი?“

ხოლო მისტიკოსები, თუმცა თავიანთ მოძღვრებაში ეჭვი არ ეპარებოდათ, მაინც თვლიდნენ, რომ ღვთის შეცნობა ამქვეყნიურ სიცოცხლეში შეუძლებელია. ბრაჰმანთათვის ღვთაებასთან მიახლოვება მასში განზავებას ნიშნავდა, მის ზღურბლზე ისინი ეთხოვებოდნენ არამხოლოდ მთელ სამყაროს, არამედ საკუთარ თავსაც. „თუ დაიშრიტა ფიქრთან ერთად ხუთი შეგრძნება, თუ გონება დუმს, ეს, როგორც ამბობენ, უმაღლესი მდგომარეობაა“, — ვკითხულობთ კატჰა-უპანიშადაში.

ამ ყველაფერთან ერთად, ბრძენთა უმრავლესობა, მართალია, აცნობიერებდა ღვთისკენ მიმავალ გზაზე დავანებულ ურიცხვ სირთულეს, მაგრამ მათ იგი პრინციპში მაინც შესაძლებლად მიაჩნდათ. ფილოსოფოსები ღვთაების *შეცნობას* ესწრაფოდნენ, მჭვრეტელნი კი — მის მისტიკურ *წვდომას*.

წინასწარმეტყველნი ამის საპირისპიროდ უარყოფდნენ ღვთის გონებით შეცნობისა და მასთან ექსტატიკური ზეასვლის ყველა შესაძლებლობას. სახიერი ღმერთი, *იაჰვე*, მათ წარმოსახვაში ცეცხლოვან უფსკრულსა და თვალისმომჭრელ მზეს ემსგავსებოდა, რომლის ნათება ყოველგვარი შემეცნებისასთვის მიუწვდომელია.[3] ისინი ამ მზეს თვალს ვერ უსწორებდნენ, მაგრამ მისი სხივები მსჭვალავდა მათ, და მათი გავლით მთელ სამყაროს ეფინებოდა. და მათ არ ტოვებდათ იმის შეგრძნება, რომ მთელ მათ არსებობას უხილავად ახლავს მარადიული საწყისი, თითქოს მის „არეში“ ყოფილიყვნენ მოქცეულნი; ამ მდგომარეობას მათ უწოდეს *„დაატ ელოჰიმ“* — ღვთის შეცნობა. ცხადია, ამგვარ „ცოდნას“ ფილოსოფიურ სპეკულაციებსა და განყენებულ მსჯელობებთან არაფერი ჰქონდა საერთო. თავისთავად ზმნა „ლადაატ“ (ცოდნა) ბიბლიაში ფლობის, უღრმესი სიახლოვის მნიშვნელობას იძენს, ამიტომაც „დაატ ელოჰიმ“ ნიშნავს ღმერთთან მიახლოვებას მისი სიყვარულის გზით.

ფილოსოფიასა და პანთეისტურ მისტიკაში უფრო ხშირად არა სიყვარულს, არამედ სამყაროს სულის წინაშე მოწიწებულ აღფრთოვანებას ვხვდებით. ზოგჯერ ამ თაყვანისცემას ერწყმის გრძნობის ცალმხრივობით გამოწვეული სევდა. ღვთაებრივი არსი ემსგავსება ყინულოვან ზღვას, რომლის წყალიც შეიძლება შეისწავლო, მასში შეიძლება ჩაეშვა კიდეც, მაგრამ ის მუდამ შეუვალად ხმაურობს და ადამიანისათვის უცხო, გამოუცნობი სიცოცხლითაა სავსე; სახიერი ცივი და პირქუშია, ის ვერ ამჩნევს, რაოდენ დიდია ადამიანის მცდელობა, კავშირი დაამყაროს მასთან...

მაშ, რას მიაღწია ღვთის შეცნობის ამ ფილოსოფიურმა და მისტიკურმა მცდელობებმა? ღმერთს მრავალი განსაზღვრება მოუძებნა, უწოდა აბსოლუტური სისავსე, უნივერსალური პირველადი პრინციპი, წმინდა ფორმა; შეეცადა იმის გააზრებას, თუ რა კავშირი აქვს ღვთაებას კოსმოსურ კანონებსა და სამყაროთა მოძრაობასთან.

ამ წვდომას დიადი მოძღვარნი განიცდიდნენ როგორც ნადავლს, ერთ-ერთ იმ საიდუმლოთაგანს, რომელიც ადამიანმა ძალით გამოჰგლიჯა ბუნებას.

მაგალითისათვის კმარა თუნდაც სულიერი გასხივოსნებისაკენ ბუდას მიერ განვლილი გზის გააზრება. ეს გზა სავსეა შეცდომებით, ცდებით, იმედგაცრუებებით, ხოლო ნირვანას სანატრელი სიმშვიდის მიღწევის შემდეგ ბრძენი გამარჯვების განცდით აღივსო: „მე ყველაფერი მივატოვე, — განაცხადა მან, — და სურვილთა მსხვრევით მივაღწიე თავისუფლებას. ჩემთავად დავეუფლე ცოდნას და ვიღას ვუწოდო მოძღვარი? მე არ მყავს მოძღვარი. ჩემი სწორი არ მოინახება არც კაცთა შორის და არც ღმერთთა საბრძანებელში. მე ვარ წმინდანი ამ სამყაროში, მე ვარ უმაღლესი მოძღვარი, მე ვარ ერთადერთი გასხივოსნებული!“ გამარჯვების მსგავს მედიდურ განცდას ვხვდებით სხვა მოძღვრებთანაც, თუმცა სხვები მას ნაკლები სიმძაფრით გა-

მოთქვამენ. თვით სოკრატეც კი, ვინც განაცხადა, არაფერი ვიციო, დარწმუნებული იყო იმაში, რომ სამყაროს საიდუმლოს ამოცნობა შეეძლო. აქ თავს იჩენს სიმაღლის დაძლევის ბუნებრივი განცდა, პოეტებსა და მოაზროვნეებს რომ ახასიათებთ. სწორედ ამ შეგრძნებამ ნიცშეს იმის შესახებ განსჯისაკენ უბიძგა, თუ „რატომ ვარ ასე ბრძენი“. მავანი შემეკამათება, ეს მხოლოდ მანიაკალური განდიდების ბოდვაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ავადმყოფობამ მხოლოდ გამოამჟღავნა ის, რასაც შეფარული თუ ღია სახით აცხადებენ შემოქმედებითი ბუნების ადამიანები: Exegi tonutentum („მე ავღმართე ჩემივ ძეგლი ხელთუქმნელი“).

წინასწარმეტყველებს არც საკუთარი გენიალურობის, არც ბრძოლით მოპოვებული გამარჯვების განცდა არ გააჩნდათ; ეს იმიტომ როდი ხდებოდა, რომ ისინი მოკლებულნი იყვნენ შემოქმედებით ძალებს, ანდა შინაგანი ბრძოლა არ განუცდიათ, არამედ იმიტომ, რომ იცოდნენ: სიტყვა, რომელსაც ღაღადებდნენ, თვით ღვთისაგან მოდიოდა.

ისინი სხვადასხვა სოციალური ფენიდან გამოვიდნენ: მათ შორის ვხვდებით მეფის კარისკაცსა და მგოსანს, მწყემსსა და ღვთისმსახურს. ხშირად მათი ქადაგებაც განსხვავებულია: სოფონია და ამოსი მსოფლიო სამსჯავროს შესახებ ლაპარაკობენ, ოსია — ღვთიურ სიყვარულზე, ესაია და მისი მოწაფეები ქვეყნად მესიას სასუფევლის მოსვლას მოასწავებენ, იერემია სულის რელიგიას გვასწავლის, ხოლო ეზეკიელი ტაძრის საკრებულოს ჩამოსაყალიბებლად და ღვთისმსახურების საზეიმო რიტუალის შესაქმნელად იღვწის. მათი წიგნები, სახარებათა მსგავსად, განსხვავდება ერთი მეორისაგან, მაგრამ ისევე, როგორც სახარებებში განკაცებული ღვთის სახე ცოცხლობს, ისე წინასწარმეტყველთა წიგნებშიც განსხვავებულ ასპექტთა მიღმა იკვეთება სახიერის *ერთიანი* ხატი.

კირკეგორი ამბობდა: „ადამიანს ძალუძს, საკუთარი ძალისხმევით გახდეს ტრაგიკული გმირი, მაგრამ სულის რაინდად თავისდათავად ვერასოდეს გადაიქცევა“. წინასწარმეტყველები „რაინდებად“ იქცნენ იმიტომ, რომ უზენაესი სინამდვილე თვითონ გამოეცხადათ მათ; ის მათ უფრო მეტად მიუახლოვდა, ვიდრე ვინმე სხვას. ის, რაც მათ წინაშე გაიხსნა, უსახური საწყისი კი არა, *ცოცხალი* ღმერთი იყო და მასთან შეხვედრა მათ პიროვნებასთან დიალოგის სახით განიცადეს.

წინასწარმეტყველნი იმის წყალობით როდი იქცნენ მის მაცნეებად, რომ მის ზეციურ საუფლოს მიაღწიეს, არამედ იმიტომ, რომ ის თვითონ მიუახლოვდა და თავისი სიტყვა მათში ჩადო.

იმხანად ხელმწიფის მწერლები ბრძანებების ჩაწერას ამ სიტყვებით იწყებდნენ: „ასე ბრძანებს ხელმწიფე“. წინასწარმეტყველთა წიგნების თითქმს ყოველ ფურცელზე ვხვდებით ამის მსგავს ფრაზას: „კო ამარ იაჰვე“ („ასე ამბობს სახიერი“).

რას უნდა ნიშნავდეს ეს? ნუთუ გამოცხადების მადლი მატერიალურ განზომილებაში გარდაისახა ბგერად თუ სიტყვად, რასაც წინასწარმეტყველი კარნახით იწერს? ამგვარი ვარაუდის საწინააღმდეგოდ მოწმობს ბიბლიური ავტორების ინდივიდუალური სტილი. ღვთის ხმა ის შინაგანი ხმა გახლდათ, სულის წიაღში რომ გაისმოდა, იქ, სადაც, მაისტერ ეკჰარტის თქმით, ადამიანი ჰპოვებს ღმერთს; და მხოლოდ ამის შემდგომ, სულისა და გონების ძალისხმევით, გამოცხადება გარდაისახებოდა „უფლის სიტყვად“, რომელიც წინასწარმეტყველთ ადამიანებამდე მიჰქონდათ.

მაგრამ, რაოდენ მიწიერ სამოსშიც არ უნდა შებურულიყო გამოცხადება, წინასწარმეტყველთ არასოდეს გასჩენიათ აზრი, თავისთვის მიეწერათ „უფლის სიტყვა“. მათ სხვებზე უკეთ იცოდნენ, რაოდენ განსხვავდებოდა სულის ეს მძლავრი ნაკადი მათი საკუთარი გრძნობებისა და აზრებისაგან. რასაც ისინი ღაღადებდნენ, ხშირად არამარტო მათი აუდიტორიის, არამედ *თვით მათ საკუთარ* რელიგიურ დონესაც აღემატებოდა.

ბიბლიის ცნობილი კათოლიკე მკვლევარი ჯონ მაკენზი, ვინც პროფეტიზმის ფსიქოლოგია უზუსტესად გააანალიზა, ხაზს უსვამდა იმას, რომ სწორედ „სხვის“ ამ განცდაზე გადის „ბიბლიურ გამოცხადებასა და შემოქმედებითი პიროვნების ბუნებრივ გასხივოსნებას შორის წყალგამყოფი ზღვარი“. მართლაც, ინდური მისტიკის უმაღლესი მონაპოვარი, რასაც გამოხატავს ფორმულა „ტატ ვამ ასი“ („შენ ის ხარ“), გულისხმობს ღვთაებრივთან სრულ შერწყმასა და გაიგივებას. მაშინ, როდესაც წინასწარმეტყველნი, როცა უშუალოდ იაჰვეს პირით ლაპარაკობდნენ, მაშინაც კი წუთითაც არ ივიწყებდნენ რომ თავად მხოლოდ უზენაესი ნების მაცნენი იყვნენ. ისინი როდი

ადიოდნენ ღმერთთან, — ის თავად მბრძანებლურად იპყრობდა მათ ცხოვრებას. ეს სწორედ ის ყოვლისშემძლე ნათელი გახლდათ, მოციქული პავლე დამასკოს გზაზე რომ შეაჩერა.

„ლომი აღრიალდება — ვინ არ შედრკება?

უფალი იაჰვე ბრძანებს — ვინ არ იწინასწარმეტყველებს?“

და, თუკი ასეა, ხომ არ იქცევა უფლის მაცნე მხოლოდ და მხოლოდ ნებასა და ცნობიერებას მოკლებულ პასიურ შუამავლად? საკუთარი პიროვნების დაკარგვის განცდა ხომ ასე დამახასიათებელია მისტიკური მდგომარეობისათვის. ბრაჰმანები, ბუდა, პლატონი შეპყრობილნი იყვნენ საკუთარი „მე“-საგან განთავისუფლების წყურვილით. მაგრამ, ჩავხედავთ თუ არა ბიბლიას, მაშინვე ვხედავთ, რომ წინასწარმეტყველნი არაფრით ჰგავდნენ მონუსხულ პითიებსა და სომნამბულებს. თვით უდიდესი მისტიკური დაძაბულობის მდგომარეობაშიც კი მათში არასოდეს ჩამქრალა თვითშეგრძნება. ამას ყურადღება მიაქციეს წინასწარმეტყველთა წიგნების პირველივე მკვლევრებმა — ნეტარმა იერონიმუსმა და წმინდა იოანე ოქროპირმა.

ხშირად მასზე დაკისრებული ვალის სირთულით შეშინებული წინასწარმეტყველი კიდევაც ეწინააღდეგებოდა ზეციურ ბრძანებას, ყოველ შემთხვევაში, არასოდეს ქცეულა ავტომატად, არამედ მუდამ ადამიანად რჩებოდა. სწორედ ამიტომ, ის, საბოლოო ჯამში, უფლის ჩანაფიქრის თავისუფალი *თანამონაწილე* ხდებოდა. ღვთის მოძახილს იგი ღვთისადმი ერთგულებისა და სიყვარულის გამო მისდევდა.

„მომესმა ხმა მეუფისა, რომელიც ამბობდა: ვინ მივავლინო და ვინ გაგვეგზავნება?“ — ესაია წინასწარმეტყველი კი პასუხობს: „აჰა, მიმავლინე“ (ეს., 6:8).

ეს არ გახლავთ არც „სამადჰას“ ნეტარი თავდავიწყება და არც „ტურია“ — უსიზმრო ძილი, არამედ ორი პიროვნების ჭეშმარიტი შეხვედრა. ღვთისა და ადამიანის გამოუცნობი სიახლოვისას ერთი მეორეში როდი განზავდება, არამედ მისტიკური დიალოგის მონაწილეებად რჩებიან.

ასე იბადება წინასწარმეტყველის *ორსახოვანი ცნობიერების* სასწაული, რომელსაც რელიგიის ისტორიაში ანალოგი არ მოეძებნება. მათი სახით ქრისტიანობამდელი სამყარო ამაღლდა იმ უკანასკნელ ზღვრამდე, რომლის მიღმა მას ღვთის განკაცების საიდუმლო მოელოდა. ამ თვალსაზრისით, თითოეული წინასწარმეტყველი გვევლინება ქრისტეს ცოცხალ წინარე ხატად, ვინც „განუყრელად და განუზავებლად“ შეითავსა საკუთარ თავში ღმერთი და ადამიანი.

წინასწარმეტყველთა განუმეორებელი გამოცდილებიდან გამომდინარეობს ერთადერთი პასუხი შეკითხვაზე, თუ რა მიმართებაშია ღმერთი სამყაროსთან. თუმცა ეს პასუხი მეტაფიზიკური მოძღვრების სახით არ არის ჩამოყალიბებული; ამ თვალსაზრისით, წინასწარმეტყველთა წიგნები იმედს გაუცრუებს იმათ, ვინც მათში ფილოსოფიური სისტემის ძებნას შეუდგება. მათ მრავალი შეკითხვა უპასუხოდ დატოვეს და პასუხების გაცემა არც დაუსახავთ მიზნად. გამოცხადებიდან აღმოცენებული მათი რწმენა ის ბაზალტის საძირკველია, რომელზედაც შემდგომში შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ღვთისმეტყველების, მეტაფიზიკისა და რელიგიური ცხოვრების გარეგნული პლასტები.

აღმოსავლეთსა და დასავლეთში გავრცელებულ მოძღვრებათა საწინააღმდეგოდ, წინასწარმეტყველნი არ თვლიდნენ, რომ სამყარო პირველადი მატერიისაგან შეიქმნა, ანდა, რომ ის ღვთაების ემანაცია ანუ გადმონაღვენთია. მათი მოძღვრების თანახმად, სამყარო არსებობს იაჰვეს შემოქმედებითი სიტყვის წყალობით; თვით ღვთის სახელი (რომელიც უკავშირდება ზმნას „ჰაია“ — „ყოფნა“), როგორც ჩანს, შეიძლება ვთარგმნოთ როგორც „ყოფიერების მომნიჭებელი“, „შემოქმედი“. ადამიანი გონიერი და შემოქმედებითი არსებაა და შესაქმის უმაღლეს მწვერვალად წარმოგვიდგება, მაგრამ ის შემოქმედის „ხატი და მსგავსია“, და არა „აბსოლუტის ნამსხვრევი“. როგორც მხატვარს უყვარს საკუთარი ტილო, როგორც დედას უყვარს შვილი, ისევე ღმერთი ცოცხალი ძაფებითაა დაკავშირებული ადამიანსა და სამყაროსთან. მას სურს ისინი საკუთარ სიმაღლეზე აიყვანოს, საკუთარი სრულყოფილი სისავსის თანაზიარი გახადოს. ეს მათ არსებობას საზრისსა და მიზანს ანიჭებს. ძველი დროის ფილოსოფიურ სისტემათა უმრავლესობა სწორედ ყოფიერების საზრისის ამგვარ განცდასაა მოკლებული.

პლატონისთვის ხილული სამყარო აჩრდილია, ინდური მისტიკისათვის — ზმანება, მაია. უპანიშადების თანახმად, სამყაროს წარმოშობა ჰგავს უნებლიე ამოფრქვევას. „როგორც ობობა უშვებს და კვლავ საკუთარ თავში შთანთქავს ქსელს, როგორც მცენარე აღმოცენდება მიწიდან, როგორც თმა იზრდება ადამიანის თავზე, ისე ჩნდება ყოველივე მარადიულის არსებიდან“[4].

უკვდავი ღვთაების წიაღიდან სამყაროს ამონთხევას მისი შესრუტვა მოსდევს, რათა შემდეგ ხელმეორედ ამოიფრქვეს. მარადიული დაბრუნების შესახებ წარმოდგენას აძლიერებდა ბუნებაში მიმდინარე ციკლურ პროცესებზე დაკვირვება. ბაბილონელები და ეგვიპტელები, ბერძნები და ინდოელები სამყაროს ვეება დახშულ წრეზე მოიაზრებდნენ, ან წრეთა სიმრავლეზე მბრუნავ არსად და ეს უსასრულო, უმიზნო წრებრუნვა პესიმისტურ ელფერს ანიჭებდა ქრისტიანობამდელი ადამიანის მსოფლმხედველობას.

სამყაროს ყველა „წარმართული“ კონცეფციისაგან განსხვავებით, ბიბლია განმსჭვალულია სამყაროს *დაუსრულებლობის* იდეით, რომელიც „ღია სისტემის“ არსებობას გულისხმობს: ამგვარად, მისი ვექტორი წრიული კი არა, — ზეაღმავალია. წინასწარმეტყველებმა სხვებზე ადრე შენიშნეს დროის შეუჩერებელი დინება და ღვთის ქმნილების *ჩამოყალიბების* დინამიკას ჩასწვდნენ. მიწიერ მოვლენებს ზღვის ქაფად ანდა შემთხვევითობათა სიმრავლედ როდი თვლიდნენ, არამედ *ისტორიად*, ამ სიტყვის ყველაზე მაღალი გაგებით. მასში ხედავდნენ თავისუფლების ტანჯვითა და მსხვრევით აღსავსე დრამას, დემონურ ძალასთან სახიერის ბრძოლას საკუთარი ქმნილების შესანარჩუნებლად. ისტორიის საბოლოო მიზნად ღვთიური სიკეთის გამარჯვება ესახებოდათ. თავდაპირველად წინასწარმეტყველებს მიაჩნდათ, რომ ამ გამარჯვების არსი სამყაროდან ყოველგვარი სიცრუის განდევნაში მდგომარეობს, მაგრამ დროთა განმავლობაში, მომავალი *ცათა სასუფეველი* მოიაზრეს, როგორც შემოქმედის ადამიანთან შერიგება და მათი უზენაეს ჰარმონიაში გაერთიანება[5].

ევროპული კულტურის ყველა უტოპია თავისი არსით ბიბლიური ესქატოლოგიის უკანონო შვილია. თუნდაც დამდაბლებული და სახეცვლილი, ის მაინც განაგრძობს კაცობრიობის აზროვნებაზე ბატონობას: იმხელა ძალა აქვს დასაბამიერ ბიბლიურ იმპულსს. ვერც ერთი მეცნიერება პროგრესის გარანტად ვერ გამოდგება. პროგრესის რწმენა პოზიტიური მეცნიერული მონაცემებიდან როდი გამომდინარეობს, პირიქით: ისტორიულად ეს რწმენა წინ უსწრებს მეცნიერების განვითარებას. თუმცა, სულ ერთია, რა ფორმებს მიიღებს ეს რწმენა. ის მაინც ესქატოლოგიური წინათგრძნობის დაბინდულ გამოხატვად დარჩება. ის ტაძარია, ბაზრად თუ კლუბად ქცეული, მაინც რომ შერჩა ძველი ფორმები და იერსახე. მასში ცოცხლობს ბუნდოვანი მოლოდინი ღვთის სასუფევლისა, რომელიც პირველად ისრაელის წინასწარმეტყველებმა აღგვითქვეს.

ბერძენის თვალში ადამიანი მხოლოდ ბედისწერის სათამაშო იყო, უტოპისტებმა იგი ისტორიის ერთადერთ შემოქმედად აქციეს, წინასწარმეტყველები კი, უწყოდნენ რა, რომ იაჰვე თავად დაამკვიდრებს თავის სასუფეველს, მაინც ხედავდნენ ადამიანში ღვთის აქტიურ თანაშემწეს. ამაში, სახარებისეულ მოვლენებამდე ბევრად უფრო ადრე, ღვთის განკაცების საიდუმლოს წინათგრძნობა გამოიხატა.

უზენაესი ნების მსახურება წინასწარმეტყველთაგან გარე სამყაროს ცხოვრებაში ქმედით მონაწილეობას მოითხოვდა. გარშემო მიმდინარე მოვლენებს ისინი გულგრილად ვერ შეჰყურებდნენ. ღვთის სიტყვა გაორმაგებულ ძალასა და ენერგიას ანიჭებდათ. (ეს თვისება წინასწარმეტყველებისაგან მემკვიდრეობით გადაეცა მრავალ ისეთ ქრისტიან მისტიკოსსა და წმინდანს, როგორებიც იყვნენ ღირსი სერგი რადონეჟელი თუ წმინდა ტერეზა ავილელი). წინასწარმეტყველები, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი საზოგადოებისა და ეპოქის შეცოდებათა დაუძინებელ მტრებად გვევლინებიან.

აქ მათი კიდევ ერთი განმასხვავებელი თვისება იჩენს თავს. „ღერძული დროის“ დიდი რეფორმატორები ტრადიციულ ცრურწმენებს სხვადასხვაგვარად ებრძოდნენ. მრავალი მათგანი იდევნებოდა და მოწამეობრივი სიკვდილითაც კი აღესრულა. და მაინც, რა გაბედული და რადიკალური დოქტრინებიც არ უნდა ექადაგათ, გარკვეულწილად მაინც ხალხური რწმენის ხიბლქვეშ იმყოფებოდნენ. ტრადიცია და წეს-ჩვეულებები ხშირად მძიმე ტვირთად აწვათ და არეულობა შეჰქონდა მათ ფილოსოფიურ სისტემებში, მათ რელიგიურ ცხოვრებას კი ცდუნებებით ავსებდა. ასე მაგალითად, ბუდა, რომელიც უარყოფდა ინდივიდუალური სულის არსებობას, მაინც იძულებული იყო, მიეღო ინდოეთში საყოველთაოდ გავრცელებული მოძღვრება გარდასახვის შესახებ; ერთიანი ღმრთის თაყვამისმცემელი სოკრატე მსხვერპლს სწირავდა სამოქალაქო ღვთაებებს; კონფუციუსი, მართალია, სულების მიმართ სკეპტიკურად იყო განწყობილი, მაგრამ მათი კულტი მაინც შეინარჩუნა. გაბედული და დამოუკიდებელი აზროვნების მქონე

ყველა ეს ადამიანი ხშირად მოულოდნელად იხევდა უკან ეროვნული რწმენის წინაშე. ამგვარ ტრადიციებთან მიმართებაში პოეტები, ფილოსოფოსები და რეფორმატორები მეტწილად შენიღბულ თავდასხმებსა და მინიშნებებს სჯერდებოდნენ. განათლებული ბერძენი ვერ ბედავდა ხელის ერთი მოსმით ჩამოეგდო ათასწლეულთა ტვირთი: სიძველე ჯერ კიდევ ხიბლავდა მას თავისი სილამაზით. ინდოელთა რელიგიაში უკიდეგანო სინკრეტიზმისაკენ მიდრეკილება დამკვიდრდა: მუდამ ერჩივნათ, თავიანთი პანთეონისათვის ახალი ღმერთები დაემატებინათ, ვიდრე ძველები უკუეგდოთ. ხოლო წინასწარმეტყველნი, ამ გაგებით, უნიკალურ რელიგიურ რევოლუციას ახდენენ, უმოწყალოდ ამსხვრევენ რა სახალხო კერპებს. ისინი არასოდეს ქმნიან „ეროვნული სიძველის“, როგორც ასეთის, კულტს. წარმართობისკენ ისრაელიანთა ჯიუტ მიდრეკილებას წინასწარმეტყველებმა დაუპირისპირეს ერთი ღვთის რწმენა, ღვთისმსახურების მაგიურ გაგებას — სულის რელიგია, ეროვნულ სივიწროვეს — უნივერსალიზმი. ჭეშმარიტებად მხოლოდ ის მიაჩნდათ, რაც სახიერის გამოცხადებაში ჟღერს და მისი მცნებების შუქით გამოიცდება.

მიუხედავად ამ ყოველივესი, არც ერთ წინასწარმეტყველს არ გამოუცხადებია თავი ეროვნული ცრურწმენების ნანგრევებზე აღმოცენებული სრულებით ახალი რელიგიის ფუძემდებლად. მათ ცალსახად გამოთქვეს, რომ დიდი ხნის წინათ დაწყებული რელიგიური საქმის *გამგრძელებლები* არიან. და მართლაც, გადამეტებული არ იქნება იმის მტკიცება, რომ მოსეს ქადაგება უკვე შეიცავდა ისრაელის პროფეტიზმისათვის დამახასიათებელ ყველა ძირითად ნიშანს. მისი ათი მცნება აღიარებს ეთიკურ მონოთეიზმს, რომელმაც უდიდეს გამოხატვას წინასწარმეტყველთა სიტყვებში მიაღწია. „გამოსვლა“ მოგვითხრობს ღმერთზე, როგორც მხსნელსა და ისტორიის მბრძანებელზე, და წინასწარმეტყველთათვის სწორედ ეს იქცა წამყვან აზრად. ღვთის სასუფევლის რწმენა უმჭიდროესად უკავშირდება იმ აღთქმას, რომელმაც მოსეს შთააგონა, ისრაელი ეგვიპტის მონობიდან გამოეყვანა.

თუმცა მოსეს რელიგიური რწმენა, როგორც აღმოჩნდა, წინ ვერ აღუდგა უხეშ ნატურალიზმსა და გლეხურ ცრურწმენას. აუცილებელი გახდა რაღაც სულიერი ტრანსფორმაცია, რაღაც აფეთქება, რათა სინას მთიდან ჩამოგდებულ თესლს ნაყოფი გამოეღო პალესტინაში. ეს აფეთქება მოხდა წინასწარმეტყველ ამოსის გამოჩენით და ჩვენი თხრობაც სწორედ ამ პიროვნებით იწყება.

* * *

ბიბლიური წინასწარმეტყველის ხსენებისას თანამედროვე ადამიანს უნებლიედ ყოვლად ლეგენდარული პიროვნება წარმოუდგება, თქმულების დაქარგული ქსოვილის მიღმა ძლივს რომ მოჩანს, ხოლო მისი ეპოქა მითიურ დროდ ესახება. არადა, წინასწარმეტყველთა სახეები, სხვა რელიგიურ რეფორმატორებთან შედარებით, თითქმის თავისუფალია ფოლკლორული რიდეებისაგან; წმინდა წერილში შეტანილი წყაროები ისტორიულად უტყუარ მოწმობებს წარმოადგენს. მაშინ, როდესაც პითაგორასა და ბუდას შესახებ შედარებით გვიანდელი თქმულებებიდან ვგებულობთ, ხოლო სოკრატესა და კონფუციუსზე მათი მოწაფეები მოგვითხრობენ, წინასწარმეტყველებმა საკუთარი ქმნილებები დაგვიტოვეს, რომელშიც მათი სათქმელიცაა გადმოცემული და თვით მათი სულის წიაღიც ჩანს, ისმის მათი ცოცხალი გულისძგერა.

საერთოდ მწერალი წინასწარმეტყველნი ისრაელის ისტორიის იმ ეპოქას მიეკუთვნებიან, როდესაც ლეგენდები უკვე ასე ადვილად აღარ იქმნებოდა: თუკი მოსესა და ელიას ჯერაც ზეადამიანური შარავანდედი ადგათ თავზე, ამოსიდან მოკიდებული, ყველა წინასწარმეტყველის შესახებ ბიბლიური ცნობები თითქმის მთლიანად იცლება ლეგენდარული ელემენტებისაგან. წმინდა წერილის ფურცლებზე მათი ნამდვილი *ადამიანური* სახეები წარმოგვიდგება.

საოცარია ამ არაჩვეულებრივი ადამიანების მრავალმხრივობა. ისინი მგზნებარე სახალხო ტრიბუნები არიან, ვის წინაშეც ბრბო მონუსხული დუმდება; უშიშარი მებრძოლები, გამოწვევას რომ სტყორცნიან ძლიერთა ამა ქვეყნისათა; ამავე დროს, წარმოგვიდგებიან პოეტებად, ფაქიზი და მგრძნობიარე ბუნების ლირიკოსებად. ერთი მხრივ, უყვართ მასების გაოცება უცნაური ჟესტებითა და სიტყვებით, იოლად შეიძლება ისინი შეშლილებად ანდა მთვრალებად ჩათვალო, მეორე მხრივ კი გვევლინებიან ფართო თვალსაწიერის მქონე მოაზროვნეებად, სიტყვის ოს-

ტატებად, თავიანთი დროის ლიტერატურის, სარწმუნოებების, ადათებისა და პოლიტიკის შესანიშნავ მცოდნეებად.

ამ ყოველივეს წყალობით წინასწარმეტყველები თითქოსდა მუდამ ორმაგ სახეს გვიჩვენებენ; ეს ადამიანები განუყრელად არიან დაკავშირებულნი თავიანთ ხალხსა და ეპოქასთან, იმდენად მყარად უდგათ მასში ფესვები, რომ, ისტორიულ ფონს თუ მოვაცილებთ, მათი გაგება ძალზე გაგვიჭირდება; ამავე დროს, ისინი ღვთის შთაგონებული ქადაგნი იყვნენ, ვისი სიტყვაც ქვეყანასა და დროებას განუზომლად აღემატება.

„ადამიანის სულის სიღრმიდან ამოსული წინასწარმეტყველური ჭვრეტა არანაირ კანონს არ ექვემდებარება... — ამბობს არნოლდ ტოინბი, — აქ წმინდა შემოქმედებითი აქტის მომსწრენი ვხდებით, რომლის ხარჯზეც სამყარომ რაღაც ახალ განზომილებაში უნდა შეაბიჯოს“. ეს სავსებით სამართლიანია, მხოლოდ წინასწარმეტყველთა სიტყვის მისტიკურ პირველწყაროსთან მიმართებაში, ხოლო რაც შეეხება *ფორმას*, ის არ წარმოადგენს რაღაც იზოლირებულს, რადგან არ არის მხოლოდ პირადი შთაგონების შედეგი.

მათი დროის ადამიანების მსგავსად, წინასწარმეტყველნიც იზიარებდნენ ძველაღმოსავლური აზროვნების თავისებურებებს და სამყაროს ბაბილონური მეცნიერების ჭრილში ხედავდნენ; ხშირად იყენებდნენ აღმოსავლელ ნათელმხილველთა ილეთებს და ნებისმიერი მწერლის მსგავსად, ლიტერატურულ გავლენებს განიცდიდნენ. ამიტომაც, წინასწარმეტყველთა წიგნების გასაგებად აუცილებელია, წარმოდგენა შევიქმნათ მათი ეპოქის კულტურულ ატმოსფეროზე.

* * *

უპირველეს ყოვლისა, მოვნიშნოთ ის ადგილი, რაც წინასწარმეტყველთ ეკავათ ისრაელის რელიგიურ ცხოვრებაში.

სამღვდელოებისაგან განსხვავებით, რომლის მოვალეობაც ხალხის დამოძღვრა იყო, წინასწარმეტყველნი მხოლოდ დროდადრო და მხოლოდ განსაკუთრებულ მომენტებში ჩნდებოდნენ სახალხო ასპარეზზე. მიუხედავად ამისა, ისინი თავიანთ საქმიანობას საყოველთაოდ აღიარებულ სიწმინდეს უკავშირებდნენ: მოსე ისმენს ღვთის სიტყვას სკინიაში, დებორა წმინდა მუხის ძირას წინასწარმეტყველებს, დავითის თანამედროვე წინასწარმეტყველნი წმინდა კიდობანის ანდა ეფოდის სიახლოვეს მოღვაწეობენ. ამგვარად, ამოსის გამოჩენისათვის უკვე დამკვიდრებულია მყარი ტრადიცია, რომელიც „ნაბის“ წინასწარმეტყველებას წმინდა სალოცავს უკავშირებდა. ამოსიც თავის ქადაგებას იერობოამ II-ის ბეთელის ტაძარში იწყებს, ხოლო ესაია, იერემია და სხვა წინასწარმეტყველნი ასევე განაგრძობენ უკვე მიღებულ ჩვეულებას.

რატომაა ამის გააზრება მნიშვნელოვანი წინასწარმეტყველთა წვდომისათვის?

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს ჩვეულება ეწინააღმდეგება შექმნილ წარმოდგენას წანასწარმეტყველებზე, როგორც წმინდა „პროტესტანტებზე“, ვინც ტაძრულ ღვთისმსახურებას უარყოფდა. შემდგომში ვნახავთ, რომ წინასწარმეტყველები და სამღვდელოება, მართალია, სხვადასხვა სახით, მაგრამ მაინც ერთსა და იმავე მოძღვრებას ქადაგებდნენ.

მეორე მხრივ, ამ გარემოებამ მათი წერილის ფორმა განსაზღვრა. მსგავსად იმისა, რომ დელფოს ქურუმებს შემკითხველთათვის გალექსილი პასუხის გაცემის თავისებური წესი ჰქონდათ, ასევე ისრაელში ოდითგანვე პროფეტული სიტყვის გარკვეული სტილი ჩამოყალიბდა. ეს გახლდათ რელიგიური პოეზია, თავისი თვითმყოფადი სიმბოლიკით, ენითა და ხატოვანებით. თუკი ხატწერის ტრადიციაში შარავანდედი, ფრთები, სფეროები, ფერები და ჟესტები საეკლესიო წარმოსახვის გადმოცემას ემსახურება, წინასწარმეტყველნი თავიანთი გამოცდილების გადმოსაცემად ქუხილის, მიწისძვრის, ზეციური ცეცხლის მოტივებსა და უძველესი ეპოსის მხატვრულ სახეებს მიმართავდნენ.

წინასწარმეტყველთა წიგნების დიდი ნაწილი ლექსადაა დაწერილი, თუმცა ეს ლექსთწყობა ანტიკურს ან დასავლეთევროპულს თითქმის არაფრით ჰგავს. ეს ტექსტები იშვიათ შემთხვევაშია აგებული მეტრიკაზე და თითქმის არაა გარითმული. ბიბლიურ პოეზიას საფუძვლად უდევს თამაში აზრობრივი პარალელებით, რაც ძველი აღმოსავლეთისთვის ასე დამახასიათებელია.

„ავსებულა მათი ქვეყანა ოქრო-ვერცხლით,
    და ბოლო არ უჩანს მათ საგანძურებს;
ავსებულა მათი ქვეყანა ცხენებით
    და ბოლო არ უჩანს მათ ეტლებს.“ (ესაია, 2:7)

წინასწარმეტყველთა მთელი რეჩიტატივი თავისებური მუსიკალურობითაა განმსჭვალული. მკვეთრი, მოულოდნელი სურათ-ხატები, ოსტატური ალიტერაციები, რიტმის უეცარი დარტყმები — ეს ყოველივე განუმეორებელ პოეტურ სტილს ქმნის.

ძველებრაულ პოეზიას არ ახასიათებს არც ბერძნული სინატიფე, არც ლათინური კრისტალური სიცხადე. წინასწარმეტყველთა სიტყვებს ისეთი დაუოკებელი ძალა აქვს, ყველა ფორმის წალეკვა რომ შეუძლია. სტრიქონები უროს მძიმე დარტყმასავით ეცემა, ზვავის გრგვინვასავით გაისმის:

„ელოაჰ მიტეიმან იავო, ვე კადოშ მე ჰარ პარან,
კისა შამაიმ ჰაოდო ვე ტჰილატო მალა ჰაარეც“.

ამ ბგერებში ისმის რაღაც ძველთაძველი და პირველქმნილი...

წინასწარმეტყველთა სიტყვები მდიდარია ემოციური ინტონაციებით: მათში ჟღერს ირონია და მუდარა, გამარჯვების ჰიმნი და ჩივილი, რიტორიკული პათოსი და სულშიჩამწვდომი საუბრის ინტიმურობა. მთლიანობაში ისინი მაინც სავსეა შინაგანი დაძაბულობითა და მდუღარე გზნებით; მათი სტრიქონები ისევე არ ჰგავს ინდოეთის საკრალურ ტექსტებს, როგორც ბობოქარი კლდის ნაკადი არ ჰგავს ჭალაში მშვიდად ჩამომავალ მდინარეს. წინასწარმეტყველები შეიძლება შევადაროთ „ქარიშხლისა და შეტევის“ პოეტებს და, ბერძენ ფილოსოფოსებთან შედარებით, მათ ალბათ აკლდათ სიდინჯე და სიდარბაისლე. მათთვის უცხო იყო გონების მშვიდი თამაში და ისინი უაღრესად სერიოზულად განიცდიდნენ იმას, რის შესახებაც ლაპარაკობდნენ.

* * *

თავდაპირველად წინასწარმეტყველური გამონათქვამები და ქადაგებანი პერგამენტის ან პაპირუსის გრაგნილებზე იწერებოდა, რომლებიც შემდეგ ინახებოდა ტაძარში, მათი ასლები კი ხალხში ვრცელდებოდა. ხშირ შემთხვევაში ავტორის სახელი დავიწყებას ეძლეოდა და ხელნაწერები ანონიმურად განაგრძობდა არსებობას. წინასწარმეტყველთათვის გადამწყვეტი არა საკუთარი სახელის უკვდავყოფა, არამედ ადამიანებისათვის ღვთის სიტყვის შემონახვა იყო.

გრაგნილები არაერთგზის იწერებოდა თავიდან და იკერებოდა, ამასთან, ხშირად ერთი წინასწარმეტყველის ნაწერს ზედ აკერავდნენ ფრაგმენტებს, სხვა, უცნობი ავტორის კალამს რომ ეკუთვნოდა. გადამწერს ხშირად გამორჩებოდა ხოლმე ესა თუ ის სტრიქონი. ეს პრობლემები გულდასმით წამკითხველისათვის თარგმანშიც კი შესამჩნევია. ბუნებრივია, რომ გადაწერისას იპარებოდა შეცდომები, ანდა ხდებოდა მინდვრებზე მიწერილი შენიშვნების ძირითად ტექსტში შეტანა, მაგრამ მთლიანობაში ამას დიდად არ დაუმახინჯებია ამ წიგნების შინაარსი. ბოლო დროს იუდეის უდაბნოში ნაპოვნი მანუსკრიპტები ამტკიცებს, რომ საუკუნეებმა თითქმის უცვლელად მოიტანა ჩვენამდე წინასწარმეტყველთა ტექსტები.

თვით ყველაზე რადიკალური კრიტიკაც კი იძულებულია აღიაროს ის, რომ მთლიანობაში წინასწარმეტყველთა წიგნები მართლაც იმ პიროვნებათა დაწერილია, ვისაც მათი ავტორობა მიეწერება. ეს (თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ მომენტს) ეხება ამოსს, ოსიას, მიქას, ნაუმს, აბაკუმს, სოფონიას, იერემიას, ეზეკიელს, ანგიას, მალაქიას. რაც შეეხება ესაიას წიგნს, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ბიბლიურმა მეცნიერებამ დაადგინა, რომ ის ერთზე მეტ ავტორს ეკუთვნის. პირველი ნაწილი (თავები 1-39) მეტწილად VIII საუკუნეში იერუსალიმში მცხოვრებ წინასწარმეტყველ ესაიას მიერაა დაწერილი, ხოლო თავები 40-55 შექმნილია ბაბილონში, დაახლოებით, ძვ. წ. 540 წელს, ანონიმური წინასწარმეტყველის მიერ, ვისაც ტრადიცია მეორე ესაიას, ანდა ბაბილონელ ესაიას უწოდებს. 56-66 თავების შინაარსი ნათელს ხდის იმას, რომ ამ მონაკვეთის

ავტორი ბაბილონის ტყვეობიდან ებრაელთა დაბრუნების (538 წ.) შემდგომ პერიოდში ცხოვრობდა; არსებობს იმის მტკიცებულელები, რომ ეს ავტორი მეორე ესაიაა.

წინასწარმეტყველ ზაქარიას წიგნის შექმნას სამ ავტორს მიაწერენ. აბდიასა და იოველის შესახებ არაფერია ცნობილი და მათი წიგნების დათარიღება ძნელდება; ბიბლეისტთა საყოველთაო თვალსაზრისის თანახმად, ისინი მეორე ტაძრის ეპოქას ეკუთვნის. დანიელისა და იონას წიგნები დაწერილია ტყვეობის შემდგომ და, მკაცრი განვიხილვის შემთხვევაში, წინასწარმეტყველური მწიგნობრობის ნიმუშებად ვერც ჩაითვლება.

* * *

ის ფაქტი, რომ ბიბლიის კრიტიკას მის ავტორებზე ტრადიციულ წარმოდგენებში გარკვეული კორექტივები შეაქვს, არანაირად არ ისახება წმინდა წერილის სულიერ მნიშვნელობაზე. მამა სერგი ბულგაკოვის თქმით, „ეკლესია არამარტო არ აბრკოლებს ღვთის სიტყვის შესწავლას *ყველა* ხელმისაწვდომი მეთოდით, კერძოდ, მეცნიერული კრიტიკის თანამედროვე საშუალებებით, არამედ წინდაწინ არც განაპირობებს ამ კვლევის შესაძლო შედეგებს... მართლმადიდებელ აზროვნებას არავითარი საფუძველი არ გააჩნია საიმისოდ, რომ შეუშინდეს ბიბლიის კრიტიკას, ანდა მის წინაშე თავი უხერხულად იგრძნოს, რადგან მისი მეშვეობით მხოლოდ კონკრეტულობას იძენს ღვთის გზები და სულიწმიდის მოქმედება“[6]. იმის გამო, რომ ესაიას წიგნი ერთი კი არა, რამდენიმე წინასწარმეტყველის მიერაა დაწერილი, ის არ კარგავს თავის სიდიადესა და სიწმინდეს. თუკი ესა თუ ის წინასწარმეტყველება, ჰიმნი ან ფსალმუნი ღვთისგანაა შთაგონებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, თუ ვინ არის მისი ავტორი.

აქ შეინიშნება გარკვეული ანალოგია მხატვრულ ლიტერატურასთან. თუკი, ვთქვათ, აღმოჩნდა, რომ „ღვთაებრივი კომედია“ დანტე ალიგიერის კი არა, ვინმე უცნობ ფლორენციელს ეკუთვნის, მასზე ასი წლით უფრო გვიან რომ ცხოვრობდა, განა ამით ამ უკვდავი პოემის მხატვრულ ან სულიერ ღირებულებას რაიმე დააკლდება? ამ შემთხვევაში უბრალოდ გვეცოდინებოდა, რომ კაცობრიობას კიდევ ერთი, მანმადე უცნობი გენიალური ავტორი ჰყავდა. ესაიას წიგნის თაობაზეც იგივეს თქმა შეიძლება. თუკი მანმადე ვიცოდით, რომ ეს ტექსტი ძვ. წ. VIII საუკუნის დიდ წინასწარმეტყველს ეკუთვნის, ახლა ვიცით, რომ იერუსალიმელი ესაიას უცნობი თანამოძმის სიტყვას არანაკლები ძალა ჰქონდა და მასსავით, ისიც *ღვთისაგან შთაგონებული* ქადაგი იყო.

ბიბლიაში წინასწარმეტყველებს ყველაზე მეტად უახლოვდებიან *მეფსალმუნენი.* ფსალმუნებში არაჩვეულებრივი ძალითა და სიმკვეთრით აღიბეჭდა ისრაელის რელიგიური გამოცდილება და მთელი ძველი აღთქმიდან თანამედროვე მკითხველისათვის ყველაზე ახლო და გასაგები სწორედ ფსალმუნებია. როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ეკლესიის ღვთისმსახურება ფსალმუნებითაა განმსჭვალული; ისინი მუდამ თან ახლავს ქრისტიანს მის სულიერ გზაზე.

მეფსალმუნეთა უმრავლესობის სახელები უცნობია და მათი ცხოვრების დათარიღება უაღრესად ჭირს. საკრალური ჰიმნები ისრაილში ჯერ კიდევ მოსეს ეპოქაში გაჩნდა, მაგრამ მეფსალმუნეთა მამამთავრად მართებულადაა მიჩნეული მეფე დავითი. ფსალმუნების მრავალი ავტორი სულიერად ძალზე ახლოა წინასწარმეტყველებთან, ხოლო ზოგიერთი ფსალმუნი თვით წინასწარმეტყველთა მიერაა შექმნილი[7].

წინასწარმეტყველთა გავლენით ყალიბდებოდა ბიბლიის *წმინდა ისტორიაც.* თავისი ამჟამინდელი სახით ის ორი ციკლისაგან შედგება. პირველი მოიცავს დროის მონაკვეთს ისრაელიანთა პალესტინაში შესვლამდე (ჩვენ ის განვიხილეთ წიგნში „მაგიზმი და ერთღმერთიანობა“). მეორე ციკლი კი მოიცავს პერიოდს ქანაანის დაპყრობიდან ტყვეობამდე (იესო ნავეს ძის, მსაჯულთა და მეფეთა წიგნები). ბიბლიის ეს მონაკვეთი დაწერილია VI საუკუნეში ორიგინალური მატეანეებისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე და მისი დაწერა მიზნად ისახავდა წინასწარმეტყველთა მოძღვრების პერსპექტივიდან ისრაელის ისტორიის ხელახლა გააზრებას. ამ ციკლს ეკუთვნის ისეთი მნიშვნელოვანი წყაროები, როგორიცაა ნეშტთა (ანუ ქრონიკის) ორი წიგნი, აგრეთვე ეზრასა და ნეემიას წიგნები. წინასწარმეტყველთა ხანაშივე შეიქმნა ლევიანნი და მეორე რჯული და მთელმა ხუთწიგნეულმა დღევანდელი სახე მიიღო.

დიდი სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ იოსებ ფლავიუსის თხზულება „იუდეური სიძველეები“, რადგან ის წინასწარმეტყველთა ქადაგებაზე ბევრად უფრო გვიანაა დაწერილი, თუმცა მრავალ შტრიხს იოსები, შესაძლოა, ჩვენთვის უცნობ უძველეს წყაროებს დასესხებოდა. ბიბლიური ისტორიის ცალკეული მომენტების აღდგენა შესაძლებელი ხდება ბერძენი ისტორიკოსების, კერძოდ ჰეროდოტეს მიერ გადმოცემული ფაქტების საფუძველზე.

წერილობითი ძეგლების გარდა, ბიბლიური ტექსტის წვდომას უკანასკნელი ასორმოცდაათი წლის მანძილზე მოპოვებულმა უხვმა არქეოლოგიურმა მასალამაც შეუწყო ხელი. უძველესი ლოდები ერთბაშად ამეტყველდა და დღეს უკვე შეგვიძლია ვიხილოთ ესაიასა და იერემიას თანამედროვეთა პორტრეტები, ვიკითხოთ ასირიული და ბაბილონური მატიანეები, ბიბლიურ ისტორიას პარალელურად რომ მიჰყვება; აგრეთვე შესაძლებელი გახდა მცირე დეტალების ჩათვლით იმ გარემოცვის აღდგენა, რომელშიც ბიბლიური მამები ცხოვრობდნენ.

ასე რომ, წინასწარმეტყველთა შესახებ თხრობისას თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მართალია, დროში მათგან ძალზე შორს ვართ, მაგრამ მაინც უტყუარ ფაქტებს ვეყრდნობით და ვარაუდებისა და საეჭვო დასკვნების იმედად არ ვართ დარჩენილი.

წინასწარმეტყველნი თვითონ გვიამბობენ საკუთარ თავზე. ჩვენ ვიხილავთ ამ იდუმალ გმირთა სახეებს იმ გარემოებების ფონზე, სადაც ისინი ისტორიამ მოათავსა; ვეცდებით, ჩავუკვირდეთ მათ და გავიგონოთ საუკუნეების სიშორიდან ჩვენამდე მოწვდენილი მათი ხმა. წინასწარმეტყველნი დღესაც განაგრძობენ თავიანთ საქმეს. ჩაგვრა და უსამართლობა, ძალადობის კულტი და ეროვნული ამპარტავნება, ღვთისაგან განდგომა და ფარისევლობა — ეს ურიცხვი მტრული ლაშქარი, რომელსაც ისინი ებრძოდნენ, ჩვენი დროის ადამიანსაც ისევე ემუქრება, როგორც ეს ამოსის თუ ესაიას ეპოქაში ხდებოდა. ამიტომაც, ღვთის სასუფევლის მაცნეთა სიტყვა ასე მნიშვნელოვანია ჩვენთვის დღევანდელ და ხვალინდელ ბრძოლაშიც.

რუსულიდან თარგმნა
თამარ კოტრიკაძემ

ავტორის შენიშვნები:

1. იხ. K. Jaspers. Vom Ursprung und Zeit der Geschichte. 1949, შ. 45. — თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპოქის (ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანები) განსაკუთრებულ როლზე იასპერსამდეც მიგვანიშნებს ზოგიერთი ავტორი, მაგალითად, მაქს ვებერი, კ. დაუსონი და სხვ.

2. მ. ტარეევი. ქრისტიანობის საფუძვლები, ტ. 2. სერგიევ პოსადი, 1908, გვ. 91. — კიდევ ერთი მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი უწოდებს პროფეტიზმს ძველი აღთქმის „კვინტესენციას“ (ა. პოკროვსკი. პროფეტიზმი ძველ აღთქმაში, 1908). პროფეტიზმს ხშირად განიხილავენ, როგორც „უნიკალურ დიალოგს ადამიანსა და ღმერთს შორის“, რადგან წმინდა წერილის თითქმის ყველა სხვა წიგნისაგან განსხვავებით, წინასწარმეტყველებთან ღმერთი პირველი პირით ლაპარაკობს. იხ.: B. Vawter. Introduction to the Prophetical Books. 1965, პ. 35.

3. აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ბიბლიის თარგმანთა უმრავლესობაში ღვთის წმინდა სახელი შეცვლილია სიტყვით „უფალი“. მოწიწების გამო, ამ წმინდა სახელის ხმამაღლა წარმოთქმა, რომელიც ოთხი ასოსაგან შედგებოდა (IHWH), ჩვენს წელთაღრიცხვამდე უკვე აკრძალული იყო. ამიტომ მისი ნამდვილი ჟღერადობა მოგვიანებით მივიწყებულ იქნა და ის შეცდომით აღადგინეს როგორც „იეღოვა“. მაგრამ XIX საუკუნეში, ეკლესიის მოძღვართა (კლიმენტის, ორიგენეს, იერონიმუსის, ეპიფანეს, თეოდორიტეს) მოწმობების საფუძველზე წმინდა სახელი გამოითქმის როგორც „იაჰვე“. (იხ. არქიმანდრიტი თეოფანე, ტეტრაგრამა, ანუ ღვთის ძველაღთქმისეული სახელი IHWH, სანკტ-პეტერბურგი, 1905).

4. მუნდაკა უპანიშადა, I, 1, 7. „უპანიშადებში“ კოსმოგენეზისის ასახვის შესახებ იხ. ამავე ტომეულის (ა. მენი, „გზის, ჭეშმარიტებისა და სიცოცხლის ძიებაში“ — მთარგმნ.) III წიგნი „დუმილის კარიბჭესთან“.

5. იხ.: სერგი ბულგაკოვი. ორი ქალაქი. მოსკოვი, 1911, ტ. 2, გვ. 64-65. — ბერდიაევი წერს: „პლატონსა და არისტოტელესთან ვერ შეხვდებით ისტორიის ფილოსოფიას. ფილოსოფიის ისტორიას ძველ ისრაელში ეყრება საფუძველი, ესაა ღვთის შემოსვლა ისტორიაში გამოცხადების სახით და წინასწარმეტყველთა აზროვნება“ (ნ. ბერდიაევი. ღვთაებრივისა და ადამიანურის ეგზისტენციური დიალექტიკა, 1952). ბიბლიაში თვით სამყარო „ისტორიის“ მოდელის მიხედვითაა აგებული. სერგი ავერინცევი უაღრესად ზუსტად

აღნიშნავს: „ბერძენთა „კოსმოსი“ სივრცეში მყოფობს და მისთვის მახასიათებელ საზომს წარმოგვიჩენს; ბიბლიური „ოლამი“ კი დროში მოძრაობს და მის ფარგლებს გარეთ არსებული საზრისისაკენ მიისწრაფვის“ (ს. ავერინცევი. ბერძნული „ლიტერატურა“ და ახლო აღმოსავლეთის „სიტყვაკაზმულობა“, 1971). მართალია, იუდეველები, კ. დაუსონის თქმით, „მთლიანად მაინც ვერ გადაურჩნენ მსოფლიო მთლიანის ციკლურობის შესახებ გაბატონებული იდეის გავლენას, მაგრამ მაინც შეძლეს, ეს მოძღვრება საკუთარი ტრადიციისამებრ გარდაესახათ. იუდეური აპოკალიპტიკის ეონი არ გახლავთ ციკლი, ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, — ის მხოლოდ ერთიანი პროცესის ის ეტაპია, რომელიც მას მნიშვნელობასა და ღირებულებას ანიჭებს. ეს კი ისტორიის კანონების კოსმიურ განზომილებაში გადატანას ნიშნავს ან, უფრო სწორად, ესაა ერთგვარი კოსმიური ისტორია, რომელსაც ჩვენ აპოკალიპტიკის სახელით ვიცნობთ“. იხ. Ch. Dawson. Progress and Religion. N. Y. , 1960, პ. 126.

6. დეკანოზი სერგი ბულგაკოვი, მართლმადიდებლობა, 1964. — ბიბლიის ისტორიული კვლევის აუცილებლობასთან დაკავშირებით ვლადიმირ სოლოვიოვი ამბობს: „ცოცხალი ღვთის ისტორიული საქმიანობის გაქვავებულ და ხელშეუხებელ სიწმინდედ შერაცხვა მკვდარი რწმენის გამოვლინება და წინასწარმეტყველთა პირით მოლაპარაკე სულიწმიდის წინაშე ჩადენილი ცოდვაა“ (ვლადიმირ სოლოვიოვი. როდის ცხოვრობდნენ ებრაელი წინასწარმეტყველნი).

7. ფსალმუნთა წარმოშობასთან დაკავშირებით იხილეთ „მაგიზმი და ერთღმერთიანობა“, — დანართები. კრიტიკის რადიკალური დასკვნები.

ანტონი სუროჟელი

რწმენის შესახებ

მე აქ უკვე არაერთხელ აღვნიშნე, რომ განათლებით ღვთისმეტყველი არ გახლავართ, ამიტომ ნუ ელით ჩემგან კარგ, მკაცრ, აკადემიურ თეოლოგიურ მოხსენებას. მაგრამ მე მსურს თქვენთან ერთად ხმამაღლა გავიაზრო თემა, რომელიც, როგორც მგონია, წლიდან წლამდე თავიდან ახლდება და თაობიდან თაობამდე მუდამ თანამედროვე და დროული რჩება. ეს არის საკითხი რწმენისა, ის, თუ რ ა არის რწმენა, როგორ მიდიან ამ რწმენასთან და როგორ დგას ეს რწმენა ეჭვის წინაშე.

თანდათან, დამშვიდებული ქრისტიანობის ასწლეულების მანძილზე, ჩვენში ჩამოყალიბდა წარმოდგენა რწმენაზე, რომელიც არ შეესაბამება მის არსს; რწმენა არ არის მსოფლმხედველობა, რომელიც შეესატყვისება რწმენას. არსებობს მსოფლმხედველობა, რომელიც შეესაბამება რწმენას, მაგრამ თავად არსი რწმენისა ეს არ არის ცნებათა სისტემა. სიტყვა *რწმენა* სხვდასხვა რამეს აღნიშნავს. სიტყვა *რწმენის* პირველადი მნიშვნელობა არის ნდობა; მეორე — ერთგულება; შემდეგ კი რწმენის ის შინაარსი, რასაც ჩვეულებრივ ვუწოდებთ რწმენას. ეს შინაარსი იმის შედეგად გვევლინება, რომ ღვთისადმი ერთგულებისა და ნდობის წყალობით ჩვენ შევიმეცნებთ მას და უკვე შეგვიძლია რაღაც ვთქვათ მასზე. მაგრამ ეს ცნებით კი არა პ ი რ ი თ იწყება.

მორწმუნეთა მამად დასახელებულია აბრაამი (გალათ. 3,7). და როდესაც მის ცხოვრებას უღრმავდები, განცვიფრებს, რომ მისი რწმენა, შეიძლება ითქვას, რომ უპირველეს ყოვლისა იყო მხოლოდ და მხოლოდ სრული, უსაზღვრო ნდობა ღვთისადმი, და ამ ნდობიდან ღვთისადმი იბადებოდა ურთიერთობა მასთან, და ამ ურთიერთობიდან ამოიზრდებოდა ღმერთის ცოდნა, ის, თუ როგორია იგი. აბრაამის რწმენა იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ მან ჯ ე რ რაღაც ცნობები მიიღო ღმერთის შესახებ და ეს ცნობები დაიჯერა, არამედ იმაში, რომ ის იმთავითვე, ბუნდოვნად, მაგრამ ამავე დროს უზარმაზარი ძალით, პირისპირ შეხვდა **ცოცხალ ღმერთს.**

თუ ჩვენი რწმენა არის ვიღაცის რწმენა, ცოცხალი ღმერთის რწმენა, მაშინ მის წინააღმდეგ მიმართული ვერავითარი ეჭვები ვეღარ შეარყევს მას. მაგრამ თუკი ჩვენი რწმენა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ გვჯერა ესა თუ ის თეოლოგიური, ან ნახევრად თეოლოგიური ან უბრალოდ ცრუმორწმუნოებრივი წანამძღვრები, ისინი შეძლება შეირყეს. ამასთან ცრურწმენა უფრო დიდხანს ძლებს, ვიდრე თეოლოგიური დებულებები.

და გაიხსენეთ აბრაამი, მისი პირველი შეხვედრა ღმერთთან, როგორ დაუძახა მას ღმერთმა სახელით: აბრაამ! ხმა ისეთი თავისებური იყო! ეს არ იყო ადამიანური ხმებიდან ერთ-ერთი, ის მხოლოდ მის ყურში როდი გაისმა! ეს სახელი *აბრაამ* მას პირდაპირ გულში მოხვდა და მან უშუალო ალღოთი იგრძნო, რომ ღმერთი ელაპარაკებოდა.

და პირველი, რაც ღმერთმა უთხრა მას: დასტოვე შენი სანათესაო, ქვეყანა, რომელშიც დაიბადე და ცხოვრობ, და წადი, ს ა დ ა ც მ ე წ ა გ ი ყ ვ ა ნ ... (დაბ. 12,1).

ნდობის თემა: რადგან ღმერთი მას ა რ ა ფ ე რ ს არ პირდება. ის მას ეუბნება: დასტოვე ის, რაც გაქვს, და წადი უცნობ მხარეში, სადაც მე წაგიყვან, და სად, რით და რატომ, ამას მე არ აგიხსნი შენ... ერთადერთი, რაც აბრაამმა იცის, ის არის, რომ მას ელაპარაკება ღმერთი; მან იცის, რომ მას წასვლას ავალებენ; მან იცის, რომ სადღაც მიიყვანენ; მაგრამ გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი თ მხოლოდ უარყოფითი იცის: მშობლიური მიწის მიტოვება, მშობლიურ საძვალეთა მიტოვება; ახლობლებისაგან, ოჯახისაგან, ხალხისაგან განშორება. ხოლო ის, რაც იქნება, მხოლოდ რაღაც ზოგად ხაზებშია ცნობილი, ანუ სწორედ იმ წესით, რასაც ჩვენ ვუწოდებთ რწმენას, ნდობას: სადაც მე წაგიძღვები... და ამ მოთხოვნას იწამებ, თუ ის მოლაპარაკე პირიდან გამოედინება; ა ს ე თ ი ზ ო მ ი თ შეიძლება მხოლოდ ი მ ა ს ენდო, ვინც ლაპარაკობს, და არა რაღაც პრინციპს, რომლითაც ხელმძღვანელობენ.

და აი, აბრაამი მიდის, პოულობს აღთქმულ მიწას; და აქ ღმერთი მას პირდება ვაჟს, რომელიც იქნება დიადი, ურიცხვი ხალხის დასაბამი. და იბადება ვაჟი, ისააკი. გადის მცირე ხანი, რაღაც ათი-თორმეტი წელი, და იგივე ღმერთი, რომელიც მისი ვაჟის სახით მარადიულ შთამომავლობას დაჰპირდა, მას უბრძანებს: წაიყვანოს შვილი და მსხვერპლად შესწიროს (დაბ. 21-22

თავები). და კვლავ თავს იჩენს ეს თვისება: ეს ჭეშმარიტი, ძირეული რწმენა ღმერთისა და არა იმის, რაც მან ასე თუ ისე გამოხატა. ურწმუნო, ანუ თითოეული ჩვენთაგანი, ალბათ მიმართავდა ღმერთს და ეტყოდა: უფალო, შენ შენსავე თავს ეწინააღმდეგები, რაღაა შენი აღთქმა, ისააკისგან როგორღა დაიბადება შთამომავლობა, თუკი ახლა სისხლიან მსხვერპლად შემოგწირავ?.. ეს იქნებოდა გონივრული, მაგრამ იქნებოდა ღმერთისადმი უნდობლობის აქტი. და აბრაამი არ სვამს ამ შეკითხვას, რადგან მისი რწმენა მიემართება არა ი მ ა ს, თუ რას ამბობს ღმერთი, არამედ იმას, ვ ი ნ ც ამბობს. ის არ სვამს საკითხს, რომ ღმერთი ეწინააღმდეგება საკუთარ თავს, ის ღმერთს ანდობს, ეწინააღმდეგება თუ არა ის საკუთარ თავს, და რა აქვს მხედველობაში. იგი ამგვარად იქცევა: მე მივენდე ამ ღმერთს, და ახლაც მივენდობი... ის წაიყვანს თავის ბიჭს დასაკლავად, და ჩვენ ვიცით, ეს ამბავი თუ როგორ მთავრდება: ღმერთმა ისააკი ცხოველით შეცვალა; ეს ღვთის საქმეა; მაგრამ აბრაამის საქმე იყო — სრულყოფილი რწმენა, გაგებული სწორედ როგორც ნდობა: უსაზღვრო, სრული, მშვიდი ნდობა. ამასთან „მშვიდი“ არ ნიშნავს ტკივილის გარეშე, საშინელებისა და ცახცახის გარეშე. მაგრამ სწორედ ასეთი ნდობა აძლევდა შესაძლებლობას, არათუ აღმატებულიყო სულზე, არამედ დაეტოვებინა სული ღიად ტკივილისთვისაც და სასწაულისთვისაც.

და სახარებაში, კითხვა, რომელსაც იესო სვამს რწმენასთან კავშირში, არის კითხვა: როგორ მეკიდები შენ მე? არა ჩემს აღთქმებს, არამედ პირადად მე. თქვენ ალბათ გახსოვთ, ქრისტე რომ ეუბნებოდა თავის მოწაფეებს გზად იერუსალიმისკენ, რომ ის წმინდა ქალაქში უნდა შესულიყო, ცოდვილთა ხელებში გადაცემულიყო, მოკვდინებულიყო და მკვდრეთით აღმდგარიყო. და ამ დროს ორმა მისმა მოწაფემ უთხრა: „ნება მოგვეცი, ერთი მათგანი შენს მარჯვნივ დაჯდეს და მეორე მარცხნივ შენს დიდებაში“ (მარკ. 10,37). ყველაფერში, რასაც ქრისტე ამბობდა თავის შესვლაზე იერუსალიმში, მომავალ ტანჯვაზე, მკვდრეთით აღდგომაზე გოლგოთის მთაზე საშინელი სიკვდილის შემდეგ, მოწაფეებმა გაიგონეს მ ხ ო ლ ო დ ის, რაც მათ ეხებოდა: ის აღსდგება, ის გაიმარჯვებს; და მაშინ მეფე იქნება, და მაშინ დადგება ჩვენი ჯერი და ვიზეიმებთ... მათ სრულიად გამორჩათ საშინელი ხარება ტანჯვა-წამებისა და სიკვდილის შესახებ. მათ განიცადეს მხოლოდ ის, რაც მათ ეხებოდა, ქრისტესა და მის ხვედრს კი გვერდი აუარეს. და აი, ისინი სთხოვენ, რომ როცა დადგება გამარჯვება, — დაივიწყეს რა, თუ რა ფასად დადგება, — მის მარჯვნივ და მარცხნივ დასხდნენ მის დიდებაში... ქრისტე მათ უარს არ ეუბნება, ისინი საუბრის გულისგულთან მიჰყავს და ეკითხება: შეგწევთ კი ძალა, მზად ხართ კი ჩაიძიროთ ამ საშინელებაში, რომელშიც მე ჩავიძირები, გაინათლოთ იმ ნათლობით, რომლითაც მე გავინათლები (ბერძნულად „ნათლობა“ უბრალოდ ნიშნავს „თავიანად ჩაძირვას“)? სხვა სიტყვებით: მზად ხართ კი დარჩეთ ჩემთან, როცა ღამე ჩამოწვება და დამფარავს? დარჩებით კი ჩემთან, როდესაც მე დამამარცხებენ, მაგინებენ და მომკლავენ? გაივლით კი იმ ყველაფერს, რაც ჩემი ხვედრია, ვიდრე გამარჯვებული გავხდებოდე?

და მოწაფეები თანხმდებიან. ისინი ირწმუნებიან, რომ მზად არიან დარჩნენ მის მეგობრებად, რაც არ უნდა მოხდეს; რადგან სწორედ ეს აქცევს ადამიანს *მეგობრად:* მზადყოფნა არ წავიდეს, რაც არ უნდა მოხდეს... და აი, ქრისტე ამ მომენტში ეუბნება მათ: ნათლობით, რომლითაც მე გავინათლები, გაინათლებით, თასიდან, რომლიდანაც ვსვამ, თქვენც შესვამთ, მაგრამ რაც შეეხება ჩემს მარჯვნივ და მარცხნივ ჯდომას, — ამის მოცემა ჩემზე არ არის დამოკიდებული... სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქრისტე მათ პირდება ჯვრის გზას — სწორედ გზას — მაგრამ არაფერს სხვას; მხოლოდ იმას, რომ რასაც ღმერთი ამბობს, რა თქმა უნდა, ეს სიკეთე იქნება: რატომ წუხართ გამარჯვების დღეზე? განა დავივიწყებ იმათ, ვინც ჩემს ერთგულ მეგობრად დარჩა განსაცდელის ჟამს? — მაგრამ არავითარი მიწიერი დაპირება, არავითარი „სატყუარა.“

აი, აქ ვხედავთ, ჩემის აზრით, ყველაზე არსებითს, რაც შეიძლება ითქვას რწმენაზე: რომ ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს რწმენა, რომელიც დაფუძნებულია მსოფლმხედველობაზე, ცნებებზე. ის, რომ მილიონობით ადამიანი ქრისტიანობას თვლის ყველაზე სარწმუნო მსოფლმხედველობად, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება (ან არ შეესატყვისება) მეცნიერების მონაცემებს, არ წარმოადგენს რწმენას, *ვიდრე არ შედგება შეხვედრა ღმერთთან, ან ვიდრე არ არსებობს ასეთი პირადი დამოკიდებულება მასთან.* მსოფლმხედველობა, სწავლების სახით, დოგმატიკის სახით ოცი საუკუნის მანძილზე ვითარდებოდა და იფურჩქნებოდა. ვთქვათ ესეც, ახლა მართლმადიდე-

ბლობაში სხვებს მხოლოდ ხანგრძლივი სარწმუნოებრივი მომზადების შემდეგ ვიღებთ; მოციქულთა საქმეებში კი ვკითხულობთ ამბავს იმის შესახებ, თუ ფილიპე როგორ შეხვდა საჭურისს, ესაიას რომ კითხულობდა და როგორ აუხსნა მას, რომ ვისზედაც ესაიას წიგნშია ლაპარაკი, — ქრისტეა (8,26-39). და ამ ადამიანმა რაღაც სასწაულის ძალით, ნათელხილვით ეს დაიჯერა, ფილიპეს სიტყვებში დაიჭირა რაღაც უეჭველი დამაჯერებლობა და თქვა:

აი, აქ წყალი, რა მიშლის ხელს რომ მოვინათლო? ყველაფერი, რაც მან საერთოდ იცოდა სახარებაზე, ეს ის იყო, რომ იესო ქრისტე არის სწორედ ის ტანჯული კაცი, რომელიც აღწერილია ესაიას 52-ე და 53-ე თავებში. მთელი მისი რწმენა დაფუძნებული იყო იესო ქრისტეს პიროვნებაში, რომლის შესახებაც მან ასე ცოტა იცოდა საშუალო კულტურული დონის ევროპელთან შედარებით. მაგრამ მისი ცოდნა პირადი, პიროვნული იყო: მან ქ რ ი ს ტ ე იპოვა და ა მ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე შეიძლებოდა მისი განათვლა.

ამასთან კავშირში, მაგალითად, პავლე მოციქულის ეპისტოლეში რომაელთა მიმართ, მე-6 თავში, რომელიც სწორედ ნათლობას ეხება, ამავეზეა ლაპარაკი: შეიძლება მონათლო კაცი, რომელიც კვდება ქრისტესთან ერთად და ცოცხლდება ქრისტესთან ერთად, კაცი, რომელიც საკუთარ თავში ატარებს იესო ქრისტეს სიმკვდრეს და იესო ქრისტეს სიცოცხლეს; და არ შეიძლება მონათლო კაცი, რომელმაც შეიძინა მხოლოდ და მხოლოდ თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი ცხოვრებაზე, სადაც არის ადგილი ღმერთისთვის, ქრისტესთვის, ეკლესიისთვის, საიდუმლოებებისთვის და სხვა ო ბ ი ე ქ ტ ე ბ ი ს თ ვ ი ს. აი, რატომ იყო შესაძლებელი სხვადასხვა საუკუნეში მონათვლა ადამიანებისა, რომელთაც ცოდნის სრულიად განსხვავებული სისავსე, მაგრამ კონკრეტული, გონებრივად დამუშავებული რწმენა გააჩნდათ: ამაში არ არის საქმე. ის, ვინც მოკვდა ქრისტესთან ერთად და ვინც გაცოცხლდა **მასთან** ერთად, სხვა სამყაროს განეკუთვნება; ხოლო ის, ვისაც ამაზე მხოლოდ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა აქვს და თვლის, რომ ეს საკმარისად სარწმუნო და დამაჯერებელია, ან ის, ვინც მეტისმეტად ზარმაცია იმისათვის, რომ კითხვები დასვას, და ცხოვრობს რა საზოგადოებაში, რომელიც არ სვამს ამ კითხვებს, — თვითდინებაზე მიდენილი კმაყოფილდება ამ მემკვიდრეობით, — ჯერ ქრისტიანი არ არის.

და თუ ამ ჭეშმარიტებიდან ამოვალთ, მაშინ შეიძლება გადავიდეთ რწმენის საკითხზე, მაშინ შეიძლება უფრო ადვილად გავარჩიოთ რწმენა მსუბუქმორწმუნეობისა და ცრუმორწმუნეობისაგან. ახლა არ შევუდგები ცრუმორწმუნეობის გარჩევას რწმენისაგან, ეს ადვილი საქმეა. მაგრამ მსუბუქადმორწმუნეობა — გაცილებით უფრო სახიფათო და რთულია, რადგან უფრო შეფარულია. თაობიდან თაობამდე ქრისტიანები ძირითადად მ ს უ ბ უ ქ ა დ მ ო რ წ მ უ ნ ე ნ ი იყვნენ და არიან. მსუბუქადმორწმუნენი იმიტომ, რომ ისინი მემკვიდრეობით, ერთმანეთისგან, წინა თაობებისაგან თუ საუკუნეთა სიღრმიდან იღებენ უკვე მ ზ ა მ ზ ა რ ე უ ლ რწმენას; მაგრამ რწმენას არა იმ ნდობის აზრით, რის შესახებაც წუთის წინ მოგახსენებდით, არამედ რწმენას წინადადებების სახით, ღმერთს, ადამიანს, სამყაროს, ღმერთისა და მისი ქმნილებების ურთიერთობას რომ ეხება.

და ხშირად ასეთი რწმენა, როცა პრობლემები არ არსებობს, როცა მას არაფერი არყევს, როცა მას არაფერი აყენებს ეჭვქვეშ, სავსებით მყარია. მაგრამ იმ მომენტში, როდესაც მას ქარიშხალი დაატყდება თავს, — უკვე ვეღარ გაძლებს. რწმენა, რომელიც მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ განურჩევლად, უკრიტიკოდ, მშვიდად მიიღოს წინა თაობებისაგან გადმოცემული, რადგან არ იცნობს წინააღმდეგობებს და შეკიხვები არ უჩნდება, — ა დ ვ ი ლ ა დ განქარდება, რადგან პირად, ცოცხალ გამოცდილებას არ ეფუძნება. და აი, ეს, ვიმეორებ, ხშირად ასწლეულების მანძილზე არის სწორედ ათასობითა და მილიონობით ქრისტიანისა და ასევე არაქრისტიანის რწმენა. ასეთი რწმენა წააგავს მემკვიდრეობას, რომელსაც კაცი იღებს: სხვები შრომობდნენ; შრომით, ტანჯვით მოიპოვებდნენ, კაპიკს კაპიკზე ადებდნენ; ბოლოს გადასცეს შთამომავლობას რაღაც სიმდიდრე; და შთამომავალნი ამ სიმდიდრით ცხოვრობენ; ისინი ამას ადვილად იღებენ. მაგრამ თუ რაღაც ქარიშხალი ამოვარდება, ისინი ამ სიმდიდრეს თავად ვეღარ წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ა ნ. და ეს უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენს დროში, რადგან მხოლოდ იმ რწმენას, რომელიც გამოცდილებაზეა დაფუძნებული, შეუძლია ამ ქარიშხალს გაუძლოს.

და აი, აქ მე მსურს ორჯერ გადავუხვიო.

ხშირად, განსაკუთრებით დასავლეთში, პროტესტანტულ სამყაროში ლაპარაკობენ ქრისტიანებზე როგორც *ღვთის ხალხზე.*

ღვთის ხალხი ეს ის ხალხია, რომელსაც ხელთ აქვს ძველი და ახალი აღთქმის წმინდა წერილი, რომელმაც ეს წმინდა წერილი იცის, რომელიც ცდილობს, ამ წერილის მიხედვით იცხოვროს. მაგრამ ა ს ე ა ე ს?

შეიძლება კი ითქვას, რომ ამით ამოიწურება ღვთის ხალხის განსაზღვრება?

მე ვფიქრობ, რომ არა; არ არის საკმარისი, ხელთ გქონდეს წმინდა წერილი. არ არის საკმარისი მისი შესწავლა, მისი ცოდნა; ისიც კი არ არის საკმარისი, იცხოვრო, თუკი ის თემი, რომელიც ასე ცხოვრობს, არ არის ფესვგადგმული ღმერთში, არ არის გამსჭვალული სულიწმიდის იქყოფნით ი ს ე ვ ე, როგორც ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმის მორწმუნეთა საკრებულოები, რომლებშიც დ ა ი ბ ა დ ა ეს წმინდა წერილი. ღვთის ხალხი ის ხალხი არ არის, რომელიც მემკვიდრეობით ფლობს წმინდა წერილს. ღვთის ხალხი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ის ხალხია, რომელსაც შეუძლია თავად აღმოთქვას და დაწეროს წმინდა წერილი.

და, აი, ჩვენს წინაშე დგას კითხვა: ვართ კი ჩვენ ასეთი სიღრმის, ასეთი ძალის მქონე ღვთის ხალხი? თუ მხოლოდ მემკვიდრეები ვართ ძველი და ახალი აღთქმის თვალუწვდენელი სიმდიდრისა? და რაიმე უბედურება რომ მოხდეს, შეძლებდა კი თანამდროვე მართლმადიდებელი თემი სულიწმიდის ძალით ისევე განეცხადებინა ჭეშმარიტება **ღმერთის** შესახებ, როგორც მას აცხადებდნენ მოციქულები თუ ძველაღთქმისეული წინასწარმეტყველები და ჟამთაღმწერელნი?

ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამის შესახებ თავის დროზე წერდა ათონელი ბერი სილუანი, რომელმაც ერთხელაც თავისი შენიშვნების წიგნაკში ჩაწერა, რომ სულიწმიდა ისე ცხოვრობს ჩვენში, ისე მყოფობს ეკლესიაში, რომ ეკლესიას კიდეც რომ დაეკარგა წმიდა წერილი, იგი კვლავ წარმოსთქვამდა იგივე სიტყვებს ადამიანთა გულებშიო. მე არ მინდა ვთქვა, რომ **სულიწმიდის** ძალით ჩვენ შევძლებდით აღგვედგინა ზუსტად იგივე სიტყვები, რაც ოთხ სახარებაში და მოციქულთა წერილებში წერია, მითუმეტეს, რაც წერია ძველ აღთქმაში; მე ვგულისხმობ, შევძლებდით კი ისევე გვეხარებინა იგივე ღმერთი, ჩვენთვის პირადად ცნობილი, ახლობელი, მშობლიური ღმერთი, რომელმაც ჩვენ თავისი სხეულის ნაკვთებად, თავისი სულის ტაძრებად, მარადიული მამის შვილებად გვაქცია? ხომ უნდა შეგვეძლოს ამის შესახებ ცოცხალი სიტყვის თქმა? სიტყვისა, ეკლესიის წიაღიდან და პირადი გამოცდილებიდან რომ ამოდის?

და მეორეს მხრივ, როცა ამ ძირეული, საფუძვლისეული რწმენიდან თითქოსდა ცოტა დაშორებულ სტადიაში საქმე მიდის ღმერთის შესახებ ამა თუ იმ ჭეშმარიტების განცხადებამდე, უნდა დავფიქრდეთ: რა არის ძირეული ჩვენეულ ღვთის ხარებაში, ჩვენს რწმენაში, და რა — მეორეხარისხოვანი კი არა, არამედ მეორადი; მეორეხარისხოვანი იმიტომ არა, რომ არ შეიძლება ამისი გადაგდება, როგორც რაღაც ნაკლებ მნიშვნელოვანის. მეორადი იმიტომ, რომ ლაპარაკია იმაზე, რაც სხვა, უფრო ფუძისეულ ჭეშმარიტებათაგან არის ნაწარმოები. პასუხი, რომელიც ათასწლეულთა მანძილზე იბადებოდა, მე მგონი, ასეთია: არის ჭეშმარიტებები, რომელთა გულისთვისაც უნდა იცოცხლო და მოკვდე და არის მეორადი ჭეშმარიტებები, რომელთა გულისთვისაც ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა, ნება არა გვაქვს ვიცოცხლოთ და მოვკვდეთ. არის ადამიანური გადმოცემა, რომელიც შეიძლება ძალიანაც ფასეული იყოს თავის ადგილას, მაგრამ მისი გულისთვის დაუშვებელია ეკლესიის ერთობის გახლეჩა ან სიკვდილი. გაიხსენეთ სტაროაბრიადული განხეთქილება ან ამდენი დასავლური მიმართულება: ახლა დასავლეთის სამყარო ორიათასზე მეტ ქრისტიანულ აღმსარებლობად დაიყო, დანაწევრდა, მხოლოდ და მხოლოდ რაღაც დეტალის გამო, რომელსაც ადამიანები ჩაებღაუჭნენ და რისგანაც ღვთისმეტყველების ცენტრი შექმნეს, მაშინ როცა ღვთისმეტყევლების ცენტრი ქრისტეა, ის არის ჭეშმარიტება, ღმერთი, სიცოცხლე. კრიტერიუმები, რომლებიც მე ერთხელ მომეცა ადამიანისგან, ასე ლაპარაკის უფლება რომ ჰქონდა, ასეთია: დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ყველაფერს ჩვენი რწმენიდან, ჩვენი ეკლესიური პრაქტიკიდან, ჩვენი ეკლესიური აზროვნებიდან, რაც არ შეიძლება გავუთანაბროთ საიდუმლო სერობას, გეთსიმანიის ღამის საშინელებას, აღდგომის დიდებას, მაცხოვრის ცად ამაღლებას, ყველაფერს, რაც არ შეიძლება გვერდით დავუყენოთ ამ დიად მოვლენებს მათი სიწვრილმანის გამო, — რწმენის ჭეშმარიტებანი, რწმენის ის შინაარსი, რითაც შეიძლება ვიცოცხ-

ლოთ და მოვკვდეთ, — მდგომარეობს საიდუმლო სერობაში, გეთსიმანიის ღამეში, გოლგოთის მსხვერპლში, აღდგომის ზეიმში, ცადამაღლების დიდებაში და იმ ახალ ცხოვრებაში, სულიწმიდამ რომ მოგვცა.

ამ ორ შენიშვნას — ღვთის ხალხისა და ურყევი ჭეშმარიტების კრიტერიუმების შესახებ ჩანართის სახით კი ვაკეთებ, მაგრამ ისინი მეორეხარისხოვნად არ მიმაჩნია.

ახლა, თუკი რწმენის შესახებ კიდევ ცოტას დავფიქრდებით, ერთი მხრივ, რწმენა, როგორც უკვე ვთქვი, ეს არის ნდობა პირადი, ცოცხალი ღმერთისადმი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში რწმენა აუცილებლად დაფუძნებული უნდა იყოს რაღაც გამოცდილებაზე. სად მთავრდება გამოცდილება და სად იწყება რწმენა? როგორ გადაექსოვებიან ისინი ერთმანეთს, როგორი ურთიერთმიმართება არსებობს მათ შორის? მე მინდა მიგასწავლოთ წმინდა მაკარ დიდის ერთი გამონათქვამი, რომელსაც ჩემს გადმოცემაში მეტი სიცხადისათვის ცოტას განვავრცობ, მაგრამ თუკი შეამოწმებთ, ნახავთ, რომ მის აზრს არ ვამახინჯებ.

მაკარ დიდი, მსჯელობს რა რელიგიურ გამოცდილებაზე, მჭვრეტელობით გამოცდილებაზე, ამბობს, რომ როდესაც ღმერთის სიახლოვე, ღმერთის ცნობიერება ყოვლისმშთანთქმელი ხდება, როდესაც ის სიღრმისეულად შეგვიპყრობს, ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია აღარც აზროვნება, აღარც გრძნობა, აღარც ჩვენი ბედის, ჩვენი მოძრაობებისა თუ ჩვენი ნების განსაზღვრა — ჩვენ მთლიანად ვემთხვევით ამ გამოცდილებას, მთლიანად გადავიქცევით ამ ჭვრეტად. ჩვენ არ შეგვიძლია არც გაანალიზება, არც გარჩევა, თუ რაში მდგომარეობს ეს გამოცდილება; არ შეგვიძლია დავაკვირდეთ ჩვენს თავს და გავაცნობიეროთ, თუ რა გვემართება. ეს ის არის, რასაც თეოფანე დაყუდებული უწოდებდა „სულის ღვთაებრივ ტყვეობას," როდესაც ადამიანი მთლიანად გათანგულია, მთლიანად ემთხვევა ამ გამოცდილებას და მხოლოდ ც ო ც ხ ლ ო ბ ს ღმერთში და ღმერთით. და აი, მაკარი ამბობს, რომ ღმერთი მარტო იმ ადამიანზე რომ ზრუნავდეს, ვინც ასეთი მჭვრეტელობითი მდგომარეობის ღირსი გახდა, მაშინ ეს მდგომარეობა არასოდეს შეწყდებოდაო; მაგრამ — ამბობს მაკარი დიდი — ღმერთი ზრუნავს იმ ადამიანებზეც, რომლებიც არ მისულან ასეთ სულიერ სიღრმემდე თუ სიმაღლემდე; ამიტომ ის ერთი ნაბიჯით უკან იხევს თავისი რჩეულისგან და ეს გამოცდილება სუსტდება და ადამიანი მოდის გონს.

თუკი ავიღებთ ამ სახეს (ეს სახე არ მიეკუთვნება მაკარ ეგვიპტელს), შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ზოგჯერ ზღვა ზვირთდება, ნაპირზე გადადის და ტალღებზე შეიგდებს ნავს; და ვიდრე ზღვა ასე მაღლაა აზიდული, ნავი მის წყალზე ტივტივებს. შემდეგ კი ზღვა ისევ უკან იხევს და ნავიც ისევ ქვიშაზე ეშვება, — აი, რა ხდება. მაგრამ არის ისეთი მომენტი, როდესაც ეს განცდილი ღმერთის გამოცდილება უკვე იმდენად გამჭვირვალე ხდება, რომ ადამიანი ხელახლა შეიცნობს თავს და ამ მომენტში იგი გამოცდილებიდან რწმენაში გადადის, როგორც განსაზღვრავს რწმენას პავლე მოციქული (ებრაელთა მიმართ, 11): დარწმუნებულობა უხილავ საგნებში... გამოცდილებამ შეწყვიტა აქტუალობა, ეს უკვე აღარ არის ხილვა, ეს უკვე აღარ არის ჭვრეტა, ეს უკვე აღარ არის მდგომარეობა; მაგრამ შეგნება, რომ ეს ჭვრეტა ეს-ეს არის იყო, რომ ეს ჭვრეტა ჯერ კიდევ თრთის ადამიანის სულში, ისეთია, რომ მისი დარწმუნებულობა სრულყოფილია, თუმცა, თავად ჭვრეტა ან ჭვრეტის საგანი ახლა უკვე უხილავია, ეს არის რწმენის სფერო: წამი, როდესაც ადამიანი აღმოაჩენს, რომ ხილვა წავიდა, მაგრამ დარწმუნებულობა ჯერ კიდევ აქ არის.

ასეთი სახის გამოცდილებას ჩვენ ვპოულობთ ძველ აღთქმაში, ახალ აღთქმაში, მაგალითად პავლე მოციქულის ცხოვრებაში — მის მიერ ქრისტეს ხილვა გზად დამასკოსაკენ (საქმეები, 9, 3) და უამრავ ქრისტიანულ ცხოვრებაში. ზოგჯერ ეს ხილვითი მდგომარეობა იმდენად ღრმაა, იმდენად თვალისმომჭრელია, რომ ადამიანი თითქოს მიწას წყდება და უკვე ვეღარ აცნობიერებს ვეღარც საკუთარ თავს, ვეღარც ვ ე რ ა ფ ე რ ს ირგვლივ; ზოგჯერ ეს ხილვითი მდგომარეობა ასეთ დიდ დაძაბულობას ვერ აღწევს, და ადამიანი მაინც აგრძელებს საკუთარი თავისა და იმის შეგრძნებას, რაც ირგვლივაა, მაგრამ ღმერთის განცდა მაინც იმდენად ძლიერია ხოლმე, რომ მას უჩნდება ურყევი დარწმუნებულობა, რომ ის ცოცხალ ღმერთს შეხვდა; და ვერავითარი ძალისხმევა, გონების ვერავითარი არგუმენტები ვერ დაარწმუნებს მას, რომ ის, რაც მან ნამდვილად განიცადა, არასოდეს არსებულა.

მაგრამ ეს ყველას არ ემართება; ცოცხალ ღმერთთან უშუალო შეხვედრის ასეთი გამოც-

დილება არ ეძლევა ყველას და თითოეულს; არსებობს სხვა საშუალებაც, რაც რაღაც უხილავს გვიჩენს, როცა თითქოს ფარდა იხსნება.

არსებობს ბერული ნათქვამი, რომ ვერავინ შეძლებს მიწიერი ცხოვრების დაგდებას, თუკი ერთი ადამიანის სახეზე მაინც არ იხილავს მარადიული ცხოვრების ნათებას. თქვენ ალბათ გახსოვთ ძველ აღთქმაში მოთხრობილი ამბავი, თუ როგორ დაეშვა მოსე სინას მთიდან: მისი სახე ისე ანათებდა ღვთის დიდების ანარეკლით, რომელშიც ის დაინთქა მთაზე ღვთის ჭვრეტისას, რომ ისრაელის ძეებმა ვერ გაუძლეს დამაბრმავებელ სინათლეს და მოსეს სახის დაფარვა მოუწია ქსოვილით (დაბად. 34, 29-35). ნაკლები ზომით ეს ჩვენს ცხოვრებაშიც ხდება; ხდება ხოლმე, რომ ისეთ ადამიანს შევხვდებით, რომელსაც ეს ნათება პირთამდე ავსებს და თითქოს ნაპირებიდან გადასდის, და ჩვენც რაღაცნაირად ვიჭერთ მას. ეს ხდება, როდესაც ადამიანი ლოცულობს, და სხვა ადამიანი შეავლებს თვალს შემთხვევით. ეს ხდება, როდესაც ადამიანი ეზიარა წმინდა საიდუმლოებებს და ახლა თავის ადგილას ბრუნდება ღრმად ყურადღებამოკრებილი და ამავე დროს სიხარულითა და ღმერთის მიღებით სახეგაბრწყინებული.

თქვენ ალბათ გახსოვთ ადგილი სიმონ ახალი ღვთისმეტყველის ნაწერებიდან, სადაც ის გვიამბობს საკუთარი გამოცდილების შესახებ **წმიდა საიდუმლოებებთან ზიარების** თვალსაზრისით.

ის დაბრუნდა თავის სენაკში, თავის მწირ სენაკში, ჩამოჯდა თავის ხის საწოლზე, დაჰყურებს თავის ხელებს, თვალს ავლებს კედლებს და ამბობს: აი, ახლა მე ვიმყოფები ჩემს მწირ სენაკში, ვზივარ ჩემს უბადრუკ საწოლზე, და ძრწოლით შევცქერი საკუთარ სხეულს, რადგან წმინდა საიდუმლოებებთან ზიარებით თავად ქრისტეს ღმრთეება გამსჭვალავს ჩემი სხეულის ნივთიერებას, ეს ხელები, სუსტი, ბებრული ხელები — ღვთის ხელებია, და ეს სხეული — ქრისტეს სხეულია...

აი, ასეთი მდგომარეობა შეიძლება მოვიხელთოთ, როდესაც ვხედავთ ადამიანს, რომელმაც ღრმად, გულის სიწმინდით, სრული გულღიაობით მიიღო სულიწმიდის მადლი. და ეს უფრო მცირე ზომით ჩვენც გვემართება, თუმცა დიდების ასეთი ბრწყინვალებით არა, თვალებს რომ ჭრის ადამიანებს, გაიხსენეთ მოტივილოვას ხილვა და სხვა შემთხვევები ჩვენს ირგვლივ.

არსებობს კიდევ ერთი გზა, რომლითაც ჩვენს ირგვლივ განფენილი სინამდვილე — სინამდვილე მატერიალური, თითქოს მძიმე, გაუმჭვირვალე, — უცებ შედის რწმენის სივრცეში.

ერთი ანგლიკანელი ღვთისმეტყველი ამას უწოდებს კოსმიურ გამჭვირვალებას და აი, რა აქვს მხედველობაში: არის მომენტები, როდესაც ჩვენთვის მოულოდნელად და იმიტომ, რომ ჩვენ შეგვეხო ღვთის წყალობა, უეცრად ღვთიურ ნათელში დავინახავთ ყველაფერს, რაც გარს გვაკრავს, დავინახავთ იმ სიღრმით, რომელიც საგნებს ჩვეულებრივად არ გააჩნია ჩვენთვის.

ახლა ერთ-ორ მაგალითს დაგისახელებთ. ეს პირველ რიგში და ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, ეხება სიყვარულს ადამიანურ ურთიერთობებში; ადამიანები ცხოვრობენ ერთმანეთის გვერდიგვერდ: ახალგაზრდა ადამიანები. მათ შორის არიან გოგონა და ვაჟი, რომლებსაც ერთმანეთი არასოდეს შეუმჩნევიათ. ცხოვრობდნენ გვერდიგვერდ, ხვდებოდნენ ერთმანეთს, მუშაობდნენ, ლაპარაკობდნენ და ერთმანეთის არსებობას ვერ ამჩნევდნენ. და უცებ, ერთ მშვენიერ დღეს, ერთი მათგანი შეხედავს მეორეს, ან ორივენი შეხედავენ ერთმანეთს და ახლებურად დ ა ი ნ ა ხ ა ვ ე ნ ერთიმეორეს. ამას უბრალოდ ჰქვია ერთმანეთის შეყვარება. და ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. ადამიანი, რომელიც მანამდე არ არსებობდა, რომელიც მასის რიგითი წევრი იყო, უცებ გამოეყოფა ამ მასას როგორც ერთადერთი ან როგორც მავანი, რომელსაც უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება ჩემს ცხოვრებაში.

ამის მსგავს მაგალითს კიდევ დაგისახელებთ. თქვენ ალბათ გსმენიათ დასავლეთის ეკლესიების ვიტრაჟების შესახებ: ეს არის ფანჯრები, შედგენილი ფერადი შუშებისაგან, რომლებიც ასახავენ ან რომელიმე თემას, ან უბრალოდ, ფერების ჰარმონიას. მიდიხარ ხანდახან ტაძარში, საღამო ჟამს ან მაშინ, როცა მზე მეორე მხარესაა და ნაცრისფერ კედელზე უბრალოდ ნაცრისფერი ლაქაა გამოსახული, სხვა არაფერი არ ჩანს. მიხვალ მეორე დღეს და მზე ან მსუბუქად ეხება ან პირდაპირ ეფრქვევა და ფანჯარა არნახული სილამაზით ბრწყინავს. მიღმიერმა შუქმა

ფანჯარაზე გამოსახული თემა გამოამჟღავნა: იქნება ეს უფლის განათვლა, აღდგომა, ამაღლება თუ რაიმე სხვა; გამომჟღავნდა ფანჯრის მთელი სილამაზე, მთელი მისი მანათობელი სიწარმტაცე. მაგრამ ეს ფანჯარა, რომელიც გამოგვივლინა მიღმიერმა სინათლემ (რომელიც უბრალოდ მართლა „მიღმაა", თუ საგნობრივ სინამდვილეზე ვლაპარაკობთ, და მიღმურია, თუ ადამიანის სულსა და ღმერთს ვგულისხმობთ, რომელიც სინათლეა), ეს ფანჯარა, ამ სინათლით გამოვლენილი, ამავე დროს თვითონ გ ვ ი ვ ლ ე ნ ს ამ სინათლეს. ვიმეორებ: იგივეა ადამიანურ ურთიერთობებში: უცებ გაიბრწყინა რაღაც სინათლემ ადამიანის შიგნით და ეს ადამიანი უკვე დაუვიწყარი, განუმეორებელი, ერთადერთი ხდება. წმინდა მეთოდი პატარელი ერთ თავის თხზულებაში ამბობს: ვიდრე ბიჭი არ შეიყვარებს გოგონას, მას გარს ახვევია ქალები და კაცები; როდესაც ვინმე შეუყვარდება, თავის გარშემო ქალებს და კაცებს კი არა, უკვე მხოლოდ უბრალოდ ადამიანებს ხედავს, რადგან ი ს ერთადერთი ადამიანია მისთვის, დანარჩენები თითქოს გადასწორდნენ, წყებად იქცნენ, ისინი უბრალოდ გარემოცვასღა წარმოადგენენ და სხვა აღარაფერს.

მაგრამ ნიადაგ ასე ხდება, ასე ხდება ჩვენს შორის — არამარტო სიყვარულში ერთი ადამიანისა მეორის მიმართ, ასევე, მაგალითად, მეგობართან შეხვედრის დროსაც: ერთ დღეს რატომღაც შეიძლება ისე გულითადად ელაპარაკო მეგობარს, ისე სიღრმისეულად, ისე მგრძნობიარედ, ისეთი ურთიერთგაგებით, როგორც არასოდეს არ გილაპარაკია. და სახე მეგობარს ისე გარდაესახება, და ხმაც, და მთლიანად ისეთი ხდება, როგორიც ადრე არასოდეს გინახავს. მეორე დღეს კი შეხვდები და თითქოს ჩვეულებრივი ადამიანია, თითქოს ის ნათელი ჩაქრა, თითქოს მზე გადასცილდა და ვიტრაჟის მშვენიერი შუშა, ის ფერად-მანათობელი ფანჯარა კვლავ ნაცრისფერი, შეუმჩნეველი გახდა.

და აი, საკითხს ორგვარად შეიძლება მივუდგეთ — შეიძლება მივუდგეთ რწმენით ან ურწმუნოდ. რწმენით, ეს ნიშნავს, რომ ჩამქრალი ფანჯრის, ჩამქრალი სახის დანახვაზე, იმ კაცის დანახვაზე, ვინც ისევ ჩვეულებრივ, რიგით ადამიანად იქცა, გახდა „ისეთი როგორც ყველა," — ჩვენს გულში ვიღიმით და ვამბობთ: ეს მოჩვენებითია, მე ვ ი ც ი, როგორია ის სინამდვილეში, ის მე გამომეცხადა, თუნდაც ერთი წამით, განუმეორებელ სიღრმესა და სილამაზეში... ანდა, პირიქით, შევხედავთ, მხრებს ავიჩეჩავთ და ვიტყვით: რა დასანანია, შევცდი, ვფიქრობდი, რომ ეს კაცი რაღაც განსაკუთრებული იყო, სინამდვილეში სულაც არა, უბრალოდ მე ვიყავი ისე განწყობილი...

და აქ ჩვენზეა დამოკიდებული, შევინარჩუნებთ უხილავი საგნების რწმენას თუ ხილულის გულისთვის უკუვაგდებთ იმ უხილავს, რომელიც ასე მნიშვნელოვანია. ღმერთი ჩვენ ასე არ გვექცევა. გავიხსენოთ ორი მაგალითი.

ქრისტე მაცხოვრის შეხვედრა მოციქულ პეტრესთან მკვდრეთით აღდგომის შემდეგ (იოანე, 21, 15-19). პეტრემ სამჯერ უარყო უფალი. მათი პირველივე შეხვდრის შემდეგ შეიძლებოდა — ადამიანურად რომ ვთქვათ — ქრისტეს ეკითხა: ა რ ა გ რ ც ხ ვ ე ნ ი ა? არ ნანობ? არ მთხოვ პატიებას? გინდა კ ი დ ე ვ გახდე ჩემი მოწაფე?.. არა, ქრისტე ამას არ ამბობს. ის ეკითხება პეტრეს: გიყვარვარ სხვებზე მეტად, უფრო მეტად ვიდრე სხვებს ვუყვარვარ?.. თუ გავიხსენებთ სახარების სხვა ადგილს, სადაც ქრისტე ამბობს, ვისაც მეტი ეპატიება, მას მეტად უყვარსო (ლუკა, 7, 47), — მაშინ ეს ძ ა ლ ი ა ნ ძლიერი შეკითხვაა: გესმის შენ, პეტრე, რომ შენ უფრო მეტი უნდა გეპატიოს, ვიდრე რომელიმეს მოწაფეთაგან? შეგწევს კი შენ ძალა, უპასუხო უფრო მეტ სიყვარულს, უფრო მეტ პატიებას, ღმერთის უფრო მეტ თანალმობიერ გულმოწყალებას?.. და პეტრე ამბობს: *დიახ! მიყვარხარ!* — რადგან შეხვედრის ამ წუთში მას არ შეუძლია გაიხსენოს ის, რაც ასე ცოტა ხნის წინ მოხდა, იმ ღამით, ქრისტე რომ შეიპყრეს; ის ახლა მხოლოდ ერთ რამეს განიცდის — ეს არის შეხვედრა ქრისტესთან, ცოცხალი შეხვედრა — და აქ რაღაა სალაპარაკო? ყველაფერი დანარჩენი წავიდა, განქარდა როგორც კოშმარი, სიზმარი, მოჩვენება... და ქრისტე კვლავ იგივეს ეკითხება: გ ი ყ ვ ა რ ვ ა რ კი, როგორც მ ე გ ო ბ ა რ ს უყვარს მეგობარი, — და არა საერთოდ, რაღაც ზოგადი, უნივერსალური სიყვარულით? (ბერძნულ ტექსტში აქ სხვა ზმნაა გამოყენებული). პეტრე ეუბნება: *დიახ! მიყვარხარ!..* და *მესამედ* ეკითხება მას ქრისტე... და მაშინ პეტრესთვის ნათელი ხდება, რომ მთელი რეალობა მის წინააღმდეგაა; რომ შეიძლება უბრალოდ ფაქტებით დაუმტკიცონ, რომ ის მოღალატე, გამყიდველია: როგორ

შეუძლია ილაპარაკოს სიყვარულზე? და აქ პეტრე გენიალურად, სულის გენიალობით, გულის გენიალობით პასუხობს: *უფალო, შენ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი იცი, შენ ი ც ი, რომ მიყვარხარ...*

აქ ჩვენ ვხედავთ, ქრისტე როგორ ამბობს უარს მიიღოს რაიმე მტკიცებულებანი, არამედ იყურება ადამიანის გულის სიღრმეში: დიახ! ის სწორად არ მოიქცა; სუსტი იყო — მაგრამ მას ვუყვარვარ...

მეორე ამბავიც ასეთივეა, იოანეს სახარების მერვე თავში, ამბავი ქალისა, მრუშობაში რომ შეიპყრეს. ყ ვ ე ლ ა მის წინააღმდეგაა; მას საქმეზე წაასწრეს; ქრისტესთან მიიყვანეს; მის წინააღმდეგაა ძველი აღთქმის კანონი; უნდათ ქრისტე ჩიხში მოაქციონ და ათქმევინონ: „უგულვებელჰყავით კანონი, შეიბრალეთ იგი“ და ქრისტე ამას არ აკეთებს; ის არ ამბობს, რომ მრუში შეიძლება ისე, ყველაფრის გარეშე გაუშვა; ის არ ამბობს, რომ შეიძლება კანონისთვის გვერდის ავლა; ის შეკითხვას სვამს ადამიანთა წინაშე: თქვენ გსურთ კანონის გამოყენება? გ ა მ ო ი ყ ე ნ ე თ; მაგრამ თავად იყავით კანონის ღირსნი: *ვინც თქვენგან უცოდველია — დე, იმან დასაჯოს ეს ცოდვილი ქალი ჩაქოლვით...* და ისინი ერთიმეორის მიყოლებით მიდიან, რადგანაც არცერთ მათგანს არ შეუძლია საკუთარ თავზე თქმა, რომ თავად არ დაატყდება თავს მ ს გ ა ვ ს ი განაჩენი. ქრისტე მიმართავს იმ ქალს, და ცხადია, რომ არ ეუბნება: „ღმერთი სიყვარულია — ყველაფერს გაპატიებს“, ის ეუბნება: *სად არიან შენი ბრალმდებელნი?* — ისინი ყველანი წავიდნენ. — *არც მე გდებ მსჯავრს, წადი და ამიერიდან ნუღარ შესცოდავ...*

ქრისტე მრუშ ქალს კი არ მიმართავს, არამედ იმ ქალს, რომელმაც იმიტომ, რომ შეიპყრეს, იმიტომ, რომ დადგა კანონით გასამართლების წინაშე, — აღმოაჩინა, რომ ცოდვა სიკვდილია; იმ ქალს, რომელიც იდგა მის წინაშე გარდაუვალი სიკვდილის საშინელებით შეპყრობილი, და რომელიც ალბათ ფიქრობდა, სიცოცხლე რომ მაჩუქონ — ეს ახალი სიცოცხლე იქნებაო...

და ის მიმართავს იმ ქალს, ვის გულშიც, ვის ღრმა გულშიც, მიუხედავად ცოდვილობისა ან ყოველთვის იყო, ან დაიბადა შესაძლებლობა ა ხ ა ლ ი ცხოვრებისა, და ეუბნება: წადი, მ ა გ რ ა მ ნუღარ შესცოდავ...

იგივე ქრისტე, ყოველივე მოჩვენებითის, ცხადისა და დასამტკიცებლად ადვილის უგულვებელყოფით მიმართავს იდუმალ ადამიანს, რომელსაც ხედავს ღმერთი, მაგრამ რომელსაც ვერ ხედავენ ადამიანები, რადგანაც ჩვენ განვსჯით საქციელის, სიტყვების მიხედვით და არა გულის სიღრმეთა მიხედვით... და ესეც რწმენის სფეროა: დ ა რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ო ბ ა, რომ ის რაც არ ჩანს, უ ფ რ ო რეალურია, ვიდრე ის, რაც ჩანს...

დავუბრუნდეთ მაგალითს, რომელიც ადრე მოვიხმე: ვიტრაჟს, რომელიც ჩაქრა, რადგან დღე ღამისაკენ მიიდრიკა, და სინათლე აღარ ეფრქვევა ფანჯარას, და უკვე აღარ ჩანს ფერები, ხაზები, არამედ მართკუთხა ნაცრისფერი ლაქაღა დარჩენილა კედელში. და აქ დგება ე ჭ ვ ი ს საკითხი: რაც მე დავინახე, რეალურია? თუ ეს სიზმარი იყო? ან ეგებ ოცნება? ან ეგებ ჩემივე სურვილის პროექცია კედელზე? ეს არსებობს, თუ არასოდეს უარსებია?

სიტყვა ეჭვი (სომნენიე) ორი ნაწილისაგან შედგება: „სო“ და „მნენიე“: ფიქრი ერთდროულად ორ განსხვავებულ რამეზე. ეჭვს მუდამ ტრაგიკულად აღვიქვამთ, ყოველ შემთხვევაში, მორწმუნე ადამიანები ნამდვილად ასე აღიქვამენ: უეცრად ყველაფერი შეირყა; ის, რაც უეჭველი, უთუო გეჩვენებოდა, იწყებს გაორებას, — და ჩვენ უზარმაზარ შეცდომას ვუშვებთ, ორმაგ შეცდომას.

ჯერ ერთი, დაეჭვება ეხება არა თავად **ცოცხალ ღმერთს,** არამედ იმას, რასაც ჩვენ მასზე ვფიქრობდით, როგორც მას წარმოვიდგენდით; ცოცხალი ღმერთი ჩვენი ეჭვისაგან არ იცვლება. მეორეც, ტყუილად გვეშინია, რადგან ეჭვი იმას კი არ გვეუბნება: „ვაითუ ღმერთი არ არებობს, ვაითუ, არაფერი არ არსებობს, რაც მე მწამდა,“ არამედ გვეუბნება მხოლოდ ამას: „შენ ბავშურად ფიქრობდი, დროა დიდივით დაიწყო ფიქრი; შენ პრიმიტიულად ფიქრობდი ღმერთზე, იფიქრე მასზე უფრო ღრმად, უფრო ჭეშმარიტად...“

ეჭვი მეცნიერისთვის მისი შრომის იარაღს წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც ის თავს უყრის ყველა არსებულ, გაფანტულ ფაქტს, — ცდილობს ისინი ერთმანეთს დაუკავშიროს რაღაც თეორიით, რაღაც ზოგადი წარმოდგენის საშუალებით. თუ ის კარგი მეცნიერია, როგორც კი ამას გააკეთებს, მაშინვე იწყებს საკუთარი წარმოდგენის დაყენებას ეჭვქვეშ, იწყებს საკუთარი

თავისთვის შეკითხვების დასმას: რაიმე ლოგიკური შეცდომა ხომ არ გაიპარა ჩემს ანაგებ თეორიაში? რაიმე ტენდენციური ხომ არ არის მასში, რაიმე ბოლომდე გაუაზრებელი? და კიდევ: თუკი ამ ყველაფერს ვერ პოულობს, მაშინ ახალი მონაცემების მოძიებას იწყებს, რომლებიც მის წარმოდგენას დაამსხვრევდნენ, რადგან მისთვის საკუთარი წარმოდგენა კი არ არის ძვირფასი, არამედ ის რეალობა, რომელსაც იკვლევს. და იმიტომ შეუძლია ეჭვქვეშ დააყენოს თავისი წარმოდგენა, რომ არცერთი წამით არ ეპარება ეჭვი იმ რეალობაში, რომელიც მის ირგვლივაა.

იგივე შეუძლია გააკეთოს მორწმუნემაც და ღვთისმეტყველმაც; როდესაც აღმოაჩენს, რომ მისი ესა თუ ის წარმოდგენა ღმერთზე, ადამიანზე, სამყაროზე აღარ აკმაყოფილებს, — შიშით ავსების ნაცვლად შეუძლია თქვას: „რა შესანიშნავია, რა საოცარია! მაშასადამე, მე, როგორც ნაწილი, როგორც სობორული ნაწილი ეკლესიისა, ახალ საზომამდე გავიზარდე, მე მიჩნდება ეჭვი — მაშასადამე, არის ა ხ ა ლ ი პასუხები, ახალი მონაცემები, შემეცნების ახალი სიღრმე, რომელიც სადაც არის, ჩემს წინაშე გაიხსნება“ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია; ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ქარაფშუტულად უნდა დავამსხვრიოთ და შევარყიოთ ჩვენი რწმენის საძირკვლები, არამედ ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი ნათქვამი არადამაკმაყოფილებელია. როგორც ამბობდა ეკლესიის მამათაგან ერთ-ერთი, ყველაფერი, რასაც ჩვენ ვამბობთ ღმერთზე მის საკუთარი გამოცხადების შესაბამისად, შეიძლება აღმოჩნდეს ბოლო ჭეშმარიტება მიწისთვის, მაგრამ არასრული ჭეშმარიტება იყოს ღმერთისთვის. ღმერთი ყოველთვის იმაზე მეტია, ვიდრე ის, რაც შეგვიძლია მის შესახებ ვთქვათ. ჭეშმარიტება — ეს არის გ ა მ ო ხ ა ტ ვ ა იმისა, რაც არსებობს, მაგრამ არა თავად ის რეალობა. რეალობა ბოლომდე მიუწვდომელიც არის და გამოუთქმელიც. რეალობა ადეკვატურად შეიძლებოდა გამოგვეხატა წმინდა სიმბოლოთი, როდესაც ის და ჭეშმარიტება ერთმანეთს არ ემთხვევა. 12-ე საუკუნის ესპანეთში მცხოვრები ებრაელი პოეტი მაიმონდი ამბობდა, რომ თუ ჩვენ ვეძებთ ღმერთის უშუალოდ გამოხატვის საშუალებას, ისე რომ არ გამოვიწვიოთ არავითარი გონებრივი წარმოდგენები და შესაბამისად, არავითარი ცრურწმენები თუ უარყოფითი რეაქციები, უნდა ავიღოთ ერთი მუსიკალური ნოტი, რომელსაც სხვა არაფრისთვის აღარ გამოვიყენებთ. და ეს ბგერა უნდა გაისმას ყოველთვის, როცა კი გვსურს წარმოვთქვათ სიტყვა ღმერთი, ან გამოვთქვათ შეხედულება ღმერთზე; იმიტომ რომ ეს იქნება წმინდა სიმბოლო, რომელიც თავის თავში არ შეცავს არაფერს, იმის გარდა, რასაც აღნიშნავს. მაგრამ თვით ამ შემთხვევაშიც ეს არის აღნიშვნა და არა ღმერთი.

და აი, აქ, როგორც მე მგონია, ჩვენი აზროვნებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ როგორც არ უნდა გამოვხატოთ ჩვენი ცოდნა, გამოცდილებითი ცოდნა ღმერთის შესახებ, ადამიანის, სამყაროს, სულიერი საუფლოს შესახებ, ეს მ ხ ო ლ ო დ გამოხატვაა; და რომ თვით წმინდა წერილიც, როგორც გამოცხადება — ეს არის გამოცხადება ადამიანის და არა ღმერთის საზომით; ის გამოცხადებაა იმ აზრით, რომ მასში ნათქვამია ყველაფერი, რასაც ადამიანი შეიძლება ჩასწვდეს ღმერთის შესახებ, მაგრამ არა ყველაფერი, რაც ა რ ი ს ღმერთი. ის არის გამოხატვა იმისა, რაც უნდა გადმოიცეს ადამიანური სიტყვით, მ ხ ო ლ ო დ ეს არის.

და ამიტომ, როგორი წმინდაც, როგორი ძვირფასიც არ უნდა იყოს ჩვენთვის ესა თუ ის ჭეშმარიტება, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის — აღნიშვნა და არა თავად საგანი. მხოლოდ ერთადერთხელ იყო, რომ ერთმანეთს ს ა ვ ს ე ბ ი თ დაემთხვა და შეერწყა რეალობა და ჭშმარიტება: ეს მოხდა იესო ქრისტეში, რომელიც ამბობს, მე ვარ ჭეშმარიტებაო (იოანე, 14, 6). ის არის ღმერთი და გამოცხადება ღმერთის შესახებ. მაგრამ აქ სხვა რამეს ვხვდებით: კერძოდ, იმას, რომ ქრისტე, როგორც ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა, გვევლინება არა ცნებად, არამედ ცოცხალ არსებად. ჭეშმარიტება ქრისტეში არის არა რაღაც, არამედ ვ ი ნ მ ე. ქრისტე-ჭეშმარიტება ემთხვევა რეალობა-*ღმერთს,* რადგან ეს პიროვნული მოვლენაა. მაგრამ თუ ჩვენ შევეცდებით ქრისტე გამოვხატოთ სიტყვიერად, ხელახლა ვეშვებით ა ღ ნ ი შ ვ ნ ი ს დონეზე...

ღმერთი კი აღემატება ჩვენს ყოველგვარ წარმოდგენას, გვეხსნება გამოთქმად ჭეშმარიტებად და გამოუთქმელ გამოცდილებად, ჭვრეტით მდუმარებაში და ღვთისმეტყველურ დებულებაში, და იხსნება ყოველი გამოხატვის საზღვრებს მიღმა დუმილში და საიდუმლოებებში, რომლებიც ძველი ეკლესიის სწავლების თანახმად წარმოადგენენ კარს ღმერთის შემეცნებისკენ განხმულს, რადგანაც გვევლინებიან გზად ჩვენი მასთან ზიარებისა, მასთან ურთიერთობისა.

ხოლო ურთიერთობა ყოველთვის უფრო ღრმაა, ყოველთვის უფრო ფართო და მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველაფერი ის, რაც შეიძლება მასზე ითქვას. ეს რწმენის საუფლოა. რწმენის საუფლო კი, ღვთისმეტყველური აზრით, არ წარმოდაგენს მხოლოდ ფორმულირებათა სფეროს, არამედ იმ სფეროს, რომელსაც ბერძენი მამები უწოდებდნენ *აპოფატიკურ ღვთისმეტყველებას:** ღვთისმეტყველებას, რომელიც ღებულობს ყველა მტკიცებას, მაგრამ ამბობს: როცა ყველაფერი ეს ითქმება, მთელი ღვთაებრივი საიდუმლო რჩება ჩვენს წინაშე, და ამ საიდუმლოში შევდივართ ეკლესიური საიდუმლოებებით, ლოცვითა და მჭვრეტელობითი დუმილით...

* კატაფატიკური (დადებითი) და აპოფატიკური (უარყოფითი) თეოლოგია — ღვთის შემეცნების ორი გზა. პირველი გზის თანახმად, ღმერთზე ლაპარაკობენ მტკიცებით, ცნებებით, იმ ცნებებით, ადამიანური გამოცდილებიდან რომაა წარმოქმნილი. მაგრამ ღმერთის აბსოლუტური ტრანსცენდენტობა მის მიერ შექმნილი სამყაროს მიმართ არ იძლევა საშუალებას, განისაზღვროს იგი ადამიანური გონების ცნებებით. აქედან ჩნდება სხვა გზის აუცილებლობა: ილაპარაკო იმაზე, რადაც ღმერთი არ გვევლინება, რათა ხაზი გაესვას შეზღუდულობასა და ამდენად უკმარობას ყოველი მტკიცებისა იმის შესახებ, თუ რა არის ღმერთი თავის ჭეშმარიტ ყოფიერებაში.

რობერტს ლიარდონი

რობერტს ლიარდონი და მისი წიგნი „ღვთის გენერლები“

რობერტს ლიარდონი ამერიკელი რელიგიური მოღვაწე და მწერალია, კალიფორნიის ქალაქ ირვინგის ქრისტიანული ცენტრის „ემბესი“ დამაარსებელი და მთავარი პასტორი, ფილოსოფიის მაგისტრი და მეცნიერებათა კანდიდატი რელიგიური განათლებისა და ეკლესიის ისტორიის შესწავლის სფეროში.

ჯერ კიდევ რვა წლის ასაკიდან რობერტსმა გააცნობიერა თავისი მოწოდება და თავისი ცხოვრება მთლიანად ღვთის საქმეს მიუძღვნა. სრულიად ახალგაზრდამ მოიარა მსოფლიოს ოთხმოცზე მეტი ქვეყანა, სადაც ფართო აუდიტორიების წინაშე ღვთის სიტყვას ქადაგებდა. თავის უმთავრეს მოწოდებად ლიარდონი იმთავითვე შეიგრძნობდა ეკლესიისა და მის დიად წარმომადგენელთა ისტორიის შესწავლას და ამ ცოდნის სხვებისთვის გადაცემას. სკოლის ასაკიდანვე საოცარი გულმოდგინებით აგროვებდა ყველანაირ შესაძლო ინფორმაციას სამი დიდი ქრისტიანული მოძრაობის — ორმოცდაათიანელთა, ქარიზმატული და ღვთიური განკურნების ეკლესიების — წინამძღოლთა შესახებ, რომელიც შეაჯამა წიგნში „ღვთის გენერლები“. ის დღესაც განაგრძობს კვლევას მის მიერ კალიფორნიაში დაარსებული გამოღვიძების მოძრაობის მოღვაწეთა ისტორიის მუზეუმის ბაზაზე.

რობერტს ლიარდონის მსახურებისაკენ მოწოდებას ორმხრივი წინაპირობა ჰქონდა, რაც დამახასიათებელია ზოგადად მისი ქვეყნის რელიგიური მოღვაწეებისათვის: ერთი მხრივ, ამას ხელი შეუწო მძლავრმა ოჯახურმა ტრადიციამ, მეორე მხრივ კი, მან საკუთარი რელიგიური გამოცდილების შედეგად შეისმინა უფლის მოხმობა და გაჰყვა მას. აი, რას წერს წიგნის წინასიტყვაობაში ავტორის დედა, ქეროლ ლიარდონი, მეცნიერებათა ბაკალავრი, რომელიც მხარში უდგას შვილს მის რელიგიურ მოღვაწეობაში და რობერტს ლიარდონის მისიის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ: „მისი სულიერი ინტერესი ორი მიმართულებით ვითარდებოდა. ჯერ ერთი, როდესაც რობერტსი პატარა ბიჭი იყო, რელიგიური საკითხებისადმი ინტერესს დედაჩემი უღვივებდა. ის უამბობდა დიდ ღვთისმსახურთა შესახებ, რომელთა კარვებში გამართულ საჯარო ღვთისმსახურებებს თვითონ ესწრებოდა. ბებია ისე ხატოვნად და ცოცხლად აღუწერდა ყოველივეს, რომ თითოეული მონათხრობი ბავშვისთვის გაკვეთილს წარმოადგენდა. მეორე მხრივ, როდესაც რობერტსი თორმეტი წლის გახდა, მას უფალი გამოეცხადა და მიუთითა, ღვთის დიადი ადამიანების ცხოვრება შეესწავლა. უფალმა უთხრა რობერტსს, რომ ეს შესწავლა მისი მომავალი მსახურებისათვის მზადების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა ყოფილიყო.“

1996 წელს პირველად გამოცემულ წიგნში „ღვთის გენერლები“ ლიარდონმა მოგვითხრო XIX-XX საუკუნეების თორმეტი გამოჩენილი ამერიკელი პიროვნების შესახებ, ვისი ქადაგებანი და განკურნებანი, საქველმოქმედო თუ საგანმანათლებლო საქმიანობა მათი მიმდევრების ხსოვნაში წარუშლელ კვალად დარჩა. საოცარია ის სილაღე, უბრალოება და სიხალისე, რომლითაც ავტორი საუბრობს ამ მოძღვართა შესახებ და რომელიც საერთოდ დამახასიათებელია ამერიკის რელიგიურ მოძრაობათა სულისკვეთებისათვის, რაც, ცხადია, ხელს არ უშლის, მოწიწებითა და სერიოზულობით მოიაზროს მათი ცხოვრება და საქმიანობა. „ჯონ ალექსანდერ დაუი — მკურნალი მოციქული“, „უილიამ ჯ. სეიმური — ორმოცდაათიანელთა მოძრაობის კატალიზატორი“, „უილიამ ბრენჰემი — განსაკუთრებულ გამოცხადებათა და სასწაულთა ადამიანი“, — აი, წიგნის ზოგიერთი თავის სახელწოდება. ამგვარი განდიდების მიუხედავად, ავტორი ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს როდი გვთავაზობს: მისთვის მნიშვნელოვანია ამ ადამიანთა მიერ განვლილი ურთულესი გზის მოხაზვა, ის გვიჩვენებს მათ ცდომილებებსა და შინაგან ბრძოლას, რათა დაარწმუნოს მკითხველი იმაში, რომ, როგორც დოქტორ მორის სერულო გვეუბნება წიგნის შესავალში, „თითოეული, თვით ყველაზე მცირე და, თითქოსდა, უმნიშვნელო პიროვნება ღმერთს შეუძლია თავისი საქმისათვის გამოიყენოს... ეს წიგნი გიჩვენებთ ღვთის გენერალთა როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებსაც. ნათელია, რომ ეს ადამიანის კი არა, ცოცხალი ღვთის მიერ წარმოგზავნილი სულიწმიდის ნამოქმედარია. ღვთისთვის მნიშვნელობა აქვს არა იმას,

თუ რანი ვართ, ანდა იმას, თუ რა არის ჩვენს შიგნით, არამედ იმას, თუ რად ძალუძს მას გვაქციოს!“

თვით რობერტს ლიარდონი ასე საუბრობს ამ ადამიანთა შესახებ: „ჩემს მიერ აღწერილი „გენერლები“ ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ. მათი ამბები ნათლად წარმოგვიჩენს იმას, თუ რა არის ცხოვრება. არ მსურს რომელიმე მათგანი ზეადამიანად ან რობოტად გამოვიყვანო. მოგითხრობთ მათი ცრემლების, მათი სიცილის, მათი წარმატებისა და დაცემის შესახებ. ყოველ მათგანს სდევნიდნენ, ცილს სწამებდნენ, ღალატობდნენ, მაგრამ, ამავე დროს, მათ წილად ერგოთ გარშემომყოფთა მოწიწებაც, სიყვარულიცა და თანადგომაც. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ შევეცადე, მათი ძალის საიდუმლო მსახურებისაკენ მოწოდებაში აღმომეჩინა — თუ როგორ მოქმედებდნენ, რისი სწამდათ და რა წარმართავდა მათ ძალებს ადამიანთა თაობების შესაცვლელად და ღმერთთან მისაყვანად. ამ დიდი ადამიანების ცხოვრებაში მომხდარი დამარცხებები სხვებთანაც შეიძლება განმეორდეს. მაგრამ მათი წარმატებებიც ჩვენსკენ მომართულ მოწოდებად უნდა მივიღოთ და მათ გამეორებას შევეცადოთ. არაფერია ახალი ამ მზისქვეშეთში. თუკი თქვენ აღმოაჩენთ რაიმე თქვენთვის ახალს, ეს — იმიტომ, რომ თქვენ თვითონ ხართ ახალი ამ სამყაროში. ღვთის ნების აღსასრულებლად მხოლოდ სურვილი არ კმარა. საამისოდ სულიერი ძალებია აუცილებელი. ამ წიგნის კითხვისას ენდეთ სულიწმიდას, რათა მან თქვენი ცხოვრების იმ სფეროებზე მიგითითოთ, მეტ ყურადღებას ან მორჩილებას რომ მოითხოვს თქვენგან...“

გთავაზობთ ამ წიგნის ერთ-ერთ თავს საოცარი მკურნალი და ქადაგი ქალის შესახებ, რომელიც ათასობით ადამიანის თვალწინ ახდენდა სასწაულებს.

მთარგმნელისაგან

კეტრინ კულმანი
„ქალი, რომელსაც სასწაულების სწამდა“

ფრაგმენტი წიგნიდან „ღვთის გენერლები“

„ასობით ადამიანი იკურნებოდა მხოლოდ და მხოლოდ აუდიტორიაში დასწრებისას, არავითარი დემონსტრაცია თუ მსგავსი რამ არ ხდებოდა. ძალზე ხშირად ქადაგებაც კი არ ისმოდა და ერთი საგალობელიც კი არ სრულდებოდა.

არანაირი ხმამაღალი დემონსტრაცია, ღვთისადმი მიმართული შეძახილები, — გეგონება ყრუ იყოს და ხმადაბალი სიტყვა არ ესმოდეს. სრულ სიჩუმეში მართლაც იგრძნობოდა ღვთის უხილავი თანდასწრება. ასობით შემთხვევა იყო, როდესაც სულიწმიდის თანამონაწილეობა იმდენად რეალურად შეიგრძნობოდა, რომ რამდენიმე ათასი გულის ფეთქვა ერთ მთლიან გულისცემად ისმოდა“.[1]

ამ სრულ სიჩუმეში ისმის ხმა, რომელიც ამბობს: **„მეეე — მჯეეეეეეეერა სასწაულებიიიიის!“** ერთბაშად ისმის ტაშის გრიალი და ათასობით მაყურებლის წინაშე განათებულ არეში მაღალი, თხელი, თეთრკაბიანი ფიგურა ჩნდება. ის სცენის შუაგულში გამოცურდება და იწყება კეტრინ კულმანის კიდევ ერთი სასწაულებრივი მსახურება.

თავისი საერთაშორისო მსახურებით მის კულმანმა საფუძველი ჩაუყარა სულიწმიდის ზეგავლენას მთელ მსოფლიოში მცხოვრები ათასობით ადამიანის ცხოვრებაზე. მისმა უნიკალურმა მსახურებამ ქრისტეს სხეულს ყურადღება გადაატანინა სულიწმიდის ზებუნებრივი მადლის გარეგნული გამოხატულებებიდან კვლავ ამ მადლის მოქმნიჭებელზე, ანუ თვით სულიწმიდაზე.

მისი მსახურების წინასწარმეტყველურმა ჟღერადობამ ნათლად დაგვანახა, თუ როგორი

[1] Roberts Liardon, *Kathryn Kuhlman: A Spiritual Biography of God's Miracle Working Power* (Laguna Hills, CA: Embassy Publishing Company, 1990), 68.

იქნება მერმისის ეკლესია. ეს ფაქტობრივად მომავლის ეკლესიათა წინასწარმეტყველებად იქცა.

თუმცა საკუთარ თავს **„ჩვეულებრივ ადამიანს“** უწოდებდა, სინამდვილეში კეტრინი უნიკალური პიროვნება გახლდათ. ბევრი ეცადა, მისი ხმისა და თეატრალური მოძრაობებისათვის მიებაძა, მაგრამ ამაოდ. სხვებმა გადაწყვიტეს მისი უნიკალური ღვთითცხებული ნიჭი ტექნიკად და მეთოდებად ექციათ, მაგრამ არც ეს გამოუვიდათ.

ღმერთს მადლობას ვწირავ კეტრინ კულმანისთვის. ის მოგვევლინა მაგალითად იმ ადამიანისა, ვინც ღვთის მსახურების საზღაური უშიშრად გადაიხადა. მადლობელი ვარ იმ გამოცდილებისათვის, რაც მისმა ცხოვრებამ შემასწავლა. და ამ ტექსტში მსურს მისი რამდენიმე გაკვეთილი გაგიზიაროთ, მათ შორის თვით მისი გამონათქვამების საფუძველზეც.

წითური თმები და ჭორფლები

ქალაქი კონკორდია მისურის შტატში გერმანელმა ემიგრანტებმა დააარსეს, რომლებმაც აქ ჩამოსვლა XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყეს. კეტრინის დედა, ემა ვალკენჰორსტი 1891 წელს ცოლად გაჰყვა ჯოზეფ კულმანს. მის სკოლაში შემონახული ჩანაწერის თანახმად, კეტრინ ჯოანა კულმანი 1907 წლის 9 მაისს კონკორდიასაგან ხუთიოდე მილის დაშორებით მდებარე საოჯახო ფერმაში დაიბადა. სახელი კეტრინი ორი ბებიის საპატივცემულოდ დაარქვეს. დაბადების მოწმობა არასოდეს ჰქონია, რადგანაც შტატ მისურის კანონების თანახმად, 1910 წლამდე ეს საბუთი სავალდებულო არ ყოფილა.

როდესაც კეტრინს ორი წელი შეუსრულდა, მამამ ასსამოცაკრიანი ფერმა გაყიდა და ქალაქში აიშენა სახლი. კეტრინი მუდამ მას თვლიდა თავის მშობლიურ სახლად.

სკოლის მეგობარი ასე აღწერს კეტრინს ბავშვობაში: „...გრძელი ტალღოვანი წითური თმა და ჭორფლები. კეტრინზე ვერ იტყოდით, ლამაზიაო. არც მოხდენილი ყოფილა, არც ქალურად მომხიბვლელი ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით. ჩვენს სამეგობროში ყველაზე მაღალი იყო (ხუთი ფუტი და ექვსი დუიმი), ბიჭური აღნაგობა და მოუხეშავი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა და იმხელა ნაბიჯებს ადგამდა, რომ მისთვის ფეხის აწყობა გვიჭირდა ხოლმე.“

პატარაობაში კეტრინი „დამოუკიდებლობით, თავდაჯერებულობითა და მიზანმიმართულებით“[2] გამოირჩეოდა. „მამიკოს“ მუდამ საკუთარ ჭკუაზე ატარებდა და, რასაც კი თვითონ მოისურვებდა, თითქმის ყველაფერს აკეთებინებდა. თვით კეტრინის თქმით, მხოლოდ დედა სჯიდა, ის მკაცრი ქალი გახლდათ და კეტრინს საკმარის ყურადღებას არასოდეს უთმობდა. მიუხედავად ამისა, კეტრინი არ განიცდიდა სიყვარულისა და სითბოს დანაკლისს, რადგან ამ ყოველივეს მამისგან იღებდა. მამას იმდენად აღმერთებდა, რომ მისი გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის შემდეგაც კი თვალზე ცრემლმომდგარი ლაპარაკობდა მასზე.

ერთხელ, როდესაც კეტრინი ათიოდე წლისა იყო, მან გადაწყვიტა დედისათვის ესიამოვნებინა და მის დაბადების დღეს საზეიმო წვეულება მოეწყო.

იმაზე კი არ უფიქრია, რომ დედის დაბადების დღე ორშაბათს ემთხვეოდა. უკლებლივ ყველა მეზობელი შემოიარა და სთხოვა, ორშაბათს მათთან ნამცხვრებით მისულიყვნენ.

ორშაბათობით კულმანების სახლში სარეცხის რეცხვა იყო დაწესებული. კვირის სხვა ნებისმიერ დღეს ემა თავიდან ფეხებამდე საუკეთესო ტანისამოსით იმოსებოდა, რადგან არასოდეს იცოდა, როდის შეიძლებოდა სწვეოდნენ სტუმრები, ხოლო ვინმეს რომ სამუშაო ტანსაცმელით ენახა, ამაზე გაფიქრებაც კი ზარავდა.

დადგა ორშაბათი დღე და ემა კულმანი რეცხვისთვის მოემზადა. ფეხშიშველა იდგა და მოთუხთუხე გობში სარეცხს ურევდა, თმა ოფლში გაწურული, ტანისამოსი კი სველი და ჭუჭყიანი ჰქონდა. გაისმა კაკუნი და კართან მისულმა ემამ საზეიმოდ გამოწყობილი მეზობლები დაინახა. მათ წინაშე ასე უბადრუკად წარმსდგარ, რეცხვით დაქანცულ ქალს სასტიკად შეელახა თავმოყვარეობა და გულის სიღრმეში გადაწყვიტა, კეტრინთან მოგვიანებით გაესწორებინა ანგარიში.

[2] Helen Hosier, *Kathryn Kuhlman: The Life She Led, the Legacy She Left* (Wheaton, IL: Tyndale House Publishers, 1971), 38.

და მართლაც გაასწორა! ემა კულმანმა გოგონა აიძულა, სტუმრების მორთმეული მთელი ნამცხვრები ფეხზე მდგარს შეეჭამა.

მამამ კეტრინს ბიზნესის საფუძვლები შეასწავლა. მას საკუთარი თავლა ჰქონდა. კეტრინს მასთან ერთად უყვარდა სიარული ფინანსური ბალანსის გასასწორებლად და შემდგომში ამბობდა, ბიზნესის სფეროში თუკი რამე ცოდნა მაქვს, მამას ვუმადლიო.

„მამა! იესო ჩემს გულში შემოვიდა!“

თოთხმეტი წლის ასაკში კეტრინმა მეორე, სულიერი დაბადება განიცადა. თავისი სიცოცხლის მანძილზე არაერთხელ მოუყოლია ის, თუ როგორ გამოეხმაურა ამ გასაოცარ მოვლენას, რომელიც აშკარად ამა თუ იმ ადამიანისაგან კი არა, თვით სულიწმიდისაგან მოდიოდა. ის იზრდებოდა არა იმდენად სულიერ, რამდენადაც „რელიგიურ“ გარემოცვაში და ეკლესიას, რომელშიც დადიოდა, მისთვის სასოება არასოდეს მიუნიჭებია.

კეტრინი ასე იხსენებს ამ მოვლენას:

„დედის გვერდით ვიდექი, ეკლესიის საათზე თორმეტს ხუთი წუთი უკლდა. არ მახსოვს არც ღვთისმსახურის სახელი, არც მისი ქადაგების თემა, მხოლოდ ის ვიცი, რომ ერთბაშად რაღაც დამემართა. ამას დღესაც ისევე რეალურად განვიცდი, როგორც მაშინ, ეს ყველაზე რეალური რამაა, რაც კი ოდესმე შემემთხვა.

ვიდექი და ისეთი კანკალი ამივარდა, რომ ლოცვანს ხელში ვეღარ ვიჭერდი. მერხზე დავდე და... ქვითინი დავიწყე. მთელი არსებით შევიგრძენი ბრალდების სიმძიმე და მივხვდი, რომ ცოდვილი ვარ. თავი მსოფლიოში ყველაზე უბადრუკ არსებად ვიგრძენი. მაგრამ მე ხომ მხოლოდ თოთხმეტი წლის ვიყავი.

...მივხვდი, რომ ერთადერთი რამის გაკეთება შემეძლო: ხალხში გავძვერ-გამოვძვერი, პირველ რიგს მივუახლოვდი და მერხზე ჩამოვჯექი. ვტიროდი, ოჰ, როგორ ვტიროდი!

ამქვეყნად უბედნიერესი ადამიანი ვიყავი. დიდი სიმძიმე ჩამომეხსნა. მაშინ განვიცადე ის, რასაც დღემდე თან დავატარებ. სულიერად დავიბადე, სულიწმიდამ სწორედ ის გააკეთა, რაც იესომ თქვა მის შესახებ იოანეს სახარებაში (16:8).“[3]

კეტრინის მამა სამზარეულოში იმყოფებოდა, როდესაც გოგონამ შინ შემოირბინა, რათა მისთვის თავისი სიხარული გაეზიარებინა. მიჩვეული იყო მამისთვის ყველაფრის მოყოლას.

როგორც თავადვე იხსენებს, მამასთან მივარდა და უთხრა: **„მამა, იესო ეს-ესაა ჩემს გულში შემოვიდა“.**

მან ყოველგვარი ემოციების გარეშე უბრალოდ უპასუხა: „მოხარული ვარ“.

კეტრინი ბოლომდე ვერასოდეს დარწმუნდა იმაში, ჩასწვდა თუ არა მამა შვილის ამ სიტყვებს. წესით ის დედის მეთოდისტურ ეკლესიას კი არა, — მამის ბაპტისტურ ეკლესიას უნდა შეერთებოდა, მაგრამ მაშინაც კი უკვე საკუთარ ნებაზე წყვეტდა ყოველივეს.

როგორც თვითონ ამბობს, არასოდეს ყოფილა დარწმუნებული იმაში, რომ მამამისს სულიერი დაბადება ჰქონდა განცდილი. ზოგჯერ გამოთქვამდა ამის რწმენას, მაგრამ კერძო საუბრებში არაერთხელ გაუმხელია, რომ ამაში ეჭვი ეპარებოდა.

ერთ რამეში დარწმუნებული იყო: მამას ქადაგები სძულდა. თუკი ჯოზეფ კულმანს ქუჩაში ქადაგი შემოხვდებოდა, მეორე მხარეს გადადიოდა, რათა მასთან არ ელაპარაკა. მისი აზრით, „ყველა ქადაგი მხოლოდ ფულის გულისთვის ქადაგებს“. ეკლესიაში მხოლოდ დღესასწაულებზე დადიოდა, ანდა იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც იქ კეტრინი გამოდიოდა სიტყვით. რამდენადაც ეს შვილმა იცოდა, მამა არასოდეს ლოცულობდა და არასოდეს კითხულობდა ბიბლიას.

მათი პირველი ხვევნა

კეტრინისთვის ეკლესიაში სიარული ისეთივე მნიშვნელოვანი გახლდათ, როგორც სამსახურში სიარული. ის დედასთან ერთად მეთოდისტურ ეკლესიაში დადიოდა. სწორედ იქ განიცადა

[3] Hosier, *Kathryn Kuhlman: The Life She Led, 32-33.*

1921 წელს სულიერი დაბადება. მაგრამ 1922 წლიდან მთელი ოჯახი ოფიციალურად ბაპტისტური ეკლესიის წევრად ირიცხება. თუმცა კეტრინი კონკრეტული დენომინაციური გარემოდან გამოვიდა, შემდგომ წლებში მისმა მსახურებამ ეკუმენისტური ხასიათი მიიღო და ის თავისუფლად გრძნობდა თავს ყველა სახის ეკლესიაში, დაწყებული ორმოცდაათიანელთა ეკლესიით, დამთავრებული კათოლიკურით. კეტრინ კულმანის მსახურებას კონფესიათა საზღვრები არ აბრკოლებდა. ის უარს ამბობდა რომელიმე ერთი დენომინაციის წევრობაზე და საკუთარ მსახურებას არცერთ ორგანიზაციას არ უკავშირებდა. კავშირს მხოლოდ ღმერთთან ამყარებდა.

კეტრინის ყმაწვილობის პერიოდში დედამისი ახალგაზრდებს მეთოდისტურ ეკლესიაში ასწავლიდა. ერთ-ერთი მეზობლის თქმით, მისის კულმანი „ბიბლიის არაჩვეულებრივად კარგი მასწავლებელი გახლდათ და კეტრინმა და მისმა და-ძმამ შინ უეჭველად მშვენიერი აღზრდა მიიღეს“. იგივე მეზობელი ყვება, რომ კულმანების ოჯახში საღამოობით ვიღაც გალობდა, ვიღაც კი პიანინოზე უკრავდა[4].

დედა ეკლესიის კარგი პედაგოგი იყო, მაგრამ 1935 წლამდე პრაქტიკულად არ განუცდია ზეგარდმო დაბადება: ეს დენვერში, კეტრინის ერთ-ერთი მსახურების დროს მოხდა.

მაშინ კეტრინმა დედას თავის მსახურებაზე დასწრება სთხოვა. პირველი შეკრების შემდეგ კეტრინი კათედრის უკან სამლოცველო ოთახში შევიდა, რათა მათთვის ელოცა, ვინც მის მოხმობას გამოეხმაურა და ღვთის მადლის მისაღებად მოვიდა. სამლოცველოში დედა შემოვიდა და შვილს უთხრა, მსურს, ისევე კარგად გავიცნო იესო, როგორც შენ იცნობო.

„გულაჩუყებულმა კეტრინმა ხელები გაიწვდინა და დედას კეფაზე შეეხო. იმავე წუთს დედა აცახცახდა და ატირდა. ეს იგივე ცახცახი და ცრემლები იყო, კეტრინს რომ დაატყდა თავს, როდესაც დედის ზურგსუკან იდგა პატარა მეთოდისტურ ეკლესიაში. მაგრამ ამჯერად სრულიად ახალი რამ მოხდა. დედამ თავი ასწია და ალაპარაკდა, ჯერ ნელა, მერე კი სულ უფრო სწრაფად. მაგრამ ეს არ ყოფილა ინგლისური სიტყვები, ეს უცნობ ენაზე წარმოთქმული, კრიალა, სუფთა ბგერები გახლდათ.

კეტრინი მის გვერდით მუხლებზე დაემხო, ერთდროულად იცინოდა და ტიროდა კიდეც. ემამ თვალები გაახილა და კეტრინს მაგრად მოეხვია. ეს დედა-შვილის პირველი ხვევნა იყო.“

ამის შემდეგ დედას სამი დღე-ღამე არ სძინებია. ის სულ სხვა ადამიანად იქცა და ვიდრე თავის სიცოცხლეს კონკორდიაში აღასრულებდა, ემა კულმანმა სულიწმიდასთან უახლოესი და უფაქიზესი კავშირი შეინარჩუნა.

ევანგელისტი მხევალი

ღვთისაგან მოწოდებული ადამიანები იმით გამოირჩევიან, რომ საკუთარი ნებით მიჰყვებიან მის წინამძღოლობას. 1913 წელს კეტრინის უფროსი და მირტლი ცოლად გაჰყვა ახალგაზრდა, წარმოსადეგ ევანგელისტს, რომელსაც მოუდის ბიბლიურ ინსტიტუტში სწავლის კურსი ეს-ეს იყო დაესრულებინა. მირტლმა და მისმა მეუღლემ, ევერეტ პაროტმა ღია ცის ქვეშ, კარვებში ევანგელისტური მსახურება დაიწყეს. გავიდა ათიოდე წელი და კეტრინმა და მირტლმა მშობლები იმაში დაარწმუნეს, რომ ღვთის ნებით კეტრინმაც მათთან ერთად უნდა იმოგზაუროს.

ამ დროისათვის ორეგონში მცხოვრები პაროტის ოჯახი დაუახლოვდა დოქტორ ჩარლზ პრაისს, რომელიც იქ მსახურებდა და კურნავდა. მან ამ ოჯახს სულიწმიდით ნათლობა შესთავაზა. თავისთავად ეს განცდა მშვენიერი იყო, მაგრამ ცოლ-ქმარ პაროტების ქორწინება ბედნიერი არ ყოფილა, მოგვიანებით კი მათ პრობლემებს ფინანსური სირთულეებიც დაემატა.

ამ გარემოებების გამო კეტრინის ადგილას სხვას საკუთარი თავისადმი სიბრალული გაუჩნდებოდა, ის კი ამის მაგიერ ცდილობდა, პაროტების საოჯახო საქმეები თავის თავზე აეღო, ორშაბათობით მთელი სარეცხის რეცხვა ითავა, სამშაბათობით კი მთელ თეთრეულს აუთოვებდა.

[4] Hosier, *Kathryn Kuhlman, 44.*

მისი ხასიათის ნაკვთი

ამ პერიოდში კეტრინი არა მხოლოდ არასახარბიელო პირობებში ცხოვრებას მიეჩვია, არამედ ერთხელ და სამუდამოდ ჩაიკლა გულში საკუთარი თავის მიმართ სიბრალული. მოგვიანებით სულიერი ზრდის ამ გამოცდილებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მის ქადაგებებში. აშკარაა, რომ ამგვარ თვისებებს სიყმაწვილეშივე არ მისცა მის ცხოვრებაში დამკვიდრების უფლება, სულერთია, რა განსაცდელიც არ უნდა შეხვედროდა.

„უფრთხილდით ისეთ ადამიანებს, ვისაც გულწრფელად ბოდიშის მოხდა არ შეუძლია, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი — თქვენი ოჯახის წევრები, თანამშრომლები თუ ხელქვეითები. ასეთი ადამიანები ძალზე ეგოცენტრულნი არიან.

აი, რატომ ვიმეორებ ისევ და ისევ, რომ ერთადერთი ადამიანი, ვისაც იესო ვერ შველის, ერთადერთი, ვისაც ცოდვები არ მიეტევება, ისეთი ადამიანია, ვინც არ ამბობს: „პატიებას ვითხოვ ჩემი ცოდვებისათვის“. ...ასეთი ეგოცენტრული ადამიანი, როგორც წესი, ავადმყოფობებს მაგნიტივით ისრუტავს“[5].

კეტრინი ადრევე მიხვდა, რომ ეგოცენტრულობა და „ეგოსთან“ დაკავშირებული ყველა ცოდვა, როგორიცაა საკუთარი თავისადმი სიბრალული, საკუთარი თავისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება და საკუთარი თავის სიძულვილიც კი, ადამიანს თვითგანსჯას აიძულებს და საკუთარი თავისადმი განაჩენს თავადვე გამოატანინებს, ეს კი მის ცხოვრებაში სულიწმიდის მუშაობას აფერხებს.

კეტრინი მუდამ ამბობდა, რომ სულიწმიდის მოქმედება ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება განიცადოს, თუკი მზადაა ამის საფასური გადაიხადოს.

„საფასურის გადახდა“ კი ერთჯერად გამოცდილებას არ წარმოადგენს. საწყის წერტილად ჭეშმარიტი ხელდასხმა გვევლინება, როდესაც ადამიანი გადაწყვეტს, სიცოცხლის თითოეული დღე ღმერთს შესწიროს.

კეტრინს არაერთხელ შეეძლო ყურადღება არ მიექცია იმ შესწორებებისათვის, რომელიც სულიწმიდას მის ცხოვრებაში შეჰქონდა, მაგრამ ქრისტეს სხეულისათვის საბედნიეროდ ის მუდამ სწორ გადაწყვეტილებებს იღებდა და მისაბაძი მაგალითიც დაგვიტოვა.

რაღა უნდა იქადაგო?

კეტრინმა ხუთი წელიწადი დაჰყო თავის დასა და მის მეუღლესთან ერთად და ამ პერიოდში საკუთარ მსახურებას ჩაუყარა საფუძველი. საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული, რათა მათთან ყოფნით ცოლ-ქმარი არ დაემძიმებინა, და, გარდა ამისა, ბევრ დროს ატარებდა კითხვასა და უფლის სიტყვის შესწავლაში.

1928 წელს პაროტების ოჯახი აიდახოს შტატის ქალაქ ბოისში ჩავიდა. ამ დროისათვის უკვე შეიძინეს კარავი და ჰყავდათ პიანისტი ქალი, ელენ გალიფორდი. მაგრამ მათი საოჯახო პრობლემები დღითიდღე მწვავდებოდა, ამიტომაც გადაწყდა, რომ ევერეტი სამხრეთ დაკოტაში გაემგზავრებოდა, ხოლო მირტლი, კეტრინი და ელენი ბოისში განაგრძობდნენ მსახურებას.

ორი კვირის შემდეგ შემოწირული თანხა საკმარისი აღმოჩნდა შენობისა და მოკრძალებული ბინის დასაქირავებლად და საკვების შესაძენად. მწირად ცხოვრობდნენ, მხოლოდ პურსა და თევზს სჯერდებოდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ მირტლმა იგრძნო, რომ მეუღლესთან უნდა გამგზავრებულიყო. კეტრინსა და ელენს კი პაროტებთან ერთად მოგზაურობის გაგრძელება ვერანაირ პერსპექტივას ვეღარ ჰპირდებოდა, ამიტომ ახალი აღთქმის ხანაში პავლესა და ბარნაბას მსგავსად, მათაც გაყოფა გადაწყვიტეს. ბოისის ადგილობრივმა პასტორმა შესთავაზა, მისიად გადაკეთებული პატარა საცურაო აუზის შენობაში ექადაგათ. ასე დაიწყო კეტრინ კულმანის მსახურება.

„პატარა აუზის“ შემდეგ კეტრინმა აიდახოს შტატის ქალაქ პაკატელოში გადაინაცვლა, სადაც ყოფილი ოპერის შენობაში ქადაგებდა. შენობა ძალიან მოუვლელი იყო და დასუფთავებას საჭიროებდა. უკვე მიხვდებოდით, თუ ვინ იტვირთა ეს საქმე: რა თქმა უნდა, თვით ევანგე-

[5] კულმანის ქადაგება: „ვაკეთოთ არა ის, რაც გვსურს, არამედ ვისურვოთ ის, რისი კეთებაც გვმართებს“.

ლისტმა მხევალმა. ზამთრის მიწურულს იქიდან ტუინ-ფოლზში გაემგზავრნენ, სადაც კეტრინი ყინულზე წაიქცა და ფეხი მოიტეხა. თუმცა ექიმმა ორი კვირის განმავლობაში აუკრძალა სიარული, კეტრინმა თაბაშირში ჩასმული ფეხით მაშინვე განაგრძო ქადაგება. არასოდეს აძლევდა უფლებას საკუთარ ხორცს, მისთვის ღვთის ნების აღსრულებაში შეეშალა ხელი.

ერთხელ კეტრინმა ასეთი რამ თქვა:

„აიდახოში იმ პირველი ქადაგების შემდეგ დანამდვილებით ვიცი, რომ მთლიანად ღმერთს ვეკუთვნი. იესო რეალობად მექცა და ჩემი გული სწორ მდგომარეობაში მოექცა.“[6]

ოთხი თუ ხუთი ქადაგების შემდეგ იუმორით განაცხადა:

„გავიფიქრე: რაღა უნდა ვიქადაგო-მეთქი. ბიბლიაში მეტი აღარაფერია ისეთი, რის შესახებაც არ მილაპარაკია. მთელი სიცოცხლის მანძილზეც კი ვეღარ მოვიფიქრებ ახალ თემას.“[7]

სულით ძლიერი ყველანაირ პირობებს იტანს

იმ ადრეულ წლებში ხშირად უბადრუკ პირობებში უწევდათ ცხოვრება. ერთხელ იმ სახლში, სადაც უნდა გაჩერებულიყვნენ, ადგილი არ აღმოჩნდა და ინდაურების ქოხის გამოსუფთავება მოუწიათ. კეტრინი ხშირად ამბობდა, რომ თივის ზვინშიც კი სიხარულით გაათევდა ღამეს, ქადაგების იმდენად ძლიერი მოთხოვნილება ამოძრავებდა. მოგვიანებით ხშირად სიცილით იხსენებდა, როგორ კეტავდა კარს და არავის უშვებდა გარეთ, ვიდრე არ დარწმუნდებოდა, რომ ღვთის მადლი ყველა დამსწრეზე გადმოვიდა. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობა გახლდათ, მაგრამ მას მართლაც შეეძლო გათენებამდე მდგარიყო საკურთხეველთან და მასთან ერთად ელოცა, ვისაც რაღაც არ გამოსდიოდა.

ბევრგან, სადაც კეტრინს უხდებოდა გაჩერება, შესაძლოა, ინდაურების ქოხის მსგავსი სიბინძურე არ ყოფილა, მაგრამ, სამაგიეროდ, ციოდა. იმხანად სტუმრებისათვის განკუთვნილ ოთახებს არ ათბობდნენ. შემდგომში ყვებოდა, საბნებში როგორ იფუთნებოდა, რათა როგორმე გაეთბო ის ადგილი, სადაც იწვა. შემდეგ მუცელზე წვებოდა და საათობით კითხულობდა წმინდა წერილს.

მან თავისი გული ღმერთს „მიჰყიდა“. ეს მისი მსახურების საიდუმლო გახლდათ. მთელი გულით ესწრაფოდა იესოს. გადაწყვიტა მისი ერთგული ყოფილიყო და სულიწმიდა არ გაეწბილებინა.

ადრეულ წლებში კეტრინს ხასიათის კიდევ ორი თვისება განუვითარდა — საქმისადმი თავდადება და ღვთისა და მისი ხალხისადმი ერთგულება. თანდაყოლილი თვისებების საფუძველზე კეტრინი გამუდმებით ხვეწდა საკუთარ სულიერ ცნობიერებას.

კეტრინის „ერთგულება“

რა უნარჩუნებს ადამიანს ღვთის ხელდასხმას? კეტრინის პასუხი ასეთია: „ერთგულება“.

„სიტყვა *ერთგულება* ჩვენს დროში თავის განსაკუთრებულ საზრისს კარგავს, რადგან უაღრესად იშვიათად გვხვდება... ერთგულება რაღაც შეუცნობელია. ის სიყვარულს ჰგავს. მისი წვდომა მხოლოდ მისი გამოვლინებისას შეიძლება. *სიყვარული ქმედებაა* და იგივე შეიძლება ითქვას ერთგულებაზეც. ერთგულება პატიოსნებას, თავდადებას, მოწოდებას ნიშნავს.

...ჩემი გული უცვლელად მას ეკუთვნის და რადაც არ უნდა დამიჯდეს, მისი ერთგული დავრჩები. ერთგულება ბევრად მეტია, ვიდრე ვინმეს ან რამის მიმართ შემთხვევითი ინტერესი. ეს პირადი ხელდასხმაა. საბოლოო ჯამში ერთგულება ამას ნიშნავს: „მე აქ ვარ. შეგიძლია ჩემი იმედი გქონდეს. არასოდეს გიმტყუნებ“.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსახურებისათვის მოწოდებული ადამიანის ერთგულება გულისხმობს, რომ ამ მოწოდებაზე ის არასოდეს იტყვის უარს. ამას ნურც რამეს მიამატებთ, ნურც მოაკლებთ, უბრალოდ ეს აკეთეთ. კეტრინის თქმით, როდესაც ადამიანები საკუთარი მოსაზრებებით მოქმედებენ, მათი ერთგულება ღვთისაგან მათსავე პიროვნებაზე ინაცვლებს.

---

[6] კულმანის ქადაგება: „გზა სიცოცხლის უმაღლესი სათნოებისაკენ“.

[7] The Kathryn Kuhlman Foundation, *Heart to Heart with Kathryn Kuhlman, 58.*

მსურს იყოს დიიიიდი!

აიდახოში ქადაგების შემდეგ კეტრინი და ელენი კოლორადოში ჩავიდნენ. ექვსი თვე დაჰყვეს პუებლოში, შემდეგ კი დენვერში მოხვდნენ. პუებლოში კეტრინს შემოუერთდა ბიზნესმენი ერლ ფ. ჰევიტი, რომელიც ამიერიდან მისი მენეჯერი გახდა. 1933 წელს დეპრესია მძვინვარებდა, საწარმოები იხურებოდა, მილიონობით ადამიანი კარგავდა სამსახურს და ეკლესიებსაც გადარჩენისათვის უწევდათ ბრძოლა.

კეტრინი მოგზაური ევანგელისტი გახლდათ და არავითარი ფინანსური მხარდაჭერა არ გააჩნდა რომელიმე დენომინაციისაგან, მაგრამ მას დიადი ღვთისა სწამდა, ვისი რესურსებიც უშრეტია. სწამდა, რომ, თუკი შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების მქონე ღმერთს ემსახურები, მაშასადამე, ის ჭეშმარიტი ღმერთი არ ყოფილა. რწმენისა და ღვთისადმი ნდობის პრინციპებით ცხოვრობდა.

ჰევიტს უთხრა, დენვერში წასულიყო და თავი ისე დაეჭირა, თითქოს მილიონი დოლარი ჰქონდათ. როცა მან შეახსენა, სულ ხუთი დოლარი გვაქვსო, კეტრინმა უპასუხა:

„ღმერთი იმით როდი შემოიფარგლება, რაც გაგვაჩნია ანდა რასაც წარმოვადგენთ. მას შესწევს ძალა, გამოიყენოს და ისევე გაამრავლოს ჩვენი ხუთი დოლარი, როგორც ხუთი პური და ორი თევზი გაამრავლა... გაემგზავრე დენვერში. მოძებნე ყველაზე დიდი შენობა. ელენისთვის საუკეთესო პიანინო შეარჩიე. დარბაზი სკამებით გაავსე. „დენვერ პოსტში“ დიდი რეკლამა განათავსე და ყველა რადიოსადგურს გადაეცი ჩვენს შესახებ განცხადება. ეს ღვთის საქმეა და ისე უნდა ვაკეთოთ, რომ მასშტაბებიც დიდი იყოს — ღვთის საკადრისი!“[8]

ჰევიტმა მისი მითითებები შეასრულა. მის მიერ დაქირავებული შენობა კომპანია მონტგომერი უარდის უზარმაზარი საწყობი გახლდათ. მსახურება ხუთ თვეს გაგრძელდა და ამ ხნის მანძილზე კიდევ ერთი საწყობის შენობა იქირავეს. პირველ საღამოს ასოცი ადამიანი დაესწრო, მეორეს კი — უკვე ოთხასზე მეტი. ამის შემდეგ დარბაზი ყოველ საღამოს ივსებოდა. ხუთი თვის შემდეგ კეტრინმა განაცხადა, რომ მსახურება დასრულებულია, მაგრამ ხალხს ამის გაგონებაც კი არ სურდა. ერთმა მსმენელმა ქირის მუდმივი ანაზღაურება შესთავაზა და მოითხოვა, რომ შემოსასვლელის თავზე დიდი განათებული წარწერა ჩამოეკიდათ: „ლოცვა მდგომარეობას ცვლის“.

ადამიანები ღვთის სიტყვას ესწრაფვოდნენ. მაგრამ კეტრინის ძირითადი გზავნილი ხსნას შეეხებოდა. დროდადრო, როდესაც აუდიტორიას მოუწოდებდა, იესო თავიანთ უფლად და მხსნელად ეღიარებინათ, მსმენელთა რიგებში პასტორები იბადებოდნენ და ღვთისმსახურების მისიას იღებდნენ. კეტრინის მსახურება იმედისა და რწმენის მსახურება იყო. ამ პერიოდში ელენმა ასკაციანი გუნდი ჩამოაყალიბა და თვითონ დაწერა იმ მუსიკის დიდი ნაწილი, რასაც გუნდი ასრულებდა.

ასეთი დიდი გამოხმაურების საპასუხოდ კეტრინი დენვერში დარჩენაზე დათანხმდა. ყველაფერი საუკეთესოდ მიდიოდა, ამიტომაც გადაწყვიტეს მუდმივი შენობა მოეძებნათ. მაგრამ უეცრად კეტრინს მოულოდნელი მხრიდან ტრაგედია დაატყდა თავს.

მამა წავიდა

ცხოვრების პირველი დიდი დრამა კეტრინმა 1934 წლის დეკემბრის მიწურულს განიცადა, როდესაც საყვარელი მამა დაკარგა. მოგვიანებით შეიტყო, რომ ძლიერი ქარბუქის დროს მისი მამა ქუჩაში დავარდა და იგი ყინულზე მოსრიალებულმა მანქანამ გაიტანა.

სწორედ ქარბუქის გამო ახლობლებმა მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ შეძლეს კეტრინისთვის ამ ამბის შეტყობინება. როგორც კი გაიგო, რომ მამა სიკვდილის პირას იყო, კეტრინი მანქანით წამოვიდა დენვერიდან მისურიში კანზასის გავლით. მისივე თქმით, მხოლოდ ღმერთმა იცის, რა სისწრაფით ატარებდა მანქანას, რათა მამისათვის მიესწრო.

30 დეკემბერს კეტრინი კანზას-სიტიში ჩავიდა. იქიდან დარეკა შინ, რათა მამისათვის ეთქვა, რომ უკვე ახლოსაა, მაგრამ მამა იმ დილით გარდაცვლილიყო.

[8] Jamie Buckingham, *Daughter of Destiny: Kathryn Kuhlman... Her Story* (Plainfield, NJ: Logos International, 1976), 57.

შინ ჩასულს მამა კუბოში დახვდა, გარშემო ჭირისუფლები უსხდნენ. ტრავმა კეტრინისთვის თითქმის აუტანელი აღმოჩნდა. მასში გაიღვიძა სიძულვილმა იმ ახალგაზრდა კაცისადმი, ვინც საჭესთან იჯდა და მამის სიკვდილის უნებლიე მიზეზი გახდა.

„მამის დახმარებით მუდამ ბედნიერი ვიყავი. ახლა ის წავიდა და ჩემთვის მანამდე უცხო სიძულვილსა და შიშთან ჭიდილში დამტოვა.

მთელ მსოფლიოში საუკეთესო მამა მყავდა. ჩემს თვალში უბრალოდ არ შეეძლო რაიმე შეცდომის დაშვება. ის ჩემი იდეალი იყო“.

ცხრა წელი გავიდა მას მერე, რაც კეტრინმა სახლი მიატოვა და ამ პერიოდში მხოლოდ იშვიათად სტუმრობდა მშობლებს. ამიერიდან მამა ვეღარასოდეს მოისმენდა მის ქადაგებას. კეტრინი შინაგანად ბრდღვინავდა იმ ახალგაზრდა კაცისადმი სიძულვილით და მამის დაკრძალვის დღემდე ამ გრძნობას ყველა გარშემომყოფზე აფრქვევდა.

„იმ პატარა ბაპტისტური ეკლესიის პირველ რიგში ვიჯექი და კვლავაც არ შემეძლო მამის სიკვდილთან შეგუება. ეს შეუძლებელი იყო... ნათესავები რიგრიგობით დგებოდნენ და კუბოს უახლოვდებოდნენ. ჩემი ორი და, ჩემი ძმა. მხოლოდ მე არ ავმდგარვარ მერხიდან.

დაკრძალვის ორგანიზატორი მომიახლოვდა და მკითხა: „კეტრინ, ხომ გინდა მამასთან დამშვიდობება, ვიდრე კუბოს ავჭედავთ?“

უეცრად გავაცნობიერე, რომ ფეხზე ვდგავარ და დაბლა ვიყურები, ოღონდაც მამის სახეს კი არა, მის მხარს ვუყურებ, რომელსაც ასე ხშირად ვეკვროდი... დავიხარე და კუბოში მწოლიარე მამას მხარზე ნაზად შევეხე. იმავე წამს ჩემში რაღაც მოხდა. თითებით მხოლოდ სამოსს ვეფერებოდი... ამ ყუთში რაღაც ისეთი ესვენა, რაც ოდესღაც მიყვარდა, მაგრამ ახლა მნიშვნელობა დაეკარგა. მამაჩემი იქ აღარ იყო.

მაშინ პირველად რეალურად გამიარა გულში აღმდგარი ქრისტეს ძალამ. სიკვდილი აღარ მაშინებდა... შიშის გაქრობასთან ერთად კი სიძულვილიც გამიქრა. მამა არ მომკვდარა. ის ცოცხალი იყო“.[9]

განახლებული და მოღიმარე

კეტრინი დენვერში ახალი გამოცდილებითა და მოწყალების განცდით დაბრუნდა. მისი დაბრუნების შემდეგ მოიძებნა საჭირო შენობა და 1935 წლის თებერვალში მისი რემონტიც დაიწყო. მალევე, 30 მაისს, გაიხსნა დენვერის გამოღვიძების სკინია ნეონის დიდი მანათობელი წარწერით: „ᲚᲝᲪᲕᲐ ᲛᲓᲑᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲪᲕᲚᲘᲡ“. დარბაზი ორიათას ადგილს იტევდა და სკინიის სახელწოდება შორ მანძილზე მოჩანდა. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კეტრინის შეკრებებს ახლომდებარე რეგიონებიდან ჩამოსული ათასობით ადამიანი ესწრებოდა. მსახურება ორშაბათის გარდა ყოველ საღამოს ტარდებოდა.

გამოღვიძების ცენტრმა მალე ორგანიზებული ეკლესიის სახე მიიღო, რომელიც არცერთ დენომინაციას არ ეკუთვნოდა. შემდგომში მასთან დაარსდა საკვირაო სკოლა და დაწესდა ავტობუსის მარშრუტი, რომლის მეშვეობითაც ადამიანები მსახურებებზე მიდიოდნენ. პარალელურად დაიწყო მსახურება ციხეებსა და ბავშვთა სახლებში. უფრო მოგვიანებით კეტრინი გაუძღვა რადიოგადაცემას სახელწოდებით „გაიღიმეთ მუდამ“.

1936 წელს დენვერის სკინიაში მრავალი მუსიკოსი და ქადაგი მსახურობდა. მათ შორის იყო გამოჩენილი ევანგელისტი რეიმონდ თ. რიჩი, რომელმაც სამი კვირა გაატარა ამ ეკლესიაში. რიჩი ამერიკის განკურნებისა და გამოღვიძების მოძრაობის პიონერი გახლდათ.

მამის სიკვდილთან დაკავშირებულ ტრავმას კეტრინმა „უღრმესი მიწიერი გამოცდილება“ უწოდა, მაგრამ მას კიდევ ერთი, არანაკლებ ღრმა მიწიერი გამოცდილების გამოვლა მოუხდა.

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲝᲚᲢᲠᲘᲞᲘ?

1935 წელს სკინიაში ქადაგად მიიწვიეს ტეხასის შტატის ქალაქ ოსტინიდან ჩამოსული ევანგელისტი სახელად ბეროუ ა. უოლტრიპი. იგი კეტრინზე რვა წლით უფროსი ძალზე წარ-

[9] Hosier, *Kathryn Kuhlman, 60-64.*

მოსადეგი გარეგნობის მამაკაცი გახლდათ. მალევე მათ ერთმანეთისადმი ორმხრივი ლტოლვა გაუჩნდათ.

ერთადერთ პრობლემას წარმოადგენდა ფაქტი, რომ მას ცოლი და ორი ვაჟიშვილი ჰყავდა. კეტრინი თითქოსდა ანგარიშს არ უწევდა სულიწმიდას, რომელიც გამუდმებით აფრთხილებდა, რომ ეს კავშირი შეცდომა იყო. დენვერში ჩამოსვლის შემდეგ უოლტრიპი მალევე გაშორდა ცოლს და გამოაცხადა, თითქოს ცოლმა მიატოვა. მისი მეუღლის, ჯესის თქმით კი უოლტრიპს სწამდა, თუკი მამაკაცს დაქორწინების მომენტში მეუღლე არ ჰყვარებია, ეს მას ქორწინების ვალდებულებას ხსნის და მას ხელმეორედ შეუძლია დაოჯახება. უოლტრიპი აღარასოდეს დაბრუნებულა ცოლთან და არც თავისი ორი ვაჟიშვილი უნახავს ოდესმე.

„მისტერ შეცდომა“

ოჯახის მიტოვების შემდეგ უოლტრიპი გაემგზავრა აიოვას შტატის მეისონ-სიტიში, სადაც თავი უცოლოდ გამოაცხადა და დაიწყო გამოღვიძების ცენტრის დაარსებაზე მუშაობა, რომელსაც რადიო „სამლოცველო სახლი“ უწოდა. ქადაგებისას ეფექტურ, შთამბეჭდავ ჟესტებს იყენებდა და მალევე რადიო „სამლოცველო სახლმა“ ყოველდღიური პროგრამები დაიწყო. კეტრინი და ელენი იმავე ქალაქში ჩამოვიდნენ, რათა მსახურებისათვის აუცილებელი თანხის შეგროვებაში დახმარებოდნენ.

მალევე კეტრინსა და უოლტრიპს შორის რომანტიკული კავშირი ყველასათვის ცნობილი შეიქნა. ელენი და სხვა მეგობრები გულწრფელად ურჩევდნენ კეტრინს, ცოლად არ გაჰყოლოდა მომხიბვლელ ევანგელისტს, რომელსაც მან ხუმრობით „მისტერი“ შეარქვა, მაგრამ კეტრინმა ასე განსაზღვრა: თუკი ცოლმა მიატოვა, ესე იგი თავისუფალია და ხელმეორედ შეუძლია დაქორწინება.

უნდა აღინიშნოს, რომ უოლტრიპის ცოლთან დაშორებისა და კეტრინთან მისი ურთიერთობის დეტალები ცნობილი არ არის. ისინი, ვისაც კეტრინი უყვარდა და მის მსახურებას აფასებდა, საიდუმლოდ ინახავდნენ ამ ყოველივეს. როგორც ჩანს, გრძნობდნენ, რომ ღმერთმა ამ სფეროში დაშვებული ყველა შეცდომა აპატია, ამიტომაც დეტალებს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

1938 წლის 16 ოქტომბერს კეტრინმა განუცხადა თავის საკრებულოს დენვერში, რომ აპირებს შეუერთდეს „მისტერის“ მსახურებას მეისონ-სიტიში. ორი დღის შემდეგ, 18 ოქტომბერს, უოლტრიპის პირველ ცოლთან გაყრიდან თითქმის თექვსმეტი თვის შემდეგ, კეტრინმა და ბერუომ საიდუმლოდ იქორწინეს მეისონ-სიტიში.

რაში იყო საქმე?

აქ ნება მიბოძეთ, მოკლე ხნით შევჩერდე. საქმე გაყრაში როდი იყო. რა თქმა უნდა, რელიგიური ადამიანებისა და მათი ფარისევლურად პატიოსანი დენომინაციებისათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ღვთისთვის ეს უმნიშვნელო ამბავია. იგი ამგვარ რამეებს მარტივად უყურებს. ახალი აღთქმის თანახმად გაყრა შესაძლებელია ორი მიზეზით. პირველი: ერთ-ერთი მეუღლის ამორალური საქციელი. მეორე: როდესაც ერთ-ერთი მათგანი ქორწინებას მიატოვებს. ასეთ შემთხვევებში ადამიანი ღვთის წინაშე თავისუფალია და მას მეორე ქორწინების კურთხევა ეძლევა. თუკი გაყრის შესახებ თქვენი გადაწყვეტილება წმინდა წერილს არ ეწინააღმდეგება, მაშინ მიტევება და განახლებული, განწმენდილი ცხოვრების დასაწყისი გელით. თვალთმაქცი ადამიანებსა და ზოგიერთ დენომინაციას არ შესწევთ იმის უნარი, რომ ახლიდან დაწყება შეგაძლებინოთ; ეს მხოლოდ ღმერთს ძალუძს, თუკი მას ეძიებთ.

კეტრინის სიტუაციაში ხიბლის მაცდური სული მოქმედებდა. უოლტრიპმა მიატოვა თავისი პირველი ცოლი ტეხასში და ეს მისი პირველი შეცდომა გახლდათ. შემდეგ ამ შეცდომის გამართლებას შეეცადა ყალბი დოქტრინის ხარჯზე, რითაც გარშემო მყოფნი მოატყუა. კულმანისა და უოლტრიპის ქორწინება იმთავითვე *სრულიად უკანონო* იყო.

ლამის შეცდა...

კეტრინმა დაუჯერა ამ ადამიანის ნაამბობს, თითქოს ცოლმა მიატოვა. მაგრამ გული მაინც ცუდს უგრძნობდა, მთელი საქორწინო მზადების მანძილზე სულიერად ვერ ისვენებდა. უმრავლესობა ამტკიცებს, რომ „მისტერს“ საერთოდ არ ჰყვარებია კეტრინი, მხოლოდ ადამიანების მოზიდვისა და ფულის შეგროვების მისეული უნარი ხიბლავდა. თვითონ უოლტრიპი ცნობილი იყო თავისი სიხარბითა და გამფლანგველობით. კეტრინთან დაქორწინების პერიოდში მას დაეძებდნენ მევალეები რვა შტატიდან.

„მისტერის“ დედამაც კი სთხოვა კეტრინს, მის შვილს ცოლად არ გაჰყოლოდა. იმედი ჰქონდა, რომ გონს მოეგებოდა და თავის პირველ ცოლსა და შვილებს დაუბრუნდებოდა. მაშ, *რაღატომ* გადადგა კეტრინმა ეს ნაბიჯი, იკითხავთ თქვენ.

მეისონ-სიტიში დაგეგმილი ქორწინების ცერემონიის წინ კეტრინი ამის შესახებ თავის მეგობრებს, ლოტი ენტონისა და ელენს ეთათბირებოდა. ლოტის ახსოვს კეტრინის სიტყვები: **„ამ საქმეში უფლის ნებას საერთოდ ვერ ვხედავ“.** ქალები ურჩევდნენ კეტრინს, მოეცადა და უფლის ნებას დამორჩილებოდა. მაგრამ ის არ ეთანხმებოდა.

როდესაც სამივენი მეისონ-სიტის გზაზე დეს-მოინესში გაჩერდნენ, ელენმა კეტრინს გამოუცხადა, გზას აღარ განვაგრძობო და სასტუმროში დარჩა. მას ლოტიმაც დაუჭირა მხარი და ქორწილში წამოსვლაზე უარი განაცხადა.

მაგრამ კეტრინმა უოლტრიპთან შესაუღლებლად სხვა მეჯვარე მოძებნა. ცერემონიის დროს მას გული წაუვიდა. უოლტრიპმა მოასულიერა, რათა რიტუალის დასრულებას დასწრებოდა. ღვთის ნებისაგან შეგნებული განდგომა მძიმე ტვირთად დააწვა კეტრინს.

როდესაც ახლადდაქორწინებულები ცერემონიის შემდეგ დეს-მოინესში ბრუნდებოდნენ, კეტრინმა უჩვეულო რამ ჩაიდინა. მან არ მოისურვა მეუღლესთან ერთად სასტუმროს ნომერში დარჩენა. მისი ახლო მეგობარი ლოტი ენტონი ამტკიცებს, რომ კეტრინი მანქანაში ჩახტა და მასთან და ელენთან გაემგზავრა სხვა სასტუმროში.

მათ ნომერში კეტრინი ატირდა და აღიარა, რომ შეცდომა დაუშვა და ქორწინების გაუქმება სურს. ლოტიმ დაურეკა უოლტრიპს და კეტრინის გადაწყვეტილება ამცნო. როდესაც უოლტრიპმა ცოლის დაკარგვის გამო პრეტენზია გამოაცხადა, ლოტიმ მიუგო: „უპირველეს ყოვლისა, ის შენი არასოდეს ყოფილა!“

სამივე ქალმა დატოვა დეს-მოინესი იმ იმედით, რომ დენვერის საკრებულოსათვის ყველაფრის ახსნას შეძლებდნენ. მაგრამ საკრებულომ მათ ამის შანსი არ მისცა. კეტრინის დაუფიქრებელმა ქმედებამ და ფარულმა ჯვრისწერამ ხალხი განარისხა. ლოტის თქმით, დენვერის საკრებულომ ის „კვლავ უოლტრიპს ჩაუგდო კლანჭებში“[10].

დამსხვრეული ოცნებები

მთელი უკანასკნელი ხუთი წლის შრომა კეტრინს ერთბაშად ჩაეყარა წყალში. ჰევიტმა კეტრინის წილი გამოისყიდა, ელენი კი დენვერის სხვა ეკლესიაში გადავიდა სამუშაოდ. „ცხვრები“ გაიფანტნენ. ერთი უხეში შეცდომის გამო კეტრინმა დაკარგა თავისი ეკლესია, თავისი მეგობრები და თავისი მსახურება. თვით ღმერთთან მისი ურთიერთობაც კი დააზარალა იმან, რომ კეტრინმა „მისტერი“ და მისი სურვილები ღვთისკენ სწრაფვაზე უფრო მაღლა დააყენა.

კეტრინ კულმანი, ვისაც მრავალი ეთაყვანებოდა, როგორც „სრულყოფილ მადონას“, სინამდვილეში ადამიანი იყო და ადამიანური ცდუნებებისაგან დაზღვეული არ ყოფილა. იგი ღვთის დიდებული ქალი გახლდათ, მაგრამ ეს სიდიადე მას მისმა არჩევანმა და იმ ნაბიჯებმა მიანიჭა, რაც თავისი შეცდომების გამოსასწორებლად გადადგა. ალმაცერი მზერების, მიეთ-მოეთისა და საზოგადოებისაგან გარიყვის მდგომარეობაში მსახურების აღდგენა უდიდეს რწმენასა და მიზანდასახულობას მოითხოვდა მისგან. როგორც ამბობენ, საკუთარი შეცდომები უმძლავრეს გამოცხადებებად ექცა, რომლებიც შემდგომში ცდუნების, მიტევებისა და გამარჯვების შესახებ მისმა ქადაგებებმა დაიტია.

[10] Wayne E. Warner, *Kathryn Kuhlman: The Woman Behind the Miracles* (Ann Arbor; MI: Vine Books, segment of Servant Publications, 1993), 93-94.

მაგრამ ეს ქმედითობა და გამოცხადება ერთბაშად არ მოსულა. რაც შეეხება მსახურებას, შემდგომი რვა წელიწადი კეტრინი ყველასაგან მივიწყებული იყო. ექვსი წელი გაატარა ქორწინებაში, შემდგომი ორი წელი კი მსახურებისაკენ უკან დასაბრუნებელი გზის ძიებას დაეთმო. მისი მეგობრები, ვინც კი იმ წლებში მეისონ-სიტიში ჩადიოდა, იხსენებენ, რომ კეტრინი, როგორც წესი, მეუღლის ზურგსუკან სცენაზე იჯდა და მისი ქადაგების სმენისას ტიროდა.

როგორც კი მეისონ-სიტიში შეიტყეს, რომ უოლტრიპმა თავისი პირველი ქორწინების შესახებ ტყუილი თქვა, მის შეკრებებს აღარავინ ესწრებოდა, რადიო „სამლოცველო სახლი“ კი მალევე დაიხურა. უოლტრიპმა რამდენჯერმე დართო ნება კეტრინს, ისეთ ადგილებში ექადაგა, სადაც მისი ქორწინების შესახებ არავინ იცოდა. ერთხელ მსახურებათა სერია უკანასკნელ მომენტში გაუუქმეს, რადგან ადგილობრივმა პასტორმა ერთ-ერთი სულიერი შვილისაგან შეიტყო, რომ კეტრინი გაყრილ კაცს გაჰყვა ცოლად.

კვდომის ტკივილი

1944 წელს, ლოს-ანჟელესში ცხოვრების პერიოდში, კეტრინმა მიატოვა უოლტრიპი, მაგრამ ის 1947 წლამდე არ თანხმდებოდა გაყრაზე.

კეტრინი ძალზე იშვიათად საუბრობდა იმ პერიოდის მოვლენებზე და ერთ-ერთი ასეთი საუბრისას თქვა:

„არჩევანი უნდა გამეკეთებინა საყვარელი ადამიანის მსახურებასა და საყვარელი ღვთის მსახურებას შორის. ღვთისმსახურება და იმავდროულად „მისტერთან“ ერთად ცხოვრება შეუძლებელი აღმოჩნდა ჩემთვის. არავის არასოდეს განუცდია კვდომის ასეთი ტკივილი, რადგანაც მე ის სიცოცხლეზე მეტად მიყვარდა. ერთ დროს ღმერთზე მეტადაც კი მიყვარდა. ბოლოს და ბოლოს გამოვუცხადე, უნდა დაგტოვო-მეთქი, რადგანაც ღმერთს ჩემი პირვანდელი მოწოდებისაგან არ გავუთავისუფლებივარ. მხოლოდ მასთან კი არა, ჩემს სინდისთანაც ხომ მიხდებოდა ცხოვრება და სულიწმიდის მიერ წამოყენებული ბრალდება თითქმის აუტანლად დამაწვა მხრებზე. საკუთარი თავის გამართლების მცდელობებმა დამქანცა.“[11]

ერთ-ერთი უკანასკნელი გამოსვლისას, კითხვა-პასუხის შეხვედრაზე, ერთმა ახალგაზრდა კაცმა ჰკითხა, თუ „როგორ შეხვდა საკუთარ სიკვდილს“, რადგან არაერთხელ მოისმინა კეტრინისაგან საკუთარი სიკვდილის შესახებ სიტყვები. მან ასე უპასუხა:

„ეს უდიდესი იმედგაცრუების შედეგად მოხდა და მაშინ ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მთელი სამყარო დასრულდა.

რაც იმ დროს ჩემს თავს ხდებოდა, ამას ჩემი ცხოვრების უდიდეს ტრაგედიად განვიცდიდი. მეგონა, აღარასოდეს გავსწორდებოდი წელში, აღარასოდეს. ვინც არ მომკვდარა, ვერასოდეს ჩასწვდება იმას, რასაც ვგულისხმობ... დღეს ვგრძნობ, რომ ყოველივე ეს ჩემს ცხოვრებაში ღვთის სრულყოფილი ნების ნაწილი გახლდათ“[12].

კეტრინს არაერთხელ უთქვამს, მსახურების გულისთვის ვეწამეო. მაგრამ ფაქტობრივად მის გარდა სხვა ადამიანებიც დაზარალდნენ. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ორ პატარა ბიჭთან ერთად მიტოვებული ცოლი, რომელსაც შვილებისათვის იმის ახსნა მოუწია, თუ რატომ ვერ ნახავდნენ ვეღარასოდეს თავიანთ მამას. ეს განსაცდელი მტკივნეული აღმოჩნდა ყველასათვის, ვინც კი ამ წყვილს იცნობდა და ვისაც ის უყვარდა.

მონეტის ორი მხარე

გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან კეტრინს თავის მოწოდებასთან დაკავშირებით აღარასოდეს უყოყმანია, აღარასოდეს გადაუხვევია ღვთის მიერ მითითებული გზიდან და აღარასოდეს შეხვედრია „მისტერს“. პენსილვანიის შტატის ქალაქ ფრანკლინის მიმართულებით ცალმხრივი ბილეთი იყიდა და უკან აღარ დაბრუნებულა.

[11] Buckingham, *Daughter of Destiny*, 88.

[12] კულმანის ქადაგება: „განკურნების მსახურება“.

კეტრინმა მთლიანად აღიდგინა ღმერთთან სიახლოვე. რთული დრო დაუდგა, მაგრამ ღვთის კურთხევა მალე ეწვია. უოლტრიპის შემდგომი ბედი კი გაურკვეველია. ის გაუჩინარდა და ოჯახთან დაკავშირებაც კი არ უცდია. მისი ყოფილი ცოლის, ჯეისის თქმით, მრავალი წლის შემდეგ მისმა ძმამ ჯეიმს უოლტრიპმა შეიტყო, რომ ბეროუმ სიცოცხლე კალიფორნიის ციხეში დაასრულა, სადაც ქალის გაძარცვის გამო მოხვდა[13].

გამოქვაბულიდან გამოსვლა

არავინ იცის, რატომ აირჩია კეტრინმა თავისი „დაბრუნებისათვის" ფრანკლინი პენსილვანიაში. ფრანკლინი ქვანახშირის მაღაროების ქალაქი იყო, რომელშიც გერმანელი ემიგრანტები ცხოვრობდნენ. შესაძლოა, იქ თავს შინ გრძნობდა. შესაძლოა, იქ კარგად შეხვდნენ. რა მიზეზიც არ უნდა იყოს, ამ წამოწყებამ გაამართლა.

პენსილვანიიდან მან ცენტრალური შტატების გავლით ვირჯინიისა და კალიფორნიისაკენ გადაინაცვლა. ზოგან კარგად ხვდებოდნენ, ზოგან მისი წარსულის გამოაშკარავებისთანავე უხურავდნენ მსახურებას. ჯორჯიაში გაყრილ კაცთან მისი ქორწინების ამბავი გაზეთშიც კი გაწერეს, რის შემდეგაც კეტრინს ფრანკლინში ავტობუსით მოუწია დაბრუნება.

1946 წელს კეტრინმა „უდაბნოდან" გამოაღწია და თავისი ჭეშმარიტი მსახურების „აღთქმულ მიწაზე" დაადგა ფეხი. სამხრეთში წარუმატებელი მოგზაურობის შემდეგ შესთავაზეს მსახურებათა სერიის ჩატარება ფრანკლინის ევანგელისტურ სკინიაში, რომელიც ათასხუთას ადგილს იტევდა. ეს სკინია იმით იყო ცნობილი, რომ იქ ბილი სანდი ქადაგებდა. კეტრინმა იქ ისეთი შესანიშნავი მსახურებები ჩაატარა, თითქოს უკანასკნელი რვა წელიწადი საერთოდ არ ყოფილიყო.

მრავალი ხმა

სკინიაში პირველი მსახურების შემდეგ მალევე გაუძღვა ყოველდღიურ რადიოგადაცემებს პენსილვანიის ქალაქ ოილ-სიტიში. გამოხმაურებამ იმდენად დიდი მასშტაბები მიიღო, რომ რამდენიმე თვის შემდეგ კეტრინმა პიტსბურგში კიდევ ერთი სადგური გახსნა.

მას აღარ გაურბოდნენ, პირიქით: ფოსტას ვეღარ აუდიოდა. ოილ-სიტის რადიოსადგური ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა სტუდიაში უცხო პირთა შემოსვლა აეკრძალა, რადგან ისინი თანამშრომლების საქმიანობას უშლიდნენ ხელს.

მეორე მსოფლიო ომი ახალი დასრულებული იყო და ბევრი რამ ჯერ კიდევ ჭირდა. ერთ გადაცემაში კეტრინს წამოსცდა, ერთი წყვილი წინდაც კი აღარ მაბადიაო, და მალევე რადიოსადგური ნეილონის წინდებიანი შეკრულებით გაივსო.

ომისშემდგომ პერიოდში სულიწმიდა მძლავრად მოქმედებდა ქრისტეს სხეულის გასამრთელებლად და ამას განკურნების მადლით ახდენდა. განკურნების გამოღვიძება უკვე დაწყებულიყო ისეთ ადამიანთა მსახურების წყალობით, როგორიცაა ორელ რობერტსი, უილიამ ბრენჰემი და ჯეკ კოუ. ჟურნალის „განკურნების ხმა" და ბიბლიური სკოლის „ქრისტე ხალხებისათვის" დამაარსებელი გორდონ ლინდსეი ამ დიადი მოვლენების შესახებ რეპორტაჟებს თავის ჟურნალში აქვეყნებდა.

ამ ხანებში კეტრინი ძირითადად ადამიანთა ხსნისათვის ლოცულობდა. მაგრამ ხშირად განსაკურნებლად მოჰყავდათ სნეულები და ამიტომ განკურნებისთვისაც დაიწყო ლოცვა. მიუხედავად იმისა, რომ არ ცნობდა ტერმინს „რწმენით მკურნალი", ხშირად ესწრებოდა ამგვარ მსახურთა შეკრებებს, რათა მეტი შეეტყო ამ ფენომენის შესახებ და აზრადაც კი არ მოსდიოდა, რომ მალე „განკურნების მსახურებით" საქვეყნოდ გაითქვამდა სახელს.

სხვადასხვა სახის შეკრებებზე დასწრებამ კეტრინისთვის ბევრი რამ ნათელი გახადა. მართალია, მისთვის ჯერაც უპასუხოდ რჩებოდა ღვთიურ განკურნებასთან დაკავშირებული მრავალი კითხვა, მაგრამ მაინც გამოიმუშავა საკუთარი მსახურებისათვის აუცილებელი ნორმები:

[13] Warner, *Kathryn Kuhlman*,104.

„მსახურების ადრეულ პერიოდში ძალიან მაწუხებდა ბევრი რამ, რასაც ღვთიური განკურნების სფეროში ვხედავდი. მრავალი მეთოდი მაეჭვებდა. ჩემში აღშფოთებას იწვევდა ის არაკეთილგონივრული ქმედებები, რომლის მომსწრეც არაერთგზის ვყოფილვარ და რომელთაგან ვერცერთს ვერ მივაკუთვნებდი სულიწმიდის ქმედებებსა და ღვთის ბუნებას.

...დღემდე უგუნურობაზე უფრო დიდ საზიზღრობად არაფერი მიმაჩნია... არსებობს ერთი რამ, რასაც ვერ ვეგუები — ესაა ფანატიზმი, ხორციელი ბუნების გამოვლინება, რომელიც იმას ბილწავს, რაც ასე გასაოცარი და წმინდაა“[14].

მუდამ დიდი გულისტკივილით ლაპარაკობდა ამგვარი შეკრებების შესახებ. სიცოცხლის ბოლომდე შეაგონებდა ადამიანებს, რომ იესოს გარდა სხვა არაფერზე არ მოახდინონ სულიერ ძალთა კონცენტრირება. პენსილვანიაში, ქალაქ ირის ერთ-ერთ შეკრებაზე დასწრების შემდეგ თქვა:

„ავტირდი და ვერაფრით დავიმშვიდე თავი. კვირეების განმავლობაში თან მდევდა ის სასოწარკვეთილება და უიმედობა, მათ სახეებზე რომ აღიბეჭდა, ვისაც გამოუცხადეს, ღვთისაგან თქვენი დაშორების მიზეზი რწმენის ნაკლებობაა. ნუთუ ეს ყოვლისშემწყნარებელი, მოწყალე ღმერთია? კარვიდან თვალცრემლიანი გამოვედი, ზეცას ავხედე და შევყვირე: „ჩემი უფალი წაუღიათ და არ ვიცი, სად დადეს!“[15]

აღსანიშნავია, რომ კეტრინმა გადაწყვიტა საკუთარი მსახურება არ დაეკავშირებინა გორდონ ლინდსეის გამოცემასთან „განკურნების ხმა“. ის წარმოადგენდა იმ პერიოდში მოღვაწე მკურნალ ევანგელისტთა რუპორს და კეტრინმა არ მოისურვა მასთან რაიმე საერთო ჰქონოდა. ამ ევანგელისტთა შორის ბევრი გუწრფელი და პატიოსანი ადამიანი იყო, მაგრამ ბევრს სენსაცია იზიდავდა: თავიანთი მსახურებისას საეჭვო მეთოდებსაც იყენებდნენ.

და აი, სასწაულებიც!

როდესაც ღვთის სიტყვამ დაანახა კეტრინს, რომ განკურნება მორწმუნეთ ისევე ეძლევათ, როგორც ხსნა, მაშინ სულიწმიდასთან ქრისტიანთა დამოკიდებულებას ჩასწვდა. 1947 წელს დაიწყო სულიწმიდის შესახებ ლექციათა ციკლის კითხვა. ბევრი რამ, რაც პირველ შეკრებაზე თქვა, თვით მისთვისაც კი აღმოჩენა იყო. მოგვიანებით ყვებოდა, რომ პირველი შეკრების წინა ღამე ლოცვასა და წმინდა წერილის კითხვაში გაათენა.

მეორე საღამოს გასაოცარი რამ მოხდა. ყველას თანდასწრებით ერთი ქალბატონი ფეხზე წამოდგა და განაცხადა, რომ წინა საღამოს, კეტრინ კულმანის ქადაგების დროს განიკურნა. მისთვის არავის ხელი არ დაუსხამს და მომხდარის შესახებ თვით კეტრინმაც კი არაფერი იცოდა და, მიუხედავად ამისა, ქალი სიმსივნისაგან განიკურნა. მეორე საღამოზე დასწრების წინ მისი განკურნების ფაქტი ექიმებმა დაადასტურეს.

მომდევნო კვირადღეს მეორე სასწაული მოხდა. პირველი მსოფლიო ომის ვეტერანს, რომელიც საწარმოო ტრავმის შემდეგ სრულებით ვერაფერს ხედავდა, დაზიანებულ თვალში მხედველობა 85 პროცენტით აღუდგა, მეორეში კი — ასი პროცენტით.

ზვიგენი, შერიფი და საქვეყნო აღიარება

სასწაულებისა და განკურნების დაწყებისთანავე სკინიაში ბევრად მეტი ადამიანი იყრიდა თავს, ვიდრე ბილი სენდის დროსაც კი. ღმერთმა კეტრინ კულმანის მსახურებას უდიდესი წარმატება უბოძა, მაგრამ გაუჩნდნენ სატანური მოწინააღმდეგენი, რომლებიც წინ აღუდგნენ კეტრინის მსახურებებზე სულიწმიდის მოქმედებას.

დარტყმა მ. დ. მელონის და სკინიაზე მზრუნველთა მხრიდან იქნა მიყენებული. მელონიმ მსახურების მთელი შემოსავლიდან, რადიოგადაცემებისა და ფოსტის ჩათვლით, განსაზღვრუ-

[14] კულმანის ქადაგება: „იესოს ცხოვრების ყველა სასწაულის საიდუმლო“.

[15] Buckingham, *Daughter of Destiny*, 101-102. კეტრინის შეძახილი წარმოადგენს ციტატას სახარებიდან: იოანე, 20:13 (მთარგმნ.).

ლი პროცენტი მოითხოვა. კეტრინმა უარი უთხრა და მელონი დაემუქრა, რომ სასამართლოში უჩივლებდა.

„პოლემიკა“ იმით გაგრძელდა, რომ მელონიმ შენობის კარი ჩაკეტა და კეტრინს შიგნით აღარ უშვებდა. კეტრინის მომხრე მაღაროს მუშაკებსა და მელონის ხალხს შორის დაპირისპირების შედეგად მაღაროელებმა კარი შეამტვრიეს და მსახურება განახლდა. მსახურება იქ მანამ გრძელდებოდა, ვიდრე კეტრინის მომხრეებმა 10 000 დოლარი არ შეაგროვეს, რითაც ყოფილი საციგურაო დარბაზი შეისყიდეს. ამ შენობას რწმენის ტაძარი ეწოდა. ის მელონის შენობაზე ორჯერ უფრო დიდი იყო და პირველივე შეკრებიდან მოყოლებული პირამდე ივსებოდა მსმენელებით.

ბედის ირონიით მაინცდამაინც 1947 წლის ამ კრიტიკულ და მოუსვენარ პერიოდს კიდევ ერთი გასაოცარი ფაქტი დაემთხვა. ერთ საღამოს კეტრინის კარზე დააკაკუნეს. კარებთან ფორმიანი შერიფი იდგა. მან უამბო, რომ „მისტერმა“ ნევადაში გაყრის შესახებ განაცხადი შეიტანა, რომ საბუთები მის ოფისში დღეს მივიდა ფოსტით და კეტრინი სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყო, როგორც მოპასუხე.

კეტრინმა თვალები დახარა და მის ხელში საბუთები დაინახა. თავაუწევლად იდგა. შერიფმა მისი უხერხულობა და იმედგაცრუება შენიშნა და ხელი ჩასჭიდა. ის კეტრინ კულმანის შეკრებებს ესწრებოდა და ესმოდა, რომ იგი ღვთისაგან იყო მოვლენილი. ისიც იცოდა, რომ ქორწინების გაუქმებასთან დაკავშირებული საბუთებიდან ცნობილი ადამიანების სახელები ხშირად პრესის ფურცლებზე ხვდება და ეს საბუთები ხელიდან ხელში იმიტომაც გადასცა, რომ კონფიდენციალურობის შენარჩუნება სურდა.

ის დაპირდა, რომ მათ გარდა ამის შესახებ სხვა არავინ შეიტყობდა. კეტრინმა უთხრა შერიფს, რომ სიცოცხლის ბოლომდე მისი მადლობელი იქნებოდა.

ამ ადამიანის სიკეთემ კეტრინს დიდი გულისტკივილი აარიდა. შვიდი წლის შემდეგ რეპორტიორებმა მაინც გამოძებნეს ეს ამბავი, მაგრამ იმ დროისათვის კეტრინის მსახურებამ იმდენად ფართო სახე მიიღო, რომ ძველი ფაქტები მასზე ვეღარ აისახებოდა.

განკურნების გრანდიოზული მსახურებები ახალ დარბაზში გაგრძელდა და მალე მეზობელ ქალაქებზეც გავრცელდა, ვიდრე ოჰაიოს შტატში ქალაქ იუნგსტაუნამდე არ მიაღწია. სულიწმიდამ მისი სახით ისეთი მსახურება იპოვა, არც მისი საქმეებისა და არც მათი შედეგების საკუთარ დამსახურებად გასაღებას რომ არ ცდილობდა.

ყოფილი მდივანი იხსენებს:

„მის კულმანს ღმერთთან ფაქიზი დამოკიდებულება ჰქონდა. ერთი მსახურების შემდეგ სკინიაში დავრჩი და რადიოსტუდიაში შევიხედე. მის კულმანი მუხლის ჩოქზე იდგა და ღმერთს მადლობას სწირავდა მსახურებისათვის, მან ჩემი იქ ყოფნა ვერ შენიშნა“[16].

მსახურების მასშტაბების ზრდასთან ერთად კეტრინმა რწმენაზე უფრო მეტად წინ წამოსწია სულიწმიდის ყოვლისშემძლეობა. მის მსახურებებზე არ ყოფილა არც სამლოცველო ბარათები, არც კარვები ინვალიდებისათვის, არც მისი ხელდასხმის მოლოდინში რიგში ჩამდგარი ავადმყოფები. მას არასოდეს დაუდანაშაულებია ადამიანები იმაში, რომ ისინი მცირე რწმენის გამო ვერ განიკურნენ. მისი ქადაგებისას, ვიდრე ადამიანები ზეცას აჰყურებდნენ და იესოზე ფიქრობდნენ, განკურნება შეიძლებოდა აუდიტორიის ნებისმიერ ადგილას მომხდარიყო.

სახურავი ჩამოიქცა

პიტსბურგის კარნეგი-ჰოლში პირველი შეკრების დაწყებამდე დარაჯმა უთხრა კეტრინს, რომ დარბაზი ოპერის ვარსკვლავების გამოსვლების დროსაც კი არ გავსებულა ბოლომდე, მაგრამ კეტრინმა მაინც გასცა განკარგულება, დარბაზი მთლიანად გაევსოთ სკამებით. ის წინდახედულად მოიქცა: ერთი თავისუფალი ადგილიც კი არ დარჩენილა.

ნაშუადღევის პირველი მსახურებისას დარბაზი გადაივსო. ყველა მსურველის მისაღებად

[16] Warner, *Kathryn Kuhlman*,120.

საღამოს განმეორებითი მსახურება მოეწყო. მუსიკალურ მხარეს უზრუნველყოფდნენ ჯიმი მილერი და ჩარლზ ბიბი, რომლებიც ბოლომდე დარჩნენ კეტრინთან ერთად.

რადიომსახურებაც სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა და 1950 წლის ნოემბერში კეტრინს სთხოვეს, მუდმივად გადასულიყო საცხოვრებლად პიტსბურგში. მეგი ჰარტნერი, რომელიც მისი მარჯვენა ხელი გახდა, დაეთანხმა იმ აზრს, რომ მათი გადასვლა აუცილებელი იყო. კეტრინი ყოყმანობდა, ფრანკლინელებისადმი ერთგულება უშლიდა ხელს: ისინი ხომ მასთან იყვნენ და თანადგომა გამოუცხადეს მაშინ, როდესაც სხვა ყველამ მიივიწყა.

მაგრამ ღვთისგან მიღებულმა ნიშნებმა აიძულა კეტრინი პიტსბურგში გამგზავრებულიყო.

როდესაც ფრანკლინის მიტოვებას სთხოვდნენ, იმეორებდა:

„არა! რწმენის ტაძრის სახურავი უნდა ჩამოიქცეს, რათა ვირწმუნო, რომ ღმერთს მართლაც ჩემი პიტსბურგში გამგზავრება სურს“.

1950 წელს, მადლიერების დღესასწაულზე ტაძრის სახურავი მართლაც ჩამოიქცა თოვლის სიმძიმისაგან: ასეთი დიდთოვლობა ამ რაიონის ისტორიაში პრაქტიკულად მანამდე არ ყოფილა[17].

სამი კვირის შემდეგ კეტრინი პიტსბურგში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც გარდაცვალებამდე ფოქს-ჩეპლის გარეუბანში ცხოვრობდა.

„მსურს ემის დავემსგავსო“

1950 წელს მსახურებების ტალღა მთელ მსოფლიოში აგორდა. სიცოცხლის ბოლოს კეტრინი ამბობდა, ღმერთს ეკლესიის ასაგებად არ მოვუხმივარ, ჩემი მსახურება ერთ კონკრეტულ შენობას არ უკავშირდებაო. შესაძლოა, სხვა სწორედ შენობების ასაგებად იყოს მოწოდებული, მაგრამ არა კეტრინი.

ის ფაქტი, რომ ის რეალურად ეკლესიებსაც აშენებდა, მისი საქვეყნოდ ცნობილი სასწაულმოქმედებითაა დაჩრდილული. პიტსბურგში ჩამოყალიბებულმა ორგანიზაციამ „კეტრინ კულმან ფაუნდეიშნ“ დააფინანსა უცხოურ მისიებში ოცზე მეტი ეკლესიის აგება, რომლებშიც ადილობრივი პასტორები მოღვაწეობენ.

განსაკუთრებული სიყვარულისა და მოწიწების გამო ბევრნი კეტრინს „პასტორს“ უწოდებდნენ, მაგრამ დენვერის შემდეგ ის აღარასოდეს ყოფილა ეკლესიის პასტორი. კეტრინი ამბობდა, ხუთმხრივი მსახურებისათვის მოწოდებული არ ვარო: ეფესელებისადმი ეპისტოლეს (4:11) სიტყვებს გულისხმობდა.

ახლობლების თქმით, თავისი მსახურების დასაწყისში კეტრინმა გამოაცხადა, ოთხკუთხა სახარების დენომინაციის დამაარსებლის, ემი სემპლ მეკფერსონის მსგავსი უნდა გავხდეო. ემი ნამდვილად მისაბაძი პიროვნება იყო კეტრინისთვის. იმ დროს, როდესაც ბრწყინვალე „დამ“ ლოს-ანჟელესში ააგო ანგელოზთა ტაძარი, კეტრინიც იქ იმყოფებოდა და მისი პოპულარობის ზენიტის მომსწრე გახდა. როგორც ამბობენ, კეტრინი ემის ბიბლიური სკოლის მეცადინეობებს ესწრებოდა და მისი ეკლესიის აივნიდან გაფაციცებული ისრუტავდა „დის“ კურთხეული ქადაგებების ყოველ დეტალს თუ სცენურ ილეთს. ამ სკოლის სხვა მოწაფეებისაგან განსხვავებით, კეტრინი ოთხკუთხა სახარების დენომინაციას არ შეუერთდა. მან დამოუკიდებელი გზა აირჩია. საინტერესოა, რომ ემი სემპლ მეკფერსონის ვაჟიშვილი როლფი ვერ იხსენებს, კეტრინი ოდესმე თუ ყოფილა დედამისის მოწაფე.

ემის პირადად არასოდეს შეხვედრია, მაგრამ მისმა მსახურებამ უთუოდ დიდი გავლენა მოახდინა კეტრინზე. მაგრამ მათ შორის არსებით განსხვავებას შემდეგი მომენტი წარმოადგენდა: ემი ადამიანებს ასწავლიდა, რომ მათ სულიწმიდით ნათლობა უნდა ეძიონ, ხოლო კეტრინი ამ ძიებას გამოგონილ პრაქტიკად თვლიდა. კეტრინი ორმოცდაათიანელი იყო, მაგრამ ამით წერტილს არ სვამდა. ხალხი კეტრინს იმთავითვე ემის ადარებდა, მაგრამ ემის გარდაცვალებიდან ექვსი წელიწადი გავიდა, ვიდრე კეტრინის სახელი ეროვნული გაზეთების სათაურებში გამოჩნდა.

[17] Buckingham, *Daughter of Destiny*, 118-119.

ეკლესია ეთერში

მოკლე ტალღებით გადაცემული პროგრამების წყალობით მის ქადაგებებს მთელ შეერთებულ შტატებში და ზოგან საზღვარგარეთაც კი უსმენდნენ. მთელი ამერიკა თითქოსდა ელოდა ამ სასიამოვნო, თბილ ხმას, რომელიც მსმენელებს გადაცემის დასაწყისში მიმართავდა: „სალამი, მელოდით?“

მისი რადიოგადაცემები არც რელიგიური ყოფილა და არც მოსაწყენი. პირიქით, მსმენელები ისე გრძნობდნენ თავს, თითქოს კეტრინი მათ უბრალოდ ფინჯან ყავაზე ეწვია. ის ადამიანებს გაჭირვებას, პრობლემებსა და საზრუნავს უმსუბუქებდა; მათი ცხოვრება რადიკალურად იცვლებოდა კეტრინის გადაცემების შემდეგ. ხშირად ხუმრობდა, რათა მსმენელებს ეგრძნოთ, რომ მათ შორის ახლობლური საუბარი მიდის. თუ ყვირილი მოუნდებოდა, ყვიროდა, თუ ემღერებოდა, მღეროდა კიდეც ეთერში. რადიოთი ისევე შთამბეჭდავად მსახურებდა, როგორც ცოცხალი აუდიტორიის წინაშე. მასავით ეს ცოტა ვინმეს თუ შეეძლო. კეტრინის გარდაცვალების შემდგომ წლებშიც კი „კულმან ფაუნდეიშნი“ უამრავ შეკვეთას იღებდა მის ძველ რადიოჩანაწერებზე.

კეტრინის სიცოცხლის უკანასკნელი რვა წლის მანძილზე მისი ტელეგადაცემების ტრანსლაცია მთელს ქვეყანაში ხდებოდა. კეტრინის სერიული ნახევარსაათიანი საუბრები ყველაზე ხანგრძლივი იყო იმ გადაცემებს შორის, რაც სი-ბი-ეს-ზე იწერებოდა, თუმცა მათი ტრანსლირება სხვა არხიდან ხდებოდა.

ყველა კეტრინის სურვილს უნდა დამორჩილდეს

მისმა მსახურებებმა კარნეგი-ჰოლიდან პიტსბურგის პირველ პრესვიტერიულ ეკლესიაში გადაინაცვლა დ მათ მრავალი წლის მანძილზე ბიბლიის ყველაზე ცნობილი და პატივცემული მასწავლებლები ესწრებოდნენ. სიცოცხლის უკანასკნელი ათი წლის მანძილზე კეტრინი ატარებდა ყოველთვიურ მსახურებებს ლოს-ანჟელესში, სადაც ათასობით ადამიანს ემსახურებოდა და უამრავი განკურნა. ასევე გამოდიოდა დიდ ეკლესიებში, კონფერენციებსა და საერთაშორისო შეხვედრებზე. განსაკუთრებით უყვარდა მსახურება სრული სახარების ბიზნესმენთა საერთაშორისო ძმობის შეკრებებზე, რომელიც დემოს შაკარიანმა დააარსა ლოს-ანჟელესში.

რამდენიმე წელი დასჭირდა, ვიდრე დათანხმდებოდა, კონფერენციებზე ემსახურა. გრძნობდა, რომ კონფერენციის განრიგსა და დროის ლიმიტს შეიძლებოდა სულიწმიდის მოქმედება შეეზღუდა, რაც მისთვის გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენდა.

თუკი ვინმეს სურდა, რომ კეტრინი მასთან ერთად გამოსულიყო, მის ყაიდაზე უწევდა გადაწყობა. კარგად იცოდა, რომ ღმერთმა განსაზღვრული გზით მსახურებისათვის მოიხმო და ამაში რაიმე ცვლილების შეტანა ყოვლად წარმოუდგენლად მიაჩნდა. როდესაც ეჩვენებოდა, რომ მისი თავისუფლება იზღუდებოდა, ან როდესაც შეკრებას საეჭვო პიროვნებები ესწრებოდნენ, ვისაც მსახურების ჩაშლა შეეძლო, მაშინ გამოსვლაზე უარს ამბობდა. ამასაც ამბობდნენ ხშირად, რომ „უფროსები უფროსობას წყვეტდნენ, როდესაც კეტრინი შემოდიოდა“[18].

ათასჯერ მომკვდარა

კეტრინს მოწევისა და ალკოჰოლის საწინააღმდეგოდ არასოდეს უქადაგია. მათ გამოყენებას არ მიესალმებოდა, მაგრამ ხალხისაგან გაუცხოება არ სურდა. აგრეთვე არ მოსწონდა ზოგიერთი ევანგელისტი მკურნალის მსახურების მანერა, რომელიც „უხეშად“ მიაჩნდა და რომელსაც მხარს არ უჭერდა.

არასოდეს უთქვამს, რომ ავადმყოფობა ეშმაკისგანაა. ამ თემას თავს არიდებდა, ერჩივნა ღვთის სიდიადეზე მიეთითებინა. გრძნობდა, რომ, თუკი შეძლებდა ადამიანთა მზერა ღვთისკენ

[18] Warner, *Kathryn Kuhlman,* 210.

მიემართა, მაშინ ყველაფერი თავ-თავის ადგილას დაეწყობოდა. ადრეული მსახურებისას ადამიანებს მოუწოდებდა, თავიანთი დენომინაციები მიეტოვებინათ. გვიანდელ წლებში კი ასწავლიდა, რომ უნდა დაბრუნდნენ და კაშკაშა ნათელი და მკურნალი ძალა შეიტანონ იქ, სადაც იქნებიან.

როგორც ამბობენ, ლოცვას სიცოცხლესთან აიგივებდა. მუდამ მოგზაურობაში მყოფს ლოცვისათვის განსაზღვრული დრო და ადგილი არ ჰქონდა, ამიტომ მიეჩვია, ნებისმიერი ადგილი, სადაც იმყოფებოდა, სალოცავ ოთახად ექცია. მსახურებების დაწყებამდე ხედავდნენ, თუ როგორ „სცემდა ბოლთას, ხან მაღლა წევდა თავს, ხანაც დაბლა ხრიდა, მკლავებს ხან მაღლა აღაპყრობდა, ხან ზურგსუკან დაილაგებდა“. სახე ცრემლით უსველდებოდა. თითქოს უფალს ევედრებოდა: „მოწყალეო იესო, ნუ წამართმევ შენს სულიწმიდას“.[19]

ასეთი ღრმა ლოცვა თითქოსდა უაღრესად პირადული უნდა ყოფილიყო, მაგრამ კეტრინის შემთხვევაში ასე არ ყოფილა. მას ხშირად აწყვეტინებდნენ რაიმე საორგანიზაციო შეკითხვით, რომელსაც მაშინვე სცემდა პასუხს და იმწამსვე ლოცვის ისეთსავე ჩაღრმავებულობას უბრუნდებოდა, საიდანაც ეს-ესაა გამოიყვანეს. ორელ რობერტსი ასე აღწერდა სულიწმიდასთან მის დამოკიდებულებას:

„გეგონებოდათ, ისინი ერთურთს ესაუბრებოდნენ და ვერ გაარჩევდით, სად იწყებდა კეტრინი და სად განაგრძობდა სულიწმიდა. მათ შორის სრული ურთიერთგანზავება ხდებოდა“[20].

მის მსახურებებს საზოგადოების ყველა ფენისა და ყველა დენომინაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კათოლიკენი, ეპისკოპალიანელები, ორმოცდაათიანელები, ბაპტისტები, ლოთები, ავადმყოფები, მომაკვდავები, ღრმად გასულიერებული და სრულიად არარელიგიური ადამიანები. და კეტრინმა იცოდა, რომ მათ ყველას უნდა ექცეს სულიწმიდის ჭურჭლად, რომელიც ამ ადამიანებს ღმერთზე მიუთითებდა. ჰქონდა საზღვრების გადალახვის არაჩვეულებრივი ნიჭი და ყველანი აღქმის ერთ დონეზე დაჰყავდა. როგორ ახერხებდა ამას? მე ვფიქრობ, ეს სულიწმიდისადმი სრული თვითშეწირვის შედეგად ხდებოდა. მუდამ ამბობდა: „თითოეული მსახურების წინ ათასჯერ ვკვდები“[21].

კეტრინი ეკუმენისტურ ევანგელიზმს აღიარებდა და თავისი მსახურებისას მუდამ კრძალავდა ენების ნიჭით, განმარტებისა და წინასწარმეტყველების ნიჭით ზეგავლენის მოხდენას. თუკი ვინმე მაინც განაგრძობდა სხვადასხვა ენებზე ხმამაღალ მეტყველებას და დანარჩენებს ხელს უშლიდა, მას ეს ადამიანი ყველასაგან შეუმჩნევლად დარბაზიდან გაჰყავდა. კეტრინს ღვთის ყველანაირი მადლისა სწამდა, მაგრამ არ სურდა რაიმე ისეთის გაკეთება, რაც ადამიანებს ხელს შეუშლიდა, ღვთის უბრალო რწმენას მიახლოებოდნენ.

მიუხედავად ამისა, ნებას რთავდა ადამიანებს, „სულისაგან დამარცხება განეცადათ“. ბევრში თუნდაც მხოლოდ ამ გამოვლინების გამო იღვიძებდა ღვთის გასაოცარი ძალის რწმენა.

მწამს, რომ ჩვენი ადამიანური არსება ვერ აიტანს ღვთიური ძალის მთელ სისრულეს და როდესაც ამ ძალაში ვერთვებით, ის ჩვენთვის გაუსაძლისია უბრალოდ. ჩვენ დაბალი ძაბვით ვსაზრდოობთ, ხოლო ღმერთი — ესაა სულიწმიდის სადენით მოწვდილი მაღალი ძაბვა“[22].

სცენას არასოდეს ტოვებდა, მაშინაც კი, როდესაც მუსიკოსები ან სოლისტები მსახურობდნენ. როგორც წესი, სცენის განაპირას რჩებოდა, არასოდეს გადიოდა მაყურებლის თვალსაწიერიდან, იღიმოდა და ხელებს ზეცისაკენ აღაპყრობდა.

კეტრინი მუდამ აცნობიერებდა იმას, რომ ოდესმე უფლის წინაშე წარსდგება და საკუთარი მსახურების შესახებ ანგარიშს გასცემს. არასოდეს უფიქრია, ამ მსახურებისათვის ღმერთმა პირველად მე გამომარჩიაო. სწამდა, რომ მანამდე ღმერთმა სხვა ადამიანებს მოუხმო, მაგრამ მათ საფასურის გადახდა არ ისურვეს. არასოდეს ყოფილა საკმარისად დარწმუნებული იმაშიც კი, რომ მეორე ან მესამე არჩევანს წარმოადგენდა, მაგრამ ის კი კარგად იცოდა, რომ უფალს დასტურით უპასუხა. მისი მსახურება ჰგავს და ალბათ არის კიდეც ქარიზმატული მოძრაობის წამყვანი მსახურება.

[19] Buckingham, *Daughter of Destiny*, 147.
[20] Warner, *Kathryn Kuhlman,* 234.
[21] იქვე, 212.
[22] იქვე, 220.

ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია

რა სასწაულები ხდებოდა? ხდებოდა ათასობით სასწაული, მაგრამ უდიდესი სასწაული კეტრინისთვის ადამიანის სულიერი დაბადება იყო. ერთ-ერთ შემთხვევაში დაბადებიდან ინვალიდი ხუთი წლის ბიჭი დამოუკიდებლად ავიდა კეტრინთან სცენაზე. სხვა შემთხვევაში მანამდე თორმეტი წლის მანძილზე ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული ქალი ისე ავიდა სცენაზე, რომ მეუღლის ხელსაც კი არ დაყრდნობია. ერთმა მამაკაცმა ფილადელფიიდან, რომელსაც რვა თვის წინ გულის სტიმულატორი ჩაუდგეს, კეტრინის ხელდასხმის დროს მკერდში ძლიერი ტკივილი იგრძნო. შინ დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ მკერდის იმ ადგილას, სადაც სტიმულატორი ჩაუდგეს, ნაიარევი გამქრალიყო და ველარ გაეგო, მუშაობს თუ არა იგი. მოგვიანებით რენტგენმა აჩვენა, რომ სტიმულატორი უკვალოდ გაქრა, გული კი აბსოლუტურად ჯანსაღია.

ჩვეულებრივ მოვლენებად იქცა სხვადასხვა სახის სიმსივნის გაქრობა, ბრმებისათვის თვალის ახელა და ყრუთათვის სმენის აღდგენა. თავის ტკივილები მსახურების დაწყებისთანავე ჩერდებოდა. მტკივანი კბილებიც კი ჯანსაღდებოდა ღვთაებრივი ძალით. უბრალოდ შეუძლებელია კეტრინის მსახურებისას მომხდარი ყველა სასწაულის ჩამოთვლა. ეს მხოლოდ ღმერთმა იცის.

ღვთის ნებით განკურნებული ათასობით ადამიანის შემხედვარე კეტრინი სიხარულისაგან ტიროდა. ადამიანები იხსენებენ, რომ მისი ცრემლები მათ ხელებზეც კი ეცემოდათ.

ამბობენ, კეტრინი მაშინაც ტიროდა, როდესაც ადამიანთა განკურნება ვერ ხერხდებოდა და ისინი ინვალიდის ეტლებით ბრუნდებოდნენ შინ. მას არ გააჩნდა იმის ახსნა, თუ რატომ იკურნება ერთი და ვერ იკურნება მეორე. სწამდა, რომ ეს ღვთის საქმეა. საკუთარ თავს შემსრულებლად და არა ავტორად მოიხსენიებდა. მაგრამ ამბობდა იმასაც, რომ სწორედ ამ კითხვას დაუსვამს პირველად ღმერთს, როდესაც ზეცაში მოხვდება!

ჩრდილოეთის აფეთქება

1952 წლის აგვისტოში კეტრინი ქადაგებდა ოჰაიოს შტატის ქალაქ ეკტონში, რექს ჰამბარდის კარავში, რომელიც დაახლოებით ათასხუთას ადამიანს იტევდა. პირველი მსახურების წინა დილით, გარიჟრაჟზე, ჰამბარდების ოჯახი მათი ბორბლებიანი სახლის კარზე ხმამაღალმა კაკუნმა გააღვიძა. კართან პოლიციელი იდგა, მან უთხრა: „მამაო ჰამბარდ, რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ. კარვის წინ სადღაც თვრამეტიათასი ადამიანია შეკრებილი“. დილის ოთხი საათი იყო. მსახურება კი მხოლოდ თერთმეტზე უნდა დაწყებულიყო.

კეტრინი რახანია მიჩვეულიყო იმას, რომ ყველა მსურველს არასოდეს ჰყოფნიდა ადგილი ერთ შენობაში. მან უთხრა ჰამბარდს, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ: მსახურება დილის რვა საათზე უნდა დაეწყოთ. ასეც მოიქცნენ. რექსის მეუღლე მოდ ემი იხსენებს, რომ იმ დღეს კეტრინი სამის ნახევრამდე მსახურობდა.

ამ მოვლენების შემდეგ ჰამბარდების ოჯახი მუდმივად დაბანაკდა ეკტონში, სადაც ორგანიზება გაუკეთა იმ პერიოდის — 60-70-იანი წლების — ერთ-ერთ უდიდეს ეკლესიას და ერთ-ერთ ყველაზე დიდ სატელევიზიო მსახურებას. ეკტონში თანამშრომლობის შემდეგ კეტრინი სამუდამოდ დაუმეგობრდა ჰამბარდებს.

ამავე პერიოდში კეტრინს დაუდგინეს გულის გაფართოება და მიტრალური კლაპანის დისფუნქცია. მიუხედავად ამისა, ის განაგრძობდა სვლას და მთლიანად მიენდო სულიწმიდას.

ბრწყინვალება და ვარსკვლავთცვენა

კეტრინი ცნობილ პიროვნებად იქცა არა მხოლოდ ქრისტიანთა შორის, არამედ ზოგადად მსოფლიოშიც. მის მსახურებებს ეკრანის ვარსკვლავები ესწრებოდნენ. ცნობილმა მსახიობმა ფილის დილერმა კეტრინის ერთ-ერთი წიგნი სიკვდილის პირას მყოფ თავის ერთ თაყვანისმცე-

მელს ურჩია[23]. რომის პაპი კეტრინს პირადად გაესაუბრა და მტრედის ფორმის გულსაბნევი აჩუქა. ამერიკის უდიდესი ქალაქები თავ-თავიანთი „გასაღებებით“ ეგებებოდნენ იქ ჩასულ კეტრინს. ვიეტნამშიც კი გადასცეს საპატიო მედალი ავადმყოფთა განკურნებისათვის.

მაგრამ პოპულარობის ზენიტში წინააღმდეგობებიც ხვდებოდა. მათ უმეტესობას კეტრინი უბრალოდ იგნორირებას უკეთებდა. მაგრამ ხდებოდა ისეთებიც, ღრმა გულისტკენას რომ აყენებდა. ამის მაგალითია მისი მუშაკების, დინო კარტსონაკისისა და მისი სიძის, პოლ ბართოლომეს ღალატი.

ერთი სიტყვით, დინომ და მისმა სიძემ გასამრჯელოს გრანდიოზული მომატება მოითხოვეს, რადგან შეიტყეს, რომ „კულმან ფაუნდეიშნმა“ მომგებიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

კეტრინს ძალიან მოსწონდა დინოს გამოსვლები. დამსწრეთაგან უთუოდ ბევრი გაიხსენებდა, თუ რა თბილად წარმოუდგენდა ხოლმე მას აუდიტორიას: „ახლა კი — დიინოოო!“ და მკლავებს ფართოდ შლიდა. კეტრინმა კარტსონაკისი გაჭირვებიდან ამოათრია და საერთაშორისო მსახურების სფეროში შეიყვანა. საუკეთესო ტანისამოსს აცმევდა და გამუდმებით ცამდე აჰყავდა პრესის თანდასწრებით.

მაგრამ ის თავისი სიძის, პოლ ბართლომეს გავლენის ქვეშ მოექცა. ბართლომე ყველაზე მაღალანაზღაურებადი თანამშრომელი იყო, მაგრამ უფრო მეტი მოისურვა და სასამართლოში სარჩელი შეიტანა აღმაშფოთებლად მაღალი თანხის მოთხოვნით. გარდა ამისა, კეტრინი არ ამართლებდა დინოს ურთიერთობას საერო სფეროში მოღვაწე მომღერალ ქალთან, რაც ყველასათვის ცნობილი გახდა. დინო ნაწყენი დარჩა და ასევე მოითხოვა ანაზღაურების მომატება. ამის შედეგად კეტრინმა ორივე დაითხოვა. მაგრამ მანამდე მათ მის საწინააღმდეგოდ მრავალი საჯარო ბრალდების წამოყენება მოასწრეს.

სიცოცხლის ბოლო წლებში კეტრინი ნაკლებად აკვირდებოდა თავისი თანამშრომლების ხასიათს. ის უბრალოდ იმ ადამიანებს ირჩევდა, ვინც სიმპათიას იწვევდა მასში, მაგრამ ხშირად ეს სიმპათია დიდხანს არ გრძელდებოდა და მას გულისტკივილი ცვლიდა. შესაძლოა, თანამშრომლების შერჩევისას დაშვებული შეცდომები მისი ემოციური და ფიზიკური გადაღლილობის შედეგიც ყოფილიყო. მეტისმეტად გადატვირთული განრიგი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ აფრთხილებდნენ, არ ღირს ბართლომესა და კარტსონაკისის მუშაობის პროცესში ჩართვაო, კეტრინმა ისინი მაინც მიიღო და, საბოლოო ჯამში, მარცხი განიცადა.

არაერთი შეფასებითი შეცდომა იქნა დაშვებული, მათ შორის მისი გარემოცვის ადამიანების მიერ, რადგან მისი არ ესმოდათ, მაგრამ კეტრინი არასოდეს აძლევდა ხორცს სულიწმიდის ქმედებებში ჩარევის უფლებას, ამ ქმედებების ადრესატად საკუთარ თავს არასოდეს თვლიდა და მუდამ ღმერთს ადიდებდა.

მისი მსახურების ყველაზე ინტენსიურ პერიოდში მრავალი დენომინაცია თვლიდა, რომ კეტრინი ამ დროში სულიწმიდის ყველაზე უფრო წმინდა მსახურებებს ატარებს. მას არ ჰქონია არავითარი დაფარული მოტივები ანდა გაუგებარი მოქმედებები. ადამიანები ნათლად ხედავდნენ, თუ რას აწვდიდა მათ კეტრინი. მას არასოდეს უცდია, თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს ყველა შეკითხვაზე ჰქონდა პასუხი და მუდამ წუხდა იმაზე, რომ შეიძლებოდა სულიწმინდა რაიმით გაენაწყენებინა. სიცოცხლის აღსასრულამდე მორჩილი, ერთგული, გულწრფელი და პატიოსანი დარჩა.

როგორ შეიძლება დაკარგო ადგილი

1968 წელს კეტრინი სამიათასზე მეტი ადამიანის თანდასწრებით მსახურობდა პეტ რობერტსონისა და მისი თანაშემწის, ჯიმ ბეკერისათვის. მსახურების დაწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ ტრიბუნაზე რამდენიმე რიგი ჩაინგრა და ადამიანები ჰაერში ჩამოეკიდნენ. ბევრი ჩავარდა და ისინი სასწრაფომ საკაცეებით წაიყვანა. ჩანგრეული ადგილები გასაშლელი სკამებით შეცვალეს. მის კულმანს ეს ყველაფერი არც კი შეუმჩნევია, ის შუა ქადაგებაში იყო.

1968 წელს კეტრინი გაემგზავრა ისრაელში, ფინეთსა და შვედეთში. მოგზაურობის მან-

[23] Warner, *Kathryn Kuhlman,* 164.

ძილზე სტუმრობდა ჯონი კარსონის, დინა შერისა და სხვათა წარმოდგენებს. კეტრინი ძალზე დიპლომატურად იქცეოდა, ამიტომაც მას ერთურთისაგან სრულიად განსხვავებულ წრეებში იღებდნენ, მაგრამ მთელ ამ სარეკლამო პროგრამებში ის მაინც ახერხებდა სულიწმიდის ძალის დემონსტრირებას. როგორც ამბობდნენ, სი-ბი-ეს-ის სტუდიის მუშაკებმა კარგად იცოდნენ, რომ როდესაც კეტრინი შენობაში შედიოდა, იქ მომენტალურად იცვლებოდა ატმოსფერო.

1975 წელს, მიუხედავად სუსტი ჯანმრთელობისა და იმისა, რომ უკვე სამოცდაათს მიატანა, კეტრინი იერუსალიმში გაემგზავრა სულიწმიდის მეორე მსოფლიო კონფერენციაზე გამოსასვლელად. მსახურებაზე მისული თავს არცთუ კარგად გრძნობდა, მაგრამ მაინც მხნედ გამოიყურებოდა.

როდესაც შეიტყო, რომ ძირითადი ორატორი ბობ მემფორდი უნდა ყოფილიყო, ორგანიზატორებს დაემუქრა, რომ გამოსვლაზე უარს იტყოდა, რადგან მემფორდის მოძღვრებას მოწაფეობის შესახებ სრულ ერესად თვლიდა და ამაში მინაწილეობის მიღება არ სურდა. მიუხედავად ამისა, თავი გადასძლია და ისრაელში ჩავიდა. მისი წყალობით შუა აღმოსავლეთში არაერთმა ადამიანმა განიცადა სულიწმიდის მსახურება.

ჩემი სული კარგად არის

სასწაულთა უკანასკნელი მსახურება კეტრინმა კალიფორნიაში, ლოს-ანჟელესში ჩაატარა 1975 წლის 16 ნოემბერს. მისი დასრულების შემდეგ მის კულმანის ჰოლივუდის ოფისის თანამშრომელმა ქალმა ისეთი რამ იხილა, რაც არასოდეს დაავიწყდება.

როდესაც დარბაზი დაცარიელდა, კეტრინი ჩუმად მიუახლოვდა სცენის ნაპირს. მან თავი ასწია და ნელა შეათვალიერა აივანი, თითქოს თითოეულ სკამს აკვირდებაო. გეგონებოდათ, ეს უსასრულოდ გრძელდებაო. შემდეგ ასევე ნელა გადაავლო თვალი მეორე იარუსის თითოეულ რიგსა და ადგილს. ბოლოს კი პარტერს ჩახედა და თითოეული სკამი შეათვალიერა.

მხოლოდ წარმოსახვითად თუ ჩავწვდებით იმას, თუ რა ხდებოდა ამ დროს კეტრინის გუნებაში: მოგონებები, გამარჯვებები, სიცილი და ცრემლები. ნუთუ იცოდა, რომ აღარასოდეს ავიდოდა სცენაზე? იქნებ ამ წუთში თავის მიწიერ არსებობას ემშვიდობებოდა?

მხოლოდ სამი კვირის შემდეგ სიკვდილის პირას მყოფი კეტრინი იწვა ოკლაჰომას შტატის ტულსას სამედიცინო ცენტრში, სადაც გულის ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა.

ამ დროისათვის თავისი მსახურების სრული კონტროლი გადააბარა ადამიანს, სახელად ტინკ უილკერსონი, რომელიც მანამდე ტულსაში საავტომობილო ბიზნესს ფლობდა. ტინკი განსვენებული ჯინი უილკერსონის, ღვთის ჭეშმარიტი წინასწარმეტყველის ვაჟიშვილი გახლდათ.

უილკერსონმა კეტრინთან ერთად მხოლოდ ათი თვე დაჰყო, მაგრამ იგი მას ენდობოდა. სწორედ მან აირჩია ადგილი, სადაც კეტრინისთვის ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ. გარდაცვალების შემდეგ კეტრინმა სწორედ მას დაუტოვა თავისი ქონების დიდი ნაწილი. კულმანის თანამშრომელთა ძველი შტატი ამ ადამიანმა დააეჭვა, რამაც კომპანიაში განხეთქილება გამოიწვია: ერთნი თვლიდნენ, რომ უილკერსონმა კეტრინი მოატყუა, მეორენი კი ამტკიცებდნენ, რომ იგი მას სიკვდილის წინ ღმერთმა გამოუგზავნა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა აჟიოტაჟი ატეხეს იმის თაობაზე, თუ რატომ მიიღო მან ასეთი დიდი წილი მაშინ, როდესაც კეტრინის თანაშემწეს მეგი ჰარტნერს ასე ცოტა ერგო.

1992 წელს ოკლაჰომას შტატის ორმა საოლქო სასამართლომ უილკერსონი საავტომობილო ბიზნესში დიდი ხნის წინანდელ თაღლითობაში დამნაშავედ სცნო. იგი ციხიდან 1993 წლის ზაფხულში უნდა გამოსულიყო. ამ დროისათვის კეტრინ კულმანთან თავისი და თავისი მეუღლის მეგობრობის შესახებ წიგნის დაწერას გეგმავდა[24].

ამდენი წლის მანძილზე ის, შესაძლოა, გარდაცვლილისადმი მოწიწების გამო დუმდა. ვფიქრობ, მას ბევრი რამ უნდა ჰქონდეს მოსაყოლი.

[24] Warner, *Kathryn Kuhlman,* 242.

„შინ მინდა“

ორელ და ეველინ რობერტსები იმ მცირერიცხოვან მნახველებს ეკუთვნოდნენ, ვისაც ნება დართეს, სამედიცინო ცენტრში კეტრინი მოენახულებინათ. ორელი იხსენებს, რომ როდესაც მის საწოლთან დაიხარნენ, რათა მისი გამოჯანმრთელებისათვის ელოცათ, აღსანიშნავი რამ მოხდა. „როდესაც მიხვდა, რომ მისი გადარჩენისათვის ვაპირებდით ლოცვას, კეტრინმა ხელები ბარიერის სახით გამოგვიწვდინა და შემდეგ ზეცაზე მიგვითითა“. ეველინ რობერტსმა მეუღლეს გადახედა და უთხრა: „ჩვენი ლოცვა არ სურს. შინ უნდა წასვლა“.

კეტრინის დამ მირტლმა იგივე მინიშნება მიიღო დისგან. მან უილკერსონს უთხრა: „კეტრინს შინ წასვლა უნდა“[25].

მშვენიერმა წითურთმიანმა ქალმა, რომელმაც ჩვენს თაობას სულიწმიდის მსახურება წარმოუდგინა და მილიონობით ადამიანი აღაფრთოვანა, როგორც იქნა, გულის საწადელი აისრულა. ამბობენ, სულიწმიდა კიდევ ერთხელ მოეფინა მომაკვდავს და სახე გაუნათა. ექთანმა შენიშნა მისი საწოლის გარშემო ნათება, რომელიც არაჩვეულებრივ სიმშვიდეს აფრქვევდა[26]. 1976 წლის 20 თებერვალს, პარასკევს, საღამოს ცხრის ნახევარზე კეტრინ კულმანი დაბრუნდა შინ, იესოსთან. ის სამოცდარვა წლის იყო.

ორელ რობერტსი თავმჯდომარეობდა მის დაკრძალვას კალიფორნიაში, ქალაქ გლენდეილის ფორესტ ლაუნის მემორიალურ პარკში. კეტრინი ემი სემპლ მეკფერსონის საფლავისგან მხოლოდ ნახევარი მილის დაშორებით, იმავე სასაფლაოზე დაკრძალეს. მისი გარდაცვალების შემდეგ ორელს გამოეცხადა ხილვა, რომ ღმერთი გაამრავლებდა და აამაღლებდა მის მსგავს მსახურებს მთელ მსოფლიოში და კიდევ უფრო განადიდებდა ღვთიური ძალის გამოვლინებებს, ვიდრე ეს კეტრინის მსახურებისას ხდებოდა.

კეტრინ კულმანი განსაკუთრებული განძი გახლდათ. მისმა მსახურებამ გზა გაუკვალა ჩვენს თაობას სულიწმიდის შეცნობისაკენ. იგი ცდილობდა ეჩვენებინა ჩვენთვის, თუ როგორ ვიურთიერთოთ სულიწმიდასთან და როგორ შევიყვაროთ იგი. იმისათვის იყო მოწოდებული, რომ სულიწმიდა ჩვენს მეგობრად წარმოეჩინა. ამიტომაც, ვერავინ დაასრულებს მის შესახებ მონათხრობს თვით მასზე უკეთ:

„ეს ქვეყანა სულელს მიწოდებდა, რადგანაც ჩემი გული მას ვაჩუქე, ვინც არასოდეს მინახავს. ზუსტად ვიცი, რას ვეტყვი, მის სიახლოვეს როდესაც მოვხვდები. იესოს მშვენიერ სახეს ჩავხედავ და მხოლოდ ამას ვიტყვი: „რაც შემეძლო, ვეცადე“. მთელი ჩემი არსება შევწირე, როგორც შევძელი. ჩემი გამოსყიდვა მაშინ აღსრულდება, როდესაც ავდგები და ვიხილავ იმას, ვინც ეს გამოსყიდვა შესაძლებელი გახადა[27].“

[25] Warner, *Kathryn Kuhlman,* 240.
[26] Buckingham, *Daughter of Destiny*, 305.
[27] „უფლის მხევლის გახსენება“, *Abundant Life Magazine* (Tulsa: Oral Roberts Evangelistic Association, May 1976), cover.

ინა სმირნოვა

ბგერის იდუმალი ძალმოსილება

ფოთლების შრიალი, უღრანი ტყის გუგუნი, გამტყდარი ტოტის ტკაცანი, წვეთის წკრიალი, ტალღების ტლაშუნი, წყაროს რაკრაკი, ქარის ზუზუნი, ჭექა-ქუხილი, ჩამოცვენილი ქვების ხათქა-ხუთქი, ჩიტების ჟრიამული, ჭრიჭინობლების ჭრიჭინი, ჭრიალი, სტვენა, ბზუილი, ნადირის ღრიალი, ბრდღვინვა, სისინი, ყვირილი, ადამიანთა ხმები, გამოუცნობი ჩამი-ჩუმი... ხმები მოედინება ყოველი მხრიდან: შორეული და ახლომდებარე საგნებიდან, ცოცხლებისგან და უსიცოცხლოთაგან, მოძრავთა და უძრავთაგან. ბგერები მოედინება ოკეანეთა სიღრმიდან და დედამიწის წიაღიდან, იღვრება ზეციდან.

სამყარო აღსავსეა სხვადასხვა სიძლიერის ბგერებით, გამუდმებით გარს რომ ეხვევა ადამიანს და მის არსებაში დაბადებამდე ბევრად უფრო ადრე იჭრება, რადგან ნაყოფს დედის საშოშიც ესმის. უფრო მეტიც, ბგერა ზემოქმედებას ახდენს სავსებით დაყრუებულ ადამიანზეც.

მიუხედავად იმისა, რომ გარესამყაროს შესახებ ინფორმაციის 80 პროცენტს ადამიანი მხედველობის მეშვეობით აღიქვამს, ბგერა ბევრად უფრო ძლიერად ზემოქმედებს მის ემოციებზე. სწორედ ამიტომაა, რომ ადამიანი ხშირად ბგერებით გამოხატავს თავის მდგომარეობას: მრისხანე შეძახილებით, გულამომჯდარი ტირილით, ნაზი ჰანგებით.

ბგერა ადამიანზე სხვადასხვანაირ ზემოქმედებას ახდენს: გამაჯანსაღებელს, დამთრგუნველს, შთამაგონებელს, დამამშვიდებელს, გამაღიზიანებელს და ა.შ. ყველა რწმენასა, კულტსა და რელიგიაში ბგერა ყოველთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებდა — ის ჩვენი ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. სწორედ ამის შესახებ გვექნება აქ საუბარი.

არაფერია საკვირველი იმაში, რომ ადამიანები ბგერას ზებუნებრივი ძალების იდუმალ გამოვლინებად მიიჩნევდნენ. დღეს უკვე მეცნიერებამ იცის, რომ ბგერა — ეს არის აკუსტიკური ტალღები, რომლის რხევადი სტრუქტურა მოიცავს რიტმების, პროპორციებისა და ჰარმონიების სისტემას, რომლებიც ბუნებრივ და ხელქმნილ სამყაროში არსებობენ — კოსმიური სხეულების მოძრაობიდან დაწყებული, უჯრედების განვითარებითა და ატომების რხევებით დამთავრებული. ასევე ცნობილია, რომ ბგერების ნაწილობრივ სუბიექტურად შეფასების მიუხედავად, მათი უმეტესობის ზემოქმედების დაფიქსირება და გაზომვა შესაძლებელია ხელსაწყოების მეშვეობით. ობიექტურად შეიძლება დახასიათდეს ბგერის ზემოქმედება ადამიანის გუნება-განწყობაზე, მის ტონუსსზე, პულსზე, ტვინის ტალღებსა და საკვების მონელებაზეც კი. მაგრამ მეცნიერებამ არ იცის, თუ რატომაა, რომ ბგერის ზემოქმედება ორგანიზმზე, უმეტეს შემთხვევაში არ ექვემდებარება ნებელობის კონტროლს. სწორედ ამ ფენომენმა, თავის დროზე წარმოშვა ბგერისადმი მისტიკური დამოკიდებულება, რასაც ხშირ შემთხვევაში დღესაც აქვს ადგილი.

ბგერა ოდითგანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა უძველეს რწმენებში, კულტებსა და რელიგიებში. დროთა განმავლობაში ბგერა, შემდგომში კი მუსიკა, ადამიანის თავისებურ უნივერსალურ ენად იქცა: ინიციაციების ენად, გარდამავალი პერიოდის ადათ-წესთა გზის გამკვლევ ენად — სულ უფრო და უფრო მზარდი ცნობიერების ლაბირინთებში და ღრმა განწმენდისა და სულიერი რეალიზაციის მეგზურად. ადამიანებს სჯეროდათ ბგერის ძლევამოსილებისა, რასაც შეეძლო ველური ცხოველების მოთვინიერება, მთების გადაადგილება, წყლის დინებისათვის გზის ჩაკეტვა, წვიმის გამოწვევა — ერთი სიტყვით — სასწაულების მოხდენა.

და რაც მეტად საინტერესოა — ბევრ რამეში ისინი მართლები იყვნენ. და თავის სიმართლეში დარწმუნებულმა ამ ადამიანებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათი ეს რწმენა მისტიკურ წინამძღვრებს ემყარებოდა, კონკრეტული მიზანი დაისახეს: მოეთვინიერებინათ ბგერის ძალა, ადამიანის ხმის ბგერა იქნებოდა ეს თუ ბუნებისა და წარემართათ საჭიროებისამებრ, აეძულებინათ აჟღერებულიყო სხეულში, ტვინში, ემკურნალა და განეკურნა.

აკუსტიკისა და ლინგვისტიკის დარგებში ცნობილი ამერიკელი სპეციალისტი, ფსიქიატრი პიტერ ოსვალდი აღნიშნავს: „ყოველი ბგერა ბუნებაში თავისთავად წარმოადგენს შედარებით რთულ ფიზიკურ მოვლენას, რომელსაც უნდა მივუდგეთ დროის ხანგრძლივობის გათვალ-

ისწინებით, რხევების დაწყებიდან დამთავრებამდე, ამასთანავე აუცილებელია გავითვალისწინოთ ტალღების ზუსტი ფორმა, რხევითი კომპონენტების სიხშირე და ინტენსივობა. გარდა იმისა, რომ მოსმენის პროცესში სმენადობის ზღვარი შესაძლებელია გადაადგილდეს, მოსმენის დაწყებამდეც კი ამ ზღვრის დონე სხვადასხვა მსმენელისათვის შესაძლებელია განსხვავებული იყოს, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენადაა დაძაბული მათი ყურადღება, ანდა იმყოფება თუ არა მოლოდინის მდგომარეობაში მსმენელი...“

ძველ დროში არ შეიძლება რაიმე სცოდნოდათ აკუსტიკის კანონების შესახებ, მაგრამ დაკვირვება და პრაქტიკა თვალნათლივ ცხადყოფდა ზოგიერთი ბგერის სასიკეთო ზემოქმედებას ორგანიზმზე. ჩინეთში, ინდოეთში, ძველ ეგვიპტესა და კიდევ სხვა ქვეყნებში, ექიმები და ქურუმები, ფილოსოფოსები და მუსიკოსები, ოდითგანვე იყენებდნენ ბგერებს სამკურნალო საშუალებად.

არქეოლოგიური გათხრები გვაწვდიან ცნობებს იმის შესახებ, რომ ნერვიული დაავადებების მქონე ავადმყოფთათვის არსებობდა მრავალი სამკურნალო ადგილი, სადაც მკურნალობის ერთადერთ საშუალებად მათ ახლოს ჩამდინარე ნაკადულების რაკრაკი გამოიყენებოდა. ბგერათა სამკურნალო თვისებებს კარგად იცნობდნენ ძველი ბერძნები. ჩვენს დრომდე მოაღწია იავნანის მონოტონურმა მშვიდმა ჰანგებმა, რომლითაც დედები ამშვიდებდნენ და აძინებდნენ შვილებს. ბგერით მკურნალობას განსაკუთრებით ხშირად პრაქტიკაში აღმოსავლეთის ქვეყნების ექიმები იყენებდნენ. ასე მაგალითად, ინდოეთში, ფეხზე ან ხელზე ნაჭრილობევს ჩამოაცვამდნენ ტილოს ტომსიკას, რომელშიც სამკურნალო ბალახები და პატარა ზანზალაკები იყო მოთავსებული. როდესაც ავადმყოფი ამოძრავდებოდა, ზანზალაკები მელოდიური ჟღარუნის ხმას გამოსცემდნენ და ჭრილობები უფრო სწრაფად ხორცდებოდა. ძველ ინდურ სამედიცინო ტრაქტატებში აღწერილია ბგერების ზემოქმედებით კანის გასუფთავების მეთოდები. კანს ჯერ სპეციალურად დამზადებული, სამკურნალო ბალახებითა და ქვიშით შეზავებული ზეთებით დაზელდნენ, შემდეგ მრავალი საათით ავადმყოფს ტოვებდნენ მარტო ოთახში, სადაც მუსიკა უკრავდა. მუსიკალური ბგერები თავისი რხევით ზემოქმედებდა ადამიანის კანზე, ზეთი თანდათან შრებოდა, რის შედეგადაც დაავადებული ნაწილაკები შორდებოდა კანს.

რა ხანია შემჩნეულია, რომ ეკლესიის ზარების ხმა ადამიანის ფსიქიკურ და ფიზიკურ მდგომარეობაზე ზემოქმედებს. ბანის, დაბალი სიხშირის ხმა ამშვიდებს, ხოლო მაღალი სიხშირის ხმა ამაღლებს ადამიანის ტონუსს, კარგ გუნება-განწყობაზე აყენებს და აუმჯობესებს მის საერთო მდგომარეობას. : „მსოფლიო ეპიდემიების“ პერიოდში მაღალი სიხშირის ზარები რეკდნენ და შემჩნეული იყო, რომ ეს ხმა ეპიდემიის ჩაქრობას უწყობდა ხელს.

მედიცინის ისტორიაში ბგერითი მკურნალობის არა ერთი და ორი მეთოდია ცნობილი. პ. ოსვალდი წერს: „ხშირად შეხვდებოდით ისეთ თერაპევტებს, რომლებსაც სწამდათ მკვეთრი ბგერების მასტიმულირებელი სამკურნალო თვისებებისა, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც მიაჩნდათ, რომ ესა თუ ის დაავადება ავადმყოფის სხეულში „ჩასახლებული“ ბოროტი სულების მიერ იყო გამოწვეული. ადამიანის სხეულიდან მათ განდევნას კი ეს თერაპევტები ყვირილითა და გამკივანი ხმით, ან კიდევ რაღაც უცნაური ინსტრუმენტების შემზარავი ხმაურით ცდილობდნენ. XVIII საუკუნეში მოღვაწე ექიმ მესმერის ზეგავლენით, რომელსაც „ცხოველური მაგნეტიზმის“ უფრო სწამდა ვიდრე ბოროტი სულების (და სხვათაშორის მუსიკალურ თერაპიას იყენებდა პრაქტიკაში), გავრცელდა ფსიქოთერაპიით მკურნალობის ბევრად უფრო მშვიდი და შინაარსიანი ფორმა. თუმცა დღესაც კი, სამედიცინო წრეებში ძირითადად, გამოიყენება ე.წ. „პირველყოფილი ღაღადის“ თეორია.

შესაძლებელია ირონიით შეხედოთ ეგრეთ წოდებულ ეშმაკეულთა განკურნებას შუასაუკუნეობრივი მეთოდებით, თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, ფსიქიურად დაავადებული ადამიანების მკურნალობას ხმაურით, ყვირილით, შემზარავი ხმებით და რა ველურადაც არ უნდა გეჩვენებოდეთ ყოველივე ეს, ერთი რამ ცხადია, ხშირ შემთხვევაში ეს მეთოდები დადებით შედეგებს იძლეოდა. ოღონდაც არა იმის გამო, რომ, როგორც ამას ძველად ხსნიდნენ, თითქოსდა ბოროტი სულები ტოვებდნენ ავადმყოფი ადამიანის სხეულს.

ორგანიზმზე ბგერის ძლიერმა ზემოქმედებამ, სხვადასხვა დროს, სრულიად განსხვავებული მიმართულების სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. ჩვენს დროში, ოფიციალურ მედიცინაში გაჩნდა ახალი დარგი — ბგერითი თეორია. ამ დარგის მეთოდიკა, გარკვეულწილად წინა საუ-

კუნეების მეთოდებს ემსგავსება, მაგრამ თავისუფალია იმდროინდელი მისტიკური შეფერილობისაგან და თანამედროვე პირობებში, მართლაც რომ სასწაულების მოხდენა შეუძლია.

ასე მაგალითად, XX საუკუნის მიწურულს, ამერიკაში, ექიმ-გამომგონებელ შერი ედვარდსის კლინიკაში, ავადმყოფის განკურნების უნიკალურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. პაციენტი, რომელიც თუთიით მოიწამლა, უმძიმეს მდგომარეობაში იყო და კვდებოდა: მას განუვითარდა დამბლა და ყველა ძირითადმა ორგანომ ფუნქციონირება შეწყვიტა. და მაშინ, გამოიყენეს ბიოაკუსტიკური მეთოდი. გადაწყვიტეს, 15 წუთის განმავლობაში, მომაკვდავ ავადმყოფზე ზემოქმედება მოეხდინათ ისეთი ბგერითი სიხშირის ჩანაწერით, რომელიც შეესაბამებოდა მისი სხეულის ჯანმრთელ მდგომარეობას. მოულოდნელად ხელსაწყოებმა აჩვენეს, რომ ავადმყოფის საციცოცხლო მაჩვენებლებმა სწრაფად იწყო გაუმჯობესება, შემდეგ კი დასტაბილურდა. მაგნიტოფონი გამორთეს. ერთი წუთის შემდეგ, ავადმყოფის მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა. კვლავ ჩართეს ბგერების ჩანაწერი — და ჯანმრთელობის მაჩვენებლებმა გაუმჯობესება იწყო. ბგერით ხანგრძლივმა ზემოქმედებამ განაპირობა ორგანიზმიდან ჭარბი თუთიის გამოდევნა.

თითქმის იმავე პერიოდში, საფრანგეთში, მედიკოსმა ლა ვუამ შეიმუშავა დაავადებათა განკურნების მისეული „ბგერითი მეთოდი". იგი მაგნიტურ ფირზე წერდა გარკვეული სიხშირის ბგერებს, რომელთა მოსმენა ადამიანის ბიოველის დონის სტიმულირებას განაპირობებდა. ყურადსაღებია ის, რომ საჭირო სიხშირის გამოსავლენად, ნიკოლ ლა ვუა ადამიანის მეტყველების ნიმუშებს იყენებდა. მისი მეთოდის თეორიული დასაბუთება მდგომარეობს შემდეგში: თუ ხმის მეშვეობით მიაგნებენ ავადმყოფის „სულის" მთავარ სიხშირეს, მაშინ ორგანიზმის კრისტალურ სტრუქტურებზე ამ სიხშირის ვიბრაციულ ზემოქმედებას ნორმალურ მდგომარეობაში მოჰყავს ეს სტრუქტურები.

ბგერის გამოყენების მრავალი თერაპიული მეთოდი არსებობს. მაგალითად, ღრმა ემოციების გამოსაწვევად გამოიყენება სიმღერა, დეკლამაცია, რიტმული მოძრაობები მუსიკის თანხლებით. მართალია ბგერით თერაპიას სხვადასხვა მიმართულება გააჩნია, მაგრამ ეს დაყოფა ძალზე პირობითია. ასე მაგალითად, ცალკეული ბგერებით მკურნალობა ახლოსაა სასიმღერო, მუსიკალურ, სიტყვიერ და რითმოთერაპიასთან.

პირველ მუსიკალურ-ესთეტიკურ სისტემებში ძალზე ზუსტად იყო განსაზღვრული და დაფიქსირებული ის კანონები, რომელთა მიხედვით მხოლოდ რითმოფორმულებსა და რელიგიურ საგალობლებს კი არ აგებდნენ, არამედ გამოიყენებოდა ინსტრუმენტები, ტონალობა და სასიმღერო წყობა, ინტერვალები და ბგერები. ზედმიწევნით იყო განსაზღვრული და გათვლილი რიცხვითი დამოკიდებულებებისა და სიმბოლური კავშირების საიდუმლოებანი.

მაგალითად, ჩინური ინსტრუმენტის — ციტრა ჩინის (ცზინის) სიგრძე წელიწადის 366 დღის მსგავსად შეადგენდა 3,66 ფუტს, მისი ხუთი სიმი ესადაგებოდა ბუნების ხუთ სტიქიას, ხოლო ინსტრუმენტის გრიფი დაყოფილი იყო 12 ნაწილად — წელიწადის თვეების რაოდენობის მიხედვით. ხუთი სიმის რაოდენობა ასევე შეესაბამებოდა იმ დროს ცნობილი პლანეტების რიცხვს. ინსტრუმენტის გლუვი ზედაპირი მიმსგავსებული იყო დედამიწის ზედაპირთან, რომელიც იმხანად ბრტყლად მიაჩნდათ, ნახევარწრე კი ზეცის თაღს განასახიერებდა.

ადამიანები ღრმად იყვნენ დარწმუნებულები, რომ მუსიკა ბუნების კანონებთან მჭიდრო კავშირშია. უძველეს კულტურებში ის აღიქმებოდა კოსმოსური მუსიკის ექოდ და რეზონანსად, რაც ღვთიურ კანონებს ემორჩილებოდა. კოსმოსური და მუსიკალური თეორიები პარალელურ პრინციპებზე ვითარდებოდა., რომელთა მიხედვით ამუშავებდნენ და ამზადებდნენ მუსიკალურ ინსტრუმენტებს, თხზავდნენ და ასრულებდნენ მუსიკალურ ნაწარმოებებს. ვარაუდობდნენ, რომ შესაბამისი განწყობის შემდეგ, კაცობრიობას შეეძლო სამყაროს ჰარმონიის ძიებისას, ვარსკვლავებთან თანხმიერი სიმღერა. და უფრო მეტიც, ძველი ხალხების თვალსაზრისით, მუსიკა ბრძანებლობს არა მარტო ადამიანებზე, არამედ მისი მეუფება ვრცელდება მთელ გარესამყაროზე.

ინდოელებს სჯეროდათ, რომ არსებობს ჰანგები, რომელთაც ძალუძთ გამოიწვიონ წყვდიადი, ცეცხლი, წვიმა ან გვალვა, ბედნიერება და უბედურება. და იმისათვის, რომ მოეპოვებინათ ძალაუფლება ბუნების ძალებზე, ადამიანებსა და თვით ღმერთებზე, ძველი ინდოეთის მუსიკოსებსა და მოაზროვნეებს სისტემაში მოჰყავდათ ასობით ბგერა, ჟესტი, მოძრაობა, რიტ-

მი, საცეკვაო ილეთი — რათა მათი მეშვეობით ზეგავლენა მოეხდინათ ადამიანსა და ბუნებაზე. ამ პროცესში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა ზუსტ ინტონაციას.

საინტერესოა ანტიკური შეხედულებები მუსიკის შესახებ. ამ ეპოქის ადამიანებს სწამდათ, რომ მთელი სამყარო რიტმული და ჰარმონიულია, ანუ მუსიკალურია. რომ მუსიკა იმეორებს სამყაროს ამ თვისებებს და მათით ავსებს ადამიანის სულს. ასე რომ, მუსიკის მეშვეობით მყარდება ერთიანობა — თანხმიერება, სიმფონია ადამიანსა და სამყაროს შორის. ინდოელების მსგავსად, ძველ ბერძნებსაც მიაჩნდათ, რომ, რაკი მთელი სამყარო ასეთი კანონებით არსებობს, არა მხოლოდ ადამიანები, არამედ ქვებიც და ცხოველებიც უნდა ემორჩილებოდნენ მათ. სწორედ ამიტომაა, რომ ლეგენდარული ამფიონი თავისი სიმღერით ათვინიერებს ცხოველებს, ლირაზე დაკვრით კი აიძულებს ქვებს ქალაქს გალავნად ამოუშენდნენ.

ლირა განასახიერებდა სამყაროს, დაბალი სიმები შეესაბამებოდა ჯოჯოხეთს, ზამთარს, ბოროტებასა და სევდას. მაღალი — ცას, სიკეთესა და მხიარულებას. და ვინაიდან მაღალი სიმები ესადაგებოდა სისწრაფეს, დაბალი კი სინელეს, სწრაფი და ნელი ტემპი სიმბოლურ მნიშვნელობას იძენდა, ისევე, როგორც რიტმის ცვალებადობა.

გამომდინარე იქიდან, რომ მუსიკა განასახიერებდა სამყაროს რიტმებსა და კანონებს, ბერძნები მასში ეძებდნენ ადამიანისა და სამყაროს შეცნობის გასაღებს. თუკი სამყარო ჰარმონიულია და მუდმივ მოძრაობაში იმყოფება, იგი მუდმივად უნდა ჟღერდეს. ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე რადიოტელესკოპებს კოსმოსის ყველაზე შორეული ადგილებიდან ჩვენამდე მოაქვთ არა გამოსახულებები, არამედ სხვადასხვა ბგერები.

რატომაა, რომ ადამიანებს არ ესმით კოსმოსიდან მომდინარე ეს ხმები? თუ იქნებ მათ მუსიკას ყოფაცხოვრების ხმაური ახშობს? ძველ ადამიანებს მიაჩნდათ, რომ მხოლოდ ის, ვინც შეაღწევს მათ წიაღში, შეძლებს მოისმინოს სამყაროსეული ჰარმონია, და მაშინ, მისი ცხოვრება მშვენიერი გახდება. მაგრამ როგორ უნდა განეწყო ისე, რომ სამყაროსთან შეხმატკბილებულ ურთიერთობაში აღმოჩნდე? ამის მისაღწევად მთავარი საშუალება მუსიკაა, შექმნილი სამყაროული კანონების მიხედვით. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი იოლად კარგავს სწორ გუნება-განწყობას, და მაშინ მისი სული და ხორცი აშლილ, აუწყობელ ლირას ემსგავსება. ასეთი ადამიანის მკურნალი ექიმის ამოცანაა — აღუდგინოს მას ჰარმონია. არსებობს მუსიკა, რომელსაც სული გამოჰყავს უხალისობისა და უძლურებისაგან. არის მუსიკა, რომელიც ამშვიდებს აბობოქრებულ ვნებებსა და უგუნურ აღტკინებას.

პითაგორამ და პლატონმა ზუსტად იცოდნენ, რომ მუსიკა სამყაროულ წესსა და ჰარმონიას ასახავს და ამიტომ ძალუძს ადამიანის სხეულში აღადგინოს დარღვეული ჰარმონია. არისტოტელე ამბობდა, რომ მუსიკა განწმენდს არა მხოლოდ სხეულს, არამედ სულსაც.

მუსიკის, როგორც სამედიცინო პრაქტიკის შემადგენელ ნაწილად აღიარება, IX საუკუნეში მოახდინეს არაბმა ექიმებმა. მათი აზრით, ადამიანის სულში გამავალ მუსიკას ძალუძს დაავადებული სხეულის გაჯანსაღება. მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთის დიდი მოაზროვნის, ავიცენას (980-1037) შრომებმა ევროპის ქვეყნებში შეღწევა იწყო, ეს დებულებები ექიმებისათვის ხელმისაწვდომი გახდა.

უკვე XIII საუკუნეში, მუსიკას მიიჩნევდნენ სიბერის შემანელებელ საშუალებად. მუსიკის მეშვეობით მოხუცებულობის „გადავადების“ თემას პირველად ინგლისელი ფილოსოფოსი და ბუნების მკვლევარი როჯერ ბეკონი (1214—1294) შეეხო, რომელმაც ახსნა, რომ მუსიკის ციფრობრივი წყობა ადამიანისათვის დამახასიათებელ ჰარმონიას ენათესავება.

მუსიკამ, როგორც სამკურნალო საშუალებამ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ფსიქიურად დაავადებულთა მკურნალობისას მოიპოვა. გერმანელი მეცნიერი-მუსიკოსი, იეზუიტი ათანასიუს კირხერი 1684 წელს წერდა, რომ მუსიკა ადამიანის სხეულზე ხსნის სასულეებს, რომელთა მეშვეობით გამოედინება ბოროტი, დამასნეულებელი სულები და მუსიკის ფსიქოთერაპიული შესაძლებლობანი მდგომარეობს იმაში, რომ იგი შუამავალია სფეროთა მუსიკასა (musica mundala) და იმას შორის, რაც სხეულში ფიზიოლოგიური პროცესების მიმდინარეობაში მდგომარეობს (musica humana): მუსიკას ისინი შესაბამისობაში მოჰყავს ერთმანეთთან.

საინტერესოა კირხერის სამუსიკო რეკომენდაციებიც. იკვლევდა რა სხვადასხვა დამოკიდებულებებს პაციენტის ტემპერამენტსა და მის მიერ მოწონებულ მუსიკას შორის, იგი აღნიშნავდა: „მელანქოლიკებს უყვართ სერიოზული, უწყვეტი ნაღვლიანი მელოდია. სანგვინიკებს, მათი

მბორგავი სისხლის იოლი აღგზნებადობის წყალობით, მუდამ ცეკვის სტილი იტაცებთ. ასეთივე ჰარმონიული მოძრაობებისადმი აქვთ მიდრეკილება ქოლერიკებს, რომლებშიც ცეკვა ნაღვლის ძლიერ ანთებას იწვევს. ფლეგმატიკებს ქალური ხმები მოსწონთ". აქ მოქმედებდა პრინციპი — „მსგავსი ბადებს მსგავსს". და სწორედ ეს განსაზღვრავდა მკურნალობისათვის საჭირო მუსიკალური ნაწარმოების არჩევანსა და ხასიათს და იმ ინსტრუმენტსაც, რომელზედაც იგი უნდა შესრულებულიყო. ასეთი მიდგომა გრძელდებოდა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში. და მას ჩვენს დროშიც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. ასე მაგალითად, დადგენილია, რომ კლარნეტზე დაკვრას ნორმალურ მდგომარეობაში მოჰყავს გულ-სისხლძარღვთა სისტემა. პიანინოსა და ვიოლინოს ხმა დამამშვიდებელ ზემოქმედებას ახდენს. მარგებელ ზეგავლენას ახდენს თირკმელებზე საყვირის ხმა. სატონიზებელი ეფექტი გააჩნია მაჟორულ და საკმაოდ ძლიერ მუსიკას. არსებობს მელოდიები, რომლებიც სიხარულს იწვევენ, ზრდიან გულის შეკუმშვის სიხშირეს, აფართოებენ სისხლძარღვებს. ენერგიული მუსიკა ააქტიურებს ფიზიოლოგიურ პროცესებს. დამამშვიდებლად მოქმედებს — ნელი, მშვიდი, ჩუმი მინორული მუსიკა.

მუსიკის გერმანელი თეორეტიკოსი მატესონი წერდა: „მუსიკის უპირველესი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი სული მშვიდ ნეტარებაში ამყოფოს, და თუკი მან დაკარგა ეს უკანასკნელი, კვლავ დაამშვიდოს და დააკმაყოფილოს იგი... ჩვენი თანამედროვე ვირტუოზები მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ გაახალისონ და განაცვიფრონ ადამიანები თავიანთი მაღალი, სრულყოფილი ხელოვნებით, ძველებს კი შეეძლოთ თავიანთი მსმენელები დაემწუხრებინათ, გამოეცოცხლებინათ, გაებრაზებინათ, შეყვარებულებად ექციათ და ლამის გაეცოფებინათ კიდეც... ეს მუსიკალური საიდუმლოებანი დღეს უკვე დავიწყებას მიეცა".

მეოცე საუკუნის შუა პერიოდში ფართო გაქანება მიეცა აფექტების თეორიას, რომელიც სწავლობდა სხვადასხვა რიტმების, მელოდიებისა და ჰარმონიების ზემოქმედებას ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე.

მუსიკალური თერაპიის გამოყენების საზღვრები თანდათანობით ფართოვდებოდა: იგი გამოიყენებოდა საყოფაცხოვრებო ნევროზისა და მძიმე ფსიქიური დაავადებების, ნერვიული სისტემის ფუნქციონალური დარღვევის, მოუსვენრობის, დეპრესიის, ენაბლუობის, ენურეზის, ცერებრალური დამბლის, ასევე ფსიქოსომატური კომპონენტების შემცველი წყლულოვანი დაავადებების, ჰიპერტონიის, ასთმის, სექსუალური მოშლილობისა და სხვა მრავალ დაავადებათა განკურნებისათვის.

დადგინდა, რომ მუსიკათერაპია ხელს უწყობს ინსულტის გადატანის შემდეგ ავადმყოფების მეტყველების სწრაფ აღდგენას, ტვინის მძიმე დაზიანებების შედეგად დაკარგული მეხსიერების დაბრუნებას. მუსიკის მეშვეობით აყუჩებენ ტკივილს და მშობიარობის შემდგომი დეპრესიიდან გამოჰყავთ ქალები. ინგლისელმა მეცნიერმა დემინგმა კი დაადგინა, რომ, თუ ჩვეულებრივი მკურნალობა მიმდინარეობს ბეთჰოვენისა და მოცარტის მუსიკის თანხლებით, ჩქარდება ჭრილობების შეხორცება. ამერიკელი და ჩეხი მეცნიერების კვლევებმა დაამტკიცა, რომ მოხუცი ადამიანები, რომლებსაც ღრმა გონებრივი შეზღუდვები აქვთ, საკუთარი სახელი აღარ ახსოვთ, თავიანთი ახალგაზრდობის პერიოდის მუსიკის მოსმენისას გარდაიქმნებიან: მათ უბრუნდებათ მეხსიერება და სამყაროს ჰარმონიული აღქმის უნარი.

ყურადსაღებია ის, რომ ექიმ ფსიქოანალიტიკოსს, პაციენტის შინაგანი სამყაროს შესახებ წარმოდგენა ექმნება ავადმყოფის მუსიკალური თვითგამოხატვის მიხედვით: ავადმყოფის ფსიქიური და ემოციური მდგომარეობა სპონტანურად და იოლად გამოიხატება მუსიკაში ხმის ან ინსტრუმენტის საშუალებით.

ამჟამად მუსიკით მკურნალობა ანუ მუსიკალური თერაპია მეტ-ნაკლები ინტენსივობით გამოიყენება პრაქტიკულად თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

არსებობს რამოდენიმე სკოლა.

შვედურ სკოლაში, რომლის დამაარსებლად ა. პონტვიკი ითვლება, ამოსავალ წერტილად ფსიქორეზონანსის კონცეფციას მიიჩნევენ, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანის ცნობიერების სიღრმისეულ შრეებს ძალუძს თანხმიერებაში მოვიდეს მჟღერ ჰარმონიულ ფორმებთან და ამგვარი სახით გამოვლინდეს ანალიზისა და შესწავლისათვის. კ. იუნგის ცნებებზე — „კოლექტიური არაცნობიერი" და „არქეტიპი" — დაყრდნობით, ა. პონტვიკმა დაამუშავა წარმოდგენა იმ გზების შესახებ, რომლებიც ბგერათა პროპორციული თანაფარდობის მეშვეო-

ბით ფსიქიკის სიღრმისეულ შრეებში შეჭრის საშუალებას იძლევა, რაც ობერტონების ეფექტს იწვევს.

მუსიკალური თერაპიის ამერიკული მიმართულების სამკურნალო ეფექტი ეფუძნება ტრადიციული ფსიქოანალიზის იდეებს. სეანსის დროს, ფსიქოთერაპევტი ცდილობს, რომ პაციენტმა გაიხსენოს ის სიტუაციები, რამაც მისი ემოციური ტრავმა გამოიწვია, შემდეგ კი, მუსიკის მეშვეობით ახდენს მათ კატარსიზულ განმუხტვას და ამით მდგომარეობას უმსუბუქებს პაციენტს. ასეთ დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესატყვის მუსიკალურ ნაწარმოებთა შერჩევას, რომელებიც სახოვანი ასოციაციებისა და განცდების ისეთი აუცილებელი წყების გამოწვევას შეძლებენ, რომლთა შემდგომი ანალიზი მოუძებნიდა ახსნას დათრგუნული კონფლიქტის ბუნებას. ამის გამო, მუსიკალური თერაპიის ამერიკულმა მიმართულებამ სამკურნალო მუსიკალურ ნაწარმოებთა ვრცელი კატალოგები შეადგინა, რაც სრულიად სხვადასხვა ჟანრისა და სტილის მუსიკას მოიცავს, თუმცა კი კლასიფიცირებულია ზემოქმედების მიზანმიმართულების მიხედვით.

აბსოლუტური უკუჩვენებანი მუსიკით მკურნალობისათვის არ არსებობს. ჯანმრთელ ადამიანებს კი მუსიკა ეხმარება სტრესის მოხსნაში, განტვირთვაში, აძლევს დამატებით ენერგიას, ჰარმონიაში მოჰყავს გრძნობები და ირგვლივ მყოფ ადამიანებთან ურთიერთობები.

და კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: მუსიკალური თერაპია არ საჭიროებს ადამიანის არანაირ მუსიკალურ მონაცემებს.

არის ერთი მეტად მარტივი, მაგრამ თვალაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ ზემოქმედებს მუსიკა ადამიანზე ემოციურად და ფიზიოლოგიურად. შემოწმებულია, რომ **რე** და **ფა-დიეზ,** შემდეგ კი **სოლ** ნოტების აღებისას, ადამიანი გრძნობს სიმშვიდეს, ხოლო **ლა** და **დოს** შემდეგ, **დო-დო-დიეზის** აღებისას განიცდის ძლიერ ნერვიულ დაძაბულობას.

რატომ ხდება ეს?

როგორც კვლევებმა აჩვენა, ბგერების, მათ შორის მუსიკის ზემოქმედების მექანიზმები სხვადასხვა დონეზე ვლინდება: **ცნობიერების, ფიზიოლოგიურსა და უჯრედულ დონეზე.** იმის შესახებ, თუ როგორ ზემოქმედებენ ბგერები უშუალოდ ცოცხალ ორგანიზმებზე, ცნობილი გახდა არცთუ ისე დიდი ხნის წინ, იმ ცდების მეშვეობით, რომელთა ჩატარების პროცესში იკვლევდნენ მცენარეთა რეაქციებს ბგერით ზემოქმედებაზე.

უძველეს თხზულებებში ბევრი მონათხრობია მცენარეთა შესმენით თვისებებზე, მათ „მუსიკალურობაზე“. ინდოელთა ღმერთი კრიშნა თავისი მუსიკით მხოლოდ ადამიანებს არ აჯადოვებდა — როცა ის ფლეიტაზე უკრავდა, ზრდას იწყებდნენ მის ირგვლივ მყოფი მცენარეები, ბალახები, ბუჩქნარები, ხეები. რომაელ პატრიციათა წალკოტებში მისული სტუმრები გაოცებულები ადევნებდნენ თვალყურს იმას, თუ როგორ იშლებოდნენ ვარდები არფაზე დაკვრის დროს.

დღემდე ის ხალხები, რომლებმაც შეინარჩუნეს უძველესი კულტურის ელემენტები, თესვის დროს გარკვეულ მუსიკალურ რიტუალებს ასრულებენ. ასე მაგალითად: კარიბის ზღვის სანაპირო რაიონებში, გოგრის დათესვისას მამაკაცთა გუნდის სიმღერა ისმის, შვრიის დათესვისას ქალებისა. როცა ბოსტნეულს თესენ, სტვირსა და სალამურზე უკრავენ.

დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერები ასეთ რიტუალებს არ უკავშირებდნენ მცენარეებზე ბგერების ზემოქმედების რეალურობას. პირველმა ექსპერიმენტებმა, რომლებმაც ეს კავშირი დაადასტურეს, ინდოეთში ჩაატარეს მეოცე საუკუნის შუა პერიოდში. ბაღის ინის ბუჩქი, რომელიც ყოველდღიურად, თვენახევრის განმავლობაში, 25 წუთის განმავლობაში „ისმენდა“ ვირტუოზი მუსიკოსის მიერ ძველებურ ინსტრუმენტზე შესრულებულ მუსიკას, ბევრად უფრო მაღალი იზრდებოდა და ბევრად მეტ ფოთოლს ისხამდა, ვიდრე ის ბუჩქი, რომელზედაც არ ახდენდნენ მუსიკალურ ზემოქმედებას. ექსპერიმენტებს სხვა მცენარეებზეც ატარებდნენ, გამოიყენებოდა განსხვავებული ინსტრუმენტები და მელოდიები. თითოეულ მცენარეზე ზემოქმედებდნენ რამდენიმე კვირის განმავლობაში მზის ამოსვლამდე. და ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა ის მელოდია, რომელიც განთიადისადმი იყო მიძღვნილი.

ბგერითი ტალღების მცენარეებზე ზემოქმედების საკითხს სხვადასხვა ქვეყნის სპეციალი-

სტები სწავლობდნენ და ყველა აღნიშნავდა, რომ მცენარეებს აქვთ გარკვეული რეაქცია მუსიკის ხმაზე. კანადელი მკვლევარები პ, ვაინბერგერი და მ. მეზიურესი 1970 წლის განმავლობაში სიმინდის, გოგრისა და შვრიისათვის ფლეიტისტების კოცერტებს მართავდნენ. და ამ მცენარეებს, იმათგან განსხვავებით, რომლებსაც არ „მოუსმენიათ“ ეს მუსიკა, ორჯერ მეტად გაეზარდათ ფოთლების რაოდენობა, კვირტებისა კი სამჯერ მეტად. ვოკალი ნაკლებ ზემოქმედებას ახდენს, ვიდრე ფლეიტა.

მეცნიერებმა იმის შესწავლა დაიწყეს, თუ როგორ ზემოქმედებდა მცენარეებზე სხვადასხვა კომპოზიტორებისა და სხვადასხვა ჟანრის მუსიკა. ფლორაზე დადებითად რეაგირებდა ბახის ნაწარმოებები და ინდური მელოდიები. და რაც განსაკუთრებით საინტერესოა — მცენარეთა ღეროები იხრებოდნენ იქით, საიდანაც მუსიკა ისმოდა. „აღფრთოვანებას“ იწვევდა ინდური სიტარის ჟღერადობა: მცენარეთა უკლებლივ ყველა ღერო სამოცი გრადუსით იხრებოდა და ხმის წყაროსაკენ იყო მიბრუნებული. ლუი ამსტრონგისა და დიუკ ელინგტონის „მოსმენისას“ კი მცენარეები 15 — 20 გრადუსით იხრებოდნენ ხმის წყაროსაკენ და ბევრად უფრო მაღლები იზრდებოდნენ, ვიდრე ის მცენარეები, რომელთათვის მუსიკა არ დაუკრავთ. თანამედროვე ავანგარდისტების მუსიკა კი საერთოდ არ „იზიდავდა“ მცენარეებს. როკ-მუსიკისა და დასარტყამი ინსტრუმენტების ხმაზე კი ისინი უარყოფითად რეაგირებდნენ: ფოთლებისა და ძირების ზომები ჩვეულებრივზე მეტად მცირდებოდა, ღეროები კი „ცდილობდნენ“ განრიდებოდნენ ხმის წყაროს...

მაგრამ როგორია მცენარეებზე მუსიკის ზემოქმედების მექანიზმი? მათ ხომ არ გააჩნიათ სმენითი ორგანოები, არც ტვინი, რომელიც ბგერით სიგნალებს გაანალიზებდა! გამოდის, რომ ბგერითი სიგნალები აღიქმებიან ეგრეთ წოდებული „მთელი არსებით“, სხვაგვარად რომ ვთქვათ — ორგანიზმის უჯრედებით.

რატომაა, რომ აკუსტიკურ რხევებზე ცოცხალი ორგანიზმების გამოხმიანება ხდება მათ უფართოეს სიხშირისეულ დიაპაზონზე, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ გააჩნიათ ხმის ანალიზატორები? პასუხი აქ შესაძლებელია მხოლოდ ერთადერთი იყოს.

ორგანიზმი თვითონაა ბგერის წყარო.

ნებისმიერი ორგანიზმი, მათ შორის ადამიანის, შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც მასების შეხამება დრეკად ელემენტებთან, რომელთაც რხევების საკუთარი სიხშირე გააჩნიათ. სხვა სიტყვებით, ყოველი ორგანო ვიბრირებს გარკვეული სიხშირით. თავისებურად „ჟღერს“ ძვლები, კუნთები, გული, ღვიძლი, ფილტვები. საკუთარი ჟღერადობა გააჩნია მთლიანად ორგანიზმს. იგი „მღერის“ უჯრედოვან დონეზეც.

ასე მაგალითად, შესაძლებელი გახდა გამოევლინათ მუსიკალური წყობა, რომლითაც ჟღერს ორგანიზმში აქტიური ცილები — ფერმენტები. ისინი ასრულებენ კატალიზატორის როლს, რაც უჯრედებში ბიოქიმიურ რეაქციებს აჩქარებს. მაგრამ ზედმიწევნით საინტერესოა, რომ ფერმენტის მოლეკულასთან შეერთების დროს, რომელზედაც ის ზემოქმედებს, იცვლება თვით ფერმენტის მოლეკულის ფორმა. და როგორც ეს გამოკვლევებმა აჩვენა, ფერმენტების ცალკეული მოლეკულების ეს ცვლილებები წარმოქმნის რთული ფორმის აკუსტიკურ იმპულსს, და თუკი ეს იმპულსები მრავალრიცხოვანია და თანაც დროში სინქრონიზებული, მაშინ წარმოიქმნება სრულიად გარკვეული ჟღერადობა. რიცხვს, რომელიც აჩვენებს, თუ დროის ერთეულში ფერმენტის მოლეკულები რამდენჯერ უერთდებიან კატალიზს დაქვემდებარებული ნივთიერების მოლეკულებს, ეწოდა ბრუნვათა რიცხვი. როდესაც მკვლევარებმა ზოგიერთ ბიოქიმიურ რეაქციაში ფერმენტების ბრუნვის რიცხვის შედარება მოახდინეს, აღმოჩნდა, რომ ისინი შეესაბამებიან მუსიკალურ ბგერებს — **დო, რე, მი, ფა, სოლ!** როგორც ამას ბიოფიზიკოსი ს. ე. შტოლი ამტკიცებს, „უჯრედის ესა თუ ის მდგომარეობა ბგერათა ნამდვილი სიმფონიით ხასიათდება“.

ჩვენმა თანამემამულემ, გენეტიკოსმა ა. ნ. მოსოლოვმა, რომელიც 1970-იან წლებში ერთობლივ კვლევებს ატარებდა ფიზიკოსებთან, გამოიკვლია, რომ უჯრედის გაყოფისას, როდესაც ქრომოსომთა განშლა ხდება, წარმოიქმნება ულტრაბგერითი რხევები. და მოსოლოვმა ივარაუდა, რომ „ქიმიური ენის გარდა, უჯრედებს, როგორც ჩანს, გააჩნიათ უნარი, ინფორმაციები გაცვალონ ჩვენთვის ჩვეულ ენაზე — ოღონდაც მხოლოდ ულტრაბგერათა სიხშირის ბგერით ენაზე“.

1980 წელს, ამერიკაში, დოქტორმა სუსუმო ონომ კი აღმოაჩინა, რომ **დნმ**-ის გენებისა და

ფერმენტების წყობა იმგვარად ემთხვევა მუსიკალურ ბგერათა თანამიმდევრობას, რომ მიიღება მთელი ოქტავა. მან ჩაატარა შემდეგი შებრუნებული ცდა: შოპენის ფა-მინორის ნოქტიურნი (ოპუსი55, №1) გადათარგმნა გენეტიკურ ენაზე. აღმოჩნდა, რომ ასეთი სახით ტრანსფორმირებული მუსიკალური ნაწარმოები იმეორებს პოლიმერაზ II-ის რუბენუკლეინმჟავის (**რნმ**)-ის სტრუქტურას — ფერმენტს, რომელსაც (**დნმ**)-ის გენეტიკური ჩანაწერი (**რნმ**)-ზე გადააქვს და რომელიც ინფორმაციის მატარებელია ბირთვიდან იმ რიბოსომებამდე, რომლებიც უჯრედებში ცილოვანი მოლეკულების სინთეზს ახდენენ.

არანაკლებ „მუსიკალური“ აღმოჩნდა მიტოქონდრიები — უჯრედშორისი სტრუქტურები, რომლებიც ენერგეტიკული ცენტრების ფუნქციებს ასრულებენ. ჩვეულებრივ ისინი შებერილ ჩხირებს გვანან, რომლებშიც განსაკუთრებულ ულტრამიკროსკოპულ გარემოში მდებარე უთხელესი ძგიდეებია ჩასმული. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მიტოქონდრიები თავისი აგებულებით გასაოცრად ჰგავს სიმებიან ვიოლინოს, ანდა ვიოლონჩელს. მიტოქონდრიების რეზონანსული სიხშირე — 25 ჰერცია, და თუ მოხდება მისი შემდგომი ტრანსფორმირება სპექტრის მიხედვით, შესაძლებელია მიღებულ იქნას 5 000 ჰერცის მქონე ჰარმონიკა, რაც, როგორც ეს ექსპერტიზებმა უჩვენეს, ბიოლოგიურად აქტიურია.

გაირკვა ასევე, რომ ბგერებს სისხლში არსებული იმუნოგლობულინების რაოდენობის გაზრდის უნარი გააჩნიათ, ეს კი დადებითად მოქმედებს ჰორმონების გამომუშავებაზე. ამ მიმართებით წარმოებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ იმუნური და ნერვიული სისტემები გამოჰყოფენ მსგავს ნივთიერებებს — ციტოკინინებს, რომლებიც თრგუნავენ ან ასტიმულირებენ ამ უჯრედების მოქმედებას. როგორც ცნობილია, სწორედ იმუნური სისტემა განაპირობებს ორგანიზმის სიცოცხლემედეგობას, მის უნარს, წინააღმდეგობა გაუწიოს ინფექციებსა და მავნე ზეგავლენებს. იმუნური და ნერვიული სისტემების ურთიერთქმედება უჯრედულ დონეზე შემდეგნაირად ხორციელდება: დეპრესია აიძულებს ნერვულ სისტემას გამოიმუშაოს ციტოკინინები, რაც თრგუნავს იმუნურ სისტემას; თავის მხრივ, ქრონიკული სტრესი აიძულებს ნერვულ სისტემას ჭარბად გამოიმუშაოს მასტიმულირებელი ციტოკინინები, რაც გადამეტებულად ძაბავს ნერვულ სისტემას. რამდენადაც დეპრესიაც და სტრესიც ფსიქიური ხასიათის მოვლენებს განეკუთვნება, მათზე შესაძლებელია მუსიკალური ზემოქმედება, **უჯრედულ დონეზე მუსიკას ძალუძს, იმუნურ სისტემაზედაც იმოქმედოს.**

ყველა ამ გამოკვლევას უშუალო კავშირი აქვს მედიცინასთან. მათ დაადასტურეს, რომ მაგალითად, ბგერით რხევებს შეუძლია განმკურნებელი ზემოქმედება იქონიოს ორგანიზმის უჯრედების კრისტალურ სტრუქტურებზე. ამისათვის საჭიროა, რომ რეზონანსი ამაგრებდეს ჯანმრთელ უჯრედებსა და ქსოვილებს და იწვევდეს არაჯანსაღი უჯრედებისა და ქსოვილების დაშლას. თუ მუსიკალური ნოტების სიხშირე საკმარისად ახლოსაა უჯრედთა კუთვნილ სიხშირესთან, მას შეუძლია მათში (უჯრედებში — მთარგმ.) ინდუცირებული რხევების, რეზონანსის გამოწვევა და დაავადების შემთხვევაში, ნეგატიური სტრუქტურის დაშლა.

ჯანსაღ უჯრედებთან შედარებით, კიბოს უჯრედები მოიაზრება სუსტ, უსიცოცხლო და შეშუპებულ უჯრედებად. ამ უჯრედებზე 400-490 ჰერცის სიდიდის მზარდი სიხშირეებით ზემოქმედება, რაც პირველი ოქტავის ნოტების **ლა** და **სი-**ს სიხშირეებს შეესაბამება, გამოიწვევს მათ თანდათანობით რღვევასა და დაშლას.

ფრანგი მეცნიერი და მუსიკოსი ფაბიენ მამანი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 440 ჰერცი სიხშირე — სტანდარტული კამერტონის ბგერა — **ლა** — ზედმიწევნით დადებითად ზემოქმედებს ორგანიზმზე, ამიტომ საჭიროა, რომ ყველა ქალაქში, დილაობით, განსაზღვრული დროის განმავლობაში, რადიოთი აჟღერებდნენ ამ ხმას. მამანი ასევე ამტკიცებს, რომ ყოველ ადამიანს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი სიხშირე, რაც შესაძლებელია ჟღერდეს როგორც **ლა** და როგორც **დო**. და უფრო მეტიც, ყოველ ადამიანს შეუძლია მისი შინაგანი სამყარო ნოტის სახით წარმოიდგინოს, რომელიც შესაძლებელია იყოს მაღალი და დაბალი, ძლიერი და ჩუმი, და გამოიცემოდეს სხვადასხვა ინსტრუმენტით.

იმის მიხედვით, თუ რომელ ნოტს ამოირჩევს ადამიანი, შესაძლებელია მისი ტიპის განსაზღვრა.

შესაძლებელია, მუსიკით ზემოქმედების შედეგი მდგომარეობს ორგანიზმის ენერგეტიკულ

ველებში ჰარმონიის დამყარებაში და ბგერითი სტიმულაცია — ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხელსაყრელი გზა ჯანმრთელობისაკენ.

ცოცხალ ორგანიზმზე ბგერის ზემოქმედების მექანიზმი ბოლომდე არაა გამოკვლეული. მეცნიერები კვლავაც აგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას. სპეციალური ფიზიოლოგიური კვლევები ტარდება იმის გასარკვევად, თუ როგორ ზემოქმედებს მუსიკა ადამიანის სხვადასხვა სისტემებზე იმისდა მიხედვით, თუ რა სიმაღლის, სიძლიერისა და ტემბრისაა ბგერა და რა რიტმისა და ტონალობისაა მუსიკალური ნაწარმოები.

ადამიანის ცალკეული ორგანოების **რიტმები** ყოველთვის თანაზომიერია; მოძრაობის რიტმსა და შინაგანი ორგანოების რიტმს შორის ყოველთვის არსებობს გარკვეული თანაფარდობა. მუსიკის, როგორც რიტმული გამღიზიანებლის გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია მიღწეულ იქნას ორგანიზმის უფრო მეტად ორგანიზებული და ენერგეტიკულად ეკონომიური რიტმული პროცესების ჰარმონიული წყობა.

თუ რა ძალა აქვს რიტმს ადამიანზე, ეს ჯერ კიდევ ძველ დროში იყო ცნობილი. ანტიკურ საბერძნეთში მუსიკის მელოდიაზე უმთავრესი რიტმი იყო. ძველთაძველი ხალხების წარმოდგენით, პულსის თითოეულ რიტმს ესა თუ ის დაავადება შეესაბამებოდა, ეს რიტმები კი მუსიკალური რიცხვების მიხედვით იყო განლაგებული.

მუსიკის ყოველ ელემენტს ადამიანი მთელი თავისი არსებით აღიქვამს, ყველაზე მეტად მგრძნობიარედ კი იგი ნახევარწამიან ინტერვალებზე რეაგირებს, რაც ფეხით სიარულის ტემპს შეესაბამება.

მკვლევართა აზრით, ბგერით ზემოქმედებას საფუძვლად რეზონანსული მექანიზმი უდევს.

მუსიკის მეშვეობით ორგანიზმის რიტმული გაწონასწორების მაგალითები ჩვენთვის კარგადაა ცნობილი. მაგალითად, მარშის რიტმი გათვლილია შორეულ ლაშქრობებში ჯარების თანხლებისათვის, უფრო ნელი რიტმი, ადამიანის გულის მშვიდი მუშაობისათვის. ასეთი მუსიკის თანხლებით დიდხანს სიარული შესაძლებელია ისე, რომ დაღლა არ იგრძნობა. ის მარშები კი, რომლებიც სახალხო მსვლელობების დროს სრულდება, უფრო ენერგიულია. ასეთი მარშების რიტმები ადამიანის გულის ნორმალურ რიტმთან შედარებით უფრო ხშირია და ამიტომ გამამხნევებელ, მამობილიზებელ ზემოქმედებას ახდენს.

უფრო რთული რეზონანსული მექანიზმი მოქმედებს ადამიანის მიერ **მელოდიის** აღქმის დროს. აქ კერძოდ მნიშვნელოვანია ის, რომ მელოდია ძლიერ ენათესავება მეტყველებას. ცოცხალი მეტყველება ხომ როგორც სიტყვიერი, ასევე ინტონაციური შედგენლობის მატარებელია. მუსიკასა და მეტყველების ინტონაციას შორის ნათესაობაზე ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მიუთითებდნენ რუსო და გრეტრი. XIX საუკუნის დასასრულს, რუსული მუსიკათმცოდნეობის კლასიკოსი ა. სეროვი, ხაზს უსვამდა რა მუსიკის ბგერით ბუნებას, წერდა: „ყოველი მუსიკა, რა თქმა უნდა, — მღერაა (ანდა ის, რაც მას განეკუთვნება, ავსებს და სვამს ჩარჩოში)“.

და იმის მსგავსად, როგორც რამდენიმე ათეული ფონემა ადამიანის მეტყველებას საშუალებას აძლევს უსაზღვროდ ბევრი რამ გამოხატოს, ასევე მუსიკალური წყობის შედარებით მცირერიცხოვანი ტონები გამომსახველობის უმდიდრეს წყაროდ წარმოჩინდება.

როდესაც საინსტრუმენტო მელოდია ჟღერს, შემსრულებელი, ხშირად კი მსმენელიც წაიმღერებს ხოლმე — ჩვეულებრივ ნახევრადშეუცნობლად — და ესეც კი ხშირად სახმო აპარატის დაძაბვას იწვევს. შემთხვევითი როდია, რომ „ტონას“ ძველ ბერძნულში „დაძაბულობას“ ნიშნავს. მუსიკის მოსმენის დროს ადამიანი ასევე თავისდაუნებურად, სხეულით გაუცნობიერებელ მოძრაობებს იწყებს.

ამგვარად, მუსიკის ინტონაციური ბუნება მისი აღქმის დროს განსაკუთრებულ აქტიურობას იწვევს, რომელიც თითქოსდა მასვე უბრუნდება. შედეგად ამისა, მუსიკა მარტო ემოციებს კი არ იწვევს, არამედ ერთგვარად გადაედება კიდეც მსმენელებს, რაც შინაგანი ინტონირების საფუძველზე ხდება, და რის მეოხებითაც მსმენელი აღქმულ ინტონაციებს — მასში ასახულ ემოციებთან ერთად — შეიგრძნობს, როგორც საკუთარს.

დანართები

სამყაროს წესრიგი ერთგვარი მუსიკალური ჰარმონიაა, უდიადეს მრავალსახეობაში გამოვლენილი, იდუმალ წყობასა და რიტმს დაქვემდებარებული, შეხმატკბილებული და თანხმიერი საკუთარ თავთან.

წმიდა გრიგოლ ნისელი
IV საუკუნის მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი

აღმოსავლეთის მოაზროვნეთა მიხედვით, ხუთი სხვადასხვა „თრობა“ არსებობს: თრობა სილამაზით, ახალგაზრდობითა და ძლიერებით; შემდეგ — თრობა კეთილდღეობით; მესამე — თრობა ძალაუფლებით, ბრძანებლობებით, მმართველობის ძალით; არსებობს აგრეთვე მეოთხე თრობა, ესაა თრობა სწავლით, ცოდნით. მაგრამ ყველა ეს ოთხი თრობა იბინდება მუსიკით თრობის წინაშე, ისე, როგორც ვარსკვლავები — მზის წინაშე. ვინაიდან მუსიკა ეხება ადამიანის არსების სიღრმისეულ შრეებს, წვდება ისეთ სიღრმეებს, სადაც ვერ შეაღწევს გარე სამყაროს ვერცერთი სხვა განცდა. და მუსიკის მშვენიერება იმაში მდგომარეობს, რომ ისაა როგორც შემოქმედების წყარო, ასევე მისი აღქმის საშუალებაც. სხვა სიტყვებით, მუსიკამ შექმნა სამყარო და მუსიკის მეშვეობით იგი ისევ უბრუნდება იმავე წყაროს, რომელმაც შექმნა იგი.

ხაზრატ ინაიატ ხანი

...დედოფლის მსახურებმა კეთროვანები შემოიყვანეს; დედოფალმა მათთვის რაღაც სიმღერა დაუკრა — ისინი მაშინვე სრულად განიკურნენ, მერე მოწამლულები შემოიყვანეს — მათთვის დედოფალმა სხვა სიმღერა შეასრულა, და ავადმყოფები მაშინვე გამოჯანმრთელდნენ, თითქოს ავად არც ყოფილანო. ასევე მოუვიდათ ბრმებს, ყრუ-მუნჯებსა და დამბლადაცემულებსაც.

ფრანსუა რაბლე

„გარგანტუა და პანტაგრუელი.“ წიგნ. V თავი XX.
„იმის შესახებ, თუ როგორ კურნავდა დაავადებულებს კვინტესენცია მუსიკით“.

*აი, ერთი მეტად საინტერესო ეპიზოდი ცნობილი მომღერლისა და მუსიკალური ნაწარმოებების შემქმნელის, ალესანდრო სტრადელას (1645-1687) ბიოგრაფიიდან. წარმოშობით ნეაპოლელი სტრადელა ვენეციის რესპუბლიკაში მიიწვიეს მომავალ კარნავალთან დაკავშირებით ოპერის დასაწერად. მიუხედავად იმისა, რომ სტრადელა არ გამოირჩეოდა სილამაზითა და თავაზიანობით, შესწევდა უნარი, თავისი სიმღერით ადამიანების განწყობა მოეპოვებინა. იგი შეიყვარა დიდგვაროვანი მოხელის ქალიშვილმა ესტელამ, თუმცა ის ამ დროს ახალგაზრდა, ლამაზი და მდიდარი ვენეციელის საცოლედ ითვლებოდა. ესტელა და სტრადელა რომში გაიქცნენ. მეტოქემ იქ მკვლელები გაგზავნა, რომლებიც რომში იმ დროს ჩავიდნენ, როდესაც ლატერანსკის ტაძარში სტრადელას ორატორია **San Giovanni Battista** სრულდებოდა. სტრადელას მუსიკამ ისე იმოქმედა მკვლელებზე, რომ მათ თავიანთი განზრახვის შესრულებაზე უარი თქვეს. ამის შემდეგ შეყვარებულები ტურინში გაემგზავრნენ. ამჯერად მათ კვალდაკვალ ახალი მკვლელები დაადევნეს, რომლებმაც მოახერხეს სტრადელას სეირნობის დროს დასხმოდნენ თავს. როდესაც სტრადელამ თავდასხმის დროს მიყენებული ჭრილობები მოიშუშა, ცოლად შეირთო ესტელა და*

*გენუაში დასახლდა, სადაც ოპერა **La forca dell'amor paterno** დაწერა. მაგრამ შეურაცხყოფილი ვენეციელი მეტოქე თავს არ ანებებდა თავის მსხვერპლს. და ბოლოს, მესამეჯერ მიგზავნილმა მკვლელებმა ხანჯლით დახოცეს ესტელა და მისი მიჯნური, ცნობილი **Aria di Chiesa**-ს ავტორი. ეს დრამა სიუჟეტად დაედო ფრიდრიხ ფლოტოვის ოპერას **Alessandro Stradella***

მოსკოვის წმინდა ნიკოლოზის ტაძართან არსებული სამრეკლოს ცენტრის მონაცემების მიხედვით, ზარის მიერ წარმოქმნილი სმენისათვის მიუწვდომელი ულტრაბგერების დიაპაზონის ვიბრაციები 25 000 ჰერცს აღემატება და შეუძლია სამკურნალო ზემოქმედება იქონიოს ინფექციურ დაავადებებზე და ასევე აამაღლოს იმუნიტეტი. ზარების რეკვის დროს წარმოქმნილი ბგერების დაბალი სპექტრი — 40 დან 100 ჰერცამდე — ამშვიდებს ფსიქიკას, ხოლო საშუალო სპექტრი — 100 დან 20 000 ჰერცამდე ზრდის კაპილარული სისხლისა და ლიმფურ მიმოქცევას. იმდენად, რამდენდაც ეს პარამეტრები ობიექტურია, ზარების რეკვა ზემოქმედებს მისი მოქმედების არეალში მყოფ ადამიანებზე, მიუხედავად რელიგიასთან მათი დამოკიდებულებისა. ტაძრებსა და ეკლესიებში, როგორც შიგნით, ასევე გარეთ, სწორედ ზარების რეკვის წყალობით, წარმოიშვება მკურნავი მიკროკლიმატი. რუსი ფსიქოლოგი ა. გნეზდილოვი, რომელიც ადამიანებზე ზარების რეკვის ზემოქმედების საკითხს სწავლობს, მიიჩნევს, რომ ზარების ხმას ტკივილგამაყუჩებელი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია ადამიანზე.

ობერტონების მაღალი სიხშირეები, შეიძლება ითქვას, რომ „მუხტავს" სხეულისა და ტვინის ენერგიებს. მაგალითად: ვიბრაციებს, ზარები რომ წარმოქმნიან, ძალუძთ შეაღწიონ ადამიანის შინაგან სტრუქტურებში და ამასთან ერთად გაასუფთაონ ენერგეტიკული არხები. 10 000-დან 23 000-მდე ჰერცის მაღალი სიხშირეები თავის თავში მოიცავს უზარმაზარ ძალას. შესაძლებელია ადამიანი ვერ შეიცნობდეს, რომ იგი აღიქვამს ამ უმაღლეს ვიბრაციებს, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ტვინი მაინც იმუხტება მათგან ისე, როგორც აკუმულატორი ელექტროქსელისაგან. გარდა ამისა, ჰარმონიული ობერტონები ზემოქმედებენ „ეთერულ სხეულზე", აურასა და ენერგეტიკულ ცენტრებზე — ჩაკრებზე.

რუსულიდან თარგმნა
ნიკო დადიანმა

ვიქტორ ტროსტნიკოვი

მეცნიერულია თუ არა „სამყაროს მეცნიერული სურათი“?

კოლოსალურია მეცნიერების ხვედრითი წონა თანამედროვე საზოგადოებაში. ამის გამო შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მეცნიერების ცნების საზრისის დაზუსტება ზედმეტია — ჩვენ ხომ დღეში რამდენიჯერმე წარმოვთქვამთ ან ვისმენთ ამ ცნების აღმნიშვნელ სიტყვას. სინამდვილეში კი ცნების ეს სიცხადე ილუზიაა, რომელიც იკარგება საკითხის არსში ჩაღრმავებისას. როგორც ირკვევა, „მეცნიერების“ აბრის უკან ორი სრულიად სხვადასხვა საწარმოა განთავსებული. ერთ მათგანს შეიძლება დაერქვას მეცნიერება-კვლევა, ხოლო მეორეს კი — მეცნიერება-მსოფლმხედველობა.

მეცნიერება-კვლევა, მეცნიერება-გამოკვლევა არის ის, რომლის განსაზღვრებაც, როგორც „მეცნიერებისა“, მოცემულია ყველა ლექსიკონში და ენციკლოპედიაში: „ობიექტურად სარწმუნო (Достоверное) ცოდნა, მაქსიმალურად შემოწმებული შინაარსის მხრივ და მაქსიმალურად სისტემატიზირებული ფორმის მხრივ“. მეცნიერება — მსოფლმხედველობა — ეს არის სამყაროს ე.წ. მეცნიერული სურათი. ითვლება, რომ იგი პირდაპირი შედეგია მეცნიერება-გამოკვლევისა. ეს რომ მთლიანად ასე არ არის, ჩვენ ამაში მალე დავრწმუნდებით. იგი სრულიად დამოუკიდებელი კონცეფციაა, დაფუძნებული სამ ფილოსოფიურ პრეზუმფციაზე, რომლებიც პირობითად შეიძლება აღინიშნოს, როგორც ***რედუქციონიზმი, ევოლუციონიზმი*** და ***რაციონალიზმი***. ეს ცნებები ხანდახან უფრო ფართო აზრით მოიხმარება, რის შუქზეც ჩვენს მიერ შემდგომში ნათქვამი მართებული არ იქნება, ამიტომ მკითხველს ვთხოვთ, არ გაუშვას მხედველობიდან ის ფაქტი, რომ წინამდებარე სტატიის საზღვრებში ის ვიწრო აზრია ჩადებული, რომელსაც ახლა განვმარტავთ.

რედუქციონიზმი არის ჰიპოთეზა-ვარაუდი, რომ ყოფიერების მარტივი ფორმების რეალურობის ხარისხი აღემატება მისი უმაღლესი ფორმების რეალურობას და შესაძლებელია უმაღლესი ფორმების დაყვანა მარტივი ფორმების კომბინაციაზე. სამყარო წარმოგვიდგება საბავშვო „კონსტრუქტორის“ მსგავსად, რომელშიაც ჭანჭიკები და ღერაკები თავისი მნიშვნელობით აღემატებიან მათგან აგებულ კონსტრუქციებს, რადგანაც მათი დემონსტრირება შესაძლებელია, ხოლო ზოგიერთი კონსტრუქცია მხოლოდ თეორიულად — პრინციპშია შესაძლებელი, და თანაც ჭანჭიკები და ღერაკები უცვლელი და მუდმივია.

ევოლუციონიზმი არის ჰიპოთეზა-ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ყოფიერების რთული ფორმები ბუნებრივად, — ანუ ბუნების მარადიული კანონების მოქმედების შედეგად ავტომატურად და ყოველგვარი მიზანდასახულობის გარეშე წარმოიქმნენ საწყისი მარტივი ფორმებისაგან[1].

რაციონალიზმი არის ადამიანის გონის ყოვლისშემძლეობის რწმენა, რომლის ყველაზე უფრო სრულ განსახიერებას წარმოადგენენ მათემატიკა და ლოგიკა. გონებას ძალუძს ბუნების ყველა საიდუმლოების მფლობელი გახდეს და მოპოვებული ცოდნა ადამიანის სამსახურში ჩააყენოს, რაც მას სამყაროს მბრძანებლის ტახტზე აიყვანს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მკითხველისათვის ჯერ კიდევ არ არის ნათელი, თუ რაში მდგომარეობს განსხვავება კვლევა-მეცნიერებასა და მსოფლმხედველობა-მეცნიერების შორის. ჩვენ ხომ ბავშვობიდან ჩაგვაგონებენ, რომ დასახელებული სამი პოსტულატის შემცველი სამყაროს სურათი სწორედ მეცნიერების მონაცემებზეა დაფუძნებული. ეს ყველა სამეცნიერო-პოპულარულ წიგნში წერია, ამასვე ამტკიცებენ სასკოლო სახელმძღვანელოები, მაგრამ ამ გამოცემათა ავტორები, როგორც წესი, მეცნიერები კი არა, არამედ სულ სხვა სპეციალობის წარმომადგენლები არიან, რომელთა ნომინირება ყველაზე უფრო ზუსტად ტერმინით „იდეოლოგი“ არის შესაძლებელი. სწორედ ისინი ქმნიან მსოფლმხედველობა-მეცნიერებას და ისიც ფაქტია, რომ

[1] ჩვენი შენიშვნა ინტერპრეტაციის პირობითობის შესახებ განსაკუთრებით ეხება ტერმინს „ევოლუციონიზმი“. ლ.ს. ბერგის ან ტეიარ დე შარდენის კონცეფციათა მიხედვით ევოლუციის პროცესში გარკვეული შემოქმედებითი საწყისი მონაწილეობს, მაგრამ ჩვენ საკუთრივ განვითარების ავტომატიზმის კონცეფციაზე გვექნება საუბარი.

გამუდმებით ახდენენ კვლევა-მეცნიერებაზე აპელირებას. რაშია ამ აპელირების თავისებურება? გამოარჩევენ იმას, რაც აწყობთ, რისი გამოყენებაც შეიძლება მათი კონცეფციის დასაცავად, ყოველივე დანარჩენს კი ან არაარსებითად აცხადებენ, ანდა უბრალოდ თვალს ხუჭავენ „უცხო სხეულის“ არსებობაზე. მაგრამ იმასაც კი, რასაც გამოარჩევენ, თავისებურად განმარტავენ, ზოგჯერ — მეტისმეტად თვითნებურად. ასეთი მეთოდების გამოყენებით კი ყველაფრის დამტკიცებაა შესაძლებელი. მკითხველს ეს ბრალდება ლიტონ განცხადებად რომ არ მოეჩვენოს, მათი (იდეოლოგების) მეთოდის საილუსტრაციოდ მოვიშველიოთ მაგალითები, რომლებიც სამყაროს მეცნიერული სურათის სამივე ძირითად კომპონენტს ეხება.

რედუქციონიზმი ნაკარნახები იყო ნიუტონის ფიზიკით, სადაც სამყარო წარმოდგენილია როგორც „მატერიალური წერტილების“ ერთობლიობა, რომელთა ურთიერთმოქმედება მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მათემატიკურ კანონზომიერებებს ექვემდებარება. ამავდროულად მისი კოსმოლოგია შემოქმედის არსებობასაც ეყრდნობოდა, ხოლო მათემატიკური მეთოდების გარდა ნიუტონი შემეცნებითი მიზნებით იყენებდა საღვთო წერილს, ცდილობდა რა გაეშიფრა დანიელის წინასწარმეტყველებანი და ა.შ. ეს ყველაფერი უკუგდებულ იქნა იდეოლოგების მიერ, როგორც უაზრობა, ხოლო ფიზიკას ისინი ორივე ხელით ჩაეჭიდნენ.

ევოლუციონიზმი ნაკარნახები იყო ლაპლასის კოსმოგონიური თეორიით, რომლის თანახმადაც მზის სისტემა თავისით შეიქმნა საწყისი აიროვანი ნისლეულიდან ენერგიის, იმპულსის და იმპულსის მომენტის შენახვის კანონების მოქმედებით. მიუხედავად იმისა, რომ არც ეს კონკრეტული მოდელი არ იქნა მიყვანილი რაოდენობრივ გამოთვლებამდე და შიშველ იდეად დარჩა, ის მაშინვე განაზოგადეს და გადააქციეს მარტივის რთულში გადასვლის საყოველთაო, ავტომატურად მოქმედ კანონად, ხოლო შემდეგ კი გაავრცელეს ცოცხალ ბუნებაზეც, რის გაკეთებაც ლაპლასს, რა თქმა უნდა, თავში აზრადაც არ მოსვლია.

რაციონალიზმი ნაკარნახები იყო ჭეშმარიტების აღრიცხვის უნივერსალური ალგორითმის შექმნის პროგრამით, რომლის იდეაც ლაიბნიცმა წამოაყენა. იმავე ლაიბნიცმა შექმნა მონადოლოგია — მოძღვრება განუყოფელი ზეაღმავალი გონითი ერთეულების, მონადების თანამიმდევრობის შესახებ, რომელთაგანაც თითოეული ხილული სამყაროს გარკვეულ ფრაგმენტს მართავს. ლაიბნიცის მონადოლოგია იდეოლოგებმა უგულვებელყვეს, ხოლო წმინდა ლოგიკური შემეცნების იდეა ყოველგვარი დადასტურება-დასაბუთების გარეშე აბსოლუტურ ჭეშმარიტებად შერაცხეს.

როგორც ვხედავთ, მეცნიერების სახელით მოქმედი იდეოლოგების ტაქტიკა ძალიან ჰგავს გოგოლის პერსონაჟის ქცევას მოთხრობიდან „მაისის ღამე ანუ წყალში გადამხტარი ქალი“, როცა მდივანმა დაიწყო ახლადმიღებული ფორმულარის კითხვა: „ბრძანება ევტუხ მაკოგონენკოს. როგორც შევიტყვეთ, შენ, ბებერი სულე...“, მან (ქალაქის თავმა — მთარმნ.) შესძახა: „სდექ!“ სდექ! არ არის საჭირო“! თუმც კი არ გამიგონია, მაგრამ ვიცი, რომ საქმის არსამდე არ მივსულვართ. გააგრძელე კითხვა“. ასეთნაირადვე ეპყრობიან იდეოლოგები მეცნიერულ ცოდნას: რისი მოსმენაც სიამოვნებთ, ის ესმით, წინააღმდეგ შემთხვევაში ან თავს მოიყრუებენ, ანდა ვაი-უშველებელს მორთავენ, აქაოდა საქმის არსს არ შევხებივართო. ერთ დროს ყველა ეპოქისა და ყველა ხალხის ფილოსოფიური სიბრძნის მწვერვალად გამოცხადებულ წიგნში ეწერა კიდეც, რომ როგორი კვალიფიციური სპეციალისტებიც არ უნდა იყვნენ მეცნიერები თავიანთი კვლევის კონკრეტულ სფეროში, მათი ***არცერთი სიტყვა არ არის დასაჯერებელი,*** როცა საქმე მსოფლმხედველობას ეხება[1]. საკითხის დასმის გამიზნულობა ნათელია: თქვენ მოგვაწოდეთ მასალა, მისი ინტერპრეტირება კი ჩვენ მოგვანდეთ — ეს თქვენი საქმე არ არის.

აი, ასეთი მეთოდებით, რომლებსაც წარმატებით იყენებდნენ გოგოლის პერსონაჟები, XIX საუკუნის მიწურულს აგებულ იქნა სამყაროს მეცნიერული სურათი, რომელიც თავის არსებით მახასიათებლებში დღემდე უცვლელია. მეცნიერება-კვლევა ამ ხნის განმავლობაში საკუთარი გზით აგრძელებდა სვლას. ექვემდებარებოდა რა თავის შინაგან წესს, რომელიც — როგორც ეს სამართლიანად არის აღნიშნული ლექსიკონებში, — მდგომარეობს ობიექტურად სარწმუნო, შინაარსის მხრივ მაქსიმალურად შემოწმებული ცოდნის შემუშავება-დადგენაში, კვლევა-მეცნიერებამ უაღრესად საინტერესო მონაცემების მთელი საბადო აღმოაჩინა და ახლა ჩვენ ავხდით საბურველს კვლევა-მეცნიერების მონაცემებს და ვნახავთ, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი დღეს მსოფლმხედველობა-მეცნიერებას. იქნებ იდეოლოგები დიდ წინასწარმეტყველებად

მოგვევლინნენ, მათი ინტუიცია საქმის უღრმეს არსს მისწვდა და ასი წლის წინანდელი განზოგადოებები დღეისათვის უკეთ და უფრო სრულად არის დადასტურებულ-დასაბუთებული? დასკვნა რომ დამაჯერებელი იყოს, მეცნიერების იმ სფეროებზე უნდა შევჩერდეთ, რომლებიც — სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით, — ყველაზე მნიშვნელოვანი და პროდუქტიულია. ასეთად ითვლება ფიზიკა, ბიოლოგია და მათემატიკა. მაშ ვნახოთ, თუ რას მოჰფინეს სინათლე ამ მეცნიერებებმა უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში.

ფიზიკისათვის ნათელი გახდა რედუქციონიზმის სიყალბე. მოხდა მისი სრული დისკრედიტაცია. საკმაოდ დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მატერიის ნიუტონისეული კონცეფცია არასწორია, რომ „მატერიალური წერტილი“ მხოლოდ მხატვრული სახეა; თანაც ისეთი, რომელსაც მიახლოებითაც კი არაფერი რეალური არ შეესატყვისება. დევისონისა და ჯერმერის მიერ 1927 წელს აღმოჩენილმა ელექტრონთა დიფრაქციამ აჩვენა, რომ ნაწილაკებს არ გააჩნიათ განსაზღვრული ტრაექტორია, ჰაიზენბერგის განუზღვრელობის პრინციპმა გააბათილა ნაწილაკის, როგორც სივრცეში ლოკალიზებული და გარკვეული სიჩქარის მქონე ობიექტის ცნება. ამ პრინციპების შუქზე წარმოიქმნა ისეთი შეხედულება გარემომცველ სინამდვილეზე, რომელიც ეწინააღმდეგება ადრე გაბატონებულ შეხედულებებს არა დეტალებში, არამედ არსობრივად. აქ უკვე მთელი კონცეფციის უარყოფაზეა ლაპარაკი. საკითხის ასეთ დაყენებას ვერ მივაფუჩეჩებთ დიალექტიკაზე ან ორი შეხედულების სინთეზის აუცილებლობაზე საუბრით, რადგანაც, როგორც ფეინმანმა თქვა, ჩვენ არა გვაქვს ორი სამყარო — კვანტური და კლასიკური, — ჩვენ მოცემული გვაქვს ერთადერთი სამყარო, და ეს სამყარო კვანტური ფიზიკის კანონებს ემორჩილება. თუ ჩვენ მიზნად დავისახავთ მისი აგებულება-მოწყობილობის ყველაზე მოკლე დახასიათების მოცემას, მაშინ ეს იქნება სიტყვა „ანტირედუქციონიზმი“...

დავიწყოთ იქიდან, რომ იდეალური მატერიალურზე მეტად რეალურია. აქ ძალაუნებურად ინდუიზმის კოსმოლოგიური წარმოდგენები ამოგვიტივტივდება ცნობერიებაში. ინდუისტურ კოსმოლოგიაში მატერია არის მაია — ილუზიის სახეობა. აქ არ შევუდგებით მატერიის, როგორც ფილოსოფიური ცნების დაწვრილებით ანალიზს, მაგრამ თუ საუბარია იმაზე, რასაც ფიზიკოსები „დაკვირვებადის“ ცნებით აღნიშნავენ, მაშინ ინდოელები, კაცმა რომ თქვას, მართალნი არიან. ეს არ არის რაღაც ბუნდოვანი, ირიბი მოსაზრებების ნაყოფი, რომელთა გაგება შეიძლება „ასეც და ისეც“, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ***თეორემა***. კვანტური ფიზიკის ცენტრალური ცნებაა არა ნაწილაკი, არამედ ***ფსი-ფუნქცია***[2], რომელიც პრინციპულად არ შეიძლება იყოს დაფიქსირებული რაიმე ხელსაწყოთი და ამდენად, არანივთიერ, არამატერიალურ მოცემულობა-საწყისს წარმოადგენს. მაგრამ სამყაროს სიცოცხლე-აქტივობა ფსი-ფუნქციების აქტივობაა და არა დაკვირვებადი რეალობებისა, ეს უკანასკნელნი იმართებიან Φ-ფუნქციებით, და ისიც არა ამ სიტყვის მკაცრი, არამედ სტატისტიკური მნიშვნელობით. ბუნების კანონები წარმოადგენენ ***შრედინგერის განტოლებებს,*** ისინი კი განსაზღვრავენ მხოლოდ Φ-ფუნქციების ევოლუციას: მატერია ამ განტოლებებში არ ფიგურირებს. გარდა ამისა, ჯონ ფონ ნეიმანმა მათემატიკურად დაამტკიცა, რომ არ შეიძლება არსებობდეს სამყაროს კლასიკური მოდელი, რომელიც ადეკვატურად ასახავდა მის ექსპერიმენტულად დადგენილ თვისებებს (სწორედ ამაში მდგომარეობს ახლახან ნახსენები თეორემა). გადაუჭრელია სამყაროს თვალსაჩინო ცნებებზე დაყვანის ამოცანა, რაგინდ ნატიფ თუ ეშმაკურ ხერხებსაც არ უნდა მივმართოთ. გრძნობადი მოცემულობის გაგების შანსს ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვიპოვებთ, თუ სამყაროს მთავარ რეალობად ზეგრძნობადს (კანტის ტერმინოლოგიით „ინტელიგიბელურს“. მთარგმნ.) ჩავთვლით. ის კვანძი, რომლისგან გამომავალ ძაფებსაც ხილული სამყარო უჭირავს, უხილავში იკვრება და იხსნება. ამაში ყოველთვის დარწმუნებულნი იყვნენ იდეალისტები, მაგრამ ვერცერთი მათგანი, თვით პლატონიც კი, ვერ იოცნებებდა საკუთარი სიმართლის ასეთ უნაკლო დასაბუთებაზე.

ინტერესმოკლებული არ იქნება შენიშვნა, რომ თანამედროვე ფიზიკის Φ-ფუნქციები ძალზე ენათესავება ლაიბნიცის მონადებს. ბედის ირონიით ლაიბნიცი სწორედ იმაში აღმოჩნდა მართალი, რაც იდეოლოგების მიერ უარყოფილ იქნა.

მოცემული საკითხი კიდევ ითხოვს განმარტებებს. კვანტური თეორიიდან გამომდინარეობს აგრეთვე მთელის უპირატესობა თავისსავე შემადგენელ ნაწილებზე. საქმე იმაშია, რომ სისტემის ფსი-ფუნქცია მის თვისებებს ყოველთვის უფრო ადეკვატურად ასახავს, ვიდრე ცალკე აღებული შემადგენელი ნაწილების ფსი-ფუნქციების ერთობლიობა. ნაწილების სისტემაში

[2] ბერძნული ანბანის შესაბამისი ასოს (Φ) მიხედვით.

გაერთიანებისას ძალაში შედის ბუნების ახალი კანონები, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ამის აუმარტივესი მაგალითი ატომია. ცალ-ცალკე როგორც არ უნდა შეგვესწავლა ელექტრონებისა და ნუკლონების თვისებები, ჩვენ ვერასოდეს ვიწინასწარმეტყველებდით, რომ მათგან აგებულ ატომში ძალაში შევიდოდა „პაულის აკრძალვის პრინციპი“, რომელზეც მენდელეევის ელემენტთა სისტემაა დაფუძნებული. თუ ამ ფაქტისთვის ზუსტი ფორმულის მოძებნას მოვინდომებთ, მაშინ უნდა უკუვაგდოთ გამოთქმა: „ატომი შედგება ელექტრონებისა და ნუკლონებისაგან“. სწორი იქნებოდა ასეთი ფორმულირება: „ელექტრონები და ნუკლონები გაქრნენ, მათ ადგილას კი წარმოიშვა ახალი ობიექტი ახალი თვისებებით — ატომი“. ანალოგიურადვე უნდა გავიგოთ გაფართოებულ სისტემებზე გადასვლა სხვა შემთხვევებშიც: ვთქვათ, ატომთა ჯგუფი შეიძლება „გაქრეს“ და „გადაიქცეს“ ახალ რეალობად, იქნება ეს ნახევარგამტარი თუ პლაზმა, რომლის თვისებებიც არ გამომდინარეობს შემადგენელი ნაწილების თავისებურებებიდან.

საერთოდ, რაც უფრო ფართოა სამყაროს ფრაგმენტი, მით უფრო ადეკვატურია მისი ფსი-ფუნქცია, ე.ი. შემეცნების სისრულისათვის დაღმასვლა კი არა — რაზედაც რედუქციონისტები დგანან, — აღმასვლაა საჭირო; სისტემა კი არ უნდა დავშალოთ შემადგენელ ნაწილებად, არამედ უფრო ფართო სისტემის (ზღვრული წარმოდგენით — ყოველივე არსებულის) ნაწილად განვიხილოთ. მხოლოდ ამ ზღვრულ შემთხვევაში, რომელიც, რა თქმა უნდა, მიუღწეველია, ჩვენ მოვიპოვებდით ბუნების ყველა კანონს და გრძნობადი მოცემულობის კანონზომიერებების ***ზუსტ მოდელს***. ეს იქნებოდა ფოკის უნივერსალური ფსი-ფუნქცია (ჩვენი გამოჩენილი ფიზიკოსის, ვ. ა. ფოკის გვარის მიხედვით). გასაგებია, რომ ამ ფუნქციის დაწერა ჩვენს ძალებს აღემატება, მაგრამ თვით ეს პრინციპი არაერთაზროვნად არის ჩამოყალიბებული და იგი წმინდა წყლის ანტირედუქციონიზმის პრინციპია.

ბიოლოგიისათვის ნათელი გახდა ევოლუციონიზმის სიყალბე. ევოლუციონისტების მთავარი საყრდენი, რა თქმა უნდა, ბუნებრივი შერჩევის თეორია, ანუ დარვინიზმი იყო. ბიოლოგიური მეცნიერების დღევანდელი მონაცემების ფონზე ეს თეორია უბრალოდ უხერხულობის განცდას იწვევს.

უკვე თავისი გამოჩენის დროს, 1859 წელს, დარვინის თეორია იმ ეპოქის გამოჩენილი სპეციალისტების — აგასისის, ვირხოვის, დრიშის და სხვათა მკაცრი კრიტიკის ობიექტი გახდა. რაც შეეხება მომცრო ყალიბის მეცნიერებს, ისინი მოიხიბლნენ დარვინიზმით, რადგანაც მას ჰქონდა ურთულესი ფენომენის — დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის, — მარტივი ახსნა. მკითხველთა ფართო წრეები კი ახალმა თეორიამ სრულ აღტაცებაში მოიყვანა. ასე ჩაისახა ტენდენცია, რომელიც შემდგომშიაც განუხრელად წარმოჩინდებოდა ხოლმე: რაც უფრო ნაკლებად ესმის ადამიანის ბიოლოგია, მით უფრო მეტია მისი ნდობა დარვინიზმის მიმართ. ამ გონებრივი პროდუქტის ყველაზე უფრო ერთგულ მიმდევრებად კი გვევლინებიან ბიოლოგიაში სრულიად არაკომპეტენტური ადამიანები. საკმარია დაინახონ ნახატი მტრედების სახეობის ანდა დინოზავრის ძვლების გამოსახულებით და მათთვის უკვე ყველაფერი ნათელია: ადამიანი წარმოიშვა მაიმუნისაგან. ნუთუ საეჭვოდ არ გეჩვენებათ თეორია, რომელსაც საკუთარ საგანთან დაკავშირებული ცოდნისა ეშინია? XIX საუკუნეში დაგროვებული ცოდნა საშუალებას იძლეოდა ბუნებრივი შერჩევის მოძღვრებაში ცალკეული შეუსაბამობების დანახვისა, დღეს კი მისმა აბსურდულობამ არა მხოლოდ მეცნიერებისათვის, არამედ საყოფაცხოვრებო საუბრებისთვისაც კი შეუწყნარებელ დონეს მიაღწია.

ყოველი თეორია ორ პარამეტრს ეყრდნობა — ლოგიკასა და ფაქტებს. დარვინიზმის ლოგიკური სქემა მარტივია. ცოცხალ ბუნებაში არსებობს ცვალებადობა — ნაშიერთა ნიშნები რამდენადმე განსხვავდება მშობელთა ნიშნებისაგან და ინდივიდები, რომელთაც ეს ფაქტორი დანარჩენებზე უფრო კონკურენტუნარიანად აქცევს, სასიცოცხლო ბრძოლაში იმარჯვებენ, სასარგებლო ნიშნებს კი შთამომავლობას გადასცემენ. ამ გზით გარემოსთან შეგუებადობა თანდათანობით იზრდება და მილიონობით წლების განმავლობაში უმაღლეს ხარისხს აღწევს. თვით დარვინის სიტყვებით, ეს აზრი მას სელექციონერთა საქმიანობაზე დაკვირვებამ უკარნახა, რომლებსაც შინაური ცხოველების ახალი ჯიშები გამოჰყავდათ. განსჯის სინათლე-სისადავე გვხიბლავს, ანალოგია კი მას სარწმუნოს ხდის. მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავუფიქრდებით, განსჯა უვიცობაზეა დაფუძნებული, ანალოგია კი უკანონოა.

უპირველეს ყოვლისა, აქ სრულიად იგნორირებულია ის ფაქტი, რომ ყველა ცხოველს ინ-

დივიდუალური ნიშნების გარდა სახეობრივი ნიშნებიც გააჩნია, რომელთა არსიც არა პარამეტრებში, არამედ ერთმანეთთან ხისტ ურთიერთკავშირში მყოფი ***კონსტრუქციული პრინციპების*** ერთობლიობაში მდგომარეობას, რომელიც ***სახეობის იდეას*** ქმნის. განსხვავებული სახეობების ეს იდეები არანაკლებ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე შავ-თეთრი ტელევიზორის იდეა განსხვავდება ფერადი ტელევიზორის იდეისაგან. თუ შავ-თეთრ ტელევიზორს მუშტს დავარტყამთ, ის შეიძლება უკეთესად ამუშავდეს, მაგრამ ასეთი მეთოდის გაძლიერებული გამოყენებით ჩვენ მას ფერად ტელევიზორად ვერ გადავაქცევთ. ასევეა შემთხვევითი მუტაციების შერჩევისას. ნიშნები, რომლებზედაც შერჩევა ზემოქმედებას ახდენს, ცალკეული პარამეტრების გარდა სხვას არაფერს წარმოადგენენ. კინოლოგი წყალში ახრჩობს მოკლეყურებიან ლეკვებს, გრძელყურებიანებს ტოვებს და საბოლოო ჯამში იღებს სპანიელს. სპანიელი კი მთელი თავისი გარეგნული თავისებურებების მიუხედავად ტიპიურ ***ძაღლად რჩება*** — ძაღლური ზნე-ჩვეულებებით, ნივთიერებათა ძაღლური ცვლით, ძაღლური დაავადებებით. შესაძლებელი კია ვირწმუნოთ, რომ თუ საკმარისი ხნის განმავლობაში მოვიცილებთ ლეკვების ერთ ჯგუფს, მეორეს კი სიცოცხლეს შევუნარჩუნებთ, ოდესმე კატას მივიღებთ? და არა მხოლოდ კატას, არამედ ხვლიკსაც კი! მთელი დარვინიზმი ხომ ასეთ დაშვებებზეა დაფუძნებული. უვიცობა აქ ისაა, რომ ცხოველი მოიაზრება როგორც პარამეტრების ჯამი, მაშინ როდესაც იგი მრავალი საფეხურისაგან შემდგარი სისტემაა. და თუ დაბალ საფეხურებზე მართლაც არსებობს ერთი და იგივე სახეობის სხვადასხვა ჯიშების წარმოქმნისათვის გზის გამკვალავი ცვალებადობა, უფრო მაღალ საფეხურებზე იგი უბრალოდ დაუშვებელია, რადგანაც ეს მაშინვე მიგვიყვანდა ერთმანეთთან უნატიფესად მისადაგებული ფუნქციური და სტრუქტურული მექანიზმების დაშლამდე.

ფაქტები ყოველმხრივ ადასტურებენ ამ თეორიულ არგუმენტს. ექსპერიმენტებით დასაბუთდა, რომ არანაირ შერჩევას არ ძალუძს ახალი სახეობის შექმნა. XIX საუკუნის ბოლოდან მსოფლიოს ცალკეულ ლაბორატორიებში არ შეწყვეტილა ბაქტერიების სელექცია, ამასთან ცვალებადობის გასაძლიერებლად გამოიყენებოდა დასხივება, რაც ერთმანეთის მიმდევარი თაობების რაოდენობით სიცოცხლის უმაღლესი ფორმებისთვის ათეული მილიონი წლების ტოლფასია. ამ ექსპერიმენტების შედეგად ახალი სახეობა არ წარმოქმნილა. ამავდროულად უმაღლეს ფორმებს დროის ეკვივალენტურ შუალედში ახალი რაზმები გამოუჩნდათ. ცოცხალი ბუნება, როგორც ჩანს, „ბორის ატომის“[(2)] პრინციპის მიხედვითაა მოწყობილი, — აქ გვაქვს გენების „ნებადართული“ ნაკრებები, შუალედურები მათ შორის აკრძალულია (ე.ი. ადგილი არა აქვს უწყვეტ გადასვლებს ნაკრებთა შორის — მთარგმნ.), ხოლო ის, რაც ჩვენს მიერ ევოლუციად აღიქმება, არის ახალი „ნებადართული“ საფეხურების ან დონეების მყისიერი შევსება რაღაც იდუმალი შემოქმედებითი იმპულსის შედეგად. პალეონტოლოგების მიერ მიწის წიაღიდან ამოღებული ძვლოვანი ნაშთები სწორედ ამ დაშვებას ამყარებს. ცოცხალი ფორმების დისკრეტულობა აქ ძალზე მკვეთრადაა გამოხატული. არ მოხერხდა არანაირი კენტავრების, გრიფონების ან ალკონოსტების აღმოჩენა, რომელთა ფანტასტიური ხატებითაც ჩვენი წინაპრები ცდილობდნენ აღნიშნული სიმკვეთრე-სიხისტის შერბილებას. ევოლუციის კონცეფციამ კიდევ ერთი მხრიდან იგემა დარტყმა. რუსმა კინოლოგმა ა. ტ. ვოილოჩნიკოვმა ჩაიფიქრა და განახორციელა ექსპერიმენტი, რომელიც ადრე არავის დაუყენებია: მიიღო რა მგელისა და ძაღლის ნაყარი, მან დაიწყო ჰიბრიდების შეჯვარება. შედეგი? შემდგომ თაობებში იბადებოდნენ ან წმინდა წყლის ძაღლები, ან წმინდა წყლის მგლები. როგორც კი ნაძალადევად ერთმანეთში შერეულ გენებს „თვითგამორკვევის“ საშუალება მიეცათ, ისინი მაშინათვე „ნებადართული“ კომბინაციებით გადანაწილდნენ. ეს ბრწყინვალე ექსპერიმენტი, რომელიც თავისი მნიშვნელობით ერთ რიგში შეიძლება დავაყენოთ მაიკელსონის ცდასთან (3), ერთსულოვნადაა იგნორირებული მეცნიერების პოპულარიზატორების მიერ. თავისთავად აღებული, იგი საკმარისია დარვინიზმის უპირობო უარყოფისათვის. სხვათაშორის, მიღებული შედეგებიდან ცალსახად გამომდინარეობს, რომ ძაღლი მგლისგან არ წარმოშობილა; ადამიანის წარმოშობის პრობლემას კი ახლა მისი ოთხფეხა მეგობრის წარმოშობის პრობლემაც დაემატა.

ყველა ზემოთმოყვანილი არგუმენტი კლასიკური ბიოლოგიით შემოისაზღვრება. დარვინიზმი რომ მართლა მეცნიერული თეორია იყოს, მის ადეპტებს დიდი ხნის წინ უნდა ეღიარებინათ მოყვანილი არგუმენტების ძალა და ნებაყოფლობით დაეტოვებინათ მეცნიერების არენა. ხოლო მას შემდეგ, რაც უოტსონმა და კრიკმა 1953 წელს აღმოაჩინეს რიბოსომებში ცილების

სინთეზის მექანიზმი ნუკლეინომჟავების დომინირებით, მოძღვრება ბუნებრივი შერჩევის შესახებ კიდევ უფრო მეტ გაუგებრობად იქცა, ვიდრე მტკიცება, რომ დედამიწა ბრტყელია და სამ ვეშაპზე დგას. უოტსონისა და კრიკის ამ დიდმა აღმოჩენამ, კლასიკური ბიოლოგიის დასასრული რომ გვაუწყა, რადიკალურად შეცვალა ჩვენი წარმოდგენები სიცოცხლის შესახებ. როგორც გაირკვა, იგი ქიმიურ ლაბორატორიას კი არა, არამედ გამომცემლობას წარმოადგენს, სადაც მიმდინარეობს ტექსტების გაშიფრვისა და რედაქტირების უწყვეტი პროცესი, მათი თარგმნა ერთი ენიდან მეორეზე და სხვადასხვა ინსტანციებში გადაგზავნა.

რატომ იქცა ახალი ხედვა საბოლოო განაჩენად დარვინის თეორიისათვის? უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ სასარგებლო მუტაციების შემთხვევითი გაჩენის ალბათობები გეომეტრიული პროგრესიების ნაცვლად კომბინატორულ სიდიდეებად მოგვევლინნენ და ათასეული რიგით ნაკლებ რიცხვებად იქცნენ, ასე რომ ამჟამად ისინი ნულის ტოლად უნდა ჩაითვალონ, მეორეც, გაირკვა, რომ ყოველი უჯრედის ბირთვიდან ციტოპლაზმაში გაგზავნილი ცილების სინთეზის პროგრამები არამარტო ერთმანეთთანაა შეთანხმებული, არამედ სხვა ორგანიზმების სინთეზის პროგრამებსაც ითვალისწინებენ, რადგანაც შეიცავენ იმუნოლოგიურ მოთხოვნებსა და კვების რგოლების სტრუქტურასთან აშკარა შესაბამისობაში მყოფ განკარგულებებს. ცხოველთა ეკოლოგიის მონაცემებთან ერთად ამ ფაქტს მივყავართ ვარაუდამდე, რომ უპირობოდ ავტონომიური არის მხოლოდ ***გეობიოცენოზი*** [4,5] რომელიც სიცოცხლის შენახვისათვის აუცილებელ სისრულეს ფლობს და ყოველი მასზე მცირე ეკოსისტემა, თუ იგი იზოლირებული აღმოჩნდება, გადაშენებისთვის იქნება განწირული. პრიორიტეტი ამ იდეის წამოყენებაში ალბათ ვერნადსკის (4,5) ეკუთვნის, რომელმაც ჩამოაყალიბა ბიომასის მუდმივობის ჰიპოთეტური კანონი. ხელთ გვაქვს მეცნიერების ახალი მონაპოვარიც: „ბებერი“ გოგირდის იზოტოპური შედგენილობის ანალიზმა დაადასტურა, რომ დედამიწაზე ყველა ცოცხალი არსების საერთო მასა მილიარდობით წლების წინ ზუსტად ისეთივე იყო, როგორც დღეს. ეს ნიშნავს, რომ ცოცხალი ბუნება მყისიერად გაჩნდა მთელი თავისი მოცულობითა და მრავალფეროვნებით; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეინარჩუნებდა თავის არსებობას...

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა რაციონალიზმის შესახებ. ***რაციონალიზმის აბსურდულობა ნათელი გახდა მათემატიკისათვის*** — სწორედ იმ მეცნიერებისთვის, რომელსაც იგი თავის საუფლოდ თვლიდა. სანამ იდეოლოგები შთაგვაგონებდნენ, რომ ადამიანის გონის შესაძლებლობები უსაზღვროა და ჩვენ თავდავიწყებამდე ვმღეროდით «нет нет преград ни в море, ни на суше». მათემატიკურმა ლოგიკამ, რომელშიაც გონი კონცენტრირებული სახით არის წარმოდგენილი, დაიწყო ამ სლოგანის ქმედითობის საზღვრების გარკვევა. XX საუკუნის დასაწყისიდან ინტენსიურად მიმდინარე გამოკვლევებმა დიდ სიურპრიზამდე მიგვიყვანა. 1931 წელს ავსტრიელი ლოგიკოსის კურტ გიოდელის მიერ კონსტრუირებულ იქნა ***ჭეშმარიტი*** არითმეტიკული დებულება, რომლის დადასტურება ან უარყოფა შეუძლებელია. ე.ი. შეუძლებელია არითმეტიკული აქსიომებიდან გამოვიყვანოთ თვით ეს დებულება ან მისი უარყოფა. მხოლოდ ეს ერთი მაგალითი იქნებოდა საკმარისი, რომ უკუგვეგდო ლაიბნიცისა და დეკარტესგან მომდინარე მოსაზრება, რომ თითქოსდა გამოყვანადი ფორმულების სიმრავლე ემთხვევა ჭეშმარიტი ფორმულების სიმრავლეს. გიოდელის აღმოჩენის შემდეგ კიდევ რჩებოდა იმედი, რომ გამოყვანადობა მხოლოდ მცირედით არის „ნაკლები“ ჭეშმარიტობაზე და რომ მხოლოდ ეგზოტიკური ფორმულები, რომლებშიც ჩაშიფრულია დებულებები თვით ამ ფორმულათა შესახებ (როგორც ეს გიოდელის თეორემაში იყო) არის გამოუყვანადი, მაგრამ 1936 წელს ა. ტარსკიმ [6] დაამტკიცა, რომ თვით ჭეშმარიტების ცნება ლოგიკის საშუალებებით გამოუხატავია. ეს ნიშნავს, რომ დედუქციური მეთოდის გაგზავნა ჭეშმარიტების საძიებლად იგივეა, რაც მისთვის შემდეგის თქმა: „წადი იქით, არ ვიცი საით, მომიტანე ის, არ ვიცი რა“. ტარსკის თეორემას, რომელიც გიოდელის თეორემას კერძო შემთხვევის სახით შეიცავს, მივყავართ იმ აზრამდე, რომ გამოყვანადობასა და ჭეშმარიტობას შორის დიდი მანძილია, მაგრამ წარმოდგენა ამ მანძილის შესახებ არცთუ ისე დიდი ხნის წინ შემუშავდა, სხვადასხვა ქვეყნების მათემატიკოსთა ერთობლივი ძალისხმევითა და შუალედური შედეგების რეგულარული ურთიერთგაცვლით. პირველ ეტაპზე ყველა მათემატიკური ფორმულა დაყვეს კლასებად სირთულის მიხედვით ისე, რომ ისინი ფართოვდებოდნენ, ე.ი. ყოველი შემდგომი კლასი შეიცავდა წინა კლასის ფორმულებს პლუს ზოგიერთი ახალი. მაშასადამე, სირთულის ზედა საზღვრის აწევისას ფორმულათა რაოდენობა რეალურად მატულობს. შემდგომ ნაჩვენები იქნა, რომ გამოყვანადი ფორმულების სიმრავლე უნაშთოდ შედის

ნულობრივ კლასში და ბოლოს დამტკიცდა, რომ ჭეშმარიტი ფორმულების სიმრავლე არ ეტევა იმ ზღვრულ კლასშიაც კი, რომელიც მიიღება, თუ სირთულის მაჩვენებლი უსასრულობისკენ მიისწრაფვის. ცნობილმა მათემატიკოსმა ი. მანინმა ასეთი კომენტარი გაუკეთა შექმნილ ვითარებას: „გამოყვანადობა უსასრულო კიბის ქვედა საფეხურზე ძევს, ჭეშმარიტობა კი სადღაც მთელი კიბის ზევით“. ერთი სიტყვით, მანძილი გამოყვანადობასა და ჭეშმარიტობას შორის იმდენად დიდია, რომ მთლიანობაში მკაცრი ლოგიკის როლი შემეცნების პროცესში შეიძლება უგულებელყოფილ იქნას. როგორც ჩანს, ლოგიკის როლი შემოისაზღვრება შედეგისათვის გასაგები და დამაჯერებელი ფორმის მიცემით, ხოლო თვით შედეგის მიღების მექანიზმი სულ სხვაა. შემთხვევითი არ უნდა იყოს მათემატიკოსების მიერ ხშირად ხმარებული ფრაზა: პირველად თეორემის ჭეშმარიტებაში დავრწმუნდი, მერე კი იმაზე დავიწყე ფიქრი, თუ როგორ უნდა დამემტკიცებინა იგი. მაშ, რას ეყრდნობიან ისინი თავიანთ შემოქმედებაში, რომლის ბუნების ახსნაც მათ, როგორც წესი, ხელარეწიფებათ? პასუხს ამ კითხვაზე პარისისა და ჰარინგტონის მიერ 70-იანი წლების ბოლოს დამტკიცებული შესანიშნავი თეორემა გვკარნახობს, რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ შედარებით მარტივი არითმეტიკული ჭეშმარიტების დადგენაც კი შეუძლებელია, თუ ***აქტუალური უსასრულობის*** ცნებას არ მივმართავთ. ეს კი უკვე გარეარითმეტიკული კატეგორიაა. არითმეტიკაში უსასრულობა, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ***პოტენციალური*** -ნებისმიერი რიცხვისათვის ერთიანის მიმატების შესაძლებლობა. ეს აბსტრაქციის არც ისე მაღალი საფეხურია. ოპერეტაში ჰუსარი ამბობს, რომ შეუძლია შამპანურის დალევა ნებისმიერი რაოდენობით და „კიდევ ორი ბოთლისა“ — აი ეს გახლავთ საკუთრივ პოტენციალური უსასრულობა. ჩვენ თითქმის მზად ვართ, ეს გამონათქვამი ვირწმუნოთ: ჰუსარი იმის ჰუსარია, რომ ყოველთვის შეუძლია „კიდევ ორი ბოთლის დალევა”. მაგრამ თუ ის იტყოდა, რომ უკვე დალია შამპანური უსასრულო რაოდენობით, მაშინ ჩვენ ასეთ განცხადებას აბსურდულად ჩავთვლიდით. ეს არის სახელდობრ აქტუალური უსასრულობა -უსასრულობა, რომელიც არსებობს როგორც იმთავითვე ყველა თავისი ელემენტის შემცველი რეალური ობიექტი. ნათელია, რომ იგი არ შეიძლება იმყოფებოდეს მატერიალურ სამყაროში, მაგრამ იმ დამატებით სივრცეში, სადაც ჩვენი აზრი დაფარფატებს, იგი არსებობს და როგორც ამაში პარის-ჰარინგტონის თეორემა გვარწმუნებს, შემოქმედების აუცილებელ წყაროდ გვევლინება.

ასე გამოაშკარავდა სამყაროს იმ მცდარი სურათის სიყალბე, რომელზედაც ჩვენ გავიზარდეთ და ჩვენს შვილებს ვზრდით. და ამაშია ჩვენი უბედურებებისა და კრიზისების ერთ-ერთი მთავარი წყარო.

შეიძლება თუ არა უწყინარ მოვლენად ჩაითვალოს რედუქციონიზმი, თუ კი მას ოლხოკრატიისკენ მივყავართ, ე.ი. ხელისუფლების ისეთი ფორმისაკენ, რომელიც ბრბოს ამწუთიერი ვნებამისწრაფებებით იმართება და რომლის გარდაუვალი შედეგიც ტირანთა სათავეში მოსვლაა. მახინჯია ევოლუციონიზმის ნაყოფიც. ევოლუციონიზმი გვაძულებს შევხედოთ ისტორიას, როგორც ველურობიდან ცივილიზაციისაკენ კანონზომიერ აღმასვლას, აქედან კი რასიზმის ყველა ფორმა იღებს სათავეს. დაუსაბუთებელი, თვითნებური კრიტერიუმებით ხალხთა ერთი ჯგუფი მეორე ჯგუფის მიერ შეირაცხება განვითარების ადრეულ საფეხურზე მყოფად, ხოლო ადრეული ევოლუციონიზმის თვალსაზრისით ნიშნავს პრიმიტიულს, მაშასადამე, ადამიანზე დაბლა მდგარ არასრულფასოვან არსებას. ხანდახან გაიგონებთ ევროპელის გამონათქვამს ზანგებზე: „ახლახან ჩამოფოფხდენ ხიდან და გული მაინც იქით მიუწევთ”. აქ პირველსაწყისი დარვინიზმის (რომელმაც მეტისმეტად აღაფრთოვანა ათეისტები) გავლენა აშკარაა, მისი კვინტენსენცია ხომ ადამიანის მაიმუნიდან წარმოშობის თეზისში მდგომარეობს.

რაციონალიზმის, როგორც სულიერი შხამის ტოქსიკურობა ჩვენ, რუსებმა საკუთარ თავზე გამოვცადეთ და თანაც ყველაზე უფრო აღმატებული ხარისხით. ოდესღაც ჩვენ გვითხრეს, რომ მარქსის მოძღვრება უძლეველია, რამეთუ იგი ჭეშმარიტია. რა ითვლებოდა ჭეშმარიტების კრიტერიუმად? თუმცა კი მარქსისტები გამუდმებით ჩაგვაგონებდნენ, რომ ყველაზე საიმედო კრიტერიუმად პრაქტიკა უნდა იქნეს აღიარებული, ამ შემთხვევაში მათ ის არ გამოუყენებიათ; მიუხედავად იმისა, რომ მათი მოძღვრება ბაყაყებზეც კი არ იყო აპრობირებული, ის მთელი კაცობრიობისათვის შესაფერისად ჩათვლეს... რაღა თქმა უნდა, აქაც თეორიის მკაფიოობითა და უბრალოებით მოიხიბლნენ, რაშიაც ტიპიურმა რაციონალიზმმა ჰპოვა გამოვლინება: რა გამოვიდა აქედან, ჩვენ კარგად ვიცით.... როგორც ვხედავთ, მცდარი ფილოსოფიის დამღუპველი გავლენის უგულებელყოფა არ შეიძლება. იგი სათავეშივე უნდა იქნეს უარყოფილი; რა თქმა უნდა

სიყალბის ან მცდარი აზრის უარყოფა ერთია, მთავარი კი ჭეშმარიტების დადგენაა. სვლა ჭეშმარიტებისაკენ ხდება არამარტო გონებითა და გრძნობით, არამედ საკუთარი სიცოცხლე-ეგზისტენციითაც. ეს უდიდესი ხელოვნებაა, რომლის დაუფლება ყველაზე უფრო დიდი ჯილდოა ადამიანისათვის.

ჩვენ უკვე აღარ გვაქვს დრო და ადგილი ამ საკითხზე საერიოზული სჯა-ბაასისთვის, მაგრამ წერილის ბოლოს უახლეს მეცნიერულ მასალებში წამოტივტივებულ გარკვეულ მინიშნებებს შევეხებით.

კვანტური ფიზიკის დიდ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს თეზისი, რომლის თანახმადაც, ყოფიერების უმაღლეს რეალობას წარმოადგენს უნივერსალური ფსი-(φ)-ფუნქცია, რომელიც მართავს მთელ სამყაროს, როგორც ერთიან და დაუნაწევრებელ სისტემას — ე.ი. ***აქტუალური უსასრულობა ობიექტური შემოქმედების ფუნქციაში.***

მოლეკულური ბიოლოგიის დიდ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს თეზისი, რომლის თანახმადაც, ყოველი ცალკეული არსების სიცოცხლე ორგანიზებულია **დნმ**-ის (დეზოქსირიბონუკლეინომჟავის — მთარგმნ.) ტექსტით — უსასრულოდ ბრძენი, ყოვლისმომცველი სიტყვის ფრაგმენტით.

მათემატიკური ლოგიკის დიდ მონაპოვრად გვევლინება თეზისი, რომლის თანახმადაც, მათემატიკური შემოქმედებისათვის უმაღლესი ღირებულების მქონე აქტუალური უსასრულობის გარემათემატიკური იდეაა. მას ადამიანი ეზიარება არა ინტელექტუალური ათვისების ცნობიერი პროცესით, არამედ მისტიკური შეერთება-შერწყმის გზით.

ჩვენ უკვე ვიგრძენით რაღაც ძალზე ნაცნობის აურა. მაინც რისი? გავიხსენოთ თუნდაც ეს: „დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“ (იოან 1.I). და შემდეგ: „მასში იყო სიცოცხლე”. აქ უპრიანი იქნებოდა ალექსანდრ პოუპის ოდესღაც ნათქვამი სიტყვების გახსნება: „სახიფათო რამ არის არასაკმარისი ცოდნა, სვი რამდენიც გენებოს, მისი წყაროდან — ანდა სულ ნუ გაეკარები. დალევ ცოტას — დაგათრობას, დაუმატებ — ისევ გამოფხიზლდები.” მეცნიერების ისტორიამ დაადასტურა ნათქვამის მართებულობა. მისი განვითარების საწყის ეტაპზე, ყმაწვილკაცობისას, პირველი გამარჯვებების ეპოქაში, მას თავბრუ დაეხვა თავისი წარმოსახვითი ყოვლისშემძლეობისაგან და ჭეშმარიტებაზე მონოპოლია გამოაცხადა. სიმწიფის პერიოდში, ცოდნის დაგროვება-გაღრმავების კვალობაზე, იგი თანდათანობით შემობრუნდა იმ მსოფლაღქმისაკენ, რომელიც გამოცხადებამ მოუტანა კაცობრიობას. ხედვის რაკურსის ასეთი შეცვლა მოხდა უკვე სხვა სიბრტყეში, ზოგადი რელიგიური და ეთიკური ჭეშმარიტებების კონკრეტული შინაარსით შევსებისა და მათში ცალკეული დაზუსტება-დამატებების შეტანით. სახელდობრ, ამ დინამიკის გაგება უნდა დაგვეხმაროს ცოდნისა და რწმენის ურთიერთმიმართების საკითხი — რომელიც კვლავინდებურად აქტუალური გახდა — სწორად გადაწყვეტაში. ჯერ-ერთი, დინამიურ ხასიათს ატარებს თვით „ცოდნის“ ცნება. თუკი ადრე იგი მხოლოდ რაციონალურ „წვდომას” გულისხმობდა, დღეისათვის უკვე „მეტათეორიებსაც” მოიცავს — ე.ი. ინტუიციური ან თვით „ზებუნებრივი” წვდომის პირობების შესწავლას. მეორეც, არასწორია თავად საკითხის დაყენება გონისა ან გრძნობის პრიმატის შესახებ, რადგანაც ჩვენს სულებში ისინი ერთიანი სახით არიან წარმოდგენილნი, მიუხედავად იმისა, რომ ცნობიერების ზედაპირზე ავტონომიურ წარმონაქმნებად გვევლინებიან. წმინდა ბარბარე რელიგიამდე კოშკის სარკმლიდან ქმნილი სამყაროს (тварное бытие) ჭვრეტამ მიიყვანა, მაგრამ ამის გამო მისი რელიგია გნოსტიკური არ გამხდარა. ნიუტონი, ცდილობდა რა ღვთაებრივი ჩანაფიქრის გაშიფრვას ქმნილი სამყაროს მიმართ, მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენამდე მივიდა, მაგრამ ამით მის მიერ დაწერილი ფორმულა არამეცნიერული არ გამხდარა. ყველას აქვს უფლება ამოირჩიოს ის გზა ჭეშმარიტებისაკენ, რომლითაც სიარული მისთვის უფრო ადვილია — მთავარია თვით ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვა. თანამედროვე კვლევა-მეცნიერებაში ასეთი სწრაფვა სახეზეა და ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რაოდენ შთამბეჭდავია მისი ნაყოფი. როგორც ჩანს, მართალი იყო ბერდიაევი: ათეიზმი მხოლოდ ღვთის შემეცნების დიალექტიკური მომენტი აღმოჩნდა.

განმარტებები

1. გვ. 4. მოყვანილია ნაწყვეტი (პირველწყაროს ტექსტთან ახლოს) ვ.ი. ლენინის წიგნიდან „მეტერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" (1909 წ). მარქსიზმის საბჭოთა ვერსიის თანახმად, ეს შრომა იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მონაცემების ფილოსოფიური განზოგადოების ფუნდამენტი. ამ ნაწარმოების ისტერიული კულტის პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს 1932-1957 წწ.

2. გვ. 11. ატომის აგებულების პირველი ე.წ. პლანეტარული მოდელის მიხედვით, — რომელიც ნ. ბორის და ე. რეზერფორდის მიერ იქნა დამუშავებული XX საუკუნის დასაწყისში — ატომების ქიმიური თვისებები ბირთვის გარშემო მოძრავი და შრეებად განლაგებული ელექტრონებით განისაზღვრება, მათი რაოდენობისა და ორბიტების შეცვლა იწვევს ახალი ელემენტის წარმოქმნას თვისობრივად განსხვავებული პარამეტრებით.

3. გვ. 11. მაიკელსონი (Michelson), ალბერტ აბრაჰამ (1852-1931). ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი, 1923-27 წწ. აშშ ეროვნული მეცნ. აკადემ. პრეზიდენტი. 1881 წელს დააყენა ცდა სინათლის სიჩქარეზე დედამიწის მოძრაობის გავლენის გაზომვის მიზნით. ამ ცდის შედეგად კლასიკური ფიზიკის დებულებების საწინააღმდეგოდ ნაჩვენები იქნა სინათლის სიჩქარის დამოუკიდებლობა დედამიწის მოძრაობისაგან. ამ ფაქტის თანმიმდევრულმა ინტერპრეტაციამ ზოგიერთ სხვა ექსპერიმენტულ მონაცემთან ერთად მეცნიერება მიიყვანა ფარდობითობის თეორიის შექმნამდე. ამ თეორიას სისტემური სახე მისცა ალბერტ ეინშტეინმა სტატიაში „მოძრავ სხეულთა ელექტროდინამიკისათვის" (1905)

4. გვ. 12. ვერნადსკი ვლადიმერ ივანეს ძე (1863-1945) — აკადემიკოსი (1912-დან, ეროვნებით უკრაინელი), ბუნებისმეტყველი, მუშაობდა გეოლოგიურ და ბიოლოგიურ მეცნიერებათა მიჯნაზე; დაასრულა გეოქიმიის ჩამოყალიბების პროცესი, შექმნა მისი ახალი დარგი — ბიოგეოქიმია, საფუძველი ჩაუყარა გენეტიკურ მინერალოგიასა და რადიოლოგიას. მუშაობდა აგრეთვე ბუნებისმეტყველების ისტორიასა და მეთოდოლოგიაში.

5. ვერნადსკიმ შემოიტანა ***გეობიოცენოზის*** ცნება (კომპოზიტის ბოლო ნაწილი წარმომდგარია ბერძ. koinos-დან — საერთო), რომელიც გეოლოგიური, ბიოლოგიური და ატმოსფერული პროცესების დაუნაწევრებელ ერთობლიობას წარმოადგენს. ვერნადსკის აზრით, უფრო მცირე ეკოსისტემაში არსებობა მხოლოდ ზოგიერთ მიკროორგანიზმებს შეუძლიათ, რომლებიც სიცოცხლისათვის აუცილებელ ნივთიერებებს უშუალოდ მინერალური სამყაროდან იღებენ. ამ და სხვა საკითხებისადმი (სახელდობრ, კაცობიობის ავტონომიური ბიოლოგიური არსებობის შესახებ) მიძღვნილი სტატია „კაცობრიობის ავტოტროფულობა" პირველად საფრანგეთში გამოქვეყნდა 1925 წელს, შემდეგ კი მრავალჯერ ითარგმნა როგორც რუსულ, ასევე სხვა ენებზე.

6. გვ. 13. ტარსკი, ალფრედ (1902) — ებრაული წარმოშობის პოლონელი ლოგიკოსი, ლვოვ-ვარშავის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 1945 წლის შემდეგ ცხოვრობდა აშშ-ში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჰქონდა კონტაქტები ქართველ ლოგიკოსებთან. ნამყოფია თბილისში მეცნიერული მივლინებით.

რუსულიდან თარგმნა
ვლადიმერ კორტავამ

ვასილი კანდინსკი

სულიერების შესახებ ხელოვნებაში

(ნაწილი პირველი)

ა. ზოგადი მიმოხილვა

I. შესავალი

ხელოვნების ყოველი ნიმუში თავისი დროის პირმშოა, ხშირად კი ჩვენი გრძნობების მასაზრდოებელი დედაცაა.

ასე რომ ყოველი კულტურული ხანა საკუთარ ხელოვნებას წარმოშობს, რომელსაც შემდგომში არ ძალუძს განმეორდეს. ხელოვნების დრომოჭმული პრინციპების გაცოცხლების მცდელობას კი, უკეთეს შემთხვევაში, შედეგად ხელოვნების ისეთი ნიმუშები შეიძლება მოჰყვეს, მკვდრადშობილ ბავშვს რომ ემსგავსება. შეუძლებელია, ჩვენ ძველი ბერძნების მსგავსად ვგრძნობდეთ, ან თუნდაც ვცხოვრობდეთ შინაგანად. ასე მაგალითად, ის ძალისხმევა, — გამოვიყენოთ პლასტიკურ ხელოვნებაში ბერძნული პრინციპები, მხოლოდ ბერძნულთან მიმსგავსებულ ფორმებს თუ შექმნის, მაშინ როცა, თავად ქმნილება უსულო საგნად დარჩება სამუდამოდ. ასეთი მიმბაძველობა მაიმუნის ბაძვას ჰგავს. გარეგნულად მისი მოძრაობები სავსებით ემთხვევა ადამიანისას. მაიმუნი ზის წიგნით ხელში, ფურცლავს, ჩაფიქრებულ სახეს იღებს, თუმცა ამ მოძრაობებს არავითარი შინაგანი აზრი არ გააჩნია.

და მაინც, არსებობს ხელოვნების ფორმათა სხვა გარეგნული მსგავსებაც, რომელსაც საფუძვლად გარდაუვალი აუცილებლობა უდევს. მთელს მორალურ-სულიერ ატმოსფეროში არსებულ შინაგან მისწრაფებათა მსგავსება, ლტოლვა იმ მიზნებისაკენ, ძირითადად უკვე დასახული, მოგვიანებით დავიწყებას რომ მიეცა, მაშასადამე მთელი პერიოდის შინაგანი განწყობის მსგავსებას შეუძლია ლოგიკურად იმ ფორმათა გამოყენებამდე მიგვიყვანოს, წარსული პერიოდის იმავე მისწრაფებებს წარმატებით რომ ემსახურებოდა. ასე წარმოიშვა ნაწილობრივ ჩვენი სიმპათია, ჩვენი გაგება, ჩვენი სულიერი ნათესაობა პრიმიტივისტების მიმართ. ისევე, როგორც ჩვენ, ეს სუფთა სულის მხატვრები თავიანთ ნაწარმოებებში მხოლოდ შინაგანად არსებითის გამოხატვას ცდილობდნენ, ამასთანავე ზედაპირული შემთხვევითობა თავისთავად გამოირიცხებოდა.

თუმცაღა შეხების ეს მნიშვნელოვანი წერტილი, მთელი მისი მნიშვნელოვნებისდა მიუხედავად, მხოლოდ და მხოლოდ წერტილია. ჩვენი სული, მატერიალისტური ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, ეს-ესაა გამოღვიძებას იწყებს და თავისთავში მალავს ურწმუნოებით გამოწვეულ უმიზნო და უაზრო სასოწარკვეთის ჩანასახს. მატერიალისტური შეხედულების მთელი საშინელება, ამქვეყნიური ცხოვრება უაზრო თამაშად რომ აქცია, ჯერაც არ განელებულა; ახალგაღვიძებული სული კვლავ ამ კოშმარის ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფება. მხოლოდ სუსტი შუქი გამოკრთის ეული წერტილივით უკიდეგანო წრის სიშავეში. ეს მკრთალი შუქი იმედია მხოლოდ, რომლის რეალურად დანახვის სრული ძალა სულს არ შესწევს, ეჭვი ეპარება, ეს სინათლე სიზმარი ჰგონია, და სიშავის წრე კი — სინამდვილე. ეს ეჭვი, და ჯერაც მტანჯველად დამთრგუნველი მატერიალისტური ფილოსოფია ძლიერად განასხვავებს ჩვენს სულს „პრიმიტივისტი“ მხატვრებისგან. ჩვენს სულში ბზარია გაჩენილი, და თუკი შეძლებენ შეეხონ სულს, უმალ აჟღერდება, როგორც მიწის წიაღში აღმოჩენილი ძვირფასი, ბზარშეპარული ლარნაკი. ასე რომ, პრიმიტივისადმი ჩვენი ლტოლვა, რასაც ამ პერიოდში განვიცდით, ლტოლვა მისი თანამედროვე, საკმაოდ ნასესხები ფორმისადმი, მხოლოდ მცირე ხანს თუ გაგრძელდება.

ახალი ხელოვნების ეს ორი მსგავსება წარსული პერიოდების ხელოვნების ფორმებთან, ცხადად ჩანს, რომ ერთმანეთისაგან დიამეტრალურადაა განსხვავებული. პირველი მსგავსება

გარეგნულია და ამდენად მომავალი არ გააჩნია. მეორე — შინაგანია და ამის გამო თავის თავში მერმისის ჩანასახს მოიცავს. მატერიალისტური ცდუნების პერიოდის შემდეგ, რასაც ნაბრძოლი და ტანჯვა-გამოვლილი სული თითქოსდა ექვემდებარებოდა, და რაც ჩამოიცილა, როგორც ბოროტი ცდუნება, — დაიხვეწა, სინატიფე შეიძინა და ამაღლდა. უფრო მიწიერი გრძნობები კი, როგორიცაა შიში, სიხარული, სევდა და სხვა, რაც ცდუნების ამ პერიოდისათვისაც ხელს უწყობდა ხელოვნების შინაარსის შექმნას, ნაკლებად მიიზიდავს მხატვარს. იგი ეცდება უფრო ნატიფი, ჯერაც უსახელო გრძნობები გააღვივოს. მხატვარი „რთული“, შედარებით დახვეწილი ცხოვრებით ცხოვრობს და გათვითცნობიერებულ მაყურებელში მისი ნაწარმოები უსათუოდ გამოიწვევს ჩვენი სიტყვებით ვერგამოთქმულ, დახვეწილ ემოციებს.

მაყურებელი კი, სადღეისოდ, ასეთი ვიბრაციების აღსაქმელად იშვიათად არის მზად. იგი ხელოვნების ნაწარმოებში ბუნების ბრმად გადმოღებას ეძებს, რაც პრაქტიკულ მიზნებს ემსახურება (მაგ. ჩვეულებრივი პორტრეტი და მსგ.) ან მხოლოდ ბუნებისადმი მიბაძვას, რაც ცნობილ ინტერპრეტაციას: „იმპრესიონისტულ“ ფერწერას გულისხმობს, ანდა სურს *ბუნების ფორმათა სამოსში წარმოჩენილი სულიერი მდგომარეობა* იხილოს (ის, რასაც განწყობილებას უწოდებენ*). ყველა ეს ფორმა, თუკი ჭეშმარიტად მხატვრულ სახეს ატარებს, თავის დანიშნულებას ემსახურება და სულიერ საზრდოს წარმოადგენს თვით პირველ შემთხვევაშიც კი; ეს მოსაზრება განსაკუთრებით მართებულია მესამე შემთხვევის დროს, როცა მაყურებელი სულიერ თანხმიერებას აღმოაჩენს მათთან. რაღა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ამგვარი სახის თან-(ან საპირისპირო)ხმიერება არ უნდა დარჩეს ცარიელი ან ზედაპირული, პირიქით: ნაწარმოების „განწყობილებას“ შესწევს ძალა, გააღრმავოს და გარდასახოს მაყურებლის განწყობა. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი ნაწარმოებები სულს გაუხეშებისაგან იცავენ. ისინი ერთგვარ, განსაზღვრულ სიმაღლეზე ინარჩუნებენ მას, მსგავსად იმისა, ხმის ასაწყობი გასაღები რომ ინარჩუნებს ინსტრუმენტის სიმთა დაჭიმულობას. თუმცა ამ ჟღერადობის დახვეწა და გავრცელება დროსა და სივრცეში, მაინც ცალმხრივი რჩება და ხელოვნების შესაძლო ზემოქმედება ამით არ ამოიწურება.

დიდი, უზარმაზარი, უფრო პატარა, ან საშუალო სიდიდის ნაგებობა დაყოფილია სხვადასხვა სივრცეებად. ყველა კედელზე პატარა, დიდი და საშუალო ზომის ტილოები (ნახატები) კიდია. ხშირად რამდენიმე ათასი ტილოც კი. ტილოებზე საღებავებით „ბუნების“ ნაგლეჯებია გამოსახული: ცხოველები მზეზე, ან ჩრდილში, ან წყალს დაწაფებულნი, ცხოველები მდინარის პირას, მდელოზე მოკალათებულნი; იქვეა ჯვარცმა, ურწმუნო მხატვრის მიერ შესრულებული; ყვავილები, ადამიანთა მჯდომარე, მდგომარე, მოსიარულე ფიგურები, ხშირად შიშვლებიც, უამრავი შიშველი ქალი (რაკურსში უკანა ხედით გამოსახულნი), ვაშლები და ვერცხლის თასები, საიდუმლო მრჩეველ N-ის პორტრეტი, დაისი, ქალბატონი ვარდისფერში, იხვების ფრენა, ბარონესა X-ის პორტრეტი, ბატები ფრენისას, მანდილოსანი თეთრებში, ხბორები ჩრდილში, მზის ჩახჩახა, ყვითელი ლაქებით, მისი უმაღლესობა Y-ის პორტრეტი, ქალი მწვანე სამოსში. ყველაფერი ეს რუდუნებითაა დაბეჭდილი წიგნში, იქვეა მითითებული მხატვართა გვარები, სურათების სახელწოდებები. ადამიანებს ხელთ აქვთ ეს წიგნები და ერთი ტილოდან მეორისკენ გადაინაცვლებენ ხოლმე, თან ფურცლავენ და კითხულობენ გვარებს. შემდეგ კი მიდიან, ისევ ისეთივე ღარიბები ანდა მდიდრები, როგორებიც შემოვიდნენ, და მათ მაშინვე მთლიანად იპყრობს საკუთარი ინტერესები, ხელოვნებასთან არავითარი კავშირი რომ არა აქვს. რატომ იყვნენ იქ? ყოველ სურათში ხომ მთელი ცხოვრებაა იდუმალად ჩაქსოვილი, მთელი ცხოვრება, უამრავი ტანჯვა-წვალებით, ეჭვებით, აღფრთოვანებითა და სინათლით სავსე საათებით გაჯერებული.

საითკენაა მიმართული ეს ცხოვრება? საითკენაა მიმართული მხატვრის სულის ხმობა-ღაღადი? თუნდაც ხელოვანის შემოქმედებითი მუშაობისას? რა სწადია სულს გვაცნობოს? „ადამიანის გულის წიაღს უძღვნიდეს ნათელს — ხელოვანის მოწოდებაა“. ამბობს შუმანი. „მხატვარი არის ადამიანი, რომელსაც ყველაფრის დახატვა ძალუძს ფუნჯითა და ფანქრით“, ამბობს ტოლსტოი.

როდესაც ზემოთ აღწერილ გამოფენაზე ვფიქრობთ, მხატვრის შემოქმედების ამ ორი

* სამწუხაროდ ეს სიტყვაც, რომელსაც მხატვრის ცოცხალი სულის შემოქმედებითი მისწრაფებები უნდა გამოეხატა, დაამახინჯეს და ბოლოს დაცინვის საგნადაც იქცა. არსებობდა კი რომელიმე დიდებული სიტყვა, ბრბოს მისი წაებილწვა რომ არ ეცადა?

განსაზღვრებიდან მეორე უნდა ავირჩიოთ, ტილოზე მეტ-ნაკლები სრულყოფილებით, ვირტუოზულად და ტემპერამენტით შესრულებული საგნები ჩნდება, და ისინი რამდენადმე უხეშ, ან ნატიფ „ფერწერულ“ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან. სწორედ სურათზე ასახული მთელის ჰარმონიული შეხამებაა ის ერთადერთი გზა, რომელსაც ხელოვნების ქმნილებამდე მივყავართ. მნახველები ცივი მზერითა და გულგრილი დამოკიდებულებით ათვალიერებენ ნამუშევარს. ხოლო ვინც ასე თუ ისე ერკვევა, აღფრთოვანებულია „ოსტატობით“ (ბაგირზე მოცეკვავეს უმზერდეს თითქოს), და ტკბება „ფერწერით“ (როგორც პაშტეტის დაგემოვნებისას).

მშიერი სულები კი კვლავაც მშიერნი მიდიან.

დამთვარიელებელნი გუნდ-გუნდად დაეხეტებიან დარბაზებში და ზოგიერთ ტილოს „მიმზიდველად“, ზოგს კი „დიდებულად“ მიიჩნევენ. ადამიანმა კი, ვისაც რაღაცის თქმა შეეძლო, არაფერი უთხრა მეორე ადამიანს, და მან, ვისაც გაგონება შეეძლო, ვერაფერი გაიგონა. ხელოვნების ამ მდგომარეობას l’art pour l’art-ს უწოდებენ. სწორედ შინაგანი ჟღერადობის ეს რღვევა (რაც საღებავის სიცოცხლის საწინდარია), და მხატვრის შინაგანი ძალების სიცარიელეში ფანტვა და ფლანგვაა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

მხატვარი, თავისი ოსტატობის, შემოქმედებითი ნიჭისა და შეგრძნების უნარისათვის, მატერიალური სახის გასამრჯელოს ეძებს. მისი მიზანია პატივმოყვარეობისა და მომხვეჭელობის დაკმაყოფილება. მხატვრების ერთობლივ, რუდუნებით მუშაობაში მონაწილეობის მიღების მაგივრად, იწყება ბრძოლა ხსენებული სიკეთეების მოსაპოვებლად. წუწუნებენ გაზრდილი კონკურენციისა და ჭარბწარმოების გამო. სიძულვილი, პარტიულობა (მიკერძოებული დამოკიდებულება), კავშირომანია, ეჭვიანობა და ინტრიგები მოსდევს შედეგად მიზანგანძარცულ მატერიალისტურ ხელოვნებას.*

მაყურებელი მშვიდად აქცევს ზურგს მხატვარს, რომელსაც აზრგამოცლილი ხელოვნება არ მიაჩნია საკუთარი ცხოვრების მიზნად, ვინაიდან უფრო ამაღლებული მიზნები აქვს დასახული.

ხელოვნების „აღქმა-გაგება“ მნახველს სულიერად ზრდის და მხატვრის თვალსაწიერის დონემდე ამაღლებს. ზევით უკვე ვახსენეთ, რომ ხელოვნება მისი დროის პირმშოა. ასეთი სახის ხელოვნებას ძალუძს, მხატვრულად მხოლოდ ის გაიმეოროს, რითაც უკვე *თვალშისაცემად* აღსავსეა თანამედროვე ატმოსფერო. ხელოვნება, რომელიც თავისთავში მომავალს არ მოიცავს ფარულად, რომელიც თავისი დროის პირმშოა მხოლოდ და მერმისის დედად ვერასოდეს გარდაიქმნება, კასტრირებული ხელოვნებაა. ის მხოლოდ მოკლე ხნითაა სიცოცხლისუნარიანი და მორალურად იმწამსვე კვდება, როგორც კი მისი წარმომშობი ატმოსფერო იცვლება.

შემდგომი განვითარების უნარის მატარებელ სხვა ხელოვნებასაც ფესვები საკუთარ სულიერ ეპოქაში აქვს გადგმული. ამასთანავე, ამავე ეპოქის ექო და სარკე კი არ არის მხოლოდ, არამედ გამომაფხიზლებელსა და წინასწარმეტყველურ ძალას ფლობს, რომელსაც უფრო ღრმა და ხანგრძლივი ქმედების უნარი გააჩნია.

სულიერი ცხოვრება, ხელოვნებაც რომ განეკუთვნება და მის ერთ-ერთ მძლავრ წარმმართველ ძალას რომ წარმოადგენს, რთული, თუმცა განსაზღვრული და სადა ფორმით გადმოსაცემი (Ins Einfache übersetzbare) მოძრაობაა, — მოძრაობა წინ და ზევით. ეს შემეცნებითი მოძრაობაა. მას სხვადასხვა ფორმის მიღება შეუძლია, თუმცა ძირითადად მაინც იმავე შინაგან აზრსა და მიზანს ინარჩუნებს.

ბნელითაა მოცული წინ და ზევით მოძრაობის აუცილებლობის მიზეზები, „ოფლითა შენითა“, ტანჯვით, წვალებითა და ბოროტების გადალახვით რომ მიიღწევა. მას შემდეგ, რაც ერთი შემოქმედებითი პერიოდი დასრულდება და წინაღობად ქცეული ზოგიერთი ქვა-ღორღისგან გაიწმინდება გზა, რომელიღაც უხილავი ბოროტი ხელი ისევ ახალ-ახალი ლოდებით ხერგავს მას ისე, რომ თითქმის სავსებით ფარავს და სრულიად უცვლის გზას სახეს.

და მაშინ უსათუოდ მოდის ვინმე ერთი ჩვენთაგანი, რომელიც არაფრით განსხვავდება ჩვენგან, თუმცა თავის წიაღ იდუმალი ძალით მიმადლებულ „ხედვის“ ნიჭს ატარებს.

---

* რამდენიმე ცალკეული გამონაკლისი ვერ აბათილებს ამ უნუგეშო, საბედისწერო სურათს. და ამ გამონაკლისსაც ხომ ის მხატვრები წარმოადგენენ, რომელთა მრწამსია l’art pour l’art. ისინი ამგვარად უფრო მაღალ იდეალს ემსახურებიან, რაც მთლიანობაში ძალების უაზრო ფლანგვას ნიშნავს. გარეგნული სილამაზე სულიერი ატმოსფეროს შემქმნელი ელემენტია, თუმცა დადებითი მხარის გარდა (მშვენიერი, ე.ი. კარგი), ერთი ნაკლიც აქვს, ესაა ბოლომდე გამოუყენებელი ტალანტი (ტალანტი სახარებისეული მნიშვნელობით).

იგი ხედავს და გვიხილვადებს. ამ უზენაეს წყალობას კი, რაც ხშირად მძიმე ჯვარია მისთვის, ხანდახან დიდი სიამოვნებით ჩამოიხსნიდა კიდეც, მაგრამ არ ძალუძს. მასხრად აგდებისა და სიძულვილის თანხლებით ეზიდება იგი, წინ და ზევით, კაცობრიობის ძნელად სათრევ, ქვებში გახირულ, მძიმე ოთხთვალას. დედამიწაზე, ხშირად, მისი ხორციელი *მესგან* აღარაფერია დარჩენილი, როცა ყოველგვარი საშუალებით ცდილობენ ეს ხორციელი სხეული (Körperliche) — მარმარილოს, რკინის, ბრინჯაოს ან ქვის საშუალებით გიგანტურ ზომებში გამოსახონ. თითქოსდა რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს *მატერიალურს* კაცობრიობის ისეთ ღვთაებრივ მსახურთა და მოწამეთათვის, რომელთაც სძულდათ მატერიალური სამყარო და მხოლოდ *სულიერებას* ემსახურებოდნენ. ყველა შემთხვევაში, ეს ლტოლვა მარმარილოს ქმნილებებში უკვდავყოფისაკენ, დასტურია იმისა, რომ ადამიანთა უდიდესმა სიმრავლემ იმ თვალსაზრისს მიაღწია, რაზეც ოდესღაც, დღეს ასე ზარ-ზეიმით აღიარებული იდგა.

II. მოძრაობა

მახვილკუთხა, არათანაბარ ნაწილებად დაყოფილი დიდი სამკუთხედი, ყველაზე მახვილი და უმცირესი, ზევით მიმართული მონაკვეთით — ესაა, სქემატურად სწორად გამოსახული სულიერი ცხოვრება. რაც უფრო ქვევით მდებარეობს სამკუთხედის მონაკვეთი, იმდენად უფრო დიდი, ფართო, მოცულობითი და მაღალი ხდება.

მთელი სამკუთხედი მოძრაობს ნელა და ძლივს შესამჩნევად, წინ და ზევით, და სადაც „დღეს“ უმაღლესი კუთხე იყო, „ხვალ“* — მომდევნო მონაკვეთი დაიკავებს ადგილს, ანუ ის, რაც დღეს მხოლოდ უმაღლესი მონაკვეთისთვისაა გასაგები, ხოლო დანარჩენი სამკუთხედისთვის გაუგებარი აბდაუბდაა, ხვალ, მეორე მონაკვეთისთვის, აზრითა და გრძნობით აღსავსე ცხოვრების შინაარსი ხდება.

უმაღლესი მონაკვეთის ქიმზე ხანდახან მხოლოდ ერთი ადამიანი დგას ეულად,მისი ნეტარი ხედვა განუზომელ შინაგან ურვას ჰგავს, უახლოესი ადამიანებიც კი ვერ უგებენ მას, გაგულისებულნი — თაღლითსა და საგიჟეთის მომავალ ბინადარს უწოდებენ. ასე გაკიცხულ-გალანძღული იდგა ბეთჰოვენი სიცოცხლეში, სრულიად მარტოდმარტო**. რამდენმა წელმა ჩაიარა, ვიდრე სამკუთხედის უდიდესი მონაკვეთი ამ ადგილს მიაღწევდა, სადაც ბეთჰოვენი ოდესღაც მარტოდმარტო იდგა. თუკი ყველა არსებულ ძეგლს არაფრად ჩავთვლით, განა ბევრმა მიაღწია ამ ადგილს?***

ხსენებული სამკუთხედის ყველა განყოფილებაში მოიძებნება მრავალი ხელოვანი. თითოეული, რომლის თვალსაწიერი და ხედვა საკუთარი ზონის ზღვარს სცდება აღმავალი მიმართულებით, წინასწარმეტყველია თავის გარემოცვაში, და წინსვლაში ეხმარება გაჯიუტებულ ოთხთვალას. მაგრამ, თუ მხატვარს მახვილი თვალი არა აქვს, ან მდაბალი მიზნებისა და მიზეზებისათვის იყენებს მას, ან სულაც თვალს თუ ხუჭავს, მაშინ იგი მისი განყოფილების ყველა წარმომადგენლისათვის მისაღები, გასაგები და პატივდებულია. რამდენადაც უფრო დიდია ეს განყოფილება, (ანუ, ამასთანავე, რაც უფრო ქვევით მდებარეობს), ადამიანთა მით უფრო მეტ სიმრავლეს ესმის მხატვრის სიტყვა. ცხადია, რომ თითოეულ ასეთ განყოფილებას გაცნობიერებულად, ან (უფრო ხშირად), სრულიად გაუცნობიერებლად შესაბამისი სულიერი პური სწადია. ეს საზრდო მას მასივე მხატვრებისგან მიეწოდება და ხვალ კი, იმავე პურის ხელში ჩაგდებას შემდეგი განყოფილება ეცდება.

ეს სქემატური გამოსახულება, სულიერი ცხოვრების მთელ სურათს, რაღა თქმა უნდა, ვერ

---

* ეს „დღეს“ და „ხვალ“ სიღრმისეულად შეესაბამება ბიბლიური შესაქმის „დღეებს“.

**კომპოზიტორი ვებერი, ‚თავისუფალი ჩუბინი“-ს ავტორი, ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიაზე ამბობდა: „ამ გენიოსის ექსტრავაგანტულობამ აპოგეას მიაღწია; ბეთჰოვენი ახლა უკვე სავსებით მომწიფებულია საგიჟეთისთვის“. ამავე სიმფონიის პირველი ნაწილის დასაწყისში, ყველაზე დაძაბულ ადგილზე, მძაფრად მჟღერ «e»-სთან, აბატმა შტადლერმა, პირველი მოისმენისას, ერთ მეზობელს გადასძახა: „ისევ ეს — «e», ამ უტალანტო ყმაწვილს სხვა არაფერი მოსდის თავში!“ (აუგუსტ გიოლერიხი „ბეთჰოვენი“, იხ. გვ. 1, რ. შტრაუსის მიერ გამოცემული სერიიდან „მუსიკა“).

***განა ზოგიერთი ძეგლი ამ კითხვაზე სამწუხარო პასუხს არ წარმოადგენს?

ამოწურავს. სხვათაშორის, არც მის ჩრდილოვან მხარეს აჩენს, — უზარმაზარსა და *სიცოცხლისაგან დაცლილ, მკვდარ შავ ლაქას.* ძალზე ხშირად, ხსენებული სულიერი პური იმათი საზრდო ხდება, რომელნიც უკვე უფრო მაღალი განყოფილების მკვიდრნი არიან. მათთვის ამგვარი პური შხამად იქცევა. მცირე დოზით ის ისე მოქმედებს, რომ სულს მაღალი განყოფილებიდან თანდათან უფრო დაბალ დონეზე ჩამოაქვეითებს; დიდი დოზით მიღებისას კი იწვევს სულის მოწყვეტით ვარდნას სულ უფრო და უფრო ქვედა განყოფილებებში. სენკევიჩი ერთ-ერთ თავის რომანში სულიერ ცხოვრებას ცურვას ადარებს: ვინც დაუღალავად არ ირჯება და ჩაძირვას განუწყვეტლივ არ ებრძვის, ის უცილობლად იღუპება. აქ ადამიანის ნიჭი, „ტალანტი“ (სახარებისეული გაგებით) შეიძლება წყევლად იქცეს არა მარტო ამ ტალანტის მატარებელი მხატვრისათვის, არამედ ყველასთვის, ვინც ამ შხამიან პურს შეექცევა. მხატვარი თავის ძალისხმევას მდაბალი მოთხოვნილებების შესალამაზებლად იყენებს; თითქოსდა მხატვრული ფორმით გადმოსცემს ყალბ შინაარსს, იზიდავს თავისკენ სუსტ ელემენტებს, აზავებს მათ უვარგისებთან, ატყუებს ადამიანებს და ეხმარება მათ, მოიტყუონ თავი, მაშინ, როცა ისინი საკუთარ თავსაც და სხვებსაც არწმუნებენ, რომ სულიერი წყურვილი აქვთ და რომ წმინდა წყაროს წყლით იკლავენ ამ წყურვილს. ამგვარი ნაწარმოებები ვერაფრით წაადგება წინსვლას ზევით, პირიქით, აფერხებს მოძრაობას, უკან ხევს მათ, ვინც წინსვლას ელტვის დათავის გარშემო შავ ჭირს ავრცელებს.

ის პერიოდები, როდესაც ხელოვნებას ზენიჭიერებით გამორჩეული არცერთი წარმომადგენელი არ ჰყავს, ვისაც არ გააჩნია *განახლებული, გარდასახული* პური, სულიერ სამყაროში *დაცემის პერიოდებად მოია ზრება.* სულები განუწყვეტლივ ვარდებიან მაღალი მონაკვეთებიდან ქვედა მონაკვეთებში, და მთელი სამკუთხედი თითქოს უძრავად დგას. ან, თითქოსდა მოძრაობს ქვევით და უკან. ამ სიმუნჯისა და სიბრმავის ხანაში ადამიანები სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ გარეგნულ წარმატებებს, ისინი მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნავენ, ტექნიკურ პროგრესს კი, მხოლოდ სხეულს რომ ემსახურება და მარტო ეს ძალუძს, მიესალმებიან, როგორც უდიდეს მიღწევას. წმინდა სულიერი ძალები უკეთეს შემთხვევაში, შესაბამისად არ ფასდება, ანდა, საერთოდ შეუმჩნეველი რჩება.

შემოქმედებას მოწყურებულ მარტოსულებსა და ხედვის ნიჭით დაჯილდოებულებს სასაცილოდ იგდებენ და სულიერ აშლილობას აბრალებენ. უხეში მატერიალისტური ქოროს გუგუნში, უნუგეშოდ და საბრალოდ ისმის იმ გამონაკლის სულთა ხმა, რომელთაც ძილბურანში არსებობას ვერ აიძულებენ, და რომელნიც სულიერი ცხოვრების, ცოდნის წვდომისა და წინსვლის ქვეცნობიერ შინაგან მოთხოვნილებას გრძნობენ. სულიერი ღამე თანდათანობით სულ უფრო და უფრო ღრმად ეშვება. სულ უფრო მეტად რუხ-ნაცრისფერნი და მრუმენი ხდებიან ის შეძრწუნებული სულები და მათი მატარებლები; ეჭვებითა და შიშით დატანჯულები და ქანცმიხდილნი, ხშირად, ამ სიბნელეში თანდათანობით ჩაძირვას, სიშავეში ძალადობრივად უეცარ ვარდნას არჩევენ.

ასეთ დროს ხელოვნება დამცირებულ მდგომარეობაშია და მხოლოდ და მხოლოდ მატერიალური მიზნებისთვის გამოიყენება. ის *ტლან, ქუხეშ მატერიაში* ეძებს სათქმელის მასალას, რადგან მისთვის დახვეწილობა უცნობია. საგნები, რომელთა უცვლელად ასახვა ხელოვნების ერთადერთ მიზანს წარმოადგენს, იგივე სახეს ინარჩუნებენ. ხელოვნებაში „რა“ გამოირიცხება eo ipso-თი*. მხოლოდ რჩება კითხვა, თუ „როგორ“ გადმოსცემს იგივე ფიზიკურ საგანს მხატვარი. ეს კითხვა “Credo”-დ იქცევა. ხელოვნება დაცლილია სულიერებისგან.

ხელოვნება სვლას აგრძელებს გზით: — „როგორ“. განიცდის სპეციალიზაციას და მხოლოდ თვით მხატვრებისთვის ხდება გასაგები, რომლებიც მათი ნაწარმოებებისადმი მაყურებელთა ინდიფერენტულობის გამო, უკმაყოფილებას ვეღარ მალავენ. ჩვეულებრივ ასეთ დროს მხატვარი არ საჭიროებს მრავალსიტყვაობას, რადგან მას უკვე ოდნავი „განსხვავებულობითაც“ კი ამჩნევენ და მეცენატთა მცირე ჯგუფისა და ხელოვნებათმცოდნეების ძალისხმევით რჩეულნი ხდებიან (რასაც შემდგომში დიდი მატერიალური სიკეთეები მოაქვს ხოლმე!); ამის გამო, ზედაპირულად ნიჭიერ, მოხერხებულ ადამიანთა დიდი სიმრავლე აწყდება ხელოვნებას, აგრერიგად იოლად დასაუფლები რომ ჩანს. ნებისმიერ „ხელოვნების ცენტრში“ ცხოვრობს ათიათასობით

*eo ipso — (ლათ.) სწორედ იმით.

მხატვარი, რომელთა უმრავლესობა მხოლოდ ახალი მანერის ძიებაშია, ისინი გულგრილად, ყოველგვარი აღფრთოვანებისა და შემოქმედებითი სულისკვეთების გარეშე ქმნიან ხელოვნების მილიონობით ნაწარმოებს.

„კონკურენცია“ მატულობს. წარმატებისკენ ველური სწრაფვა ძიებას სულ უფრო და უფრო ზედაპირულს ხდის. მცირე ჯგუფები, რომლებმაც მხატვრებისა და სურათების ამ ქაოსს შემთხვევით დააღწიეს თავი, ფუძნდებიან მათ მიერვე მოპოვებულ ადგილებში. ჩამორჩენილი პუბლიკა აკვირდება მათ, არაფერი გაეგება, თანდათან ინტერესს კარგავს ამგვარი ხელოვნებისადმი და გულმშვიდად აქცევს ზურგს.

მაგრამ მიუხედავად ამგვარი გაურკვევლობისა, ქაოსისა და ველური ცვალებადობისა, სინამდვილეში სულიერი სამკუთხედი მოძრაობს ნელა, მაგრამ ზუსტად, განუხრელი ძალით მიიწევს წინ და ზევით.

უხილავი მოსე ჩამოდის მთიდან, ხედავს ოქროს ხბოს გარშემო ცეკვა-თამაშს, მაგრამ მიხედავად ამისა, ადამიანებთან მაინც მოაქვს ახალი სიბრძნე.

მასებისათვის ვერგასაგონი მისი სიტყვა ყველაზე ადრე მაინც მხატვარს ესმის. თავიდან შეუცნობლად მიჰყვება ძახილს, ისე, რომ ვერც კი ამჩნევს. უკვე თვით ამ კითხვაში „როგორ“, განკურნების ფარული მარცვალი მოიპოვება. თუ ეს „როგორ“ მთლიანობაში სავსებით უნაყოფო რჩება, თავად იმ „სხვაგვარობაში“ (რასაც დღემდე „ინდივიდუალურს“ ვუწოდებთ), მაინც არსებობს შესაძლებლობა, საგნებში არა მხოლოდ წმინდად მატერიალური დავინახოთ, არამედ ისიც, რაც რეალისტური პერიოდის საგანთან შედარებით, ნივთიერ სხეულად ნაკლებად მოიაზრება, და მხატვრებიც დიდი გულმოდგინებით ცდილობდნენ ის აესახათ ისეთი, „როგორიც იყო“, ყოველგვარი „ფანტაზიორობის“ გარეშე.*

თუ შემდგომში ეს „როგორ“ მხატვრის სულიერ ემოციებსაც მოიცავს და თუ მას უნარიც შესწევს, საკუთარი უნატიფესი განცდები გულწრფელად გამოამჟღავნოს, მაშინ ხელოვნება სწორედ იმ გზის ზღურბლთან დგას, სადაც ის უშეცდომოდ მიაგნებს დაკარგულ „რა“-ს, რაც ახლახან შემდგარი სულიერი გამოღვიძებისათვის სულიერ პურად იქცევა. ეს „რა“ უკვე აღარ იქნება წარსული პერიოდის მატერიალური, საგნობრივი „რა“, არამედ შეადგენს მხატვრულ შინაარსს, ხელოვნების სულს, რომლის გარეშეც მისი სხეული („როგორ“) ვერასოდეს შეძლებს ჯანსაღი ცხოვრებით ცხოვრებას, ისევე, როგორც ვერ შეძლებს ამას ცალკეული ადამიანი, ანდა ხალხი.

ეს „რა“, არის შინაარსი, რომელსაც მხოლოდ ხელოვნება იტევს თავის წიაღში, და რაც მხოლოდ ხელოვნებას ძალუძს, მარტოოდენ მისთვის არსებული საშუალებებით გამოხატოს თვალსაჩინოდ.

III. შემობრუნება სულიერებისკენ

სულიერი სამკუთხედი მოძრაობს ნელა წინ და ზევით. სადღეისოდ ერთ-ერთი, სულ ქვევით მდებარე უდიდესი მონაკვეთი უკვე აღწევს მატერიალისტური „Credo“-ს საწყის ლოზუნგებამდე — რელიგიური თვალსაზრისით ამ მონაკვეთის ბინადარნი სხვადასახვანაირად იწოდებიან. მათ იუდეველები, კათოლიკები, პროტესტანტები და ა. შ. ჰქვიათ. სინამდვილეში კი ისინი ათეისტები არიან, რასაც ზოგიერთი ყველაზე გამბედავი, ან ყველაზე შეზღუდული ღიად აღიარებს კიდეც: „ზეცა“ დაცარიელდა, „ღმერთი მოკვდა“-ო. პოლიტიკურად ეს ბინადარნი სახალხო წარმომადგენლობის მიმდევრები ან რესპუბლიკელები არიან. შიში, ზიზღი და სიძულვილი, რაც მათ გუშინ ამ პოლიტიკური თვალსაზრისის წინააღმდეგ გააჩნდათ, დღეს ანარქიაზე გადაიტანეს,

* აქ ხშირად ვსაუბრობთ მატერიალურ, არამატერიალურ და შუალედურ მდგომარეობათა შესახებ, „მეტ-ნაკლებად” მატერიალურს რომ უწოდებენ. არის კი ყველაფერი მატერია? ან ყველაფერი კი სული? შეიძლება, ის განსხვავებები, რასაც ჩვენ მატერიასა და სულს შორის ვხედავთ, მხოლოდ მატერიის ან მხოლოდ სულის გრადაციები იყოს? პოზიტიური მეცნიერების მიერ „სულის“ პროდუქტად აღნიშნული აზრიც მატერიაა, ოღონდ არა უხეში, არამედ ფაქიზი გრძნობებით რომ შეიგრძნობა. ის, რასაც ჩვენი ფიზიკური ხელი ვერასოდეს შეეხება, — სულია? ამაზე ვრცელი საუბარი ამ მოკლე ნარკვევში არ მოხერხდება, და სავსებით საკმარისია, თუ მათ მკაცრად არ გავმიჯნავთ.

რაშიც სრულიად ვერ ერკვევიან და მხოლოდ ეს შიშისმომგვრელი სახელი იციან. ეკონომიკური თვალსაზრისით ხსენებული ადამიანები სოციალისტები გახლავან. ისინი მართლმსაჯულების ხმალს ლესავენ, რათა სასიკვდილო დარტყმა აგემონ კაპიტალიზმის გველეშაპს და მოკვეთონ ბოროტების თავი.

ვინაიდან სამკუთხედის ამ უდიდესი მონაკვეთის ბინადართ ერთი საკითხიც კი არასოდეს გადაუწყვეტიათ დამოუკიდებლად, და რადგან მათ მუდამ მიათრევდნენ კაცობრიობის ოთხთვალათი მათივე თანამედროვე, თავგანწირული ადამიანები, ყოველთვის მაღლა რომ იდგნენ მათზე, — ამიტომ მათ არაფერი უწყიან ამ ტვირთის ზიდვის შესახებ, რამეთუ მუდამ შორი მანძილიდან ადევნებდნენ თვალყურს ამ ქმედებას. მათი წარმოდგენით ეს იოლი რამ არის და სჯერათ უნაკლო რეცეპტებისა და შეუმცდარად მოქმედი საშუალებების.

შემდეგი, უფრო ქვევით მდებარე მონაკვეთი, ზემოხსენებული მონაკვეთის დახმარებით ბრმად ინაცვლებს ახალ სიმაღლეზე, თუმცა ძველი ადგილი არ ეთმობა, ჯიუტობს, რადგან ეშინია სრულიად უცხო, უცნობ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს და არ მოტყუვდეს.

უფრო მაღლა განლაგებული მონაკვეთები არა მარტო ბრმად ათეისტურნი არიან, არამედ შეუძლიათ თავიანთი უღმერთობა სხვათა სიტყვებით დაასაბუთონ კიდეც (მაგ. ვირხოვის, მეცნიერისათვის შეუფერებელი ფრაზით: მე ბევრი გვამი გავკვეთე, მაგრამ სული ვერცერთხელ ვერ აღმოვაჩინეო). პოლიტიკური თვალსაზრისით ისინი უფრო ხშირად რესპუბლიკელები არიან, მათთვის ცნობილია პარლამენტისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ჩვევები, გაზეთებში კითხულობენ პოლიტიკურ, მოწინავე სტატიებს. ეკონომიკის თვალსაზრისით, ნაირფერი ნიუანსებით შეფერილი სოციალისტები ბრძანდებიან და თავიანთ „მტკიცე შეხედულებებს“ მრავლად მოხმობილი ციტატებით ასაბუთებენ. (შვაიცერის „ემმა“-თი დაწყებული, ლასალის „რკინის კანონით“, მარქსის „კაპიტალითა“ და ა.შ. დამთავრებული).

უფრო ზევით განლაგებულ ამ მონაკვეთებში თანდათან სხვა ქვეგანაყოფები ჩნდება, უკვე აღწერილთა შორის რომ აკლდა: მაგ. მეცნიერება და ხელოვნება, ლიტერატურასა და მუსიკასაც რომ მოიცავს. მეცნიერული თვალსაზრისით ეს ადამიანები პოზიტივისტები არიან და მხოლოდ იმას ცნობენ, რაც შეიძლება წონასა და ზომას ექვემდებარებოდეს. ყოველივე დანარჩენი ისეთივე სისულელედ მიაჩნიათ, როგორც დღეისათვის უკვე „დამტკიცებული“ თეორიები მიაჩნდათ გუშინ.

ხელოვნებაში კი ნატურალისტები არიან, ოღონდაც მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე, და მტკიცედ იცავენ, რადგან ეს ზღვარი სხვათა მიერაა მონიშნული, მხატვრის პიროვნებას, ინდივიდუალობასა და ტემპერამენტს კი აღიარებენ და აფასებენ.

ყველაზე მაღლა განთავსებულ ამ მონაკვეთებში, მიუხედავად თვალსაჩინო წესრიგის, საიმედოობისა და შეუმცდარი პრიციპებისა, მაინც მოიპოვება ერთგვარი ფარული შიში, ფორიაქი, მერყეობა და საფრთხის შეგრძნება, ისევე, როგორც შორეული ნაოსნობის მტკიცედ ნაგები და უზარმაზარი გემის მგზავრთა გონებაში აღმოცენდება ეს განცდა უმალ, როცა ზღვის მოქცევისას, ნისლით დაფარულ ხმელეთზე, შავი ღრუბლები გროვდებიან და პირქუში ქარი აზვირთებულ წყალს შავი მთებივით წამოაყუდებს ხოლმე. ისინი ამას საკუთარ განათლებას უნდა უმადლოდნენ. მათ იციან, რომ დღეს გაფეტიშებული მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე ან მხატვარი ჯერ კიდევ გუშინ გამასხარავებული იყო, როგორც სერიოზული აღქმისათვის უღირსი, პატივმოყვარე და თაღლითი.

სულიერი სამკუთხედის მონაკვეთი რაც უფრო ზევითაა, მით უფრო აშკარად იკვეთება ხსენებული შიშისა და გაუბედაობის მახვილი წახნაგები. ჯერ ერთი, აქა-იქ მაინც მოიძებნება დამოუკიდებლად ხედვის შემძლე თვალები. და თავები, რომელთაც შედარების, შეპირისპირების უნარი გააჩნიათ. ასეთი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები კითხვას უსვამენ საკუთარ თავს: „გუშინწინდელი სიბრძნე თუ გუშინდელმა დაამხო, ეს უკანასკნელი კი დღევანდელმა, მაშინ არ შეიძლება როგორღაც დავუშვათ, რომ დღევანდელი სიბრძნე ხვალინდელმა გაასწოროს მიწასთან?“ და აი, მათგან ყველაზე გულადები პასუხობენ: „დიახ, ეს შესაძლებლობის ფარგლებშია“.

და მეორეც, აღმოჩნდებიან თვალები, რომელთაც იმის დანახვა ძალუძთ, რაც თანამედროვე მეცნიერებას „ჯერ არ აუხსნია“. ასეთი ადამიანები საკუთარ თავს ეკითხებიან: „შეძლებს კი მეცნიერება იმ გზით, უკვე კარგა ხანია რომ ადგას, ამ ამოცანის ამოხსნამდე მივიდეს? და თუკი მივა, მის პასუხზე დაყრდნობა დასაშვებია?“ სამკუთხედის ამ მონაკვეთებში პროფესიონალი

მეცნიერებიც შედიან, რომელთაც შეუძლიათ გაიხსენონ, აკადემიების მიერ ამჟამად უკვე დამტკიცებულ ფაქტებს იგივე აკადემიები როგორ შეხვდნენ დასაწყისში. აქვე არიან ხელოვნებათმცოდნენი, აღიარებულ, ღრმააზროვან წიგნებს რომ წერენ იმ ხელოვნების შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ უაზრობას წარმოადგენდა. ამ წიგნებით ისინი იმ ბარიერების გადალახვას ცდილობენ, ხელოვნებამ რახანია უკან რომ მოიტოვა, და ახალ-ახალ დაბრკოლებებს ქმნიან, ამჯერად მტკიცედ და სამუდამოდ რომ უნდა დაიმკვიდროს ახალი ადგილი. ამ საქმიანობისას ვერც კი ამჩნევენ, რომ ბარიერებს ხელოვნების წინ კი არა, არამედ მის ზურგსუკან აგებენ. და ხვალ, როცა შეამჩნევენ, ახალ წიგნებს დაწერენ და საკუთარ ბარიერებს მაშინვე უფრო შორს გადაწევენ. და ეს საქმიანობა უცვლელად დარჩება მანამდე, ვიდრე არ განჭვრეტენ, რომ ხელოვნების გარეგანი პრინციპი მხოლოდ წარსულისთვის შეიძლება იყოს ქმედითი, სამომავლოდ კი არასოდეს იქნება. ამ პრინციპის დამადასტურებელი არავითარი თეორია არ შეიძლება არსებობდეს არამატერიალურის სფეროში არსებული სამომავლო გზისთვის. ის, რაც მატერიალურად ჯერ არ არსებობს, მატერიალურად ვერ კრისტალიზდება. სული, ხვალინდელი დღის სამეფოსკენ რომ მიგვიძღვის, გრძნობით შეიცნობა მხოლოდ (მხატვრის ტალანტი კი გზაა). თეორია ჩირაღდანია, გუშინ და გუშინწინ არსებულ კრისტალიზებულ ფორმებს რომ ანათებს. (უფრო ვრცლად იხ. თავი VII. თეორია.)

თუკი უფრო მაღლა ავიწევით, მეტად აგვებნევა თავგზა, როგორც დიდ, ყველა არქიტექტონულ-მათემატიკური წესების მიხედვით მკვიდრად ნაგებ ქალაქში, განუზომლად საზარელმა, უეცარმა ძალამ რომ შეაზანზარა. აქ მცხოვრები ადამიანები ჭეშმარიტად იმ სულიერი ქალაქის ბინადარნი არიან, სადაც იმგვარი ძალები მოქმედებენ მოულოდნელად, სულიერ არქიტექტორებსა და მათემატიკოსებს რომ არ გაუთვალისწინებიათ. აქ სქელი გალავნის ერთი ნაწილი ბანქოს ხუხულასავით ჩამოიშალა. იქვე ნანგრევებში გაწოლილა ოდესღაც ცადაწვდენილი, კოლოსალური მრავალშპილიანი, თუმცა „უკვდავი“ სულიერი სვეტებით ნაგები კოშკი. ძველისძველ მივიწყებულ სასაფლაოზე იძვრის მიწა. იხსნება უძველესი დავიწყებული სამარეები და ასევე მივიწყებული სულები საფლავებიდან ამოდიან. მზე, ასე დიდოსტატურად შექმნილი, ლაქებითა და თალხით იფარება. ის კი სადღაა, წყვდიადთან ბრძოლას რაც ჩაანაცვლებს?

ამ ქალაქში ყრუ ადამიანებიც ცხოვრობენ, რომლებიც უცხო სიბრძნემ იმდენად დააყრუა, რომ ნგრევის ხმა არ ესმით, მათ, უცხო სიბრძნით დაბრმავებულებს, თვალის ჩინიც წართმეული აქვთ, და ამბობენ: ჩვენი მზე სულ უფრო და უფრო ჩახჩახა, ნათელი ხდება, სულ მალე უკანასკნელი ლაქების გაქრობასაც დავინახავთო. თუმცა ამ ადამიანებსაც აეხილებათ თვალები და გაეხსნებათ სმენა.

უფრო მაღლა *შიშის ნიშანწყალიც* კი აღარსად მოიპოვება. აქ გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული, — შეუპოვრად რომ ცდილობს ადამიანთა მიერ აგებული ბურჯების შერყევას. აქ პროფესიონალ მეცნიერებსაც აღმოვაჩენთ, რომლებიც ისევ და ისევ მატერიას იკვლევენ, არავითარი კითხვა არ აშინებთ და საბოლოოდ იმ მატერიას, რომელიც გუშინ ლამის ყველაფრის საფუძველი და მთელი მსოფლიოს საყრდენი იყო, ეჭვქვეშ აყენებენ. ელექტრონების, ანუ მედინი ელექტროობის თეორია, რომელმაც მატერია მთლიანად უნდა ჩაანაცვლოს, გამბედავ კონსტრუქტორებს პოულობს, რომლებიც აქა-იქ სიფრთხილის საზღვრებს არღვევენ და ახალი მეცნიერული გოდოლის დაპყრობისას იღუპებიან, როგორც ძნელად ასაღები ციხე-სიმაგრის შტურმის დროს თავდავიწყებით მებრძოლი, სხვებისთვის მსხვერპლად შეწირული მეომრები. თუმცა „აუღებელი ციხე-სიმაგრე არ არსებობს“.

მეორე მხრივ მრავლდება, ან უფრო ხშირად ხდება ცნობილი ისეთი *ფაქტები*, რომელთაც გუშინდელი მეცნიერება ნათლავდა ჩვეული სიტყვით „თაღლითობა“. გაზეთებიც კი, უმეტესწილად წარმატებისა და პლებსის უმორჩილესი მსახურნი, „რას ინებებდითო“ — ამ მიმართვით რომ ვაჭრობენ, ზოგიერთ შემთხვევაში იძულებულნი არიან, „სასწაულებზე“ საუბრისას ირონიული ტონი შეარბილონ, ანდა სულაც შეიკავონ თავი ირონიისგან. სხვადასხვა მეცნიერები, რომელთა შორის წმინდა წყლის მატერიალისტებიც ითვლებიან, თავიანთ ძალისხმევას უძღვნიან გამოუცნობი ფაქტების მეცნიერულ კვლევას, რადგან მათი უარყოფა ან მიჩუმათება უკვე შეუძლებელია.

მეორე მხრივ, საბოლოოდ მატულობს იმ ადამიანთა რიცხვი, არანაირ იმედს რომ არ ამყარებენ მატერიალისტური მეცნიერების მეთოდებზე იმ საკითხებში, რაც „მატერია არაა“, ანდა რაც

ისეთ მატერიას ეხება, ჩვენი გრძნობის ორგანოებით რომ ვერ აღიქმება. და როგორც ხელოვნება ეძებს პრიმიტივებთან დახმარებას, ეს ადამიანებიც თითქმის მივიწყებულ დროს მიმართავენ, მათივე თითქმის მივიწყებული მეთოდებით, რათა ეგებ იქ მიაგნონ შველას. ეს მეთოდები კი ჯერ ისევ ცოცხალია იმ ხალხში, რომელთაც ჩვენი ცოდნის სიმაღლიდან, როგორც წესი, აგდებულად და სიბრალულით ვუყურებდით.*

ამ ხალხებს განეკუთვნებიან მაგალითად ინდუსები, რომლებიც დროდადრო ჩვენი კულტურის მეცნიერებს თვალწინ წარუდგენენ ხოლმე ისეთ გამოუცნობ ფაქტებს, ადრე რომ არ შეუმჩნევიათ, ანდა ცდილობდნენ, აბეზარი ბუზებივით მოეცილებინათ თავიდან ზედაპირული სიტყვებითა და ახსნა-განმარტებებით.** ე. პ. ბლავატსკაია მართლაც პირველი იყო, ვინც ინდოეთში მრავალწლიანი ცხოვრების შემდეგ მტკიცე კავშირი დაამყარა ამ „ველურებსა“ და ჩვენ კულტურას შორის. აქედან იწყება იმ უდიდეს სულიერ მოძრაობათაგან ერთ-ერთი, რომელიც ადამიანთა დიდ რაოდენობას აერთიანებს, და „თეოსოფიურ საზოგადოებაში“ ამ სულიერი ერთიანობის მატერიალური ფორმაც კი შექმნა. ხსენებული საზოგადოება შედგება ლოჟებისაგან, რომლებიც შინაგანი შეცნობის გზით ცდილობენ მიუახლოვდნენ სულის პრობლემებს. პოზიტიური მეთოდების საპირისპირო მათი მეთოდები თავის საწყის წერტილშივე ადრე არსებულიდანაა ნასესხები და შედარებით ზუსტი ფორმით ისევ იქნება აღდგენილი.***

ამ მოძრაობის საფუძველი, — თეოსოფიის თეორია, ბლავატსკაიას მიერ კატეხიზისის სახითაა გადმოცემული, სადაც მოწაფე ამომწურავ პასუხებს იღებს თეოსოფისაგან.* ბლავატსკაიას სიტყვებით, თეოსოფია იგივეა, რაც *მარადიული ჭეშმარიტება* (გვ. 248). „ჭეშმარიტების ახალ მაცნეს, მის მისიას, თეოსოფიური საზოგადოების მეოხებით, კაცობრიობა მომზადებული დახვდება: გაჩნდება გამოხატვის იმგვარი ფორმა, რითაც მას ახალი ჭეშმარიტებების შემოსვა შეეძლება, შეიქმნება ორგანიზაცია, რომელიც გარკვეულწილად მოელის მის მოსვლას, რათა იმ დროს მატერიალური წინააღმდეგობანი და სიძნელეები ააცილოს გზიდან“ (გვ.250). ბლავატსკაიას აზრით „ოცდამეერთე საუკუნეში დედამიწა, ახლანდელთან შედარებით, სამოთხე იქნება“ — ასე ამთავრებს იგი თავის წიგნს. ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად თეოსოფების მიდრეკილებისა, შეექმნათ თეორია, და მათი ნაადრევი სიხარულისა, რომ მალე შეძლებენ მარადიული უსაზომო კითხვის ნიშანი ჩაანაცვლონ პასუხით, (რაც იოლად განაწყობს დამკვირვებლებს სკეპტიკურად) უდაოა, რომ რჩება დიდი *სულიერი* მოძრაობა, რომელიც სულიერი ატმოსფეროს წიაღ ძლიერი მამოძრავებელი ძალაა და მხსნელი ჰანგივით აღწევს წყვდიადით შესუდრულ, ზოგიერთ სასოწარკვეთილ გულამდე, თუნდაც ასეთი ფორმით. ასე რომ, ეს მათთვის გზამკვლევიცა და დახმარების ხელიც იქნება.

მაშინ, როცა რელიგია, მეცნიერება და მორალი (ეს უკანასკნელი ნიცშეს ძლიერი ხელის მეოხებით) ძირეულად შეირყა, და გარეგან სვეტებს ჩამოქცევა დაემუქრა, ადამიანმა თავისი მზერა გარეგანიდან საკუთარი თავისაკენ მიმართა.

ლიტერატურა, მუსიკა და ხელოვნება ყველაზე უფრო მგრძნობიარე სფეროებია, სადაც სუ-

---

* ცოლნერი, ვაგნერი, ბუტლეროვი — პეტერბურგში, კრუკსი — ლონდონში და ა. შ., მოგვიანებით შ. რიშე, კ. ფლამარიონი (დაახლოებით ორი წლის წინ, პარიზის „Matin”-მაც კი გამოაქვეყნა ამ უკანასკნელის გამონათქვამები სათაურით „Je le constate, mais je ne l’ explique pas”). ბოლოს კი, ჩ. ლომბროზო, ანთროპოლოგიური მეთოდის ავტორი დანაშაულის კვლევის საკითხში, ევსაპია პალადინოსთან ერთად ესწრება მნიშვნელოვან სპირიტუალისტურ სეანსებს და აღიარებს ფენომენთა არსებობას. გარდა ამისა, საკუთარი პასუხისმგებლობით სხვა მეცნიერებიც მონაწილეობენ ამგვარ კვლევებში, თანდათან ფუძნდება მთელი მეცნიერული გაერთიანებები და საზოგადოებები, იგივე მიზნებს რომ ისახავენ (მაგ. პარიზში Soci&eacutete des Etudes psychques, რომელმაც მთელს საფრანგეთში საინფორმაციო მოგზაურობებიც კი მოაწყო, რათა მიღწეული შედეგები სრულიად ობიექტური ფორმით გაეცნო საზოგადოებისათვის).

** ძალზე ხშირად მსგავს შემთხვევებში იყენებენ სიტყვას ჰიპნოზი, ეს სწორედ ის ჰიპნოზია, რომლის თავდაპირველ ფორმას — მესმერიზმს — სხვადასხვა აკადემიები აგდებულად აქცევდნენ ზურგს.

*** იხ. მაგ. დოქტორ შტაინერის „Theisopie” და მისი სტატიები „Lucifer-Gnosis“-ში შემეცნების გზის შესახებ. ჩვენს დროში უპრიანია აღვნიშნოთ, რომ ამ წიგნის წერისას კანდინსკი ჯერ არ ასხვავებდა რუდოლფ შტაინერის ანტროპოსოფიულად ორიენტირებულ სულიერ მეცნიერებასა და ე. პ. ბლავატსკაიას აღმოსავლეთიდან მომდინარე თეოსოფიას... (მაქს ბილის შენიშვნა, 18 აგვისტო 1962 წ.)

* ე. პ. ბლავატსკაია „თეოსოფიის გასაღები”, მაქს ალტმანის გამ. ლაიფციგი, 1907 წ. ინგლისური გამოცემა პირველად გამოქვეყნდა ლონდონში 1889 წელს.

ლიერებისაკენ ეს მობრუნება რეალურად ხდება შესამჩნევი. ეს სფეროები უმალ ირეკლავენ აწმყოს მრუმე სურათს, ისინი წინასწარ გრძნობენ იმ დიადს, რომელსაც ცოტა ვინმე თუ ამჩნევს პატარა წერტილივით, მაშინ, როცა ადამიანთა უმეტესობისათვის იგი საერთოდ არც კი არსებობს.

ისინი თვალშეუდგამ წყვდიადს ირეკლავენ, ჯერ მხოლოდ მქრქალად რომ ისახება, და თვით ხდებიან პირქუში და მრუმე. მეორე მხრივ, ზურგს აქცევენ თანამედროვე ცხოვრების სულიერების მძარცველ შინაარსს და მიმართავენ იმ მასალებსა და გარემოს, რაც თავისუფლებას ანიჭებს მოწყურებულ სულთა არამატერიალურ მისწრაფებებსა და ძიებებს.

ერთ-ერთი ასეთი პოეტი *ლიტერატურის* დარგში მეტერლინკია. მას იმ სამყაროში შევყავართ, ფანტასტიურს, უფრო ზუსტად კი, ზეგრძნობადს რომ უწოდებენ. მისი Princesse Maleine, Sept Princesses, Les Aveugles და ა.შ., შექსპირის სტილიზებული გმირებივით წარსულის *ადამიანები არ არიან.* ეს ნისლეულში მოხვედრილი მაძიებელი სულებია, რომელთაც ბურუსი დახუთვას უქადის, მათ თავს დასტრიალებს უხილავი, მრუმე ძალა. სულიერი წყვდიადი და არცოდნის საფრთხე. ხსენებულ ხიფათთა წინაშე შიში ქმნის მეტერლინკის გმირთა სამყაროს. ასე რომ, ალბათ იგია ზემოთ აღწერილი დაცემის ერთ-ერთი პირველი წინასწარმეტყველი, ხელოვნების ერთ-ერთი პირველი მოამბე და ნათელმხილველი. სულიერი ატმოსფეროს კაეშნიანი სიმძიმე, დამანგრეველი და იმავდროულად წარმმართველი ხელი, შიშსა და და სასოწარკვეთას რომ იწვევს, დაკარგული გზა, და წინამძღოლის არარსებობა მკვეთრად ირეკლება ამ ნაწარმოებებში.*

პოეტი ამ ატმოსფეროს ძირითადად წმინდა მხატვრული ხერხებით ქმნის, მაშინ, როცა მატერიალური ხერხები (პირქუში ციხე-სიმაგრეები, მთვარიანი ღამეები, ჭაობები, ქარი, ბუები და სხვა) სიმბოლურ როლს უფრო ასრულებენ და შინაგანი ხმოვანების გადმოსაცემად უფრო გამოიყენებიან.**

მეტერლინკი მთავარ საშუალებად სიტყვას იყენებს. *სიტყვა შინაგანი ხმოვანებაა.* ეს შინაგანი ხმოვანება ნაწილობრივ (და ალბათ უმთავრესად) საგნიდან აღმოცენდება, რომელიც სიტყვითაა სახელდებული. მაგრამ, როცა საგანს ვერ ხედავ, და მხოლოდ მისი სახელი გესმის, აზროვნებაში დემატერიალიზებული საგნის აბსტრაქტული წარმოდგენა იბადება, რომელიც „გულში“ მაშინვე ვიბრაციას იწვევს. ამგვარად, *მწვანე, ყვითელი, წითელი ხე* მდელოზე მხოლოდ მატერიალური ხდომილებაა, ხის შემთხვევითი მატერიალიზებული ფორმა, რომელსაც შინაგანად ვგრძნობთ, როცა სიტყვა *ხე* გვესმის. სიტყვის ოსტატურ (პოეტური შეგრძნებისდა მიხედვით) გამოყენებას, შინაგანი აუცილებლობით ნაკარნახევ მის გამეორებას ზედიზედ ორჯერ, სამჯერ და მეტჯერაც კი, შეუძლია არა მარტო სიტყვის შინაგანი ჟღერადობის ზრდა გამოიწვიოს, არამედ სიტყვის სხვა, მანამდე შეუცნობელი სულიერი თვისებები გამოავლინოს. ბოლოს და ბოლოს სიტყვის ხშირი გამეორებისას (ყმაწვილობის საყვარელი თამაში, მოგვიანებით დავიწყებას რომ ეძლევა) სახელი კარგავს გარეგან აზრს. ასევე დავიწყებას ეძლევა აღწერილი საგნის აბსტრაქტული აზრიც და მხოლოდ სიტყვის წმინდა ხმოვანება შიშვლდება. ეს „წმინდა“ ხმოვანება გაუცნობიერებლად გვესმის რეალურ, ან მოგვიანებით აბსტრაქტულად ქცეული საგნის თანხმიერებასთან ერთად. უკანასკნელ შემთხვევაში კი ეს წმინდა ხმოვანება წინა პლანზე გამოდის და სულზე პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს. სულს უსაგნო ვიბრაცია ეუფლება, რაც შედარებით უფრო რთულია, ვიტყოდი, უფრო „ზეგრძნობადია“, ვიდრე სულიერი ვიბრაცია,

*დაცემის ხანის ნათელმხილველებს განეკუთვნება აგრეთვე, პირველ რიგში, ალფრედ კუბინი. მკაცრი სიცარიელის საზარელ ატმოსფეროში გვეწევა დაუძლეველი ძალა. ეს ძალა მოედინება კუბინის გრაფიკიდან, ისევე როგორც მისივე რომანიდან „Die andere Seite”.

** პეტერბურგში, როცა პირადად მეტერლინკის ხელმძღვანელობით იდგმებოდა მისი ზოგიერთი დრამა, მან ერთ-ერთი რეპეტიციის დროს მოითხოვა უბრალოდ ტილოს ნაჭერი დაეკიდათ კოშკის მაგივრად, მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა ზედმიწევნით დახატულ დეკორაციას. იგი ისევე მოიქცა, როგორც თამაშისას იქცევიან ბავშვები, ყველა დროის უდიდესი ფანტასტები, როცა ჯოხს ცხენად წარმოიდგენენ და ქაღალდის ჩიტებიდან კავალერიის მთელ პოლკებს აწყობენ. ამასთანავე, ხელის ერთი მოსმით, ეს ქაღალდი კავალერისტიდან რაშად გადაიქცევა ხოლმე (Kugelgen, “Erinnerungen eines alten Mannes”). ეს მისწრაფება — გააღვიძოს ფანტაზია მაყურებელში, დიდ როლს თამაშობს თანამედროვე თეატრში. ამ მხრივ რუსულმა თეატრმა განსაკუთრებით ბევრი შრომა გასწია და შედეგსაც მიაღწია. მომავლის თეატრისათვის ეს საჭირო გადასვლაა მატერიალურიდან სულიერისაკენ.

გამოწვეული ზარის, მჟღერი სიმის, ჩამოვარდნილი ძელის ხმოვანებით და ა. შ. აქ სამომავლო ლიტერატურისათვის დიდი შესაძლებლობები იხსნება. სიტყვის ეს ძალა გამოიყენება ემბრიონალური ფორმით, მაგ. „Serres chaudes"-ში (ფრ. სათბურები). ამიტომ მეტერლინკისეული სიტყვა, რომელიც პირველი შთაბეჭდილებით ნეიტრალურია, მასთან მძიმედ ჟღერს. ერთ უბრალო, ჩვეულებრივ სიტყვას (ისეთს, როგორიცაა მაგ. თმები), სწორად *ნაგრძნობი* გამოყენებისას შეუძლია უიმედობისა და სასოწარკვეთილების ატმოსფერო შექმნას. ესაა სწორედ მეტერლინკის ხერხი. იგი გვაჩვენებს გზას, სადაც მაშინვე ცხადი ხდება, რომ ჭექა-ქუხილი, ელვა და მთვარე, წარმოდგენილი მიმქროლავ ღრუბლებს იქით, გარეგნული მატერიალური საშუალებებია, რომლებიც სცენაზე უფრო მეტად ჩამოჰგავს ბავშვების შესაშინებელ „შავ კაცს", ვიდრე ბუნებაში. ჭეშმარიტად შინაგანი საშუალებები თავის ძალასა და ზემოქმედებას ასე იოლად არ კარგავენ.* და სიტყვა, რომელსაც ორი მნიშვნელობა აქვს — პირველი პირდაპირი და მეორე — შინაგანი, წმინდა მასალაა პოეზიისა და ლიტერატურისა, მასალა, მხოლოდ ამ ხელოვნებას რომ შეუძლია გამოიყენოს და რომლის მეოხებითაც სულს ესაუბრება.

რ. ვაგნერიც რაღაც ამის მსგავსს აღწევდა მუსიკაში. მისი ცნობილი ლაიტმოტივი ასევე მისწრაფებაა, დაახასიათოს გმირი არა მხოლოდ თეატრალური დეკორაციებით, გრიმითა და შუქ-ჩრდილის ეფექტებით, არამედ განსაზღვრული ზუსტი მოტივის მეოხებით, ანუ წმინდა *მუსიკალური საშუალებით.* ეს მოტივი ერთგვარი სახეა მუსიკალურად გამოხატული სულიერი ატმოსფეროსი, გმირს წინ რომ უსწრებს და რომელსაც შორი მანძილიდან სულიერად ასხივებს.**

ჩვენი დროის მოდერნისტი მუსიკოსები, ისეთები, როგორიც *დებიუსია*, ბუნებაზე დაკვირვების შედეგად გადმოსცემენ რა *სულიერ* იმპრესიებსა და მიღებულ შთაბეჭდილებებს, წმინდა მუსიკალური ფორმით გარდასახავენ მათ სულიერ სურათებად. სწორედ ამიტომ ადარებენ დებიუსის იმპრესიონისტ მხატვრებს, როცა ამტკიცებენ, რომ იგი, თავის ნაწარმოებებში, მათ მსგავსად, ბუნების მოვლენებით შთაგონებული, ძლიერ, ინდივიდუალურ მონასმებს იყენებს. სიმართლე, რაც ამ მტკიცებაშია, მაგალითია იმისა, რომ ჩვენს ხანაში სხვადასხვა ხელოვნება ერთმანეთისგან სწავლობს და მათი მიზნებიც ერთმანეთს ჰგავს. მაგრამ ზედმეტად თამამი იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ ამ განსაზღვრებით დებიუსის მნიშვნელობა ამომწურავადაა წარმოდგენილი. მიუხედავად იმპრესიონისტებთან შეხების წერტილისა, ამ მუსიკოსის ლტოლვა შინაგანი შინაარსისადმი იმდენად ძლიერია, რომ მის ნაწარმოებებში მაშინვე შეიგრძნობა თანამედროვე ადამიანის მტანჯველი ვნებებით, შერყეული ნერვებითა და ტკივილით აჟღერებული სული. მეორე მხრივ კი, დებიუსი თავის „იმპრესიონისტულ" სურათებში, როგორც ეს საპროგრამო მუსიკას ახასიათებს, მთლიან მატერიალურ ნოტს არასოდეს იყენებს და მოვლენის შინაგანი ფასეულობის გამოყენებით კმაყოფილდება.

დებიუსის შემოქმედებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა რუსულმა მუსიკამ (მუსორგსკი). გასაკვირი არაა, რომ გარკვეული ნათესაობა იგრძნობა მას და ახალგაზრდა რუს კომპოზიტორებს შორის, რომელთა რიცხვს, პირველ რიგში სკრიაბინი უნდა მივაკუთვნოთ. მათ კომპოზიციებში ნათესაური შინაგანი ჟღერადობა ისმის. მსმენელებს ხშირად ერთი და იგივე შეცდომა უფუჭებს გუნებას. ანუ, ხანდახან ორივე კომპოზიტორი სრულიად მოულოდნელად „ახალ" „სიმახინჯეთა" სფეროს უსხლტება და მეტ-ნაკლებად აღიარებული „მშვენიერების" მომხიბლაობას მიჰყვება. მსმენელი ხშირად თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან ჩოგბურთის ბურთივით ტყორცნიან იმ ბადის გადაღმა, ორ მოწინააღმდეგე პარტიას რომ ყოფს: გარეგანი, სიმშვენიერისა" და შინაგანი „სიმშვენიერის" პარტიას. შინაგანი მშვენიერება ის სილამაზეა, რომელიც ჩვეული სილამაზის უარყოფითა და ძალისმიერი აუცილებლობით გამოიყენება. მას, ვინც მიუჩვეველია, ბუნებრივია, ეს შინაგანი მშვენიერება მახინჯად ეჩვენება, რადგან ზოგადად, ადამიანი გარეგნულისკენ იხრება და შინაგან აუცილებლობას არცთუ სიამოვნებით ცნობს. (და ეს განსაკუთრებით დღეს!) ჩვეული სი-

* ეს აშკარა ხდება მეტერლინკის თხზულებების პოს ნაწარმოებებთან შედარებისას. და ესეც ერთი მაგალითია მხატვრულ საშუალებათა წინგადადგმული ნაბიჯისა მატერიალურიდან აბსტრაქტულისაკენ.

** მრავალმა ცდამ დაადასტურა, რომ მსგავსი სულიერი ატმოსფერო არა მარტო გმირებს, არამედ ყოველ ადამიანს წაადგება. მაგ. ზედმეტად მგრძნობიარე ადამიანებს არ შეუძლიათ იმ ოთახში დარჩენა, სადაც ის ადამიანი იმყოფებოდა, ვისაც ისინი სულიერად ვერ იტანდნენ, თუნდაც მათ მისი იქ ყოფნის შესახებ არაფერი სცოდნოდათ.

ლამაზის სრული უარყოფის ამ გზას, დღეს ჯერ სრულიად მარტო ადგას მხოლოდ მცირეთაგან აღიარებული ვენელი კომპოზიტორი არნოლდ შონბერგი, აღიარებს რა უზენაესად *ყველანაირ* საშუალებას, რომელსაც თვითგამოხატვის მიზნებამდე მივყავართ. ეს „რეკლამის მკეთებელი“, „ცრუპენტელა“ და „თაღლითი“ ჰარმონიის შესახებ თავის სწავლებაში ამბობს: „...ნებისმიერი თანხმიერება, ნებისმიერი წინ გადადგმული ნაბიჯი დასაშვებია. მაგრამ დღეს უკვე ვგრძნობ, რომ აქაც გარკვეულ პირობებზეა დამოკიდებული, თუ რომელ დისონანსს გამოვიყენებ“.*

აქ შონბერგი ზუსტად გრძნობს, რომ უდიდესი თავისუფლება, რომელიც თავისუფალი და აუცილებელი სასუნთქი ჰაერია ხელოვნებისათვის, არ შეიძლება იყოს აბსოლუტური. ყოველ ეპოქას ამ *თავისუფლების* საკუთარი მასშტაბი აქვს მოზომილი. და ამ თავისუფლების საზღვრებს თვით უგენიალურესი ძალაც ვერ გადალახავს. მაგრამ ეს თავისუფლება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ამოიწუროს და ყოველ ჯერზე იწურება კიდეც. დაე, ჯიუტმა ოთხთვალამ წინააღმდეგობა გაუწიოს ამას, რამდენიც უნდა! შონბერგიც ამ თავისუფლების ამოწურვას ეძიებს, მან ახალი *მშვენიერების* ოქროს საბადოს მიაგნო შინაგანი აუცილებლობისკენ მიმავალ გზაზე. შონბერგის მუსიკას ახალ სამეფოში შევყავართ, სადაც მუსიკალური განცდები არა აკუსტიკური, არამედ *წმინდად სულიერია*. „მომავლის მუსიკა“ აქ იღებს სათავეს.

იდეალისტური იდეალების შემდეგ, *ფერწერაში* ფეხს იკიდებს მათი შემცვლელი იმპრესიონისტული მისწრაფებები, რომლებიც მათთვის დამახასიათებელი დოგმატური ფორმითა და წმინდა ნატურალისტური მიზნებით იმ ნეოიმპრესიონისტულ თეორიაში გვირგვინდება, იმავდროულად აბსტრაქტულსაც რომ ეპოტინება. ნეოიმპრესიონისტთა თეორიის მიხედვით (უნივერსალურ, სოლიდურ მეთოდად რომ მიიჩნევენ) ბუნების შემთხვევითი ნაგლეჯები კი არ უნდა დაფიქსირდეს ტილოზე, არამედ სრულყოფილი ბუნება, მთელი თავისი ბრწყინვალებითა და დიდებულებით.*

თითქმის იმავე დროს განეკუთვნება სრულიად სხვა წარმოშობის სამი მოვლენა:

1. როსეტი და მისი მოწაფე ბიორნ-ჯონსი მთელი რიგი მიმდევრებით, 2. ბიოკლინი, მისგან აღმოცენებული ფონ შტუკი და მისი მიმდევრები, 3. სეგანტინი, მასაც შეუფერებელი კუდივით მიჰყვებიან ფორმალური მიმბაძველები.

სწორედ ეს სამი სახელი იმიტომ შევარჩიეთ, რათა მხატვართა ძიებები დაგვეხასიათებინა არამატერიალურ სფეროში. როსეტი პრარაფაელიტებს მიუბრუნდა და ცდილობდა მათი აბსტრაქტული ფორმები გაეცოცხლებინა. ბიოკლინმა მითოლოგიურ და ზღაპრულ სამყაროს მიმართა, ოღონდ როსეტისგან განსხვავებით თავის აბსტრაქტულ ფიგურებს ძლიერად განვითარებულ მატერიალურ-სხეულებრივი ფორმებით გამოსახავდა. სეგანტინი, რომელიც ამ რიგში გარეგნულად ყველაზე უფრო მატერიალისტურად გამოიყურება, ხატავდა ბუნების მზა ფორმებს, რომელთაც ხანდახან უმცირეს დეტალებამდე ამუშავებდა (მაგ. მთაგრეხილებს, ქვებს, ცხოველებს ა.შ.), და მიუხედავად მოჩვენებითად მატერიალური ფორმისა, მუდამ იცოდა აბსტრაქტული ფიგურების შექმნა, რის გამოც ამ მხატვართაგან შინაგანად ალბათ ყველაზე უფრო არამატერიალისტური იყო.

ისინი გარეგანში შინაგანი შინაარსის მაძიებელნი იყვნენ.

მსგავსი ამოცანების გადასაჭრელად სულ სხვა გზას ირჩევს ფორმის ახალი კანონის მაძიებელი — სეზანი, გზას, რომელიც *წმინდა ფერწერულ საშუალებებთან* უფრო ახლოს დგას. მან უწყის, როგორ გაასულიეროს ჩაის უბრალო ფინჯანი, ან უფრო სწორედ ამოიცნოს ფინჯანის არსი. მას „nature morte“ იმ სიმაღლემდე აჰყავს, რომ გარეგნულად „მკვდარი“ საგნები შინაგან სიცოცხლს იძენენ. იგი ამ საგნებს ისეთივე აზრს ანიჭებს, როგორც ადამიანებს, რადგან ყველაფერში შინაგანი სიცოცხლის ჭვრეტის ნიჭი ჰქონდა მიმადლებული. იგი ფერით გამოხატულებას აძლევს მათ, რაც შინაგან ფერწერულ ხმოვანებას ქმნის, და იმ ფორმით ძერწავს, რომელიც აბსტრაქტულად მჟღერ, ჰარმონიის გამომასხივებელ, ხშირად კი მათემატიკურ ფორმულებამდე მაღლდება. ადამიანი, ვაშლი, თუნდაც ხე, უბრალოდ კი არ აისახება, არამედ ეს ყველაფერი სეზანის მიერ გამოიყენება შინაგანი ფერწერული ჟღერადობის მქონე საგნის

* „Die Musik“, X,2, გვ. 104. ამონარიდი „სწავლებიდან ჰარმონიის შესახებ” გამომცემლობა „Universal Edition”

*იხ. მაგ. პ. სინიაკი. „De Delacroix au Neo-impreeionisme“ (გერმანულად გამოსცა ალექს იუნკერის გამომცემლობამ, შარლოტენბურგი, 1910.).

შესაქმნელად, რასაც სურათი ეწოდება. და ბოლოს, ერთ-ერთი უდიდესი, უახლესი ფრანგი მხატვარი — მატისი, ასევე უწოდებს თავის ნამუშევრებს. იგი ხატავს „სურათებს“, და ამ „სურათებში“ ცდილობს „ღვთაებრივი“ გადმოსცეს.** ამის მისაღწევად მას სჭირდება საგანი (ადამიანი, ან სხვა რაიმე), როგორც *საწყისი წერტილი* და მხოლოდ ფერწერის კუთვნილი საშუალებები — ფერი და ფორმა. წმინდა პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით როგორც ფრანგსა, და რაც მთავარია, კოლორისტული ნიჭით დაჯილდოებულს, მატისს აზრობრივი სიმძიმის ცენტრი, დებიუსის მსგავსად, მთლიანად ფერზე გადააქვს. კარგა ხანს ისიც ვერ თავისუფლდებოდა ჩვეული „სილამაზის“ ჩარჩოებიდან: იმპრესიონიზმი სისხლში ჰქონდა გამჯდარი. მატისის სურათებს შორის შეხვდებით დიდი შინგანი სიცოცხლით გამორჩეულ, შინაგანი აუცილებლობის ძალით შექმნილ სურათებს, ასევე სხვა სურათებსაც, რომლებიც უმთავრესად გარეგანი იმპულსის შედეგად, გარეგანი მომხიბლაობის შედეგადაა შექმნილი (რა ხშირად გვახსენდება ამ დროს მანე!), და მხოლოდღა გარეგანი ცხოვრება გააჩნიათ. აქ ფერწერის სპეციფიურად ფრანგული, ნატიფი, გურმანული, წმინდა მელოდიურობით მჟღერი მშვენიერება ღრუბლებსზედა, გრილ სიმაღლემდეა აყვანილი.

ამგვარ სილამაზეს არასოდეს ექვემდებარება მეორე დიდი პარიზელი, ესპანელი პაბლო პიკასო. ნიადაგ თვითგამოხატვის წყურვილით ანთებული, იგი ხშირად დაუცხრომელი გატაცებით ეტანება ერთი გარეგანი საშუალებიდან მეორეს. და თუ ამ საშუალებათა შორის უფსკრულია, პიკასო ბრწყინვლე ნახტომს აკეთებს და აი, უკვე მეორე მხარეზე დგას, მისი ურიცხვი მიმდევრების გასაოგნებლად. ისინი აკი ფიქრობდნენ, რომ უკვე მისწვდნენ მას. ახლა კი ისევ დამქანცველი აღმა-დაღმა მოძრაობა უნდა დაიწყოს. ასე წარმოიშვა კუბიზმის ბოლო „ფრანგული“ მოძრაობა, რომელზედაც მეორე ნაწილში დაწვრილებით იქნება საუბარი. პიკასო ცდილობს რიცხვთა შეფარდებით მიაღწიოს კონსტრუქტიულობას. ბოლოდროინდელ ნამუშევრებში (1911) იგი ლოგიკური გზით მიდის მატერიალურის განადგურებამდე, მაგრამ არა სრული უარყოფით, არამედ ცალკეული ნაწილების გარკვეული დანაწევრებით და ამ ნაწილთა კონსტრუქტიული მიმობნევით სასურათე სიბრტყეზე. ამასთანავე, რაც ძალზე უცნაურია, თითქოს სურს შეინარჩუნოს მატერიალურობის შთაბეჭდილება. პიკასო უკან არ იხევს არავითარი საშუალების გამოყენების წინ, და თუ მას ფერი წმინდა გრაფიკული ფორმის გადმოცემისას ხელს უშლის, მაშინვე მოისვრის ბორტს იქით და სურათს ყავისფრითა და თეთრი ფერით ხატავს. სწორედ ეს პრობლემები წარმოადგენს მის ძირითად ძალას. მატისი — ფერი. პიკასო — ფორმა. ორი დიდებული გზამკვლევი დიადი მიზნისაკენ.

კომენტარები

1. ვებერი, კარლ ფონ (1786-1826) — გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი
2. შტრაუსი, რიჰარდ (1864-1949) — გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი
3. ვირხოვი, რუდოლფ (1821-1902) — გერმანელი მეცნიერი, პათანატომი
4. ბლავატსკაია, ელენა პ. (1831-1891) — ოკულტისტი, სპირიტუალისტი, ფილოსოფოსი
5. ცოლნერი, კარლ ფრიდრიხ (1834-1882) — გერმანელი ფიზიკოსი, ასტრონომი
6. ვაგნერი, ვლადიმერ ა. (1849-1934) — რუსი ზოოფსიქოლოგი
7. ბუტლეროვი, ალექსანდრე მ. (1828-1886) — რუსი ქიმიკოსი
8. კრუკსი, უილიამ (1832-1919) — ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი
9. ფლამარიონი, კამილ (1842-1925) — ფრანგი ასტრონომი
10. ლომბროზო, ჩეზარე (1835— 1909) — იტალიელი ექიმი-ფსიქიატრი
11. პალადინო ეუსაპია (1854-1918) — იტალიელი მედიუმი
12. მესმერი, ფრიდრიხ ანტონ (1734-1815)— ავსტრიელი ებრაელი, ექიმი
13. შტაინერი, რუდოლფ (1861-1925)—ავსტრიელი ფილოსოფოსი, მისტიკოსი, ეზოთერიკი
14. მეტერლინკი, მორის (1862-1949) — ბელგიელი პოეტი, დრამატურგი, ფილოსოფოსი
15. კუბინი, ალფრედ (1877-1959) — ავსტრიელი მხატვარი, მწერალი

**იხ. მისი სტატია „Kunst und Künstler“, 1909 წ. VIII

16. პო, ედგარ ალან (1809-1849) — ამერიკელი მწერალი, პოეტი
17. დებიუსი, კლოდ (1862-1918) — ცნობილი ფრანგი კომპოზიტორი
18. ვაგნერი, რიჰარდ (1813-1883) — გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორი
19. მუსორგსკი, მოდესტ პ. (1839-1881) — ცნობილი რუსი კომპოზიტორი
20. სკრიაბინი, ალექსანდრ ნ. (1872-1915) — ცნობილი რუსი კომპოზიტორი, სიმბოლისტი
21. შონბერგი, არნოლდ (1874-1951) — ცნობილი ავსტრიელი კომპოსიტორი, პედაგოგი
22. როსეტი, დანტე გაბრიელ (1828-1882) — ინგლისელი მხატვარი, პოეტი, მთარგმნელი
23. ბიორნ-ჯონსი, ედვარდ კოლი (1833-1898) — ინგლისელი ფერმწერი
24. ბიოკლინი, არნოლდ (1827-1901) — შვეიცარელი ფერმწერი, გრაფიკოსი, სკულპტორი
25. შტუკი, ფრანც ფონ (1863-1928) — გერმანელი ფერმწერი და სკულპტორი
26. სეზანი, პოლ (1839-1906) — გამოჩენილი ფრანგი მხატვარი, პოსტიმპრესიონისტი
27. სინიაკი, პოლ (1863-1935) — ცნობილი ფრანგი მხატვარი, პოსტიმპრესიონისტი
28. მატისი, ანრი (1869-1954) — გამოჩენილი ფრანგი მხატვარი, მოქანდაკე
29. პიკასო, პაბლო (1881-1973) — გაჩენილი ესპანელი მხატვარი, მოქანდაკე, გრაფიკოსი

გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო
ლულუ დადიანმა

შოთა იათაშვილი

მგოსანი პოლიტიკოსები

მეინსტრიმის შევსება და გადახალისება მუდამ მარგინალიებით ხდება. თუმცა არსებობს ისეთი მარგინალიები, მუდამ მარგინალიებად რომ რჩება და მეინსტრიმში არასოდეს გადადის. ასეთივე მიმართება უნდა იყოს, ცხადია, პოეტურ მეინსტრიმსა და პოეტურ მარგინალიებს შორისაც. არის რაღაც უცნაური ზონები, სადაც ასევე იწერება ლექსი, მაგრამ თავისი უკიდურესად არაადეკვატური კანონებით, სულ სხვა ნებითა და ზრახვით, და ეს ლექსიც რაღაც გაურკვეველ მოვლენას წარმოადგენს პოეტურ სამყაროში, წარმოადგენს და შესაძლოა, ასევე დარჩეს უკუნითი უკუნისამდე, თუ ის საბოლოო სუსტი კვალიც არ გაქრა, რაც მას თავის ძნელადმისაგნებ ალაგს უნარჩუნებდა ამ უკიდეგანო პოეტურ სივრცეში.

საერთოდ, ვინ არის პოეტი? ან უკეთესი იქნება, ასე დაისვას კითხვა: ვინ წერს ლექსს? პასუხი თითქოს მარტივია: ლექსი ვის არ დაუწერია, თუნდაც ერთი-ორი ბავშვობაში... კი, ეს გასაგებია, მაგრამ მხოლოდ ბავშვური მცდელობებით არ განისაზღვრება ლექსისმთხზველთა ფართო რიგები. ლექსისმთხზველი სრულიად მოულოდნელი ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს. მაგალითად, „მგოსანთა“ ერთ-ერთ ასეთ მოულოდნელ რაზმს პოლიტიკოსები წარმოადგენენ, და ხშირად სასტიკი, სისხლისმსმელი პოლიტიკოსები, დიქტატორები, ტირანები, კაცობრიობის დამაქცევარნი. ამ ნათქვამზე, დარწმუნებული ვარ, უმრავლესობას „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ და სტალინის კიდევ რამდენიმე ლექსი გაახსენდება, მაგრამ პოლიტიკოსთა პოეტობა არც ისე იშვიათი რამაა, აუცილებლად რომ სტალინი გვახსენდებოდეს.

აქ საქმე უფრო ღრმად და რთულადაა. დავიწყოთ თუნდაც საბჭოთა პოლიტიკოსებით, თითქოს ყველაზე ნაკლებად პოეტურნი რომ უნდა ყოფილიყვნენ ამ სამყაროში. ვინ არ წერდა ლექსებს: აგერ ნიკოლაი ბუხარინი, ბალახზე და „ბალახის სამყაროზე“ რომ წერს: კალიებზე, მუხლუხოებზე, ხოჭოებზე, ფუტკრებზე, მათ „კომუნალურ“, საერთო, ჰარმონიულ თანაარსებობაზე; აგერ, ლეონიდ ბრეჟნევი, მაიაკოვსკის სტილში და მისეული შემართებით რომ დაუწერია ლექსი 1927 წელს, 21 წლის ასაკში; აგერ იური ანდროპოვი, ამ ცხოვრების წარმავალობაზე, სიკვდილის გარდაუვალობაზე და იმ წმინდა ლეთეზე რომ წერს, რომელიც მის შესახებ ხსოვნას წაშლის... აგერ პოსტსაბჭოთა რუსეთის პოლიტიკოსებიც: ევგენი პრიმაკოვი, ექიმს რომ ეუბნება, საქმე მედიცინაში კი არაა, არამედ იმაში, რომ ლურჯი თვალები გაქვსო და ეს ლურჯი თვალები რუხიცაა და ოდნავ მწვანეც, ფერების მთელი გამაოო... და დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, კრეტინული პანეგირიკი რომ მიუძღვნია თავისი МГИМО-სთვის (მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტისთვის), რომელმაც გამოზარდა და დიდ კაცად აქცია...

საინტერესო ფენომენია ანატოლი ლუკიანოვი, „პერესტროიკის“ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკოსი, 1988-1991 წლებში საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. 1991 წლის აგვისტოში, გადატრიალების შემდეგ მას შესთავაზეს, სათავეში ჩადგომოდა ГКЧП-ს, რაზეც მან უარი განაცხადა და დააპატიმრეს. მალე, სექტემბერში გაათავისუფლეს, თუმცა ეს პატარა მონაკვეთიც საკმარისი აღმოჩნდა პოეტური კრებულისათვის, სახელწოდებით „ლექსები ციხიდან“. საჭიროა აღინიშნოს, რომ მას ციხეში არ დაუწყია ლექსების წერა. ის ოსენევის ფსევდონიმით წერდა, პირველი კრებული მანამდე, 1990 წელს გამოსცა და „ციხის ლექსების“ შემდგომაც არ შეუწყვეტია წერა. „პროტესტის სიმღერა“ — აი, ასეთი ხმამაღალი, რევილუციური სათაურის კრებულიც კი აქვს გამოშვებული. და რაც ყველაზე მთავარია, ის მართლა მთელი სულითა და ხორცით პოეზიით დაინტერესებული ადამიანია. პარტიული საქმიანობის პარალელურად, ლუკიანოვი 60-იანი წლებიდან მოყოლებული აგროვებდა რუსი პოეტების აუდიოჩანაწერებს: ლიტერატორთა ფონოტეკებიდან თუ ვინილის დისკებიდან, აკეთებდა საკუთარ აუდიოჩანაწერებსაც კი და მთელი ეს უნიკალური აუდიომასალა 2002 წელს ათ კომპაქტ-დისკად გამოსცა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, დარწმუნებული ვარ, ქართველები მაინც ვიტყვით, რუსებს მაგ

საქმეში არ ჩამოვრჩებით და ბევრადაც ვჯობივართო: ისტორიულად, ჩვენი მეფეები ხომ სულ პოეტები იყვნენო (თუმცა მეფე, მაინც ვფიქრობ, მაინც არ იყო მაშინ იმ ტიპის პოლიტიკოსი, რა აზრსაც ჩვენ ახლა მასში ვდებთ, ის მაინც სხვა ფენომენი იყო); მერე სტალინი ხომ არის და არისო, აქეთ კიდევ, ჩვენი პირველი პრეზიდენტი, — პოეტი, მეიგავე, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, — ნუ, ერთი სიტყვით, სერიოზული ლიტერატორი იყო და არა ვინმე ლავროვის მსგავსი, თავისი ინსტიტუტისადმი მიძღვნილი ოდა რომ დაჯღაბნა ერთხელ შემთხვევითო... პირველი პრეზიდენტის თანამებრძოლი მერაბ კოსტავაც ხომ პოეტი იყოო; აი, მეორე პრეზიდენტს რაც შეეხება, თავისი პოეტური შემოქმედება დღის სინათლეზე ჯერ არ გამოუტანია, მაგრამ ამას წინათ ზურაბ ქარუმიძემ მითხრა, ედუარდსაც აქვს ლექსები დაწერილი, უშუალოდ მისგანა მაქვს მოსმენილი, ერთხელ წაგვიკითხაო... მესამე პრეზიდენტისა კი რა გითხრათ, პოეზიასთან ძალიან შემომწყრალი ადამიანის შეხედულებას ტოვებს, ციტირების ვნება კი აქვს, მაგრამ ერთმანეთში ერევა ხოლმე ავტორები და ციტატები, თუმცა ვინ იცის, იქნებ ისიც ჯღაბნიდა ან ჯღაბნის რაღაცეებს ჩუმ-ჩუმად, ან სულაც პრეზიდენტობის ტვირთს რომ მოიშორებს ან მოაშორებენ, მერე გაექცეს კალმისკენ ხელი?.. პრეზიდენტები პრეზიდენტებად და არ შეიძლება სოლიკო ხაბეიშვილიც არ გავიხსენოთ, მსგავსად ანატოლი ლუკიანოვისა, ციხეში რომ წერდა ლექსებს. გამომცემლობა „მერანმა“ 1991 წელს დაბეჭდა მისი კრებული სათაურით „ციხის რვეული“ და არის იქ ტკივილიანი, გულში მოსახვედრი ლექსები...

მოდიან შველად და თვალებს მთხრიან,
მეფერებიან, თითქოს მახრჩობენ,
თითქოს მათბობენ და ტანზე მხდიან,
ნერვებზე ჩექმით დანავარდობენ.

ლამის ვიყვირო: მომცილდით, წადით,
არა მინდა რა თქვენი, ვერაგნო,
ან გუშინ შანთით გულს რატომ მწვავდით,
ან ახლა რისთვის ჯაჭვისპერანგობთ...

ერთი სიტყვით, ქართველებს ჩვენი პოლიტიკოსები გვყავს პარნასზე, როგორც რუსებს, ამერიკელებს, გერმანელებს, სხვებს...

მოდით ამერიკელების პრეზიდენტები ვნახოთ: ჯიმი კარტერი — თავის ლექსში ღატაკ, მშრომელ ლიბერიელებზე რომ წუხს, რომელთაც ოფლი ისე სდით, როგორც რეზინის ხეებს, და ამ რეზინის ხეების პლანტაციაში არ შენდება ეკლესიები, არ იდგმება ტუალეტები, საფლავებსაც კი არ თხრიან მათთვის, ვინც კოღოების ნაკბენებისგან კვდება... უმცროსი ჯორჯ ბუში, თითქოს ასეთი გულბოროტი და ადამიანური გრძნობებისაგან დაცლილი, ასე აქტუალური ამ ბოლო პერიოდის ქართულ პოლიტიკურ-პოეტურ კონტექსტში, მისი ქუჩა დიდი ამერიკელი პოეტის სახელით რომ უნდათ ჩაანაცვლონ, არადა თურმე არც ისაა ასე შორს პოეზიისაგან, მასაც უწერია ლექსები, ის კი არადა, თქვენ წარმოიდგინეთ, გაწბილებულ სიყვარულზე, რაღაცნაირად მტკივნეულიც...

„ვარდები უფრო წითელია, მე კი უფრო დარდიანი ვარ,
როდესაც ვხედავ, მომხიბვლელი ფრანგი ბიჭი თუ როგორ გკოცნის.“

ახალი პრეზიდენტი ბარაკ ობამა კი თავის იმ ლექსში, რომელსაც შემთხვევით გადავეყარე, მოხუცი ბიძის სევდიან პორტრეტს ხატავს.

გახსოვთ ერაყის ომის პერიოდის ამერიკის თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი? შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკოსთა შორის ის შემდგარი პოეტია და მის პოეზიაზე რეცენზიებიც კი იწერება. აი, ციტატა მავანი კრიტიკოსის, ჰართ სილის ერთი რეცენზიიდან: „მისი პოეზია, მისთვის დამახასიათებელი სალაპარაკო ენის ტეხილი რიტმით, ყველაზე მეტად უილიამ კარლოს უილიამსის პოეზიას წააგავს, თუმცა ზოგიერთმა გამჭრიახმა მკითხველმა შეიძლება შენიშნოს, რომ რამსფელდის სწრაფვა მოულოდნელი ყოფითი წამოძახებებისადმი, სტილ-

ისტიკით მას პოეტ ფრენკ ო'ჰარასთან აახლოვებს". ასე: არც მეტი და არც ნაკლები, უილიამ კარლოს უილიამსი და ფრენკ ო'ჰარა...

ახლა გერმანიაში გადავინაცვლოთ. ჰიტლერი რომ მხატვარი იყო, ყველამ იცის, მაგრამ თურმე ლექსებიც უწერია. სხვა რა უნდა დაეწერა, თუ არა ბუნდოვანი, მისტიციზმით (თუ ფსევ-დომისტიციზმით) გაჟღენთილი ლექსები:

„მთვარე თავისი მაგიური ჯადოქრობით საწმისებს ხატავს.
რაც ჭუჭყით იყო სავსე მთელი დღის განმავლობაში,
მაგიური ფორმულის წინ არარად იქცა.
აი, ასე გამოეყო ყალბი ჭეშმარიტს"

ლექსი მის მარჯვენა ხელს, გერინგსაც შეუთხზავს, ოღონდ ეს უკვე სატრფიალო პოეზიაა, ავტორს ღამის სიბნელეში აეროპლანის მიერ დატოვებული მწვანე შუქი მიჯნურის თვალებს რომ აგონებს... რაკი ფაშისტების პოეზიას შევეხეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ბენიტო მუსო-ლინი სონეტის ფორმას მიმართავდა და იტალიელისათვის ეს ალბათ ძალიან ბუნებრივი იყო.

როგორც შევატყვე, აღმოსავლეთში პოლიტიკოსების პოეზია გაცილებით ადეკვატურია ხოლმე მათი იდეოლოგიისა და, როგორც წესი, იდეოლოგიის უნიჭო დანამატს წარმოადგენს. ვთქვათ, თურქმენბაშის „დაე, იხაროს ჩემმა თურქმენმა ხალხმა!", ან სადამ ჰუსეინის პოეტური მოწოდება „ერაყო, იყავ გულადი და იყავ მოწყალე!" (სხვათაშორის, სადამს რომანიც კი აქვს დაწერილი, მის რუსულ თარგმანს ადრე „ლიტერატურულ კაფეშიც" გადავაწყდი, მაგრამ და-მენანა ფულის დახარჯვა, რაღაცნაირად ვერ ვიწამე სადამის ლიტერატორობისა, მერე ლაშა ბუღაძეს უყიდია თუ ათხოვეს, რაკი წიგნის მიმოხილვებს აკეთებდა ტელევიზიით. როგორც მახსოვს, მგონი ასე მითხრა, რაღაც სულელური პოლიტიკური ზღაპარი იყო, აღმოსავლურად ტკბილიო...); ანდა მაო ძე დუნის ლექსი ჩინელ მილიციელ გოგონებზე, აბრეშუმს რომ იწუნე-ბენ და უნიფორმას იცვამენ, ხელში „ვინტოვკები" რომ უჭირავთ და ასე ლამაზები რომ არიან პარადზე... ისე ამ იდეოლოგიის მიღმა ბებრული გარყვნილი ფანტაზიაც იკითხება, თუმცა კი იგივე მაო მთებზე რომ იწყებს ლექსების წერას (ჰიმალაი, ტიან-შანი...), პოლიტიკაც ავიწყდება და ეროტიული ზრახვებიც, და ნამდვილ სულით ამაღლებულ ჩინელს ემსგავსება!.. შორეულ 1961 წელს საბჭოეთის დიდი მეგობრის ლექსები ხუტა ბერულავას გადმოუქართულებია და მერე გამომცემლობა „ნაკადულს" პაწაწინა წიგნადაც კი გამოუცია სათაურით „თვრამეტი ლექსი".

თუკი მაოს პოეზია ქართველი მკითხველისთვის დავიწყების ბურუსშია ჩანთქმული, სამაგი-ეროდ აიათოლა ჰომეინის ლექსები ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანების წყალობით მან შე-დარებით უკეთ იცის. ჰომეინის ლექსების კრებული „სიყვარულის ღვინო" 2005 წელს გამოიცა და მასში მაოს კრებულზე სულ ორად ორი ლექსით მეტია შესული, თუმცა კი განსხვავება ამ ორ მგოსან პოლიტიკოსს შორის რამდენიმე ლექსის წაკითხვისთანავე თვალსაჩინოდ იკვეთე-ბა. აიათოლა ჰომეინი ამ შემთხვევაში ნაკლებად ცდილობს პოეზია იდეოლოგიურ დანამატად გამოიყენოს. არა, მას აბსოლუტურად სხვა სწრაფვა ამოძრავებს, მას სურს დიდი სპარსული პოეზიის ღირსეული გამგრძელებელი იყოს, დიდი სპარსი პოეტების კოჰორტაში ჩაეწეროს... სუფისტების ტრადიციას მისდიოს... აი, ერთ-ერთი მისი ლექსი:

მერიქიფევ გაგვიხსენი ღვინის მარნის კარი,
ცრუ ასკეტურ ანა-ბანას უცებ ხელი ჰკარი.

ჩემს სავალ გზას დააფინე შენი ზილფის ჩრდილი,
მიხსენ რჯულის დოგმებისგან, გვედრებ, მუხლზე მდგარი.

თასის წკრიალს ანაცვალე დიდება და ტახტი,
ქვეყნის ოღრო-ჩოღროები, მართალი თუ მცდარი.

მე ყარიბი — ქააბას და ჰიჯაზს მაზიარე,
სატრფოს ახსენ პირბადე და დამიყენე დარი.

ეს ხელადა კვლავ ამივსე მაგ უწმინდეს ღვინით,
სატრფოსაკენ გამალებით ვლახო მთა და ბარი.

სატრფოსაგან განშორებულს და უსასოდ შთენილს
მიწყალობე ეგ ღვინო და გამაცოცხლე მკვდარი.

ერთი სიტყვით, ამ პატარა კალეიდოსკოპიდანაც კი ჩანს, რომ ლექსისმთხზველი პოლიტიკოსი არცთუ იშვიათი მოვლენაა და ღირს იმაზე დაფიქრება, თუ რა აწერინებდა ამ ხალხს ლექსს, ღირს დაფიქრება იმაზე, თუ საერთოდ რა ფენომენს წარმოადგენს მათ მიერ შექმნილი „პოეზია“, ანუ უნდა ვიხმაროთ აქ ბრჭყალები თუ ზოგ შემთხვევაში მაინც მოვხსნათ და მათი ტექსტები რეალურად აღვიქვათ პოეზიის ნაწილად?

თუ ხალხის, საზოგადოების ცნობიერებაზე ვილაპარაკებთ, აღმოსავლურ და ავტორიტარულ სახელმწიფოებში ეს პოეზია ნამდვილად არსებობს და აქტუალურიც კია. თუნდაც საქართველოში: დღემდე პატარა ბიჭებსა და გოგონებს სტალინის ლექსებს აზუთხვინებენ და ოჯახს სტუმარი რომ ეწვევა, დიდი სიამაყით აკითხებენ ხოლმე ბავშვებს ამ ლექსებს მის წინაშე. აი, „მუმლი მუხასაო“ რომ მეფის დაწერილი ტექსტია, ეს კი შეიძლება მათ დიდ ნაწილს არც მოეხსენებოდეს და ცხადია, ვერც ამითი იამაყებენ. დარწმუნებული ვარ, კოლექტიური მეხსიერების არანაკლებ შთამბეჭდავი გამოვლინებებია სადამ ჰუსეინის, აიათოლა ჰომეინის თუ თურქმენბაშის შემოქმედება შესაბამისი ქვეყნების მოსახლეობებისათვის.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ გავიხსენებ, რომ თურქმენბაშის პოეზიამ რამდენიმე წლის წინ რუსულ ლიტერატურულ სივრცეში დიდი სკანდალი გამოიწვია. კაი დიდი (თუ უზარმაზარი) ჰონორარის ფასად მისი „შედევრები“ ჟურნალ „ზნამიას“ მთავარი რედაქტორის, სერგეი ჩუპრინინის ხელმძღვანელობით რუსულ ენაზე თარგმნეს ცნობილმა პოეტებმა: ბროდსკის ძველმა მეგობარმა ევგენი რეინმა (სხვათაშორის, ძალიან მიყვარს მისი პოეზია, განსაკუთრებით პოემები), მიხეილ სინელნიკოვმა (მას ახალგაზრდობიდან მოყოლებული, ძალიან ბევრი ქართველი პოეტი ყავს თარგმნილი და ამ საქმის უბადლო ოსტატია) და იგორ შკლიარევსკიმ (60-იანელების ერთ-ერთი გამორჩეული ავტორია). როგორც კი ეს იდეოლოგიური სწორხაზოვანი უნიჭობა ამ ნიჭიერი ხალხის მიერ ითარგმნა, მაშინვე გაჩნდა მწარე პასკვილები რუსულ ლიტერატურულ პრესაში. ერთ-ერთი ასეთი მწარე პასკვილის ავტორი იყო ცნობილი პოეტი ტატიანა ბეკი, რომელმაც ცოტა ხანში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. აგორდა ჭორი (ტყუილი, მართალი თუ ასე თუ ისე გაბერილი, ვერ გეტყვით), რომ მისი თვითმკვლელობა გამოიწვია იმან, რომ ამ პასკვილის დაწერის შემდეგ თურქმენბაშის მთარგმნელები ტატიანა ბეკს სახლში ურეკავდნენ, თათხავდნენ, ემუქრებოდნენ და ა. შ. ამან საშინელი რისხვა დაატეხა თავზე რეინს, სინელნიკოვს და შკლიარევსკის. თუ რა კონდიციას მიაღწია ამ ამბის გამო პოეტთა ურთიერთდაპირისპირებამ, მე ეს სამი წლის წინ ჩემი თვალით ვნახე საქართველოში გამართულ რუსულ-ქართულ პოეტურ ფესტივალზე, რომელზეც სინელნიკოვიც იყო მიწვეული (აქვე ვიტყვი, რომ მე იგი 2003 წელს გავიცანი პერედელკინოში და კარგი შთაბეჭდილებაც დამიტოვა). პირველივე დღეს სინელნიკოვის ფესტივალზე გამოჩენამ არეულობა გამოიწვია. პოეტურ ჟურნალ „არიონის“ მთავარი რედაქტორი, ალექსეი ალიოხინი და სინელნიკოვი ფიზიკურადაც კი გაიქაჩნენ ერთმანეთზე. ამ დროს ყველაზე ახლოს მე აღმოვჩნდი და მათ შორის ჩადგომამ და მათმა გაშველებამ მომიწია. ამის მერეც, მთელი ფესტივალის განმავლობაში მონაწილეთა ერთი ფრთა სინელნიკოვს პროტესტის ნიშნად ხმასაც კი არ სცემდა.

რატომ გავიხსენე ახლა მე მთელი ეს ისტორია? იმის საჩვენებლად, დიქტატორის ნამოღვაწარის თითქოსდა ყველაზე უწყინარ გამოვლინებასთან — მის პოეზიასთან — შეხებამაც კი, თუ როგორი კატაკლიზმები შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების არამარტო ფართო ფენებში, არამედ მის კულტურულ, ელიტარულ ნაწილშიც. პოლიტიკოსის მგოსნობა — ეს რაღაც ისეთი ფენომენია, რომელიც, კარგად თუ ჩავუკვირდებით, სულაც არაა არაადეკვატური პოლიტიკოსის სტატუსისა, მისი სიღრმისეული არსისა. ის დემონურობა, რომელიც პოლიტიკოსს საკუთარი პოლიტიკური ამბიციების განსახორციელებლად სჭირდება, ის ჰიპერბოლურობითა და მეტაფორულობით ნაკვები ქარიზმატული მონაცემები ორატორობისა, რაც ამ ამბიციების რეალიზაციაში ხშირად ლომის წილს თამაშობს, ანუ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი „პოლი-

ტიკის პოეტიკა“ თავის თავში გულისხმობს იმას, რომ პოლიტიკოსს აქვს პოტენციალი, წეროს ლექსი, ფლობდეს პოეტურ ფორმას, როგორც რაღაც მისეულს. სხვა საკითხია, რომ ეს „რაღაც მისეული“, როგორც წესი, სუროგატია, როგორც სტალინი იყო აკაკის სუროგატი, ბრეჟნევი — მაიაკოვსკის, ანდა რამსფელდი — უილიამ კარლოს უილიამსის თუ ფრენკ ო’ჰარასი. ეს სუროგატობა პოლიტიკოსს ხელს არ უშლის, ის მისთვის ერთ-ერთი შესანიშნავი მასალაა საკუთარი „პოლიტპოეტიკის“ ასაწყობად. ანუ ყოველივე ეს იდეოლოგიის შესათხზველადაა საჭირო, რათა ამ შეთხზულ იდეოლოგიას ზემოქმედების მეტი ძალა ჰქონდეს.

თუკი „მგოსანი“ პოლიტიკოსების ქრონოლოგიური ნიშნით დიფერენცირებას მოვახდენთ, არიან ისეთნი, ლექსებით რომ დაიწყეს და პოლიტიკით დაამთავრეს, და არიან ისეთნიც, პოლიტიკოსობის ჟამს რომ გაეხსნათ ლექსის წერის „ნიჭი“. თუმცა კი ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამას დიდი მნიშვნელობა არც უნდა ჰქონდეს. ადრე თუ გვიან, ნებისმიერ შემთხვევაში პოეზია საკუთარი პოლიტიკური ენის ფორმირებისთვის და მის დასახვეწად გამოიყენება.

თუმცა ალბათ მოცემული მოდელი აბსოლუტური მაინც არ არის და ზოგ შემთხვევაში შეიძლება უბრალო შემთხვევითობასთან გვქონდეს საქმე, მართლა დროებით გატაცებასთან, ან სულაც ყველაფერი ძალიან ბანალურად აიხსნას და ლექსის წერის სურვილი ბოროტებაში ჩაძირული სულის სასოწარკვეთილ გაბრძოლებად მოინათლოს. მაგრამ ეს ალბათ მაშინ, თუ პოეზია აპოლონურია, ჰარმონიულია, ანგელოზურია... მაგრამ თუ პოეზია დიონისურია? დისჰარმონიულია? დემონურია? „გალაკტიონში არის დემონი, ჩემში კი ალბათ ანგელოზია“. ეს ხომ არაა ახალი აზრი, რომ დიდი პოეზიის შექმნას რაღაც დემონური ან ანგელოზური სჭირდება.

ანუ არსებობს დემონური ძალა, რომელიც თავისი უკეთესი, „პოზიტიური“ ენერგეტიკით პოეზიას ქმნის, ხოლო უარესი, „ნეგატიური“ ენერგეტიკით — დიქტატურულ, ტოტალიტარულ, ავტორიტარულ პოლიტიკას. მაგრამ ორივე დემონური ძალაა და სწორედ ეს აახლოვებს პოლიტიკასა და პოეზიას ერთმანეთთან, ეს აწერინებს პოლიტიკოსებს ლექსებს, ეს რთავს დამღუპველ პოლიტიკურ ინსინუაციებში პოეტებს... ამიტომაა, რომ პოლიტიკოსები ყველაზე მეტად ცდილობენ პოეტები დაიყენონ გვერდით და თუ ეს არ გამოსდით, ყველაზე მეტად მათ ებრძვიან... ამიტომაა, ასეთ ქვეყნებში პოლიტიკოსი და პოეტი რომ არის ყველაზე მაღალი რანგის ტრიბუნი...

დაბოლოს: რითიც დავიწყეთ: იმითი, რომ პოლიტიკოსების პოეზია ეს პოეზიის ის მარგინალური სფეროა, რომელიც მეინსტრიმში ვერასოდეს გადავა. აქ მე ჭეშმარიტი პოეზიის მეინსტრიმი ვიგულისხმე. დიახ, ჭეშმარიტ პოეზიას თავისი ისტორია აქვს და საკუთარი წესკანონებით იწერება, ამ პოეზიაში პოლიტიკოსების ეს პოეზია ვერასოდეს შევა, მაგრამ სამწუხაროდ, პოლიტიკის მეინსტრიმში მუდამ იქნება პოეზია, როგორც მისი გამართულად მუშაობის ქმედითი იარაღი...

ოქტაი ქაზუმოვი

ჯერ სულმთლად არ დაბნელებულა

(სალიმ ბაბულაოღლის პოეზიის შესახებ)

სალიმ ბაბულაოღლის პოეზია — ეს არის ფიქრი და განსჯა საკუთარ თავთან, ეს არის ბჭობა, ჩაფიქრება ადამიანურზე. ამიტომაც მის ლექსებში ჩვენ ვერ აღმოვაჩენთ თანამედროვეობისთვის დამახასიათებელ, მოძალებულ გმობას, უარმყოფლობას, ბრაზს და მითუმეტეს ბილწსიტყვაობას, ვითომდა უმსგავსოებებისადმი საკუთარი დამოკიდებულების მკაცრ გამოვლინებას, პირიქით, სალიმ ბაბულაოღლის ლექსებიდან გულჩვილობა, შემწყნარებლობა, სისადავე და შემგონებლობა გამოსჭვივის, რომელიც არასოდეს გადადის პათეტიკაში. მისი ლირიკული პერსონაჟები — მეტად ფაქიზნი და სათუთნი — ცრემლიანი ღიმილით გველაპარაკებიან, გვიყვებიან თავიანთ სათქმელს — ზოგს პირდაპირ, ზოგს შეფარვით, ზოგსაც შეპარვით. მას ძალუძს სრულიად ჩვეულებრივი სიტყვებით ისე მედინად „ააგოს“ ლექსი-სათქმელი, რომ ოდას გახსენებდეს თავისი უბრალოებითა და ამავდროულად ამაღლებულობით. მისი ლექსები ტკივილად ნაქონიოების, ტკივილად ნათანიების აღმოხდომაა და საინტერესოა, რა სტკივათ ამ პერსონაჟებს? — ყველაფერი ის, რაც ადამიანს ქმნის ადამიანად. უპირველესად კი სინდისი. დიახ, სინდისი კი არ აწუხებთ, არამედ სტკივათ; კი არ სტანჯავთ, არამედ სტკივათ და ეს ტკივილიც რაღაც სინდისის დამამძიმებელი ქმედებით კი არ არის ნაკვები, არამედ მარად თანმდევია, შინაგანი ხმაა, რომლის მოკვდინებაც კაცს მოსიარულე გვამად აქცევს ანთუ რობოტად, ადამიან-მანქანად.

1. ჯერ სულმთლად არ დაბნელებულა
მთვარე, როგორც ნესვის ნაჭერი ციურ სუფრაზე
მრავლდება ზღვის ანარეკლებით.
მას, ვინც პლაჟიდან სახლისაკენ მიიჩქარის
ეს ნადიმი თავისკენ დრეკს და უხსნის მადას.
ჭრიალებენ, ხმაურობენ უსასრულო ტალღები და
ცდილობენ რაღაც ჩააგონონ ზღვისპირა ქვიშებს,
ხოლო შემდეგ რეცხავენ და აბათილებენ.
აქ იწყება ზღვა თუ სრულდება?
ნეტა საიდან ამხელა ცოდნა უბრალო მოკვდავს?

---

7. ჯერ სულმთლად არ დაბნელებულა
ბუზებმა კარგად მოილხინეს ნაგავსაყრელზე.
თუმც ვერ გაიგებ, რატომ ბზუიან —
იმიტომ, რომ ხალხი ასეთი გულუხვია,
თუ იმიტომ, რომ არის ფეთხუმი?
ნეტა საიდან ამხელა ცოდნა უბრალო მოკვდავს?
გილავარი ძლიერდება, ტირიფებს ღუნავს,
მეზობლების ურთიერთლანძღვა სწრაფად მიაქვს
თითოეულ ადრესატამდე.
ძაღლები მერვე ნოტზე ყმუიან? და თუ ყმუიან, რაა მიზეზი?
ნეტა საიდან ამხელა ცოდნა უბრალო მოკვდავს?

იგი არ ცდილობს მოსწრებული სიტყვით დაგვამახსოვრებინოს თავი, გაგვაკვირვოს, პირიქით, აქეთ გვიზიარებს თავის გაოცებას ***„ნეტა საიდან ამხელა ცოდნა უბრალო მოკვდავსო“*** და მართლაც, პლაჟიდან სახლისკენ მიმჩქარ პიროვნებას ხომ მთვარე დრეკს თავისთან და ***„უხსნის მადას“***, მადას უჩვეულო ფიქრისა, განსჯისა და აჰა, ისიც ასე სჯის:

2. „მეთევზეთა გოგო-ბიჭები, სანაპიროზე მოთამაშენი,
სველი ქვიშისაგან თევზებს ძერწავენ, ახალ ზღვას ქმნიან.
ზღვისპირიდან ორ ნაბიჯში ამის კეთება მხოლოდ და
მხოლოდ ბავშვებსა ძალუძთ.
დედამიწაზე სიტყვის გარდა ყველაფერი ხრწნადია, თუმცა
თითქოსდა ჯიბრზე
ისიც მუდამ იმალება მდუმარებაში.“

პოეტისათვის ბუნებაც, მისი პეიზაჟიც, საგნებიც მინიშნებებია და იგი ჩვენთან ერთად ცდილობს ამ ყველაფრისთვის იდუმალების დამღის ახსნას. ფიქრები მთვარის შუქზე, მით უმეტეს მდინარესთან, რუსთან, ტბასთან და ამ შემთხვევაში ზღვასთან კარგად ნაცნობი, პოეზიაში მრავლად გამოყენებული ხატია. მაშ, რითაა საინტერესო სალიმ ბაბულაოღლის მიერ მისი მოხმობა, რითია განსხვავებული? ვფიქრობ იმით, რომ იგი შეფასებას კი არ ახდენს კაცობრიობის წარსულისა თუ მომავლისა (რაც რომანტიკოსებს ახასიათებთ და რაც მეტად ძვირფასია ჩვენთვის), არამედ ახლანდელობას, ამწუთოობას ასურათოვანებს, დანახულ-აღქმულის სისწრაფისდა პროპორციულად აღგვიწერს ხდომილებებს. მაგალითად:

„ჯერ სულმთლად არ დაბნელებულა,
მანქანისგან გატანილი და გზისპირას მოსროლილი ძაღლის სხეული
სიკვდილის საკვოიაჟიდან გადმოვარდნილი ნივთივითაა“

(თარგმანი შოთა იათაშვილის)

და აქედან ცხადი ხდება, რომ თურმე სიკვდილსაც ეჩქარება, რაკი „საკვოიაჟიდან“ ძაღლის სხეული გადმოვარდნია და ამ ყველაფერს ლექსის ლირიკული გმირი უსწრებს თვალს და მყისვე შემოაქვს დიალოგში საკუთარ თავთან.

„ნეტა საიდან ამხელა ცოდნა უბრალო მოკვდავსო“ — თავისი თავით გაოცებული, გაკვირვებული ადამიანის ამოძახილია სამყაროს ყოველი მისეული ჭვრეტიდან თითოეული შუალედური ამოყვინთვის შემდგომ, რასაც ასე ძალუმად გასდევს ფონად მძლავრი აკორდი **„ჯერ სულმთლად არ დაბნელებულა“** — რაც მე მესმის გაფრთხილებადაც და დროის გაწელვის სურვილადაც, უფრო მეტის მიხვედრა-გაგების იმედით.

სინდისის, იგივე შინაგანი ხმის ამაღლებაა ქვემოთ დამოწმებულ ლექსშიც. პოეტ\ადამიან\ მოქალაქის ვედრებაა ახალგაზრდა ქალისადმი, რომელსაც ცხოვრების უკუღმართობის გამო თავი საჯიჯგნად გაუწირავს და ჯერეთ სულში ხრწნა არკი შეჰპარვია. აქ შეუძლებელია არ გაგვახსენდეს თ. დოსტოევსკის **„დანაშაული და სასჯელის“** პერსონაჟი გოგონა, რომელიც თავისი პატარა და-ძმების გულისთვის მიდის ესოდენ დიდ მსხვერპლზე:

„ვიდრე სამხრეებიანი ღამურები შემოგვარდნიან სახლში
და მოუთხოვიათ ხელისგულისოდენა საბუთი, რომელიც
ვითომ ადასტურებს შენს ვინაობას,
ვიდრე ჩაგჭიდებიან თმაში და წაუთრევიხართ
ამა და ამ განყოფილებაში — საცემად,
და ავადმყოფი ძმაც, მარტოხელა დედაც, მთელი
სამყარო შეუზიზღებიათ;“

პოეტი თვალნათლივ უხატავს თავის პერსონაჟს (ჩვენც) მთელ იმ სულიერ და ფიზიკურ ტკივილს, დაცემას, გადაგვარებას, განკვეთას საზოგადოებისგან და მისგან კეთროვანივით მოპყრობას, რაც მას აუცილებლად მოელის და ამიტომ:

„მომისმინე,
არაუკანასკნელო მარიამ მაგდალინელო ჩვენო,
უმშვენიერესი ყრმის, რომელიც გაჩნდება, დედავ!
წადი აქედან, ღვთის გულისათვის, წადი!“

და ის მიდის, ხოლო შვებით ამომსუნთქი პოეტი ასე უგებს ნიშნს დიჯეის:

„შენ კი დიჯეი
კითხვის ნიშანივით მოკუნტულო,
გაბრიყვებულო, მთვრალო, გაბოლილო,
უაზრო თვალებით მზირალო დიჯეი!
უსმინე ნაბიჯებს აღარდაბრუნების — მიდის!“

(თარგმანი ზვიად რატიანის)

ისევ დოსტოევსკი. მახსოვს **„დანაშაულ და სასჯელს“** რომ ვკითხულობდი, როგორ ვწუხდი რასკოლნიკოვის დაზე, რომ სვიდრიგაილოვებისა და მისთანანის საკბილო არ გამხდარიყო. რა მრჯიდა? ალბათ სინდისი და საკუთარი უმწეობით გულდათუთქული ადამიანის უილაჯობა. მე ხომ მწერალმა იმ სამყაროში კი შემიყვანა, მაგრამ არა ჩემი ხმის უფლებით, ამიტომ ვერაფერს შევცვლიდი, გულით თანაგრძნობილ ადამიანს ვერ დავიცავდი. სალიმის ამ ლექსმაც ის განცდა გამიღვიძა და საბედნიეროდ, ორივე შემთხვევაში სულის სისპეტაკემ იზეიმა და ამითი სიკეთის, სამართლიანობის უძლეველობის რწმენა განმიმტკიცდა კიდევ ერთხელ ადამიანს. გააძლიერო სულით დაცემული, შემოაბრუნო განწირული — ღვთაებრივთან დიდ წილნაყარობას გულისხმობს და ამიტომაც:

„პოეტები როცა კვდებიან
მინისტრები მსჯელობენ ასე:
„ბედნიერნი გახლავან მეტად,
ჩვენც გაგვიმართლა,
მათ დროში რომ მოგვიხდა ყოფნა“.
პოეტები ბედნიერნი არიან ისევ,
ხოლო მინისტრებს კვლავაც უმართლებთ“.

(თარგმანი ჩემივე — ო.ქ.)

დიახ, ყველა ცდილობს შემოქმედთან, თუნდაც იმით რომ ერთ დროში მოუხდათ ყოფნა, ცხოვრება, ახლობლობა დაიბრალოს და ეს მიიჩნიოს საკუთარ ღირსებად, ეს გამოიყენოს. ასე, რომ ძნელი მისახვედრი არ არის თუ რა მწარე ირონიაც ძევს ამ ლექსში — იგი სინდისის უქონლობაზე პირდაპირი მინიშნებაა.

„დღეებს როცა ვწერდი, თუ შევკრებ,
სამი-ოთხი წლისა თუ შევიქნები.
წერისთვის იქნებ სჯობდა კიდევაც
ბავშვებად დავრჩენილიყავით
საწერად კი არა, სალაპარაკოდ გავჩენილიყავით“.

(თარგმანი ჩემივე — ო.ქ.)

საერთოდ, ბავშვები სალიმ ბაბულაოღლის შემოქმედებაში ცალკე სასაუბრო თემაა. აშკარად, ცხადად იგრძნობა, პოეტი ბავშვებს ყურს უგდებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ **„ბავშვის პირით ჭეშმარიტება ღაღადებს“**, არამედ იმიტომ, რომ ბავშვისგან პოეზია მოიღვრება:

„მამა, მე ვიცი ვარსკვლავებს ცაში ტკბილად სძინავთ“.

(თარგმანი ნელი მამედოვასი)

და მაინც:

„დღეებს, როცა ვწერდი, თუ შევკრებ,
სამი-ოთხი წლისა თუ შევიქნები.“

ერთხელ სოფოკლემ ლექსი თავისი წაიკითხა თურმე საჯაროდ და მერე თქვა, რომ მის დაწერას სამი დღე მოანდომა.

— როგორ, სამი დღის განმავლობაში მხოლოდ ერთი ლექსი? სამ დღეში მე დავწერდი ასს — გაიკვირვა მისმა ჩვენამდე სახელმოუღწეველმა თანამედროვე პოეტმა.

— და ისინი იცოცხლებდნენ მხოლოდ სამ დღეს“ — უპასუხია სოფოკლეს.

შემოქმედების „გატრიზავება“ არ შეიძლება, არ შეიძლება კაცს სამ დღეში ასი სატკივარი ჰქონდეს. „**სამი-ოთხი წლისა თუ შევიქნებიო**“, როცა ამას ამბობს პოეტი, გრძნობ, რაოდენ ღირებულია მისთვის ეს მცირე მონაკვეთი სიცოცხლისა, რომელიც მის ფიზიკურ ასაკთან შედარებით ჯერ კიდევ ახლად ფეხადგმული ბალღია, ამდენად, მოსაფრთხილო და სათუთია. ასე რომ, შემოქმედება, როგორც პროცესი და როგორც ამ პროცესთა ჯამი, უფაქიზესი რამაა და სალიმ ბაბულაოღლიც კი არ წერს იმისათვის რომ იცხოვროს, არამედ ცხოვრობს იმისათვის, რათა გამუდმებით ემზადოს საწერად. იგი იმ უიშვიათეს პოეტთაგანია, რომლის შემოქმედებაში გამოვლინებული მრწამსი ემთხვევა მისივე ცხოვრების გზას, ალბათ სწორედ ესეცაა რაც გვხიბლავს მასში.

მოკლედ, **„ჯერ სულმთლად არ დაბნელებულა...“** არ დაბნელებულა სწორედ რომ ჭეშმარიტი პოეზიის წყალობით.

მარსიანი

„კავკასიური სახლის“ პოეტები

„კავკასიური სახლი“ მთარგმნელობითი კოლეგიის ბაზაზე შექმნილი ორგანიზაციაა და თუმცა დღეს მისი პროფილი უფრო ფართო, მრავალმხრივი და საზოგადოებრივია და არა ვიწროდ ლიტერატურული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლიტერატურულ საქმიანობას (წიგნების, გაზეთებისა თუ ჟურნალების გამოცემას) მაინც წამყვანი ადგილი უჭირავს „კავკასიური სახლის“ ცხოვრებაში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ორგანიზაციას სათავეში ცნობილი მწერალი ნაირა გელაშვილი უდგას, მის გვერდით კი არაერთი პროფესიონალი მწერალი მოღვაწეობს. „კავკასიური სახლი“ უკვე თითქმის ორ ათეულ წელს ითვლის თავისი არსებობისა. ამ ხნის განმავლობაში, ცხადია, იცვლებოდა მის თანამშრომელთა შემადგენლობა, მათ შორის მწერლებისაც. დღეს ვისაუბრებთ მხოლოდ იმ პოეტებზე, რომლებიც ამჟამად მოღვაწეობენ „კავკასიურ სახლში“: ეს ის ხალხია, რომელთაც სხვა თანამშრომლებთან ერთად საკუთარი მხრებით მოაქვთ „კავკასიური სახლი“, საკუთარი ძალისხმევითა და პასუხისმგებლობით ეჭიდებიან იმ მრავალგვარ პრობლემას, ბუნებრივად რომ თან ახლავს ორგანიზაციის საქმიანობას. ზოგი მათგანის საზოგადოებრივი თუ ლიტერატურული მოღვაწეობა მეტად მრავალმხრივია (მაგალითად, ნ. გელაშვილი ერთდროულად მუშაობს პროზაში, პოეზიაში, კრიტიკულ-პუბლიცისტურ ესეისტიკაში, თარგმანში, ლიტერატურათმცოდნეობაში, საბავშვო ზღაპრის, ლექსისა და მუსიკის ჟანრებში), მაგრამ ამჯერად შემოვიფარგლებით მხოლოდ მათი პოეტური შემოქმედების მოკლე დახასიათებით.

ნაირა გელაშვილის ლირიკა მედიტაციურ-განსჯითი ხასიათისაა, თემატურად მრავალწახნაგა და ფორმებით მრავალფეროვანი; აღარ მახსოვს, რომელ ევროპელ მოაზროვნეს ეკუთვნის გამოთქმა — „აზრი ყველაზე დიდი ვნებაა“, რომლის ციტირებაც უყვარს ნ. გელაშვილს, რადგან მის შემოქმედებით ნატურას ეს ფორმულასავით სხარტი, შეკუმშული და ტევადი გამონათქვამი უზუსტესად შეესაბამება. ნ. გელაშვილი ნაკლებად ენდობა მოკაზმულ-ნაგვირისტევ მხატვრულ მეტყველებას, აზრის გაბუნდოვანებასა და მეორე-მესამე პლანზე გადატანას მუსიკალურობისა და მეტაფორულობის დომინირების შედეგად. იგი მომხრეა სისადავის, სიზუსტისა და სიცხადის, ამიტომაც ეუცხოება მრავალი ქართველი მწერლის, პოეტის, მთარგმნელის მიდრეკილება ჭარბი ესთეტიზმისაკენ. სიტყვის თავისთავადი ესთეტიკური ღირებულებისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება მას პოეტური აზროვნებისათვის ხელისშემშლელ ფაქტორად ესახება.

ნ. გელაშვილის პოეტურ შემოქმედებაში შეიძლება გამოიყოს სამოქალაქო, ყოფითი, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური, რელიგიური მოტივები, პეიზაჟური ლირიკა, მინიმალისტური ფორმით გადმოცემული მეყვსეული ხილვები, ზოგჯერ თვით „ზაუმური“ მეტყველებაც. წამყვან, გამჭოლ თემად კი, ალბათ, მაინც რელიგიურ-სამოქალაქო მოტივთა სინთეზი უნდა ჩაითვალოს, რაკი ეს ნაკადი ავტორის ქრისტიანულ და დემოკრატიულ მრწამსს საუკეთესოდ გამოხატავს. ნ. გელაშვილი ილია ჭავჭავაძეს თვლის თავის გზისმაჩვენებელ ერთ-ერთ მთავარ ორიენტირად და შემოქმედებით პრაქტიკაში, კერძოდ, ლირიკაში, ილიასეული ხაზის გამგრძელებლად და ახალი ეპოქის შესატყვისი ფორმით განმავითარებლად გვევლინება. იგი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს პოეტური აზროვნების თანადროულობას, ეპოქისმიერი პრობლემატიკის გამოსახვას ადეკვატური მხატვრული ფორმებით. „არა მარტო ტკბილ ხმათათვის გამომგზავნა ქვეყნად ცამა“, — ილიას ეს ქრესტომათიული სენტენცია ნ. გელაშვილს სრული უფლებით შეუძლია გაიმეოროს: როგორც პოეტი, იგი ყოველთვის პრობლემატური და რეფლექსიურია, თვით მინიატურულ ლექსებშიც კი ყოველთვის რაღაც საჭირბოროტო აზრის ლოგიკური განვითარება, აზრის დინამიკის ჩვენებაა მისი მხატვრული მიზანი.

შეიძლება ითქვას, რომ „კავკასიური სახლის“ სხვა პოეტებიც არსებითად ამავე მიმართულების შემოქმედებით ტიპს განეკუთვნებიან: მათთანაც ფორმასთან შედარებით სათქმელის პირველადობა, აზროვნება-რეფლექსიის დომინანტობა ცნაურდება მეტ-ნაკლებად, ოღონდ, რასაკვირველია, ურთიერთგანსხვავებული, მკვეთრი ინდივიდუალური თავისებურებით

გამოხატული. არცერთი ეს პოეტი ერთმანეთს არა ჰგავს სტილური თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარია მათი ნაწარმოებების რიტმიკა, ხატოვანება, თემატიკა, თუნდაც ლექსიკა... მაგრამ ერთი კია — ყველა მათგანი თანამედროვე პოეტური ხედვის მქონე შემოქმედია, მათ ლირიკაში დღევანდელობის მაჯისცემა იგრძნობა, ჩვენი ეპოქის სული გამოსჭვივის.

რუსუდან კაიშაურის პოეზიაში განსაკუთრებით აქცენტირებულია პირადულ-ყოფითი მოტივები, შესაბამისი დეტალებითა და აქსესუარებით. იგი იშვიათად ახდენს საკუთარი პერსონისაგან დისტანცირებას, განცდათა ობიექტივაციასა თუ აბსტრაჰირებას. რ. კაიშაურის პოეზიის თემატიკა მეტწილად კონკრეტულ-საგნობრივია, ხშირად საგნები მის ლექსებში ერთგვარ გაპიროვნებასაც განიცდიან, რათა მათი არსი უკეთ წარმოჩნდეს. საკუთარ პიროვნებაზე კი პოეტი არაიშვიათად ისე საუბრობს, ისე ანაწევრებს ცალკეულ, ასე ვთქვათ, „ინგრედიენტებად“, თანაც არამარტო ფსიქიკურ და მენტალურ, არამედ ფიზიკურ ასპექტშიც კი, რომ მოწმენი ვხდებით თავისებური ავტომითის შექმნისა. მაგრამ ეს არ ეწინააღმდეგება ზემოთ ნათქვამს, რომ რ. კაიშაური საკუთარი პერსონისგან დისტანცირებას იშვიათად ახდენს: საქმე იმაშია, რომ „ავტომითის გმირი“ სულაც არ იმოსება რაღაც ზერეალური აურით, იგი მუდამ იმავე კონკრეტულ პერსონად, რუსუდან კაიშაურად რჩება, რომელიც ჩართულია საგანთა ქაოსში და თითქოს გათანაბრებულიც კია მათთან; და ეს ყველაფერი კონტროლირებად მასალად გამოიყენება ლექსში, ლირიკული „მე“-ს მიერ პერსონალისტურად არის განცდილი და პოეტიზირებული საკუთარივე სულიერ-ფიზიკური ჰიბიტუსი, პირადი ყოფა, ახლობელი ადამიანები, გარემომცველი ემპირია...

შოთა იათაშვილი, განსხვავებით რუსუდან კაიშაურისაგან, უფრო იმპერსონალიზმისაკენ მიდრეკილი პოეტია, მის ლექსებში პიროვნება წინა პლანზე არ არის წამოწეული, თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, რომ სავსებით იგნორირებული და გამქრალია, როგორც ამას ტ. ს. ელიოტის პოეტური დოქტრინა მოითხოვდა. შ. იათაშვილისათვის დამახასიათებელია ერთგვარი თემატური გამომგონებლობა, რამდენადმე უცნაური, არაორდინალური „ლირიკული ნარატივის“ შექმნა, რომელშიც რაიმე იდეა აზრობრივ ხორცშესხმას განიცდის და იქმნება განვითარებადი, დეტალიზებული, ლოგიკურად დასრულებული აზრობრივი კონსტრუქცია. ხშირ შემთხვევაში სრულიად პროზაული სათქმელი ამგვარი მიკროსკოპული „დამუშავების“ შედეგად პოეტიზირებას განიცდის და ლექსი იქმნება თითქოსდა პოეზიისათვის „ნაკლებგამოსადეგი“ მასალისგან. მასალის (სიტყვის, აზრის, ნარატივის) თავისთავადი „პოეტურობა“ შ. იათაშვილს ნაკლებად იზიდავს, თუმცა მის შემოქმედებაში გვხვდება ისეთი ციკლებიც, სადაც კლასიკოსების — გალაკტიონისა და ტერენტი გრანელისეული მოტივები სტილიზებულად, კონცეპტუალური „მიბაძვის“ ფორმითაა წარმოდგენილი.

გიორგი ბუნდოვანის პოეზია განსაკუთრებით დაძაბული მუხტით, ნერვული ენერგეტიკით გამოირჩევა. მისი, როგორც ხელოვანის იმიჯი ბუნტარულ-ნონკონფორმისტული ხასიათისა გახლავთ. სრულიად თავისებური, შეიძლება ითქვას, უნიკალურიც კია მისი პოეტური ინტონაცია, რაღაცნაირ ნაივურ, უაღრესად წრფელ, მთრთოლვარე ობერტონებს რომ გამოსცემს: ის თითქოს „გაბრაზებული დიდი ბავშვის“ თვალებით უცქერის გარემომცველ სამყაროს, უკმაყოფილებასა და წყრომას გამოხატავს ამ სამყაროს უსამართლობის, აგრესიულობის, არაადამიანურობის გამო; ამდენად, პიროვნული თვითგანმტკიცებისათვის მეტწილ შემთხვევაში ნეგაცია, ჯანყი გახლავთ მისი „ინსტრუმენტი“. თითქმის ვერ იპოვით მის შემოქმედებაში ნათელ, მშვიდ, გაწონასწორებულ განწყობილებას. გ. ბუნდოვანის პოეტური თვითრეალიზაცია დაჭიმული ნერვების ხარჯზე ხდება, ეს არის ფეთქებადი განმუხტვის აქტი, რომელიც უტყუარ, დამაჯერებელ მხატვრულ განსხეულებას ჰპოვებს მის პოეტურ ოპუსებში. ამით იგი ენათესაობა თავის საყვარელ პოეტსა და მუსიკოსს ვ. ვისოცკის, რომლის წიგნსაც სათაურად სწორედ „ნერვი“ ჰქვია.

მართალია, გ. ბუნდოვანი არ არის პოეტი-ესთეტის ტიპი, მასთან სათქმელი მაინც დომინირებს ფორმაზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში მოკლებულია რაფინირებას, მაგრამ მისი პოეზია მეტაფიზიკურ ხატოვანებას საკმაოდ დიდი დოზით შეიცავს: მართალია, ეს მომენტი გ. ბუნდოვანის ავანგარდისტულ ლირიკას წმინდად მეტაფიზიკურ პოეზიად არ ხდის, მაგრამ თავისებურ აურას კი სძენს, რის გამოც იგი რეალიზმის საზღვრებს გარკვეულწილად სცილდება და თავისე-

ბურ „ბუნდოვანურ“ ფენომენად წარმოჩნდება, რომელიც თითქოს ირიბ რაკურსში ირეკლავს გარემომცველ რეალობას.

გიორგი ლობჟანიძის პოეტური სამყარო აზრისა და ემოციის წონასწორობით, ფილოსოფიურობისა და ლირიზმის სინქრონული გამოსახვით შეიძლება დახასიათდეს. მისთვის არც ყოფითი მოტივებია უცხო, ოღონდ ხდება ყოფითის განზოგადება, რამდენადმე აბსტრაჰირება და უფრო მაღალ, მენტალურ რეგისტრში აყვანა თუ გადართვა. მისი პოეზიისათვის რეალისტური საგნობრიობა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია და საგანთა თუ მოვლენათა განსჯა, ხედვის არეალში ცალკეულ დეტალთა „მსხვილი პლანით“ შემოტანა-ჩვენება ქმნის შინაარსობრივ სიღრმეს, რომელიც წყნარი შუქითაა განათებული და სიცხადით, ნამდვილობის ეფექტით გვეძლევა.

საინტერესო და დამაინტრიგებელია გ. ლობჟანიძის ლირიკაში აღმოსავლური კულტურის სამყაროსთან შეხმიანების მომენტები: გ. ლობჟანიძე ხომ ირანული და არაბული ენების სპეციალისტია, მთარგმნელი საადის, ჯალალ-ედ-დინ რუმის, სოჰრაბ სეფეჰრის, ფორუყ ფაროხზადეს, ჯიბრან ხალილ ჯიბრანის ნაწარმოებებისა, მუსლიმთა წმინდა წიგნის, ყურანისა; ფილოსოფიურ ლექსში „არაბულის მასწავლებელი“ მოზრდილი ციტატებია მოტანილი ყურანიდან და მათ ფონზე ვითარდება პოეტის რეფლექსია: ნაწარმოების წინა და უკანა პლანები კი ქმნის თავისებურ განცდას პერსპექტივისა, რაც ლექსს შინაარსობრივი სიღრმის გარდა, წმინდად ფორმალურ მიმზიდველობასაც ჰმატებს. ერთი ლექსი სოჰრაბ სეფეჰრის ეძღვნება და მასში მთარგმნელი სწორედ მისი პოეზიის თარგმნის სიძნელეებზე ესაუბრება ირანელი პოეტის წარმოსახვით ხატებას; ეს საუბარი იმგვარ სპირიტუალურ, არამიწიერ საბურველში ეხვევა, რომ „თარგმნა“, როგორც მძიმე, პროზაული, პროფესიული სამუშაო, სულ სხვაგვარ შინაარსს იძენს, სიმბოლოდ იქცევა სულთა შერთვის მისტიური აქტისა...

12.06.2008

რუსუდან კაიშაური

ვინც სულ სწავლობს და უყვარს

— საით მივდივართ? — მუდამ შინისაკენ
ნოვალისი

ძებნაში ახლის გახსოვდეს სახლი!
ნაირა გელაშვილი

ჩემს ბავშვობაში ან სხვა ბავშვებზე დაკვირვებისას, აღმომიჩენია, რომ ყველაზე მტკივნეული სახლს მოწყვეტა იყო. რა საბაბითაც უნდა ყოფილიყო ეს წასვლა სხვაგან, ბრჭყვიალა საცდურები, გასართობ-დასვენებითი სავანე, საზღვაო თუ სოფლური თავგადასავლები — ცოტა ხნის შემდეგ სახლის მონატრება იწყებოდა.

ან რას ვთამაშობდით ჩვენ მუდმივად? სახლს ვაშენებდით: მაგიდის ქვეშ ვძვრებოდით, ხის ტოტებში ვიწყობდით სახლ-შტაბს, მუყაოს ყუთებს ვიმხობდით თავზე; ლეიბებითაც კი მოგვიწყვია სახლი.

ბევრი შეგრძნება აღარ მახსოვს, მაგრამ ერთი ცხადი იყო; თავშესაფარს, სიმყუდროვეს და დაცულობას ვესწრაფვოდით. დედის მუცელი-სახლიდან ცოტა ხნის წინ გამოსულებს სამყარო ჯერ სახლად ვერ აღგვექვა, რადგან ძალიან დიდი იყო და თავს იქ უმწეოდ ვგრძნობდით. მართლაცდა, სად ახლა რომ გვაქვს გადაჯავშნული გულ-ტყავ-თავები და სად მაშინ: ჩვილი და უღინღლო.

ადამიანი ნაწარმოებია ფორმით და შინაარსით, მის ავტორს შემოქმედი ჰქვია. აქედან გამომდინარე, განა ბუნებრივი არ არის, რომ მას დაბადებიდან სიკვდილამდე შემოქმედებითი გარემო შეუქმნა? თუმცა, ჯერ უნდა დაანახო ის სილამაზეები და იდუმალებები, რაც ბუნებაში უკვეა წარმოდგენილი და მერე ისწავლო მისგან, როგორი ფერებითა და რუდუნებით კვანძავს თავთავებს, ყვავილებს, რომ თვითონაც ასე მოექცე საკუთარ თავსა და შენს გარემოს.

ჩვენ კი ჩვენი თავიდან გარეთ გახედვაც გვეზარება, ამ საოცრებათა დაფასებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

მაშ ასე, გვაჩუქა შემოქმედმა თავისი შედევრი ბავშვი და უფროსებს მოგვანდო. რა ძალისხმევას გამოვიჩენთ, რომ თავადაც შემოქმედს დავემსგავსოთ? პირველი სიტყვა ოჯახის წევრებზეა, შემდეგ, როგორც ყველა ზღაპარშია, ბედის საძებნელად ოჯახიდან უნდა გავიდეს მოზარდი. პიროვნებად რომ ჩამოყალიბდეს, უნდა დაიწყოს ბრძოლა არსებობისთვის და აჰა, სკოლის დროც მოვიდა. აქ მასწავლებელი ჩნდება. რა არის სკოლა? ვინ არის მასწავლებელი?

განა კარგი არ იქნება, სკოლა სახლს დაამსგავსოს მასწავლებელმა? — სახლს, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, რომ მოსწავლემ თავი აქ მყუდროდ და უსაფრთხოდ იგრძნოს, დაიჯეროს, რომ იგი უყვართ, მისი ბედი აღელვებთ; ცხოვრებისთვის საჭირო უნარებსა და ცოდნას უზიარებენ ისე, რომ მუდმივად ჭკუას არ არიგებენ. არა, ჭკუის დარიგება როგორ არ არის საჭირო, ოღონდ — სხვანაირად, მეგობრულად და მისი პიროვნების გათვალისწინებით. მოსწავლე და მასწავლებელი ერთად ქმნიან სასწავლო გარემოს გულით, გონებითა და ქმედებით.

მინდა, ყველა გაკვეთილი მოლოდინით იწყებოდეს: აბა, რა სიახლე მოგვიმზადა მასწავლებელმა? რადგან ადამიანის ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. ერთხელ, როცა ზღაპარი უნდა ამეხსნა, თავზე გვირგვინი დავიდგი და ასე დავიწყე თხრობა.

ჯერ კიდევ საჯარო სკოლაში ვასწავლიდი, რომ მივხვდი, ბავშვებს ყველაზე მეტად მასწავლებელთა მხრიდან სიყვარული და მათი პიროვნებებად აღიარება აკლდათ. შევდიოდი კლანებად და კიდევ რაღაც-რაღაცებად დაყოფილ კლასში (ჩვენი საზოგადოების პატარა მოდელში) და ჩემს თავს ვეკითხებოდი: მოგწონს ეს? და თუ არა, რას იღონებ?

ვიმეგობრებ და ვამეგობრებ ერთმანეთთან — სიყვარულის წებო მოვიმარჯვე და კლასის სახლად ქცევას შევუდექი. და დავიწყე თანამშრომლობა მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან.

აი, ერთი ბავშვი გარიყული ზის, ბაიყუშობს. ისე, რომ მან ვერ გაიგო, თანაკლასელები „მივუსიე“ და გამთლიანდნენ. რომელიღაც მოსწავლე გაჭირვებული ოჯახიდანაა, ექსკურსიის ფულს ვერ დებს. მის ზურგს უკან, შეძლებულ მშობლებთან და შვილებთან მოვაგვარეთ ეს საქმეც. ფულის დამდებებიც კმაყოფილი არიან თავიანთი ქველმოქმედებით.

იმ სკოლაში რომ მივედი სამუშაოდ, დირექტორმა მკითხა: ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება გაქვსო? — არა-მეთქი. ჰოდა, ძალიან კარგიო. კლასში შესვლის წინაც მკითხა: აბა, როგორი განწყობა გაქვსო. საშინლად მეშინია-მეთქი, — ვუპასუხე (დღემდე ასე ვარ). ეგეც ძალიან კარგიაო. ახლა ვხვდები, რომ ბრძენი და გამჭრიახი იყო ის დირექტორი.

ძაღლი წყალში რომ ჩააგდეს, ცურვა მაშინ ისწავლაო — ამ ანდაზასავით იყო ჩემი საქმე. სწავლას მივეძალე — ტრენინგებზე დავდიოდი, სხვა მასწავლებელთა გაკვეთილებს ვესწრებოდი; რაღას არ ვიგონებდი, რომ გაკვეთილი შოკური და ფერადოვანი გამეხადა, ექსპერიმენტებს ვატარებდი საკუთარ თავზე და მოსწავლეებზე. ზოგჯერ ვფლავდებოდი, მაგრამ მაინც ჯიუტად განვაგრძობდი ძიებას.

სახლის თემას თუ გავაგრძელებ, იატაკიდან საყვედურის გარეშე ვკრეფდი ქაღალდებს, ბუფეტის ნამუსრევს — ასე ვასწავლე მათ სისუფთავე და წესრიგი. სიყვარულის დღესთან დაკავშირებით, გაზაფხულზე ბიჭებს დავიმარტოხელებდი, ათ-ათ თეთრს ვადებინებდი (მე თვითონ ლარს ჩამოვდიოდი) და დილით, გაკვეთილის დაწყების წინ, თანაკლასელ გოგონებს მერხებზე თითო-თითო ყოჩივარდა ხვდებოდათ — ურთიერთპატივისცემა ისწავლეს. ერთიანი რომ გახდნენ, მშობლებიც მიხვდნენ, რომ მე მათი თანამებრძოლი ვიყავი და არა დაპირისპირებული ძალა. სკოლა ჩემი სახლი იყო. სიზმრებშიც მათ ვხედავდი. შეყვარებული ვიყავი ჩემს მოსწავლეებზე, ქუჩაში გამოსულიც ყველა ბავშვში მათთან მსგავსებას ვეძებდი. ერთ ჩემს მოსწავლეს უთქვამს: სკოლაში წასვლა მიხარიაო და მივხვდი, რომ სკოლა მათთვისაც სახლად გადაქცეულიყო. მაგრამ, ერთ დღეს, ჩემს სახლში, საკუთარმა შვილებმა რევოლუცია მომიწყვეს ლოზუნგით: „ან ჩვენ, ან ისინი“. მე შვილები ვარჩიე იმიტომ, რომ მათ ჩემს მეტი მშობელი არ ჰყავდათ და დიდხანს, ძალიან დიდხანს ცუდად ვიყავი, მოსწავლეებთან ვერყოფნის ავადმყოფობა ძლივს მოვიხადე. აღარასოდეს იმ სკოლისკენ აღარ გამიხედავს.

მერე ბედმა „კავკასიურ სახლში“ მიმიყვანა, ჩემი ყოფილი უსაყვარლესი ლექტორის, მწერალ ნაირა გელაშვილის მიერ დაარსებულ კულტურულ ურთიერთობათა ცენტრში, სადაც იმხანად საკვირაო სკოლა იყო გახსნილი და დავიწყე მასწავლებლობა. აქ აღარ ვიყავი ისეთი უმწეო და დაუცველი, როგორც მაშინ, როცა პირველად შევდგი ფეხი საჯარო სკოლაში — გამომწვევად, კევის ღეჭვით რომ შემხვდნენ ჩემთვის უცნობი ბავშვები: აბა ერთი რას იზამსო. მადლობა ღმერთს, ბუნებრივი რეაქცია მქონდა: ჩანთა გავხსენი, კევი ამოვიღე და ყბების ქნევაში ავყევი მათ (იმის მერე გაკვეთილზე აღარავის დაუღეჭავს).

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ გაკვეთილზე შესვლის წინ მე ისევ მეშინია ბავშვების. და ღმერთმა ნუ ქნას, სხვანაირად იყოს. უკვე იმდენი ხნის მასწავლებელი ვარ, რამდენი წელიც თვითონ ვიყავი მოსწავლე და ჩემს თავს ვეუბნები, მთავარია, ყურები არ ჩამოყარო, ხალისი არ გაიქრო; შენი მოსწავლეების ასაკიდან შეხედო სამყაროს და გახსოვდეს, რომ მათზე მეტი გამოცდილება მოგეცა იმიტომ, რომ შეგიძლია შენზე უმცროსები გაახარო. და ფიქრობ მეორე დღეზე, როგორ მოაწყო გაკვეთილი — სანახაობა, რომ შენც ითამაშო და მოსწავლეებიც ათამაშო, თან შენი მიზნები განახორციელო.

ერთხელ, მაგალითად, ეს სოფელში, საზაფხულო ბანაკში იყო, ბავშვებს ფერად ფურცლებზე დავაწერინე თემა, შემდეგ ძაფები გავუყარე და ღობეების გასწვრივ ჩამოვკიდე. მიდიოდნენ და კითხულობდნენ თვითონაც, სხვებიც და ასე აფასებდნენ ერთმანეთის ნაწერებს.

სხვა დროს ჯგუფებად დავყავი, ცარცები დავურიგე, გარეთ, ასფალტზე ტერიტორიები გამოვუყავი და დავალება მივეცი, დაეხატათ თავიანთი ოცნების სახლი, დაერქმიათ სახელი; პრეზენტაციის დროს მოეყოლათ, ვინ ან რა ცხოვრობდა ამ სახლში და რა სურდა. ჩემ მიერ შერჩეული ჟიური აფასებდა მათ ნაშრომებს.

ხან ერთი ჯგუფი მეორეს ეჯიბრებოდა უკუღმა დაწერილი სიტყვების გამოცნობაში, ანდაზების დასრულებაში, ჩვეულებრივი ფრაზების იდიომებად გადაკეთებაში და — პირიქით. მთავარია, გაკვეთილზე ბავშვი არ მოდუნდეს. ეს რომ შეძლო, სულ საინტერესოს მოლოდინში უნდა

ამყოფო, კითხვიდან წერაზე უნდა გადაიყვანო, წერიდან მოყოლაზე ან აზრის გამოთქმაზე, ურთიერთშეფასებაზე და რა ვიცი, კიდევ რაზე არა.

ძალიან კარგად მუშაობს გაკვეთილის დასაწყისში ე.წ. მოთელვა. მაგალითად, უნდა გავახმოვანოთ სოფლის დილა, რადგან „ოპერატორმა უხმო ვიდეო გადაიღო". და ვიწყებთ ხელების მხრებზე ტყაპატყუპს, რითაც სოფლის შარაგზაზე სკოლისაკენ მიმავალი ბავშვების ფეხის ხმას ვახმოვანებთ, მერე ერთად ვიყეფებით და ვყივით — „მამლებმა და ძაღლებმა გაიღვიძეს სოფელში" და ა.შ.

თან საჭიროა, ბავშვები მუდმივად გრძნობდნენ, რომ შენ ისინი, ყველანი, განურჩევლად გიყვარს და ყურადღების ცენტრში გყავს: გაწუხებს მათი საწუხარი, იზიარებ მათ სიხარულს. თუ გინდა რაიმე შენიშვნა მისცე, ცალკე გაგყავს და ჩუმად, კეთილგანწყობით ეუბნები სათქმელს, უსაბუთებ, რატომ არ მოგწონს მისი საქციელი და მასაც აღარ სწყინს. შენ რამე შეგეშლება? საჯაროდ აღიარებ საკუთარ შეცდომებს მათ წინაშე და ბოდიშს იხდი. ძალიან კარგია, რომ სულ სადღაც დაგყავს, საუკეთესოს აჩვენებ. შეიძლება ყველაფერი ვერ გაიგოს ამა თუ იმ სპექტაკლიდან, საოპერო წარმოდგენიდან ან მუზეუმში, მაგრამ რაღაც აუცილებლად დაამახსოვრდება, ჩარჩება გონებაში, მის გემოვნებაზე იმოქმედებს და ჩვენი მიზანიც ხომ ეს არის. მთავარია, კაცთმოყვარენი გავზარდოთ.

ძერწვის გაკვეთილის შემდეგ ბევრი რამაა ასალაგებელი და მოსაწესრიგებელი. შენ იწყებ ალაგებას, ამიტომ ბავშვებსაც თამამად სთხოვ, დაგეხმარონ ნივთებისა და მასალის დაბინავებაში. ან კლასს ამზადებ კონფლიქტოლოგიის გაკვეთილისთვის, სკამებს წრიულად აწყობ, ამ შემთხვევაშიც ხალისით გეხმარებიან მოსწავლეები. ჩემი აზრით, ბავშვებს არ უნდა მოსთხოვო ის, რასაც თვითონ არ აკეთებ. როცა შენ იწყებ, მაშინ უნდა დაიყენო ისინი გვერდით და ბავშვებიც ენთუზიაზმით აგყვებიან.

კიდევ არ მესმის საუბრის ტონის სხვადასხვაგვარობა მოსწავლეებთან და სხვებთან. თუ მიაღწევ, რომ ყველა ადამიანს ერთნაირად, მაშასადამე, პატივისცემით ესაუბრო, ეს დიდი ნიჭია. ამით ამუხრუჭებ მოსწავლის უზრდელობას და ის ისეთსავე პატივისცემას მოგაგებს, როგორსაც შენ — მას. მითუმეტეს, თუ არასდროს არც ერთი სალანძღავი სიტყვა არ წამოგცდენია და არ წამოგცდება, ამით ხომ სამუდამოდ ჩამოუყალიბდებათ ზრდილობიანი საუბრის მანერა და შენი თავდაცვის მექანიზმიც სახეზეა.

უკვე რაღაცეებს ვამეტაფორებ: ყოველი სასწავლო წელი შობა-ახალი წელივით არის, თავიდან იბადები, მოსწავლეებთან ერთად მთელი წლის მანძილზე იზრდები, თავს დაისხამ და პურდები.

სიახლეებია საჭირო. საიდან ამდენი სიახლე? ამისათვის დრო გჭირდება, მარტო ეს საქმე უნდა გებაროს, ფიქრში და ფიქრის გარეთ. კითხვა და ნახვა გჭირდება სულის გამოსაკვებად. შენს თავს ამხნევებ, ხშირ-ხშირად ეუბნები: თუკი ჩვეულებრივი დღე ახლებურად თენდება და ღამდება?.. გულში მეცინება, ეს სხვათაშორის ჩემი დამსახურებაცაა — ვფიქრობ. ჰოდა, მეტი რაღა გინდა, კეთილი ინებე და არ გაბედო ერთფეროვნება.

ხან საზაფხულო ბანაკია, ხან ესკურსიები და ლაშქრობები, მუზეუმები, სახლ-მუზეუმები, ფილმები, სპექტაკლები და ათასი სხვა რამ.

საზაფხულო ბანაკში მეტი სივრცე და თავისუფალი დრო გვქონდა და იქ სხვანაირად ვშლიდით ალბატროსის ფრთებს. „ნუკრიანშოუს" ვაწყობდით სოფელ ნუკრიანის საპატივცემულოდ, სადაც ვისვენებდით. ამ შოუში ბევრი რამ შედიოდა: სიმღერა, ცეკვა, პოდიუმი, დადგმები... ერთხელ უცნაური პოდიუმი გავმართეთ. კოსტუმები პლასტმასის ბოთლებისაგან დავამზადეთ. სხვა დროს ცელოფნის კაბები შევკერეთ; ტანსაცმელი, ე.წ. „ჟატის" ქაღალდისგანაც გამოგვიყვანია.

ვდგამდით ლიტერატურულ სპექტაკლებს, რომლებიც ტექსტების სწავლასთან იყო დაკავშირებული. მახსოვს, ერთხელ ლამის ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება ზეპირად ისწავლეს და მერე თავიანთ სკოლებში ძალიან გამოსდგომიათ ეს ცოდნა. კიდევ რას ვაკეთებდით? — ბევრს ვეღარ ვიხსენებ. ამ ყველაფრიდან საუკეთესო ის იყო, რომ ბავშვებსაც და სხვებსაც ხალისის გარდა უჩნდებოდათ იმედი და შეგრძნება იმისა, რომ არაფერია შეუძლებელი, თუკი მოინდომებენ. ნაცრისფერი დღე არ არსებობს. ვიყოთ შემოქმედნი.

კიდევ მახსენდება, ერთხელ ერთ-ერთი მოსწავლის ბებია მოვიწვიე გაკვეთილის ჩასატარე-

ბლად. შემთხვევით გავიგე, რომ ღვაწლმოსილი პედაგოგი იყო, მაგრამ უკვე სახლში დამჯდარი, გადიასახლისებული...ის ადამიანიც გავახარე და მრავალფეროვნებაც შევიტანე სკოლის ყოველდღიურობაში.

სახლში პატარა ცოცხი ვიპოვე, წითელი ბაფთა შევაბი და გაკვეთილზე მივიტანე. ბავშვებს ვთხოვე, სახელი დაარქვით ამ ცოცხს და მისი ამბავი დამიწერეთ-მეთქი.

ერთხელ მაკარონი გავაცოცხლებინე თემაში და საინტერესო ამბები გამოუვდათ.

ხანდახან მოსწავლეებს, ისევე, როგორც ჩვენს შვილებს, რაღაცების მოყოლაც სჭირდებათ. განსაკუთრებით — სააზროვნოების, ცოტ-ცოტა მორალსაც რომ შეიცავს, აი, ისეთების, იგავ-არაკებივით რომ არიან. ერთხელ, რამდენიმე ამგვარი ამბავი რომ მოვუყევი ჩემი აქცენტებით, აზრები გამოვკითხე. ჩემდა გასახარად, სწორად ჰქონდათ გაგებული და სწორად მსჯელობდნენ. შემდეგ გაკვეთილზე ვკითხე, რა დაგამახსოვრდათ-მეთქი და ყველაფერი კარგად კი არა, დაწვრილებით ჰქონდათ დასწავლილი.

მეთოდი რა არის? გამოცდილება, ფანტაზია და ძიება. ძალიან სასურველია, თუ დროდადრო მოახერხებ სასწავლებლად წასვლას ე.წ. ტრენინგებზე ან მოუსმენ ჭკვიანი და განათლებული ადამიანების ლექციებს, თუკი ამის საშუალება იქნება.

ჩემი გაკვეთილებიდან ზოგი რამ აღარ მახსოვს, ზოგს სპეციალურად ვივიწყებდი, რომ ჩემი თავი მეიძულებინა, ახალ-ახალზე ეფიქრა და უკვე გამოგონებული არ გამემეორებინა.

კიდევ ერთი რამ უნდა აღვნიშნო, ძალზე მნიშვნელოვანი: რომ იცოდეთ, რამდენ ხანს ვავარჯიშებდი ჩემს თავს იმისათვის, რომ გაკვეთილზე შესვლის წინ ყველაფერი დამევიწყებინა, გარდა იმისა, რომ მოსწავლეთა პუბლიკა მელოდა. ზემოთ აღვნიშნე, დღემდე შიში მაქვს კლასში შესვლის წინ და ეს ძალიან მეხმარება იმაში, რომ მუდამ მომზადებული ვიყო, რამდენიმე ვარიანტი მქონდეს მოფიქრებული იმ შემთხვევისათვის, თუ შევატყვე, რომ ბავშვებს არ მოეწონათ ერთი ვარიანტი. ცოტათი ილუზიონისტიც უნდა იყო, რაღაცით გააოცო და გაართო ისინი.

ძალიან მეხმარება ჩემი შემოქმედებითობის გამოცდილება. გაკვეთილი ლექსივით ერთი ამოსუნთქვით უნდა ჩატარდეს, ზედმეტი არაფერი ითქვას, არც სენტიმენტები შემოიპაროს და თან უცეცხლოც არ იყოს. მოკლედ, ბეწვის ხიდზე დადიხარ.

თვითონ მოსწავლეებთან დამოკიდებულებაც ბეწვის ხიდზე სიარულს უდრის. ე.ი. ძალიან საფრთხილოა, მაგრამ თუ ისინი უპირობოდ გიყვარს, სამართლიანი და მათი პატივისმცემელი ხარ, ბევრად გიადვილდება ცხოვრება. მოკლედ: არც ხბოს აღტაცება და არც ფარშევანგის თავდაჯერებულობა.

დამავიწყდა მეთქვა, რომ მასწავლებლობა გარეგნობით იწყება. მე თვითონ, მოსწავლეობის პერიოდში, მახსოვს, როგორ მომწონდა ლამაზი მასწავლებლები. ეს „ლამაზი“ ნიშნავდა კოხტად, გემოვნებით ჩაცმულს. ერთი მასწავლებელი, მაგალითად, იმიტომ მომწონდა, რომ გრძელი თმები ჰქონდა, ლამაზად დავარცხნილი, მეორეს საინტერესო სამკაულები ეკეთა, მესამეს ფოჩებიანი შალი ჰქონდა მხრებზე მოსხმული. ჩვენ ბავშვებს თავს ვაწონებთ, ვაყვარებთ და ასეთ დროს, მოგეხსენებათ, რამდენი რამის გათვალისწინებაა საჭირო. როცა მიზანი მიღწეულია, მერე მდგომარეობის შენარჩუნებას უნდა ეცადო. ოჰ, ძნელი და დამაინტრიგებლად სასურველია მასწავლებლობა. მართალია, იღლები, წვალობ, მაგრამ მოსწავლეებისაგან ისეთი იმპულსები მოდის და ისეთ კმაყოფილებას გაგრძნობინებს, რომელსაც მთელი სიცოცხლე დაეძებს ადამიანი და რაც ღვთიურ სიმშვიდეს ნიშნავს. ხანდახან ჩემი თავი დამიჭერია ასეთ შედარებაში: მე ვარ მეცხვარის ძაღლი, ერთგულების უნარით დადაღული და გარშემო ვურბენ ჩემს მოსწავლეებს, რომ საღამოს უვნებელი ჩავაბარო ისინი პატრონს.

ამ შაბათ-კვირის სკოლაში კიდევ უფრო რთულადაა საქმე. აქ არიან ახალი და ძველი დევნილები, სოციალურად დაუცველნი, ეროვნული და რელიგიური უმცირესობანი, მოკლედ, თუ ვინმე სადმე დაკარგულა და თავი ვერ უპოვნია, ისეთებიც. რაღაც თბილი ცისარტყელა გადავჭიმე მე ამ სკოლაში, რადგან ეს მართლაც სახლი უნდა ყოფილიყო ტრავმირებული ბავშვებისთვის. თანაც შაბათ-კვირას ბავშვს დასვენება და თამაში უნდა. რომ იცოდეთ, რამდენ ფერს ვეძებდი, რამდენ ხანს ვქსოვდი ამ ცისარტყელას.

თანამოაზრეებთან ერთად დავიწყეთ სახლის შენება, მე, როგორც რიგითმა მასწავლებელმა, მერე — კოორდინატორმა და დღემდე ვაშენებთ, ყოველ წელს უფრო და უფრო თბილსა და მხიარულს ვხდით სახლს. ასეთია ჩვენი სკოლის გამოწვევები. ამ ხნის მანძილზე ჯერ არ შემხვედრია

უუნარო ბავშვი, არასდროს ყოფილა ჩვენს სკოლაში მოსწავლე — სიყვარულსა და ყურადღებას არ გაეკეთილშობილებინოს. აქ მოსწავლეები ერთმანეთს კარგი ბავშვობის გამო აფასებენ და არა სხვა რამეთა გამო. ამიტომ არის, რომ ეს პატარა, მრავალფეროვანი, მეგობრული სკოლა, ერთი სახურავის ქვეშ მოქცეული — სოლოლაკში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე, №20-ში ცხოვრობს და ვითარდება. „კავკასიურ სახლში“ კიდევ ერთი პატარა სახლი შევქმენით 2001 წლიდან ევროპული ფონდი „ჰორიზონტის“ ფინანსური დახმარებითა და „კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელის, ნაირა გელაშვილის იდეის განხორციელებით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყოველი ადამიანი მოსიარულე სახლია, მაგალითად: სიმშვიდის, სიხარულის, სიყვარულის, ფორიაქის და ა.შ., მაშინ გამოდის, რომ „კავკასიური სახლი“ ერთ სათამაშოს ჰგავს, რომლის შიგნით და შიგნით სულ ნაირ-ნაირი სახლები უნდა ვეძებოთ. „კავკასიურმა სახლმა“, მისმა შინაარსმა და სახელწოდებამაც განსაზღვრა აქ არსებული შაბათ-კვირის სკოლის სახლობა, რომელიც მოსწავლეებმა, აი უკვე მე-16 ნაკადმა, ვერა და ვერ აღიქვეს, როგორც ჩვეულებრივი სკოლა, ის რჩება სახლად, სადაც ბავშვებს მოუხარიათ.

კარგი მასწავლებლობა კი გამოსდით ან ძალიან ახალბედებს და გამოუცდელებს, ან მათ, რომლებიც სულ სწავლობენ და უყვართ.

„აფრა“-ს სარჩევი
№7-16

(№1-6 სარჩევი იხილეთ №7 „აფრაში“)

პოეზია

ავსტრიული პოეზიიდან (პაულ ცელანი, ალბერტ ერენშტეინი, ჰაინც ჩეხოვსკი)
გერმანულიდან თარგმნა ვლადიმერ კორტავამ №16, გვ. 27
აზერბაიჯანული ბაიათები
აზერბაიჯანულიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა №15, გვ. 25
შუა საუკუნეების არაბული პოეზია
არაბულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ №13, გვ. 173
სიკვდილისა და სიყვარულის სონეტები
(რენესანსის ეპოქის იტალიური პოეზიიდან:
დანტე ალეგიერი, ფრანჩესკო პეტრარკა, მიქელანჯელო ბუონაროტი)
თარგმანი ჯემალ აჯიაშვილისა №9 გვ. 5
ჯემალ აჯიაშვილი, სონეტები №13, გვ. 14
ჯემალ აჯიაშვილი, სონეტები და ტრიოლეტები №15, გვ. 38
შალვა ბაკურაძე, ლექსები №16, გვ. 190
ლუკა ბაქანიძე, ლექსები №16, გვ. 239
იოსიფ ბროდსკი, ლექსები
თარგმნა ვასილ გულეურმა №16, გვ. 10
იოსიფ ბროდსკი, დიდი ელეგია ჯონ დონს
თარგმნა ირაკლი სურგულაძემ №13, გვ. 237
შოთა ბოსტანაშვილი, გაცეცხლებული ლაპარაკი №13, გვ. 148
გიორგი ბუნდოვანი, ლექსები №15, გვ. 5
ქრისტინე ბუსტა, ლექსები
გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა №15, გვ. 5
ნაირა გელაშვილი, ლექსები №13, გვ. 105
ქრისტინა ეხინი, ლექსები
თარგმნა შოთა იათაშვილმა №14, გვ. 74
გეორგ თრაქლი, ლექსები, ლექსები პროზად
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა №11, გვ. 117
შოთა იათაშვილი, ლექსები №13, გვ. 79
შოთა იათაშვილი, ლექსები №15, გვ. 61
ლორის კარეკა, ლექსები
თარგმნა რუსუდან კაიშაურმა №14, გვ. 32
რუსუდან კაიშაური, ლექსები №13, გვ. 90
მარსიანი, ლექსები №16, გვ. 235
ირაკლი კაკაბაძე, ლექსები №13, გვ. 156
გიორგი კეკელიძე, ლექსები №16, გვ. 228
ვახუშტი კოტეტიშვილი, სონეტები №13, გვ. 9
ელზე ლასკერ-შულერი, ლექსები
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა №11, გვ. 209
რუსუდან კაიშაური, ლექსები №15, გვ. 50

რუსუდან კაიშაური, ლექსები №16, გვ. 209
FS (ინდრეკ მესიკეპი), ლექსები
თარგმნა შოთა იათაშვილმა №14, გვ. 72
მინიანთოლოგია, 1998-1999 წ.წ. საუკეთესო ლექსები №7, გვ. 57
ნოვალისი, ლექსები ციკლიდან „სასულიერო სიმღერები“
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა №10, გვ. 259
ბორის პასტერნაკი, ლექსები
თარგმნა ირაკლი სურგულაძემ №9, გვ. 55
რაინერ მარია რილკე, რეკვიემი მეგობარი ქალისათვის
თარგმნა ნაირა გელაშვილმა №12, გვ. 154
რაინერ მარია რილკე, დაუყვავეთ თვითმკვლელს
რეკვიემი გრაფ ფონ კალკროითისადმი
თარგმნა ნაირა გელაშვილმა №12, გვ. 179
რაინერ მარია რილკე, ვის უკვდება მარტოსული
თარგმნა ნაირა გელაშვილმა №12, გვ. 188
სოჰრაბ სეფეჰრი, ლექსები
სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ №13, გვ. 126
იურგენ როოსტე, ლექსები
თარგმნა შოთა იათაშვილმა №14, გვ. 108
აბუ საიდი, რობაიები
სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ №11, გვ. 5
ნიკა ჯორჯანელი, ლექსები №16, გვ. 204
ეკა ქევანიშვილი, ლექსები №16, გვ. 219
ნაჰაპეტ ქუჩაკი, ჰაირენები
სომხურიდან თარგმნა გივი შაჰნაზარმა №13, გვ. 178
გეორგ ჰაიმი, ლექსები
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა №11, გვ. 103
ფრიდრიჰ ჰიოლდერლინი, ლექსები
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა №10, გვ. 207
ბიჟან ჯალალი, ლექსები
სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ №?, გვ. ?

პროზა, დოკუმენტური პროზა

ივან ბუნინი, მოთხრობები
რუსუდან თარგმნა მზია გელაშვილმა №13, გვ. 165
ვირჯინია ვულფი, ტალღები (ნაწყვეტები)
ინგლისურიდან თრგმნა დავით კახაბერმა №15, გვ. 68
ფრანსუა ანრი არუე ვოლტერი, თეთრი კურო
თარგმნა თამარ აბრამიშვილმა №7, გვ. 137
ნაირა გელაშვილი, Zwischen sand und wind №7, გვ. 89
ნაირა გელაშვილი, ზრდის ბედნიერება,
ანუ პაულა მოდერზონ-ბეკერი — მხატვარი №12, გვ. 3
ნაირა გელაშვილი, მაგრამ აწ გასწი და მიესალმე (მოთხრობა) №13, გვ. 49
ნაირა გელაშვილი, ჰიოლდერლინი №10, გვ. 30

ნაირა გელაშვილი, ნოვალისი №10, გვ. 249
მარგერიტ დიურასი, მთელი დღეები ხეებზე
ფრანგულიდან თარგმნა ელდარ ჭიჭიაშვილმა №8, გვ. 67
მარგერიტ დიურასი, ფრაგმენტი წიგნიდან „მატერიალური ყოფა“
ფრანგულიდან თარგმნა ათინათ მამაცაშვილმა №13, გვ. 98
თეონა დოლენჯაშვილი, რეალური არსებები №16, გვ. 244
შოთა იათაშვილი, სიცილის ოთახი (მოთხრობა) №13, გვ. 122
იან კაპლინსკი, ჰექტორი
თარგმნა შოთა იათაშვილმა №14, გვ. 15
ანდრუს კვირაჰკი, ღმერთი ვარ №14, გვ. 36
შიშვლები გვ. 48
არწივი გვ. 53
თარგმნეს სერგო კილაძემ და ნანა დევიძემ
ექვსი მონოლოგი ფულის შესახებ
თარგმნა მაია ჯორჯაძემ №14, გვ. 64
ტომაზო ლანდოლფი, ორი შინაბერა
იტალიურიდან თარგმნა ნოდარ ლადარიამ №7, გვ. 184
ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო, ანგოლა მალა
ფრანგულიდან თარგმნა მზია ბაქრაძემ №8, გვ. ?
პასკალ კინიარი, აპრონენია ავიციას ჩანაწერები ხის დაფებზე
ფრანგულიდან თარგმნა სიბილა მგელაძემ №8, გვ. 191
იან კაპლინსკი, სტუმარი
თარგმნა თამარ კოტრიკაძემ №14, გვ. 9
იან კაუსი, ხილის ბიზები
თარგმნა ლუკა ბაქანიძემ №14, გვ. 115
ბერნარ მარი კოლტესი, ზანგის და ძაღლების ბრძოლა
ფრანგულიდან თარგმნა მზია ბაქრაძემ №8, გვ. 237
ქრისტინე ლავანტი, ნელი
გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ №9, გვ. 119
მორის მეტერლინკი, ფუტკრების ცხოვრება
ფრანგულიდან თარგმნა დავით აკრიანმა №9, გვ. 79
პატრიკ მოდიანო, ცირკის მიდის
ფრანგულიდან თარგმნა ელდარ ჭიჭიაშვილმა №8, გვ. 135
ნოვალისი, ყვავილთა მტვერი
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა №10, გვ. 266
ნოვალისი, საისელი მოწაფეები
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა №16, გვ. 31
ჯორჯ ორუელი, 1984
ინგლისურიდან თარგმნა დავით აკრიანმა №9, გვ. 99
მაია სარიშვილი, მწვანე პალტო №15, გვ. 80
ნატალი საროტი, ოქროს ნაყოფი
ფრანგულიდან თარგმნა მანანა შიუკაშვილმა №8, გვ. 7
ჟან-პოლ სარტრი, კედელი
ფრანგულიდან თარგმნა ნესტან იორდანიშვილმა №7, გვ. 169
მიშელ უელბეკი, ბრძოლის ველის განვრცობა
ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა №8, გვ. 275

დავით ქართველიშვილი, Vita nova — დღე პირველი №15, გვ. 79
ეკა ღაღანიძე, წითელი ციცინათელები №7, გვ. 115
ჯიბრან ხალალ ჯიბრანი, შლეგი იოანე (მოთხრობა)
არაბულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ №13, გვ. 165
ჰეტერ ჰანდკე, უსურვილო უბედურება
გერმანულიდან თარგმნა რუსუდან ბრეგაძემ №9, გვ. 141
ჰერმან ჰესე, ირისი
გერმანულიდან თარგმნა როზიტა დანელიამ №7, გვ. 159
ჰერმან ჰესე, ზიდჰართა (რომანი, ნაწილი II)
გერმანულიდან თარგმნა ასმათ ფიცხელაურ-ფარჯიანმა №13, გვ. 185
ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი, მხედართა ამბავი
გერმანულიდან თარგმნა გაგა ჩხეიძემ №7, გვ. 154

დრამატურგია

ინგებორგ ბახმანი, სიზმრების მაღაზია (რადიო-პიესა)
გერმანულიდან თარგმნა ასმათ ფიცხელაურ-ფარჯიანმა №13, გვ. 251
შოთა იათაშვილი, მავედრებელნი (II ნაწილი) №16, გვ. 258
ბესო ხვედელიძე, ორი მე №16, გვ. 294
ეგონ ფრიდელი, აფლრედ პოლგარი, გოეთე (გროტესკი ორ სურათად)
გერმანულიდან თარგმნა ნათელა ხუციშვილმა №13, გვ. 319

ხელოვნება

ნაირა გელაშვილი, ქალის მრავალსახეობა №12, გვ. 133
პაულა მოდერზონ-ბეკერის პორტრეტები
„დედა-შვილები“ №12, გვ. 136
„ქალები“ №12, გვ. 137
ნაირა გელაშვილი, ეს ყველაფერი შენზე ითქვა...
(გამონათქვამები პაულა მოდერზონ-ბეკერის შესახებ) №12, გვ. 141
მარსიანი, მაესტროს დასაცავად (პოლემიკა) №15, გვ. 300
რობერტ ფურნო-ჯორდანი, კლასიკური საბერძნეთი
თარგმნა გიორგი მანელაშვილმა №7, გვ. 297

მითოლოგია, ეთნოგრაფია

ულრიჰ მანი, სიმბოლო და მითოსი, როგორც რელიგიის არსებითი ელემენტი
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა №11, გვ. 263
ეპოსი, სკანდინავიური საგები
თარგმნა ირაკლი სურგულაძემ №11, გვ. 263

წერილები ლიტერატურაზე

ზაზა აბზიანიძე, ჩემი ცხოვრება უცნაური...
(ტერენტი გრანელის ლიტერატურული პორტრეტი) №15, გვ. 113
მერაბ ღაღანიძე, რას გვაუწყებს დღეს ნიკოლოზ ბარათაშვილის „საფლავი მეფის ირაკლისა?“ №15, გვ. 125
ლევან ბრეგაძე, პაროდიული სტრიქონი №15, გვ. 129
ლევ ტოლსტოი, შექსპირისა და დრამის შესახებ
რუსულიდან თარგმნა ნიკო დადიანმა №16, გვ. 55
მარინა ცვეტაევა, ანდრეი ბელი
რუსულიდან თარგმნა მზია გელაშვილმა №16, გვ. 119
მერაბ ღაღანიძე, ფრანც ვერფელი — პოეტი და რომანისტი №16, გვ. 306
ზელიმხან უძილაური, ესეები №16, გვ. 309
ფრიდრიჰ ნიცშე, ჩვენ — ფილოლოგები
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა №11, გვ. 5
მეცნიერება და სიბრძნე ბრძოლაში
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა №11, გვ. 17
რ. მ. რილკეს, ბ. პასტერნაკისა და მ. ცვეტაევას მიმოწერიდან
თარგმანი ნაირა გელაშვილის №11, გვ. 227
როლან ბარტი, რა არის კრიტიკა
ინგლისურიდან თარგმნა დავით ჩიხლაძემ №13, გვ. 271
თამარ კოტრიკაძე, „მე ვარ ადამიანი“ №13, გვ. 275
(რამდენიმე მოსაზრება ქართულ საბავშვო ლიტერატურაზე)
ლევან ბრეგაძე, ნობელიანტი თარგმნის ჩეჩნურ თქმულებას №13, გვ. 289
მერაბ ღაღანიძე, მერაბ მამარდაშვილის ლექციები №13, გვ. 293
იან კაუსი, ცოტა რამ ესტონური პოეზიის შესახებ
თარგმნა მაია ჯორჯაძემ №14, გვ. 5
თომას მანი, გოეთე და დემოკრატია
თარგმნა ნაირა გელაშვილმა №11, გვ. 47
თომას მანი, ხელოვანი და საზოგადოება
თარგმნა ნაირა გელაშვილმა №11, გვ. 67
ჰერმან ჰესე, რომანტიზმის სული
თარგმნა ნაირა გელაშვილმა №11, გვ. 77
საიდუმლოებანი
თარგმნა ნაირა გელაშვილმა №11, გვ. 83
ახალ გააზრებათა თანამედროვე მცდელობანი
თარგმნა ნაირა გელაშვილმა №11, გვ. 93
ახალგაზრდა ხელოვანს
თარგმნა ნაირა გელაშვილმა №11, გვ. 97
სიბერის შესახებ
თარგმნა ნაირა გელაშვილმა №11, გვ. 100
რ. ყარალაშვილი, გოეთე და ტექნიკური საუკუნე №7, გვ. 47
თამარ აფციაური, ფრანგული ლიტერატურა საუკუნეთა გასაყარზე №8, გვ. 5
ჰერმან ჰესე, წერილი ადელეს
გერმანულიდან თარგმნა როზიტა დანელიამ №9, გვ. 169
ინა კულიშოვა, სინამდვილის მეტამორფოზები დროის თვალსაწიერიდან

(იოსიფ ბროდსკის შემოქმედების შესახებ) №9, გვ. 175
ნაირა გელაშვილი, როცა „პოეზია ღვთისმსახურებაა“ და... ცხოვრება №10, გვ. 5
ნაირა გელაშვილი, „გამოცხადება და აღსასრული“
ანუ გეორგ თრაქლის პოეზია და ბედისწერა №11, გვ. 107
ნაირა გელაშვილი, გზა და სახე, ანუ ელზე ალსკერ-შიულერი — პოეტი №11, გვ. 141

საბავშვო ლიტერატურა

ნაირა გელაშვილი, დიდი დაგის ორდენი №15, გვ. 308

საუკუნეების მიჯნა, ფილოსოფია, კულტურა, კულტურფილოსოფია

გეორგ ჰენრიკ ფონ ვრიგტი, ლუდვიგ ვიტგენშტაინი
თარგმნა ვლადიმერ კორტავამ №7, გვ. 287
ოლდოს ჰაქსლი, კულტურა და ადამიანი
ინგლისურიდან თარგმნა დავით აკრიანმა №9, გვ. 255
მარტინ ჰაიდეგერი, ჰიოლდერლინი და პოეზიის არსი
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა №10, გვ. 235
ნაირა გელაშვილი, სიბრძნე და სიყვარული,
ანუ ფილოსოფოს შელინგის გახსენება №10, გვ. 288
ფრიდრიხ ვილჰელმ იოზეფ შელინგი
წამყვანი იდეები ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში
წიგნიდან „გამოცხადების ფილოსოფია“ (თავი XXXV)
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა №10, გვ. 319
მარტინ ჰაიდეგერი, ვინ არის ნიცშეს ზარატუსტრა?
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა №11, გვ. 31
ხათუნა თავდგირიძე, „გაუჩინარებისა“ და „დაბრუნების“
მითოსურ-ფილოსოფიური სიმულაციები №16, გვ. 325

რელიგია, თეოლოგია, მისტიკა

აპოკრიფები: გრგვინვა, სრულქმნილი გონება
რუსულიდან თარგმნა ნოდარ შანიძემ №9, გვ. 217
ნიკოლაი ბერდიაევი, რუსული იდეა
რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ №15, გვ. 210
ჰეინერ ბიელეფელდტი, რელიგიის თავისუფლება: საბოლოო კრიტერიუმი
ფრანგულიდან თარგმნა ვასილ კობახიძემ №13, გვ. 299
დიტრიჰ ბონჰიოფერი, ვინ არის ქრისტე
დღეს ჩვენთვის? (წერილი საპყრობილედან)
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა №11, გვ. 315
ხორხე ლუის ბორხესი, ბუდიზმი
თარგმნა ნანა კაციტაძემ №7, გვ. 243

ალფონს და რაქელ გოტმანები, იესოს ლოცვა, გულის ლოცვა №15, გვ. 173
გიორგი კევლიშვილი, მოკლედ სტანისლავ გროფის, მისი წიგნისა და ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის შესახებ №9, გვ. 261
რაფაელ ლაფორტი, გურჯიევის მასწავლებლები
თარგმნა ნოდარ შანიძემ №7, გვ. 253
სიმბოლო და მითოსი, როგორც რელიგიის არსებითი ელემენტი
გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა №11, გვ. 263
ჩანაკია პანდიტი, აფორიზმები
თარგმნა გიორგი სუბელიანმა №7, გვ. 267
ალექსანდრ მენი, ჭეშმარიტი ქრისტეს ძიებაში
რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ №16, გვ. 155
მამა ალექსანდრ მენი პასუხობს მსმენელთა შეკითხვებს
რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ №15, გვ. 230
იოზეფ რაცინგერი, ახალი დროის ზღურბლზე
თარგმნა თამარ კოტრიკაძემ №16, გვ. 172
სერაფიმ როუზი, რუსეთის მომავალი და ქვეყნის დასასრული
თარგმნა ვასილ ბურკაძემ №7, გვ. 229
საადი შირაზელი, გოლესთანი
სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ №15, გვ. 133
თამარ ჯაყელი, რენე გენონის დიდი ტრიადა №16, გვ. 313
ურანი, I-II სერია
არაბულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ №9, გვ. 231
აურობინდო გჰოშ, საზოგადოების ციკლი (წიგნიდან „კაცობრიობის ციკლი“) №15, გვ. 197
ანტონ სუროჟელი, ანატოლი გოლდბერგი, მორწმუნის დიალოგი ურწმუნოსთან
თარგმნა ნაირა გელაშვილმა №16, გვ. 135

საზოგადოება

ფილიპ სოლერსი, მშვიდობით XX საუკუნე
ფრანგულიდან თარგმნა მზია ბაქრაძემ №9, გვ. 283
ინა კულიშოვა, ერთი წელი საზღვრისპირეთში: საქართველო 2008-2009
რუსულიდან თარგმნა ჰამლეტ ზუკაკიშვილმა №15, გვ. 251
ვასილ კობახიძე, მაგიიდან სამოქალაქო რიტუალამდე №15, გვ. 268
ნუგზარ პაპუაშვილი, აზროვნების ოკუპაცია და ანტიეკუმენური აჯანყება საქართველოში №15, გვ. 274
გოგი ჩაგელიშვილი, „თავისუფლების შენებას“ რა უნდა?! №15, გვ. 291

მწერლების არქივიდან

ბადრი გუგუშვილი, ანდაზები, ლექსები №15, გვ. 83
ზაზა თვარაძე, ლექსები, მძინარე მზეთუნახავები (ესე) №15, გვ. 96

ეკოლოგია

ვილჰელმ შმიდი, ახალი დისკუსიები დასავლეთში ეთიკის, მეტადრე ეკოლოგიური ეთიკის შესახებ
თარგმნა ლევან ბრეგაძემ №7, გვ. 311
ლითანიშვილი, ე. ნათენაძე, ვ. პაპალაშვილი, ენგურისა და ჟინვალის წყალსაცავების რაიონის სეისმურობა №7, გვ. 301

პერსონა

გოეთე — 250 №7, გვ. 5
გოეთეს ცხოვრება თარიღებში №7, გვ. 7
გოეთე, სამი ესსე №7, გვ. 11
ბეტინა — გოეთეს მიმოწერა ბავშვთან №7, გვ. 15
გოეთეს საუბრები ეკერმანთან №7, გვ. 37
გოეთესა და შილერის მიმოწერიდან №7, გვ. 43
ნაირა გელაშვილი, დიტრიჰ ბონჰიოფერი №11, გვ. 275
გივი მარგველაშვილი-80 №13, გვ. 5
დალი ფუტკარაძე, აფხაზურის გაკვეთილი (ანა აბრამიშვილი-წვინარია) №13, გვ. 307
ზაზა კვერცხიშვილი, „...შენი კალამი — ნაწერი სისხლის გუბეში“ №13, გვ. 326
ზაზა თვარაძე, წამები, მარადყოფნა, მხიარული ლანდები (ნაწყვეტი პოემიდან), ალმასხან ნათელა ხუციშვილი
ერნსტ იანდლი, კრისტიან მორგენშტერნი, იურა ზოიფერი, ლუდვიგ ჰაინრიჰ კრისტოფ ჰიოლტი, ჰერმან ჰესე, ფრიდრიჰ მარტინ ბოდენშტედტი, ჰაინრიხ ჰაინე, იოჰან ვოლფგანგ გოეთე, საუთ კლიუგერი, ეგონ ფრიდელი, ალფრედ პოლგარი
გოეთე (გროტესკი ორ სურათად)
გერმანულიდან თარგმნა ნათელა ხუციშვილმა №13, გვ. 309

კულტურულ ურთიერთობათა
ცენტრი — კავკასიური სახლი
თბილისი, გალაკტიონის ქ. №20